ი. სტალინი

თხზულებანი

5

იბეჭდება
ს ა კ ა ვ შ ი რ ო
კომუნისტური პარტიის
(ბოლშევიკების)
ცენტრალური კომიტეტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ი თ

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

ИНСТИТУТ МАРКСА—ЭНГЕЛЬСА—ЛЕНИНА—СТАЛИНА
при ЦК КПСС

И.В. СТАЛИН

СОЧИНЕНИЯ

★

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
Москва · 1954

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქ. კ. პ. ც. კ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი—
სკკპ ც. კ-თან არსებული მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის
ინსტიტუტის ფილიალი

ი. ბ. სტალინი

თხზულებანი

★

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
თბილისი · 1955

ი. ბ. სტალინი

ტომი

5

1921–1923

წინასიტყვაობა

მეხუთე ტომში შეტანილია ი. ბ. სტალინის ის ნაწარმოებნი, რომლებიც დაწერილია 1921 — 1923 წლებში.

ტომის ძირითად შინაარსს შეადგენენ სტატიები, მოხსენებები და სიტყვები პარტიის ამოცანებზე სახალხო მეურნეობის აღდგენის დარგში, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ახალ ფორმებზე ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, პარტიის ორგანიზაციული და იდეური ერთიანობის განმტკიცებაზე, მასებთან პარტიის კავშირის ფორმებსა და მეთოდებზე («ჩვენი უთანხმოებანი», «კომუნიზმის მორიგ ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში», «პერსპექტივები», მოხსენებანი პარტიის X და XII ყრილობებზე).

ტომში შეტანილია მონასახი გეგმა ბროშურისა «რუსი კომუნისტების პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ» და სტატიები «პარტია ძალაუფლების აღებამდე და მისი აღების შემდეგ», «რუსი კომუნისტების სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხისათვის», რომლებშიც ი. ბ. სტალინი ავითარებს ლენინურ მოძღვრებას ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკურ სტრატეგიასა და ტაქტიკაზე.

მეხუთე ტომში შესულ ნაწარმოებთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიძღვნილია ნაციონალური საკითხის თეორიის განვითარებისადმი, ბოლშევიკური პარტიის ნაციონალური

პოლიტიკისადმი, საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს მშენებლობისადმი და სსრ კავშირის პირველი კონსტიტუციის ძირითად დებულებათა დამუშავებისადმი (თეზისები პარტიის X და XII ყრილობებისათვის, მოხსენებანი პარტიის X და XII ყრილობებზე და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის IV თათბირზე ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების პასუხისმგებელ მუშაკებთან ერთად, მოხსენებანი საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობაზე და სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობაზე, სტატიები «ნაციონალური საკითხის დაყენებისათვის», «ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ნაციონალური პოლიტიკა» და სხვა).

ტომში პირველად ქვეყნდება: «რუსი კომუნისტების პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ» — ბროშურის გეგმის მონასახი; «პროექტი პლატფორმისა ნაციონალურ საკითხზე»; მოხსენება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების პასუხისმგებელ მუშაკებთან გამართულ IV თათბირზე — «პარტიის XII ყრილობის მიერ ნაციონალურ საკითხზე მიღებული რეზოლუციის განხორციელების პრაქტიკული ღონისძიებანი», საბოლოო სიტყვა მოხსენების გამო და თათბირზე გამოსვლების პასუხი.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი

1921-1923

სიტყვა, წარმოთქმული რსფსრ თურქ ხალხთა კომუნისტების თათბირის გახსნისას[1]

1921 წ. 1 იანვარი

(საოქმო ჩანაწერი)

ამხანაგი სტალინი თათბირის გახსნისას აღნიშნავს, რომ ცენტრალური ბიურო, რომელიც გადარჩეულ უნდა იქნას, არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, და შემდეგ მოკლედ ახასიათებს რსფსრ თურქ ხალხთა შორის კომუნიზმის განვითარების პირობებს.

რუსეთში კომუნიზმის განვითარებას რუსული სოციალიზმის შიგნით თეორიული მუშაობისა და თეორიული ბრძოლის დიდი ხნის ისტორია აქვს, რომელიც რამდენიმე ათეულ წელს გრძელდებოდა. ამ ბრძოლის შედეგად შეიქმნა დარაზმული ჯგუფი ხელმძღვანელი ელემენტებისა, რომლებიც თეორიაში საკმაოდ ძლიერნი და პრინციპული მხრივ საკმაოდ გამობრძმედილნი არიან იმისათვის, რომ პარტიული მასები გაიყოლიონ.

ამისაგან განსხვავებით კომუნიზმი ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ჩაისახა ახლახან, სოციალიზმისათვის პრაქტიკული რევოლუციური ბრძოლის მსვლელობაში, განვითარების წინასწარი თეორიული სტადიის გაუვლელად. აქედან წარმოდგება თურქული კომუნიზმის სისუსტე, სისუსტე, რომელიც შეიძლება თავიდან იქნას

აცილებული მხოლოდ იმ პირობით, თუ შევქმნით პრინციპულ კომუნისტურ ლიტერატურას ჩვენი ქვეყნის თურქულ ენებზე.

რუსული კომუნიზმის განვითარების ისტორიაში ნაციონალისტურ გადახრასთან ბრძოლას არასოდეს არა ჰქონია სერიოზული მნიშვნელობა. როგორც წარსულში მმართველ ერს, რუსებს საზოგადოდ, რუს კომუნისტებს კერძოდ, ნაციონალური ჩაგვრა არ განუცდიათ, საერთოდ რომ ითქვას, არა ჰქონიათ საქმე ნაციონალისტურ ტენდენციებთან თავიანთ წრეში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთგვარ განწყობილებას «დიდმპყრობელური შოვინიზმისადმი», და ამიტომ მათ არ მოხდომიათ, ან თითქმის არ მოხდომიათ, ამ ტენდენციების დაძლევა.

ამისაგან განსხვავებით თურქ კომუნისტებს, დაბეჩავებულ, ნაციონალური ჩაგვრის სტადიაგამოვლილ ხალხთა შვილებს, მუდამ ჰქონდათ და კვლავაც აქვთ საქმე ნაციონალისტურ გადახრასთან, ნაციონალისტურ გადმონაშთებთან თავიანთ წრეში, რომელთა დაძლევა თურქი კომუნისტების მორიგ ამოცანას შეადგენს. ეს გარემოება, უეჭველია, აფერხებს ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში კომუნიზმის კრისტალიზაციის საქმეს.

მაგრამ კომუნიზმს აღმოსავლეთში თავისი ხელსაყრელი მხარეც აქვს. სოციალიზმის პრაქტიკულად გატარების საქმეში რუს კომუნისტებს თავიანთ განკარგულებაში არა ჰქონდათ, ან თითქმის სულ არა ჰქონდათ, ევროპის მოწინავე ქვეყნების გამოცდილება (ევროპამ, უმთავრესად, პარლამენტური ბრძოლის გამოცდილება მოგვცა), ამის გამო მათ მოუხდათ სოციალიზმისაკენ გზის გაკვლევა, ასე ვთქვათ, საკუთარი საშუალებებით, მთელი რიგი გარდუვალი შეცდომების პირობებში.

ამისაგან განსხვავებით თურქულ კომუნიზმს, რომელიც ჩაისახა სოციალიზმისათვის პრაქტიკული ბრძოლის მსვლელობაში, რუსი ამხანაგების მხარდამხარ, შესაძლებლობა ჰქონდა გამოეყენებინა რუსი ამხანაგების პრაქტიკული გამოცდილება და თავიდან აეცილებინა შეცდომები. ეს გარემოება იმის გარანტიაა, რომ კომუნიზმს აღმოსავლეთში სწრაფი ტემპით განვითარებისა და განმტკიცების ყველა შანსი აქვს.

ყველა ამ გარემოებამ განსაზღვრა პარტიის ცენტრალური კომიტეტის შედარებით რბილი პოლიტიკა ჯერ კიდევ ნორჩი თურქული კომუნიზმისადმი, მიმართული იქითკენ, რომ აღმოსავლეთის მტკიცე კომუნისტურ ელემენტებს დახმარება გაეწიოს თურქული კომუნიზმის ზემოხსენებულ სისუსტესა და ნაკლოვანებებთან ბრძოლის საქმეში.

ცენტრალური ბიურო იმ აპარატს წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც უნდა გატარდეს ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ნაციონალისტურ გადმონაშთებთან ბრძოლის ღონისძიებანი და კომუნიზმის თეორიული განმტკიცების ღონისძიებანი.

ზაბა-
ეთოდ

«პრავდა» № 6,
1921 წ. 12 იანვარი.

აცილებული მხოლოდ იმ პირობით, თუ შევქმნით პრინციპულ კომუნისტურ ლიტერატურას ჩვენი ქვეყნის თურქულ ენებზე.

რუსული კომუნიზმის განვითარების ისტორიაში ნაციონალისტურ გადახრასთან ბრძოლას არასოდეს არა ჰქონია სერიოზული მნიშვნელობა. როგორც წარსულში მმართველ ერს, რუსებს საზოგადოდ, რუს კომუნისტებს კერძოდ, ნაციონალური ჩაგვრა არ განუცდიათ, საერთოდ რომ ითქვას, არა ჰქონიათ საქმე ნაციონალისტურ ტენდენციებთან თავიანთ წრეში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთგვარ განწყობილებას «დიდმპყრობელური შოვინიზმისადმი», და ამიტომ მათ არ მოხდომიათ, ან თითქმის არ მოხდომიათ, ამ ტენდენციების დაძლევა.

ამისაგან განსხვავებით თურქ კომუნისტებს, დაბეჩავებულ, ნაციონალური ჩაგვრის სტადიაგამოვლილ ხალხთა შვილებს, მუდამ ჰქონდათ და კვლავაც აქვთ საქმე ნაციონალისტურ გადახრასთან, ნაციონალისტურ გადმონაშთებთან თავიანთ წრეში, რომელთა დაძლევა თურქი კომუნისტების მორიგ ამოცანას შეადგენს. ეს გარემოება, უეჭველია, აფერხებს ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში კომუნიზმის კრისტალიზაციის საქმეს.

მაგრამ კომუნიზმს აღმოსავლეთში თავისი ხელსაყრელი მხარეც აქვს. სოციალიზმის პრაქტიკულად გატარების საქმეში რუს კომუნისტებს თავიანთ განკარგულებაში არა ჰქონდათ, ან თითქმის სულ არა ჰქონდათ, ევროპის მოწინავე ქვეყნების გამოცდილება (ევროპამ, უმთავრესად, პარლამენტური ბრძოლის გამოცდილება მოგვცა), ამის გამო მათ მოუხდათ სოციალიზმისაკენ გზის გაკვლევა, ასე ვთქვათ, საკუთარი საშუალებებით, მთელი რიგი გარდუვალი შეცდომების პირობებში.

ამისაგან განსხვავებით თურქულ კომუნიზმს, რომელიც ჩაისახა სოციალიზმისათვის პრაქტიკული ბრძოლის მსვლელობაში, რუსი ამხანაგების მხარდამხარ, შესაძლებლობა ჰქონდა გამოეყენებინა რუსი ამხანაგების პრაქტიკული გამოცდილება და თავიდან აეცილებინა შეცდომები. ეს გარემოება იმის გარანტიაა, რომ კომუნიზმს აღმოსავლეთში სწრაფი ტემპით განვითარებისა და განმტკიცების ყველა შანსი აქვს.

ყველა ამ გარემოებამ განსაზღვრა პარტიის ცენტრალური კომიტეტის შედარებით რბილი პოლიტიკა ჯერ კიდევ ნორჩი თურქული კომუნიზმისადმი, მიმართული იქითკენ, რომ აღმოსავლეთის მტკიცე კომუნისტურ ელემენტებს დახმარება გაეწიოს თურქული კომუნიზმის ზემოხსენებულ სისუსტესა და ნაკლოვანებებთან ბრძოლის საქმეში.

ცენტრალური ბიურო იმ აპარატს წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც უნდა გატარდეს ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ნაციონალისტურ გადმონაშთებთან ბრძოლის ღონისძიებანი და კომუნიზმის თეორიული განმტკიცების ღონისძიებანი.

«პრავდა» № 6,
1921 წ. 12 იანვარი.

ჩვენი უთანხმოებანი

ჩვენი უთანხმოებანი პროფკავშირთა საკითხის გამო პროფკავშირთა პრინციპული შეფასების სფეროს როდი მიეკუთვნებიან. ტროცკის მიერ ხშირად ციტირებული ცნობილი პუნქტები ჩვენი პროგრამისა პროფკავშირთა როლის შესახებ და პარტიის IX ყრილობის რეზოლუცია პროფკავშირების შესახებ[2] ძალაში რჩებიან (და დარჩებიან). არავინ დავობს, რომ პროფკავშირები და მეურნეობის ორგანოები ერთიმეორეს უნდა შეესისხლხორცონ და კიდეც შეესისხლხორცებიან («შეზრდა»). არავინ დავობს, რომ ქვეყნის მეურნეობრივი აღორძინების ახლანდელი მომენტი გვიკარნახებს, რათა საწარმოო პროფკავშირები, ჯერჯერობით მხოლოდ [illegible]ებით რომ არიან ასეთები, თანდათან გადავაქციოთ ნამდვილად საწარმოო პროფკავშირებად, რომლებსაც შეეძლებათ ფეხზე დააყენონ ჩვენი მრეწველობის ძირითადი დარგები. მოკლედ, ჩვენი უთანხმოებანი პრინციპული უთანხმოებანი არ არიან.

ასევე ნაკლებ ეხება ჩვენი უთანხმოებანი პროფკავშირებში და საერთოდ მუშათა კლასში შრომის დისციპლინის აუცილებლობის საკითხს. ლაპარაკი, რომ ჩვენი პარტიის ერთი ნაწილი «ხელიდან უშვებს სადავეებს» და სტიქიური ძალების თამაშს ანდობს მასებსო, — მოუაზრებლობის შედეგს წარმოადგენს. პარტიული ელემენტების ხელ-

მძღვანელი როლი პროფკავშირების შიგნით და პროფკავშირებისა მუშათა კლასის შიგნით — უდავო ჭეშმარიტებად რჩება.

კიდევ უფრო ნაკლებად ეხება ჩვენი უთანხმოებანი პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტებისა და პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს შემადგენლობის საკითხს ხარისხის თვალსაზრისით. ყველა თანახმაა, რომ ამ დაწესებულებათა შემადგენლობა სრულიადაც არ არის იდეალური, რომ კავშირები დაცარიელდნენ მთელი რიგი სამხედრო და სხვა მობილიზაციების შედეგად, რომ კავშირებს უნდა დავუბრუნოთ მათი ძველი მუშაკები, შევმატოთ ახლები, უნდა მივცეთ მათ ტექნიკური საშუალებანი და სხვ.

არა, ჩვენი უთანხმოებანი ამ სფეროს როდი მიეკუთვნებიან.

I

მუშათა მასებისადმი მიდგომის ორი მეთოდი

ჩვენი უთანხმოებანი მიეკუთვნებიან იმ საკითხების სფეროს, თუ რა **საშუალებებით** განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა მუშათა კლასში, რა **მეთოდებით** მივუდგეთ მუშათა მასებს, რომლებიც ებმებიან მრეწველობის აღორძინების საქმეში, რა **გზებით** გადავაქციოთ ახლანდელი სუსტი პროფკავშირები მძლავრ, ნამდვილად საწარმოო კავშირებად, რომლებსაც შეეძლებათ აღორძინონ ჩვენი მრეწველობა.

არსებობს ორი მეთოდი: **იძულების** მეთოდი (სამხედრო მეთოდი) და **დარწმუნების** მეთოდი (პროფკავშირული მეთოდი). პირველი მეთოდი სრულიადაც არ გამორიცხავს დარწმუნების ელემენტებს, მაგრამ დარწმუნების ელემენტები აქ დაქვემდებარებულია იძულების მეთოდის

მოთხოვნებისადმი და მისთვის დამხმარე საშუალებას შეადგენენ. მეორე მეთოდი, თავის მხრივ, არ გამორიცხავს იძულების ელემენტებს, მაგრამ იძულების ელემენტები აქ დაქვემდებარებულია დარწმუნების მეთოდის მოთხოვნებისადმი და მისთვის დამხმარე საშუალებას შეადგენენ. ამ ორი მეთოდის არევა ისევე შეუწყნარებელია, როგორც შეუწყნარებელია არმიისა და მუშათა კლასის ერთ ჯროვად შეჭუჭება.

პარტიული მუშაკების ერთი ჯგუფი, ტროცკის მეთაურობით, არმიის წრეში სამხედრო მეთოდების წარმატებებით გაბრუებული, ფიქრობს, რომ შეიძლება და საჭიროცაა გადმოვნერგოთ ეს მეთოდები მუშათა წრეში, პროფკავშირებში, რათა მივაღწიოთ ისეთსავე წარმატებებს კავშირების განმტკიცების საქმეში, მრეწველობის აღორძინების საქმეში. მაგრამ ამ ჯგუფს ავიწყდება, რომ არმია და მუშათა კლასი სხვადასხვა რამაა, რომ მეთოდი, რომელიც არმიისათვის გამოდგება, შეიძლება მუშათა კლასისა და მისი პროფკავშირებისათვის გამოუსადეგარი, მავნე აღმოჩნდეს.

არმია ერთგვაროვანი სიდიდე როდია, ის შედგება ორი ძირითადი სოციალური ჯგუფისაგან, გლეხებისა და მუშებისაგან, რომელთაგან პირველნი რამდენჯერმე სჭარბობენ მეორეებს. პარტიის VIII ყრილობა[3], არმიაში იძულების მეთოდების უპირატესი გამოყენების აუცილებლობას რომ ასაბუთებდა, იქიდან გამოდიოდა, რომ ჩვენი არმია შედგება, უმთავრესად, გლეხებისაგან, რომ გლეხები სოციალიზმისათვის არ იბრძოლებენ, რომ შეიძლება და საჭიროცაა ვაიძ[illegible]ოთ ისინი იბრძოლონ სოციალიზმისათვის, რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ იძულების მეთოდები. აქედან გაჩნდა ზემოქმედების ისეთი წმინდა სამხედრო საშუალებანი, როგორიცაა კომისრების სისტემა პოლიტ-

განყოფილებებითურთ, რევტრიბუნალები, დისციპლინური სასჯელი, საყოველთაო დანიშვნითი სისტემა და სხვ.

არმიისაგან განსხვავებით, მუშათა კლასი წარმოადგენს ერთგვაროვან სოციალურ წრეს, რომელიც, ეკონომიური მდგომარეობის გამო, განწყობილია სოციალიზმისადმი, ადვილად ემორჩილება კომუნისტურ აგიტაციას, ნებაყოფლობით ირაზმება პროფკავშირებად და, ყოველივე ამის გამო, საბჭოთა სახელმწიფოს საფუძველს, მარილს შეადგენს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ჩვენი საწარმოო პროფკავშირების პრაქტიკულ მუშაობას დარწმუნების მეთოდების უპირატესი გამოყენება დაედო საფუძვლად. აქედან გაჩნდა ზემოქმედების ისეთი წმინდა პროფკავშირული მეთოდები, როგორიცაა ახსნა-განმარტება, მასობრივი პროპაგანდა, მუშების ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარება, არჩევითობა და სხვ.

ტროცკის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ის სათანადოდ ვერ აფასებს არმიასა და მუშათა კლასს შორის არსებულ განსხვავებას, ერთმანეთს უთანაბრებს სამხედრო ორგანიზაციებსა და პროფკავშირებს, ცდილობს, ალბათ ინერციით, გადმოიტანოს სამხედრო მეთოდები არმიიდან პროფკავშირებში, მუშათა კლასში.

«სამხედრო მეთოდების (ბრძანება, სასჯელი) შიშველი დაპირისპირება პროფესიონალისტური მეთოდებისადმი (ახსნა-განმარტება, პროპაგანდა, თვითმოქმედება), — ამბობს ტროცკი ერთ-ერთ დოკუმენტში, — წარმოადგენს კაუცკიანურ-მენშევიკურ-ესერულ ცრუშეხედულებათა გამოხატულებას... თვით დაპირისპირება შრომითი და სამხედრო ორგანიზაციისა მუშათა სახელმწიფოში წარმოადგენს სამარცხვინო კაპიტულაციას კაუცკიანელობის წინაშე».

ასე ამბობს ტროცკი.

თავი რომ დავანებოთ ზედმეტ სიტყვიერებას «კაუცკიანელობის», «მენშევიზმის» და სხვ. შესახებ, ცხადია, რომ ტროცკის ვერ გაუგია მუშათა და სამხედრო ორგანიზაციებს შორის არსებული განსხვავება, ვერ გაუგია, რომ

სამხედრო მეთოდების დაპირისპირება დემოკრატიული (პროფკავშირული) მეთოდებისადმი **ომის ლიკვიდაციისა და მრეწველობის აღორძინების მომენტში** აუცილებელია, გარდუვალია, რომ, ამის გამო, პროფკავშირებში სამხედრო მეთოდების გადატანა შემცდარია, მავნებელია.

ეს გაუგებლობა დაედო საფუძვლად ტროცკის ამ ცოტა ხნის წინათ გამოსულ პოლემიკურ ბროშურებს პროფკავშირების შესახებ.

ეს გაუგებლობაა ტროცკის შეცდომების წყარო.

II

დემოკრატიზმი შეგნებული და «დემოკრატიზმი» იძულებითი

ზოგი ფიქრობს, რომ პროფკავშირების დემოკრატიზმზე ლაპარაკი არის ფუჭი დეკლამაცია, მოდა, შინაპარტიული ცხოვრების ზოგიერთი მოვლენით გამოწვეული, რომ დროთა განმავლობაში «ლაყბობა» დემოკრატიზმის შესახებ მომაბეზრებელი გახდება, და ყოველივე «ძველებურად» წავა.

სხვებს ჰგონიათ, რომ დემოკრატიზმი პროფკავშირებში არსებითად არის დათმობა, იძულებითი დათმობა მუშების მოთხოვნებისადმი, რომ აქ ჩვენ უფრო დიპლომატიასთან გვაქვს საქმე, ვიდრე ნამდვილ, ჭეშმარიტ საქმესთანო.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს ამხანაგები, ერთნიც და მეორენიც, ღრმად ცდებიან. დემოკრატიზმი პროფკავშირებში, ე. ი. ის, რასაც ჩვეულებრივ ეწოდება «კავშირების შიგნით პროლეტარული დემოკრატიის ნორმალური მეთოდები», — არის მუშათა მასობრივი ორგანიზაციების დამახასიათებელი შეგნებული დემოკრატიზმი, რომელიც გულისხმობს იმის **შეგნებას**, რომ საჭირო და სასარგებლოა სისტემატურად გამოვიყენოთ დარწმუნების მეთო-

დები მუშათა მილიონიანი მასების მიმართ, რომლებსაც პროფკავშირებად ვრაზმავთ. თუ ასეთი შეგნება არ არის, ისე დემოკრატიზმი ფუჭ სიტყვად იქცევა.

ვიდრე ომი მიმდინარეობდა და საშიშროება კარზე იყო მომდგარი, ჩვენი ორგანიზაციების მოწოდებანი «ფრონტის დასახმარებლად» მუშებში ცოცხალ გამოხმაურებას პოულობდნენ, ვინაიდან დაღუპვის საშიშროება მეტისმეტად საგრძნობი იყო, ვინაიდან ამ საშიშროებას სრულიად კონკრეტული და ყველასათვის აშკარა ფორმა ჰქონდა კოლჩაკის, იუდენიჩის, დენიკინის, პილსუდსკის, ვრანგელის არმიების სახით, რომლებიც წინ მოიწევდნენ და ხელახლა ამყარებდნენ მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლებას. მაშინ მასების ფეხზე დაყენება ძნელი არ იყო. მაგრამ ახლა, როცა სამხედრო საშიშროება თავიდან აცილებულია და ახალი საშიშროება, სამეურნეო საშიშროება (სამეურნეო ნგრევა) სრულიადაც არ არის მასებისათვის ისე საგრძნობი, ფართო მასების მარტო მოწოდებებით ამოძრავება არ შეიძლება. რა თქმა უნდა, პურისა და ფართლეულის ნაკლებობას ყველა გრძნობს, მაგრამ, ჯერ ერთი, ხალხი მაინც რაღაცას ახერხებს და ასე თუ ისე შოულობს პურსაც და ფართლეულსაც, რის გამო უპუროობისა და უსაქონლობის საშიშროება სრულიადაც არ ამოქმედებს მასებს ისე, როგორც ამოქმედებდა მათ ომის საშიშროება; მეორეც, ვერავინ დაიწყებს იმის მტკიცებას, თითქოს სამეურნეო საშიშროება (ორთქლმავლების, სოფლის მეურნეობის მანქანების, საფეიქრო ფაბრიკების, მეტალურგიული ქარხნების ნაკლებობა, ელექტროსადგურთა მოწყობილობის ნაკლებობა და სხვ.) ისევე რეალური იყოს მასების შეგნებისათვის, როგორც ომის საშიშროება იყო ახლო წარსულში. მუშათა კლასის მილიონიანი მასები სამეურნეო

ნგრევის წინააღმდეგ რომ დავძრათ, ამისათვის საჭიროა აღვუძრათ ფართო მასებს ინიციატივა, შეგნებულობა, თვითმოქმედება, საჭიროა **დავარწმუნოთ** ისინი კონკრეტული ფაქტებით, რომ სამეურნეო ნგრევა ისეთსავე რეალურ და დამღუპველ საფრთხეს წარმოადგენს, როგორსაც გუშინ წარმოადგენდა სამხედრო საფრთხე, საჭიროა დემოკრატიულად აგებული პროფკავშირების საშუალებით ჩავაბათ მილიონობით მუშები წარმოების აღორძინების საქმეში. მხოლოდ ამნაირად შეგვიძლია გადავაქციოთ სამეურნეო ნგრევასთან სამეურნეო ორგანოების ბრძოლა მთელი მუშათა კლასის სასიცოცხლო საქმედ. უამისოდ შეუძლებელია სამეურნეო ფრონტზე გამარჯვება.

მოკლედ: შეგნებული დემოკრატიზმი, პროლეტარული დემოკრატიის მეთოდი კავშირების შიგნით საწარმოო პროფკავშირთა ერთადერთ სწორ მეთოდს წარმოადგენს.

ამ დემოკრატიზმთან საერთო არაფერი აქვს იძულებითს «დემოკრატიზმს».

როცა კითხულობ ტროცკის ბროშურას «პროფკავშირების როლი და ამოცანები», შეიძლება იფიქრო, რომ, არსებითად, ტროცკი «აგრეთვე» «დემოკრატიული» მეთოდის მომხრეა. ამ საბუთით ზოგი ამხანაგი ფიქრობს, რომ პროფკავშირთა მუშაობის მეთოდების საკითხი როდია ჩვენი უთანხმოების საგანი. მაგრამ ეს სრულიადაც არ არის სწორი. ვინაიდან ტროცკის «დემოკრატიზმი» არის იძულებითი, ორჭოფული, უპრინციპო და, როგორც ასეთი, მხოლოდ ავსებს სამხედრო-ბიუროკრატიულ მეთოდს, რომელიც გამოუსადეგარია პროფკავშირებისათვის.

თვითონ განსაჯეთ.

1920 წლის ნოემბრის დამდეგს ცენტრალური კომიტეტი ადგენს, ხოლო პროფკავშირთა სრულიად რუსეთის V კონფერენციის კომუნისტურ ფრაქციას გაჰყავს გადაწყვე-

ტილება, რომ «საჭიროა უაღრესად ენერგიული და გეგმაშეზომილი ბრძოლა ცენტრალიზმისა და მუშაობის მილიტარიზებული ფორმების ბიუროკრატიზმად, თვითნებობად, კაზიონურობად და პროფკავშირების მიმართ წვრილმან მეურვეობად გადაქცევის წინააღმდეგ... რომ ცეკტრანისთვისაც (ტრანსპორტის მუშათა ცენტრ. კომიტეტი, რომელსაც ტროცკი ხელმძღვანელობს) უკვე გადის მართვის იმ სპეციფიკური მეთოდების დრო, რომელთა გულისათვის შეიქმნა რკინიგზების მთავარი პოლიტსამმართველო და რომლებიც განსაკუთრებული პირობებით იყო გამოწვეული», რომ ამის გამო კონფერენციის კომუნისტური ფრაქცია «ურჩევს ცეკტრანს გააძლიეროს და განავითაროს კავშირის შიგნით პროლეტარული დემოკრატიის ნორმალური მეთოდები» და ავალებს ცეკტრანს, რომ მან «აქტიური მონაწილეობა მიიღოს პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს საერთო მუშაობაში და შევიდეს მის შემადგენლობაში სხვა საკავშირო გაერთიანებათა თანაბარი უფლებებით» (იხ. «პრავდა» № 255). მაგრამ ტროცკი და ცეკტრანი, ამ დადგენილების მიუხედავად, მთელი ნოემბრის განმავლობაში ისევ ატარებენ ძველ ნახევრადბიუროკრატიულ-ნახევრადსამხედრო ხაზს, ძველებურად ეყრდნობიან რკინიგზების მთავარ პოლიტსამმართველოს და წყალტრანსპორტის მთავარ პოლიტსამმართველოს, ცდილობენ «შეანჯღრიონ», ააფეთქონ პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭო და იცავენ ცეკტრანის პრივილეგიურ მდგომარეობას სხვა პროფესიულ გაერთიანებათა შორის. უფრო მეტიც, 30 ნოემბრის წერილში «ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისადმი» ტროცკი ასევე «მოულოდნელად» აცხადებს, რომ «წყალტრანსპორტის მთავარი პოლიტსამმართველო... უახლოეს ორ-სამ თვეში **არასგზით** არ

შეიძლება დაშლილ იქნას». და მერე? ამ წერილიდან ექვსი დღის შემდეგ (7 დეკემბერს) იგივე ტროცკი ასევე «მოულოდნელად» აძლევს ხმას ცენტრალურ კომიტეტში იმას, რომ «დაუყოვნებლივ გაუქმდეს რკინიგზების მთავარი პოლიტსამმართველო და წყალტრანსპორტის მთავარი პოლიტსამმართველო და გადაეცეს მთელი მათი ძალები და სახსრები პროფორგანიზაციებს ნორმალური დემოკრატიზმის საფუძველზე». და ის ხმას აძლევს ამას ცენტრალური კომიტეტის 8 წევრს შორის მისი 7 წევრის წინააღმდეგ, რომლებსაც ამ დაწესებულებათა გაუქმება უკვე არ მიაჩნიათ საკმარისად და რომლებიც, გარდა ამისა, მოითხოვენ ცეკტრანის ახლანდელი შემადგენლობის შეცვლას. ცეკტრანის ახლანდელი შემადგენლობა რომ იხსნას, ტროცკი ხმას აძლევს ცეკტრანში მთავარ პოლიტსამმართველოთა გაუქმების სასარგებლოდ.

რა შეიცვალა ამ ექვსი დღის განმავლობაში? იქნებ, რკინიგზელები და წყალტრანსპორტელები ამ ექვსი დღის განმავლობაში ისე გაიზარდნენ, რომ რკინიგზების მთავარი პოლიტსამმართველო და წყალტრანსპორტის მთავარი პოლიტსამმართველო მათთვის საჭირონი აღარ არიან? ან, იქნებ, ამ მოკლე პერიოდის განმავლობაში მოხდა დიდმნიშვნელოვანი ცვლილება საგარეო თუ საშინაო პოლიტიკურ ვითარებაში? რა თქმა უნდა, არა. საქმე ის არის, რომ წყალტრანსპორტელებმა გადაჭრით მოითხოვეს ცეკტრანისაგან მთავარ პოლიტსამმართველოთა გაუქმება და ცეკტრანის შემადგენლობის შეცვლა, და ტროცკის ჯგუფი, რომელსაც დამარცხებისა ეშინია და სურს ცეკტრანის ძველი შემადგენლობა მაინც შეინარჩუნოს, იძულებული გახდა უკან დაეხია, ნაწილობრივ დათმობაზე დათანხმებულიყო, თუმცა ისეთ დათმობაზე, რამაც ვერავინ ვერ დააკმაყოფილა.

ასეთია ფაქტები.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ამ იძულებითს, ორჭოფულ, უპრინციპო «დემოკრატიზმს» არაფერი აქვს საერთო «კავშირების შიგნით პროლეტარული დემოკრატიის ნორმალურ მეთოდებთან», რომელთა გამოყენება გვირჩია პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჯერ კიდევ ნოემბრის დამდეგს და რომლებიც ასე აუცილებელია ჩვენი საწარმოო პროფკავშირების აღორძინებისათვის.

* * *

თავის საბოლოო სიტყვაში საბჭოების ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სადისკუსიო კრებაზე [4] ტროცკიმ პროტესტი განაცხადა პროფკავშირების შესახებ დავაში პოლიტიკური ელემენტის შეტანის წინააღმდეგ; ის ამტკიცებდა, პოლიტიკა აქ არაფერ შუაშიაო. უნდა ითქვას, რომ ტროცკი აქ სრულიად არ არის მართალი. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში არც ერთი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელსაც საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით თუ იგი უშუალოდ მუშათა კლასს ეხება, არ შეიძლება გატარდეს ისე, რომ იგი ასე თუ ისე არ დაეტყოს ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობას. და საერთოდ სასაცილოა და არასერიოზულია პოლიტიკის განცალკევება ეკონომიკისაგან. მაგრამ სწორედ ამიტომაა საჭირო, რომ ყოველი ასეთი გადაწყვეტილება წინასწარ შეფასდეს **აგრეთვე** პოლიტიკური თვალსაზრისითაც.

თვითონ განსაჯეთ.

ახლა დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ტროცკის ხელმძღვანელობით მომუშავე ცეკტრანის მეთოდებს თვით ცეკტრანის პრაქტიკამ დასდო მსჯავრი. ცეკტრანის მიმართ ხელმძღვანელობითა და ცეკტრანის

საშუალებით სხვა კავშირებზე ზემოქმედების გზით ტროცკის უნდოდა მიეღწია კავშირების გამოცოცხლებისა და აღორძინებისათვის, მრეწველობის აღორძინების საქმეში მუშების ჩაბმისათვის. რასღა მიაღწია მან ნამდვილად? კონფლიქტს კომუნისტების უმრავლესობასთან პროფკავშირების შიგნით, პროფკავშირების უმრავლესობის კონფლიქტს ცეკტრანთან, ცეკტრანის ფაქტიურ გათიშვას, პროფესიულად შეკავშირებული მუშათა «ქვედაფენების» გაბოროტებას «კომისრების» წინააღმდეგ. სხვანაირად რომ ითქვას, არათუ არ გამოვიდა კავშირების აღორძინება, არამედ თვით ცეკტრანმაც კი იწყო დაშლა. უეჭველია, ცეკტრანის მეთოდები სხვა კავშირებშიც რომ ყოფილიყო გადატანილი, იქაც კონფლიქტების, გათიშვისა და დაშლის ასეთივე სურათი გამოვიდოდა. შედეგად გვექნებოდა დაქსაქსულობა და გათიშვა მუშათა კლასში.

შეუძლია თუ არა მუშათა კლასის პოლიტიკურ პარტიას გვერდი აუაროს ასეთ ფაქტებს? შეიძლება თუ არა ვამტკიცოთ, თითქოს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობისათვის სულ ერთი იყოს, გვაქვს ჩვენ საქმე ერთიან პროფკავშირებად დარაზმულ მუშათა კლასთან თუ სხვადასხვა, ერთიმეორისადმი მტრულად განწყობილ ჯგუფებთან? განა შეიძლება ლაპარაკი, რომ მასებისადმი მიდგომის მეთოდების შეფასების საქმეში პოლიტიკური მომენტი არავითარ როლს არ უნდა ასრულებდეს, რომ აქ პოლიტიკა არაფერ შუაშია?

ცხადია, რომ არ შეიძლება.

რსფს რესპუბლიკასა და მის მოკავშირე რესპუბლიკებში ახლა 140 მილიონამდე მცხოვრებია. მათგან 80%-ს გლეხები შეადგენენ. ასეთი ქვეყანა რომ მართო, საჭიროა მოპოვებული გქონდეს მუშათა კლასის მტკიცე ნდობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ვინაიდან მხოლოდ მუშათა

კლასის საშუალებით და მუშათა კლასის ძალებით შეგიძლია ასეთ ქვეყანას უხელმძღვანელო. მაგრამ, მუშების უმრავლესობის ნდობა რომ შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ, საჭიროა სისტემატურად განვავითაროთ მუშათა კლასის შეგნებულობა, თვითმოქმედება, ინიციატივა, საჭიროა სისტემატურად აღვზარდოთ მუშათა კლასი კომუნიზმის სულისკვეთებით, დავრაზმოთ იგი პროფკავშირებად, ჩავაბათ იგი კომუნისტური მეურნეობის მშენებლობის საქმეში.

იძულებისა და კავშირების ზემოდან «შენჯღრევის» მეთოდებით ამ ამოცანის განხორციელება, აშკარაა, არ შეიძლება, ვინაიდან ეს მეთოდები თიშავენ მუშათა კლასს (ცეკტრანი!) და წარმოშობენ უნდობლობას საბჭოთა ხელისუფლებისადმი. გარდა ამისა, ძნელი არ არის იმის გაგება, რომ იძულების მეთოდებით, საზოგადოდ რომ ითქვას, არც მასების შეგნებულობისა და არც საბჭოთა ხელისუფლებისადმი მათი ნდობის განვითარებაა შესაძლებელი.

ცხადია, რომ მხოლოდ «კავშირების შიგნით პროლეტარული დემოკრატიის ნორმალური მეთოდებით», მხოლოდ დარწმუნების მეთოდებით შეგვეძლება განვახორციელოთ მუშათა კლასის დარაზმვის, მისი თვითმოქმედების ამაღლების და საბჭოთა ხელისუფლებისადმი მისი ნდობის განმტკიცების ამოცანა, ნდობისა, რომელიც ესოდენ აუცილებელია ახლა იმისათვის, რომ ქვეყანა ფეხზე დავაყენოთ სამეურნეო ნგრევასთან საბრძოლველად.

როგორც ხედავთ, პოლიტიკაც დარწმუნების მეთოდების სასარგებლოდ მეტყველებს.

1921 წ. 5 იანვარი.

«პრავდა» № 12,
1921 წ. 19 იანვარი.
ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

პარტიის მოსრიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში

თეზისები რკპ(ბ) X ყრილობისათვის, დამტკიცებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ

I

კაპიტალისტური წყობილება და ნაციონალური ჩაგვრა

1. თანამედროვე ერები განსაზღვრული ეპოქის — ალმავალი კაპიტალიზმის ეპოქის პროდუქტს წარმოადგენენ. ფეოდალიზმის ლიკვიდაციისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესი ამავე დროს ადამიანთა ერებად ჩამოყალიბების პროცესია. ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები, იტალიელები ერებად ჩამოყალიბდნენ მაშინ, როდესაც კაპიტალიზმი ფეოდალურ დაქუცმაცებულობაზე იმარჯვებდა და ძლევამოსილად ვითარდებოდა.

2. იქ, სადაც ერების წარმოშობა საერთოდ და მთლიანად დროის მხრივ ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა წარმოშობას დაემთხვა, ერები, ბუნებრივია, სახელმწიფოებრივი გარსით შეიმოსნენ, დამოუკიდებელ ბურჟუაზიულ ნაციონალურ სახელმწიფოებად განვითარდნენ. ასე მოხდა ინგლისში (უირლანდიოდ), საფრანგეთში, იტალიაში. აღმოსავლეთ ევროპაში, პირიქით, ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა წარმოშობა, რაც დაჩქარებული იყო თავდაცვის საჭიროებით (თურქების, მონღოლების შესევა და სხვ.), მოხდა ფეოდალიზმის ლიკვიდაციაზე უფრო ადრე, მაშასადამე,

ერების წარმოშობაზე უფრო ადრე. ამიტომ ერები აქ არ განვითარებულან, მათ არც შეეძლოთ განვითარებულიყვნენ ნაციონალურ სახელმწიფოებად, არამედ შექმნეს რამდენიმე შერეული, მრავალეროვანი ბურჟუაზიული სახელმწიფო, რომლებიც ჩვეულებრივ შედგებოდნენ ერთი ძლიერი, გაბატონებული ერისა და რამდენიმე სუსტი, დამორჩილებული ერისაგან. ასეთებია: ავსტრია, უნგრეთი, რუსეთი.

3. ნაციონალურმა სახელმწიფოებმა, როგორიცაა საფრანგეთი და იტალია, რომლებიც პირველ ხანებში, უმთავრესად, თავიანთ საკუთარ ნაციონალურ ძალებს ეყრდნობოდნენ, საზოგადოდ რომ ვთქვათ, არ იცოდნენ ნაციონალური ჩაგვრა. ამის საპირდაპიროდ მრავალეროვანი სახელმწიფოები, რომლებიც ეწყობიან ერთი ერის, უფრო სწორად — მისი გაბატონებული კლასის, დანარჩენ ერებზე ბატონობის საშუალებით, წარმოადგენენ ნაციონალური ჩაგვრისა და ნაციონალური მოძრაობის თავდაპირველ სამშობლოს და ძირითად სარბიელს. გაბატონებული ერის ინტერესთა და დამორჩილებული ერების ინტერესთა წინააღმდეგობანი წარმოადგენენ იმ წინააღმდეგობებს, რომელთა გადაუჭრელად მრავალეროვანი სახელმწიფოს მტკიცე არსებობა შეუძლებელია. მრავალეროვანი ბურჟუაზიული სახელმწიფოს ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ მას არ ძალუძს ამ წინააღმდეგობათა გადაჭრა, რომ ყოველი მისი ცდა — «გაათანასწოროს» ერები და «დაიცვას» ნაციონალური უმცირესობანი, კერძო საკუთრებისა და კლასობრივი უთანასწორობის შენარჩუნების პირობებში, ჩვეულებრივ თავდება ახალი მარცხით, ნაციონალურ შეტაკებათა ახალი გამწვავებით.

4. კაპიტალიზმის შემდგომმა ზრდამ ევროპაში, გასაღების ახალი ბაზრების საჭიროებამ, ნედლეულისა და

სათბობი მასალის ძებნამ, ბოლოს, იმპერიალიზმის განვითარებამ, კაპიტალის გატანამ და დიდი საზღვაო გზებისა და რკინიგზების უზრუნველყოფის აუცილებლობამ გამოიწვია, ერთი მხრივ, ახალი ტერიტორიების დაპყრობა ძველი ნაციონალური სახელმწიფოების მიერ და ამ უკანასკნელთა გადაქცევა მრავალეროვან (კოლონიურ) სახელმწიფოებად, მათთვის დამახასიათებელი ნაციონალური ჩაგვრითა და ნაციონალური შეტაკებებით (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია), მეორე მხრივ — გააძლიერეს ძველ მრავალეროვან სახელმწიფოთა გაბატონებულ ერებში მისწრაფება — არა მარტო შეენარჩუნებინათ ძველი სახელმწიფო საზღვრები, არამედ კიდეც გაეფართოებინათ ეს საზღვრები, დაემორჩილებინათ ახალი (სუსტი) ეროვნებანი მეზობელ სახელმწიფოთა ხარჯზე. ამით ნაციონალური საკითხი გაფართოვდა და, ბოლოს და ბოლოს, თვით მოვლენათა განვითარებამ იგი შეუერთა კოლონიების საერთო საკითხს, ხოლო ნაციონალური ჩაგვრა შინასახელმწიფოებრივი საკითხიდან გადაიქცა სასახელმწიფოთაშორისო საკითხად, სუსტ, არასრულუფლებიან ეროვნებათა დამორჩილებისათვის «დიდ» იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ბრძოლის (და ომის) საკითხად.

5. იმპერიალისტურმა ომმა, რომელმაც ძირფესვიანად გამოააშკარავა ბურჟუაზიულ მრავალეროვან სახელმწიფოთა შეურიგებელი ნაციონალური წინააღმდეგობანი და შინაგანი უმწეობა, გამოიწვია ნაციონალური კონფლიქტების უკიდურესი გამწვავება გამარჯვებულ კოლონიურ სახელმწიფოთა შიგნით (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია), დამარცხებულ ძველ მრავალეროვან სახელმწიფოთა სრული დაშლა (ავსტრია, უნგრეთი, რუსეთი 1917 წ.) და, ბოლოს, — როგორც ბურჟუაზიის მიერ ნაციონალური საკითხის ყველაზე «რადიკალური» გადაწყვეტა, — ახალი ბურჟუაზიული ნაციონალური სახელმწიფოების შექმნა (პო-

ლონეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, ფინეთი, საქართველო, სომხეთი და სხვ.). მაგრამ ახალი დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოების წარმოშობამ ვერ დაამყარა და მას არც შეეძლო დაემყარებინა ეროვნებათა მშვიდობიანი თანაცხოვრება, ვერ მოსპო და არც შეეძლო მოესპო არც ნაციონალური უთანასწოროობა, არც ნაციონალური ჩაგვრა, ვინაიდან კერძო საკუთრებაზე და კლასობრივ უთანასწოროობაზე დაფუძნებულ ახალ ნაციონალურ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ არსებობა:

ა) თუ თავიანთ ნაციონალურ უმცირესობებს არ დაჩაგრავენ (პოლონეთი, რომელიც ჩაგრავს ბელორუსებს, ებრაელებს, ლიტველებს, უკრაინელებს; საქართველო, რომელიც ჩაგრავს ოსებს, აფხაზებს, სომხებს; იუგოსლავია, რომელიც ჩაგრავს ხორვატებს, ბოსნიელებს და სხვ.);

ბ) თუ მეზობლების ხარჯზე თავიანთ ტერიტორიას არ გააფართოებენ, რაც იწვევს კონფლიქტებსა და ომებს (პოლონეთი ლიტვის, უკრაინის, რუსეთის წინააღმდეგ; იუგოსლავია — ბულგარეთის წინააღმდეგ; საქართველო — სომხეთის, თურქეთის წინააღმდეგ და სხვ.);

გ) თუ არ დაემორჩილებიან «დიდ» იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ფინანსურ, ეკონომიურ და სამხედრო დარგებში.

6. ამრიგად, ომისშემდგომი პერიოდი გვაძლევს ცივილიზებული ქვეყნების ერების მხრივ როგორც ერთმანეთის მიმართ, ისე არასრულუფლებიან ხალხთა მიმართ ნაციონალური მტრობის, უთანასწოროობის, ჩაგვრის, კონფლიქტების, ომების, იმპერიალისტური მხეცობის უნუგეშო სურათს. ერთი მხრივ, რამდენიმე «დიდი» სახელმწიფო, რომელნიც ჩაგრავენ და ყვლეფენ დამოკიდებული და «დამოუკიდებელი» (ფაქტიურად სავსებით დამოკიდებული) ნაციონალური სახელმწიფოების მთელ მასას, და ამ

«დიდი» სახელმწიფოების ბრძოლა ურთიერთშორის ნაციონალურ სახელმწიფოთა ექსპლოატაციის მონოპოლიისათვის. მეორე მხრივ, დამოკიდებულ და «დამოუკიდებელ» ნაციონალურ სახელმწიფოთა ბრძოლა «დიდი» სახელმწიფოებისაგან აუტანელი ჩაგვრის წინააღმდეგ; ნაციონალურ სახელმწიფოთა ბრძოლა ურთიერთშორის თავიანთი ნაციონალური ტერიტორიის გასაფართოებლად; ნაციონალური სახელმწიფოების — თვითეულისა ცალკე — ბრძოლა თავიანთ ჩაგრულ ნაციონალურ უმცირესობათა წინააღმდეგ. ბოლოს, კოლონიების განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება «დიდი» სახელმწიფოების წინააღმდეგ და ნაციონალური კონფლიქტების გამწვავება როგორც ამ სახელმწიფოების შიგნით, ისე ნაციონალური სახელმწიფოების შიგნითაც, რომელთაც თავიანთ შემადგენლობაში, როგორც წესი, ჰყავთ მთელი რიგი ნაციონალური უმცირესობანი.

ასეთია «მსოფლიოს სურათი», რომელიც იმპერიალისტურმა ომმა მემკვიდრეობად დაგვიტოვა.

ბურჟუაზიული საზოგადოება სრულიად კოტრი აღმოჩნდა ნაციონალური საკითხის გადაწყვეტის საქმეში.

II

საბჭოთა წყობილება და ნაციონალური თავისუფლება

1. თუ კერძო საკუთრება და კაპიტალი აუცილებლად აცალკევებენ ადამიანებს, აღვივებენ ნაციონალურ შუღლს და აძლიერებენ ნაციონალურ ჩაგვრას, კოლექტიური საკუთრება და შრომა ასევე აუცილებლად აახლოებენ ადამიანებს, ძირს უთხრიან ნაციონალურ შუღლს და სპობენ ნაციონალურ ჩაგვრას. კაპიტალიზმის არსებობა ნაციონალური ჩაგვრის გარეშე ისევე წარმოუდგენელია, როგორც წარმოუდგენელია სოციალიზმის არსებობა ჩაგრული ერე-

ბის განთავისუფლების გარეშე, ნაციონალური თავისუფლების გარეშე. შოვინიზმი და ნაციონალური ბრძოლა აუცილებელია, გარდუვალია, ვიდრე გლეხობა (და საზოგადოდ წვრილი ბურჟუაზია), რომელიც აღსავსეა ნაციონალისტური ცრურწმენით, მიჰყვება ბურჟუაზიას, და, პირიქით, ნაციონალური მშვიდობიანობა და ნაციონალური თავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს, თუ გლეხობა მიჰყვება პროლეტარიატს, ე. ი. თუ უზრუნველყოფილია პროლეტარიატის დიქტატურა. ამიტომ საბჭოების გამარჯვება და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება ნაციონალური ჩაგვრის მოსპობის, ნაციონალური თანასწორობის დამყარებისა და ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფის ძირითადი პირობაა.

2. საბჭოთა რევოლუციის გამოცდილება სავსებით ადასტურებს ამ დებულებას. საბჭოთა წყობილების დამყარებამ რუსეთში და ერების სახელმწიფოებრივი გამოყოფის უფლების აღიარებამ გადააბრუნეს ურთიერთობა რუსეთის ეროვნებათა მშრომელ მასებს შორის, ძირი გამოუთხარეს ძველ ნაციონალურ მტრობას, ნიადაგი გამოაცალეს ნაციონალურ ჩაგვრას და მოუპოვეს რუს მუშებს მათ სხვატომელ თანამოძმეთა ნდობა არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპაშიც და აზიაშიც, მიიყვანეს ეს ნდობა ენთუზიაზმამდე, საერთო საქმისათვის ბრძოლის მზადყოფნამდე. საბჭოთა რესპუბლიკების შექმნამ აზერბაიჯანსა და სომხეთში იგივე შედეგები მოგვცა, — მან მოსპო ნაციონალური შეტაკებანი და გადაწყვიტა «საუკუნეობრივი» მტრობა თურქ და სომეხ, სომეხ და აზერბაიჯანელ მშრომელ მასებს შორის. იგივე უნდა ითქვას უნგრეთში, ბავარიასა და ლატვიაში საბჭოების დროებითი გამარჯვების გამო. მეორე მხრივ, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ

რუსი მუშები ვერ გაიმარჯვებდნენ კოლჩაკსა და დენიკინზე, ხოლო აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები ვერ შეძლებდნენ ფეხზე დადგომას შინ ნაციონალური მტრობისა და ნაციონალური ჩაგვრის ლიკვიდაციის გარეშე, მათდამი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეროვნებათა მშრომელი მასების ნდობისა და ენთუზიაზმის გარეშე. საბჭოთა რესპუბლიკების განმტკიცება და ნაციონალური ჩაგვრის მოსპობა იმპერიალისტური მონობისაგან მშრომელთა განთავისუფლების ერთი და იგივე პროცესის ორი მხარეა.

3. მაგრამ საბჭოთა რესპუბლიკების არსებობა, თუნდაც სულ უმცირესი საბჭოთა რესპუბლიკებისა, სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენს იმპერიალიზმისათვის. ეს საფრთხე მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ საბჭოთა რესპუბლიკები, რომელთაც იმპერიალიზმთან კავშირი გაწყვიტეს, კოლონიებიდან და ნახევრადკოლონიებიდან ნამდვილად დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გადაიქცნენ და ამით წაართვეს იმპერიალისტებს ტერიტორიის ზედმეტი ნაჭერი და ზედმეტი შემოსავალი, არამედ უწინარეს ყოვლისა იმაში, რომ თვით საბჭოთა რესპუბლიკების არსებობა, ამ რესპუბლიკების თვითეული ნაბიჯი ბურჟუაზიის დათრგუნვისა და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების გზაზე წარმოადგენს უდიდეს აგიტაციას კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, აგიტაციას იმპერიალისტური მონობისაგან დამოკიდებული ქვეყნების განთავისუფლებისათვის, წარმოადგენს ყველა სახის კაპიტალიზმის დაშლისა და დეზორგანიზაციის დაუძლეველ ფაქტორს. აქედან გამომდინარეობს აუცილებლობა «დიდი» იმპერიალისტური სახელმწიფოების ბრძოლისა საბჭოთა რესპუბლიკებთან, «დიდი» სახელმწიფოების მისწრაფება — მოსპონ ეს რესპუბლიკები. ისტორია საბჭოთა რუსეთთან «დიდი» სახელმწიფოების ბრძოლისა, რომლებიც მის წინააღმდეგ ამხედრებენ ერთ განაპირა ბურჟუაზიულ მთავრობას მეორის

მიყოლებით, კონტრრევოლუციური გენერლების ერთ ჯგუფს მეორის მიყოლებით, და რომლებიც საგულდაგულოდ უწყობენ მას ბლოკადას და საზოგადოდ ცდილობენ მის იზოლაციას ეკონომიურად, — მჭევრმეტყველურად მოწმობს იმას, რომ დღევანდელი საერთაშორისო ურთიერთობის პირობებში, კაპიტალისტური გარემოცვის ვითარებაში, არც ერთ საბჭოთა რესპუბლიკას, ცალკე აღებულს, არ შეუძლია ჩათვალოს თავისი თავი უზრუნველყოფილად ეკონომიური დაუძლურებისა და მსოფლიო იმპერიალიზმის მხრივ სამხედრო განადგურებისაგან.

4. ამიტომ ცალკეული საბჭოთა რესპუბლიკების იზოლირებული არსებობა მერყევია, სიმტკიცეს მოკლებულია, რადგან მათს არსებობას კაპიტალისტური სახელმწიფოები ემუქრებიან. საბჭოთა რესპუბლიკების თავდაცვის საერთო ინტერესები, ერთი მხრივ, ომით დანგრეული საწარმოო ძალების აღდგენა, მეორე მხრივ, და საჭირო სასურსათო დახმარების გაწევა უპურო საბჭოთა რესპუბლიკებისათვის პურიანი რესპუბლიკების მიერ, მესამე მხრივ, — დაჟინებით გვიკარნახებენ ცალკეული საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ კავშირს, როგორც იმპერიალისტური მონობისა და ნაციონალური ჩაგვრისაგან ხსნის ერთადერთ გზას. «თავისი» და «უცხო» ბურჟუაზიისაგან განთავისუფლებულ ნაციონალურ საბჭოთა რესპუბლიკებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ თავიანთი არსებობის დაცვა და იმპერიალიზმის შეერთებულ ძალებზე გამარჯვება, თუ ისინი მჭიდრო სახელმწიფოებრივ კავშირად გაერთიანდებიან, ანდა ისინი სრულებით ვერ გაიმარჯვებენ.

5. საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია, დამყარებული სამხედრო და სამეურნეო საქმის ერთობაზე, წარმოადგენს სახელმწიფოებრივი კავშირის იმ საერთო ფორმას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა:

ა) უზრუნველყოფილ იქნას როგორც ცალკეული რესპუბლიკების, ისე მთლიანად ფედერაციის მთლიანობა და სამეურნეო განვითარება;

ბ) გათვალისწინებულ იქნას განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი სხვადასხვა ერებისა და ხალხების ყოფა-ცხოვრების, კულტურისა და ეკონომიური მდგომარეობის მთელი მრავალფეროვნება და ამის შესაბამისად გამოყენებულ იქნას ფედერაციის ესა თუ ის სახე;

გ) მოწესრიგებულ იქნას იმ ერთა და ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრება და ძმური თანამშრომლობა, რომლებმაც თავიანთი ბედი ასე თუ ისე დაუკავშირეს ფედერაციის ბედს.

რუსეთის გამოცდილებამ სხვადასხვა სახის ფედერაციის გამოყენების საქმეში — საბჭოთა ავტონომიაზე დაფუძნებული ფედერაციიდან (ყირგიზეთი, ბაშკირეთი, თათრეთი, მთიელები, დაღისტანი) დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკებთან (უკრაინა, აზერბაიჯანი) სახელშეკრულებო ურთიერთობაზე დაფუძნებულ ფედერაციაზე გადასვლა და მათ შორის საშუალედო საფეხურების დაშვება (თურქესტანი, ბელორუსია), — სავსებით დაადასტურა მთელი მიზანშეწონილობა და მოქნილობა ფედერაციისა, როგორც საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი კავშირის საერთო ფორმისა.

6. მაგრამ ფედერაცია შეიძლება იყოს მტკიცე, ხოლო ფედერაციის შედეგები — ნამდვილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ემყარება მის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების ურთიერთნდობასა და ნებაყოფლობით თანხმობას. თუ რუსეთის სფს რესპუბლიკა ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც მთელი რიგი ერებისა და ხალხების მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და ძმური თანამშრომლობის ცდამ გაიმარჯვა, — ეს იმიტომ, რომ აქ არ არიან

არც გაბატონებულნი, არც დამორჩილებულნი, არც მეტროპოლია, არც კოლონიები, არც იმპერიალიზმი, არც ნაციონალური ჩაგვრა, — აქ ფედერაცია დაფუძნებულია სხვადასხვა ერების მშრომელი მასების ურთიერთნდობაზე და მათს ნებაყოფლობით მისწრაფებაზე შეკავშირებისადმი. ფედერაციის ეს ნებაყოფლობითი ხასიათი აუცილებლად დაცულ უნდა იქნას მომავალშიც, ვინაიდან მხოლოდ ასეთ ფედერაციას შეუძლია გახდეს გარდამავალი ფორმა ყველა ქვეყნის მშრომელთა იმ უმაღლესი ერთიანობისაკენ მთლიან მსოფლიო მეურნეობაში, რომლის აუცილებლობა სულ უფრო და უფრო საგრძნობი ხდება.

III

რაკა მთავარი ამოცანები

1. რსფს რესპუბლიკა და მასთან დაკავშირებული საბჭოთა რესპუბლიკები დაახლოებით 140-მილიონიან მოსახლეობას შეადგენენ. მათგან არაველიკოროსი დაახლოებით 65 მილიონია (უკრაინელები, ბელორუსები, ყირგიზები, უზბეკები, თურქმენები, ტაჯიკები, აზერბაიჯანელები, ვოლგის მხარის თათრები, ყირიმის თათრები, ბუხარელები, ხიველები, ბაშკირები, სომხები, ჩაჩნები, ყაბარდოელები, ოსები, ჩერქეზები, ინგუშები, ყარაჩაელები, ბალყარელები *, ყალმუხები, კარელები, ავარელები, დარგოელები, ყაზიყუმუხები, ქიურელები, ყუმიხები **, მარელები, ჩუვაშები, ვოტიაკები, ვოლგის მხარის გერმანელები, ბურიატები, იაკუტები და სხვ.).

---

* უკანასკნელი შვიდი ეროვნება გაერთიანებულია ჯგუფში — «მთიელები».

** უკანასკნელი ხუთი ეროვნება გაერთიანებულია ჯგუფში — «დაღისტნელები».

ცარიზმის პოლიტიკა, მემამულეებისა და ბურჟუაზიის პოლიტიკა ამ ხალხების მიმართ იმაში მდგომარეობდა, რომ ჩაეხშოთ მათში ყოველგვარი სახელმწიფოებრიობის ჩანასახი, დაესახიჩრებინათ მათი კულტურა, შეევიწროებინათ მათი ენა, უმეცრებაში ჰყოლოდათ ისინი და, ბოლოს, შეძლებისდაგვარად მოეხდინათ მათი რუსიფიკაცია. ასეთი პოლიტიკის შედეგი იყო ამ ხალხთა განუვითარებლობა და პოლიტიკური ჩამორჩენილობა.

ახლა, როდესაც მემამულეები და ბურჟუაზია დამხობილი არიან, ხოლო საბჭოთა ხელისუფლება ამ ქვეყნებშიც გამოცხადებულია ხალხის მასების მიერ, პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაროს არაველიკოროს ხალხთა მშრომელ მასებს — დაეწიონ წინწასულ ცენტრალურ რუსეთს, დაეხმაროს მათ:

ა) განავითარონ და განამტკიცონ თავის ქვეყანაში საბჭოთა სახელმწიფოებრიობა იმ ფორმებით, რომლებიც ამ ხალხების ნაციონალურ სახეს შეესაბამებიან;

ბ) შექმნან თავიანთ ქვეყნებში დედაენაზე მოქმედი სასამართლო, ადმინისტრაცია, მეურნეობის ორგანოები, ხელისუფლების ორგანოები, შედგენილნი ადგილობრივი ადამიანებისაგან, რომელთაც იციან ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება და ფსიქოლოგია;

გ) განავითარონ თავიანთ ქვეყნებში პრესა, სკოლა, თეატრი, საკლუბო საქმე და საზოგადოდ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი დედაენაზე.

2. თუ 65 მილიონ არაველიკოროს მოსახლეობას გამოვაკლებთ უკრაინას, ბელორუსიას, აზერბაიჯანის მცირე ნაწილს და სომხეთს, რომელთაც ასე თუ ისე გაუვლიათ სამრეწველო კაპიტალიზმის პერიოდი, დარჩება 25 მილიონამდე მოსახლეობა, უმთავრესად თურქი მოსახლეობა (თურქესტანი, აზერბაიჯანის დიდი ნაწილი, დაღისტანი,

მთიელები, თათრები, ბაშკირები, ყირგიზები და სხვ.), რომელსაც ვერ მოუსწრია კაპიტალისტური განვითარების გავლა, არა ჰყავს ან თითქმის არა ჰყავს თავისი სამრეწველო პროლეტარიატი, მეტწილად შეუნარჩუნებია მეჯოგური მეურნეობა და პატრიარქალურ-საგვარეულო ყოფა-ცხოვრება (ყირგიზეთი, ბაშკირეთი, ჩრდილოეთი კავკასია) ან ნახევრადპატრიარქალურ-ნახევრადფეოდალური ყოფა-ცხოვრების პირველყოფილ ფორმებს არ გასცილებია (აზერბაიჯანი, ყირიმი და სხვ.), მაგრამ რომელიც უკვე მოქცეულია საბჭოთა განვითარების საერთო კალაპოტში.

პარტიის ამოცანა ამ ხალხთა მშრომელი მასების მიმართ (გარდა 1-ლ მუხლში აღნიშნული ამოცანისა) იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაროს მათ — მოსპონ პატრიარქალურ-ფეოდალური ურთიერთობის გადმონაშთები და ეზიარონ საბჭოთა მეურნეობის მშენებლობას მშრომელ გლეხთა საბჭოების საფუძველზე, რისთვისაც ამ ხალხთა შორის უნდა შეიქმნას მტკიცე კომუნისტური ორგანიზაციები, რომელთაც ექნებათ უნარი — გამოიყენონ რუსი მუშებისა და გლეხების გამოცდილება საბჭოთა-სამეურნეო მშენებლობის სფეროში და რომელნიც ამასთან ერთად შეძლებენ გაითვალისწინონ თავიანთ სამშენებლო მუშაობაში თვითეული მოცემული ეროვნების კონკრეტული ეკონომიური ვითარების, კლასობრივი წყობის, კულტურისა და ყოფა-ცხოვრების ყველა თავისებურება; ამასთან არ უნდა მოხდეს მექანიკური გადანერგვა ცენტრალური რუსეთის ეკონომიური ღონისძიებებისა, რომლებიც გამოსადეგი არიან სამეურნეო განვითარების მხოლოდ სხვა, უფრო მაღალი, საფეხურისათვის.

3. თუ 25 მილიონს, უმთავრესად თურქ მოსახლეობას, გამოვაკლებთ აზერბაიჯანს, თურქესტანის მეტ ნაწილს, თათრებს (ვოლგის მხარისა და ყირიმისას), ბუხარას, ხივას,

დაღისტანს, მთიელების ნაწილს (ყაბარდოელებს, ჩერქეზებს, ბალყარელებს) და ზოგიერთ სხვა ეროვნებას, რომელნიც უკვე ბინადარნი გახდნენ და მტკიცედ შემოიფარგლეს განსაზღვრული ტერიტორია, დარჩება 6 მილიონამდე ყირგიზი, ბაშკირი, ჩაჩანი, ოსი და ინგუში, რომელთა მიწები უკანასკნელ დრომდე წარმოადგენდა იმ რუს მოახალშენეთა საკოლონიზაციო ობიექტს, რომლებმაც უკვე მოასწრეს და ხელთ იგდეს მათი საუკეთესო სახნავი ნაკვეთები და სისტემატურად მიერეკებიან მათ უნაყოფო უდაბნოებისაკენ.

ცარიზმის პოლიტიკა, მემამულეებისა და ბურჟუაზიის პოლიტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ დაემკვიდრებინათ ამ რაიონებში რაც შეიძლება მეტი კულაკური ელემენტები რუს გლეხთა და კაზაკთაგან და გადაექციათ ეს უკანასკნელნი დიდმპყრობელურ მისწრაფებათა საიმედო დასაყრდენად. ამ პოლიტიკის შედეგი იყო უდაბურ მიწებზე განდევნილ ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებთა (ყირგიზები, ბაშკირები) თანდათანი ამოწყდომა.

პარტიის ამოცანა ამ ხალხთა მშრომელი მასების მიმართ (გარდა 1-ლ და მე-2 მუხლებში აღნიშნული ამოცანებისა) იმაში მდგომარეობს, რომ გააერთიანოს მათი და ადგილობრივი რუსი მოსახლეობის მშრომელი მასების ძალ-ღონე საზოგადოდ კულაკობისაგან, განსაკუთრებით კი მტაცებელი ველიკოროსი კულაკობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, დაეხმაროს მათ მთელი ძალებითა და მთელი საშუალებებით, რათა თავიდან მოიშორონ კულაკი-კოლონიზატორები, და, ამრიგად, უზრუნველყოს მათთვის ვარგისი, ადამიანური არსებობისათვის აუცილებელი მიწების გადაცემა.

4. გარდა ზემოაღნიშნული ერებისა და ხალხებისა, რომელთაც განსაზღვრული კლასობრივი წყობა აქვთ და გან-

საზღვრული ტერიტორია უჭირავთ, რსფს რესპუბლიკის ფარგლებში არსებობენ კიდევ ცალკეული დენადი ნაციონალური ჯგუფები, ნაციონალური უმცირესობანი, რომელნიც შერეული არიან სხვა ეროვნებათა კომპაქტურ უმრავლესობაში და რომელთაც მეტწილად არა აქვთ არც განსაზღვრული კლასობრივი წყობა და არც განსაზღვრული ტერიტორია (ლატვიელები, ესტონელები, პოლონელები, ებრაელები და სხვა ნაცუმცირესობანი). ცარიზმის პოლიტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ არარად ექცია ეს უმცირესობანი ყველა საშუალებით, თვით რბევის მოწყობითაც კი (ებრაელთა რბევა).

ახლა, როდესაც ნაციონალური პრივილეგიები მოსპობილია, ერების თანასწორუფლებიანობა განხორციელებულია, ხოლო ნაციონალურ უმცირესობათა თავისუფალი ნაციონალური განვითარების უფლება უზრუნველყოფილია თვით საბჭოთა წყობილების ხასიათით, — პარტიის ამოცანა ამ ნაციონალური ჯგუფების მშრომელი მასების მიმართ იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაროს მათ — სავსებით გამოიყენონ მათთვის უზრუნველყოფილი ეს უფლება თავისუფალი განვითარებისა.

5. კომუნისტური ორგანიზაციების განვითარება განაპირა მხარეებში მიმდინარეობს რამდენადმე თავისებურ პირობებში, რომლებიც აფერხებენ პარტიის ნორმალურ ზრდას ამ რაიონებში. ერთი მხრივ, განაპირა მხარეებში მომუშავე ველიკოროსი კომუნისტები, რომლებიც გაზრდილი არიან «მპყრობელი» ერის არსებობის პირობებში და რომელთაც ნაციონალური ჩაგვრა არ განუცდიათ, ხშირად ამცირებენ ნაციონალურ თავისებურებათა მნიშვნელობას პარტიულ მუშაობაში, ან სრულიად არ უწევენ მათ ანგარიშს, არ ითვალისწინებენ თავიანთ მუშაობაში ამა თუ იმ ეროვნების კლასობრივი წყობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ისტორიული წარსულის თავისებურებებს და,

ამრიგად, აუბრალოებენ და ამახინჯებენ პარტიის პოლიტიკას ნაციონალურ საკითხში. ეს გარემოება ჰბადებს გადახრას კომუნიზმიდან დიდმპყრობელურობის, კოლონიზატორობის, ველიკოროსული შოვინიზმის მიმართულებით. მეორე მხრივ, ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობიდან გამოსული კომუნისტები, რომელთაც ნაციონალური ჩაგვრის მძიმე პერიოდი განუცდიათ და ამ უკანასკნელის აჩრდილისაგან ჯერ კიდევ სავსებით ვერ განთავისუფლებულან, ხშირად აზვიადებენ ნაციონალურ თავისებურებათა მნიშვნელობას პარტიულ მუშაობაში, ჩრდილში ტოვებენ მშრომელთა კლასობრივ ინტერესებს, ან ამა თუ იმ ერის მშრომელთა ინტერესებს პირდაპირ ურევენ ამავე ერის «საერთო-ნაციონალურ» ინტერესებში, რადგან არ იციან პირველთა გამოყოფა უკანასკნელთაგან და მათ საფუძველზე პარტიული მუშაობის აგება. ეს გარემოება, თავის მხრივ, იწვევს კომუნიზმიდან გადახრას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ნაციონალიზმისაკენ, რომელიც ზოგჯერ პანისლამიზმის, პანთურქიზმის (აღმოსავლეთში) ფორმას იღებს.

ყრილობა გადაჭრით გმობს ორივე ამ გადახრას, როგორც კომუნიზმის საქმისათვის მავნესა და საშიშს, და საჭიროდ ცნობს აღნიშნოს, რომ განსაკუთრებით საშიში და განსაკუთრებით მავნეა პირველი გადახრა, გადახრა დიდმპყრობელურობისა და კოლონიზატორობისაკენ. ყრილობა მოაგონებს ყველას, რომ პარტიულ რიგებში კოლონიზატორული და ნაციონალისტური გადმონაშთების გადაულახავად შეუძლებელია განაპირა მხარეებში შეიქმნას მტკიცე და მასებთან დაკავშირებული ნამდვილი კომუნისტური ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთ რიგებში დარაზმავენ ადგილობრივი და რუსი მოსახლეობის პროლეტარულ ელემენტებს ინტერნაციონალიზმის საფუძველზე. ამიტომ ყრილობა ცნობს, რომ ნაციონალისტურ და, უპირველეს

ყოვლისა, კოლონიზატორულ მერყეობათა ლიკვიდაცია კომუნიზმში — წარმოადგენს პარტიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას განაპირა მხარეებში.

6. სამხედრო ფრონტებზე მოპოვებულ წარმატებებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი ვრანგელის ლიკვიდაციის შემდეგ, ზოგიერთ ჩამორჩენილ განაპირა მხარეში, რომელთაც სამრეწველო პროლეტარიატი არა ჰყავთ ან თითქმის არა ჰყავთ, გაძლიერდა მეშჩანურ-ნაციონალისტური ელემენტების ლტოლვა პარტიის რიგებისაკენ კარიერის გულისათვის. ეს ელემენტები ითვალისწინებენ პარტიის, როგორც ფაქტიურად მმართველი ძალის, მდგომარეობას, ჩვეულებრივ კომუნიზმის ფერად იღებებიან და ხშირად მთელი ჯგუფობით მიეშურებიან პარტიაში, სადაც მათ ცუდად დაფარული შოვინიზმისა და დაშლის სულისკვეთება შეაქვთ; ამასთან, განაპირა მხარეების პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც საზოგადოდ სუსტნი არიან, ყოველთვის როდი უძლებენ იმ ცდუნებას, რომ პარტია ახალი წევრებით «გააფართოონ».

ყრილობა მოუწოდებს გადამწყვეტი ბრძოლისაკენ ყოველგვარ ცრუკომუნისტურ ელემენტებთან, რომლებიც პროლეტარიატის პარტიას ეტმასნებიან, და აფრთხილებს პარტიას ინტელიგენტური მეშჩანურ-ნაციონალისტური ელემენტების ხარჯზე «გაფართოებისაგან». ყრილობა ცნობს, რომ პარტიის შევსება განაპირა მხარეებში უნდა ხდებოდეს უმთავრესად ამ ქვეყნების პროლეტარების, ღარიბებისა და მშრომელი გლეხების ხარჯზე და ამავე დროს უნდა წარმოებდეს მუშაობა განაპირა მხარეებში პარტიული ორგანიზაციების განსამტკიცებლად მათი ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების გზით.

«პრავდა» № 29,
1921 წ. 10 თებერვალი.

რკპ(ბ) X ყრილობა[7]

1921 წ. 8 — 16 მარტი

რუსეთის კომუნისტური
პარტიის მეათე ყრილობა.
სტენოგრაფიული ანგარიში.
მ., 1921.

1. მოხსენება პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში

10 მარტი

ვიდრე უშუალოდ გადავიდოდეთ პარტიის კონკრეტულ მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში, საჭიროა დავადგინოთ ზოგიერთი წანამძღვარი, ურომლისოდაც შეუძლებელია ნაციონალური საკითხის გადაჭრა. ეს წანამძღვრები ეხება ერების გაჩენის, ნაციონალური ჩაგვრის წარმოშობის, ისტორიული განვითარების მსვლელობაში ნაციონალური ჩაგვრის ფორმების საკითხს და შემდეგ განვითარების სხვადასხვა პერიოდში ნაციონალური საკითხის გადაჭრის ფორმებს.

ასეთი პერიოდი სამია.

პირველი პერიოდი — ესაა დასავლეთში ფეოდალიზმის ლიკვიდაციისა და კაპიტალიზმის გამარჯვების პერიოდი. ადამიანების ერებად ჩამოყალიბება ამ პერიოდს მიეკუთვნება. მე მხედველობაში მაქვს ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ინგლისი (უირლანდიოდ), საფრანგეთი, იტალია. დასავლეთში — ინგლისში, საფრანგეთში, იტალიასა და რამდენადმე გერმანიაში — ფეოდალიზმის ლიკვიდაციისა და ადამიანების ერებად ჩამოყალიბების პერიოდი დროის მხრივ საერთოდ და მთლიანად დაემთხვა ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა გაჩენის პერიოდს, რის გამო იქ ერები თავიანთი

განვითარების დროს სახელმწიფოებრივი ფორმებით იმოსებოდნენ. და რამდენადაც ამ სახელმწიფოთა შიგნით არ ყოფილან სხვა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ნაციონალური ჯგუფები, იმდენად იქ არც ნაციონალური ჩაგვრა არსებობდა.

აღმოსავლეთ ევროპაში, პირიქით, ერების წარმოშობისა და ფეოდალური დაქსაქსულობის ლიკვიდაციის პროცესი დროის მხრივ არ დამთხვევია ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა წარმოშობის პროცესს. მე მხედველობაში მაქვს უნგრეთი, ავსტრია, რუსეთი. ამ ქვეყნებში კაპიტალისტური განვითარება ჯერ კიდევ არ იყო, იგი, იქნებ, მხოლოდ ისახებოდა, მაშინ როდესაც თურქთა, მონღოლთა და აღმოსავლეთის სხვა ხალხთა შემოსევისაგან თავდაცვის ინტერესები მოითხოვდნენ, რომ დაუყოვნებლივ შექმნილიყვნენ ცენტრალიზებული სახელმწიფოები, რომლებიც შეძლებდნენ შემოსევას გამკლავებოდნენ. და რადგანაც აღმოსავლეთ ევროპაში ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა გაჩენის პროცესი ადამიანების ერებად ჩამოყალიბების პროცესზე უფრო ჩქარა წარმოებდა, ამიტომ იქ წარმოიშვნენ შერეული სახელმწიფოები, რომლებიც რამდენიმე, ჯერ კიდევ ერებად ჩამოუყალიბებელი, მაგრამ უკვე საერთო სახელმწიფოდ გაერთიანებული ხალხისაგან შედგებოდნენ.

ამრიგად, პირველი პერიოდი ხასიათდება ეროვნებათა გაჩენით კაპიტალიზმის გარიჟრაჟზე, ამასთან დასავლეთ ევროპაში იქმნებიან წმინდა ნაციონალური სახელმწიფოები ნაციონალური ჩაგვრის გარეშე, ხოლო აღმოსავლეთში იქმნებიან მრავალეროვანი სახელმწიფოები ერთი, უფრო განვითარებული, ერის მეთაურობით და დანარჩენი, ნაკლებ განვითარებული, ერებით, რომლებიც პოლიტიკურად, ხოლო შემდეგ ეკონომიურადაც დამორჩილებული არიან

გაბატონებული ერისადმი. აღმოსავლეთის ეს მრავალეროვანი სახელმწიფოები წარმოადგენენ იმ ნაციონალური ჩაგვრის სამშობლოს, რომელმაც წარმოშვა ნაციონალური კონფლიქტები, ნაციონალური მოძრაობანი, ნაციონალური საკითხი და ამ საკითხის გადაჭრის სხვადასხვა საშუალებანი.

მეორე პერიოდი ნაციონალური ჩაგვრისა და მასთან ბრძოლის საშუალებების განვითარებაში მიეკუთვნება დასავლეთში იმპერიალიზმის გაჩენის პერიოდს, როცა კაპიტალიზმი ეძებს გასაღების ბაზრებს, ნედლეულს, სათბობსა და იაფ მუშახელს, იბრძვის კაპიტალის გაზიდვისა და დიდი სარკინიგზო და საზღვაო გზების უზრუნველყოფისათვის და ამასთან დაკავშირებით გამოდის ნაციონალური სახელმწიფოს ჩარჩოებიდან და აფართოებს თავის ტერიტორიას ახლობელი და შორეული მეზობლების ხარჯზე. ამ მეორე პერიოდში დასავლეთის ძველი ნაციონალური სახელმწიფოები — ინგლისი, იტალია, საფრანგეთი — აღარ არიან ნაციონალური სახელმწიფოები, ე. ი. ისინი, ახალი ტერიტორიების დაპყრობის შედეგად, იქცევიან მრავალეროვან, კოლონიურ სახელმწიფოებად, რის გამოც წარმოადგენენ იმ ნაციონალური და კოლონიური ჩაგვრის სარბიელს, როგორიც უფრო ადრე არსებობდა აღმოსავლეთ ევროპაში. აღმოსავლეთ ევროპაში ეს პერიოდი ხასიათდება დამორჩილებული ერების (ჩეხები, პოლონელები, უკრაინელები) გამოღვიძებით და გაძლიერებით, რამაც იმპერიალისტური ომის შედეგად გამოიწვია ძველი ბურჟუაზიული მრავალეროვანი სახელმწიფოების დაშლა და ახალი ნაციონალური სახელმწიფოების წარმოშობა, რომლებიც ეგრეთწოდებულ დიდ სახელმწიფოთა მონობაში იმყოფებიან.

მესამე პერიოდი — ესაა საბჭოთა პერიოდი, კაპიტალიზმის მოსპობისა და ნაციონალური ჩაგვრის ლიკვიდაციის

პერიოდი, როცა გაბატონებული და დამორჩილებული ერების, კოლონიებისა და მეტროპოლიის საკითხი ისტორიულ არქივს ჰბარდება, როცა ჩვენ თვალწინ რსფს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გვევლინებიან ერები, რომელთაც აქვთ თანასწორი უფლებანი განვითარებისა, მაგრამ რომლებსაც შეუნარჩუნებიათ ერთგვარი ისტორიულად ნამემკვიდრევი უთანასწორობა თავიანთი მეურნეობრივი, პოლიტიკური და კულტურული ჩამორჩენილობის გამო. ამ ნაციონალური უთანასწორობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ, ისტორიული განვითარების ძალით, წარსულისაგან მივიღეთ მემკვიდრეობა, რომლითაც ერთი, სახელდობრ ველიკოროსი, ერი სხვა ერებზე უფრო განვითარებული აღმოჩნდა პოლიტიკური და სამრეწველო მხრივ. აქედან წარმოდგება ფაქტიური უთანასწორობა, რომლის აღმოფხვრა ერთ წელიწადს არ შეიძლება, მაგრამ რომელიც უნდა აღმოიფხვრას ჩამორჩენილი ერებისა და ხალხებისათვის სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული დახმარების აღმოჩენის გზით.

აი ნაციონალური საკითხის განვითარების ის სამი პერიოდი, რომლებმაც ისტორიულად გაიარეს ჩვენს წინაშე.

პირველ ორ პერიოდს ერთი საერთო თვისება აქვს. იგი იმაში მდგომარეობს, რომ ორივე პერიოდში ერები ჩაგვრასა და დამონებას განიცდიან, რის გამო ნაციონალური ბრძოლა ძალაში რჩება, ხოლო ნაციონალური საკითხი ისევ გადაუწყვეტელია. მაგრამ მათ შორის არის განსხვავებაც. ეს განსხვავება ისაა, რომ პირველ პერიოდში ნაციონალური საკითხი არ სცილდება ცალკეულ მრავალეროვან სახელმწიფოთა ფარგლებს და ეხება მხოლოდ ზოგიერთ, უმთავრესად ევროპულ ერებს, მაშინ როდესაც მეორე პერიოდში ნაციონალური საკითხი შინასახელმწიფოებრივი საკითხიდან იქცევა სასახელმწიფოთაშორისო საკითხად —

იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის იმისათვის ომის საკითხად, რომ თავიანთ მორჩილებაში დაიტოვონ არასრულუფლებიანი ეროვნებანი, რომ თავიანთ გავლენას დაუმორჩილონ ევროპის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ახალი ხალხები და ტომები.

ამრიგად, ნაციონალური საკითხი, რომელსაც წინათ მხოლოდ კულტურულ ქვეყნებში ჰქონდა მნიშვნელობა, ამ პერიოდში კარგავს თავის იზოლირებულ ხასიათს და უერთდება კოლონიების საერთო საკითხს.

ნაციონალური საკითხის განვითარება საერთო-კოლონიურ საკითხად ისტორიულ შემთხვევითობას როდი წარმოადგენს. ეს განვითარება აიხსნება, ჯერ ერთი, იმით, რომ იმპერიალისტური ომის დროს თვით მეომარ სახელმწიფოთა იმპერიალისტური ჯგუფები იძულებული იყვნენ მიემართათ კოლონიებისათვის, საიდანაც ისინი იღებდნენ ადამიანთა მასალას ჯარების შესაქმნელად. უეჭველია, რომ ამ პროცესს, კოლონიების ჩამორჩენილი ხალხებისადმი იმპერიალისტთა აუცილებელი მიმართვის პროცესს, არ შეეძლო განსათავისუფლებლად და საბრძოლველად არ გამოეღვიძებინა ეს ტომები და ხალხები. შემდეგ, მეორე ფაქტორი, რომელმაც გამოიწვია ის, რომ ნაციონალური საკითხი გაფართოვდა, განვითარდა საერთო-კოლონიურ საკითხად, რომელიც მოედო მთელ დედამიწას, ჯერ განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაპერწკლებად, მერე კი ალად, — ეს იყო იმპერიალისტური ჯგუფების ცდა — გაეყოთ თურქეთი და მოესპოთ მისი სახელმწიფოებრივი არსებობა. თურქეთს, რომელიც სახელმწიფოებრივად ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყანას წარმოადგენს მუსლიმან ხალხთა შორის, არ შეეძლო ასეთ პერსპექტივას შეურიგებოდა; მან აღმართა ბრძოლის დროშა და თავის გარშემო დარაზმა აღმოსავლეთის ხალხები იმპერიალიზმის

წინააღმდეგ. მესამე ფაქტორია საბჭოთა რუსეთის წარმოშობა, რომლის ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ მთელი რიგი წარმატებანი მოჰყვა, რამაც, ბუნებრივია, აღაფრთოვანა აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხები, გამოაღვიძა, გამოიყვანა ისინი საბრძოლველად და ამით შესაძლებელი გახადა შექმნილიყო ჩაგრული ერების საერთო ფრონტი ირლანდიიდან დაწყებული ვიდრე ინდოეთამდე.

აი ყველა ის ფაქტორი, რომლებმაც ნაციონალური ჩაგვრის განვითარების მეორე სტადიაში გამოიწვიეს ის, რომ ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ ვერათუ ვერ გადაჭრა ნაციონალური საკითხი, ვერათუ ვერ დაამყარა მშვიდობიანობა ხალხთა შორის, არამედ, პირიქით, გააღვივა ნაციონალური ბრძოლის ნაპერწკალი მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩაგრული ხალხების, კოლონიებისა და ნახევრადკოლონიების ბრძოლის ალად.

ცხადია, ერთადერთ რეჟიმს, რომელსაც შეუძლია გადაჭრას ნაციონალური საკითხი, ე. ი. რეჟიმს, რომელსაც შეუძლია შექმნას სხვადასხვა ერთა და ტომთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და ძმური თანამშრომლობის უზრუნველმყოფელი პირობები, წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების რეჟიმი, პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმი.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ კაპიტალის ბატონობის, წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებისა და კლასების არსებობის დროს არ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას ერების თანასწორუფლებიანობა, რომ სანამ კაპიტალის ძალაუფლება არსებობს, სანამ მიმდინარეობს ბრძოლა წარმოების საშუალებათა დაუფლებისათვის, ერების არავითარი თანასწორუფლებიანობა არ შეიძლება იყოს, როგორც არ შეიძლება იყოს თანამშრომლობა ერების მშრომელ მასებს შორის. ისტორია გვეუბნება, რომ ნაციონალური უთანასწორობის მოსპობის ერთად-

ერთი საშუალება, ჩაგრულ და არაჩაგრულ ხალხთა მშრომელი მასების ძმური თანამშრომლობის რეჟიმის დამყარების ერთადერთი საშუალება არის კაპიტალიზმის ლიკვიდაცია და საბჭოთა წყობილების დამყარება.

შემდეგ, ისტორიამ გვიჩვენა, რომ, რამდენადაც ცალკეული ხალხები ახერხებენ თავი გაითავისუფლონ თავიანთი ნაციონალური ბურჟუაზიისაგან, ისევე როგორც «უცხო» ბურჟუაზიისაგან, ე. ი. რამდენადაც მათ თავიანთ ქვეყანაში დაამყარეს საბჭოთა წყობილება, — იმპერიალიზმის პირობებში მათ არ შეუძლიათ ცალკე იარსებონ და წარმატებით დაიცვან თავიანთი ცალკეული არსებობა ისე, თუ არ იქნება სამეურნეო და სამხედრო დახმარება მეზობელი საბჭოთა რესპუბლიკების მხრივ. უნგრეთის მაგალითი მჭევრმეტყველურად გვიჩვენებს, რომ საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი კავშირის გარეშე, მათი ერთიან სამხედრო-სამეურნეო ძალად შეკავშირების გარეშე არ შეიძლება გამკლავება მსოფლიო იმპერიალიზმის შეერთებული ძალების წინააღმდეგ არც სამხედრო და არც სამეურნეო ფრონტებზე.

საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია წარმოადგენს სახელმწიფოებრივი კავშირის იმ საძიებელ ფორმას, რომლის ცოცხალ განსახიერებას წარმოადგენს რსფს რესპუბლიკა.

აი, ამხანაგებო, ის წანამძღვარნი, რომლებზედაც თავდაპირველად მინდოდა მელაპარაკნა აქ იმისათვის, რომ შემდეგ დამესაბუთებინა განსაზღვრული ნაბიჯების საჭიროება ჩვენი პარტიის მხრივ ნაციონალური საკითხის გადასაწყვეტად რსფს რესპუბლიკის ფარგლებში.

თუმცა საბჭოთა რეჟიმის დროს რუსეთში და რუსეთთან დაკავშირებულ რესპუბლიკებში უკვე აღარ არიან არც გაბატონებული, არც უუფლებო ერები, არც მეტროპოლია,

არც კოლონიები, არც ექსპლოატირებულნი და არც ექსპლოატატორნი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნაციონალური საკითხი მაინც არსებობს რუსეთში. რსფს რესპუბლიკაში ნაციონალური საკითხის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოვსპოთ ზოგიერთი ერის ის ფაქტიური ჩამორჩენილობა (სამეურნეო, პოლიტიკური, კულტურული), რომელიც მათ მემკვიდრეობად გადმოეცათ წარსულისაგან, რომ საშუალება მივცეთ ჩამორჩენილ ხალხებს დაეწიონ ცენტრალურ რუსეთს სახელმწიფოებრივადაც, კულტურულადაც და მეურნეობრივადაც.

ძველი რეჟიმის დროს მეფის ხელისუფლება არ ცდილობდა და ვერც შეეცდებოდა განევითარებინა სახელმწიფოებრიობა უკრაინაში, აზერბაიჯანში, თურქესტანში და სხვა განაპირა მხარეებში, ის ებრძოდა სახელმწიფოებრიობის განვითარებას განაპირა მხარეებში, ისევე როგორც მათს კულტურულ განვითარებას, და ცდილობდა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის ძალდატანებით ასიმილირებას.

შემდეგ, ძველმა სახელმწიფომ, მემამულეებმა და კაპიტალისტებმა მემკვიდრეობად დაგვიტოვეს ისეთი დაბეჩავებული ხალხები, როგორიც არიან ყირგიზები, ჩაჩნები, ოსები, რომელთა მიწები საკოლონიზაციო ადგილებს წარმოადგენდნენ რუსეთის კაზაკური და კულაკური ელემენტებისათვის. ამ ხალხების ხვედრი იყო საშინელი ტანჯვა და გადაშენება.

შემდეგ, ველიკოროსი ერის მდგომარეობამ, რომელიც გაბატონებულ ერს წარმოადგენდა, თავისი გავლენის კვალი დატოვა რუს კომუნისტებშიც კი, რომელთაც არ შეუძლიათ ან არ სურთ დაუახლოვდნენ ადგილობრივი მოსახლეობის მშრომელ მასებს, გაიგონ მათი საჭიროებანი და დაეხმარონ მათ იმაში, რომ თავი დააღწიონ ჩამორჩენილობასა და უკულტურობას. მე ვლაპარაკობ რუს კომუნისტთა

იმ მცირერიცხოვან ჯგუფებზე, რომელნიც უგულებელყოფენ თავიანთ მუშაობაში განაპირა მხარეთა ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის თავისებურებებს და ზოგჯერ იხრებიან რუსული დიდმპყრობელური შოვინიზმისაკენ.

შემდეგ, იმ არარუს ეროვნებათა მდგომარეობამ, რომელნიც ნაციონალურ ჩაგვრას განიცდიდნენ, გავლენა მოახდინა ადგილობრივი მოსახლეობიდან გამოსულ კომუნისტებზე, რომელთაც ხანდახან არ შეუძლიათ გაარჩიონ თავისი ხალხის მშრომელი მასების კლასობრივი ინტერესები ეგრეთწოდებული «საერთო-სახალხო» ინტერესებისაგან. მე ვლაპარაკობ იმ გადახრაზე ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ, რაც ზოგჯერ თავს იჩენს არარუს კომუნისტთა რიგებში და რაც გამოიხატება აღმოსავლეთში, მაგალითად, პანისლამიზმით, პანთურქიზმით.

ბოლოს, აუცილებლად უნდა დავიხსნათ გადაშენებისაგან ყირგიზები, ბაშკირები და ზოგიერთი მთიელი ტომი, უზრუნველვყოთ ისინი საჭირო მიწით კულაკ-კოლონიზატორების ხარჯზე.

ასეთია ის საკითხები და ამოცანები, რომლებიც ერთად შეადგენენ ჩვენს ქვეყანაში ნაციონალური საკითხის არსს.

ნაციონალურ საკითხში პარტიის ამ მორიგი ამოცანების დახასიათების შემდეგ მე მინდა გადავიდე ზოგად ამოცანაზე — იმ ამოცანაზე, თუ როგორ შევუგუოთ ჩვენი კომუნისტური პოლიტიკა განაპირა მხარეებში სამეურნეო ყოფა-ცხოვრების იმ განსაკუთრებულ პირობებს, რომლებიც ჩვენ გვაქვს უმთავრესად აღმოსავლეთში.

საქმე ისაა, რომ მთელ რიგ, უმთავრესად თურქ, ხალხებს — დაახლოებით 25 მილიონ კაცს — არ გაუვლიათ, ვერ მოასწრეს გაევლოთ სამრეწველო კაპიტალიზმის პერიოდი, ამიტომ მათ არა ჰყავთ ან თითქმის არა ჰყავთ სამრეწველო პროლეტარიატი, რის გამო მეურნეობის

პირველყოფილი ფორმებიდან მათ უხდებათ გადასვლა საბჭოთა მეურნეობის სტადიაში, სამრეწველო კაპიტალიზმისათვის გვერდის ავლით. იმისათვის, რომ ეს მძიმე, მაგრამ სრულიადაც არა შეუძლებელი ოპერაცია მოვახდინოთ, საჭიროა გავითვალისწინოთ ამ ხალხთა ეკონომიური მდგომარეობის ყველა თავისებურება, მათი ისტორიული წარსულის, ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის თავისებურებაც კი. ამ ხალხთა ტერიტორიაზე იმ ღონისძიებათა გადანერგვა, რომელთაც აქ, რუსეთის ცენტრში, ჰქონდათ ძალა და მნიშვნელობა, წარმოუდგენელია და საშიში. ცხადია, რსფს რესპუბლიკის სამეურნეო პოლიტიკის გატარებისას აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში ეკონომიური მდგომარეობის, კლასობრივი სტრუქტურის, ისტორიული წარსულის ყველა ის თავისებურება, რაც ჩვენ დაგვხვდა ამ განაპირა მხარეებში. აღარას ვამბობ ისეთ შეუსაბამობათა მოსპობაზე, როგორიცაა, მაგალითად, სასურსათო სახალხო კომისარიატის მოთხოვნა, რომ შეწერის წესით ღორები ჩააბარონ ყირგიზეთში, სადაც მუსლიმან მოსახლეობას არასოდეს არ ჰყოლია ღორი. ამ მაგალითიდან ჩანს, თუ რამდენად არ სურთ ანგარიში გაუწიონ ყოფა-ცხოვრების თავისებურებებს, რომლებიც თვალში ხვდება პირველ მოგზაურსავე.

ეს-ესაა გადმომცეს ბარათი თხოვნით — ვუპასუხო ამხ. ჩიჩერინის სტატიებზე. ამხანაგებო, მე ვფიქრობ, რომ ჩიჩერინის სტატიებიდან, რომლებიც მე ყურადღებით წავიკითხე, გარდა ლიტონსიტყვაობისა არაფერი გამოვიდა. იქ არის ოთხი შეცდომა თუ გაუგებრობა.

ჯერ ერთი, ამხ. ჩიჩერინი, ეტყობა, უარყოფს წინააღმდეგობებს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, გაზვიადებულად აფასებს იმპერიალისტთა ინტერნაციონალურ გაერთიანებას და მხედველობიდან უშვებს, სათანა-

დად ვერ აფასებს იმ შინაგან წინააღმდეგობებს იმპერიალისტურ ჯგუფებსა და სახელმწიფოებს შორის, რომლებიც არსებობენ და ომს წარმოშობენ (საფრანგეთი, ამერიკა, ინგლისი, იაპონია და სხვ.). მან გაზვიადებულად შეაფასა იმპერიალისტური ზედაფენების გაერთიანების მომენტი და სათანადოდ ვერ შეაფასა ის წინააღმდეგობანი, რომლებიც ამ «ტრესტის» შიგნით არსებობენ. ნამდვილად კი ეს წინააღმდეგობანი არსებობენ, და მათზეა დამყარებული საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მოღვაწეობა.

შემდეგ, ამხ. ჩიჩერინი უშვებს მეორე შეცდომას. ის სათანადოდ ვერ აფასებს იმ წინააღმდეგობებს, რაც არსებობს გაბატონებულ დიდ სახელმწიფოთა და ბოლო ხანებში წარმოშობილ ნაციონალურ სახელმწიფოთა შორის (ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, ფინეთი და სხვ.), რომელნიც ფინანსურ და სამხედრო მორჩილებაში ჰყავთ ამ დიდ სახელმწიფოებს. ამხ. ჩიჩერინს სრულიად გამორჩა მხედველობიდან, რომ, მიუხედავად ამ ნაციონალური სახელმწიფოების დამორჩილებისა დიდი სახელმწიფოებისადმი ან, უფრო სწორად, ასეთი დამორჩილების გამო, დიდ სახელმწიფოებსა და ამ სახელმწიფოებს შორის არის წინააღმდეგობანი, რამაც თავი იჩინა, მაგალითად, პოლონეთთან, ესტონეთთან და სხვ. მოლაპარაკებაში. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის არსებობის აზრი სწორედ ის არის, რომ ყველა ეს წინააღმდეგობა გაითვალისწინოს, დაეყრდნოს მათ, მარჯვედ იმოქმედოს ამ წინააღმდეგობათა ფარგლებში. მეტად გასაოცარია, რომ ამხ. ჩიჩერინმა სათანადოდ ვერ დააფასა ეს მომენტი.

ამხ. ჩიჩერინის მესამე შეცდომა ისაა, რომ იგი ძალიან ბევრს ლაპარაკობს ნაციონალურ თვითგამორკვევაზე, რომელიც, მართლაც, ფუჭ ლოზუნგად გადაიქცა, რასაც მოხერხებულად იყენებენ იმპერიალისტები. ამხ. ჩიჩერინმა უცნაურად დაივიწყა, რომ ჩვენ ამ ლოზუნგს უკვე

ორი წელიწადია გამოვეთხოვეთ. ეს ლოზუნგი ჩვენ აღარა გვაქვს პროგრამაში. ჩვენს პროგრამაში ლაპარაკია არა ნაციონალურ თვითგამორკვევაზე, — ლოზუნგი სრულიად ბუნდოვანია, — არამედ უფრო გამოკვეთილ და გარკვეულ ლოზუნგზე — ხალხთა სახელმწიფოებრივი გამოყოფის უფლებაზე. ეს ორი სხვადასხვა რამეა. უცნაურია, რომ ამხ. ჩიჩერინი ამ მომენტს თავის სტატიებში არ ითვალისწინებს, რის გამო ყველა მისი შესიტყვება იმ ლოზუნგის წინააღმდეგ, რომელიც ბუნდოვანი გახდა, ფუჭი გასროლის ხასიათს ღებულობს, ვინაიდან არც ჩემ თეზისებში და არც პარტიის პროგრამაში არც ერთი სიტყვით არაა მოხსენებული «თვითგამორკვევა». იქ ლაპარაკია მხოლოდ ხალხთა სახელმწიფოებრივი გამოყოფის უფლებაზე. მაგრამ ეს ლოზუნგი ჩვენთვის ახლა, როცა კოლონიებში განმათავისუფლებელი მოძრაობაა გაჩაღებული, რევოლუციურ ლოზუნგს წარმოადგენს. რამდენადაც საბჭოთა სახელმწიფოები ფედერაციად ერთიანდებიან ნებაყოფლობით საფუძველზე, იმდენად გამოყოფის უფლება გამოუყენებელი რჩება თვით რსფს რესპუბლიკაში შემავალი ხალხების ნებასურვილით. და რამდენადაც ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ კოლონიებთან, რომლებიც ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, იაპონიის ბრჭყალებში არიან მოქცეულნი, რამდენადაც ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ დამორჩილებულ ქვეყნებთან, როგორიცაა არაბეთი, მესოპოტამია, თურქეთი, ინდოსტანი, ე. ი. ისეთ ქვეყნებთან, რომლებიც კოლონიებს თუ ნახევრადკოლონიებს წარმოადგენენ, იმდენად ხალხთა გამოყოფის უფლების ლოზუნგი რევოლუციურია, და მასზე უარისთქმა იმპერიალისტებისათვის ხელის შეწყობას ნიშნავს.

მეოთხე გაუგებრობა ისაა, რომ ამხ. ჩიჩერინის სტატიებში არ მოიპოვება პრაქტიკული მითითებები. სტატიების დაწერა, რა თქმა უნდა, აღვილია, მაგრამ იმისათვის,

რომ ისინი დაასათაურო «ამხ. სტალინის თეზისების წინააღმდეგ», საჭიროა წამოაყენო უფრო სერიოზული რამ, თუნდაც პრაქტიკული კონტრწინადადებანი. ნამდვილად კი მის სტატიებში მე ვერ ვნახე ვერც ერთი პრაქტიკული წინადადება, რომელზედაც ღირდეს ყურადღების შეჩერება.

მე ვამთავრებ, ამხანაგებო. ჩვენ მივედით შემდეგ დასკვნებამდე. ბურჟუაზიული საზოგადოება არათუ უუნარო აღმოჩნდა გადაეჭრა ნაციონალური საკითხი, არამედ, პირიქით, მისი «გადაჭრის» ცდებში მან ნაციონალური საკითხი გადააქცია კოლონიურ საკითხად და შექმნა თავის წინააღმდეგ ახალი ფრონტი, რომელიც ირლანდიიდან ინდოსტანამდეა გადაჭიმული. ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც უნარი შესწევს დააყენოს და გადაწყვიტოს ნაციონალური საკითხი, — ეს არის სახელმწიფო, რომელიც დამყარებულია წარმოების საშუალებათა და იარაღთა კოლექტიურ საკუთრებაზე, — ეს არის საბჭოთა სახელმწიფო. საბჭოთა ფედერაციულ სახელმწიფოში აღარ არიან არც დაჩაგრული და არც გაბატონებული ერები, ნაციონალური ჩაგვრა მოსპობილია, მაგრამ, უფრო კულტურულ ერებსა და ნაკლებად კულტურულ ერებს შორის ფაქტიური უთანასწორობის (კულტურული, სამეურნეო, პოლიტიკური უთანასწორობის) გამო, რაც მემკვიდრეობად გვაქვს მიღებული ძველი ბურჟუაზიული წესწყობილებისაგან, ნაციონალური საკითხი იღებს ისეთ ფორმას, რომელიც მოითხოვს ღონისძიებათა გამომუშავებას იმისათვის, რომ ჩამორჩენილი ერებისა და ხალხების მშრომელ მასებს გავუადვილოთ სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული წარმატება, შევაძლებინოთ მათ დაეწიონ წინწასულ ცენტრალურ — პროლეტარულ — რუსეთს. აქედან გამომდინარეობს ის პრაქტიკული წინადადებანი, რომლებიც შეადგენენ ნაციონალურ საკითხზე ჩემს მიერ წარმოდგენილი თეზისების მესამე განყოფილების შინაარსს. (ტ ა შ ი).

2. საბოლოო სიტყვა

10 მარტი

ამხანაგებო! ნაციონალური საკითხის შესახებ დისკუსიაში ამ ყრილობისათვის ყველაზე დამახასიათებელი ისაა, რომ ნაციონალურ საკითხში დეკლარაციებიდან ჩვენ რუსეთის ადმინისტრაციული გადაყოფის საშუალებით გადავედით საკითხის პრაქტიკულ დაყენებაზე. ოქტომბრის რევოლუციის დასაწყისში ჩვენ ვჯერდებოდით ხალხთა გამოყოფის უფლებების დეკლარაციას. 1918 და 1920 წლებში ჩვენ მუშაობას ვეწეოდით იმ მხრივ, რომ მოგვეხდინა რუსეთის ადმინისტრაციული გადაყოფა ნაციონალური ნიშნის მიხედვით, რათა ჩამორჩენილ ხალხთა მშრომელი მასები დაგვეახლოებინა რუსეთის პროლეტარიატთან. ხოლო დღეს ამ ყრილობაზე ჩვენ წმინდა პრაქტიკულ ნიადაგზე ვსვამთ საკითხს, თუ როგორი უნდა იყოს პარტიის პოლიტიკა მშრომელი მასებისა და წვრილბურჟუაზიული ელემენტების მიმართ რუსეთთან დაკავშირებული ავტონომიური ოლქებისა და დამოუკიდებელი რესპუბლიკების შიგნით. ამიტომ ზატონსკის განცხადებამ, თითქოს თქვენდამი წარმოდგენილი თეზისები აბსტრაქტულ ხასიათს ატარებენ, მე გამაოცა. მე ხელთ მაქვს მისი საკუთარი თეზისები,

რომლებიც მან რატომღაც არ წარმოუდგინა ყრილობას, სადაც ვერც ერთი პრაქტიკული ხასიათის წინადადება ვერ ვიპოვე, — პირდაპირ ვერც ერთი, გარდა, შეიძლება, ერთი წინადადებისა, რომ სახელწოდება «რსფსრ» შეიცვალოს სიტყვით «აღმოსავლეთ-ევროპული», ხოლო სიტყვა (რუსეთის» — სიტყვით «რუსული» ან «ველიკოროსული». სხვა პრაქტიკული წინადადებები ამ თეზისებში ვერ ვნახე.

გადავდივარ შემდეგ საკითხზე.

უნდა განვაცხადო, რომ აქ გამოსული დელეგატებისაგან მეტს მოველოდი. რუსეთში ოცდაორი განაპირა მხარე ითვლება, ამასთან ზოგ ამ განაპირა მხარეთაგანს დიდად შეეხო სამრეწველო განვითარება და ისინი მრეწველობის მხრივ არცთუ ისე განირჩევიან ცენტრალური რუსეთისაგან, ზოგს ჯერ კიდევ არ გაუვლია კაპიტალიზმის სტადია და ძირეულად განსხვავდება ცენტრალური რუსეთისაგან, ზოგი კი სრულიად დაბეჩავებულია. განაპირა მხარეების მთელი ამ სხვადასხვაგვაროვნების წარმოდგენა მთელი მისი კონკრეტულობით თეზისებში შეუძლებელია. არ შეიძლება იმის მოთხოვნა, რომ თეზისები, რომელთაც საერთოდ მთელი პარტიისათვის აქვთ მნიშვნელობა, მხოლოდ თურქესტანულ, მხოლოდ აზერბაიჯანულ ან მხოლოდ უკრაინულ ხასიათს ატარებდნენ. საჭიროა ყველა განაპირა მხარის საერთო დამახასიათებელი ნიშნები ავიღოთ და შევიტანოთ თეზისებში და გვერდი ავუაროთ კერძო მომენტებს. თეზისების შემუშავების სხვა მეთოდები ბუნებაში არ არსებობენ.

საჭიროა არაველიკოროსი ერები დავყოთ რამდენიმე ჯგუფად, რაც თეზისებში შესრულებულია. არარუსი ერები დაახლოებით 65 000 000-ს შეადგენენ. ყველა ამ არარუსი ერის დამახასიათებელი საერთო ნიშანი ის არის, რომ ისინი თავისი სახელმწიფოებრიობის განვითარების თვალსაზრისით ჩამორჩნენ ცენტრალურ რუსეთს.

ჩვენი ამოცანაა ვიხმაროთ ყოველი ძალ-ღონე იმისათვის, რომ დავეხმაროთ ამ ერებს, მათს პროლეტარულ, მათს მშრომელ ელემენტებს — განივითარონ საბჭოთა სახელმწიფოებრიობა დედაენაზე. ეს საერთო აღნიშნულია თეზისებში, მათს პრაქტიკულ ნაწილში.

შემდეგ, თუ ვივლით განაპირა მხარეების თავისებურებათა შემდგომი კონკრეტიზაციის გზით, არარუს ეროვნებათა საერთო ჯამიდან — დაახლოებით 65 მილიონიდან — უნდა გამოვყოთ 25 მილიონი თურქი მოსახლეობა, რომელსაც კაპიტალიზმი არ გაუვლია. ამხ. მიქოიანი არ არის მართალი, როცა ლაპარაკობს, აზერბაიჯანი ზოგიერთი მხრივ რუსულ პროვინციებზე მაღლა დგასო. ის, ალბათ, ერთმანეთში ურევს ბაქოსა და აზერბაიჯანს. ბაქო აზერბაიჯანის წიაღიდან კი არ წარმოშობილა, არამედ ზევიდანაა დაშენებული ნობელის, როტშილდის, ვიშაუს და სხვ. ღონისძიებებით. რაც შეეხება თვით აზერბაიჯანს, ის ყველაზე ჩამორჩენილი პატრიარქალურ-ფეოდალური ურთიერთობის ქვეყანას წარმოადგენს. ამიტომ საერთოდ აზერბაიჯანს მე მივაკუთვნებ იმ განაპირა მხარეთა ჯგუფს, რომელთაც კაპიტალიზმი არ გაუვლიათ და რომელთაც აუცილებლად უნდა შევუფარდოთ თავისებური მეთოდები, რათა ეს განაპირა მხარეები საბჭოთა მეურნეობის კალაპოტში მოვაქციოთ. ეს ნათქვამია თეზისებში.

შემდეგ, არის მესამე ჯგუფი, რომელიც მოიცავს არაუმეტეს 6 მილიონისა, — ეს უმთავრესად მესაქონლე ტომებია, სადაც გვაროვნული ყოფა-ცხოვრება კიდევ ცოცხალია და რომელნიც ჯერ კიდევ არ გადასულან სამიწათმოქმედო მეურნეობაზე. ესენი არიან, უმთავრესად, ყირგიზები, თურქესტანის ჩრდილო ნაწილი, ბაშკირები, ჩაჩნები, ოსები, ინგუშები. ეროვნებათა ამ ჯგუფების მიმართ უწინარეს ყოვლისა აუცილებელია, რომ ისინი უზრუნველყო-

ფილ იქნენ საჭირო მიწით. აქ ყირგიზებსა და ბაშკირებს სიტყვა არ მისცეს, კამათი შეწყვიტეს. ისინი კიდევ უფრო მეტს იტყოდნენ იმაზე, თუ რა ტანჯვას განიცდიან მთიანი ბაშკირეთი, ყირგიზეთი და მთიელები, რომლებიც უმიწაწყლოდ წყდებიან. მაგრამ ის, რასაც ამის გამო საფაროვი ლაპარაკობდა, ეს ეხება მხოლოდ 6-მილიონიანი მოსახლეობის ჯგუფს. ამიტომ ყველა განაპირა მხარეზე საფაროვის პრაქტიკულ წინადადებათა გავრცელება წარმოუდგენელია, ვინაიდან არარუს ეროვნებათა დანარჩენი ნაწილისათვის, — ისინი კი დაახლოებით 60 მილიონს შეადგენენ, — ამ შესწორებებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ. აი ამიტომ მე, თუმცა საწინააღმდეგო არაფერი მაქვს ცალკეული პუნქტების კონკრეტიზაციისა, დამატებებისა და გაუმჯობესებისა, რაც შემოიტანა საფაროვმა და რაც ეხება ეროვნებათა განსაზღვრულ ჯგუფებს, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ არ შეიძლება ამ შესწორებათა უნივერსალიზაცია. გარდა ამისა, უნდა გამოვთქვა შენიშვნა საფაროვის ერთი შესწორების გამო. ერთ-ერთ მის შესწორებაში შეპარულია ფრაზა «ნაციონალურ-კულტურული თვითგამორკვევის» შესახებ:

«ოქტომბრის რევოლუციამდე, — ნათქვამია იქ, — რუსეთის აღმოსავლეთი განაპირა მხარეების კოლონიური და ნახევრადკოლონიური ხალხები, იმპერიალისტური პოლიტიკის წყალობით, მოკლებული იყვნენ ყოველგვარ შესაძლებლობას — ზიარებოდნენ კაპიტალისტური ცივილიზაციის კულტურულ მონაპოვართ საკუთარი ნაციონალურ-კულტურული თვითგამორკვევის, დედაენაზე განათლების მიღების გზით» და სხვ.

უნდა ვთქვა, რომ ამ შესწორების მიღება მე არ შემიძლია, იმიტომ რომ მას ბუნდიზმის სუნი უდის. ეს ბუნდური ფორმულირებაა: ნაციონალურ-კულტურული თვითგამორკვევა. ჩვენ დიდი ხანია გამოვეთხოვეთ თვითგამორკვევის ბუნდოვან ლოზუნგებს — მათი აღდგენა საჭირო

არ არის. ამასთან მთელი ეს ფრაზა სიტყვების მეტად არაბუნებრივ შეხამებას წარმოადგენს.

შემდეგ, აქ მე მაქვს ბარათი იმის შესახებ, რომ ჩვენ, კომუნისტები, ბელორუსთა ეროვნებას ვითომ ხელოვნურად ვნერგავდეთ. ეს არაა სწორი, იმიტომ რომ არსებობს ბელორუსთა ერი, რომელსაც აქვს თავისი, რუსულისაგან განსხვავებული, ენა, რის გამო ბელორუსი ხალხის კულტურის ამაღლება მხოლოდ მის დედაენაზე შეიძლება. ასეთივე სიტყვები გაისმოდა ხუთი წლის წინათ უკრაინის შესახებ, უკრაინელი ერის შესახებ. ხოლო ამ ცოტა ხნის წინათ კიდევ ამბობდნენ, უკრაინული რესპუბლიკა და უკრაინელი ერი გერმანელების გამონაგონიაო. ნამდვილად კი ცხადია, რომ უკრაინელი ერი არსებობს, და მისი კულტურის განვითარება კომუნისტების მოვალეობას შეადგენს. არ შეიძლება ისტორიის წინააღმდეგ წასვლა. ცხადია, თუ უკრაინის ქალაქებში აქამდე კიდევ სჭარბობენ რუსული ელემენტები, დროთა მსვლელობაში აუცილებლად მოხდება ამ ქალაქების უკრაინიზაცია. ორმოციოდე წლის წინათ რიგა გერმანული ქალაქი იყო, მაგრამ რადგან ქალაქები სოფლების ხარჯზე იზრდებიან, ხოლო სოფელი ეროვნების შემნახველია, ამიტომ დღეს რიგა წმინდა ლატვიური ქალაქია. ორმოცდაათიოდე წლის წინათ უნგრეთის ყველა ქალაქს გერმანული ხასიათი ჰქონდა, ახლა ისინი მადიარიზებული არიან. იგივე დაემართება ბელორუსიასაც, რომლის ქალაქებში ჯერ კიდევ არაბელორუსნი სჭარბობენ.

ვამთავრებ რა საბოლოო სიტყვას, წინადადება შემომაქვს, რომ ყრილობამ აირჩიოს კომისია, სადაც უნდა შევიდნენ ოლქების წარმომადგენელნი, თეზისების იმ პრაქტიკულ წინადადებათა შემდგომი კონკრეტიზაციისათვის, რომლებიც ყველა ჩვენს განაპირა მხარეს აინტერესებენ. (ტაში).

წერილი ვ. ი. ლენინს

ამხ. ლენინ!

უკანასკნელ 3 დღეს შესაძლებლობა მქონდა წამეკითხა კრებული **«რუსეთის ელექტროფიკაციის გეგმა»** [8]. ავადმყოფობამ შემიწყო ხელი (ზოგი ჭირი მარგებელია!). საუცხოო, კარგად შედგენილი წიგნია. ოსტატური მონასახია ნამდვილად **ერთიანი** და ნამდვილად **სახელმწიფო** სამეურნეო გეგმისა **უბრჭყალებოდ.** ჩვენს დროში ერთადერთი მარქსისტული ცდაა — შეექმნას მეურნეობრივად ჩამორჩენილი რუსეთის საბჭოთა ზედნაშენს ნამდვილად რეალური და ახლანდელ პირობებში ერთადერთი შესაძლებელი ტექნიკურ-საწარმოო ბაზა.

ხომ გახსოვთ ტროცკის შარშანდელი «გეგმა» (მისი თეზისები) რუსეთის «სამეურნეო აღორძინებისა» ომამდელი მრეწველობის ნამსხვრევთა მიმართ **გლეხურ**-მუშური არაკვალიფიციური მასის (შრომითი არმიის) შრომის მასობრივად გამოყენების საფუძველზე. რა უბადრუკობაა, რა ჩამორჩენილობაა რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისიის («გოელროს») გეგმასთან შედარებით! შუა საუკუნეთა შინამრეწველი, **თავი რომ წარმოუდგენია** იბსენის

გმირად, რომელიც ვითომ მოწოდებულია «იხსნას» რუსეთი ძველებური საგით... ანდა რა ფასი აქვს ათეულ «ერთიან გეგმებს», რომლებიც ჩვენდა სამარცხვინოდ წამდაუწუმ ჩნდება ჩვენს პრესაში, — ეს ხომ მოსამზადებელი კლასის მოსწავლეთა ბავშვური ტიტინია... ან კიდევ: ობივატელური «რეალიზმი» (ნამდვილად კი **მანილოვობა**) რიკოვისა, რომელიც ისევ «აკრიტიკებს» «გოელროს» და ყურებამდე ჩაფლულა რუტინაში...

ჩემი აზრია:

1) ნუღარ დავკარგავთ ნურც ერთ წუთს გეგმის შესახებ ყბედობაზე;

2) **შევუდგეთ** საქმის დაუყოვნებლივს **პრაქტიკულ დაწყებას;**

3) ამ **დაწყების** ინტერესებს დავუმორჩილოთ სულ ცოტა 1/3 ჩვენი მუშაობისა (2/3 «სადღეისო» საჭიროებებს მოუნდება), რათა შემოვზიდოთ მასალები და მოვიწვიოთ ადამიანები, აღვადგინოთ საწარმონი, გავანაწილოთ სამუშაო ძალა, მოვიტანოთ სურსათი, მოვაწყოთ მომარაგების ბაზები და თვით მომარაგება და სხვ.

4) რადგან «გოელროს» მუშაკებს, ყველა კარგი თვისების მიუხედავად, მაინც აკლიათ საღი პრაქტიციზმი (სტატიებში იგრძნობა პროფესორული იმპოტენტობა), ამიტომ აუცილებლად საჭიროა ჩავაბათ მათთან საგეგმო კომისიაში ცოცხალი პრაქტიკის ადამიანები, რომლებიც მოქმედებენ პრინციპით — «შესრულება მაცნობეთ», «ვადაზე შეასრულეთ» და სხვ.

5) დავავალოთ «პრავდას», «იზვესტიას», განსაკუთრებით «ეკონომიჩესკაია ჟიზნს»[9] — შეუდგნენ «ელექტროფიკაციის გეგმის» პოპულარიზაციას როგორც ძირითადად,

ისე კონკრეტული მომენტებისას, რომლებიც ცალკეულ ოლქებს ეხება, ამასთან უნდა ახსოვდეთ, რომ არსებობს **მხოლოდ ერთი** «მთლიანი სამეურნეო გეგმა», — ეს არის «ელექტროფიკაციის გეგმა», რომ ყველა დანარჩენი «გეგმა» მარტოოდენ ყბედობაა, ფუჭი და მავნე ყბედობა.

თქვენი **სტალინი**

დაწერილია 1921 წ. მარტში.
პირველად დაიბეჭდა წიგნში:
სტალინი. სტატიების კრებული
დაბადების ორმოცდაათი წლის-
თავისათვის. მ. — ლ., 1929.

ნაციონალური საკითხის დაყენებისათვის

კომუნისტებმა არსებითად სულ სხვანაირად დააყენეს ნაციონალური საკითხი, ვიდრე მას აყენებენ II და II½ ინტერნაციონალის [10] მოღვაწეები, ყველა და ყოველგვარი «სოციალისტური», «სოციალ-დემოკრატიული», მენშევიკური, ესერული და სხვა პარტიები.

განსაკუთრებით საგულისხმოა აღინიშნოს ოთხი ძირითადი მომენტი, როგორც ნაციონალური საკითხის ახლებურად დაყენების ყველაზე უფრო დამახასიათებელი, განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც ზღვარს სდებენ ნაციონალური საკითხის ძველ და ახალ გაგებას შორის.

პირველი მომენტი — ესაა ნაციონალური საკითხის, როგორც ნაწილის, შედუღება კოლონიების განთავისუფლების ზოგად საკითხთან, როგორც მთელთან. II ინტერნაციონალის ეპოქაში ნაციონალური საკითხი ჩვეულებრივ იფარგლებოდა საკითხების ვიწრო წრით, რომლებიც მარტოოდენ «ცივილიზებულ» ერებს ეხებოდა. ირლანდიელები, ჩეხები, პოლონელები, ფინელები, სერბიელები, სომხები, ებრაელები და ევროპის ზოგიერთი სხვა ეროვნება — ასეთია არასრულუფლებიანი ერების ის წრე, რომელთა ბედიც II ინტერნაციონალს აინტერესებდა. აზიისა და აფრიკის ხალხთა ათეული და ასეული მილიონები,

რომელნიც განიცდიან ნაციონალურ ჩაგვრას ყველაზე უხეში და მკაცრი ფორმით, ჩვეულებრივ «სოციალისტების» თვალთახედვის გარეშე რჩებოდნენ. ვერ ბედავდნენ ერთმანეთისათვის მიეთანაბრებინათ თეთრები და შავები, «არაკულტურული» ზანგები და «ცივილიზებული» ირლანდიელები, «ჩამორჩენილი» ინდოელები და «განათლებული» პოლონელები. მდუმარედ იგულისხმებოდა, რომ თუ მაინცდამაინც საჭიროა ბრძოლა ევროპის არასრულუფლებიანი ერების განთავისუფლებისათვის, სრულიად არ შეეფერება «წესიერ სოციალისტებს» სერიოზულად ილაპარაკონ კოლონიების განთავისუფლებაზე, რომლებიც «აუცილებელი არიან» «ცივილიზაციის» «შესანარჩუნებლად». ამ, უკაცრავად პასუხია, სოციალისტებს აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ნაციონალური ჩაგვრის მოსპობა ევროპაში შეუძლებელია ისე, თუ აზიისა და აფრიკის კოლონიური ხალხები იმპერიალიზმის უღლისაგან არ იქნებიან განთავისუფლებულნი, რომ პირველი ორგანულად დაკავშირებულია მეორესთან. კომუნისტებმა პირველებმა გამოააშკარავეს ნაციონალური საკითხის კავშირი კოლონიების საკითხთან, დაასაბუთეს ეს კავშირი თეორიულად და საფუძვლად დაუდვეს იგი თავის რევოლუციურ პრაქტიკას. ამით მოსპობილ იქნა კედელი თეთრებსა და შავებს შორის, იმპერიალიზმის «კულტურულ» და «არაკულტურულ» მონებს შორის. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად გააადვილა ჩამორჩენილი კოლონიების ბრძოლის კოორდინაცია მოწინავე პროლეტარიატის ბრძოლასთან საერთო მტრის წინააღმდეგ, იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

მეორე მომენტი — ესაა ერთა თვითგამორკვევის უფლების ბუნდოვანი ლოზუნგის შეცვლა ნათელი რევოლუციური ლოზუნგით ერებისა და კოლონიების სახელმწიფოებრივი გამოყოფის, დამოუკიდებელი სახელმწიფოს

შექმნის უფლების ლოზუნგით. თვითგამორკვევის უფლებაზე რომ ლაპარაკობდნენ, II ინტერნაციონალის მოღვაწეები ჩვეულებრივ კრინტსაც არ ძრავდნენ სახელმწიფოებრივი გამოყოფის უფლებაზე, — თვითგამორკვევის უფლებას, უკეთეს შემთხვევაში, განმარტავდნენ როგორც ავტონომიის უფლებას საზოგადოდ. ნაციონალური საკითხის «სპეციალისტები», შპრინგერი და ბაუერი, იქამდეც კი მივიდნენ, რომ თვითგამორკვევის უფლება გადააქციეს ევროპის ჩაგრულ ერთა კულტურული ავტონომიის უფლებად, ე. ი. იმ უფლებად, რომ ამ ერებმა იქონიონ თავისი კულტურული დაწესებულებანი, **ხოლო** მთელი **პოლიტიკური** (და ეკონომიური) ძალაუფლება დარჩეს გაბატონებული ერის ხელში. სხვანაირად რომ ვთქვათ, არასრულუფლებიან ერთა თვითგამორკვევის უფლება გადაქცეულ იქნა გაბატონებული ერების იმ პრივილეგიად, რომ მათ ჰქონდეთ პოლიტიკური ძალაუფლება, ამასთან სახელმწიფოებრივი გამოყოფის საკითხი გამორიცხულ იქნა. II ინტერნაციონალის იდეური მეთაური, კაუცკი, ძირითადად შეუერთდა თვითგამორკვევის ამ, არსებითად იმპერიალისტურ, განმარტებას, რომელიც მოცემულია შპრინგერ — ბაუერის მიერ. გასაკვირველი არაა, რომ იპერიალისტებმა, როცა შეამჩნიეს ეს მათთვის ხელსაყრელი თავისებურება თვითგამორკვევის ლოზუნგისა, იგი თავის საკუთარ ლოზუნგად გამოაცხადეს. ცნობილია, რომ იმპერიალისტური ომი, რომლის მიზანიც ხალხების დამონება იყო, თვითგამორკვევის დროშით წარმოებდა. ასე გადაიქცა თვითგამორკვევის ბუნდოვანი ლოზუნგი ერთა განთავისუფლების, ერთა თანასწორუფლებიანობის იარაღიდან ერთა მოთვინიერების იარაღად, იმ იარაღად, რომლის საშუალებითაც ერები იმპერიალიზმის მორჩილებაში უნდა დარჩნენ. მოვლენათა მიმდინარეობა მთელ მსოფლიოში უკანასკნელი წლების მანძილზე, ლოგიკა რევო-

ლუციისა ევროპაში, ბოლოს, განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდა კოლონიებში მოითხოვდნენ, რომ რეაქციულად გადაქცეული ეს ლოზუნგი უკუგდებული ყოფილიყო და შეცვლილიყო სხვა, რევოლუციური ლოზუნგით, რომელიც შეძლებდა გაეფანტა გაბატონებული ერების პროლეტარებისადმი არასრულუფლებიან ერთა მშრომელი მასების უნდობლობის ატმოსფერო, — ლოზუნგით, რომელიც შეძლებდა გაეწმინდა გზა ერების თანასწორუფლებიანობისა და ამ ერთა მშრომელების ერთიანობისაკენ. ასეთ ლოზუნგს წარმოადგენს კომუნისტების მიერ წამოყენებული ლოზუნგი ერების და კოლონიების სახელმწიფოებრივი გამოყოფის უფლებისა.

ამ ლოზუნგის ღირსება ისაა, რომ იგი:

1) სპობს იმ ეჭვების ყოველგვარ საფუძველს, რომ ერთი ერის მშრომელებს აქვთ დაპყრობითი მისწრაფებანი მეორე ერის მშრომელების მიმართ, მაშასადამე, ამზადებს ნიადაგს ურთიერთნდობისა და ნებაყოფლობითი გაერთიანებისათვის;

2) ნიღაბს ხდის იმპერიალისტებს, რომლებიც თვალთმაქცურად ლაყბობენ თვითგამორკვევაზე, მაგრამ ცდილობენ თავის მორჩილებაში დატოვონ, თავისი იმპერიალისტური სახელმწიფოს ფარგლებში დატოვონ არასრულუფლებიანი ხალხები და კოლონიები, და ამით აღრმავებს ამ უკანასკნელთა განმათავისუფლებელ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ რუსი მუშები ვერ მოიპოვებდნენ დასავლეთისა და აღმოსავლეთის უცხოტომელი თავიანთი ამხანაგების სიმპათიებს, მათ რომ ძალაუფლების აღების შემდეგ არ გამოეცხადებინათ ხალხთა სახელმწიფოებრივი გამოყოფის უფლება, მათ რომ საქმით არ დაემტკიცებინათ თავიანთი მზადყოფნა — განაპორციელონ ხალხთა ეს უცილობელი უფლება, მათ რომ

უკუ არ ეგდოთ «უფლება», ვთქვათ, ფინეთზე (1917 წ.), მათ რომ არ გამოეყვანათ ჯარი ჩრდილოეთი სპარსეთიდან (1917 წ.), მათ რომ უარი არ ეთქვათ მონღოლეთის, ჩინეთის განსაზღვრული ნაწილის დაჩემებაზე და სხვ. და სხვ.

ასევე უეჭველია, რომ თუ იმპერიალისტების პოლიტიკა, რომელიც მოხერხებულად დაფარულია თვითგამორკვევის დროშით, ამ უკანასკნელ დროს მაინც მარცხს მარცხზე განიცდის აღმოსავლეთში, ეს, სხვათა შორის, იმიტომ, რომ იგი იქ წააწყდა თანდათან გაძლიერებულ განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც ხალხთა სახელმწიფოებრივი გამოყოფის უფლების ლოზუნგის მიხედვით წარმოებული აგიტაციის ნიადაგზე გაიზარდა. ეს არ ესმით II და II½ ინტერნაციონალის გმირებს, რომლებიც გულმოდგინედ აძაგებენ ბაქოს «მოქმედებისა და პროპაგანდის საბჭოს» [1] მის მიერ დაშვებული ზოგიერთი, არაარსებითი, შეცდომის გამო, მაგრამ ამას გაიგებს ყველა, ვინც გაირჯება და გაეცნობა აღნიშნული «საბჭოს» საქმიანობას მისი არსებობის ერთი წლის განმავლობაში და აზიისა და აფრიკის კოლონიების განმათავისუფლებელ მოძრაობას უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე.

მესამე მომენტი — ესაა ნაციონალურ-კოლონიურ საკითხსა და კაპიტალის ძალაუფლების, კაპიტალიზმის დამხობის, პროლეტარიატის დიქტატურის საკითხს შორის არსებული ორგანული კავშირის გამოაშკარავება. II ინტერნაციონალის ეპოქაში ნაციონალურ საკითხს, რომელიც თავისი მოცულობით უკიდურესად დავიწროებულ იქნა, ჩვეულებრივ განიხილავდნენ თავისთავად, მომავალ პროლეტარულ რევოლუციასთან დაუკავშირებლად. მდუმარედ იგულისხმებოდა, რომ ნაციონალური საკითხი გადაწყდება «ბუნებრივად», პროლეტარულ რევოლუციამდე, მთელი რიგი რეფორმების საშუალებით კაპიტალიზმის ფარგლებში,

რომ პროლეტარული რევოლუცია შეიძლება გატარდეს ნაციონალური საკითხის კარდინალურად გადაჭრის გარეშე, და, პირიქით, ნაციონალური საკითხი შეიძლება გადაიჭრას კაპიტალის ძალაუფლების დაუმხობლად, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების გარეშე და ამ გამარჯვებამდე. ეს, არსებითად იმპერიალისტური, შეხედულება მოვლენებზე წითელ ზოლადაა გავლებული შპრინგერისა და ბაუერის ცნობილ ნაშრომებში ნაციონალური საკითხის შესახებ. მაგრამ უკანასკნელმა ათეულმა წელმა ცხადყო ნაციონალური საკითხის ასეთი გაგების მთელი მცდარობა, მთელი სიდამპლე. იმპერიალისტურმა ომმა გვიჩვენა, ხოლო უკანასკნელი წლების რევოლუციურმა პრაქტიკამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ:

1) ნაციონალური და კოლონიური საკითხები შეუძლებელია გამოეყოს კაპიტალის ძალაუფლებისაგან განთავისუფლების საკითხს;

2) იმპერიალიზმს (კაპიტალიზმის უმაღლეს ფორმას) არ შეუძლია არსებობა არასრულუფლებიანი ერებისა და კოლონიების პოლიტიკური და ეკონომიური დამონების გარეშე;

3) არასრულუფლებიანი ერები და კოლონიები არ შეიძლება განთავისუფლებულ იქნან კაპიტალის ძალაუფლების დაუმხობლად;

4) პროლეტარიატის გამარჯვება არ შეიძლება მტკიცე იყოს იმპერიალიზმის უღლისაგან არასრულუფლებიანი ერებისა და კოლონიების განთავისუფლების გარეშე.

თუ ევროპასა და ამერიკას შეიძლება ეწოდოთ სოციალიზმსა და იმპერიალიზმს შორის წარმოებული ძირითადი ბრძოლების ფრონტი, სარბიელი, — არასრულუფლებიანი ერები და კოლონიები მათი ნედლეულით, სათბობით, სურსათით, ადამიანთა მასალის უდიდესი მარაგით ცნობილ უნდა იქნან იმპერიალიზმის ზურგად, რეზერვად.

ომი რომ მოიგო, საჭიროა არა მარტო გაიმარჯვო ფრონტზე, არამედ აგრეთვე გაარევოლუციურო მოწინააღმდეგის ზურგი, მისი რეზერვები. ამიტომ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს, თუ პროლეტარიატი შეძლებს თავისი საკუთარი რევოლუციური ბრძოლა შეახამოს არასრულუფლებიანი ერებისა და კოლონიების მშრომელი მასების განმათავისუფლებელ მოძრაობასთან იმპერიალისტების ძალაუფლების წინააღმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურისათვის. ეს «წვრილმანი» მხედველობიდან გამორჩათ II და II½ ინტერნაციონალის მოღვაწეებს, როდესაც მათ ნაციონალურ-კოლონიური საკითხი მოსწყვიტეს ძალაუფლების საკითხს დასავლეთში თანდათან მზარდი პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში.

მეოთხე მომენტია ნაციონალურ საკითხში ახალი ელემენტის შეტანა, — ესაა ერების ფაქტიური (და არა მარტო უფლებრივი) გათანასწორება (დახმარება, ხელისშეწყობა ჩამორჩენილი ერებისათვის, რათა ისინი ამაღლდნენ იმ ერების კულტურულ და სამეურნეო დონემდე, რომლებმაც მათ გაუსწრეს), როგორც ერთ-ერთი პირობა სხვადასხვა ერის მშრომელ მასებს შორის ძმური თანამშრომლობის დამყარებისა. II ინტერნაციონალის ეპოქაში ჩვეულებრივ «ნაციონალური თანასწორუფლებიანობის» აღიარებით კმაყოფილდებოდნენ. უკეთეს შემთხვევაში ასეთი თანასწორუფლებიანობის განხორციელების მოთხოვნას არ სცილდებოდნენ. მაგრამ ნაციონალური თანასწორუფლებიანობა, რომელიც თავისთავად მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური მონაპოვარია, შეიძლება ცარიელ სიტყვად დარჩეს, თუ არ არსებობს საკმარისი რესურსები და შესაძლებლობანი ამ მეტად მნიშვნელოვანი უფლების გამოსაყენებლად. უეჭველია, რომ ჩამორჩენილი ხალხების მშრომელ მასებს არ ძალუძთ გამოიყენონ «ნაციონალური

თანასწორუფლებიანობით» მათთვის მინიჭებული უფლებები იმდენად, რამდენადაც მათი გამოყენება შეუძლიათ მოწინავე ერების მშრომელ მასებს: აქ თავს იჩენს ზოგიერთი ერის მიერ წარსულისაგან მემკვიდრეობად მიღებული ჩამორჩენილობა (კულტურული, სამეურნეო), რომლის მოსპობა ერთ-ორ წელიწადში შეუძლებელია. ეს გარემოება იგრძნობა აგრეთვე რუსეთში, სადაც მთელმა რიგმა ხალხებმა ვერ მოასწრეს კაპიტალიზმის გავლა, ხოლო ზოგიერთებს სრულიად არ შეუდგამთ ფეხი კაპიტალიზმში, არა ჰყავთ ან თითქმის არა ჰყავთ თავისი პროლეტარიატი, სადაც, მიუხედავად უკვე განხორციელებული სრული ნაციონალური თანასწორუფლებიანობისა, ამ ეროვნებათა მშრომელ მასებს, თავისი კულტურული და სამეურნეო ჩამორჩენილობის გამო, არ ძალუძთ საკმარისად გამოიყენონ მათ მიერ მოპოვებული უფლებები. ეს გარემოება კიდევ უფრო მეტად იქნება საგრძნობი დასავლეთში პროლეტარიატის გამარჯვების «მეორე დღეს», როდესაც სცენაზე აუცილებლად გამოვლენ მრავალრიცხოვანი ჩამორჩენილი კოლონიები და ნახევრადკოლონიები, რომლებიც განვითარების სულ სხვადასხვა საფეხურზე დგანან. სწორედ ამიტომ საჭიროა, რომ მოწინავე ერების გამარჯვებული პროლეტარიატი დაეხმაროს, ნამდვილად და ხანგრძლივად დაეხმაროს ჩამორჩენილი ერების მშრომელ მასებს მათი კულტურული და სამეურნეო განვითარების საქმეში, რომ იგი დაეხმაროს მათ — ავიდნენ განვითარების უმაღლეს საფეხურზე, დაეწიონ წინწასულ ერებს. ასეთი დახმარების გარეშე შეუძლებელია მოგვარდეს სხვადასხვა ერთა და ხალხთა მშრომელების ის მშვიდობიანი თანაცხოვრება და ძმური თანამშრომლობა ერთიან მსოფლიო მეურნეობაში, რომლებიც ესოდენ საჭიროა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, ის, რომ არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მარტო «ნაციონალური თანასწორუფლებიანობით», რომ საჭიროა «ნაციონალური თანასწორუფლებიანობიდან» გადავიდეთ ერების ფაქტიური გათანასწორების ზომებზე, პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაზე, რათა:

1) შევისწავლოთ ჩამორჩენილი ერებისა და ხალხების სამეურნეო მდგომარეობა, ყოფა-ცხოვრება და კულტურა;

2) განვავითაროთ მათი კულტურა;

3) უზრუნველვყოთ მათი პოლიტიკური განათლება;

4) თანდათანობით და უმტკივნეულოდ ვაზიაროთ ისინი მეურნეობის უმაღლეს ფორმებს;

5) მოვაწესრიგოთ სამეურნეო თანამშრომლობა ჩამორჩენილი და მოწინავე ერების მშრომელებს შორის.

ასეთია ოთხი ძირითადი მომენტი, რაც ახასიათებს ნაციონალური საკითხის ახლებურად დაყენებას, რომელიც მოცემულია რუსი კომუნისტების მიერ.

1921 წ. 2 მაისი.

«პრავდა» № 98,
1921 წ. 8 მაისი.
ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

მისალმება მთიელ ქალთა პირველ ყრილობას [12]

გადაეცით ჩემი ძმური სალამი მთიელთა რესპუბლიკის [13] მშრომელ ქალთა პირველ ყრილობას. დიდად ვწუხვარ, რომ ავადმყოფობის გამო მოკლებული ვარ შესაძლებლობას დავესწრო ყრილობას.

ამხანაგო მთიელო ქალებო! კაცობრიობის ისტორიაში არც ერთი სერიოზული განმათავისუფლებელი მოძრაობა არ განვითარებულა ისე, რომ მასში ქალებს ახლო მონაწილეობა არ მიეღოთ, ვინაიდან ჩაგრული კლასის მიერ განთავისუფლების გზაზე გადადგმული ყოველი ნაბიჯი ამასთან ერთად ქალთა მდგომარეობის შემსუბუქებას წარმოადგენს. მონების ძველი დროის განმათავისუფლებელ მოძრაობას, ისევე როგორც ყმების ახალი დროის განმათავისუფლებელ მოძრაობას, თავის რიგებში ჰყავდა არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალებიც — მებრძოლნი და წამებულნი, რომლებმაც თავიანთი სისხლით აღბეჭდეს მშრომელთა საქმისადმი ერთგულება. ბოლოს, პროლეტარიატის ახლანდელმა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ— კაცობრიობის ყველა განმათავისუფლებელ მოძრაობათაგან ყველაზე ღრმამ და ძლიერმა — მოგვცა არა მარტო გმირი და წამებული ქალები, არამედ აგრეთვე, მასობრივი სოციალისტური მოძრაობა მილიონობით მუშა-ქალებისა,

რომელნიც ძლევამოსილად იბრძვიან საერთო პროლეტარული დროშის ქვეშ.

მუშა-ქალთა ამ მძლავრ მოძრაობასთან შედარებით ბურჟუაზიული ინტელიგენტი ქალების ლიბერალური მოძრაობა დროის გასატარებლად გამოგონილ ბავშვურ თამაშს წარმოადგენს.

დარწმუნებული ვარ, რომ მთიელ ქალთა ყრილობა თავის მუშაობას წითელი დროშის ქვეშ ჩაატარებს.

სტალინი

1921 წ. 17 ივნისი.

მთიელების საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის აღმოსავლეთის მშრომელ ქალთა I ყრილობის ბიულეტენი. ქ. ვლადიკავკაზი, 1921

რუსი კომუნისტების პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ

ბროშურის გეგმის მონახაზი

I

ტერმინების განსაზღვრა და გამოკვლევის საგანი

1) **პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის მოქმედების ფარგლები, მათი გამოყენების არე.** თუ ვაღიარებთ, რომ პროლეტარიატის მოძრაობას ორი მხარე აქვს, ობიექტური და სუბიექტური, მაშინ სტრატეგიისა და ტაქტიკის მოქმედების არე უეჭველად იფარგლება მოძრაობის სუბიექტური მხარით. **ობიექტური** მხარე არის განვითარების ის პროცესები, რომლებიც ხდება პროლეტარიატის გარეთ და ირგვლივ ამ უკანასკნელისა და მისი პარტიის ნებისაგან დამოუკიდებლად, პროცესები, რომლებიც საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავენ მთელი საზოგადოების განვითარებას. **სუბიექტური** მხარე არის ის პროცესები, რომლებიც ხდება პროლეტარიატის შიგნით როგორც პროლეტარიატის ცნობიერებაში ობიექტური პროცესების ასახვა, პროცესები, რომლებიც აჩქარებენ ან აყოვნებენ მათს მსვლელობას, მაგრამ სრულიადაც არ განსაზღვრავენ მათ.

2) მარქსიზმის **თეორია** შეისწავლის, უწინარეს ყოვლისა, ობიექტურ პროცესებს მათს განვითარებასა და

კვდომაში და განსაზღვრავს განვითარების ტენდენციას, მიუთითებს ამა თუ იმ კლასზე ან კლასებზე, რომლებიც გარდუვალად მიდიან ძალაუფლებისაკენ ან რომლებიც გარდუვალად ეცემიან, უნდა დაეცნენ.

3) მარქსიზმის **პ რ ო გ რ ა მ ა** თეორიის დასკვნებს ემყარება და განსაზღვრავს აღმავალი კლასის, ამ შემთხვევაში პროლეტარიატის, მოძრაობის მიზნებს კაპიტალიზმის განვითარების გარკვეული პერიოდისათვის ან მთელი კაპიტალისტური პერიოდისათვის (პროგრამა-მინიმუმი და პროგრამა-მაქსიმუმი).

4) **ს ტ რ ა ტ ე გ ი ა**, ხელმძღვანელობს რა პროგრამის მითითებებით და ეყრდნობა რა შინაგანი (ნაციონალური) და საერთაშორისო მებრძოლი ძალების გათვალისწინებას, განსაზღვრავს იმ **ს ა ე რ თ ო გ ზ ა ს**, იმ **ს ა ე რ თ ო მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ს**, რომლითაც უნდა წარიმართოს პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობა რაც შეიძლება მეტი შედეგების მიღწევის თვალსაზრისით ძალთა იმ თანაფარდობისას, რომელიც იქმნება და ვითარდება. ამის შესაბამისად სტრატეგია სახავს სოციალურ ფრონტზე პროლეტარიატისა და მისი მოკავშირეების ძალთა განლაგების სქემას (**ს ა ე რ თ ო ნ ა ს ტ ი ლ ო კ ა ც ი ა**). ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ «ძალთა განლაგების სქემის დასახვა» და თვით (კონკრეტულ-პრაქტიკული) მუშაობა ძალთა განლაგებაგანაწილებისათვის, რასაც ტაქტიკა და სტრატეგია ერთად ეწევიან. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს სტრატეგია იფარგლებოდეს გზის განსაზღვრით და პროლეტარიატის ბანაკში მებრძოლ ძალთა განლაგების სქემის დასახვით, პირიქით, იგი წარმართავს ბრძოლას და შეიტანს კორექტივებს მიმდინარე ტაქტიკაში შემობრუნების მთელი პერიოდისათვის, ამასთან მოხერხებულად იყენებს თავის განკარგულებაში არსებულ რეზერვებს და ახდენს მანევრირებას ტაქტიკისათვის ხელშეწყობის მიზნით.

5) **ტაქტიკა** ხელმძღვანელობს სტრატეგიის მითითებებით და როგორც თავისი საკუთარი ქვეყნის, ისე მეზობელი ქვეყნების რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებით, ითვალისწინებს ყოველ მოცემულ მომენტში ძალთა მდგომარეობას როგორც პროლეტარიატისა და მისი მოკავშირეების შიგნით (მეტი თუ ნაკლები კულტურულობა, მეტი თუ ნაკლები ორგანიზებულობა და შეგნებულობა, ამა თუ იმ ტრადიციის არსებობა, მოძრაობის ამა თუ იმ ფორმის, ორგანიზაციის ფორმების — **ძირითადი** და **დამხმარე** ფორმების არსებობა), ისე მოწინააღმდეგის ბანაკში, ამასთან იყენებს მოწინააღმდეგის ბანაკში შემჩნეულ მოუწესრიგებლობას და ყოველგვარ დაბნეულობას, და სახავს ისეთ **კონკრეტულ გზებს** რევ. პროლეტარიატის მხარეზე ფართო მასების გადმოსაყვანად და სოციალური ფრონტის საბრძოლო პოზიციებთან მათ მისაყვანად (ძალთა განლაგების **იმ სქემის** შესასრულებლად, რაც დასახულია სტრატ. გეგმის საფუძველზე), რომლებიც ყველაზე უფრო უტყუარად ამზადებენ სტრატეგიის წარმატებებს. ამის შესაბამისად იძლევა ან ცვლის იგი პარტიის ლოზუნგებსა და დირექტივებს.

6) **სტრატეგია** იცვლება ისტორიულ შემობრუნებათა, გარდატეხათა მომენტებში, იგი მოიცავს პერიოდს ერთი შემობრუნებიდან (გარდატეხიდან) მეორემდე, ამიტომ წარმართავს მოძრაობას გარკვეული საერთო მიზნისაკენ, რომელიც მოიცავს პროლეტარიატის მთელი ამ პერიოდის ინტერესებს, იგი ცდილობს **მოიგოს** კლასებს შორის წარმოებული **ომი**, რომელიც ადავსებს მთელ ამ პერიოდს, რის გამო სტრატეგია უცვლელი რჩება ამ პერიოდის განმავლობაში.

ტაქტიკა კი, პირიქით, განისაზღვრება აზვირთებითა და შენელებით ამა თუ იმ შემობრუნების, ამა თუ იმ

სტრატეგ. პერიოდის საფუძველზე, მებრძოლი ძალების თანაფარდობით, ბრძოლის (მოძრაობის) ფორმებით, მოძრაობის **ტემპით**, ბრძოლის სარბიელით ყოველ მოცემულ მომენტში, ყოველ მოცემულ რაიონში, და რადგან ეს ფაქტორები იცვლებიან ადგილისა და დროის პირობების მიხედვით ერთი შემობრუნებიდან მეორემდე განვლილი ხნის მანძილზე, ამიტომ ტაქტიკა, რამდენადაც იგი მოიცავს არა მთელ ომს, არამედ მის მხოლოდ ცალკეულ ბრძოლებს, რომლებსაც შედეგად მოსდევს ომის ან მოგება ან წაგება, იცვლება (შეიძლება შეიცვალოს) რამდენიმეჯერ მთელი სტრატეგიული პერიოდის განმავლობაში. სტრატეგიული პერიოდი ტაქტიკურზე უფრო გრძელია. ტაქტიკა დაქვემდებარებულია სტრატეგიის ინტერესებისადმი. ტაქტიკური წარმატებანი, საერთოდ რომ ითქვას, ამზადებენ სტრატეგიის წარმატებებს. ტაქტიკის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ისე გაუძღვეს მასას საბრძოლველად, მოგვცეს ისეთი ლოზუნგები, ისე მიიყვანოს მასები ახალ პოზიციებთან, რომ ბრძოლამ საერთო ჯამით მოგვცეს ომის მოგება, ე. ი. სტრატეგიული წარმატება. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ტაქტიკური წარმატება არყევს ან გვაშორებს სტრატეგიულ წარმატებას, რის გამო ასეთ შემთხვევაში არ უნდა გამოვეძებნოთ ტაქტიკურ წარმატებას.

მაგალითი. ჩვენი აგიტაცია ომის წინააღმდეგ მუშათა და ჯარისკაცთა შორის 1917 წლის დასაწყისში, კერენსკის დროს, უეჭველად ტაქტიკურ მინუსს იძლეოდა, ვინაიდან მასა ტრიბუნიდან ჩამოათრევდა ხოლმე ჩვენს ორატორებს, სცემდა მათ, ზოგჯერ, ნაკუწ-ნაკუწ გლეჯდა, მასა კი არ ეტანებოდა პარტიას, არამედ უკუიქცეოდა მისგან. მაგრამ ეს აგიტაცია, მისი ტაქტიკური წარუმატებლობის მიუხედავად, აახლოებდა დიდ სტრატეგიულ წარმატებას, რადგან მასები მალე მიხვდნენ, რომ ჩვენი აგიტაცია ომის

წინააღმდეგ სწორი იყო, ამან კი შემდეგ დააჩქარა და გააადვილა პარტიის მხარეზე მათი გადმოსვლა.

ან კიდევ. კომინტერნის მოთხოვნა — გავემიჯნოთ რეფორმისტებსა და ცენტრისტებს 21 პირობის [14] შესასრულებლად, რაც უეჭველად შეიცავს ერთგვარ ტაქტიკურ მინუსს, ვინაიდან შეგნებულად ამცირებს კომინტერნის «მომხრეთა» რაოდენობას და დროებით ასუსტებს კომინტერნს, მაგრამ სამაგიეროდ იწვევს დიდ სტრატეგიულ პლუსს არასაიმედო ელემენტებისაგან კომინტერნის გაწმენდის გამო, რასაც უეჭველად მოჰყვება კომინტერნის განმტკიცება, მისი შინაგანი კავშირის გაძლიერება, ე. ი. საერთოდ მისი ძლიერების გაზრდა.

7) **აგიტაციის ლოზუნგი** და **მოქმედების** ლოზუნგი. მათი ერთმანეთში არევა შეუძლებელია, სახიფათოა. ლოზუნგი «მთელი ძალაუფლება საბჭოებს» იყო **აგიტაციის** ლოზუნგი 1917 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე გასულ პერიოდში; ოქტომბერში იგი გახდა **მოქმედების** ლოზუნგი მას შემდეგ, რაც პარტიის ც. კ-მა ოქტომბრის დამდეგს (10.X) მიიღო გადაწყვეტილება «ძალაუფლების დაპყრობის» შესახებ. ბაგდატიევის ჯგუფმა პიტერში თავის გამოსვლისას აპრილში დაუშვა ლოზუნგების ასეთი აღრევა.

8) **დირექტივა** (ზოგადი) არის პარტიისათვის სავალდებულო პირდაპირი მოწოდება მოქმედებისათვის **ამა და ამ დროს, ამა და ამ ადგილას.** თუ ლოზუნგი «მთელი ძალაუფლება საბჭოებს» **პროპაგანდის** ლოზუნგი იყო აპრილის დამდეგს («თეზისები» [15]), ივნისში ის იქცა **აგიტაციის** ლოზუნგად, ხოლო ოქტომბერში (10.X) იქცა **მოქმედების** ლოზუნგად, ოქტომბრის დამლევს კი იქცა პირდაპირ **დირექტივად.** მე ვლაპარაკობ მთელი პარტიისათვის საერთო დირექტივაზე და ვგულისხმობ,

რომ საერთო დირექტივის განსავითარებლად უნდა იყოს კიდევ ადგილობრივი დირექტივები.

9) **წვრილი ბურჟუაზიის მერყეობა** განსაკუთრებით პოლიტიკური კრიზისების გამწვავებისას (გერმანიაში რეიხსტაგის არჩევნების დროს, რუსეთში კერენსკის დროს აპრილში, ივნისსა და აგვისტოში, აგრეთვე რუსეთში 1921 წელს კრონშტადტის დროს [10]), რაც გულდასმით უნდა შევისწავლოთ, გამოვიყენოთ, გავითვალისწინოთ, მაგრამ რის აყოლა საშიშია, დამღუპველია პროლეტარიატის საქმისათვის. არ შეიძლება ასეთი მერყეობის საფუძველზე შევცვალოთ აგიტაციის ლოზუნგები, მაგრამ შეიძლება, ზოგჯერ საჭიროცაა შევცვალოთ ან გადავდოთ ესა თუ ის **დირექტივა,** იქნებ **(მოქმედების)** ლოზუნგიც. ტაქტიკის შეცვლა «24 საათში» სწორედ იმას ნიშნავს, რომ შეცვალო **დირექტივა** ან **მოქმედების ლოზუნგიც** კი, მაგრამ სრულიადაც არა აგიტაციის ლოზუნგი. (იხ. 1917 წლის 9 ივნისს დემონსტრაციის მოწყობაზე უარისთქმა და სხვა ამგვარი ფაქტები).

10) **სტრატეგისა** და **ტაქტიკოსის** ოსტატობა იმაში მდგომარეობს, რომ მოხერხებულად დათავის დროზე აქციოს აგიტაციის ლოზუნგი მოქმედების ლოზუნგად, მოქმედების ლოზუნგიც აგრეთვე თავის დროზე და მოხერხებულად ჩამოასხას გარკვეულ კონკრეტულ **დირექტივებად.**

II

ისტორიული შემოწმებანი რუსეთის განვითარებაში

1) **შემობრუნება 1904—1905 წლებში** (**რუსეთ-იაპონიის** ომმა გამოააშკარავა, ერთი მხრივ, თვითმპყრობელობის მთელი სისუსტე, მეორე მხრივ — პროლეტარული და გლეხური მოძრაობის ძლიერება) და

ლენინის «ორი ტაქტიკა»[17] როგორც შემობრუნების შესაბამისი სტრატეგიული გეგმა მარქსისტებისა. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისაკენ შემობრუნება. **(ამაშია შემობრუნების დედაარსი).** არა ბურჟუაზიულ-ლიბერალური გარიგება ცარიზმთან კადეტების ჰეგემონიით, არამედ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია პროლეტარიატის ჰეგემონიით. **(ამაშია სტრატეგიული გეგმის დედაარსი).** ეს გეგმა გამომდინარეობდა იქიდან, რომ რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ბიძგს მისცემდა სოციალისტურ მოძრაობას დასავლეთში, ხელ-ფეხს გაუხსნიდა იქ რევოლუციას და გააადვილებდა რუსეთის გადასვლას ბურჟუაზიული რევოლუციიდან სოციალისტური რევოლუციისაკენ (იხ. აგრეთვე პარტიის III ყრილობის ოქმები, ლენინის მიერ ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვები[18], აგრეთვე დიქტატურის ცნების ანალიზი როგორც ყრილობაზე, ისე ბროშურაში «კადეტების გამარჯვება»[19]). **მებრძოლი ძალების, როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ძალების, აუცილებელი გათვალისწინება და საერთოდ შემობრუნების პერიოდის ეკონომიკისა და პოლიტიკის ანალიზი.** თებერვლის რევოლუციამ დაამთავრა ეს პერიოდი «ორი ტაქტიკის» სტრატ. გეგმის სულ ცოტა ორი მესამედის განხორციელებით.

2) **შემობრუნება 1917 წ. თებერვალ—მარტში საბჭოთა რევოლუციისაკენ** (იმპერიალისტურმა ომმა, რომელმაც მილეწ-მოლეწა თვითმპყრობელური წესწყობილება, ცხადყო კაპიტალიზმის სრული უმწეობა, გამოააშკარავა სოციალისტური გადატრიალების, როგორც კრიზისიდან ერთადერთი გამოსავალის, პირდაპირი გარდუვალობა).

განსხვავება, ერთი მხრივ, ხალხის, ბურჟუაზიისა და ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის მიერ მოხდენილ «დიდე-

ბულ» თებერვ. რევოლუციასა (საერთაშორისო მხრივ ამ რევოლუციას, რამდენადაც მან ძალაუფლება კადეტებს გადასცა, არავითარი ცოტაოდენ მაინც სერიოზული ცვლილება არ შეუტანია მდგომარეობაში, ვინაიდან იგი ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის პოლიტიკის განგრძობა იყო), ხოლო მეორე მხრივ — ოქტომბრის რევოლუციას შორის, რომელმაც ყველაფერი გადააბრუნა.

ლენინის «თეზისები», როგორც ახალი შემობრუნების შესაბამისი სტრატეგიული გეგმა. პროლეტარიატის დიქტატურა როგორც გამოსავალი. ეს გეგმა ემყარება იმას, რომ **«დავიწყებთ სოციალისტურ რევოლუციას რუსეთში, დავამხობთ ჩვენს საკუთარ ბურჟუაზიას, ამრიგად ხელ-ფეხს გავუხსნით რევოლუციას დასავლეთში, შემდეგ კი დასავლეთელი ამხანაგები დაგვეხმარებიან — ბოლომდე მივიყვანოთ ჩვენი რევოლუცია»**. შემობრუნების ამ პერიოდის როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ეკონომიკისა და პოლიტიკის სავალდებულო ანალიზი («ორხელისუფლებიანობის» პერიოდი, კოალიციური კომბინაციები, კორნილოვშჩინა, როგორც კერენშჩინის სიკვდილის ნიშანი, მღელვარება დასავლეთის ქვეყნებში ომით უკმაყოფილების ნიადაგზე).

3) **შემობრუნება 1917 წ. ოქტომბერში** (შემობრუნება არა მარტო რუსეთის, არამედ **მსოფლიო** ისტორიაშიც), პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება რუსეთში (1917 წ. ოქტომბერი — ნოემბერი — დეკემბერი და 1918 წ. პირველი ნახევარი), **როგორც მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო სოციალური ფრონტის გარღვევა, რითაც იწყება შემობრუნება კაპიტალიზმის ლიკვიდაციისა და სოციალისტური წესწყობილების დამყარებისაკენ მსოფლიო მასშტაბით**, და როგორც ხანა, რომლითაც

დაიწყო სამოქალაქო ომი იმპერიალისტური ომის ნაცვლად (დეკრეტი ზავის შესახებ, დეკრეტი მიწის შესახებ, დეკრეტი ეროვნებათა შესახებ, საიდუმლო ხელშეკრულებათა გამოქვეყნება, სამშენებლო მუშაობის პროგრამა, **ლენინის** მიერ საბჭოების II ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვები [20], **ლენინის** ბროშურა «საბჭოთა ხელისუფლების ამოცანა» [21], ეკონომიური მშენებლობა).

გატარდეს ყოველმხრივი ანალიზი იმ განსხვავებისა, რომელიც არსებობს ძალაუფლების მოკლებულ ი, ოპოზიციაში მყოფი კომუნიზმის სტრატეგიასა და ტაქტიკასა და ხელისუფლების სათავეში მდგომი კომუნიზმის სტრატეგიასა და ტაქტიკას შორის.

საერთაშორ. ვითარება: ორი იმპერიალისტური ხროვის ომი, რომელიც გრძელდება, როგორც რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების არსებობისა და განვითარების ხელსაყრელი პირობა (ბრესტის ზავის დადების შემდეგ).

4) **ინტერვენტების წინააღმდეგ საომარი მოქმედებისკურსი (1918 წ. ზაფხული — 1920 წ. დამლევი)**, რომელიც დაიწყო მშვიდობიანი მშენებლობის მოკლე პერიოდის შემდეგ, ე. ი. ბრესტის ზავის შემდეგ. ეს კურსი დაიწყო ბრესტის ზავის შემდეგ, რომელმაც ასახა საბჭოთა რუსეთის სამხედრო სისუსტე და აშკარად დაგვანახა რუსეთში წითელი არმიის, როგორც საბჭოთა რევოლუციის ძირითადი დასაყრდენის, შექმნის აუცილებლობა. ჩეხოსლოვაკების გამოსვლამ, ანტანტის ჯარების მიერ მურმანსკის, არხანგელსკის, ვლადივოსტოკის, ბაქოს ოკუპაციამ, ანტანტის მიერ საბჭოთა რუსეთისათვის ომის გამოცხადებამ, — ყოველივე ამან საბოლოოდ განსაზღვრა **შემობრუნება ახლად დაწყებული მშვიდობიანი მშენებლობიდან საომარი**

ოპერაციებისაკენ, შინაური და გარეშე მტრების თავდასხმათაგან მსოფლიო რევოლუციის კერის დაცვისაკენ. (ლენინის სიტყვები ბრესტის ზავის შესახებ და სხვ.). რადგან სოციალური რევოლუცია დიდხანს გვალოდინებს და ჩვენ, განსაკუთრებით ზემოალნიშნული რაიონების ოკუპაციის შემდეგ, რასაც დასავლეთის პროლეტარების მხრივ სერიოზული პროტესტი არ გამოუწვევია, ჩვენს ანაბარად ვართ დარჩენილნი, — იძულებული ვხდებით დავდოთ ბრესტის სამარცხვინო ზავი, რათა სული მოვითქვათ ჩვენი საკუთარი წითელი არმიის შესაქმნელად და ჩვენი საკუთარი ძალებით დავიცვათ საბჭოთა რესპუბლიკა.

«ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი რესპუბლიკის დაცვისათვის». აქედან — თავდაცვის საბჭოს შექმნა და სხვ. ეს არის სამხედრო პერიოდი, რომელმაც თავისი ბეჭედი დაასვა რუსეთის მთელ საშინაო და საგარეო ცხოვრებას.

5) **მშვიდობიანი მშენებლობის კურსი 1921 წლის დასაწყისიდან,** ვრანგელის განადგურების შემდეგ, ზავი მთელ რიგ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან, ხელშეკრულება ინგლისთან და სხვ.

ომი დამთავრდა, მაგრამ რადგან დასავლეთელ სოციალისტებს ჯერ კიდევ არ ძალუძთ დაგვეხმარონ ჩვენი მეურნეობის აღდგენაში, ჩვენ, რაკი ეკონომიურად გარემოცული ვართ მრეწველობის მხრივ უფრო განვითარებული ბურჟუაზიული სახელმწიფოებით, იძულებული ვხდებით დავდოთ კონცესიები, სავაჭრო ხელშეკრულებანი ცალკეულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან და საკონცესიო ხელშეკრულებანი ცალკეულ კაპიტალისტურ ჯგუფებთან, ჩვენ ამ (სამეურნეო) დარგშიც ჩვენი თავის ანაბარად ვართ დარჩენილი, იძულებული ვართ თავი დავიძვრინოთ. **ყველაფერი სახალხო მეურნეობის აღდენი-**

სათვის. (იხ. **ლენინის** ცნობილი სიტყვები და ბროშურები). თავდაცვის საბჭოს გარდაქმნა შრომისა და თავდაცვის საბჭოდ.

6) პარტიის განვითარების ეტაპები 1917 წლამდე:

ა) **ძირითადი ბირთვის, განსაკუთრებით «ისკრის» ჯგუფის** და სხვ. **ჩამოყალიბება.** ბრძოლა ეკონომიზმთან. კრედო [22].

ბ) **პარტიული კადრების შექმნა** როგორც მთელი რუსეთის მასშტაბით მომავალი მუშათა პარტიის საფუძვლისა (1895 — 1903). პარტიის II ყრილობა.

გ) **კადრების გაშლა მუშათა პარტიად** და მისი შევსება ახალი პარტიული მობილიზებული მუშაკებით პროლეტარული მოძრაობის მსვლელობაში (1903 — 1904 წწ.). პარტიის III ყრილობა.

დ) **მენშევიკების ბრძოლა პარტიულ კადრებთან უპარტიო მასაში ამ კადრების გათქვეფისათვის** («მუშათა ყრილობა») და ბოლშევიკების ბრძოლა პარტიული კადრების, როგორც პარტიულობის საფუძვლის, შენარჩუნებისათვის. ლონდონის ყრილობა და «მუშათა ყრილობის» მომხრეთა დამარცხება.

ე) **ლიკვიდატორები და პარტიელები.** ლიკვიდატორების დამარცხება (1908 — 1910 წწ.).

ვ) 1908 — 1916 წწ. ჩათვლით. მუშაობის **არალეგალური და ლეგალური ფორმების შეთავსების პერიოდი** და პარტიული ორგანიზაციების ზრდა მუშაობის ყველა სფეროში.

7) კომპარტია როგორც **მახვილოსანთა** თავისებური ორდენი საბჭოთა სახელმწიფოს შიგნით, რომელიც წარმართავს ამ უკანასკნელის ორგანოებს და ასულდგმულებს მათს საქმიანობას.

ძველი გვარდიის მნიშვნელობა ამ ძლიერი ორდენის შიგნით. **ძველი გვარდიის შევსება** უკანასკნელი სამი-ოთხი წლის განმავლობაში გამოწრთობილი ახალი მუშაკებით.

მართალი იყო თუ არა ლენინი, როცა ის **შეურიგებელ ბრძოლას** აწარმოებდა **შემარიგებლებთან?** დიახ, მართალი იყო, ვინაიდან უამისოდ პარტია დონდლო მასად გადაიქცეოდა და ორგანიზმი კი არ იქნებოდა, არამედ სხვადასხვაგვარი ელემენტების კონგლომერატი, პარტია მოკლებული იქნებოდა იმ შინაგან შეკავშირებულობასა და დარაზმულობას, იმ უმაგალითო დისციპლინასა და უნახავ მოქნილობას, ურომლისოდ იგი და მისი ხელმძღვანელობით მოქმედი საბჭოთა ხელისუფლება ვერ გაუმკლავდებოდნენ მსოფლიო იმპერიალიზმს. **«პარტია მტკიცდება იმით, რომ წმენდს თავის თავს»**, —სამართლიანად ამბობს ლასალი. უწინარეს ყოვლისა ხარისხი, შემდეგ კი რაოდენობა.

8) კითხვა იმის შესახებ, საჭიროა თუ არ არის საჭირო პროლეტარიატის პარტია და რა როლს ასრულებს უკანასკნელი. პარტია არის პროლეტარიატის მეთაურთა შემადგენლობა და შტაბი, რომელიც ხელმძღვანელობს პროლეტარიატის ბრძოლის ყველა ფორმას ბრძოლის ყველა დარგში უკლებლივ და ერთ მთელად აერთიანებს ბრძოლის სხვადასხვაგვარ ფორმას. იმის თქმა, რომ კომპარტია საჭირო არ არის, ნიშნავს იმის თქმას, რომ პროლეტარიატმა იბრძოლოს უშტაბოდ, ხელმძღვანელი ბირთვის უყოლად, რომელიც სპეციალურად შეისწავლის ბრძოლის პირობებს და შეიმუშავებს ბრძოლის მეთოდებს, ნიშნავს იმის თქმას, რომ სჯობია უშტაბოდ იომო, ვიდრე შტაბის ხელმძღვანელობით, რაც სისულელეა.

III

საკითხები

1) **თვითმპყრობელობის როლი რუსეთ-იაპონიის ომამდე და ამ ომის შემდეგ.** რუსეთ-იაპონიის ომმა გამოააშკარავა რუსეთის თვითმპყრო-

ბელობის მთელი სიდამპლე და სისუსტე. 1905 წლის ოქტომბრის წარმატებითმა საერთო პოლიტიკურმა გაფიცვამ სავსებით ცხადი გახადა ეს სისუსტე (თიხისფეხებიანი ბუმბერაზი). შემდეგ, 1905 წელმა გამოააშკარავა არა მარტო თვითმპყრობელობის სისუსტე, ლიბერალური ბურჟუაზიის უმწეობა და რუსეთის პროლეტარიატის ძლიერება, არამედ აგრეთვე გააქარწყლა წინათ გავრცელებული გაცვეთილი აზრი, რომ რუსეთის თვითმპყრობელობა ევროპის ჟანდარმს წარმოადგენს, რომ მას თითქოს **ძალუძს იყოს** ევროპის ჟანდარმი. ფაქტებმა ცხადყვეს, რომ რუსეთის თვითმპყრობელობას არ ძალუძს მოერიოს თავის მუშათა კლასსაც კი ევროპის კაპიტალის დაუხმარებლად. ვიდრე რუსეთის მუშათა კლასს ეძინა, ხოლო რუსი გლეხობა არ ინძრეოდა და მამა-მეფის რწმენას ინარჩუნებდა, რუსეთის თვითმპყრობელობას მართლაც ჰქონდა შესაძლებლობა ევროპის ჟანდარმი ყოფილიყო, მაგრამ 1905 წელმა და უწინარეს ყოვლისა 1905 წ. 9 იანვრის სროლამ გამოაღვიძეს რუსი პროლეტარიატი, ხოლო იმავე წლის აგრარულმა მოძრაობამ შეარყია გლეხის რწმენა მეფისადმი. ახლა ევროპული კონტრრევოლუციის სიმძიმის ცენტრმა გადაინაცვლა რუსი მემამულეებიდან ინგლისელი და ფრანგი ბანკირ-იმპერიალისტებისაკენ. გერმანელი ს.-დ-ები, რომლებიც ცდილობდნენ 1914 წელს პროლეტარიატისადმი თავიანთი ღალატი რუსეთის თვითმპყრობელობასთან, როგორც ევროპის ჟანდარმთან, ომის პროგრესულობაზე მითითებით გაემართლებინათ, ნამდვილი რომ ითქვას, წარსულის აჩრდილით თამაშობდნენ, რასაკვირველია, თაღლითურად თამაშობდნენ, — ვინაიდან ევროპის ნამდვილი ჟანდარმები, რომლებსაც საკმაო ძალები და საშუალებანი მოეპოვებოდათ იმისათვის, რომ ჟანდარმები ყოფილიყვნენ, პეტროგრადში კი არ ისხდნენ, არამედ ბერლინში, პარიზში, ლონდონში.

ახლა ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ევროპას რუსეთში შემოაქვს არა მარტო სოციალიზმი, არამედ კონტრრევოლუციაც მეფისათვის სესხების მიცემის და სხვ. სახით, ხოლო რუსეთს ევროპაში, გარდა პოლიტიკური ემიგრანტებისა, შეაქვს რევოლუცია. (რუსეთმა 1905 წელს ევროპაში შეიტანა საერთო გაფიცვა მაინც, როგორც პროლეტარიატის ბრძოლის საშუალება).

2) **«ნაყოფის სიმწიფის»** შესახებ. როგორ უნდა განისაზღვროს რევოლუციურ აფეთქებათა მომენტის დადგომა?

როდის შეიძლება ითქვას, რომ «ნაყოფი მომწიფდა», მოსამზადებელი პერიოდი დამთავრდა და შეიძლება მოქმედების დაწყება?

—— ა) როცა მასების რევოლუციური განწყობილება ჩქეფს და გადმოჩქეფს, ხოლო ჩვენი **მოქმედების ლოზუნგები** და **დირექტივები** მასების მოძრაობას ჩამორჩებიან (იხ. **ლენინის** «სათათბიროში მონაწილეობისათვის», 1905 წ. ოქტომბრის წინა პერიოდი), როცა ჩვენ ძლივს და არა ყოველთვის მოხერხებულად ვაკავებთ მასებს, მაგალითად, პუტილოველთა და მეტყვიამფრქვეველთა 1917 წ. ივლისის გამოსვლის დროს (იხ. აგრეთვე **ლენინი** «...საყმაწვილო სენი...» [23]);

—— ბ) როცა დაურწმუნებლობამ და დაბნეულობამ, დაშლამ და რღვევამ მოწინააღმდეგის ბანაკში უმაღლეს წერტილს მიაღწიეს, როცა მოწინააღმდეგის ბანაკიდან გამოქცეულთა და განდგომილთა რაოდენობა დღეობით კი არა, საათობით იზრდება, როცა ეგრეთწოდებული ნეიტრალური ელემენტები, ქალაქისა და სოფლის მთელი ეს წვრილბურჟუაზიული მრავალმილიონიანი მასა გარკვეულად იწყებს მოწინააღმდეგის მიმართ (თვითმპყრობელობისა თუ ბურჟუაზიის მიმართ) ზურგის შექცევას და ეძებს პროლეტარიატთან კავშირს, როცა ყოველივე ამის მეოხებით

მტრის მმართველობის აპარატები დათრგუნვის აპარატებთან ერთად მოქმედებას წყვეტენ, მოიშლებიან, უვარგისი ხდებიან და სხვ., რითაც გზას უხსნიან პროლეტარიატის დაპყრობითს უფლებას;

—— გ) როცა ორივე ეს მომენტი (პუნქტები ა და ბ) დროის მხრივ ერთმანეთს დაემთხვევა, რაც ჩვეულებრივ ხდება კიდევაც სინამდვილეში.

ზოგი ფიქრობს, საკმარისია დაადგინო ხელისუფლების სათავეში მდგომი კლასის კვდომის **ობიექტური** პროცესი, რომ იერიში დაიწყოო. მაგრამ ეს მართალი არ არის. საჭიროა, გარდა ამისა, რათა მომზადებული იყოს იერიშების წარმატებისათვის საჭირო **სუბიექტური** პირობებიც. სტრატეგიისა და ტაქტიკის ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოხერხებულად და დაუგვიანებლივ შეუფარდო იერიშების სუბიექტური პირობების მოსამზადებელი მუშაობა გაბატონებული კლასის ხელისუფლების კვდომის ობიექტურ პროცესებს.

3) **მომენტის შერჩევა.** მომენტის შერჩევა, რამდენადაც დარტყმის მომენტს მოვლენები კი არ მოგვახვევენ თავს, არამედ მართლაც შეარჩევს პარტია, თავისი ხელსაყრელი გადაწყვეტისათვის ორ პირობას გულისხმობს: ა) «ნაყოფის სიმწიფის» და ბ) იმას, რომ არსებობდეს რაიმე თვალსაჩინო მოვლენა, მთავრობის აქტი ან რაიმე ადგილობრივი ხასიათის სტიქიური გამოსვლა, როგორც **შესაფერისი,** ფართო მასებისათვის გასაგები **საბაბი** იერიშის დასაწყებად, იერიშის მისატანად. ამ ორი პირობის დაუცველობას შეიძლება ის შედეგი მოჰყვეს, რომ დარტყმა არათუ არ იქნეს მოწინააღმდეგეზე თანდათან მზარდი და თანდათან გაძლიერებული საერთო იერიშების ამოსავალი პუნქტი, არათუ არ გაიშალოს თავზარდამცემ შემმუსვრელ დარტყმად (და, ნამდვილი რომ ითქვას, სწორედ ამაში

მდგომარეობს მომენტის მარჯვედ შერჩევის აზრი და დანიშნულება), არამედ, პირიქით, შეიძლება გადაგვარდეს სასაცილო პუტჩად, რომელიც სასურველი და ხელსაყრელია მთავრობისათვის და საერთოდ მოწინააღმდეგისათვის, თავისი პრესტიჟის აწევის მიზნით, და რომელიც შეიძლება გადაიქცეს პარტიის განადგურების ან, ყოველ შემთხვევაში, მისი დემორალიზაციის საბაბად და ამოსავალ პუნქტად. მაგ., ც. კ-ის ერთი ნაწილის წინადადება დემოკრატ. თათბირის [24] დაპატიმრების შესახებ, რაც უარყო ც. კ-მა, როგორც ისეთი წინადადება, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა (**სრულებით** ვერ აკმაყოფილებდა) მეორე მოთხოვნას (იხ. ზემოთ), შეუფერებელი იყო მომენტის შერჩევის თვალსაზრისით.

საერთოდ უნდა ვერიდოთ, რომ პირველი დარტყმა (მომენტის შერჩევა) პუტჩად არ გადაიქცეს, რისთვისაც საჭიროა ორი ზემოალნიშნული პირობის მტკიცედ დაცვა.

4) **«ძალთა გამოცდა».** ზოგჯერ პარტია, როცა ჩაატარებს მოსამზადებელ მუშაობას გადამწყვეტი გამოსვლებისათვის და, როგორც მას ჰგონია, დააგროვებს საკმაო რეზერვებს, საჭიროდ თვლის მოახდინოს სასინჯი გამოსვლა, მოსინჯოს მოწინააღმდეგის ძალები, შეამოწმოს თავისი ძალების საბრძოლო მზადყოფნა, ამასთან ძალთა ასეთ გამოცდას პარტია მიმართავს ან შეგნებულად, საკუთარი არჩევით (1917 წ. 10 ივნისისათვის განზრახული დემონსტრაცია, რომელიც შემდეგ გადადებულ და შეცვლილ იქნა იმავე წლის 18 ივნისის დემონსტრაციით), ან თავს ახვევს მას ვითარება, მოწინააღმდეგე მხარის ნაადრევი გამოსვლა და საერთოდ რაიმე გაუთვალისწინებელი მოვლენა (კორნილოვის გამოსვლა 1917 წლის აგვისტოში და კომპარტიის საპასუხო კონტრგამოსვლა, რომელიც ძალთა საუცხოო გამოცდა იყო). «ძალთა გამოცდა» არ შეიძლება უბრალო დემონ-

სტრაციად, სამაისო დემონსტრაციის მსგავს რამედ ჩაითვალოს, ამიტომ ძალთა გამოცდა არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას როგორც **ძალთა** უბრალო **აღრიცხვა,** იგი თავისი ხვედრითი წონით და შესაძლო შედეგებით უეჭველად მეტია, ვიდრე უბრალო დემონსტრაცია, თუმცა ნაკლებია, ვიდრე აჯანყება, იგი რაღაც საშუალოა დემონსტრაციასა და აჯანყებასა ან საერთო გაფიცვას შორის. ხელსაყრელ პირობებში იგი შეიძლება განვითარდეს პირველ დარტყმად (მომენტის შერჩევა), აჯანყებად (ჩვენი პარტიის გამოსვლა ოქტომბრის დამლევს), არახელსაყრელ პირობებში კი მან შეიძლება პარტია პირდაპირი განადგურების მუქარის წინაშე დააყენოს (1917 წ. 3 — 4 ივლისის დემონსტრაცია). ამიტომ ყველაზე უფრო მიზანშეწონილია ძალთა გამოცდა მაშინ, როცა «ნაყოფი მომწიფებულია», როცა მოწინააღმდეგის ბანაკი საკმაოდ დემორალიზებულია, როცა პარტიას რეზერვების ერთგვარი რაოდენობა დაუგროვებია, მოკლედ: როცა პარტია მზად არის გამოსვლისათვის, როცა პარტიას არ ეშინია იმისა, რომ ძალთა გამოცდა, იქნებ, ვითარების გამო გადაიქცეს პირველ დარტყმად, შემდეგ კი მოწინააღმდეგეზე საერთო შეტევადაც. ძალთა გამოცდას რომ ახდენს, პარტია მზად უნდა იყოს ყველაფრისათვის.

5) **«ძალთა აღრიცხვა».** ძალთა აღრიცხვა არის უბრალო დემონსტრაცია, რომელიც შეიძლება ჩატარდეს თითქმის ყოველ ვითარებაში (მაგალითად, სამაისო დემონსტრაცია გაფიცვით თუ უიმისოდ). თუ ძალთა აღრიცხვა ტარდება არა პირდაპირი აფეთქების წინადღის ვითარებაში, არამედ მეტად თუ ნაკლებად «მშვიდობიან» დროს, ის შეიძლება დამთავრდეს, სულ ბევრი, ხელისუფლების პოლიციელ წარმომადგენლებთან ან ჯარის ზოგიერთ ნაწილთან შეტაკებით, ისე რომ არც პარტიას მოუვიდეს დიდი ზარალი და არც მოწინააღმდეგეს. ხოლო თუ ძალთა

აღრიცხვა ხდება მოახლოებულ აფეთქებათა გავარვარებულ ატმოსფეროში, მან შეიძლება ჩაითრიოს პარტია ნაადრევ გადამწყვეტ შეტაკებაში მოწინააღმდეგესთან, ამასთან თუ პარტია ჯერ კიდევ სუსტია და მზად არ არის ასეთი შეტაკებებისათვის, მოწინააღმდეგეს შეუძლია წარმატებით გამოიყენოს ასეთი «ძალთა აღრიცხვა» და გაანადგუროს პროლეტარიატის ძალები (აქედან — პარტიის არაერთგზისი მოწოდებანი 1917 წ. სექტემბერში — «ნუ აჰყვებით პროვოკაციას»). ამიტომ უკვე მომწიფებული რევოლუციური კრიზისის ატმოსფეროში ძალთა აღრიცხვის მეთოდის გამოყენების მხრივ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, ვინაიდან უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიის სისუსტის დროს იგი შეიძლება მოწინააღმდეგემ პროლეტარიატის განადგურების ან, ყოველ შემთხვევაში, მისი სერიოზული დასუსტების იარაღად გადააქციოს. და პირიქით, პარტიის საბრძოლო მზადყოფნის შემთხვევაში, მოწინააღმდეგის რიგების აშკარა დემორალიზაციის დროს ხელიდან არ უნდა გავუშვათ შემთხვევა, რათა «ძალთა აღრიცხვით» რომ დავიწყებთ, გადავიდეთ «ძალთა გამოცდაზე» (იგულისხმება, რომ საამისოდ პირობები ხელსაყრელია — «ნაყოფის სიმწიფე» და სხვ.) და შემდეგ საერთო იერიში დავიწყოთ.

6) **შეტევის ტაქტიკა** (განმათავისუფლებელი ომების ტაქტიკა, როცა ძალაუფლება უკვე აღებული აქვს პროლეტარიატს).

7) **წესრიგით უკანდახევის ტაქტიკა**. როგორ უნდა დაიხიო მოხერხებულად სიღრმისაკენ მოწინააღმდეგის ძალთა აშკარა სიჭარბის დროს, რათა გადაარჩინო არმიის უმრავლესობა თუ არა, მისი კადრები მაინც (იხ. **ლენინი** «...საყმაწვილო სენი...»). როგორ ვიხევთ ჩვენ ყველაზე გვიან, მაგალითად, ვიტე-დუბასოვის სათათბიროს ბოიკოტის დროს.

განსხვავება უკანდახევის ტაქტიკასა და გაქცევის «ტაქტიკას» შორის (შად. მენშევიკები).

8) **თავდაცვის ტაქტიკა,** როგორც აუცილებელი საშუალება მომავალი ბრძოლების მოლოდინში კადრების შენარჩუნებისა და ძალების დაგროვებისა. იგი ავალებს პარტიას დაიკავოს პოზიციები ბრძოლის ყველა ასპარეზზე უკლებლივ, სათანადო წესრიგში მოიყვანოს ყველა გვარეობის იარაღი, ე. ი. ორგანიზაციის ყველა ფორმა, ამასთან არ უნდა უგულებელყოს პირდაპირ არც ერთი მათგანი, პირველი შეხედვით სრულიად უმნიშვნელოც კი, ვინაიდან წინდაწინ არავინ იცის, სახელდობრ რა სარბიელი იქნება ბრძოლების პირველი ასპარეზი და სახელდობრ მოძრაობის რა ფორმა ან ორგანიზაციის რა ფორმა იქნება ამოსავალი პუნქტი და მნიშვნელოვანი იარაღი პროლეტარიატის ხელში გადამწყვეტი ბრძოლების დაწყებისას. სხვანაირად რომ ითქვას: გადამწყვეტი ბრძოლების მოლოდინში, თავდაცვისა და ძალების დაგროვების პერიოდში, პარტია თავით ფეხამდე უნდა შეიარაღდეს. ბრძოლების **მოლოდინში...** მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პარტია გულხელდაკრეფილი ელოდებოდეს და უნიათო მაყურებლად გადაიქცეს, რევოლუციის პარტიიდან (თუ ის ოპოზიციაშია) დალოდების პარტიად გადაგვარდეს, — არა, მან ასეთ პერიოდში თავი უნდა აარიდოს ბრძოლებს, არ უნდა ჩაებას ბრძოლებში, **თუ მას ჯერ კიდევ ვერ მოუსწრია** ძალთა საჭირო რაოდენობის დაგროვება, ან თუ ვითარება მისთვის ხელსაყრელი არ არის, მაგრამ **ხელიდან არ უნდა გაუშვას არც ერთი შემთხვევა,** რა თქმა უნდა, ხელსაყრელ პირობებში,— რათა მოწინააღმდეგეს თავს მოახვიოს ბრძოლა, როცა ეს მისთვის არ არის სახეირო, იყოლიოს მოწინააღმდეგე მუდამ დაძაბულ მდგომარეობაში, თანდათან მოშალოს მისი ძალები, მოახდინოს მათი დემორალიზაცია, თანდათან

გაწვრთნას პროლეტარიატის ძალები მისი ყოველდღიური ინტერესებისათვის წარმოებულ ბრძოლებში და ამით გაამრავლოს თავისი საკუთარი ძალები.

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება იყოს თავდაცვა ნამდვილად **აქტიური** თავდაცვა, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეძლებს პარტია შეინარჩუნოს არა ჭვრეტითი ლოდინის პარტიის, არამედ **მოქმედების** ნამდვილი **პარტიის** ყველა ნიშანი, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში არ გამოეპარება, არ გამორჩება პარტიას გადამწყვეტი გამოსვლების მომენტი, მოუმზადებელს არ მოუსწრებს მოვლენები. კაუცკისა და კომპანიის ამბავი, რომლებსაც გამორჩათ დასავლეთში პროლეტარული რევოლუციის დადგომის მომენტი თავიანთი «ბრძნული», ჭვრეტითი ლოდინის ტაქტიკისა და კიდევ უფრო «ბრძნული» პასიურობის მეოხებით, აშკარა გაფრთხილებას წარმოადგენს. ან კიდევ: მენშევიკებისა და ს.-რ-ების ამბავი, რომლებსაც გამოეპარათ ძალაუფლება ზავისა და მიწის საკითხებში თავიანთი უსასრულო ლოდინის ტაქტიკის მეოხებით, აგრეთვე გამაფრთხილებელი უნდა იყოს. მეორე მხრივ, ცხადია აგრეთვე, რომ არ შეიძლება ბოროტად გამოიყენო აქტიური თავდაცვის ტაქტიკა, მოქმედების (აქციის) ტაქტიკა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში არის საფრთხე — გადააქციო კომპარტიის რევოლუციურ მოქმედებათა ტაქტიკა «რევოლუციური» გიმნასტიკის ტაქტიკად, ე. ი. ისეთ ტაქტიკად, რომელიც იწვევს არა პროლეტარიატის ძალთა დაგროვებას და მისი საბრძოლო მზადყოფნის გაძლიერებას, მაშასადამე, არა რევოლუციის დაჩქარებას, არამედ პროლეტარიატის ძალების გაფანტვას, მისი საბრძოლო მზადყოფნის შესუსტებას და, მაშასადამე, რევოლუციის საქმის დაყოვნებას.

9) **კომუნისტური სტრატეგიისა და ტაქტიკის ზოგადი საფუძვლები.** ასეთი საფუძველი სამია:

ა) მიღებულ იქნას საფუძვლად მარქსიზმის თეორიით მოპოვებული და რევოლუციური პრაქტიკით დადასტურებული დასკვნა, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში პროლეტარიატი წარმოადგენს ერთადერთ ბოლომდე რევოლუციურ კლასს, რომელიც დაინტერესებულია კაპიტალიზმისაგან კაცობრიობის სრული განთავისუფლებით და ამის გამო მოწოდებულია იყოს მთელი ჩაგრული და ექსპლოატირებული მასების ბელადი კაპიტალიზმის დამხობისათვის ბრძოლაში, რის გამო მთელი მუშაობა პროლეტარიატის დიქტატურის უზრუნველყოფისაკენ უნდა წარიმართოს.

ბ) მიღებულ იქნას საფუძვლად მარქსიზმის თეორიით მოპოვებული და რევოლუციური პრაქტიკით დადასტურებული დასკვნა, რომ **ყოველი ქვეყნის კომუნისტური პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა** შეიძლება სწორი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ ჩაიკეტებიან «თავისი» ქვეყნის, «თავისი» სამშობლოს, «თავისი» პროლეტარიატის ინტერესების წრეში, — არამედ პირიქით, თავისი ქვეყნის პირობებსა და ვითარებას რომ ითვალისწინებენ, უპირველეს ადგილზე აყენებენ საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებს, სხვა ქვეყნების რევოლუციის ინტერესებს, ე. ი. თუ ისინი არსებითად, თავისი სულისკვეთებით ინტერნაციონალისტური არიან, თუ ისინი ატარებენ «იმის მაქსიმუმს, რის განხორციელებაც ერთ (თავის) ქვეყანაშია შესაძლებელი, **ყველა ქვეყანაში** რევოლუციის განვითარების, მხარდაჭერის, გაღვივების **მიზნით»** (იხ. **ლენინის** «პროლეტ. რევ. და რენეგატი კაუცკი» [25]).

გ) მიღებულ იქნას ამოსავალ პუნქტად ყოველი (მემარჯვენე და მემარცხენე) დოქტრინიორობის უარყოფა სტრატეგიისა და ტაქტიკის შეცვლისას, ახალი სტრატეგიული გეგმებისა და ტაქტიკური ხაზების შემუშავებისას

(კაუცკი, აქსელროდი, ბოგდანოვი, ბუხარინი), ჭვრეტითი მეთოდის და ციტატებისა და ისტორიული პარალელების მეთოდის, მოგონილი გეგმებისა და უსიცოცხლო ფორმულების უარყოფა (აქსელროდი, პლეხანოვი), აღიარებულ იქნას, რომ საჭიროა კი არ «იწვე», არამედ იდგე მარქსიზმის თვალსაზრისზე, არა «მხოლოდ ახსნა სამყარო», არამედ «გარდაქმნა» იგი, კი არ «ულჭვრიტო პროლეტარიატის ზურგს» და კი არ მისდიო მოვლენებს კუდში, არამედ უხელმძღვანელო პროლეტარიატს და იყო შეუგნებელი პროცესის შეგნებული გამოხატულება (იხ. **ლენინის** «სტიქიურობა და შეგნებულობა»[26] და **მარქსის** «კომუნისტური მანიფესტის» ცნობილი ადგილი[27] იმის შესახებ, რომ კომუნისტები პროლეტარიატის ყველაზე შორსმჭვრეტელ და წინ მიმავალ ნაწილს შეადგენენ).

თვითეული ამ საფუძველთაგანი ნათელყოფილ იქნას რუსეთისა და დასავლეთის რევ. მოძრაობის გამოცდილების ფაქტებით, **განსაკუთრებით მეორე და მესამე საფუძველი.**

10) **ამოცანები:**

ა) **გადმოვიყვანოთ კომუნიზმის მხარეზე პროლეტარიატის ავანგარდი** (ე. ი. შევადგინოთ კადრები, შევქმნათ კომპარტია, შევიმუშაოთ პროგრამა, ტაქტიკის საფუძვლები). პროპაგანდა როგორც მუშაობის ძირითადი ფორმა.

ბ) **გადმოვიყვანოთ ავანგარდის მხარეზე მუშათა და საერთოდ მშრომელთა ფართო მასები** (მასების მიყვანა საბრძოლო პოზიციებზე). მუშაობის ძირითადი ფორმა — მასების პრაქტიკული მოქმედება, როგორც გადამწყვეტი ბრძოლების პრელუდია.

11) **წესები:**

ა) **დავეუფლოთ პროლეტარიატის ორგანიზაციის ყველა ფორმას უკლებლივ და მოძრაობის, ბრძოლის ყველა**

ფორმას (ასპარეზს). (მოძრაობის ფორმები: პარლამენტური და პარლამენტგარეშე, ლეგალური და არალეგალური).

ბ) **ვისწავლოთ შევეგუოთ მოძრაობის განსაზღვრული ფორმების სწრაფად შეცვლას სხვა ფორმებით,** ან განსაზღვრული ფორმების შევსებას სხვა ფორმებით, ვისწავლოთ **შევახამოთ** ლეგალური ფორმები არალეგალურთან, პარლამენტური — პარლამენტგარეშესთან (მაგალითი: ბოლშევიკების სწრაფი გადასვლა 1917 წ. ივლისში ლეგალური ფორმებიდან არალეგალურ ფორმებზე, ლენის დღეებში პარლამენტგარეშე მოძრაობის შეხამება სათათბიროში მოქმედებასთან).

12) **კომპარტიის სტრატეგია და ტაქტიკა ძალაუფლების აღებამდე და აღების შემდეგ.** ოთხი თავისებურება.

ა) **ყველაზე მნიშვნელოვანი** იმ ვითარებაში, რომელიც შეიქმნა ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ საზოგადოდ ევროპაში და კერძოდ რუსეთში, არის **საერთაშორისო სოციალური ფრონტის გარღვევა** (რუსეთის ბურჟუაზიაზე გამარჯვების შედეგად) რუსეთის **რაიონში,** რაც განახორციელა რუსეთის პროლეტარიატმა **(კავშირის გაწყვეტა** იმპერიალიზმთან, საიდუმლო ხელშეკრულებათა **გამოქვეყნება,** იმპერიალისტური ომის ნაცვლად სამოქალაქო ომი, მოწოდება ჯარისკაცებისადმი — დაძმობილდნენ, მოწოდება მუშებისადმი — აჯანყდნენ თავიანთ მთავრობათა წინააღმდეგ). ამ გარღვევით დაიწყო **შემობრუნება მსოფლიო ისტორიაში,** რადგან მან უშუალო საფრთხე შეუქმნა საერთაშორისო იმპერიალიზმის მთელი შენობის სიმტკიცეს და კარდინალურად შეცვალა მებრძოლ ძალთა თანაფარდობა დასავლეთში ევროპის მუშათა კლასის სასარგებლოდ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსეთის პროლეტარიატი და მისი პარტია **ნაციონალური** ძალიდან გადაიქცნენ **საერთაშორისო**

ძალად, ამასთან ძველი ამოცანა — თავისი ნაციონალური ბურჟუაზიის დამხობის ამოცანა — შეიცვალა ახალი ამოცანით — საერთაშორისო ბურჟუაზიის დამხობის ამოცანით, და რამდენადაც საერთაშორისო ბურჟუაზიამ, რაკი მომაკვდინებელი საფრთხე იგრძნო, მორიგ ამოცანად დაისახა **რუსეთში განხორციელებული გარღვევის ლიკვიდაცია** და ამისათვის შეაგროვა თავისი თავისუფალი ძალები (რეზერვები) საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელს არ შეეძლო თავის მხრივ არ შეეგროვებინა მთელი თავისი ძალები თავდაცვისათვის, იგი იძულებული იყო გამკლავებოდა საერთაშორისო ბურჟუაზიის მთავარ დარტყმას. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად გააადვილა დასავლეთის პროლეტარების ბრძოლა საკუთარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ და გააათკეცა მათი სიმპათიები რუსეთის პროლეტარიატისადმი, როგორც **საერთაშორისო პროლეტარიატის მოწინავე მებრძოლისადმი.**

ერთ ქვეყანაში ბურჟუაზიის დამხობის ამოცანის განხორციელებამ წარმოშვა, ამრიგად, ახალი ამოცანა — საერთაშორისო მასშტაბით ბრძოლისა, სხვა სიბრტყეზე ბრძოლისა, პროლეტარული სახელმწიფოს ბრძოლისა მისდამი მტრული კაპიტალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ, ამასთან რუსეთის პროლეტარიატი, რომელიც დღემდე საერთაშორისო პროლეტარიატის ერთ-ერთ რაზმს წარმოადგენდა, ამიერიდან საერთაშორისო პროლეტარიატის მოწინავე რაზმად, ავანგარდად გადაიქცა.

ამრიგად, ამოცანა დასავლეთში რევოლუციის გაჩაღებისა იმისათვის, რომ თავის თავს, ე. ი. რუსეთს, გაუადვილოს თავისი რევოლუციის ბოლომდე მიყვანა, სურვილიდან დღევანდელი დღის წმინდა პრაქტიკულ ამოცანად იქცა. ეს გადატრიალება ურთიერთობაში (განსაკუთრებით საერთაშორისო ურთიერთობაში), რაც ოქტომბერმა მოახდინა,

მ თ ლ ი ა ნ ად ოქტომბრის საქმეა. თებერვლის რევოლუცია საერთაშორისო ურთიერთობას არც კი შეხებია.

ბ) **მეორე მნიშვნელოვანი მხარე** ოქტომბრის შემდეგ რუსეთში შექმნილი ვითარებისა არის როგორც პროლეტარიატის, ისე მისი პარტიის მდგომარეობის შეცვლა რუსეთის შიგნით. წინათ, ოქტომბრამდე, პროლეტარიატის მთავარ საზრუნავს შეადგენდა მთელი მებრძოლი ძალების დარაზმვა ბურჟუაზიის დასამხობად, ე. ი. ამოცანის ხასიათი უმთავრესად კრიტიკული და ნგრევითი იყო. ახლა, ოქტომბრის შემდეგ, როცა ხელისუფლების სათავეში უკვე აღარ არის ბურჟუაზია, ხოლო სახელმწიფო პროლეტარული გახდა, ძველი ამოცანა მოიხსნა, მან ადგილი დაუთმო **ახალ ამოცანას — დარაზმულ იქნან** რუსეთის **ყველა მშრომელნი** (გლეხობა, ხელოსნები, შინამრეწველნი, ინტელიგენცია, ჩამორჩენილი ხალხები, რომელნიც რსფსრ შემადგენლობაში შედიან) **ახალი საბჭოთა რუსეთის,** მისი სამეურნეო და სამხედრო აპარატების **მშენებლობისათვის,** ერთი მხრივ, და დამხობილი, მაგრამ ჯერ კიდევ არა მთლად მოსპობილი ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დათრგუნვისათვის, მეორე მხრივ*.

გ) რუსეთის შიგნით პროლეტარიატის შეცვლილი მდგომარეობის შესაბამისად და ახალ ამოცანასთან შეფარდებით **შეიცვალა პროლეტარიატის პოლიტიკაც** რუსეთის მოსახლეობის **ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ჯგუფებისა** და ფენების მიმართ. წინათ პროლეტარიატი (ბურჟუაზიის დამხობის წინა ხანებში) უარყოფდა ცალკეულ შეთანხმებებს ბურჟუაზიულ ჯგუფებთან, ვინაი-

* ამის შესაბამისად მოიხსნა მოძრაობის ზოგიერთი ძველი ფორმა, როგორიცაა გაფიცვები, აჯანყებანი და სხვ., და ამის შესაფერისად შეიცვალა ფორმებიც (ფუნქციები) მუშათა კლასის ორგანიზაციისა (პარტია, საბჭოები, კავშირები, კოოპერატივები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი).

დან ასეთი პოლიტიკა იწვევდა ხელისუფლების სათავეში მდგომი ბურჟუაზიის განმტკიცებას; ახლა, პირიქით, პროლეტარიატი ცალკეულ შეთანხმებათა მომხრეა, რადგან ეს შეთანხმებანი განამტკიცებენ მის ძალაუფლებას, ხრწნიან ბურჟუაზიას, აადვილებენ პროლეტარიატის მიერ ბურჟუაზიის ცალკეული ჯგუფების მოშინაურებას, აადვილებენ მათს ასიმილაციას. განსხვავება **«რეფორმიზმსა»** და **ცალკეულ შეთანხმებათა პოლიტიკას** შორის (პირველი აუცილებლად უარყოფს რევოლუციურ მოქმედებათა მეთოდს, მეორე — არა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მას რევოლუციონერები მიმართავენ, იგი რევოლუციური მეთოდიდან გამომდინარეობს, პირველი უფრო ვიწროა მოცულობით, მეორე უფრო ფართოა. (იხ. «რეფორმიზმისა» და «შეთანხმებათა პოლიტიკის» შესახებ).

დ) პროლეტარიატისა და კომპარტიის ძალისა და საშუალებათა კოლოსალური ზრდის შესაბამისად **გაძლიერდა კომპარტიის სტრატეგიული მუშაობის გაჭანება.** წინათ კომპარტიის სტრატეგია იფარგლებოდა სტრატეგიული გეგმის შედგენით, პროლეტარიატის მოძრაობისა და ორგანიზაციების სხვადასხვა ფორმებს შორის, აგრეთვე მოძრაობის სხვადასხვა მოთხოვნებს (ლოზუნგები) შორის მანევრირებით, განსაზღვრული მოთხოვნების წამოყენებით, სხვების შეცვლით, სხვადასხვა კლასებს შორის წინააღმდეგობათა სახით მოცემული მცირე რეზერვების გამოყენებით, ამასთან ამ რეზერვების გამოყენების ჩარჩოები და შესაძლებლობა, როგორც წესი, ყოველთვის შეზღუდული იყო ვიწრო ფარგლებით პარტიის სისუსტის გამო; ახლა, ოქტომბრის შემდეგ, ჯერ ერთი, **გადიდდა რეზერვები** (წინააღმდეგობანი რუსეთის სოციალურ ჯგუფებს შორის, წინააღმდეგობანი გარემომცველ სახელმწიფოთა კლასებსა და ეროვნებებს შორის, წინააღმდეგობანი გარემომცველ

სახელმწიფოთა შორის, მზარდი სოციალისტური რევოლუცია დასავლეთში, მზარდი რევოლუციური მოძრაობა აღმოსავლეთში და საერთოდ კოლონიებში და სხვ.), მეორეც, **გამრავლდა მანევრირების საშუალებანი და შესაძლებლობანი** (ძველი საშუალებანი შეივსო ახალი საშუალებებით, როგორიცაა, მაგალითად, დიპლომატიური მუშაობა, უფრო რეალური კავშირურთიერთობის დამყარება როგორც დასავლეთის სოციალისტურ მოძრაობასთან, ისე აღმოსავლეთის რევოლუციურ მოძრაობასთან), მესამეც, **გაჩნდა რეზერვების გამოყენების ახალი უფრო ფართო შესაძლებლობანი** იმის გამო, რომ გამრავლდა პროლეტარიატის ძალა და საშუალებანი, რამდენადაც პროლეტარიატი რუსეთში გადაიქცა გაბატონებულ **პოლიტიკურ ძალად,** რომელსაც ჰყავს თავისი შეიარაღებული ძალები, ხოლო საერთაშორისო მასშტაბით — მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ავანგარდად.

13) **ცალკე:** ა) მოძრაობის **ტემპისა** და სტრატეგიის და ტაქტიკის განსაზღვრისას მისი როლის საკითხი, ბ) **რეფორმიზმის, შეთანხმებათა** პოლიტიკისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების საკითხი.

14) **«რეფორმიზმი»** («შემთანხმებლობა»), **«შეთანხმებათა პოლიტიკა»** და **«ცალკეული შეთანხმებანი» სამი სხვადასხვა რამეა** (თვითეული მათგანის შესახებ ცალკე დაიწეროს). მენშევიკების **შეთანხმებანი** მიუღებელია, რადგან ისინი გამომდინარეობენ **რეფორმიზმიდან,** ე. ი. **რევოლუციური მოქმედების უარყოფიდან,** მაშინ როდესაც ბოლშევიკების **შეთანხმებანი** რევოლუციური მოქმედების მოთხოვნილებათაგან გამომდინარეობენ. სწორედ ამიტომ მენშევიკების შეთანხმებანი იქცევიან სისტემად, **შეთანხმებათა პოლიტიკად,** მაშინ როდესაც ბოლშევიკები მხოლოდ ცალ-

კეულ, კონკრეტულ შეთანხმებათა მომხრენი არიან და მათგან შეთანხმებათა განსაკუთრებულ პოლიტიკას არ ქმნიან.

15) **სამი პერიოდი რუსეთის კომპარტიის განვითარებისა:**

ა) **პროლეტარიატის ავანგარდის (ე. ი. პარტიის) ჩამოყალიბების პერიოდი, პარტიული კადრების შეგროვების პერიოდი** (ამ პერიოდში პარტია **სუსტია,** მას აქვს პროგრამა, ტაქტიკის ზოგადი საფუძვლები, მაგრამ როგორც მასობრივი მოქმედების პარტია, იგი **სუსტია**);

ბ) კომპარტიის ხელმძღვანელობით **რევოლუციური მასობრივი ბრძოლის პერიოდი.** ამ პერიოდში პარტია **მასობრივი აგიტაციის ორგანიზაციიდან** იქცევა მასობრივი მოქმედების ორგანიზაციად, **მოსამზადებელი** პერიოდი იცვლება **რევოლუციური მოქმედების** პერიოდით;

გ) **პერიოდი ძალაუფლების აღების შემდეგ, კომპარტიის მთავრობის პარტიად გადაქცევის შემდეგ.**

16) **რუსეთის პროლეტარული რევოლუციის** პოლიტიკური **ძალა** იმაში მდგომარეობს, რომ გლეხობის აგრარული რევოლუცია (ფეოდალიზმის დამხობა) იქ მოხდა **პროლეტარიატის** (და არა ბურჟუაზიის) **ხელმძღვანელობით,** რომ **ამის გამო** ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია პროლეტარული რევოლუციის პროლოგი გახდა, რომ გლეხობის მშრომელი ელემენტების **კავშირი** პროლეტარიატთან და უკანასკნელის მიერ პირველთა **მხარდაჭერა** არა მარტო უზრუნველყოფილი იყო პოლიტიკურად, არამედ ორგანიზაციულადაც იყო საბჭოებში განმტკიცებული, რამაც პროლეტარიატს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის თანაგრძნობა მოუპოვა (სწორედ ამიტომ **არა უშავს,** თუ თვითონ პროლეტარიატი არ შეადგენს უმრავლესობას ქვეყანაში).

ევროპაში (კონტინენტი) **პროლეტარული რევოლუციების სისუსტე** ის არის, რომ იქ პრო-

ლეტარიატს არც **ეს** კავშირი აქვს, არც **ეს** მხარდაჭერა სოფლის მხრივ, **იქ** ფეოდალიზმისაგან გლეხობის **განთავისუფლება** მოხდა ბურჟუაზიის ხელმძღვანელობით (და არა პროლეტარიატისა, რომელიც მაშინ სუსტი იყო), რამაც სოფლის ინტერესებისადმი სოც.-დემოკრატიის გულგრილი დამოკიდებულებისას დიდი ხნით უზრუნველყო ბურჟუაზიისათვის გლეხთა უმრავლესობის თანაგრძნობა*.

1921 წელი, ივლისი.

იბეჭდება პირველად.

---

* ბროშურის გეგმის ეს მონასახი გამოყენებული იყო ავტორის მიერ ბროშურისათვის «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ», რაც გამოქვეყნდა 1924 წელს და შევიდა ი. ბ. სტალინის თხზულებათა 6 ტომის შემადგენლობაში. გეგმის მონასახის პირველი ნაწილი გამოყენებული იყო სტატიისათვის «რუსი კომუნისტების სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხისათვის», რაც გამოქვეყნდა 1923 წელს და შევიდა ი. ბ. სტალინის თხზულებათა 5 ტომის შემადგენლობაში, ხოლო მისი ზოგიერთი თეზისი ავტორის მიერ გამოყენებული იყო სტატიისათვის «პარტია ძალაუფლების აღებამდე და მისი აღების შემდეგ», რაც გამოქვეყნდა 1921 წლის აგვისტოში და შევიდა ი. ბ. სტალინის თხზულებათა 5 ტომის შემადგენლობაში. რ ე დ.

კომუნიზმის მორიგ ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში

მოხსენება საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის საერთო კრებაზე [28]

1921 წ. 6 ივლისი

ამხანაგებო! თქვენი ორგანიზაციის კომიტეტმა დამავალა წარმოგიდგინოთ მოხსენება კომუნიზმის მორიგ ამოცანებზე საქართველოში.

კომუნიზმის მორიგი ამოცანები — ეს ტაქტიკის საკითხებია. მაგრამ იმისათვის, რომ განვსაზღვროთ პარტიის, ისიც მმართველი პარტიის, ტაქტიკა, უწინარეს ყოვლისა საჭიროა გავითვალისწინოთ ის საერთო ვითარება, რომელშიც იმყოფება პარტია და რომელსაც მან არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს. როგორია ეს ვითარება?

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ სამოქალაქო ომის დაწყებიდან მსოფლიო გაითიშა ორ მოპირდაპირე ბანაკად, იმპერიალიზმის ბანაკად ანტანტის მეთაურობით და სოციალიზმის ბანაკად საბჭოთა რუსეთის მეთაურობით, რომ პირველ ბანაკში იმყოფება ყველა და ყოველგვარი კაპიტალისტური «დემოკრატიული» და მენშევიკური სახელმწიფო, მეორეში კი — საბჭოთა სახელმწიფოები, მათ შორის საქართველოც. ძირითადი თვისება იმ ვითარებისა, რომელიც ახლა გარემოიცავს საბჭოთა ქვეყნებს, ის არის, რომ ზემოხსენებულ ორ ბანაკს შორის

შეიარაღებული ბრძოლის პერიოდი დამთავრდა მათი მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი დროებითი დაზავებით, რომ ომის პერიოდი შეიცვალა საბჭოთა რესპუბლიკების მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის პერიოდით. წინათ, ასე ვთქვათ, ომის პერიოდში საბჭოთა რესპუბლიკები მოქმედებდნენ საერთო ლოზუნგით «ყველაფერი ომისათვის», ვინაიდან საბჭოთა რესპუბლიკები წარმოადგენდნენ ალყაშემორტყმულს, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მიერ ბლოკირებულ ბანაკს. მაშინ, იმ პერიოდში, კომუნისტური პარტიის მთელი ენერგია იმას უნდებოდა, რომ ყველა ცოცხალი ძალები გამოეყენებინა წითელი არმიის შესაქმნელად, იმპერიალიზმთან შეიარაღებული ბრძოლისათვის ფრონტის გასაძლიერებლად. თქმა არ უნდა, რომ ამ პერიოდში პარტია სათანადო ყურადღებას ვერ მიაქცევდა სამეურნეო მშენებლობას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში საბჭოთა ქვეყნების ეკონომიკა განისაზღვრებოდა სამხედრო ინდუსტრიის განვითარებით და სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგთა ვაივაგლახით ხელის შეწყობით, რომლებიც, ისევ და ისევ, ომთან იყვნენ დაკავშირებულნი. ამით აიხსნება, სწორედ რომ ვთქვათ, ის სამეურნეო ნგრევაც, რომელიც მემკვიდრეობად მივიღეთ საბჭოთა სახელმწიფოების სამხედრო პერიოდისაგან.

ახლა, როცა ჩვენ ფეხი შევდგით სამეურნეო მშენებლობის ახალ პერიოდში, როცა ომიდან გადავედით მშვიდობიან მუშაობაზე, ძველი ლოზუნგი «ყველაფერი ომისათვის», ბუნებრივია, იცვლება ახალი ლოზუნგით «ყველაფერი სახალხო მეურნეობისათვის». ეს ახალი პერიოდი ავალებს კომუნისტებს მთელი ძალები გადაისროლონ სამეურნეო ფრონტზე, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, სასურსათო საქმეში, კოოპერაციაში, ტრანსპორტის

საქმეში და ა. შ. ვინაიდან უამისოდ შეუძლებელია სამეურნეო ნგრევის დაძლევა.

თუ ომის პერიოდმა ჩვენ მოგვცა კომუნისტ სამხედრო მუშაკების, მომმარაგებლების, ჯარის შემდგენლების, ოპერატორებისა და სხვათა ტიპი, ახლა კომუნისტურმა პარტიამ უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ ახალ პერიოდში, სამეურნეო მშენებლობის პერიოდში, ფართო მასები ჩააბას მეურნეობის აღორძინების საქმეში და ამნაირად გამოჭედოს კომუნისტ სამეურნეო მუშაკის — მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კოოპერაციის და სხვ. მუშაკების ახალი ტიპი.

მაგრამ კომუნისტებს, როცა ისინი სამეურნეო-სამშენებლო მუშაობას ავითარებენ, არ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ წარსულისაგან მემკვიდრეობად დარჩენილ ორ მეტად მნიშვნელოვან პირობას. ეს პირობებია: ჯერ ერთი, საბჭოთა ქვეყნების გარშემო მრეწველობის მხრივ დიდად განვითარებულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა არსებობა და, მეორეც, საბჭოთა სახელმწიფოების შიგნით მრავალრიცხოვანი გლეხური წვრილი ბურჟუაზიის არსებობა.

საქმე ის არის, რომ ისტორიის ნებით საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა კაპიტალისტურად არა უფრო განვითარებულ ქვეყნებში, არამედ შედარებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. ისტორიამ ცხადყო, რომ ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის რუსეთი, სადაც კაპიტალიზმი, შედარებით, ახალგაზრდაა, სადაც ძლიერი, კონცენტრირებული პროლეტარიატი არსებობს და სადაც ნაციონალური ბურჟუაზია სუსტია, გაცილებით უფრო ადვილია დაამხო ბურჟუაზია, ვიდრე კაპიტალიზმის კლასიკურ ქვეყნებში, როგორიც არიან გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი, სადაც კაპიტალიზმი რამდენიმე საუკუნეა არსებობს, ხოლო

ბურჟუაზია მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების უაღრესად სერიოზულ ხელმძღვანელ ძალად გადაქცეულა.

როცა პროლეტარიატის დიქტატურა დამყარდება ისეთ ქვეყნებშიც, როგორიცაა გერმანია და ინგლისი, უეჭველია, იქ უფრო ადვილი იქნება სოციალისტური რევოლუციის განგრძობა და ბოლომდე მიყვანა, ე. ი. იქ უფრო ადვილი იქნება სოციალისტური მეურნეობის მოწყობა, ვინაიდან იქ მრეწველობა უფრო მეტად არის განვითარებული, ტექნიკაც უფრო მდიდარია, ხოლო პროლეტარიატი შედარებით უფრო მრავალრიცხოვანია, ვიდრე ახლანდელ საბჭოთა ქვეყნებში. მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ იმ ფაქტის წინაშე ვდგავართ, რომ, ერთი მხრივ, პროლეტარიატის დიქტატურაა ისეთ ქვეყნებში, სადაც მრეწველობა ნაკლებად არის განვითარებული და არსებობს წვრილ საქონელმწარმოებელთა (გლეხთა) მრავალრიცხოვანი კლასი, ხოლო, მეორე მხრივ, ბურჟუაზიის დიქტატურაა ისეთ ქვეყნებში, სადაც მრეწველობა უფრო განვითარებულია და პროლეტარიატის მრავალრიცხოვანი კლასი არსებობს. ამ ფაქტის უგულებელყოფა უგუნურება და ფუქსავატობა იქნებოდა.

რამდენადაც საბჭოთა ქვეყნებში უხვად მოიპოვება ნედლეულისა და სათბობის წყაროები, ხოლო მრეწველობის მხრივ განვითარებულ ბურჟუაზიულ ქვეყნებს ეს წყაროები ნაკლებად აქვთ, უეჭველია, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ცალკეული კაპიტალისტური ჯგუფები დაინტერესებული არიან იმით, რომ შეუთანხმდნენ საბჭოთა სახელმწიფოებს გარკვეულ პირობებში ნედლეულისა და სათბობის წყაროებით სარგებლობის თაობაზე. მეორე მხრივ, რამდენადაც საბჭოთა სახელმწიფოების წვრილ მწარმოებელთა კლასი (გლეხობა) საჭიროებს ინდუსტრიის პროდუქტებს (მანუფაქტურა, სასოფლო-სამეურნეო მანქანები), უეჭველია, რომ ისიც დაინტერესებულია შეუთანხმდეს თავისი

ქვეყნის პროლეტარულ ხელისუფლებას, რათა მიიღოს ასეთი პროდუქტები საქონელგაცვლის წესით (სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე გადაცვლით).

თავის მხრივ, საბჭოთა ხელისუფლებაც დაინტერესებულია დროებით შეუთანხმდეს როგორც უცხო ქვეყნების ცალკეულ კაპიტალისტურ ჯგუფებს, ისე თავისი საკუთარი ქვეყნის წვრილ საქონელმწარმოებელთა კლასს, ვინაიდან ასეთი შეთანხმება უეჭველად დააჩქარებს და გააადვილებს ომით დანგრეული საწარმოო ძალების აღდგენისა და ელექტროფიკაციის, მომავალი სოციალისტური მეურნეობის ამ ტექნიკურ-სამრეწველო ბაზის, განხორციელების საქმეს.

ეს გარემოებანი საბჭოთა სახელმწიფოების კომუნისტებს უკარნახებენ პოლიტიკას — დროებით შეუთანხმდნენ როგორც დასავლეთის ცალკეულ კაპიტალისტურ ჯგუფებს (მათი კაპიტალებისა და ტექნიკური ძალების გამოსაყენებლად), ისე თავისი საკუთარი ქვეყნის წვრილ ბურჟუაზიას (საჭირო ნედლეულისა და სასურსათო პროდუქტების მისაღებად).

ზოგიერთმა შეიძლება თქვას, ბურჟუაზიასთან შეთანხმების ამ ტაქტიკას მენშევიზმის სუნი უდის, ვინაიდან მენშევიკები თავის მოქმედებაში ბურჟუაზიასთან შეთანხმების ტაქტიკას მიმართავენო. მაგრამ ეს სწორი არ იქნება. ცალკეულ ბურჟუაზიულ ჯგუფებთან შეთანხმების ტაქტიკასა, რომელსაც ახლა კომუნისტები მოითხოვენ, და ბურჟუაზიასთან შეთანხმების მენშევიკურ ტაქტიკას შორის მთელი უფსკრული არსებობს. მენშევიკები ბურჟუაზიასთან შეთანხმებას ჩვეულებრივ მოითხოვენ მაშინ, როცა ხელისუფლების სათავეში კაპიტალისტები დგანან, როცა ხელისუფლების სათავეში მდგომი კაპიტალისტები, თავისი ძალაუფლების განმტკიცებისა და პროლეტარიატის გახრწ-

ნის მიზნით, შესაძლებლად ცნობენ ზემოდან უწყალობონ პროლეტარიატის ცალკეულ ჯგუფებს ერთგვარი «რეფორმები», მცირეოდენი დათმობანი. ასეთი შეთანხმება მავნებელია პროლეტარიატისათვის და ხელსაყრელია ბურჟუაზიისათვის, ვინაიდან იგი კი არ ასუსტებს, არამედ განამტკიცებს ბურჟუაზიის ძალაუფლებას, წარმოშობს პროლეტარიატში უთანხმოებას, თიშავს მას. სწორედ ამიტომ ბოლშევიკები ყოველთვის წინააღმდეგი იყვნენ და იქნებიან ხელისუფლების სათავეში მდგომ ბურჟუაზიასთან შეთანხმების მენშევიკური ტაქტიკისა. სწორედ ამიტომ ბოლშევიკებს მენშევიკები პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამტარებლად მიაჩნიათ.

შეთანხმებათა იმ ტაქტიკას კი, რომელსაც ბოლშევიკები მოითხოვენ, მენშევიკების ტაქტიკის წინააღმდეგ, სრულიად სხვა ხასიათი აქვს, ვინაიდან იგი გულისხმობს სულ სხვანაირ ვითარებას, როცა ხელისუფლების სათავეში დგას არა ბურჟუაზია, არამედ პროლეტარიატი, ამასთან პროლეტარულ ხელისუფლებასთან ცალკეული ბურჟუაზიული ჯგუფების შეთანხმებამ აუცილებლად უნდა გამოიწვიოს, ერთი მხრივ, პროლეტარული ხელისუფლების განმტკიცება, ხოლო, მეორე მხრივ, ბურჟუაზიის დაშლა და მისი ცალკეული ჯგუფების მოშინაურება. ოღონდ საჭიროა, რომ პროლეტარიატმა მტკიცედ შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული ძალაუფლება და მოხერხებულად გამოიყენოს ამ ბურჟუაზიული ჯგუფების სახსრები და ცოდნა ქვეყნის მეურნეობის ასაღორძინებლად.

თქვენ ხედავთ, რომ ეს ტაქტიკა ისეა დაშორებული მენშევიკების ტაქტიკას, როგორც ცა დედამიწას.

ამრიგად, გადაისროლონ ყოველი ცოცხალი ძალა სამეურნეო ფრონტზე, ამასთან გამოიყენონ შეთანხმებათა წესით ცალკეული ბურჟუაზიული ჯგუფები, მათი სახსრები,

მათი ცოდნა, მათი ორგანიზაციული ჩვევები ქვეყნის მეურნეობის ასაღორძინებლად, — ასეთია საბჭოთა ქვეყნების კომუნისტების, მათ შორის საქართველოს კომუნისტების, პირველი მორიგი ამოცანა, რასაც საერთო ვითარება გვიკარნახებს.

მაგრამ საერთო ვითარების გათვალისწინება ჯერ კიდევ არ არის საკმარისი ცალკეული საბჭოთა ქვეყნების, ამ შემთხვევაში საბჭოთა საქართველოს, ტაქტიკის განსასაზღვრავად. თვითეული ცალკე საბჭოთა ქვეყნის კომუნისტების ტაქტიკა რომ განსაზღვრო, საჭიროა კიდევ გაითვალისწინო ამ ქვეყნების არსებობის კერძო, კონკრეტული პირობები. როგორია საბჭოთა საქართველოს არსებობის კერძო, კონკრეტული პირობები, რომლებშიც უხდება მოქმედება საქართველოს კომუნისტურ პარტიას?

დანამდვილებით შეიძლება აღინიშნოს ზოგიერთი ფაქტი, რომელიც ამ პირობებს ახასიათებს.

ჯერ ერთი, უეჭველია, რომ საბჭოთა საქართველოს სრულიად განმარტოებით არსებობა, ისევე როგორც ყოველი სხვა საბჭოთა ქვეყნისა, საბჭოთა ქვეყნისადმი კაპიტალისტური სახელმწიფოების აშკარად მტრული დამოკიდებულების გამო, — წარმოუდგენელია როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ისე მეურნეობრივი განვითარების თვალსაზრისითაც. საბჭოთა სახელმწიფოების ურთიერთდახმარება, როგორც სამხედრო, ისე სამეურნეო, წარმოადგენს პირობას, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ამ სახელმწიფოთა განვითარება.

მეორეც, ცხადია, რომ საქართველო, რომელსაც სურსათ-სანოვაგე აკლია, საჭიროებს რუსეთის პურს, თავს ვერ გაიტანს უმისოდ.

მესამეც, საქართველო, რომელსაც თხევადი სათბობი არა აქვს, ცხადია, ტრანსპორტისა და მრეწველობის გან-

ვითარებისათვის საჭიროებს აზერბაიჯანის ნავთობის პროდუქტებს, თავს ვერ გაიტანს უიმათოდ.

მეოთხეც, უეჭველია აგრეთვე, რომ საქართველო, რომელსაც აქლია საექსპორტო ფონდები, საჭიროებს რუსეთის მხრივ ოქროთი დახმარებას საქონლის ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად.

ბოლოს, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს საქართველოს მოსახლეობის ნაციონალური შემადგენლობის თავისებურ პირობებს, რის გამოც ამ მოსახლეობის მნიშვნელოვან პროცენტს შეადგენენ სომხები, ხოლო თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, მთელი მოსახლეობის თითქმის ნახევარი სომხობაა, რაც, უეჭველია, საქართველოს ავალებს მმართველობის ყოველგვარი ფორმის დროს საზოგადოდ, საბჭოთა რეჟიმის დროს კი განსაკუთრებით, შეინარჩუნოს უეჭველი მშვიდობიანობა და ძმური თანამშრომლობა როგორც საქართველოში მცხოვრებ სომხებთან, ისე სომხეთთან.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ეს და ბევრი ამგვარი კონკრეტული პირობა ავალებს საბჭოთა საქართველოს, ისევე როგორც საბჭოთა სომხეთსა და აზერბაიჯანს, დაამყარონ ერთმანეთთან სამეურნეო საქმიანობის ერთგვარი ერთიანობა, ერთგვარი გაერთიანება სამეურნეო ღონისძიებებისა, ვთქვათ, ტრანსპორტის გაძლიერების, საგარეო ბაზრებზე ერთობლივი გამოსვლის, სამელიორაციო სამუშაოთა მოწყობის (მორწყვა, დრენაჟი) და სხვ. ხაზით. აღარას ვამბობ იმაზე, რომ საჭიროა ურთიერთდახმარება და კავშირი როგორც ამიერკავკასიის დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, ისე ამ რესპუბლიკებისა საბჭოთა რუსეთთან, თუ აუცილებელი შეიქნა გარეშე თავდასხმებისაგან თავდაცვა. ყოველივე ეს ნათელი და უდავოა. და თუ მე მაინც დავიწყე ლაპარაკი ამ

შაბლონურ ჭეშმარიტებებზე, ეს იმიტომ, რომ არსებობს უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში შექმნილი ზოგიერთი პირობა, რომლებიც ხელს უშლიან ასეთ გაერთიანებას, ჩაფუშვას უქადიან ასეთი გაერთიანების ცდებს. მე ვლაპარაკობ ნაციონალიზმზე — ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ნაციონალიზმზე, რომელიც უკანასკნელი წლების მანძილზე საშინლად გაძლიერდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში და აფერხებს გაერთიანების საქმეს.

მე მახსოვს 1905 — 1917 წლები, როცა ამიერკავკასიის ეროვნებათა მუშებსა და საზოგადოდ მშრომელებს შორის სრული ძმური სოლიდარობა იყო, როცა ძმური კავშირი ერთ სოციალისტურ ოჯახად აკავშირებდა სომეხ, ქართველ, აზერბაიჯანელ და რუს მუშებს. ახლა, თბილისში ჩამოსვლისას, გამაოცა იმან, რომ ამიერკავკასიის ეროვნებათა მუშებს შორის აღარ არის წინანდელი სოლიდარობა. მუშებსა და გლეხებში განვითარებულა ნაციონალიზმი, გაძლიერებულა უნდობლობის გრძნობა თავისი სხვატომელი ამხანაგებისადმი: ანტისომხური, ანტითათრული, ანტიქართული, ანტირუსული და ყოველგვარი სხვა ნაციონალიზმი ახლა ჭარბზე ჭარბადაა. ძმური ნდობის ძველი კავშირი გაწყვეტილია, ან, ყოველ შემთხვევაში, ძალიან შესუსტებულია. ჩანს, ნაციონალისტურ მთავრობათა სამი წლის არსებობას საქართველოში (მენშევიკები), აზერბაიჯანში (მუსავატელები [29]), სომხეთში (დაშნაკები [30]) ამაოდ არ ჩაუვლია. ეს ნაციონალისტური მთავრობანი, რომელნიც თავის ნაციონალისტურ პოლიტიკას ეწეოდნენ და მშრომელთა შორის აგრესიული ნაციონალიზმის სულისკვეთების გასავრცელებლად მუშაობდნენ, ბოლოს, იქამდე მივიდნენ, რომ თვითეული ამ პატარა ქვეყანათაგანი მტრული ნაციონალისტური ატმოსფეროს რკალით გარემოცული აღმოჩნდა, რამაც საქართველოსა და სომხეთს მოაკლო რუ-

სეთის პური და აზერბაიჯანის ნავთობი, ხოლო აზერბაიჯანსა და რუსეთს — ბათუმით მომავალი საქონელი. აღარას ვამბობ შეიარაღებულ შეტაკებებზე (ქართველ-სომეხთა ომი) და ხოცვა-ჟლეტაზე (სომეხ-თათართა შორის), როგორც ნაციონალისტური პოლიტიკის ბუნებრივ შედეგებზე. საკვირველი არ არის, რომ ამ მოშხამულ ნაციონალისტურ ვითარებაში ძველი ინტერნაციონალური კავშირი გაწყდა, ხოლო მუშების შეგნება ნაციონალიზმის შხამით მოწამლული აღმოჩნდა. და რამდენადაც ამ ნაციონალიზმის გადმონაშთები ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა მუშებს შორის, ეს გარემოება (ნაციონალიზმი) უაღრესად უშლის ხელს ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო (და სამხედრო) ღონისძიებათა გაერთიანების საქმეს. ხოლო მე უკვე მოგახსენეთ, რომ ასეთი გაერთიანების განუხორციელებლად შეუძლებელია ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების, მეტადრე საბჭოთა საქართველოს, სამეურნეო წარმატება. ამიტომ საქართველოს კომუნისტების მორიგი ამოცანაა ულმობელი ბრძოლა ნაციონალიზმთან, იმ ძველი ძმური ინტერნაციონალური კავშირის აღდგენა, რაც ნაციონალისტური მენშევიკური მთავრობის გაჩენამდე არსებობდა, და, ამრიგად, ურთიერთნდობის საღი ატმოსფეროს შექმნა, რაც აუცილებელია ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანებისა და საქართველოს სამეურნეო აღორძინებისათვის.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ აღარ უნდა არსებობდეს დამოუკიდებელი საქართველო ან დამოუკიდებელი აზერბაიჯანი და სხვ. ზოგიერთ ამხანაგთა შორის გავრცელებული პროექტი, რომ აღდგენილ იქნას ძველი გუბერნიები (თბილისის, ბაქოს, ერევნისა) ამიერკავკასიის ერთი მთავრობის მეთაურობით, ჩემი აზრით, უტოპიაა,

ამასთან უტოპია რეაქციული, ვინაიდან ასეთი პროექტი, უეჭველია, ისტორიის ჩარხის უკუღმა შეტრიალების სურვილიდან გამომდინარეობს. ძველი გუბერნიების აღდგენა და საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში ნაციონალურ მთავრობათა გაუქმება იმას უდრის, რომ აღადგინო მიწის მემამულური საკუთრება და გააუქმო რევოლუციის მონაპოვარნი. ამას საერთო არა აქვს რა კომუნიზმთან. სწორედ იმისათვის, რომ გაიფანტოს ურთიერთუნდობლობის ატმოსფერო და აღდგენილ იქნას ძმური კავშირი ამიერკავკასიისა და რუსეთის ეროვნებათა მუშებს შორის — სწორედ ამისათვის საჭიროა შევინარჩუნოთ როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებლობა. ეს კი არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს, რომ საჭიროა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთი სამეურნეო და სხვაგვარი დახმარება, ისევე როგორც საჭიროა მათ სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანება ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე, კონვენციის საფუძველზე.

ჩემ მიერ მიღებული ცნობების თანახმად, ამ დღეებში მოსკოვში გადაუწყვეტიათ გაუწიონ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს მცირეოდენი დახმარება 6½ მილიონი მანეთის სესხით ოქროთი. გარდა ამისა, მე გავიგე, რომ საქართველოსა და სომხეთს, თურმე, უსასყიდლოდ ეძლევათ ნავთობის პროდუქტები აზერბაიჯანიდან,—რა შემთხვევაც წარმოუდგენელია ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ცხოვრებაში, თუნდაც ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ ყბადაღებული «გულითადი შეთანხმებით» (**Entente cordiale** [31]). არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ეს და ამგვარი აქტები კი არ ასუსტებენ, არამედ განამტკიცებენ ამ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას.

ამრიგად, აღმოფხვრან ნაციონალისტური გადმონაშთები, გახურებული შანთით ამოწვან ისინი და ურთიერთნდობის ჯანსაღი ატმოსფერო შექმნან ამიერკავკასიის ეროვნებათა მშრომელებს შორის, რათა გაადვილდეს და დაჩქარდეს ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანების საქმე (ურომლისოდაც შეუძლებელია საბჭოთა საქართველოს სამეურნეო აღორძინება), ამავე დროს კი შეინარჩუნონ საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობა, — ასეთია საქართველოს კომუნისტების მეორე მორიგი ამოცანა, რომელსაც გვიკარნახებენ ამ ქვეყნის არსებობის კონკრეტული პირობები.

დასასრულ, მესამე მორიგი ამოცანა, ასევე მნიშვნელოვანი და ასევე საჭირო, — არის საქართველოს კომუნისტური პარტიის სიწმინდის, სიმტკიცისა და მოქნილობის შენარჩუნება.

ამხანაგებო! თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ ჩვენი პარტია მთავრობის პარტიაა, რომ მასში ხშირად მთელი ჯგუფობით შედიან ან ცდილობენ შევიდნენ არასაიმედო, პროლეტარულ სულისკვეთებას მოკლებული, კარიერისტული ელემენტები, რომელთაც პარტიაში შეაქვთ დაშლისა და უმოქმედობის სულისკვეთება. კომუნისტების სასიცოცხლო ამოცანაა იზრუნონ იმისათვის, რომ დაიცვან პარტია ასეთი ელემენტებისაგან. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავიხსომოთ, რომ პარტიის, განსაკუთრებით კომუნისტური პარტიის, ძალა და ხვედრითი წონა დამოკიდებულია არა იმდენად წევრთა რაოდენობაზე, რამდენად მათს ღირსებაზე, მათს სიმტკიცეზე და პროლეტარიატის საქმისადმი ერთგულებაზე. რუსეთის კომუნისტურ პარტიას სულ რაღაც 700 ათასი წევრი ჰყავს. გარწმუნებთ, ამხანაგებო, მას შეეძლო თავის წევრთა რაოდენობა 7 მილიონამდე აეყვანა, ეს რომ მოესურვებინა და არ სცოდნოდა, რომ 700 ათასი

მტკიცე კომუნისტი უფრო სერიოზულ ძალას წარმოადგენს, ვიდრე 7 მილიონი ყველასათვის ზედმეტი და სრულიად უუნარო თანამგზავრი. თუ რუსეთმა გაუძლო მსოფლიო იმპერიალიზმის შემოტევას, თუ მან მთელი რიგი სერიოზული წარმატებანი მოიპოვა საგარეო ფრონტებზე, თუ იგი ორი-სამი წლის განმავლობაში ისეთ ძალად გადაიქცა, რომელიც არყევს მსოფლიო იმპერიალიზმის საფუძვლებს, ამას იგი, სხვათა შორის, უნდა უმადლოდეს იმ დარაზმულ, ბრძოლებში გამობრძმედილ და მაგარი ფოლადისაგან ჩამოსხმულ კომუნისტურ პარტიას, რომელიც არასოდეს არ გამოჰკიდებია თავის წევრთა რაოდენობას და თავის პირველ საზრუნავად თვლიდა მათი ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას. ლასალი მართალი იყო, როცა ამბობდა, პარტია განმტკიცდება იმით, რომ თავიდან იშორებს სიბილწესო. მეორე მხრივ, უეჭველია, რომ, თუ, მაგალითად, მსოფლიოში უდიდესი სოციალ-დემოკრატიული პარტიათაგანი, გერმანიის სოციალ-დემოკრატია, იმპერიალისტური ომის დროს სათამაშო აღმოჩნდა იმპერიალიზმის ხელში, ხოლო ომის შემდეგ თიხისფეხებიანი გოლიათივით უფსკრულში გადაიჩეხა, — ეს იმიტომ, რომ იგი მთელი წლების განმავლობაში თავისი ორგანიზაციების გაფართოებით იყო გატაცებული და თავის წრეში იღებდა ყოველგვარ წვრილბურჟუაზიულ ვიგინდარებს, რომლებმაც კიდევაც ჩაჰკლეს მასში ცოცხალი სული.

ამრიგად, შეინარჩუნოს თავისი პარტიის სიმტკიცე და სიწმინდე, არ გამოეკიდოს პარტიის წევრთა რაოდენობას, სისტემატურად აუმჯობესოს პარტიის ხარისხობრივი შემადგენლობა, დაიცვას პარტია ინტელიგენტურ-მეშჩანური ნაციონალისტური ელემენტების მოზღვავებისაგან, — ასეთია საქართველოს კომუნისტური პარტიის მესამე და უკანასკნელი მორიგი ამოცანა.

მე ვამთავრებ, ამხანაგებო, ჩემს მოხსენებას. გადავდივარ დასკვნებზე:

1) განავითაროს ყოველმხრივი სამეურნეო-სამშენებლო მუშაობა, ამ მუშაობას მოანდომოს მთელი თავისი ძალები და ამასთან გამოიყენოს როგორც დასავლეთის კაპიტალისტური ჯგუფების, ისე თავისი საკუთარი ქვეყნის წვრილბურჟუაზიული ჯგუფების ძალები და სახსრები.

2) გასრისოს ნაციონალიზმის გველეშაპი და შექმნას ინტერნაციონალიზმის ჯანსაღი ატმოსფერო ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანების საქმის გასაადვილებლად და ამავე დროს შეინარჩუნოს ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობა.

3) დაიცვას პარტია მეშჩანური ელემენტების მოზღვავებისაგან და შეინარჩუნოს მისი სიმტკიცე, მოქნილობა, ამასთან სისტემატურად აუმჯობესოს მისი ხარისხობრივი შემადგენლობა.

ასეთია საქართველოს კომუნისტური პარტიის სამი ძირითადი მორიგი ამოცანა.

მხოლოდ ამ ამოცანების შესრულებით შეძლებს საქართველოს კომუნისტური პარტია თავის ხელში შეინარჩუნოს საჭე და დაძლიოს სამეურნეო ნგრევა. (ტ ა შ ი).

«პრავდა გრუზიი» (თბილისი)
№ 108, 1921 წ. 13 ივლისი.

პარტია ძალაუფლების აღებამდე და მისი აღების შემდეგ

სამი პერიოდი უნდა აღინიშნოს ჩვენი პარტიის განვითარებაში.

პირველი პერიოდი — ეს არის ჩვენი პარტიის **ჩამოყალიბების, შექმნის** პერიოდი. იგი მოიცავს დროის მონაკვეთს, დაახლოებით, «ისკრის» [32] დაარსებიდან პარტიის III ყრილობამდე ჩათვლით (1900 წ. დასასრული — 1905 წ. დასაწყისი).

ამ პერიოდში პარტია, როგორც მამოძრავებელი ძალა, სუსტია. მისი სისუსტე აიხსნება არა მარტო მისი სინორჩით, არამედ საერთოდ მუშათა მოძრაობის სინორჩითაც და იმით, რომ რევოლუციური ვითარება, რევოლუციური მოძრაობა, მეტადრე ამ პერიოდის დასაწყის სტადიებში, არ არის ან სუსტად არის განვითარებული (გლეხები დუმან ან ყრუ დრტვინვას არ სცილდებიან; მუშებმა იციან მხოლოდ ნაწილობრივი ეკონომიური თუ საერთო-საქალაქო პოლიტიკური გაფიცვა; მოძრაობის ფორმები არალეგალურ ან ნახევრადარალეგალურ ხასიათს ატარებენ; მუშათა კლასის ორგანიზაციის ფორმებსაც, უმთავრესად, არალეგალური ხასიათი აქვთ).

პარტიის სტრატეგია,—რამდენადაც სტრატეგია გულისხმობს რეზერვების არსებობას და ამ რეზერვებით მანევრირების შესაძლებლობას, — აუცილებლობის გამო ვიწ-

როა, მდიდარი არ არის. პარტია კმაყოფილდება მოძრაობის სტრატეგიული გეგმის დასახვით, ე. ი. იმ გზის დასახვით, რომლითაც უნდა წარიმართოს მოძრაობა, ხოლო პარტიის რეზერვები — წინააღმდეგობანი მოწინააღმდეგეთა ბანაკში როგორც რუსეთის შიგნით, ისე მის გარეთ, — პარტიის სისუსტის გამო გამოუყენებელნი, ან თითქმის გამოუყენებელნი რჩებიან.

პარტიის ტაქტიკა, რამდენადაც ტაქტიკა გულისხმობს მოძრაობის ყველა და ყოველგვარი ფორმის, პროლეტარიატის ორგანიზაციის ფორმების გამოყენებას, მათს კომბინირებას, ურთიერთშევსებას და სხვ. მასების მიმხრობისა და სტრატეგიული წარმატების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის, — აგრეთვე, აუცილებლობის გამო, ვიწროა, მოკლებულია გაქანებას.

პარტიის ყურადღებისა და ზრუნვის ცენტრს ამ პერიოდში წარმოადგენს თვითონ პარტია, მისი არსებობა, მისი შენარჩუნება. პარტია განიხილება ამ მომენტში, როგორც ერთგვარი თვითკმარი ძალა. ეს გასაგებიცაა: ცარიზმის გააფთრებული იერიშები პარტიაზე, ისევე როგორც მენშევიკების ცდები — აეფეთქებინათ პარტია შიგნიდან და შეეცვალათ პარტიის კადრები უფორმო, უპარტიო წარმონაქმნით (გაიხსენეთ მენშევიკების კამპანია მუშათა ყრილობის შესახებ, დაწყებული აქსელროდის ყბადაღებულ ბროშურასთან დაკავშირებით — «სახალხო სათათბირო და მუშათა ყრილობა», 1905 წ.), ემუქრებიან თვით პარტიის არსებობას, რის გამო პარტიის შენარჩუნების საკითხს ამ პერიოდში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება.

ამ პერიოდში კომუნიზმის ძირითადი ამოცანა რუსეთში არის მიიზიდოს პარტიაში მუშათა კლასის საუკეთესო, ყველაზე უფრო აქტიური და პროლეტარიატის საქმისადმი ერთგული ადამიანები, შექმნას, ფეხზე დააყენოს პროლე-

ტარიატის პარტია. ამხ. ლენინი ამ ამოცანას ასე აყალიბებს: «გადმოყვანილ იქნას კომუნიზმის მხარეზე პროლეტარიატის ავანგარდი» (იხ. «... საყმაწვილო სენი...»[33]).

მეორე პერიოდი — ეს არის პარტიის მხარეზე, პროლეტარიატის ავანგარდის მხარეზე **მუშათა და გლეხთა ფართო მასების გადმოყვანის** პერიოდი. იგი მოიცავს დროის მანძილს, დაახლოებით, 1905 წლის ოქტომბრიდან 1917 წლის ოქტომბრამდე.

ვითარება ამ პერიოდში ბევრად უფრო რთული და უფრო მდიდარია მოვლენებით, ვიდრე წინა პერიოდში. ცარიზმის დამარცხებამ მანჯურიის ველებზე და 1905 წლის ოქტომბრის რევოლუციამ, ერთი მხრივ, რუსეთ-იაპონიის ომის ლიკვიდაციამ, კონტრრევოლუციის გამარჯვებამ და რევოლუციურ მონაპოვართა გაუქმებამ, მეორე მხრივ, იმპერიალისტურმა ომმა, 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ და ცნობილმა «ორხელისუფლებიანობამ», მესამე მხრივ, — ყველა ამ მოვლენამ აამოძრავა რუსეთის ყველა კლასი და ერთიმეორის მიყოლებით გამოიყვანა ისინი პოლიტიკურ სარბიელზე, განამტკიცა კომუნისტების **პარტია,** პოლიტიკური ცხოვრებისათვის გამოაღვიძა გლეხთა ფართო მასები.

პროლეტარიატის მოძრაობა გამდიდრდა ისეთი მძლავრი ფორმებით, როგორიცაა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა და შეიარაღებული აჯანყება.

გლეხთა მოძრაობა გამდიდრდა მემამულის ბოიკოტით (მემამულის «გაძევება» კარ-მიდამოდან), რაც აჯანყებად იქცეოდა.

პარტიისა და სხვა რევოლუციური ორგანიზაციების მოღვაწეობა გააცხოველა მუშაობის ისეთი ფორმების მოპოვებამ, როგორიცაა პარლამენტგარეშე, ლეგალური, აშკარა ფორმა.

მუშათა კლასის ორგანიზაცია გამდიდრდა არა მარტო ისეთი ნაცადი და დიდმნიშვნელოვანი ფორმით, როგორიცაა პროფესიული კავშირები, არამედ მუშათა კლასის ორგანიზაციის ისეთი მძლავრი, ისტორიაში ჯერ კიდევ არნახული ფორმითაც, როგორიცაა მუშათა დეპუტატების საბჭოები.

გლეხობა გაჰყვა მუშათა კლასის გზას, — მან გამოყო გლეხთა დეპუტატების საბჭოები.

გაძლიერდა პარტიის რეზერვებიც. ბრძოლის მსვლელობაში გამოირკვა, რომ გლეხობა შეიძლება იყოს და იქნება პროლეტარიატისა და მისი პარტიის რეზერვების დაუშრეტელი მარაგი. გამოირკვა აგრეთვე პროლეტარიატისა და მისი პარტიის ხელმძღვანელი როლი კაპიტალის ძალაუფლების დამხობის საქმეში.

პარტია ამ პერიოდში სრულიადაც აღარ არის ისე სუსტი, როგორც წინა პერიოდში იყო; ის, როგორც მამოძრავებელი ძალა, ფრიად სერიოზულ ფაქტორად იქცევა. ახლა ის უკვე არ შეიძლება იყოს თვითკმარი ძალა, ვინაიდან მისი არსებობა და განვითარება უეჭველად უზრუნველყოფილია, ახლა ის თვითკმარი ძალის ნაცვლად იქცევა მუშათა და გლეხთა მასების მიმხრობის ინსტრუმენტად, კაპიტალის ძალაუფლების დამხობის საქმეში მასების ბრძოლის ხელმძღვანელობის ინსტრუმენტად.

პარტიის სტრატეგიას ამ პერიოდში გასაქანი ეძლევა, ეს სტრატეგია პირველ რიგში მიმართულია ისეთი რეზერვის უზრუნველყოფისა და გამოყენებისაკენ, როგორიც არის გლეხობა, ამასთან ამ მუშაობას სერიოზული წარმატება აქვს.

პარტიის ტაქტიკასაც ეძლევა გასაქანი იმის გამო, რომ მასების მოძრაობა, მათი ორგანიზაცია, პარტიისა და სხვა

რევოლუციური ორგანიზაციების მოღვაწეობა გამდიდრდა ახალი, წინათ არარსებული ფორმებით.

პარტიის ძირითადი ამოცანა ამ პერიოდში არის მილიონიანი მასების გადმოყვანა პროლეტარული ავანგარდის მხარეზე, პარტიის მხარეზე, ბურჟუაზიის დიქტატურის დასამხობად, ძალაუფლების დასაპყრობად. პარტიის ყურადღების ცენტრია უკვე არა თვითონ პარტია, არამედ მოსახლეობის მილიონიანი მასები. ამხ. ლენინმა ეს ამოცანა ასე ჩამოაყალიბა: «მილიონიანი მასების განლაგება» სოციალურ ფრონტზე ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას გამარჯვება «მომავალ გადამწყვეტ ბრძოლაში» (იხ. ამხ. **ლენინის** იგივე ბროშურა).

ასეთია დამახასიათებელი ნიშნები ორი პირველი პერიოდისა ჩვენი პარტიის განვითარებაში.

განსხვავება პირველ და მეორე პერიოდს შორის, უეჭველად, დიდია. მაგრამ მათ შორის საერთო რამეც არის. როგორც პირველ, ისე მეორე პერიოდში პარტია წარმოადგენს $^{9}/_{10}$-ით, თუ მთლად არა, **ნაციონალურ** ძალას, რომელიც ქმედითია მხოლოდ რუსეთისათვის და რუსეთის შიგნით (საერთაშორისო ორგანიზებული პროლეტარიატის ერთ-ერთ რაზმს). ეს პირველი. მეორეც, როგორც პირველ, ისე მეორე პერიოდში რკპ წარმოადგენს რუსეთის შიგნით გადატრიალების პარტიას, რევოლუციის პარტიას, რის გამოც მის ამ პერიოდების მუშაობაში სჭარბობენ ძველის კრიტიკისა და დანგრევის ელემენტები.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს მესამე, ახლანდელი პერიოდი.

მესამე პერიოდი — ეს არის პერიოდი **ძალაუფლების აღებისა და შენარჩუნებისა** იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, სოციალისტური მეურნეობისა და წითელი არმიის **მშენებლობაში** ჩავაბათ რუსეთის ყველა მშრომელი, ხოლო მეო-

რე მხრივ, მთელი ძალ-ღონე და მთელი საშუალებანი მოვანდომოთ იმას, რომ **დახმარება გავუწიოთ** საერთაშორისო პროლეტარიატს კაპიტალის დამხობისათვის ბრძოლაში. ეს პერიოდი მოიცავს დროის მონაკვეთს 1917 წლის ოქტომბრიდან დღემდე.

პროლეტარიატის მიერ რუსეთში ძალაუფლების აღებამ სრულიად თავისებური, მსოფლიოში ჯერ კიდევ არნახული ვითარება შექმნა როგორც საერთაშორისო მხრივ, ისე რუსეთის შიგნითაც.

დავიწყოთ იქიდან, რომ 1917 წლის ოქტომბერი ნიშნავს მსოფლიო სოციალური ფრონტის გარღვევას და ქმნის შემობრუნებას მთელ მსოფლიო ისტორიაში. წარმოიდგინეთ თვალუწვდენელი სოციალური ფრონტი ჩამორჩენილი კოლონიებიდან მოწინავე ამერიკამდე და შემდეგ ამ ფრონტის მძლავრი გარღვევა საერთაშორისო პროლეტარიატის რუსული რაზმის მიერ, გარღვევა, რამაც საფრთხე შეუქმნა იმპერიალიზმის არსებობას, არივ-დარია იმპერიალიზმის ვეშაპთა ყველა ზრახვა და ყველა გეგმა და გააადვილა, გადაჭრით გააადვილა საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლა კაპიტალთან, — ასეთია 1917 წლის ოქტომბრის ისტორიული მნიშვნელობა. ამ მომენტიდან ჩვენი პარტია **ნაციონალური** ძალიდან გადაიქცა უპირატესად **საერთაშორისო** ძალად, ხოლო რუსეთის პროლეტარიატი საერთაშორისო პროლეტარიატის ჩამორჩენილი რაზმიდან — მის **ავანგარდად.** საერთაშორისო პროლეტარიატის ამოცანები ამიერიდან იმაში მდგომარეობს, რომ გააფართოოს რუსეთში განხორციელებული გარღვევა, დაეხმაროს წინწასულ ავანგარდს, არ მისცეს მტრებს საშუალება გარშემოერტყან გაბედულ ავანგარდს და მოსწყვიტონ იგი ბაზას. საერთაშორისო იმპერიალიზმის ამოცანები, პირიქით, იმაში მდგომარეობს,

რომ მოახდინოს, აუცილებლად მოახდინოს, რუსეთში განხორციელებული გარღვევის ლიკვიდაცია. აი რატომ არის, რომ ჩვენი პარტია, თუ მას სურს ძალაუფლება შეინარჩუნოს, ვალდებულია ატარებდეს «იმის მაქსიმუმს, რის განხორციელებაც ერთ (თავის. — **ი. სტ.**) ქვეყანაშია შესაძლებელი, **ყველა ქვეყანაში** რევოლუციის განვითარების, მხარდაჭერის, გაღვივების **მიზნით**» (იხ. **ლენინის** «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი» [34]). აი რატომ არის, რომ 1917 წლის ოქტომბრიდან ჩვენი პარტია ნაციონალური ძალიდან გადაიქცა საერთაშორისო ძალად, **საერთაშორისო** მასშტაბით გადატრიალების პარტიად.

ასეთივე ძირფესვიანი ცვლილება მოხდა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შედეგად პარტიის მდგომარეობაში **ქვეყნის შიგნით.** წინა პერიოდებში პარტია წარმოადგენდა ბერკეტს ძველის დასანგრევად, რუსეთში კაპიტალის დასამხობად. ახლა, მესამე პერიოდში, პირიქით, ის რუსეთის შიგნით გადატრიალების პარტიიდან გადაიქცა მშენებლობის პარტიად, მეურნეობის ახალი ფორმების შექმნის პარტიად. წინათ ის მუშების საუკეთესო ძალებს ძველ წესწყობილებაზე იერიშის მისატანად კრებდა, ახლა ის **ამ** ძალებს სურსათის საქმის, ტრანსპორტის, ინდუსტრიის ძირითადი დარგების მოსაწესრიგებლად კრებს. წინათ ის გლეხობის რევოლუციურ ელემენტებს მემამულის დასამხობად იზიდავდა, ახლა ის მათ კრებს სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად, გლეხობის მშრომელ ელემენტებსა და ხელისუფლების სათავეში მდგომ პროლეტარიატს შორის კავშირის განსამტკიცებლად. წინათ ის ჩამორჩენილ ეროვნებათა საუკეთესო ელემენტებს კრებდა კაპიტალთან საბრძოლველად, ახლა ის მათ კრებს ამ ეროვნებათა მშრომელი ელემენტების ცხოვრების მოსაწყობად რუს პროლეტარიატთან თანამშრომლო-

ბის საფუძველზე. წინათ ის ანგრევდა არმიას, გენერლების ძველ არმიას, ახლა მან უნდა შექმნას ახალი მუშურ-გლეხური არმია, რომელიც საჭიროა რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად გარეშე მტრებისაგან.

რუსეთის შიგნით გადატრიალების პარტიიდან რკპ მშვიდობიანი მშენებლობის პარტიად გადაიქცა. სწორედ ამიტომ გამორიცხა მან პროლეტარიატის არსენალიდან ბრძოლის ისეთი ფორმები, როგორიცაა გაფიცვა, აჯანყება, რომლებიც ახლა უკვე ზედმეტი გახდნენ რუსეთში.

წინათ შეიძლებოდა თავის გატანა ისე, რომ არ გვყოლოდა სამხედრო და სამეურნეო საქმის მცოდნენი, ვინაიდან პარტიის მუშაობა უპირატესად კრიტიკული იყო, ხოლო გაკრიტიკება ადვილია... ახლა პარტია თავს ვერ გაიტანს საქმის მცოდნეთა გარეშე; ძველი სპეციალისტების გამოყენებასთან ერთად, მან უნდა მოამზადოს **თავისი** მცოდნე ადამიანები: ჯარის შემდგენელნი, მომმარაგებელნი, ოპერატორები (სამხედრო ხაზით), სასურსათო საქმის, სოფლის მეურნეობის მუშაკები, რკინიგზელები, კოოპერატორები, ინდუსტრიის, საგარეო ვაჭრობის მცოდნენი (სამეურნეო ხაზით). უამისოდ შენება არ შეიძლება.

მოხდა ცვლილება პარტიის მდგომარეობაში მისი ძალებისა და საშუალებების, მისი რეზერვების უზარმაზარი გადიდებისა და გამრავლების აზრითაც.

პარტიის რეზერვები:

1) წინააღმდეგობანი სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის რუსეთის შიგნით.

2) წინააღმდეგობანი და კონფლიქტები, რომლებიც ზოგჯერ სამხედრო შეტაკებებამდე მიდის, გარემომცველ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის.

3) სოციალისტური მოძრაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

4) ნაციონალური განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩამორჩენილ და კოლონიურ ქვეყნებში.

5) გლეხობა და წითელი არმია რუსეთში.

6) დიპლომატიისა და საგარეო ვაჭრობის აპარატები.

7) სახელმწიფო ხელისუფლების მთელი ძლიერება.

ასეთია საერთოდ ის ძალები და შესაძლებლობანი, რომელთა ფარგლებში, — ხოლო ეს ფარგლები საკმაოდ ფართოა, — შეუძლია პარტიულ სტრატეგიას მანევრირება და რომელთა საფუძველზე შეუძლია პარტიულ ტაქტიკას ძალთა მობილიზაციის ყოველდღიური მუშაობა აწარმოოს.

ყოველივე ეს 1917 წლის ოქტომბრის დადებითი მხარეებია.

მაგრამ ოქტომბერს ჩრდილოვანი მხარეც აქვს. საქმე ის არის, რომ პროლეტარიატმა რუსეთში ძალაუფლება დაიპყრო განსაკუთრებულ საგარეო და საშინაო პირობებში, რომლებმაც ბეჭედი დაასვეს პარტიის მთელ მუშაობას ძალაუფლების აღების შემდეგ.

ჯერ ერთი, რუსეთი სამეურნეო მხრივ ჩამორჩენილი ქვეყანაა, მისთვის მეტად ძნელია საკუთარი ძალებით მოაწესრიგოს ტრანსპორტი, განავითაროს ინდუსტრია და განახორციელოს ქალაქისა და სოფლის მრეწველობის ელექტროფიკაცია ისე, თუ თავისი ნედლეული არ გადაცვალა დასავლეთ ევროპის მანქანებსა და მოწყობილობაზე. მეორეც, რუსეთი დღემდე წარმოადგენს სოციალისტურ კუნძულს, რომელიც გარემოცულია მრეწველობის მხრივ უფრო განვითარებული, მისდამი მტრულად განწყობილი, კაპიტალისტური სახელმწიფოებით. საბჭოთა რუსეთს მეზობლად მრეწველობის მხრივ განვითარებული ერთი დიდი ან რამდენიმე საბჭოთა სახელმწიფო რომ ჰყოლოდა, ის ადვილად შეძლებდა ასეთ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის დამყარებას მანქანებსა და მოწყობილობაზე ნედ-

ლეულის გაცვლის საფუძველზე. მაგრამ ვიდრე ეს არ არის, საბჭოთა რუსეთი და მისი მთავრობის ხელმძღვანელი ჩვენი პარტია იძულებულია ეძებოს ფორმები და ხერხები დასავლეთის მტრულ კაპიტალისტურ ჯგუფებთან სამეურნეო კოოპერირებისა, რათა მივიღოთ საჭირო ტექნიკა იმ მომენტამდე, სანამ პროლეტარული რევოლუცია გაიმარჯვებდეს ერთ ან რამდენიმე სამრეწველო კაპიტალისტურ ქვეყანაში. ურთიერთობის კონცესიური ფორმა და საგარეო ვაჭრობა — ასეთია ამ მიზნის მიღწევის საშუალებანი. უამისოდ ძნელია იმედი ვიქონიოთ გადამწყვეტი წარმატებებისა სამეურნეო მშენებლობის საქმეში, ქვეყნის ელექტროფიკაციის საქმეში. ეს პროცესი, უეჭველია, ნელი და მტკივნეული იქნება, მაგრამ ის აუცილებელია, გარდუვალია, და იმით, რომ ზოგიერთი მოუთმენელი ამხანაგი ნერვიულობს და სწრაფ შედეგებსა და ეფექტურ ოპერაციებს მოითხოვს, აუცილებლობა მაინც არ მოისპობა.

ეკონომიური თვალსაზრისით კაპიტალისტური ჯგუფების ახლანდელ კონფლიქტებსა და ერთმანეთს შორის სამხედრო შეტაკებებს, ისევე როგორც პროლეტარიატის ბრძოლას კაპიტალისტების კლასთან, საფუძვლად უდევს ახლანდელ საწარმოო ძალთა კონფლიქტი მათი განვითარების ნაციონალურ-იმპერიალისტურ ჩარჩოებთან და მითვისების კაპიტალისტურ ფორმებთან. იმპერიალისტური ჩარჩოები და კაპიტალისტური ფორმა ახრჩობენ, განვითარების საშუალებას არ აძლევენ საწარმოო ძალებს. ერთადერთი გამოსავალია მსოფლიო მეურნეობის მოწყობა მოწინავე (სამრეწველო) და ჩამორჩენილ (სათბობ-ნედლეულის) ქვეყნებს შორის სამეურნეო თანამშრომლობის საფუძველზე (და არა პირველთა მიერ უკანასკნელთა ძარცვის საფუძველზე). სწორედ ამისათვის არის საჭირო საერთაშორისო პროლეტარული რევოლუცია. უამისოდ

ფიქრიც კი არ შეიძლება მსოფლიო მეურნეობის მოწყობასა და ნორმალურ განვითარებაზე. მაგრამ იმისათვის, რომ დაწყებულ იქნას (თუნდაც მხოლოდ **დაწყებულ იქნას**) წესიერი მსოფლიო მეურნეობის მოგვარება, აუცილებელია პროლეტარიატის გამარჯვება რამდენიმე მოწინავე ქვეყანაში მაინც. ვიდრე ეს არ არის, ჩვენი პარტია იძულებული ხდება ეძებოს სამეურნეო სარბიელზე კაპიტალისტურ ჯგუფებთან კოოპერირების მიხვეულ-მოხვეული გზები.

აი რატომ არის, რომ პარტია, რომელმაც თავისი ბურჟუაზია დაამხო და პროლეტარული რევოლუციის დროშა აღმართა, ამასთან ერთად მიზანშეწონილად თვლის «ხელფეხი გაუხსნას» წვრილ წარმოებას და წვრილ მრეწველობას ჩვენს ქვეყანაში, დაუშვას კაპიტალიზმის ნაწილობრივი აღორძინება და თან დამოკიდებული გახადოს იგი სახელმწიფო ხელისუფლებისაგან, მოიზიდოს მოიჯარენი და აქციონერები და სხვ. და სხვ., იმ მომენტამდე, სანამ რეალურ შედეგებს არ გამოიღებს პარტიის პოლიტიკა — «გაატაროს იმის მაქსიმუმი, რის განხორციელებაც ერთ ქვეყანაშია შესაძლებელი, **ყველა ქვეყანაში** რევოლუციის განვითარების, მხარდაჭერის, გაღვივების **მიზნით**».

ასეთია 1917 წლის ოქტომბრის მიერ შექმნილი ის თავისებური — როგორც დადებითი, ისე ჩრდილოვანი — პირობები, რომლებშიც მოქმედებს და ვითარდება ჩვენი პარტია თავისი არსებობის მესამე პერიოდში.

ამ პირობებით განისაზღვრება ის უდიდესი ძალა, რომელიც აქვს ახლა ჩვენს პარტიას როგორც რუსეთის შიგნით, ისე მის გარეთ. ამ პირობებითვე განისაზღვრება ის არაჩვეულებრივი სიძნელენი და საშიშროებანი, რომელთა წინაშე დგას პარტია და რომლებიც მან უნდა დაძლიოს რადაც უნდა დაჯდეს.

პარტიის ამოცანები ამ პერიოდში **საგარეო პოლიტიკის** დარგში განისაზღვრება ჩვენი პარტიის, როგორც საერთაშორისო **რევოლუციის** პარტიის, მდგომარეობით. ეს ამოცანებია:

1) გამოვიყენოთ ყველა და ყოველგვარი წინააღმდეგობანი და კონფლიქტები ჩვენი ქვეყნის გარემომცველ კაპიტალისტურ ჯგუფებსა და მთავრობებს შორის იმპერიალიზმის დაშლის მიზნით.

2) არ დავზოგოთ ძალ-ღონე და საშუალებანი დასავლეთში პროლეტარული რევოლუციისათვის დახმარების გასაწევად.

3) ვიხმაროთ ყველა ღონისძიება აღმოსავლეთში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გასაძლიერებლად.

4) განვამტკიცოთ წითელი არმია.

პარტიის ამოცანები ამ პერიოდში **საშინაო პოლიტიკის** დარგში განისაზღვრება რუსეთის **შიგნით** ჩვენი პარტიის, როგორც **მშვიდობიანი** სამშენებლო მუშაობის პარტიის, მდგომარეობით. ეს ამოცანებია:

1) განვამტკიცოთ პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის კავშირი, რისთვისაც:

ა) ჩავაბათ სახელმწიფო სამშენებლო მუშაობაში ყველაზე ინიციატივიანი და ყაირათიანი ელემენტები გლეხთა წრიდან;

2) დავეხმაროთ გლეხურ მეურნეობას სასოფლო-სამეურნეო ცოდნით, მანქანების რემონტით და სხვ.;

გ) განვავითაროთ პროდუქტების სწორი გაცვლა ქალაქსა და სოფელს შორის;

დ) განვახორციელოთ სოფლის მეურნეობის თანდათანი ელექტროფიკაცია.

უნდა გვახსოვდეს ერთი დიდმნიშვნელოვანი გარემოება. ჩვენი რევოლუციის საბედნიეროდ თავისებურებას და ჩვენი პარტიის უზარმაზარ პლუსს, დასავლეთის რევოლუციებისა და პროლეტარული პარტიებისაგან განსხვავებით, ის ფაქტი შეადგენს, რომ წვრილი ბურჟუაზიის ყველაზე ფართო და მძლავრი ფენები, გლეხობა, ბურჟუაზიის შესაძლო რეზერვებიდან რუსეთში გადაიქცნენ პროლეტარიატის ნამდვილ რეზერვებად. ამ გარემოებამ განსაზღვრა რუსეთის ბურჟუაზიის სისუსტე, რუსეთის პროლეტარიატის ინტერესების სასარგებლოდ. ეს, უმთავრესად, იმით აიხსნება, რომ გლეხებმა რუსეთში მემამულურ კაბალას, დასავლეთისაგან განსხვავებით, პროლეტარიატის ხელმძღვანელობით დააღწიეს თავი. სწორედ ამ ნიადაგზე შეიქმნა პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის კავშირი რუსეთში. კომუნისტების მოვალეობაა — გაუფრთხილდნენ ამ კავშირს და განამტკიცონ იგი.

2) განვავითაროთ ინდუსტრია, რისთვისაც:

ა) თავი მოვუყაროთ ძალთა მაქსიმუმს ინდუსტრიის ძირითადი დარგების დასაუფლებლად და იქ დასაქმებული მუშების მომარაგების გასაუმჯობესებლად;

ბ) განვავითაროთ საგარეო ვაჭრობა მანქანების, მოწყობილობის შემოტანის ხაზით;

გ) მოვიზიდოთ აქციონერები, მოიჯარეები;

დ) შევქმნათ სურსათის თუნდაც მინიმალური სამანევრო ფონდი;

ე) მოვახდინოთ ტრანსპორტის, მსხვილი მრეწველობის ელექტროფიკაცია.

ასეთია, ზოგადად, პარტიის ამოცანები მისი განვითარების ახლანდელ პერიოდში.

«პრავდა» № 190,
1921 წ. 28 აგვისტო.
ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ნაციონალური პოლიტიკა

ოქტომბრის რევოლუციის ძალა, სხვათა შორის, იმაში მდგომარეობს, რომ მან, დასავლეთის რევოლუციებისაგან განსხვავებით, დარაზმა რუსეთის პროლეტარიატის ირგვლივ მრავალმილიონიანი წვრილი ბურჟუაზია და, უწინარეს ყოვლისა, მისი ყველაზე უფრო ძლიერი და მრავალრიცხოვანი ფენები — გლეხობა. ამით რუსეთის ბურჟუაზია იზოლირებულ იქნა, უარმიოდ დარჩა, ხოლო რუსეთის პროლეტარიატი გადაიქცა ქვეყნის ბედის გადამწყვეტად. უამისოდ რუსეთის მუშები ვერ შეინარჩუნებდნენ ძალაუფლებას.

ზავი, აგრარული გადატრიალება და ეროვნებათა თავისუფლება — ასეთია სამი ძირითადი მომენტი, რომელთაც შემოკრიბეს რუსეთის პროლეტარიატის წითელი დროშის ირგვლივ თვალუწვდენელი რუსეთის ოცზე მეტი ეროვნების გლეხები.

ორ პირველ მომენტზე ლაპარაკი აქ აუცილებელი არაა. მათ შესახებ უკვე საკმაოდ ითქვა ლიტერატურაში, ამასთან ისინი თვითონ მეტყველებენ თავის თავზე. რაც შეეხება მესამე მომენტს — რუსი კომუნისტების ნაციონალურ პოლიტიკას, — მისი დიდი მნიშვნელობა, როგორც ჩანს,

ჯერ კიდევ არ არის სავსებით შეგნებული. ამიტომ ზედმეტი არ იქნება ვთქვათ მასზე რამდენიმე სიტყვა.

დავიწყოთ იმით, რომ რსფსრ-ის (გამორიცხულია ფინეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი) 140-მილიონიანი მოსახლეობიდან ველიკოროსები შეადგენენ არაუმეტეს 75 მილიონისა, ხოლო დანარჩენი 65 მილიონი წარმოადგენს არაველიკოროს ეროვნებებს.

შემდეგ, ეს ერები მოსახლეობენ, უმთავრესად, განაპირა მხარეებში, იმ პუნქტებში, სადაც ყველაზე მეტია მტრის თავდასხმის საფრთხე, ამასთან ამ განაპირა მხარეებში ბლომად მოიპოვება ნედლეული, სათბობი, სურსათ-სანოვაგე.

ბოლოს, ეს განაპირა მხარეები უფრო ნაკლებ არიან განვითარებულნი (ანდა სრულებით არ არიან განვითარებულნი) სამრეწველო და სამხედრო მხრივ, ვიდრე ცენტრალური რუსეთი, რის გამო მათ არ ძალუძთ დაიცვან თავიანთი დამოუკიდებელი არსებობა ცენტრალური რუსეთის სამხედრო-სამეურნეო დახმარების გარეშე, ისევე როგორც ცენტრალურ რუსეთს არ ძალუძს შეინარჩუნოს თავისი სამხედრო-სამეურნეო ძლიერება განაპირა მხარეების მიერ სათბობ-ნედლეულით და სურსათით დახმარების გაუწევლად.

ამ გარემოებებმა და კიდევ კომუნიზმის ნაციონალური პროგრამის ცნობილმა დებულებებმა განსაზღვრეს რუსი კომუნისტების ნაციონალური პოლიტიკის ხასიათი.

ამ პოლიტიკის დედააზრი შეიძლება გამოითქვას რამდენიმე სიტყვით: უარისთქმა ყველა და ყოველგვარ «დაჩემებასა» და «უფლებაზე» იმ ოლქების მიმართ, სადაც არარუსი ერები მოსახლეობენ; ამ ერების დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლების აღიარება (სიტყვით კი არა, არამედ საქმით); ამ ერების ნებაყოფ-

ლობითი სამხედრო-სამეურნეო კავშირი ცენტრალურ რუსეთთან; დახმარება ჩამორჩენილ ერებს მათი კულტურული და სამეურნეო განვითარების საქმეში, ურომლისოდ ეგრეთწოდებული «ნაციონალური თანასწორუფლებიანობა» იქცევა ცარიელ სიტყვად; ყოველივე ეს განაპირა მხარეებში მოსახლე ერების გლეხთა სრული განთავისუფლებისა და მთელი ძალაუფლების მშრომელი ელემენტების ხელში თავმოყრის საფუძველზე — ასეთია რუსი კომუნისტების ნაციონალური პოლიტიკა.

თქმა არ უნდა, ხელისუფლების სათავეში ჩამდგარი რუსი მუშები ვერ მოიპოვებდნენ თავიანთი სხვატომელი ამხანაგების და, უწინარეს ყოვლისა, არასრულუფლებიან ერთა ჩაგრული მასების თანაგრძნობასა და ნდობას, მათ რომ საქმით არ დაემტკიცებინათ თავიანთი მზადყოფნა — გაატარონ ცხოვრებაში ასეთი ნაციონალური პოლიტიკა, მათ რომ უარი არ ეთქვათ «უფლებაზე» ფინეთის მიმართ, მათ რომ არ გამოეყვანათ ჯარი ჩრდილოეთ სპარსეთიდან, მათ რომ არ აღმოეფხვრათ რუსი იმპერიალისტების პრეტენზიები მონღოლეთისა და ჩინეთის განსაზღვრულ რაიონებზე, ისინი რომ არ ეხმარებოდნენ ყოფილი რუსეთის იმპერიის ჩამორჩენილ ერებს — განავითარონ კულტურა და სახელმწიფოებრიობა დედაენაზე.

მხოლოდ ამ ნდობის საფუძველზე შეიძლებოდა წარმოშობილიყო რსფსრ-ის ხალხთა ის ურღვევი კავშირი, რომლის წინააღმდეგაც უძლური აღმოჩნდა ყველა და ყოველგვარი «დიპლომატიური» ხრიკი და გულდასმით გატარებული «ბლოკადები».

კიდევ მეტი. რუსი მუშები ვერ შეძლებდნენ დაემარცხებინათ კოლჩაკი, დენიკინი და ვრანგელი ყოფილი რუსეთის განაპირა მხარეთა ჩაგრული მასების ასეთი თანაგრძნობისა და ნდობის გარეშე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ მეამბოხე გენერლების მოქმედების რაიონი განი-

საზღვრებოდა იმ განაპირა მხარეების რაიონებით, სადაც უმთავრესად მოსახლეობენ არარუსი ერები, ხოლო ამ უკანასკნელთ არ შეიძლებოდა არ ჰქონოდათ კოლჩაკის, დენიკინისა და ვრანგელის სიძულვილი მათი იმპერიალისტური და რუსიფიკატორული პოლიტიკის გამო. ანტანტას, რომელიც ჩაერია საქმეში და მხარს უჭერდა ამ გენერლებს, შეეძლო დამყარებოდა მხოლოდ განაპირა მხარეების რუსიფიკატორულ ელემენტებს. ამით ანტანტამ მხოლოდ გააღვივა განაპირა მხარეების მოსახლეობის სიძულვილი მეამბოხე გენერლებისადმი და გააღრმავა ამ მოსახლეობის თანაგრძნობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

ამ გარემოებამ განსაზღვრა კოლჩაკის, დენიკინისა და ვრანგელის ზურგის შინაგანი სისუსტე და, მაშასადამე, მათი ფრონტების სისუსტეც, ე. ი., ბოლოს და ბოლოს, მათი დამარცხება.

მაგრამ რუსი კომუნისტების ნაციონალური პოლიტიკის კეთილისმყოფელი შედეგები არ განისაზღვრება რსფსრ-ის და მასთან დაკავშირებული საბჭოთა რესპუბლიკების ფარგლებით. ეს შედეგები, თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც ემჩნევა აგრეთვე მეზობელი ქვეყნების ურთიერთობას რსფსრ-თან. ის გარემოება, რომ ძირფესვიანად გაუმჯობესდა თურქეთის, სპარსეთის, ავღანეთის, ინდოეთისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ურთიერთობა რუსეთთან, რომელიც წინათ ამ ქვეყნების საფრთხობელად ითვლებოდა, წარმოადგენს **ფაქტს,** რომლის წინააღმდეგაც დავას ახლა ვერ ბედავს ისეთი მამაცი პოლიტიკოსიც კი, როგორიცაა ლორდი კერზონი. არა გვგონია საჭირო იყოს ომის მტკიცება, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ოთხი წლის მანძილზე რსფსრ-ის შიგნით ზემოდახასიათებული ნაციონალური პოლიტიკის სისტემატურად გატარების გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა აღნიშნული

ძირეული ცვლილება რუსეთისადმი მეზობელი ქვეყნების დამოკიდებულებაში.

ასეთია, ზოგადად, რუსი კომუნისტების ნაციონალური პოლიტიკის შედეგები. ისინი, ეს შედეგები, განსაკუთრებით ცხადი ხდება სწორედ ახლა, საბჭოთა ხელისუფლების ოთხი წლისთავზე, როდესაც დამთავრებულია მძიმე ომი, დაწყებულია ფართო სამშენებლო მუშაობა, და ძალაუნებურად ავლებ თვალს განვლილ გზას, რათა ერთი შეხედვით მოიცვა იგი.

«პრავდა» № 251,
1921 წ. 6 — 7 ნოემბერი.
ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

პერსპექტივები

საერთაშორისო ვითარებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს რუსეთის ცხოვრებაში. არა მარტო იმიტომ, რომ რუსეთი, ისევე როგორც ევროპის ყოველი სხვა ქვეყანა, უთვალავი ძაფებით არის დაკავშირებული მეზობელ კაპიტალისტურ ქვეყნებთან, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმიტომაც, რომ ის, როგორც საბჭოთა ქვეყანა, რომელიც ამის გამო «საფრთხეს» წარმოადგენს ბურჟუაზიული მსოფლიოსათვის, მოვლენათა მიმდინარეობით გარშემორტყმული აღმოჩნდა ბურჟუაზიული სახელმწიფოებისაგან შემდგარი მტრული ბანაკით. ამასთან გასაგებია, რომ საქმის ვითარებას ამ ბანაკში, მებრძოლ ძალთა თანაფარდობას ამ ბანაკის შიგნით, არ შეიძლება პირველხარისხოვანი მნიშვნელობა არ ჰქონდეს რუსეთისათვის.

ძირითად მომენტად, რომელიც საერთაშორისო ვითარებას ახასიათებს, ის ფაქტი უნდა ჩაითვალოს, რომ აშკარა ომის პერიოდი «მშვიდობიანი» ბრძოლის პერიოდით შეიცვალა, რომ დამყარდა მებრძოლ ძალთა ერთგვარი ურთიერთალიარება და დროებითი ზავი მათ შორის, ერთი მხრივ, ანტანტასა, როგორც ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის მეთაურსა, და, მეორე მხრივ, რუსეთსა, როგორც პროლეტარული რევოლუციის მოწინავე რაზმს შორის. ბრძოლამ ცხადყო, რომ ჩვენ (მუშები) **ჯერ კიდევ არა**

ვართ ისე ძლიერნი, რომ ახლავე მოვუღოთ ბოლო იმპერიალიზმს. მაგრამ ბრძოლამ ცხადყო აგრეთვე, რომ ისინი (ბურჟუები) **უკვე** არ არიან ისე ძლიერნი, რომ საბჭოთა რუსეთი მოახრჩონ.

ამასთან დაკავშირებით გაქრა, გაქარწყლდა მსოფლიო ბურჟუაზიის ის «შიში» თუ «ძრწოლა» პროლეტარული რევოლუციის წინაშე, რამაც მოიცვა იგი, მაგალითად, ვარშავაზე წითელი არმიის შეტევის დღეებში. ამასთან ერთად ქრება ის უსაზღვრო ენთუზიაზმიც, რომლითაც ხვდებოდნენ ევროპის მუშები თითქმის ყოველ ამბავს საბჭოთა რუსეთის შესახებ.

დადგა ძალთა ფხიზელი აღრიცხვის პერიოდი, მომავალი ბრძოლებისათვის ძალთა მოსამზადებლად და დასაგროვებლად მოლეკულარული მუშაობის პერიოდი.

ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ძალთა ერთგვარი წონასწორობა, რაც ჯერ კიდევ 1921 წლის დასაწყისში დამყარდა, უცვლელად დარჩენილიყოს. სრულიადაც არა.

მსოფლიო ბურჟუაზია, წელში რომ გასწორდა რევოლუციის იმ დარტყმების შემდეგ, რაც მან იგემა იმპერიალისტური ომის შედეგებთან დაკავშირებით, გონს მოვიდა და თავდაცვიდან გადავიდა შეტევაზე «თავისი საკუთარი» მუშების წინააღმდეგ, მან ოსტატურად გამოიყენა სამრეწველო კრიზისი და არსებობის უარეს პირობებში ჩააგდო მუშები (ხელფასის დაკლება, სამუშაო დღის გადიდება, მასობრივი უმუშევრობა). ამ შეტევის შედეგები განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა გერმანიაში, სადაც (გარდა ყოველივე დანარჩენისა) მარკის კურსის სწრაფმა დაცემამ კიდევ უფრო გააუარესა მუშების მდგომარეობა.

ამ ნიადაგზე წარმოიშვა მუშათა კლასში მძლავრი მოძრაობა (განსაკუთრებით გერმანიაში) მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნისა და მუშათა მთავრობის მოპოვებისათვის, მოძრაობა, რომელიც მოითხოვს მუშათა კლასის ყველა

მეტად თუ ნაკლებად რევოლუციური, «ზომიერით» დაწყებული და «უკიდურესით» გათავებული, ფრაქციების შეთანხმებას და ერთობლივ ბრძოლას საერთო მტრის წინააღმდეგ. საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ, რომ მუშათა მთავრობისათვის ბრძოლაში კომუნისტები პირველ რიგებში იქნებიან, ვინაიდან ამ ბრძოლამ უნდა გამოიწვიოს ბურჟუაზიის შემდგომი დაშლა და ახლანდელი კომუნისტური პარტიების ნამდვილად მასობრივ მუშათა პარტიებად გადაქცევა.

მაგრამ საქმე სრულიადაც არ იფარგლება ბურჟუაზიის შეტევით «თავის საკუთარ» მუშებზე. ბურჟუაზიამ იცის, რომ ის ვერ გასტეხს «თავის» მუშებს რუსეთის აულაგმავად. აქედან წარმოდგება ბურჟუაზიის სულ უფრო და უფრო გაძლიერებული მუშაობა რუსეთზე ახალი, უფრო რთული და საფუძვლიანი შეტევის მოსამზადებლად, ვიდრე ყველა წინანდელი შეტევა იყო.

რა თქმა უნდა, სავაჭრო და სხვაგვარი ხელშეკრულებანი იდება და კიდევ დაიდება რუსეთთან, და ამას რუსეთისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ არ უნდა დავიწყოთ, რომ სავაჭრო და ყოველგვარი სხვა მისიები და საზოგადოებანი, რომლებიც ავსებენ რუსეთს, ვაჭრობენ მასთან და ეხმარებიან მას, ამასთან ერთად წარმოადგენენ მსოფლიო ბურჟუაზიის საუკეთესო მზვერავებს, რომ ახლა ის, მსოფლიო ბურჟუაზია, ამის გამო უკეთ იცნობს საბჭოთა რუსეთს, მის სუსტ და ძლიერ მხარეებს, ვიდრე როდისმე იცნობდა, — გარემოება, რომელიც სერიოზულ საშიშროებას შეიცავს ახალი ინტერვენციონისტული გამოსვლების შემთხვევაში.

რა თქმა უნდა, ცნობილი შეხლა-შემოხლა აღმოსავლეთის საკითხის გამო «გაუგებრობად» არის მიჩნეული. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ თურქეთი, სპარსეთი, ავღანეთი, შორეული აღმოსავლეთი ივსება იმპერიალიზმის აგენ-

ტებით, ოქროთი და სხვა «სიკეთით», რათა საბჭოთა რუსეთის გარშემო შექმნან სამეურნეო (და არა მარტო სამეურნეო) რკალი. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ვაშინგტონის ეგრეთწოდებული «საზავო» კონფერენცია [25] ჩვენ ნამდვილად სამშვიდობოს არაფერს არ გვიქადის.

რა თქმა უნდა, ჩვენ «მეტად კარგი» ურთიერთობა გვაქვს პოლონეთთანაც, რუმინეთთანაც, ფინეთთანაც. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ქვეყნები, განსაკუთრებით პოლონეთი და რუმინეთი, გაძლიერებით იარაღდებიან ანტანტის ხარჯზე, ემზადებიან ომისათვის (ვისთან, თუ არა რუსეთთან?), რომ ისინი ახლა, ისევე როგორც წინათ, იმპერიალიზმის უახლოეს რეზერვებს შეადგენენ, რომ სწორედ მათ გადმოისროლეს ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთის ტერიტორიაზე (დაზვერვისათვის?) სავინკოველთა და პეტლიურელთა თეთრგვარდიული რაზმები.

ყოველივე ეს და ბევრი მსგავსი რამ წარმოადგენს, ალბათ, რუსეთზე ახალი შემოტევის მომზადებისათვის წარმოებული საერთო მუშაობის ცალკეულ რგოლებს.

ეკონომიური ბრძოლის შეთავსება სამხედრო ბრძოლასთან, შიგნიდან იერიშის შეერთება გარედან იერიშთან — ასეთია ამ შეტევის ყველაზე უფრო მოსალოდნელი ფორმა.

კომუნისტების სიფხიზლისაგან ზურგსა და არმიაში, ჩვენი მუშაობის წარმატებებისაგან სამეურნეო სარბიელზე, დასასრულ, წითელი არმიის სიმტკიცისაგან არის დამოკიდებული — მოვახერხებთ თუ არა ჩვენ შეუძლებელი გავხადოთ ეს შემოტევა, ანდა, იგი რომ მაინც დაიწყოს, — გადავაქციოთ ის გამანადგურებელ იარაღად მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ასეთია, ზოგადად, საგარეო მდგომარეობა.

არანაკლებ რთულია და, თუ გნებავთ, «ორგინალურია» საბჭოთა რუსეთის საშინაო მდგომარეობა. იგი შეიძ-

ლება დახასიათდეს სიტყვებით: ბრძოლა ახალ, სამეურნეო საფუძველზე მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებისათვის ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის განსავითარებლად, ანუ სხვა სიტყვებით: ბრძოლა სამეურნეო ნგრევის პირობებში პროლეტარიატის დიქტატურის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

დასავლეთში არსებობს თეორია, რომლის მიხედვითაც მუშებს შეუძლიათ აიღონ და შეინარჩუნონ ძალაუფლება მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც ისინი უმრავლესობას შეადგენენ, ან, ყოველ შემთხვევაში, სადაც მრეწველობაში დასაქმებული მოსახლეობა უმრავლესობას შეადგენს. სწორედ რომ ვთქვათ, ამ საბუთით უარყოფენ ბატონი კაუცკები პროლეტარული რევოლუციის «კანონზომიერებას» რუსეთში, სადაც პროლეტარიატი უმცირესობას შეადგენს. ეს თეორია მდუმარედ ემყარება იმ ვარაუდს, რომ წვრილ ბურჟუაზიას, უწინარეს ყოვლისა გლეხობას, არ შეუძლია მხარი დაუჭიროს მუშების ბრძოლას ძალაუფლებისათვის, რომ გლეხობა, როგორც მასა, შეადგენს არა პროლეტარიატის, არამედ ბურჟუაზიის რეზერვს. ამ ვარაუდის ისტორიული საფუძველი ის არის, რომ დასავლეთში (საფრანგეთი, გერმანია) წვრილი ბურჟუაზია (გლეხობა) კრიტიკულ მომენტებში **ჩვეულებრივ აღმოჩნდებოდა ხოლმე** ბურჟუაზიის მხარეზე (1848 წ. და 1871 წ. საფრანგეთში, პროლეტარული რევოლუციის ცდები გერმანიაში 1918 წლის შემდეგ).

ამ მოვლენის მიზეზები:

1) ბურჟუაზიულმა რევოლუციამ დასავლეთში ჩაიარა ბურჟუაზიის ხელმძღვანელობით (პროლეტარიატი მაშინ რევოლუციის მხოლოდ გამწევ ძალას წარმოადგენდა), გლეხობამ იქ მიწა და ფეოდალური უღლისაგან თავისუფლება, ასე ვთქვათ, ბურჟუაზიის ხელიდან მიიღო, რის

გამო ბურჟუაზიის გავლენა გლეხობაზე უკვე მაშინ უზრუნველყოფილად ითვლებოდა.

2) დასავლეთში ბურჟუაზიული რევოლუციის დასაწყისიდან პროლეტარული რევოლუციის პირველ ცდებამდე ნახევარ საუკუნეზე მეტმა განვლო; ამ ხნის მანძილზე გლეხობამ მოასწრო გამოეყო სოფლად მძლავრი და გავლენიანი სოფლის ბურჟუაზია, რომელიც გლეხობისა და ქალაქის მსხვილი კაპიტალის შემაერთებელი ხიდი გახდა და რომელმაც ამით განამტკიცა ბურჟუაზიის ჰეგემონია გლეხობის მიმართ.

სწორედ ამ ისტორიულ ვითარებაში გაჩნდა ზემოხსენებული თეორია.

სრულიად სხვა სურათი იშლება რუსეთში.

ჯერ ერთი, ბურჟუაზიული რევოლუცია რუსეთში (1917 წ. თებერვალი — მარტი), დასავლეთისაგან განსხვავებით, ჩატარდა პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, ბურჟუაზიასთან სასტიკ ბრძოლებში, რომელთა მსვლელობაში გლეხობა ირაზმებოდა პროლეტარიატის გარშემო, როგორც თავისი ბელადის გარშემო.

მეორეც, პროლეტარული რევოლუციის (წარმატებითი) ცდა რუსეთში (1917 წ. ოქტომბერი), აგრეთვე დასავლეთისაგან განსხვავებით, ბურჟუაზიული რევოლუციის დროიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ კი არ დაიწყო, არამედ მისი მიყოლით, რაღაც 6 — 8 თვის შემდეგ, რომლის განმავლობაში გლეხობას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო გამოეყო მძლავრი და ორგანიზებული სოფლის ბურჟუაზია, ამასთან მსხვილ ბურჟუაზიას, რომელიც დამხობილ იქნა 1917 წლის ოქტომბერში, უკვე არ შეეძლო მერე წელში გამართულიყო.

ამ უკანასკნელმა გარემოებამ კიდევ უფრო განამტკიცა მუშათა და გლეხთა კავშირი.

აი რატომ იყო, რომ რუსი მუშები, თუმცა ისინი რუსეთის მოსახლეობის უმცირესობას შეადგენენ, მაინც აღმოჩნდნენ ქვეყნის ბატონ-პატრონები, მოიპოვეს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის და, უწინარეს ყოვლისა, გლეხობის, თანაგრძნობა და **მხარდაჭერა**, აიღეს და შეინარჩუნეს ძალაუფლება, ხოლო ბურჟუაზია, ყველა თეორიის წინააღმდეგ, განმარტოებული აღმოჩნდა, გლეხთა რეზერვებს მოკლებული დარჩა.

აქედან გამომდინარეობს, რომ:

1) ზემოთ დასურათებული თეორია მოსახლეობის პროლეტარული შემადგენლობის «სავალდებულო უმრავლესობისა» საკმარისი არ არის, სწორი არ არის რუსეთის სინამდვილის თვალსაზრისით, ან, ყოველ შემთხვევაში, ერთობ გაუბრალოებულად და ვულგარულად არის განმარტებული ბატონ კაუცკების მიერ.

2) პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის ფაქტიური კავშირი, რაც რევოლუციის მსვლელობაში შეიქმნა, არსებულ ისტორიულ პირობებში შეადგენს საბჭოთა ხელისუფლების **საფუძველს** რუსეთში.

3) კომუნისტების მოვალეობაა შეინარჩუნონ და განამტკიცონ ეს ფაქტიური კავშირი.

ამ შემთხვევაში მთელი საქმე ის არის, რომ ამ კავშირის ფორმები ყოველთვის როდია ერთნაირი.

წინათ, ომის დროს, ჩვენ საქმე გვქონდა, უმთავრესად, **სამხედრო-პოლიტიკურ** კავშირთან, ე. ი. ვაძევებდით მემამულეებს რუსეთიდან, გლეხებს ვაძლევდით მიწას სარგებლობისათვის, ხოლო როცა მემამულეებმა ომი გააჩაღეს «თავიანთი ავლადიდებისათვის», — ჩვენ ვეომებოდით მათ და შევინარჩუნეთ რევოლუციის მონაპოვარნი, რისთვისაც გლეხი იძლეოდა სურსათს მუშებისათვის და ხალხს არმიისათვის. ეს იყო კავშირის ერთი ფორმა.

ახლა, როცა ომი დამთავრებულია, ხოლო მიწას საფრთხე აღარ ემუქრება, კავშირის ძველი ფორმა უკვე საკმარისი არ არის. საჭიროა კავშირის სხვა ფორმა. ახლა უკვე საქმე ეხება არა იმას, რომ შევუნარჩუნოთ გლეხს მიწა, არამედ იმას, რომ უზრუნველვყოთ გლეხისათვის ამ მიწის პროდუქტების თავისუფლად გამოყენების უფლება. თუ ასეთი უფლება არ იქნა, გარდუვალია: ნახნავის შემდგომი შემცირება, სოფლის მეურნეობის პროგრესიული დაცემა, ტრანსპორტისა და მრეწველობის მოშლა (უპურობისაგან), არმიის დაშლა (უპურობისაგან) და, როგორც ყოველივე ამის შედეგი, — მუშათა და გლეხთა ფაქტიური კავშირის აუცილებლად დაშლა. არა გვგონია საჭირო იყოს იმის ძტკიცება, რომ სახელმწიფოს ხელში პურის მარაგის ერთგვარი მინიმუმის არსებობა მრეწველობის აღორძინებისა და საბჭოთა სახელმწიფოს შენარჩუნების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს. კრონშტადტი (1921 წ. გაზაფხული) გაფრთხილება იყო, რომელიც მიგვითითებდა, რომ კავშირის ძველი ფორმა ამოწურულია, რომ საჭიროა კავშირის ახალი ფორმა, **სამეურნეო** ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მეურნეობრივ სარგებლობას მუშებისთვისაც და გლეხებისთვისაც.

ეს არის ახალი ეკონომიური პოლიტიკის გაგების გასაღები.

გაწერისა და სხვა მისი მსგავსი ზღუდეების მოხსნა წარმოადგენს ახალ გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯს, რომელმაც ხელ-ფეხი გაუხსნა წვრილ მწარმოებელს და ხელი შეუწყო სურსათის, ნედლეულისა და სხვა პროდუქტების გაძლიერებით წარმოებას. ძნელი არ არის გავიგოთ ამ ნაბიჯის უდიდესი მნიშვნელობა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ რუსეთი ახლა ისევე მასობრივად გატაცებულია საწარმოო ძალების განვითარებით, როგორც გატაცებული იყო ჩრდილოეთი ამერიკა სამოქალაქო ომის შემდეგ. ეჰვი

არ არის, რომ ეს ნაბიჯი, რომელიც გასაქანს აძლევს წვრილი მწარმოებლის წარმოებითი ენერგიას და უზრუნველყოფს მისთვის ერთგვარ სარგებლობას, ამავე დროს ჩააყენებს მას ისეთ მდგომარეობაში, — თუ მხედველობაში მივიღებთ სახელმწიფოს მიერ ტრანსპორტისა და ინდუსტრიის შენარჩუნებას, — როცა ის იძულებული იქნება მიუშვას წყალი საბჭოთა სახელმწიფოს წისქვილზე.

მაგრამ არ კმარა მიაღწიო სურსათისა და ნედლეულის წარმოების გადიდებას. საჭიროა კიდევ შეაგროვო, დაამზადო ამ პროდუქტების ერთგვარი მინიმუმი, რომელიც აუცილებელია ტრანსპორტის, ინდუსტრიის, არმიისა და სხვ. უზრუნველსაყოფად. ამიტომ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სასურსათო გადასახადს, რომელიც გაწერის გაუქმების უბრალო დამატებას წარმოადგენს, მეორე ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს სურსათისა და ნედლეულის დამზადებათა გადაცემა სამომხმარებლო კოოპერატივების ცენტრალური კავშირისათვის («ცენტროსოიუზი»). მართალია, «ცენტროსოიუზის» ადგილობრივი ორგანოების უდისციპლინობამ, სწრაფად გაზრდილი სასაქონლო ბაზრის პირობებთან შეუგუებლობამ, საქონელგაცვლის ნატურალური ფორმის მიზანშეუწონლობამ და მისი ფულადი ფორმის სწრაფმა განვითარებამ, ფულადი სახსრების ნაკლებობამ და სხვ. შესაძლებლობა არ მისცეს «ცენტროსოიუზს» შეესრულებინა მისთვის დაკისრებული ამოცანები. მაგრამ საფუძველი არა გვაქვს დავეჭვდეთ, რომ «ცენტროსოიუზის», როგორც სურსათისა და ნედლეულის ძირითადი პროდუქტების მასობრივ დამზადებათა მთავარი აპარატის, როლი დღითიდღე გაიზრდება. ოღონდ საჭიროა, რათა სახელმწიფომ:

ა) გადააქციოს იგი ქვეყნის შიგნით სავაჭრო (არა სახელმწიფოებრივი) ოპერაციების დაფინანსების ცენტრად;

ბ) დაუმორჩილოს მას ფინანსური მხრივ კოოპერაციის სხვა სახეები, რომლებიც ჯერ კიდევ მტრულად არიან განწყობილნი სახელმწიფოს წინააღმდეგ;

გ) ამა თუ იმ ფორმით გაუხსნას მას საგარეო ვაჭრობის გზა.

მესამე ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბანკის, როგორც ქვეყანაში ფულის მიმოქცევის რეგულირების ორგანოს, გახსნა. საქონლის ბაზრისა და ფულის მიმოქცევის განვითარება ორ ძირითად შედეგს იწვევს:

1) მანეთის რყევისაგან სავსებით დამოკიდებულს ხდის როგორც სავაჭრო (კერძო და სახელმწიფოებრივ), ისე წარმოებითს (ტარიფები და სხვ.) ოპერაციებს;

2) რუსეთის სახალხო მეურნეობას კარჩაკეტილი, თვითკმარი მეურნეობიდან, როგორიც იგი იყო ბლოკადის დროს, — აქცევს გაცვლით მეურნეობად, რომელიც ვაჭრობას ეწევა გარეშე მსოფლიოსთან, ე. ი. მანეთის კურსის რყევის შემთხვევითობისაგან დამოკიდებულ მეურნეობად.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ, თუ წესრიგში არ მოვიყვანეთ ფულის მიმოქცევა და არ გავაუმჯობესეთ მანეთის კურსი, ისე ჩვენი სამეურნეო ოპერაციები, როგორც საშინაო, ისე საგარეო, ორივე ფეხით იკოჭლებს. სახელმწიფო ბანკი, როგორც ფულის მიმოქცევის რეგულატორი, რომელიც უნდა იყოს არა მარტო კრედიტორი, არამედ ტუმბოც, რომელიც ამოქაჩავს უზარმაზარ კერძო დანაზოგს, რის ხარჯზეც შესაძლებელი იქნებოდა თავის გატანა, ახალი ემისიების გამოუყენებლად იოლად წასვლა, — ეს სახელმწიფო ბანკი ჯერ კიდევ «მომავლის მუსიკას» წარმოადგენს, თუმცა მას ყველა მონაცემების მიხედვით დიდი მომავალი აქვს.

მანეთის კურსის აწევის შემდეგი საშუალება უნდა იყოს ჩვენი ექსპორტის გაფართოება და ჩვენი საშინლად

პასიური სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება. უნდა ვიფიქროთ, რომ საგარეო ვაჭრობაში «ცენტროსოიუზის» ჩაბმას მხოლოდ შეუძლია ამ მხრივ ხელი შეუწყოს საქმეს.

შემდეგ, საჭიროა საგარეო სესხი არა მარტო როგორც გადახდის საშუალება, არამედ როგორც რუსეთის საგარეო კრედიტის და, მაშასადამე, ჩვენი მანეთისადმი ნდობის გადიდების ფაქტორიც.

შემდეგ, უეჭველია, საქმეს გააადვილებდნენ შერეული სავაჭრო-სატრანზიტო და სხვა კომპანიები, რომელთა შესახებაც ამ ცოტა ხნის წინათ «პრავდაში» წერდა სოკოლნიკოვი, ამასთან აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სამრეწველო კონცესიების დანერგვა და უცხოეთის მანქანებსა და მოწყობილობაზე ჩვენი ნედლეულის სწორი გაცვლის განვითარება, რაზედაც ერთ დროს ასე ბევრს წერდნენ პრესაში, თუმცა ფულის მეურნეობის განვითარების ფაქტორებს წარმოადგენენ, მაგრამ თვითონ მთლიანად დამოკიდებული არიან ჩვენი მანეთის კურსის წინასწარ გაუმჯობესებაზე.

ბოლოს, მეოთხე ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ჩვენი საწარმოების გადაყვანა სამეურნეო საფუძველზე, წვრილ შემოუსავლიან საწარმოთა დახურვა და იჯარით გაცემა, ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიან მსხვილ საწარმოთა შერჩევა, ჩვენი უზომოდ გაბერილი დაწესებულებების შტატების გაძლიერებით შემცირება, მტკიცე მატერიალური და ფულადი სახელმწიფო ბიუჯეტის შექმნა და, როგორც ყოველივე ამის შედეგი, — სხვის ხარჯზე ყოფნის სულისკვეთების აღმოფხვრა საწარმოებსა და დაწესებულებებში, მუშა-მოსამსახურეთა საერთო გაბეჯითება, მათი შრომის გაუმჯობესება და ინტენსიფიკაცია.

ასეთია, ზოგადად, ის ღონისძიებანი, რომლებიც ტარდება და უნდა გატარდეს და რომელთა ერთობლიობა შეადგენს ეგრეთწოდებულ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას.

«პრავდას»

«პრავდა» იშვა რევოლუციური აღმავლობის ტალღებში ცნობილ «ლენის დღეებში». მასობრივი მუშური გაზეთის — «პრავდის» სწორედ ამ დღეებში გაჩენა მოასწავებდა:

1) ჩვენს ქვეყანაში სტოლიპინური «სიჩუმისა და უშფოთველობის» შემდეგ საერთო დაღლილობის პერიოდის ლიკვიდაციას,

2) რუსეთის მუშათა კლასის მძლავრ გამოღვიძებას ახალი, 1905 წლის შემდეგ მეორე, რევოლუციისათვის,

3) ბოლშევიკების მხარეზე მუშათა კლასის ფართო მასების გადმოყვანის დასაწყისს.

1912 წლის «პრავდა» — ეს საძირკვლის ჩაყრაა 1917 წელს ბოლშევიზმის გამარჯვებისათვის.

ი. სტალინი

«პრავდა» № 98,
1922 წ. 5 მაისი.

«პრავდის» ათი წლისთავისათვის

(მოგონებანი)

1. ლენის დღეები

ლენის დღეები სტოლიპინური «დამშვიდების» რეჟიმის შედეგი იყო. პარტიის ახალგაზრდა წევრებს, რა თქმა უნდა, არ განუცდიათ და არ ახსოვთ ამ რეჟიმის სიმშვენიერენი. რაც შეეხება მოხუცებს, მათ, ალბათ, ახსოვთ ავად მოსაგონარი დამსჯელი ექსპედიციები, ავაზაკური თავდასხმები მუშათა ორგანიზაციებზე, გლეხების მასობრივად გამათრახება და, როგორც ყოველივე ამის საფარი, — შავრაზმულ-კადეტური სათათბირო. საზოგადოებრივი აზრის შებოჭილობა, საერთო დაღლილობა და აპათია, გაჭირვება და სასოწარკვეთილება მუშებს შორის, გლეხთა დაბეჩავებულობა და დაშინებულობა პოლიციურ-მემამულურ-კაპიტალისტური ხროვის საერთო თარეშის პირობებში — ასეთია სტოლიპინური «დამშვიდების» დამახასიათებელი ნიშნები.

ზერელე მეთვალყურეს შეიძლებოდა მოჩვენებოდა, რომ რევოლუციების ეპოქა სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს, რომ დადგა პრუსიის ყაიდაზე რუსეთის «კონსტიტუციური» განვითარების პერიოდი. ლიკვიდატორ-მენშე-

ვიკები ამას აშკარად გაიძახოდნენ და სტოლიპინური ლეგალური მუშათა პარტიის შექმნის საჭიროებას ქადაგებდნენ. ზოგიერთი ძველი «ბოლშევიკი» კი გულში თანაუგრძნობდა ასეთ ქადაგებას და წინასწარ ტოვებდა ჩვენი პარტიის რიგებს. სავსებით ზეიმობდა მათრახი და სიბნელე. «სისაძაგლე აოხრებისა» — ასე ხასიათდებოდა მაშინ რუსეთის პოლიტიკური ცხოვრება.

ლენის დღეები გრიგალად შეიჭრნენ ამ «აოხრების სისაძაგლეში» და ყველას ახალი სურათი გადაუშალეს. აღმოჩნდა, რომ სტოლიპინის რეჟიმი არცთუ ისე მტკიცეა, სათათბირო მასებში ზიზღს იწვევს, ხოლო მუშათა კლასს საკმაოდ დაუგროვებია ენერგია იმისათვის, რომ გადაეშვას ახალი რევოლუციისათვის საბრძოლველად. საკმარისი იყო დაეხვრიტათ მუშები შორეული ციმბირის მიყრუებულ ადგილას (ლენის ბოდაიბო), რომ რუსეთს გაფიცვები მოსდებოდა, ხოლო ქუჩაში გამოსულ პიტერის პროლეტარიატს ერთი დაკვრით აღეგავა გზიდან მკვეხარა მინისტრი მაკაროვი მისი თავხედური ლოზუნგითურთ — «ასე იყო, ასე იქნებაო». ეს იყო დაწყებული მძლავრი მოძრაობის პირველი მერცხლები. «ზვეზდა» [36] მაშინ მართალი იყო, რომ შესძახებდა: «ჩვენ ცოცხალნი ვართ, დაუშრეტელი ძალების ცეცხლით დუღს ალისფერი ჩვენი სისხლი...». ახალი რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა დაიწყო.

სწორედ ამ მოძრაობის ტალღებში იშვა მასობრივი მუშური გაზეთი «პრავდა».

2. «პრავდის» დაარსება

ეს იყო 1912 წლის აპრილის შუა რიცხვებში, საღამოს, ამხ. პოლეტაევის ბინაზე, სადაც სათათბიროს ორი დეპუტატი (პოკროვსკი და პოლეტაევი), ორი ლიტერატორი

(ოლმინსკი და ბატურინი) და მე, ცენტრალური კომიტეტის წევრი (მე, როგორც არალეგალური მუშაკი, «ბესტში» ვიჯექი «ხელშეუხებელ» პოლეტაევთან), შევთანხმდით «პრავდის» პლატფორმის გამო და შევადგინეთ გაზეთის პირველი ნომერი. არ მახსოვს, დაესწრნენ თუ არა ამ თათბირს «პრავდის» უახლოესი თანამშრომლები — დემიან ბედნი და დანილოვი.

გაზეთის ტექნიკური და მატერიალური წანამძღვრები უკვე გვქონდა «ზვეზდის» აგიტაციის, მუშათა ფართო მასების თანაგრძნობისა და ფაბრიკა-ქარხნებში «პრავდისათვის» ფულის მასობრივი ნებაყოფლობითი შეგროვების მეოხებით. «პრავდა» ჭეშმარიტად იყო რუსეთის მუშათა კლასის და უწინარეს ყოვლისა პიტერის მუშების ძალღონის დაძაბვის შედეგი. ეს რომ არ ყოფილიყო, იგი ვერ იარსებებდა.

«პრავდის» ფიზიონომია ნათელი იყო: «პრავდა» მოწოდებული იყო გაეწია მასებში «ზვეზდის» პლატფორმის პოპულარიცაზია. «ვინც «ზვეზდას» კითხულობს, — წერდა «პრავდა» პირველსავე ნომერში, — და იცის, ვინ არიან მისი თანამშრომლები, რომლებიც «პრავდის» თანამშრომლებიც არიან, მას არ გაუძნელდება იმის გაგება, თუ რა მიმართულებით იმუშავებს «პრავდა»»[37]. განსხვავება «ზვეზდასა» და «პრავდას» შორის მხოლოდ ის იყო, რომ «პრავდის» აუდიტორიას, «ზვეზდისაგან» განსხვავებით, შეადგენდნენ არა მოწინავე მუშები, არამედ მუშათა კლასის ფართო მასები. «პრავდა» უნდა დახმარებოდა მოწინავე მუშებს დაერაზმათ პარტიული დროშის გარშემო რუსეთის მუშათა კლასის ახალი ბრძოლისათვის გაღვიძებული, მაგრამ პოლიტიკურად ჩამორჩენილი ფართო ფენები. სწორედ ამიტომ იყო, რომ მაშინ «პრავდა» ერთ-ერთ ამოცანად ისახავდა თვით მუშებს შორის ლიტერატორთა მომზადებას და მათს ჩაბმას გაზეთის ხელმძღვანელობის საქმეში.

«ჩვენი სურვილია, — წერდა «პრავდა» პირველსავე ნომერში, — რომ მუშები მარტო თანაგრძნობით კი არ კმაყოფილდებოდნენ, არამედ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი გაზეთის გაძღოლა-გამოცემის საქმეში. დაე ნუ იტყვიან მუშები, რომ მწერლობა მათთვის «უჩვეულო» სამუშაოა: ლიტერატორი მუშები მზამზარეულად როდი ცვივიან ზეციდან, მათი გამომუშავება ხდება მხოლოდ თანდათანობით, ლიტერატურული მუშაობის მსვლელობაში. ოღონდ საჭიროა უფრო გაბედულად მოჰკიდო ხელი საქმეს: ორიოდეჯერ წაიბორძიკებ, და ამასობაში წერასაც ისწავლი...»[38].

3. «პრავდის» ორგანიზაციული მნიშვნელობა

«პრავდა» გაჩნდა ჩვენი პარტიის განვითარების ისეთ პერიოდში, როცა იატაკქვეშეთი მთლიანად ბოლშევიკების ხელში იყო (მენშევიკები იქიდან გაიქცნენ), ხოლო ორგანიზაციის ლეგალური ფორმები — სათათბიროს ფრაქცია, ბეჭდვითი სიტყვა, საავადმყოფო სალაროები, დაზღვევის სალაროები, პროფესიული გაერთიანებანი — ჯერ კიდევ სავსებით ვერ გამოგვეგლიჯა მენშევიკების ხელიდან. ეს იყო პერიოდი ბოლშევიკების გადამწყვეტი ბრძოლისა მუშათა კლასის ორგანიზაციების ლეგალური ფორმებიდან ლიკვიდატორების (მენშევიკები) განდევნისათვის. მენშევიკების «პოსტებიდან მოხსნის» ლოზუნგი მაშინ მუშათა მოძრაობის უაღრესად პოპულარული ლოზუნგი იყო. «პრავდის» ფურცლები სავსე იყო ცნობებით დამზღვევი ორგანიზაციებიდან, საავადმყოფო სალაროებიდან და პროფესიული გაერთიანებებიდან ერთ დროს იქ მოკალათებული ლიკვიდატორების განდევნის შესახებ. მუშათა კურიის დეპუტატთა ექვსივე ადგილი ხელიდან გამოვგლიჯეთ მენშევიკებს. ასეთსავე ან თითქმის ასეთსავე უიმე-

დო მდგომარეობაში იყო მენშევიკური პრესა. ეს იყო ბოლშევიკურად განწყობილი მუშების ჭეშმარიტად გმირული ბრძოლა პარტიისათვის, ვინაიდან ცარიზმის აგენტებს არ ეძინათ, ისინი დევნიდნენ და სპობდნენ ბოლშევიკებს, ხოლო ლეგალურ საფრებს მოკლებული, იატაკქვეშეთში ჩამწყვდეული პარტია ვერ შეძლებდა შემდგომ განვითარებას. უფრო მეტიც, — ლეგალური ორგანიზაციების დაუპყრობლად პარტია მაშინდელ პოლიტიკურ პირობებში ვერ შეძლებდა ფართო მასებისაკენ ხელის გაწვდენას და თავისი დროშის გარშემო მათს დარაზმვას, იგი მოსწყდებოდა მასებს და გადაიქცეოდა კარჩაკეტილ წრედ, რომელიც თავის საკუთარ წვენში იხარშება.

პარტიულობისათვის, მასობრივი მუშათა პარტიის შექმნისათვის გაჩაღებული ბრძოლის ცენტრში იდგა «პრავდა». იგი იყო არა მარტო გაზეთი, რომელიც აჯამებდა მუშათა ლეგალური ორგანიზაციების დაპყრობის საქმეში ბოლშევიკების მიერ მოპოვებულ წარმატებათა შედეგს, — იგი ამასთან ერთად იყო მაორგანიზებელი ცენტრი, რომელიც რაზმავდა ამ ორგანიზაციებს პარტიის არალეგალური კერების გარშემო და ერთი გარკვეული მიზნისაკენ წარმართავდა მუშათა მოძრაობას. ამხ. ლენინი ჯერ კიდევ «რა ვაკეთოთ?»-ში (1902 წ.) წერდა, რომ კარგად დაყენებული საერთო-რუსული მებრძოლი გაზეთი უნდა იყოს არა მარტო კოლექტიური აგიტატორი, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიც. სწორედ ასეთ გაზეთად იქცა «პრავდა» არალეგალობის შენარჩუნებისა და ლეგალური მუშათა ორგანიზაციების დაპყრობისათვის ლიკვიდატორებთან ბრძოლის პერიოდში. თუ სწორია ის დებულება, რომ ლიკვიდატორებზე გაუმარჯვებლად ჩვენ არ გვეყოლებოდა ის, თავისი დარაზმულობით ძლიერი და პროლეტარიატისადმი თავისი ერთგულებით უძლეველი, პარტია,

რომელმაც მოაწყო 1917 წლის ოქტომბერი, — ასევე სწორია ისიც, რომ ძველი «პრავდის» შეუპოვარმა და თავდადებულმა მუშაობამ მნიშვნელოვან წილად მოამზადა და დააჩქარა ეს გამარჯვება ლიკვიდატორებზე. ამ აზრით ძველი «პრავდა» უეჭველად რუსეთის პროლეტარიატის მომავალ სახელოვან გამარჯვებათა მაუწყებელი იყო.

«პრავდა» № 98,
1922 წ. 5 მაისი.
ხელმოწერა: ი. სტალინი.

ამხ. ლენინი ისვენებს
შენიშვნები

მე მგონია, რომ საჭირო არ იყო წერა თემაზე: «ამხ. ლენინი ისვენებს» ახლა, როცა დასვენება თავდება, და ამხ. ლენინი მალე დაუბრუნდება სამუშაოს. გარდა ამისა, იმდენი შთაბეჭდილებანი მაქვს და ისე ძვირფასია ეს შთაბეჭდილებანი, რომ მათზე პატარა შენიშვნის სახით წერა, როგორც ამას «პრავდის» რედაქცია მოითხოვს, სავსებით მიზანშეწონილი როდია. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა დავწერო, ვინაიდან რედაქცია დაჟინებით მოითხოვს.

ფრონტზე მე შემხვედრია ძველი მებრძოლები, რომლებიც «გაბმულად» რამდენიმე დღე-ღამეს განუწყვეტელ ბრძოლებში ატარებდნენ, დაუსვენებლად და უძილოდ, მერე ბრძოლიდან ლანდებივით ბრუნდებოდნენ, მოცელილებივით ეცემოდნენ, «მთელი თვრამეტი საათი ზედიზედ ეძინათ», დასვენების შემდეგ კი დგებოდნენ, ძალ-ღონე მოკრებილნი ახალი ბრძოლებისათვის, ურომლისოდაც მათ «ცხოვრება არ შეუძლიათ». ამხ. ლენინმა ივლისის დამლევს, როცა მას, თვე-ნახევრის უნახაობის შემდეგ, პირვე-

ლად ვეწვიე, ჩემზე მოახდინა სწორედ ასეთი შთაბეჭდილება ძველი მებრძოლისა, რომელსაც მოუსწრია დასვენება ქანცგამწყვეტი განუწყვეტელი ბრძოლების შემდეგ და გადახალისებულა დასვენების შემდეგ. მომჯობინებული და განახლებული, მაგრამ დაღლილობის, მეტისმეტად მოქანცვის ნიშნებით.

— «მე აკრძალული მაქვს გაზეთების კითხვა, — ირონიულად შენიშნავს ამხ. ლენინი, — აკრძალული მაქვს პოლიტიკაზე ლაპარაკი, ბეჯითად გვერდს ვუვლი მაგიდაზე გდებულ ყოველ ქაღალდის ნაფლეთს იმის შიშით, რომ ის გაზეთი არ აღმოჩნდეს და როგორმე დისციპლინის დარღვევა არ გამოვიდეს».

მე ვხარხარებ და ცამდე ამყავს ამხ. ლენინის დისციპლინიანობა. აქვე დავცინით ექიმებს, რომლებსაც ვერ გაუგიათ, რომ პროფესიონალ პოლიტიკოსებს შეხვედრისას არ შეუძლიათ პოლიტიკაზე არ ილაპარაკონ.

განცვიფრებთ ამხ. ლენინის სიხარბე კითხვებისადმი და სწრაფვა, დაუძლეველი სწრაფვა მუშაობისადმი. ჩანს, მოწყურებულა. ესერების პროცესი [39], გენუა და ჰააგა [40], როგორი პირი უჭირავს მოსავალს, მრეწველობა და ფინანსები — ყველა ეს საკითხი ერთიმეორეს მისდევს. ის არ ჩქარობს თავისი აზრი გამოთქვას, ჩივის, რომ ჩამორჩა მოვლენებს. ის უმთავრესად გამოგკითხავთ ხოლმე და იმახსოვრებს. დიდი გამოცოცხლება დაეტყობა, როცა გებუღობს, რომ მოსავალს კარგი პირი უჭირავს.

სულ სხვა სურათი ვიხილე ერთი თვის შემდეგ. ამჯერად ამხ. ლენინი ჩაფლული იყო წიგნებისა და გაზეთების გროვაში (მას ნება დართეს რამდენიც უნდოდა ეკითხა და ელაპარაკნა პოლიტიკაზე). აღარ ეტყობა დაღლილობისა და მეტისმეტი მოქანცვის ნიშანწყალი. აღარ ეტყობა მუშაობისადმი ნერვიული სწრაფვის ნიშნები, — წყურვილმა

განვლო. სიმშვიდე და თავისთავის რწმენა სავსებით დაბრუნებია მას. ჩვენი ძველი ლენინია, ეშმაკურად რომ უცქერის მოსაუბრეს და თვალები რომ მოუჭუტავს...

სამაგიეროდ ჩვენს საუბარსაც ამჯერად უფრო ცოცხალი ხასიათი აქვს.

შინაური ვითარება... მოსავალი... მრეწველობის მდგომარეობა... მანეთის კურსი... ბიუჯეტი..

— «მდგომარეობა მძიმეა. მაგრამ ყველაზე მძიმე დღეები განვლილია. მოსავალი ძირფესვიანად აადვილებს საქმეს. მოსავალს უნდა მოჰყვეს მრეწველობისა და ფინანსების გაუმჯობესება. ახლა საქმე ის არის, რომ გავათავისუფლოთ სახელმწიფო ზედმეტი ხარჯებისაგან, რისთვისაც უნდა შევამციროთ ჩვენი დაწესებულებანი და საწარმონი და ხარისხობრივად გავაუმჯობესოთ ისინი. ამ საქმეში საჭიროა განსაკუთრებული სიმტკიცე, და მაშინ თავს დავიძვრენთ, უეჭველად დავიძვრენთ».

საგარეო მდგომარეობა... ანტანტა... საფრანგეთის ქცევა... ინგლისი და გერმანია... ამერიკის როლი...

— «ხარბნი არიან ისინი და საშინლად სძულთ ერთმანეთი. წაიჩხუბებიან. ჩვენ არ გვეჩქარება. ჩვენი გზა უტყუარია: ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიანობასა და შეთანხმებას, მაგრამ კაბალისა და შეთანხმების კაბალური პირობების წინააღმდეგი ვართ. მაგრად უნდა გვეჭიროს საჭე და ვიაროთ ჩვენი გზით, არ უნდა ავყვეთ არც პირფერობასა და არც დაშინებას».

ესერები და მენშევიკები, მათი გააფთრებული აგიტაცია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ...

— «დიახ, მათ მიზნად დაუსახავთ სახელი გაუტეხონ საბჭოთა რუსეთს. ისინი იმპერიალისტებს უადვილებენ

საბჭოთა რუსეთთან ბრძოლას. კაპიტალიზმის ჭაობში ჩაფლულან და უფსკრულში მიექანებიან. დაე იფართხალონ. ისინი დიდი ხანია მკვდარია არიან მუშათა კლასისათვის».

თეთრი პრესა... ემიგრაცია... საარაკო ლეგენდები ლენინის გარდაცვალებაზე, თან დეტალების აღწერა...

ამხანაგი ლენინი იღიმება და შენიშნავს: «დაე იცრუონ და თავი ინუგეშონ, მომაკვდავს არ უნდა წაერთვას უკანასკნელი ნუგეში».

1922 წ. 15 სექტემბერი.

ამხ. ლენინი ისვენებს.
«პრავდის» № 215-ის სურათებიანი დამატება. 1922 წ.
24 სექტემბერი.
ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

მისალმება პეტროგრადს დეპუტატების საბჭოს

პროლეტარული დიქტატურის დაბადების ხუთი წლისთავზე მივესალმები წითელ პეტროგრადს, ამ დიქტატურის აქვანს.

ი. სტალინი

«პეტროგრადსკაია პრავდა». № 251,
1922 წ. 5 ნოემბერი.

დამოუკიდებელი ნაციონალური რესპუბლიკების გაერთიანების საკითხი

საუბარი გაზეთ «პრავდის» კორესპონდენტთან

ჩვენი კორესპონდენტის მიერ მიცემულ კითხვებზე, რომლებიც ეხებოდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნას, ამხანაგმა **სტალინმა** შემდეგი ახსნა-განმარტება მოგვცა [41].

ვისი ინიციატივით დაიწყო მოძრაობა დამოუკიდებელი რესპუბლიკების გაერთიანებისათვის?

— მოძრაობის ინიციატივა თვით რესპუბლიკებს ეკუთვნის. ჯერ კიდევ სამი თვის წინათ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელმა წრეებმა დასვეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ერთიანი სამეურნეო ფრონტის შექმნისა და მათი ერთ საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების საკითხი. საკითხი მაშინვე გადატანილ იქნა აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის ზოგიერთი რაიონის ფართო პარტიულ კრებებზე და მან, როგორც სათანადო რეზოლუციებიდან ჩანს, უმაგალითო ენთუზიაზმი გამოიწვია. თითქმის იმავდროულად აღძრეს გაერთიანების საკითხი უკრაინასა და ბელორუსიაში, სადაც მას ფართო პარტიულ წრეებს შორის, ისევე როგორც ამიერკავკასიაში, აშკარად აღტაცებით შეხვდნენ.

ეს გარემოებანი უეჭველად მოწმობენ მოძრაობის სიცოცხლისუნარიანობას და იმას, რომ რესპუბლიკათა გაერთიანების საკითხი უთუოდ მომწიფდა.

რით არის გამოწვეული ეს მოძრაობა, როგორია მისი ძირითადი მოტივები?

— ეს მოტივები, უმთავრესად, სამეურნეო ხასიათისაა. დახმარება გლეხურ მეურნეობას, მრეწველობის გაძლიერება, მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა გაუმჯობესება, საფინანსო საკითხები, კონცესიებისა და სხვა ეკონომიურ ხელშეკრულებათა საკითხები, ერთობლივი გამოსვლები საზღვარგარეთულ ბაზრებზე საქონლის მყიდველებად ან გამყიდველებად, — ასეთია საკითხები, რომლებმაც წარმოშვეს მოძრაობა რესპუბლიკების კავშირის შექმნისათვის. ერთი მხრივ, სამოქალაქო ომის შედეგად ჩვენი რესპუბლიკების შინაგანი სამეურნეო რესურსების გამოლევამ და, მეორე მხრივ, საზღვარგარეთული კაპიტალის თუნდაც რამდენადმე მნიშვნელოვანი რაოდენობით მოუდინებლობამ, შექმნეს ისეთი ვითარება, რომლის დროსაც არც ერთს ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკათაგანს არ ძალუძს აღადგინოს თავისი მეურნეობა თავისი საკუთარი ძალებით. ეს გარემოება განსაკუთრებით საგრძნობია ახლა, როცა საბჭოთა რესპუბლიკები სამოქალაქო ომის ლიკვიდაციის შემდეგ პირველად შეუდგნენ სერიოზულად სამეურნეო საკითხების გადაწყვეტას და აქ, მუშაობის მსვლელობაში, პირველად იგრძნეს ცალკეული რესპუბლიკების განცალკევებულ ღონისძიებათა მთელი უკმარობა, ამ ღონისძიებათა შეერთების და რესპუბლიკათა სამეურნეო გაერთიანების, როგორც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნამდვილად აღდგენის ერთადერთი გზის, მთელი აუცილებლობა.

მაგრამ იმისათვის, რომ ნამდვილად შეაერთო ცალკეული რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებანი და კიდე-

ვაც გააერთიანო ეს რესპუბლიკები ერთიან სამეურნეო კავშირად, საჭიროა შექმნა სათანადო საკავშირო, მუდმივად მოქმედი ორგანოები, რომლებსაც შეეძლებათ ერთი გარკვეული გზით წარმართონ ამ რესპუბლიკების სამეურნეო ცხოვრება. აი რატომ არის, რომ ამ რესპუბლიკათა ძველი ურთიერთი სამეურნეო და სავაჭრო ხელშეკრულებანი ახლა არასაკმარისი აღმოჩნდნენ. აი რატომ არის, რომ მოძრაობამ რესპუბლიკათა კავშირისათვის უკან მოიტოვა ეს ხელშეკრულებანი და რესპუბლიკათა გაერთიანების საკითხი დააყენა.

მიგაჩნიათ თუ არა თქვენ გაერთიანების ეს ტენდენცია სრულიად ახალ მოვლენად, თუ მას თავისი ისტორია აქვს?

— დამოუკიდებელი რესპუბლიკების გამაერთიანებელი მოძრაობა არ არის რაღაც მოულოდნელი და «უჩვეულოდ» ახალი რამ. მას თავისი ისტორია აქვს. თავის განვითარებაში მან, ამ გამაერთიანებელმა მოძრაობამ, უკვე ორი ფაზა განვლო და ახლა იგი მესამე ფაზაში შევიდა.

პირველი ფაზა — ეს არის 1918 — 1921 წლები, ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის ხანა, როცა რესპუბლიკების არსებობას სასიკვდილო საფრთხე ემუქრებოდა და როცა ისინი, ეს რესპუბლიკები, იძულებული გახდნენ გაერთიანებულიყვნენ სამხედრო ხაზით იმისათვის, რომ დაეცვათ თავიანთი არსებობა. ეს ფაზა დამთავრდა საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო გაერთიანებით, სამხედრო კავშირით.

მეორე ფაზა — ეს არის 1921 წლის დასასრული და 1922 წლის დასაწყისი, გენუისა და ჰააგის ხანა, როცა დასავლეთის კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა, ინტერვენციის ძალაზე რომ გული გაუტყდათ, სცადეს მიეღწიათ კაპიტალისტური საკუთრების აღდგენისათვის საბჭოთა რესპუბლიკებში უკვე არა სამხედრო, არამედ დიპლომა-

ტიური წესით, როცა საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანი დიპლომატიური ფრონტი ის აუცილებელი საშუალება შეიქნა, ურომლისოდაც შეუძლებელი იყო დასავლეთის სახელმწიფოთა შემოტევასთან გამკლავება. ამ ნიადაგზე წარმოიშვა რვა დამოუკიდებელი მეგობრული რესპუბლიკის ცნობილი შეთანხმება რსფს რესპუბლიკასთან[42], რაც გენუის კონფერენციის გახსნის წინ დაიდო და რასაც სხვა სახელი არ შეიძლება ეწოდოს, თუ არა საბჭოთა რესპუბლიკების დიპლომატიური გაერთიანება. ასე დამთავრდა მეორე ფაზა, ჩვენი რესპუბლიკების დიპლომატიური კავშირის ფაზა.

ახლა ნაციონალური რესპუბლიკების გამაერთიანებელი მოძრაობა შევიდა მესამე ფაზაში, სამეურნეო გაერთიანების ფაზაში. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ მესამე ფაზა ამთავრებს გამაერთიანებელი მოძრაობის ორ წინანდელ ფაზას.

ხომ არ ნიშნავს ეს, რომ რესპუბლიკების გაერთიანება გათავდება რუსეთთან გაერთიანებით, მასთან შეერთებით, იმის მსგავსად, როგორც ამას ადგილი აქვს შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის მიმართ?

— არა, არ ნიშნავს! შ. აღმ. რესპუბლიკასა[43] და ზემოდასახელებულ ნაციონალურ რესპუბლიკებს შორის პრინციპული განსხვავებაა:

ა) იმ დროს როდესაც პირველი შეიქმნა ხელოვნურად (ბუფერი), ტაქტიკური ხასიათის მოსაზრებებით (ფიქრობდნენ, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფორმა იაპონიისა და სხვა სახელმწიფოების იმპერიალისტური ზრახვების წინააღმდეგ საიმედო გარანტია იქნებოდა), და სრულიადაც არა ნაციონალური ნიშნის მიხედვით, — მეორენი, პირიქით, წარმოიშვნენ როგორც სათანადო ეროვნებათა

განვითარების ბუნებრივი შედეგი, და მათ თავიანთ ბაზად, უმთავრესად, ნაციონალური ნიშანი ჰქონდათ;

ბ) იმ დროს როდესაც შ. აღმ. რესპუბლიკა შეიძლება გაუქმდეს ისე, რომ ოდნავადაც არ შეილახოს მისი მოსახლეობის უმრავლესობის ნაციონალური ინტერესები (ვინაიდან ისინი ისეთივე რუსები არიან, როგორიცაა რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა), ნაციონალური რესპუბლიკების გაუქმება რეაქციული აბსურდი იქნებოდა, რაც მოითხოვს არარუს ეროვნებათა გაუქმებას, მათს გარუსებას, ე. ი. იქნებოდა რეაქციული დონკიხოტობა, რომელიც შესიტყვებას იწვევს რუსული შოვინიზმის ისეთ ბნელეთისმოციქულთა მხრივაც კი, როგორიც არის შავრაზმელი შულგინი.

სწორედ ამით აიხსნება, რომ შ. აღმ. რესპუბლიკას შეეძლო თვით გაეუქმებინა თავისი თავი, როგორც კი დარწმუნდა, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფორმა, როგორც გარანტია იმპერიალისტების წინააღმდეგ, არ გამოდგებოდა, და გადაქცეულიყო რუსეთის შემადგენელ ნაწილად, ისეთ ოლქად, როგორიცაა ურალი ან ციმბირი, უსახკომსაბჭოდ და უცაკოდ, მაშინ როდესაც ნაციონალური რესპუბლიკები, რომლებიც სრულიად სხვა ბაზაზე შენდებიან, არ შეიძლება გაუქმებულ იქნან, არ შეიძლება მათ წავართვათ ცენტრ. აღმასრ. კომიტეტი და სახკომსაბჭო, მათი ნაციონალური საფუძველი, ვიდრე არსებობენ მათი წარმომშობი ეროვნებანი, ვიდრე არსებობენ ნაციონალური ენა, ნაციონალური კულტურა, ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულებანი. აი რატომ არის, რომ ნაციონალური საბჭოთა რესპუბლიკების ერთ მოკავშირე სახელმწიფოდ გაერთიანება არ შეიძლება დამთავრდეს რუსეთთან მათი შეერთებით, შერწყმით.

როგორია, თქვენი აზრით, რესპუბლიკების ერთიან კავშირად გაერთიანების ხასიათი და ფორმა?

— გაერთიანების ხასიათი უნდა იყოს ნებაყოფლობითი, მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობითი, ამასთან თვითეულ ნაციონალურ რესპუბლიკას უნდა შერჩეს კავშირის შემადგენლობიდან გასვლის უფლება. ამრიგად, ნებაყოფლობის პრინციპი საფუძვლად უნდა დაედოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის ხელშეკრულებას.

გაერთიანების ხელშეკრულებას სდებენ: რსფსრ (როგორც მთლიანი ფედერალური ერთეული), ამიერკავკასიის ფედერაცია [44] (აგრეთვე როგორც მთლიანი ფედერალური ერთეული), უკრაინა და ბელორუსია. ბუხარა და ხორეზმი [45], როგორც არა სოციალისტური, არამედ მხოლოდ სახალხო საბჭოთა რესპუბლიკები, შესაძლოა, ამ გაერთიანების გარეთ დარჩნენ იმ დრომდე, ვიდრე ბუნებრივი განვითარება არ გარდაქმნის მათ სოციალისტურ რესპუბლიკებად.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი ორგანოები: საკავშირო ცენტრ. აღმასრ. კომიტეტი, რომელსაც ირჩევენ კავშირის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკები მათ მიერ წარმოდგენილი მოსახლეობის პროპორციულად, და საკავშირო სახკომსაბჭო, რომელსაც ირჩევს საკავშირო ცენტრ. აღმასრ. კომიტეტი, როგორც თავის აღმასრულებელ ორგანოს.

საკავშირო ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის ფუნქციები: კავშირის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ფედერაციების პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების ძირითად სახელმძღვანელო საწყისთა გამომუშავება.

საკავშირო სახკომსაბჭოს ფუნქციები:

ა) კავშირის სამხედრო, საგარეო, საგარეო ვაჭრობის, რკინიგზის და ფოსტა-ტელეგრაფის საქმეთა უშუალო და განუყოფელი გაძღოლა;

ბ) კავშირის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ფედერაციების ფინანსთა, სურსათის, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, შრომისა და ინსპექციის კომისარიატების საქმიანობის ხელმძღვანელობა, ამასთან ამ რესპუბლიკებისა და ფედერაციების შინაგან საქმეთა, მიწათმოქმედების, განათლების, იუსტიციის, სოციალური უზრუნველყოფისა და სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატები ამ რესპუბლიკებისა და ფედერაციების განუყოფელ და უშუალო გამგებლობაში რჩებიან.

ასეთია, ჩემი აზრით, რესპუბლიკების კავშირად გაერთიანების ზოგადი ფორმა, რამდენადაც შესაძლებელია მისი მოსინჯვა ნაციონალური რესპუბლიკების გამაერთიანებელი მოძრაობის მსვლელობაში.

არსებობს აზრი, რომ ორი საკავშირო ორგანოს (ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და სახკომსაბჭოს) გარდა, საჭიროა შეიქმნას კიდევ მესამე საკავშირო, მათ შორის შუალედური, ორგანო, ასე ვთქვათ, **ზედა** პალატა, სადაც წარმოდგენილი უნდა იყვნენ ეროვნებანი, თვითეული თანაბრად, მაგრამ ეს აზრი, უეჭველია, ვერ შეხვდება თანაგრძნობას ნაციონალურ რესპუბლიკებში თუნდაც იმიტომ, რომ ორპალატიანი სისტემა **ზედა** პალატით შეუთავსებელია საბჭოთა მშენებლობასთან, მისი განვითარების ახლანდელ ეტაპზე მაინც.

როდის შეიქმნება, თქვენი აზრით, რესპუბლიკათა კავშირი და როგორია მისი საერთაშორისო მნიშვნელობა?

— ვფიქრობ, რომ რესპუბლიკათა კავშირის შექმნის დღე არც ისე შორსაა. სავსებით შესაძლებელია, რომ კავშირის შექმნა დაემთხვეს რსფსრ საბჭოების X ყრილობის მომავალ მოწვევას.

რაც შეეხება ამ კავშირის საერთაშორისო მნიშვნელობას, არა გვგონია საჭირო იყოს მისი განსაკუთრებულად განმარტება. თუ საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო კავშირმა სამოქალაქო ომის პერიოდში შესაძლებლობა მოგვცა უკუგვეგდო ჩვენი მტრების სამხედრო ჩარევა, ხოლო ამ რესპუბლიკების დიპლომატიურმა კავშირმა გენუისა და ჰააგის პერიოდში გაგვიადვილა ბრძოლა ანტანტის დიპლომატიურ შემოტევასთან, — საბჭოთა რესპუბლიკების ერთ საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანება, უეჭველია, შექმნის ყოველმხრივი სამხედრო-სამეურნეო თანამშრომლობის ისეთ ფორმას, რომელიც ძირეულად გააადვილებს საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო წარმატებას და გადააქცევს მათ ციხე-სიმაგრედ საერთაშორისო კაპიტალიზმის მხრივ ხელყოფის წინააღმდეგ.

«პრავდა» № 261,
1922 წ. 18 ნოემბერი.

საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ

მოხსენება საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობაზე 46
1922 წლის 26 დეკემბერი

ამხანაგებო! რამდენიმე დღის წინათ, ამ ყრილობის გახსნამდე, სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო მთელი რიგი დადგენილებანი ამიერკავკასიის რესპუბლიკების, უკრაინის და ბელორუსიის საბჭოების ყრილობებისაგან იმის შესახებ, რომ საჭიროა და აუცილებელია ამ რესპუბლიკების გაერთიანება ერთ საკავშირო სახელმწიფოდ. სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმმა იქონია მსჯელობა ამ საკითხზე და გაერთიანება დროულად ცნო. ამ დადგენილებასთან დაკავშირებით ყრილობის დღის წესრიგში დასმულია რესპუბლიკების გაერთიანების საკითხი.

კამპანია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანებისათვის უკვე სამი-ოთხი თვის წინათ დაიწყო. ინიციატივა იკისრეს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკებმა, შემდეგ მათ შეუერთდნენ უკრაინისა და ბელორუსიის რესპუბლიკები. კამპანიის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ძველმა სახელმწიფოებრივ ურთიერთობამ — რსფს რესპუბლიკასა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის კონვენციის ურთიერთობამ — თავისი

თავი ამოსწურა, არასაკმარისი აღმოჩნდა. კამპანიის აზრი ისაა, რომ აუცილებელი ხდება ძველი სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გადავიდეთ უფრო მჭიდრო გაერთიანების ურთიერთობაზე, — ისეთ ურთიერთობაზე, რომელიც გულისხმობს ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს შექმნას, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხასიათის სათანადო საკავშირო ორგანოებით, კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტითა და სახალხო კომისართა საბჭოთი. მოკლედ: ახლა კამპანიის მსვლელობაში წინადადებაა წამოყენებული, რომ ის, რაც წინათ წყდებოდა ეპიზოდურად, საკონვენციო ურთიერთობათა ფარგლებში, ჩამოყალიბდეს როგორც რაღაც მუდმივი რამ.

როგორია ის მიზეზები, რომლებიც რესპუბლიკებს გაერთიანების გზაზე აყენებენ? როგორია ის გარემოებანი, რომლებმაც გაერთიანების აუცილებლობა განსაზღვრეს?

არსებობს სამი ჯგუფი გარემოებათა, რომლებმაც განსაზღვრეს საბჭოთა რესპუბლიკების ერთ საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების აუცილებლობა.

გარემოებათა პირველი ჯგუფი — ესაა ფაქტები, რომლებიც ჩვენს შინაგან სამეურნეო მდგომარეობას შეეხება.

ჯერ ერთი, სიმცირე ჩვენი სამეურნეო რესურსებისა, რაც დარჩა რესპუბლიკების განკარგულებაში შვიდი წლის ომის შედეგად, — სიმცირე, რომელიც გვაიძულებს გავაერთიანოთ ეს მცირე საშუალებანი, რათა უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ ისინი და განვავითაროთ მეურნეობის ძირითადი დარგები, რომლებიც შეადგენენ საბჭოთა ხელისუფლების მთავარ ხერხემალს ყველა რესპუბლიკაში.

მეორეც, შრომის ისტორიულად ჩამოყალიბებული ბუნებრივი დანაწილება, შრომის სამეურნეო დანაწილება, ჩვენი ფედერაციის სხვადასხვა რაიონებსა და რესპუბლიკებს შორის. მაგალითად, ჩრდილოეთი ამარაგებს სამხრეთს

და აღმოსავლეთს მანუფაქტურით; სამხრეთი და აღმოსავლეთი ამარაგებენ ჩრდილოეთს ბამბით, სათბობი მასალით და სხვ. აი შრომის ეს დანაწილება, რაც დამყარებულია ოლქებს შორის, არ შეიძლება წაიშალოს კალმის ერთი მოსმით: იგი შექმნილია ისტორიულად ფედერაციის სამეურნეო განვითარების მთელი მსვლელობით. და შრომის ეს დანაწილება, რაც შეუძლებელს ხდის ცალკეული რაიონების სრულ განვითარებას რესპუბლიკების განცალკევებული არსებობის პირობებში, ავალებს რესპუბლიკებს შეკავშირდნენ ერთიან სამეურნეო მთელად.

მესამეც, მთელ ფედერაციაში მიმოსვლის ძირითად საშუალებათა ერთიანობა, რომელნიც ყოველი შესაძლებელი გაერთიანების ძარღვსა და საძირკველს შეადგენენ. თავისთავად გასაგებია, რომ არ შეიძლება დაშვებულ იქნას მიმოსვლის საშუალებათა განცალკევებული არსებობა ცალკეული რესპუბლიკების განკარგულებაში და მათი ინტერესების ფარგლებში, ვინაიდან ეს გადააქცევს სამეურნეო ცხოვრების ძირითად ძარღვს — ტრანსპორტს — უგეგმოდ ხმარებულ ცალკეულ ნაწილთა გროვად. ეს გარემოებაც ქმნის რესპუბლიკებში განწყობილებას, რომ ისინი ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდნენ.

ბოლოს, ჩვენი ფინანსური სახსრების სიმცირე. ამხანაგებო, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენს ფინანსურ მდგომარეობას ახლა, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მეექვსე წელიწადს, გაცილებით ნაკლები შესაძლებლობა აქვს მეტი მასშტაბით განვითარდეს, ვიდრე, მაგალითად, ძველი რეჟიმის დროს, რომელსაც ჰქონდა არაყი, რაც ჩვენ არ გვექნება და რაც წელიწადში ხუთას მილიონ მანეთს იძლეოდა, რომელსაც უზრუნველყოფილი ჰქონდა უცხოეთის კრედიტები — რამდენიმე ასეული მილიონი, რაც ჩვენ აგრეთვე არა გვაქვს. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ჩვენი ფინანსური განვითარების ამგვარი მცირე შესაძ-

ლებლობის პირობებში ჩვენ ვერ მოვახერხებთ ჩვენი რესპუბლიკების ფინანსური მეურნეობის ძირითადი და მორიგი ამოცანების გადაწყვეტას, თუ არ შევაკავშირეთ ცალკეული რესპუბლიკების ძალები, თუ ერთ მთელად არ შევაერთეთ მათი ფინანსური ძალები.

ასეთია გარემოებათა პირველი ჯგუფი, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკებს გაერთიანების გზაზე აყენებენ.

მეორე ჯგუფი გარემოებათა, რომლებმაც რესპუბლიკების გაერთიანება განსაზღვრეს, — ესაა ჩვენს საგარეო მდგომარეობასთან დაკავშირებული ფაქტები. მე მხედველობაში მაქვს ჩვენი სამხედრო მდგომარეობა. მხედველობაში მაქვს ჩვენი დამოკიდებულება უცხოეთის კაპიტალთან საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მეშვეობით. ბოლოს, მხედველობაში მაქვს ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან. უნდა გვახსოვდეს, ამხანაგებო, რომ, თუმცა ჩვენმა რესპუბლიკებმა სამოქალაქო ომის მდგომარეობას ბედნიერად დააღწიეს თავი, მაინც გარედან თავდასხმის საფრთხე სრულიადაც არ არის გამორიცხული. ეს საფრთხე მოითხოვს, რომ ჩვენი სამხედრო ფრონტი აბსოლუტურად ერთიანი იყოს, რომ ჩვენი არმია უთუოდ ერთიანი იყოს, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ჩვენ დავადექით, რა თქმა უნდა, არა მორალური განიარაღების გზას, არამედ შეიარაღების ნამდვილი მატერიალური შემცირების გზას. მას შემდეგ, რაც ჩვენ ჯარების შემადგენლობა 600 ათასამდე დავიყვანეთ, განსაკუთრებით ახლაა აუცილებელი გვქონდეს ერთიანი განუწყვეტელი სამხედრო ფრონტი, რომელიც შეძლებს რესპუბლიკის საგარეო უშიშროების უზრუნველყოფას.

შემდეგ, სამხედრო ხასიათის საფრთხის გარდა, არსებობს კიდევ ჩვენი ფედერაციის ეკონომიური იზოლაციის საფრთხე. თქვენ იცით, რომ გენუისა და ჰააგის შემდეგ და ურკარტის [17] შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიურმა

ბოიკოტმა თუმცა მარცხი განიცადა, მაგრამ კაპიტალის დიდად მოზღვავებას ჩვენი მეურნეობის საჭიროებისათვის მაინც ვერ ვხედავთ. არსებობს ჩვენი რესპუბლიკების ეკონომიური იზოლირების საშიშროება. ინტერვენციის ეს ახალი ფორმა, რომელიც არანაკლებ საშიშია, ვიდრე სამხედრო ინტერვენცია, შეიძლება თავიდან ავიცილოთ მხოლოდ მაშინ, თუ შევქმნით ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან ეკონომიურ ფრონტს კაპიტალისტური გარემოცვის პირისპირ.

ბოლოს, ჩვენი დიპლომატიური მდგომარეობა. თქვენ იყავით იმის მოწმენი, რომ ამ ცოტა ხნის წინათ, ლოზანის კონფერენციის [48] გახსნის წინადღეს, ანტანტის სახელმწიფოები ყოველნაირად ცდილობდნენ ჩვენი ფედერაციის იზოლირებას. დიპლომატიურად ეს მათ ვერ შეძლეს. ჩვენი ფედერაციის წინააღმდეგ მიმართული ორგანიზებული დიპლომატიური ბოიკოტი გარღვეულ იქნა. ანტანტა იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ჩვენი ფედერაციისათვის და რამდენადმე განზე გამდგარიყო, უკან დაეხია. საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს და ამის მსგავსი ფაქტები ჩვენი ფედერაციის დიპლომატიური იზოლირებისა აღარ განმეორდება. აქედან გამომდინარეობს გაერთიანებული ფრონტის აუცილებლობა, უკვე დიპლომატიური ხაზით.

ასეთია გარემოებათა მეორე ჯგუფი, რომლებიც საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს გაერთიანების გზაზე აყენებენ.

გარემოებათა პირველი ჯგუფიც და მეორეც მოქმედებდნენ და ძალაში იყვნენ დღემდეც, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში. ჩვენი სამეურნეო საჭიროებანიც, რაზედაც ეს-არის ვილაპარაკე, და ჩვენი სამხედრო-დიპლომატიური საჭიროებანიც საგარეო პოლიტიკის სფეროში, უეჭველია, წინათაც მოქმედებ-

დნენ. მაგრამ ამ გარემოებებმა განსაკუთრებული ძალა მოიპოვეს მხოლოდ ახლა, სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც რესპუბლიკებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა შეუდგნენ სამეურნეო მშენებლობას, როდესაც მათ პირველად დაინახეს თავის სამეურნეო საშუალებათა მთელი სიმცირე და მთელი აუცილებლობა როგორც შინაგანი სამეურნეო ხაზით, ისე საგარეო ხაზით გაერთიანებისა. აი რატომ არის, რომ ახლა, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მეექვსე წელიწადს, დღის წესრიგში დაისვა დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანების საკითხი.

ბოლოს, მესამე ჯგუფი ფაქტებისა, რომლებიც აგრეთვე მოითხოვენ გაერთიანებას და დაკავშირებული არიან საბჭოთა ხელისუფლების აღნაგობის ხასიათთან, საბჭოთა ხელისუფლების კლასობრივ ბუნებასთან. საბჭოთა ხელისუფლება ისეა აგებული, რომ იგი, თავისი შინაგანი არსით ინტერნაციონალური, ყოველნაირად ნერგავს მასებში გაერთიანების იდეას, თვითონ აყენებს მათ გაერთიანების გზაზე. თუ კაპიტალი, კერძო საკუთრება და ექსპლოატაცია ყოფს ადამიანებს, თიშავს რა მათ ერთმანეთისადმი მტრულ ბანაკებად, რის მაგალითსაც წარმოადგენენ დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ისეთი პატარა მრავალეროვანი სახელმწიფოებიც კი, როგორიცაა პოლონეთი და იუგოსლავია, მათი შეურიგებელი შინაგანი ნაციონალური წინააღმდეგობებით, რაც ღრღნის ამ სახელმწიფოების თვით საფუძველს, — თუ, ვამბობ მე, იქ, დასავლეთში, სადაც კაპიტალისტური დემოკრატია ბატონობს და სადაც სახელმწიფოები დაფუძნებული არიან კერძო საკუთრებაზე, თვით სახელმწიფოს ბაზა ქმნის ურთიერთი ნაციონალური კინკლაობისა, კონფლიქტებისა და ბრძოლისადმი განწყობას, — აქ, საბჭოების ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება აგებულია არა კაპიტალზე, არამედ შრომაზე, სადაც

ხელისუფლება აგებულია არა კერძო საკუთრებაზე, არამედ კოლექტიურ საკუთრებაზე, სადაც ხელისუფლება აგებულია არა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციაზე, არამედ ამ ექსპლოატაციასთან ბრძოლაზე, აქ, პირიქით, თვით ხელისუფლების ბუნება ქმნის იმის განწყობას, რომ მშრომელი მასები ბუნებრივად ისწრაფვოდნენ ერთ სოციალისტურ ოჯახად გაერთიანებისაკენ.

განა ეს ღირსშესანიშნავი არაა, რომ იქ, დასავლეთში, ბურჟუაზიული დემოკრატიის სამყაროში, ჩვენ საქმე გვაქვს მრავალეროვან სახელმწიფოთა თანდათან დაცემასთან და შემადგენელ ნაწილებად დაშლასთან (მსგავსად დიდი ბრიტანეთისა, რომელიც, არ ვიცი, როგორ მოაგვარებს საქმეს ინდოეთთან, ეგვიპტესთან და ირლანდიასთან, ან მსგავსად პოლონეთისა, რომელიც, აგრეთვე არ ვიცი, როგორ მოაგვარებს საქმეს თავის ბელორუსებთან, უკრაინელებთან), — აქ კი, ჩვენს ფედერაციაში, რომელიც აერთიანებს არანაკლებ 30 ეროვნებისა, აქ, პირიქით, ჩვენ საქმე გვაქვს დამოუკიდებელ რესპუბლიკებს შორის სახელმწიფოებრივი კავშირის განმტკიცების პროცესთან, პროცესთან, რომელსაც მივყავართ დამოუკიდებელ ეროვნებათა სულ უფრო და უფრო მჭიდრო შეკავშირებისაკენ ერთ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ! აი ორი ტიპი სახელმწიფოებრივი გაერთიანებისა, რომელთაგან პირველი ტიპი, კაპიტალისტური, იწვევს სახელმწიფოს დაშლას, ხოლო მეორე ტიპი, საბჭოთა ტიპი, პირიქით, იწვევს წინათ დამოუკიდებელ ეროვნებათა თანდათან, მაგრამ მტკიცედ შეკავშირებას ერთ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

ასეთია ფაქტების მესამე ჯგუფი, რომლებიც ცალკეულ რესპუბლიკებს გაერთიანების გზაზე აყენებენ.

როგორი უნდა იყოს რესპუბლიკების გაერთიანების ფორმა? გაერთიანების საფუძვლები მოხაზულია იმ რეზოლუციებში, რომლებიც სრულიად რუსეთის ცენტრ-

აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო უკრაინის, ბელორუსიისა და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებისაგან.

ერთიანდება ოთხი რესპუბლიკა: რსფს რესპუბლიკა, როგორც მთლიანი ფედერალური ერთეული, ამიერკავკასიის რესპუბლიკა, აგრეთვე როგორც მთლიანი ფედერალური ერთეული, უკრაინა და ბელორუსია. ორი დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკა — ხორეზმი და ბუხარა, რომლებიც არიან არა სოციალისტური, არამედ სახალხო საბჭოთა რესპუბლიკები, ჯერჯერობით ამ გაერთიანების ფარგლებს გარეთ რჩებიან მხოლოდ იმიტომ და მარტოოდენ იმიტომ, რომ ეს რესპუბლიკები ჯერ კიდევ არ არიან სოციალისტური რესპუბლიკები. ეჭვი არ მეპარება, ამხანაგებო, და იმედი მაქვს, არც თქვენ გეპარებათ ეჭვი, რომ ეს რესპუბლიკებიც, სოციალიზმის მიმართულებით მათი შინაგანი განვითარების კვალობაზე, აგრეთვე შევლენ საკავშირო სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომელიც ახლა იქმნება.

შეიძლება გვეჩვენოს, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რესპუბლიკების კავშირში რსფს რესპუბლიკა შესულიყო არა როგორც მთლიანი ფედერალური ერთეული, არამედ ცალკეულ რესპუბლიკებად, რომლებიც რსფს რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიან, რისთვისაც, ცხადია, წინასწარ რსფსრ უნდა დაგვეშალა შემადგენელ ნაწილებად. მე ვფიქრობ, რომ ეს გზა არარაციონალურია, არამიზანშეწონილია და გამორიცხულია თვით კამპანიის მსვლელობით. ჯერ ერთი, ეს გამოიწვევდა იმას, რომ იმ პროცესის გვერდით, რომელსაც რესპუბლიკების გაერთიანებისაკენ მივყავართ, ჩვენ გვექნებოდა უკვე არსებულ ფედერალურ ერთეულთა დანაწილების პროცესი, — პროცესი, რომელიც თავდაყირა დააყენებდა რესპუბლიკების გაერთიანების დაწყებულ რევოლუციურ პროცესს. მეორეც, თუ ამ არასწორი გზით ვივლიდით, ჩვენ მივიდოდით ისეთ

მდგომარეობამდე, რომ მოგვიხდებოდა, გარდა რვა ავტონომიური რესპუბლიკისა, რსფს რესპუბლიკიდან კიდევ გამოგვეყო სპეციალური სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და რუსეთის სახკომსაბჭო, რაც გამოიწვევდა დიდ ორგანიზაციულ შენჯღრევას, ახლა სრულიად ზედმეტსა და საზიანოს, და რასაც ოდნავადაც არ მოითხოვს არც შინაგანი და არც საგარეო ვითარება. აი რატომ ვფიქრობ მე, რომ კავშირად გასაერთიანებელი სუბიექტები უნდა იყოს ოთხი რესპუბლიკა: რსფსრ, ამიერკავკასიის ფედერაცია, უკრაინა და ბელორუსია.

საფუძვლები, რომლებიც უნდა მივიღოთ გაერთიანების ხელშეკრულების შედგენის დროს, უნდა იყოს შემდეგი: საგარეო ვაჭრობის, სამხედრო-საზღვაო, საგარეო საქმეთა, გზათა და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატები იქმნებიან მხოლოდ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში. ფინანსთა, მეურნეობის, სურსათის, შრომისა და ინსპექციის სახალხო კომისარიატები რჩებიან ხელშეკრულების დამდებ რესპუბლიკათა შემადგენლობაში, მაგრამ ისე, რომ მათ შეეძლოთ მოქმედება საკავშირო ცენტრში არსებული სათანადო კომისარიატების დირექტივებით. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ რესპუბლიკების მშრომელი მასების ძალ-ღონე სურსათის, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, ფინანსთა ან შრომის სახალხო კომისარიატის ხაზით გაერთიანდეს საკავშირო ცენტრის ხელმძღვანელობით. ბოლოს, დანარჩენი კომისარიატები: შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, მიწათმოქმედების და სხვ. — ესენი სულ ექვსია, — რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალ ხალხთა ყოფა-ცხოვრებასთან, ზნე-ჩვეულებასთან, მიწათმოწყობის განსაკუთრებულ ფორმებთან, სასამართლო წყობილების განსაკუთრებულ ფორმებთან, ენასთან

და კულტურასთან, — უნდა დატოვებულ იქნან დამოუკიდებელ კომისარიატებად, რომელთაც ხელმძღვანელობას გაუწევენ ხელშეკრულების დამდებ რესპუბლიკათა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები და სახკომსაბჭოები. ეს აუცილებელია როგორც რეალური პირობა, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოთა რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალ ხალხთა ნაციონალური განვითარების თავისუფლებას.

აი ის საფუძვლები, რომლებიც, ჩემი აზრით, საძირკვლად უნდა დაედოს იმ ხელშეკრულებას, რომელიც ამ დღეებში დაიდება ჩვენს რესპუბლიკებს შორის.

ამის შესაბამისად მე შემომაქვს რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოწონებულია სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ:

1. ცნობილ იქნას დროულად რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის, უკრაინის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის, ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკისა და ბელორუსიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის გაერთიანება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად.

2. გაერთიანებას საფუძვლად დაედოს რესპუბლიკების ნებაყოფლობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპი, თანაც თვითეულ მათგანს შერჩეს რესპუბლიკების კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება.

3. დაევალოს რსფს რესპუბლიკის დელეგაციას შეიმუშაოს უკრაინის, ამიერკავკასიის რესპუბლიკისა და ბელორუსიის დელეგაციებთან ერთად პროექტი დეკლარაციისა რესპუბლიკების კავშირის დაარსების შესახებ იმ გარემოებათა აღნიშვნით, რომლებითაც ნაკარნახევია რესპუბლიკების გაერთიანება ერთ საკავშირო სახელმწიფოდ.

4. დაევალოს დელეგაციას შეიმუშაოს რესპუბლიკების კავშირში რსფს რესპუბლიკის შესვლის პირობები, ამასთან დაეკისროს მას საკავშირო ხელშეკრულების განხილვის დროს დაიცვას შემდეგი დებულებანი:

ა) სათანადო საკავშირო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების შექმნა;

ბ) სამხედრო-საზღვაო, გზათა, საგარეო საქმეთა, საგარეო ვაჭრობის და ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატების შეერთება;

გ) ხელშეკრულების დამდები რესპუბლიკების ფინანსთა, სურსათის, სახალხო მეურნეობის, შრომისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატების დაქვემდებარება რესპუბლიკების კავშირის სათანადო კომისარიატების დირექტივებისადმი;

დ) ხელშეკრულების დამდები რესპუბლიკების ხალხთა ნაციონალური განვითარების ინტერესების სრული უზრუნველყოფა.

5. ხელშეკრულების პროექტი, ვიდრე იგი რესპუბლიკების კავშირის პირველ ყრილობაზე იქნებოდეს შეტანილი, წარედგინოს მოსაწონებლად სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მისი პრეზიდიუმის სახით.

6. უფლებამოსილ იქნას დელეგაცია, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გაერთიანების პირობების მოწონების საფუძველზე, დასდოს რსფს რესპუბლიკის ხელშეკრულება უკრაინის, ამიერკავკასიისა და ბელორუსიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებთან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაარსების შესახებ.

7. ხელშეკრულება წარედგინოს დასამტკიცებლად რესპუბლიკების კავშირის I ყრილობას.

ასეთია რეზოლუციის პროექტი, რომელიც მე თქვენს საყურადღებოდ შემომაქვს.

ამხანაგებო! საბჭოთა რესპუბლიკების დაარსების დროიდან მსოფლიოს სახელმწიფოები გაიყვნენ ორ ბანაკად: სოციალიზმის ბანაკად და კაპიტალიზმის ბანაკად. კაპიტალიზმის ბანაკში ჩვენ გვაქვს იმპერიალისტური ომები, ნაციონალური შუღლი, ჩაგვრა, კოლონიური მონობა და შოვინიზმი. საბჭოების ბანაკში, სოციალიზმის ბანაკში, ჩვენ, პირიქით, გვაქვს ხალხთა ურთიერთნდობა, ნაციონალური თანასწორუფლებიანობა, მშვიდობიანი თანაცხოვრება და ძმური თანამშრომლობა. კაპიტალისტური დემოკრატია ათეული წლების განმავლობაში ცდილობს გადაწყვიტოს ნაციონალური წინააღმდეგობანი ექსპლოატაციის სისტემასთან ეროვნებათა თავისუფალი განვითარების ინტერესების შეთავსებით. მაგრამ ეს დღემდე ვერ

ხერხდებოდა და ვერც მოხერხდება. პირიქით, ნაციონალურ წინააღმდეგობათა კვანძი სულ უფრო მეტად იხლართება და სიკვდილით ემუქრება კაპიტალიზმს. მხოლოდ აქ, საბჭოების ქვეყანაში, სოციალიზმის ბანაკში, მოხერხდა ნაციონალური ჩაგვრის ძირიანად აღმოფხვრა და ხალხთა ურთიერთნდობისა და ძმური თანამშრომლობის მოგვარება. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბჭოებმა ეს მოახერხეს, მოგვეცა შესაძლებლობა ავაგოთ ჩვენი ფედერაცია და დავიცვათ იგი როგორც შინაური, ისე გარეშე მტრების თავდასხმისაგან.

ხუთი წლის წინათ საბჭოთა ხელისუფლებამ მოახერხა ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და ძმური თანამშრომლობის საძირკვლის ჩაყრა. ახლა, როდესაც ჩვენ აქ ვწყვეტთ გაერთიანების სასურველობისა და აუცილებლობის საკითხს, ჩვენ უნდა დავაგვირგვინოთ ეს საქმე ახალი შენობით, — შრომის ახალი მძლავრი საკავშირო სახელმწიფოს დაარსებით. ჩვენი რესპუბლიკების ხალხთა ნება, რომელნიც ამ ცოტა ხნის წინათ შეიკრიბნენ თავიანთ ყრილობებზე და ერთსულოვნად დაადგინეს რესპუბლიკების კავშირის დაარსება, უეჭველად მეტყველებს იმას, რომ გაერთიანების საქმე სწორ გზაზე დგას, რომ ის დამყარებულია ხალხთა ნებაყოფლობისა და თანასწორუფლებიანობის დიად პრინციპზე. იმედი ვიქონიოთ, ამხანაგებო, რომ ჩვენი საკავშირო რესპუბლიკის დაარსებით ჩვენ შევქმნით საიმედო დასაყრდენს საერთაშორისო კაპიტალიზმის წინააღმდეგ, რომ ახალი საკავშირო სახელმწიფო იქნება ახალი გადამწყვეტი ნაბიჯი მთელი მსოფლიოს მშრომელთა მსოფლიო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გაერთიანების გზაზე. (ხანგრძლივი ტაში. მღერიან «ინტერნაციონალს»).

«პრავდა» № 295,
1922 წ. 28 დეკემბერი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ

მოხსენება სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობაზე 49

1922 წ. 30 დეკემბერი

ამხანაგებო! საბჭოთა ხელისუფლების ისტორიაში დღევანდელი დღე გარდატეხის დღეა. იგი ზღვარს სდებს ორ პერიოდს შორის: ესაა ძველი, უკვე განვლილი პერიოდი, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკები თუმცა ერთად მოქმედებდნენ, მაგრამ ცალ-ცალკე მიდიოდნენ და უწინარეს ყოვლისა თავისი არსებობის საკითხისათვის ზრუნავდნენ, და ახალი, უკვე დაწყებული პერიოდი, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკების განცალკევებულ არსებობას ბოლო ეღება, როდესაც რესპუბლიკები ერთიანდებიან ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ სამეურნეო ნგრევასთან წარმატებითი ბრძოლისათვის, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ფიქრობს უკვე არა მარტო არსებობაზე, არამედ იმაზეც, რომ განვითარდეს სერიოზულ საერთაშორისო ძალად, რომელსაც შეეძლება ზეგავლენა მოახდინოს საერთაშორისო ვითარებაზე, შეეძლება შეცვალოს იგი მშრომელთა ინტერესების სასარგებლოდ.

რას წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლება ხუთი წლის წინათ? პატარა, ძლივს შესამჩნევ სიდიდეს, რომელიც იწვევდა დაცინვას ყველა მის მტერში და სიბრა-

ლულს ბევრ მის მეგობარში. ეს იყო სამხედრო რღვევის პერიოდი, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ეყრდნობოდა არა იმდენად საკუთარ ძალებს, რამდენადაც თავის მოწინააღმდეგეთა უძლურებას, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების მტრები, გაყოფილნი ორ კოალიციად, ავსტრია-გერმანიის კოალიციად და ინგლის-საფრანგეთის კოალიციად, ჩაფლული იყვნენ ურთიერთშორის ომში და მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას — იარაღი მიემართათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს იყო სამხედრო ნგრევის პერიოდი საბჭოთა ხელისუფლების ისტორიაში. მაგრამ კოლჩაკსა და დენიკინთან ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა წითელი არმია და სამხედრო ნგრევის პერიოდიდან წარმატებით გამოვიდა.

შემდეგ დაიწყო მეორე პერიოდი საბჭოთა ხელისუფლების ისტორიაში, სამეურნეო ნგრევასთან ბრძოლის პერიოდი. ეს პერიოდი ჯერჯერობით სრულიადაც არ არის ამოწურული, მაგრამ მან უკვე მოგვცა თავისი შედეგები, ვინაიდან ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენ გვაქვს საბჭოთა ხელისუფლების წარმატებითი ბრძოლა შიმშილობასთან, რომელიც გასულ წელს თავს დაატყდა ჩვენს ქვეყანას. ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენ გვაქვს სოფლის მეურნეობის თვალსაჩინო აღორძინება, მსუბუქი მრეწველობის თვალსაჩინო გაცხოველება. ჩვენ უკვე გვყავს გამოყოფილი კადრები მრეწველობის მეთაურთა შემადგენლობისა, რომლებიც ჩვენს იმედს, ჩვენს სასოებას შეადგენენ. მაგრამ ყოველივე ეს სრულიადაც არაა საკმარისი სამეურნეო ნგრევის დასაძლევად. ეს ნგრევა რომ დავძლიოთ და მოვსპოთ, საჭიროა შევაერთოთ ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ძალები, საჭიროა მოვახმაროთ რესპუბლიკების მთელი ფინანსური და ეკონომიური შესაძლებლობა ჩვენი მრეწველობის ძირითადი დარგების აღდგენის საქმეს. აქედან

გამომდინარეობს საბჭოთა რესპუბლიკების ერთ საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების აუცილებლობა. დღევანდელი დღე არის დღე ჩვენი რესპუბლიკების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისა, რათა შევაერთოთ ძალები ჩვენი მეურნეობის აღდგენის საქმისათვის.

სამხედრო ნგრევასთან ბრძოლის პერიოდმა ჩვენ მოგვცა წითელი არმია — საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ერთი ფუძეთაგანი. შემდეგი პერიოდი — სამეურნეო ნგრევასთან ბრძოლის პერიოდი — გვაძლევს ახალ ჩარჩოებს სახელმწიფოებრივი არსებობისათვის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს, რომელიც, უეჭველია, წინ წასწევს საბჭოთა მეურნეობის აღდგენის საქმეს.

რას წარმოადგენს ახლა საბჭოთა ხელისუფლება? დიდ შრომითს სახელმწიფოს, რომელიც მტრებში უკვე დაცინვას კი არ იწვევს, არამედ კბილთა ღრჭენას.

ასეთია საბჭოთა ხელისუფლების განვითარების შედეგები მისი არსებობის ხუთი წლის მანძილზე.

მაგრამ, ამხანაგებო, დღევანდელი დღე არის არა მარტო შედეგთა შეჯამების დღე, იგი ამასთან ერთად არის დღე ახალი რუსეთის ზეიმისა ძველ რუსეთზე, ევროპის ჟანდარმ რუსეთზე, აზიის ჯალათ რუსეთზე. დღევანდელი დღე არის საზეიმო დღე ახალი რუსეთისა, რომელმაც დაამსხვრია ნაციონალური ჩაგვრის ბორკილები, მოაწყო გამარჯვება კაპიტალზე, შექმნა პროლეტარიატის დიქტატურა, გამოაღვიძა აღმოსავლეთის ხალხები, აღაფრთოვანებს დასავლეთის მუშებს, გადააქცია წითელი ალამი პარტიული დროშიდან სახელმწიფო დროშად და შემოკრიბა ამ დროშის გარშემო საბჭოთა რესპუბლიკების ხალხები იმისათვის, რომ გააერთიანოს ისინი ერთ სახელმწიფოდ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად, რომელიც მომავალი მსოფლიო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პირველსახეს წარმოადგენს.

ჩვენ, კომუნისტებს, ხშირად გვლანძღავენ და ამტკიცებენ, რომ ჩვენ შენების უნარი არა გვაქვს. დაე საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ხუთი წლის ისტორია იყოს დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ კომუნისტებმა შენება იციან. დაე საბჭოების დღევანდელმა ყრილობამ, რომელიც მოწოდებულია დაამტკიცოს სრულუფლებიანი დელეგაციების კონფერენციის მიერ გუშინ მიღებული დეკლარაცია და ხელშეკრულება რესპუბლიკების კავშირის შესახებ, დაე ამ საკავშირო ყრილობამ უჩვენოს ყველას, ვისაც გაგების უნარი კიდევ არ დაუკარგავს, რომ კომუნისტებმა ისევე იციან ახლის კარგად შენება, როგორც იციან ძველის კარგად ნგრევა.

აი, ამხანაგებო, დეკლარაცია, რომელიც გუშინ სრულუფლებიანი დელეგაციების კონფერენციამ მიიღო[50]. მე წავიკითხავ მას (იხ. დანართი № 1).

აი იმავე კონფერენციის მიერ მიღებული ხელშეკრულების ტექსტიც. მე მას წავიკითხავ (იხ. დანართი № 2).

ამხანაგებო, საბჭოთა რესპუბლიკების სრულუფლებიანი დელეგაციების კონფერენციის დავალებით მე წინადადება შემომაქვს დავამტკიცოთ ახლა წაკითხული ტექსტები დეკლარაციისა და ხელშეკრულებისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაარსების შესახებ.

ამხანაგებო, წინადადებას ვიძლევი მივიღოთ ისინი კომუნისტებისათვის ჩვეული ერთსულოვნობით და ამით ახალი თავი ჩავწეროთ კაცობრიობის ისტორიაში. (ტ ა შ ი).

«პრავდა» № 298,
1922 წ. 31 დეკემბერი.

რუსი კომუნისტების სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხისათვის [51]

ამ სტატიის საფუძველი შეიქნა ლექციები «რუსი კომუნისტების სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ», რაც მე წავიკითხე სხვადასხვა დროს პრესნიას რაიონის მუშათა კლუბში და სვერდლოვის უნივერსიტეტის [52] კომუნისტთა ფრაქციაში. მისი გამოქვეყნება მე გადავწყვიტე არა მარტო იმიტომ, რომ ვალდებულად ვთვლი თავს დავაკმაყოფილო პრესნიელთა და სვერდლოველთა სურვილი, არამედ იმიტომაც, რომ თვით სტატია, ჩემი აზრით, უსარგებლო არ არის ჩვენი პარტიული მუშაკების ახალი თაობისათვის. მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია წინასწარვე ვთქვა, რომ ამ სტატიას არა აქვს პრეტენზია — მოგვცეს არსებითად რაიმე ახალი იმასთან შედარებით, რაც უკვე რამდენჯერმე უთქვამთ ჩვენს ხელმძღვანელ ამხანაგებს რუსულ პარტიულ პრესაში. ეს სტატია განხილულ უნდა იქნას როგორც ამხ. ლენინის ძირითად შეხედულებათა მოკლე და სქემატური გადმოცემა.

I

წინასწარი ცნებანი

1. მუშათა მოძრაობის ორი მხარე

პოლიტიკურ სტრატეგიას ისევე, როგორც ტაქტიკას, მუშათა მოძრაობასთან აქვს საქმე. მაგრამ თვით მუშათა მოძრაობა ორი ელემენტისაგან შედგება: ობიექტური ანუ

სტიქიური ელემენტისაგან და სუბიექტური ანუ შეგნებული ელემენტისაგან. ობიექტური, სტიქიური ელემენტი — ეს იმ პროცესების ჯგუფია, რომლებიც ხდება პროლეტარიატის შეგნებული და მარეგულირებელი ნების დამოუკიდებლად. ქვეყნის ეკონომიური განვითარება, კაპიტალიზმის განვითარება, ძველი ხელისუფლების რღვევა, პროლეტარიატისა და მისი გარემომცველი კლასების სტიქიური მოძრაობა, კლასების შეტაკებანი და სხვ. — ყოველივე ეს ისეთი მოვლენებია, რომელთა განვითარება პროლეტარიატის ნებაზე არ არის დამოკიდებული, ეს მოძრაობის ობიექტური მხარეა. სტრატეგიას არაფერი ესაქმება ამ პროცესებთან, ვინაიდან მას არ შეუძლია არც გააუქმოს ისინი, არც შეცვალოს, მას შეუძლია მხოლოდ ანგარიში გაუწიოს და დაემყაროს მათ. ეს არის სფერო, რომელსაც მარქსიზმის თეორია და მარქსიზმის პროგრამა უნდა სწავლობდეს.

მაგრამ მოძრაობას სუბიექტური, შეგნებული მხარეც აქვს. მოძრაობის სუბიექტური მხარე — ეს არის მუშების შეგნებაში მოძრაობის სტიქიური პროცესების ასახვა, ეს არის პროლეტარიატის შეგნებული და გეგმაშეზომილი მოძრაობა გარკვეული მიზნისაკენ. მოძრაობის ეს მხარე, სწორედ რომ ვთქვათ, იმით არის ჩვენთვის საინტერესო, რომ იგი, მოძრაობის ობიექტური მხარისაგან განსხვავებით, სავსებით ექვემდებარება სტრატეგიისა და ტაქტიკის წარმმართველ ზემოქმედებას. თუ სტრატეგიას არ ძალუძს რაიმე შეცვალოს მოძრაობის ობიექტური პროცესების მსვლელობაში, სამაგიეროდ აქ, მოძრაობის სუბიექტური, შეგნებული მხარის სფეროში, პირიქით, სტრატეგიის გამოყენების არე ფართო და სხვადასხვანაირია, ვინაიდან მას, სტრატეგიას, შეუძლია დააჩქაროს ან შეანელოს მოძრაობა, წარმართოს უმოკლესი გზით ან გადააცდინოს უფრო მძიმე და მტკივნეული გზისაკენ, თვით სტრატეგიის ღირსებათა ან ნაკლოვანებათა მიხედვით.

მოძრაობის დაჩქარება თუ შენელება, მისი გაადვილება თუ შეფერხება, — ასეთია პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის გამოყენების სფერო და ფარგლები.

2. მარქსიზმის თეორია და პროგრამა

სტრატეგია თვითონ არ შეისწავლის მოძრაობის ობიექტურ პროცესებს. მიუხედავად ამისა, იგი ვალდებულია იცოდეს ეს პროცესები და სწორად ითვალისწინებდეს მათ, თუ არ სურს დაუშვას ფრიად უხეში და დამღუპველი შეცდომები მოძრაობის ხელმძღვანელობის საქმეში. მოძრაობის ობიექტურ პროცესებს შეისწავლის, უწინარეს ყოვლისა, მარქსიზმის თეორია, შემდეგ კი მარქსიზმის პროგრამაც. ამიტომ სტრატეგია მთლიანად უნდა ეყრდნობოდეს მარქსიზმის თეორიისა და პროგრამის მონაცემებს.

მარქსიზმის თეორია, სწავლობს რა კაპიტალიზმის ობიექტურ პროცესებს მათს განვითარებასა და კვდომაში, იმ დასკვნამდე მიდის, რომ გარდუვალია ბურჟუაზიის დამხობა და პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობა, გარდუვალია კაპიტალიზმის შეცვლა სოციალიზმით. პროლეტარულ სტრატეგიას ნამდვილად მარქსისტული მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ეწოდოს, თუ მის მუშაობას საფუძვლად დაედება მარქსიზმის თეორიის ეს ძირითადი დასკვნა.

მარქსიზმის პროგრამა, თეორიის მონაცემებზე დაყრდნობით, განსაზღვრავს პროლეტარული მოძრაობის მიზნებს, რომლებიც მეცნიერულად ჩამოყალიბდება პროგრამის პუნქტებში. პროგრამა შეიძლება ნავარაუდევი იყოს ან კაპიტალისტური განვითარების მთელი პერიოდისათვის და ითვალისწინებდეს კაპიტალიზმის დამხობას და სოციალისტური წარმოების ორგანიზებას, ან კაპიტალიზმის განვითა-

რების ერთი გარკვეული ფაზისათვის, მაგალითად, ითვალისწინებდეს ფეოდალურ-აბსოლუტისტური წყობილების ნაშთების დამხობას და კაპიტალიზმის თავისუფალი განვითარების პირობების შექმნას. ამის მიხედვით პროგრამა შეიძლება შედგებოდეს ორი ნაწილისაგან: მაქსიმალურისა და მინიმალურისაგან. თავისთავად გასაგებია, რომ პროგრამის მინიმალური ნაწილისათვის ნავარაუდევი სტრატეგია არ შეიძლება არ განსხვავდებოდეს მისი მაქსიმალური ნაწილისათვის ნავარაუდევი სტრატეგიისაგან, ამასთან სტრატეგიას ნამდვილად მარქსისტული მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ეწოდოს, თუ იგი თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს მოძრაობის იმ მიზნებით, რომლებიც მარქსიზმის პროგრამაშია ჩამოყალიბებული.

8. სტრატეგია

სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს იმ ძირითადი მიმართულების განსაზღვრა, რომლითაც უნდა წავიდეს მუშათა კლასის მოძრაობა და სადაც პროლეტარიატისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელია მოახდინოს ძირითადი დარტყმა მოწინააღმდეგის მიმართ პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად. სტრატეგიის გეგმა — ეს არის გეგმა გადამწყვეტი დარტყმის მოწყობისა იმ მიმართულებით, სადაც დარტყმას ყველაზე მალე შეუძლია მაქსიმუმი შედეგი მოგვცეს.

პოლიტიკური სტრატეგიის ძირითადი ნიშნები შეგვიძლია საკმაოდ ადვილად მოვხაზოთ, თუ მივმართავთ, მაგალითად, სამოქალაქო ომის პერიოდის, დენიკინთან ბრძოლის დროის სამხედრო სტრატეგიასთან ანალოგიას. ყველას ახსოვს 1919 წლის დასასრული, როცა დენიკინი ტულასთან იდგა. ამ დროს სამხედრო პირთა შორის საინტერესო დავა გაჩაღდა იმ საკითხების გამო, თუ საიდან უნდა

დაგვერტყა გადაჭრით დენიკინის არმიებისათვის. ზოგი სამხედრო პირი წინადადებას იძლეოდა დარტყმის ძირითად მიმართულებად ცარიცინ-ნოვოროსიისკის ხაზი აგვერჩია. სხვები, პირიქით, წინადადებას იძლეოდნენ გადამწყვეტი დარტყმა წარგვემართა ვორონეჟ-როსტოვის ხაზით, რათა ამ ხაზის გავლისა და, ამგვარად, დენიკინის არმიის ორ ნაწილად გაპობის შემდეგ, ცალ-ცალკე შეგვემუსრა ისინი. პირველ გეგმას, უეჭველია, თავისი დადებითი მხარე ჰქონდა იმ აზრით, რომ იგი, ნოვოროსიისკის აღებას რომ ვარაუდობდა, ამით დენიკინის არმიებს უკანდასახევ გზას გადაუჭრიდა. მაგრამ ეს გეგმა, ერთი მხრივ, არ იყო ხელსაყრელი, ვინაიდან გულისხმობდა ჩვენს წინწაწევას საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ რაიონებში (დონის ოლქი) და, ამრიგად, დიდ მსხვერპლს მოითხოვდა; მეორე მხრივ, იგი სახიფათო იყო, ვინაიდან დენიკინის არმიებს უხსნიდა ტულითა და სერპუხოვით მოსკოვისაკენ მიმავალ გზას. ძირითადი დარტყმის მეორე გეგმა ერთადერთი სწორი იყო, ვინაიდან იგი, ერთი მხრივ, გულისხმობდა ჩვენი ძირითადი ჯგუფის წინწაწევას საბჭოთა ხელისუფლების თანამგრძნობ რაიონებში (ვორონეჟის გუბერნია — დონბასი) და ამის გამო განსაკუთრებულ მსხვერპლს არ მოითხოვდა; მეორე მხრივ, იგი ფუშავდა დენიკინის იმ ჯარების ძირითადი ჯგუფის მოქმედებას, რომლებიც მოსკოვზე მიდიოდნენ. სამხედრო პირთა უმრავლესობამ მეორე გეგმას დაუჭირა მხარი და ამით გადაწყდა დენიკინთან ომის ბედი.

სხვანაირად რომ ითქვას: ძირითადი დარტყმის მიმართულების განსაზღვრა იმას ნიშნავს, რომ წინასწარ გადაწყვიტო ოპერაციების ხასიათი ომის მთელი პერიოდისათვის, მაშასადამე, $^{9}/_{10}$-ით წინასწარ გადაწყვიტო მთელი ომის ბედი. ეს არის სტრატეგიის ამოცანა.

იგივე უნდა ითქვას პოლიტიკურ სტრატეგიაზე. პირველი სერიოზული შეტაკება რუსეთის პროლეტარიატის პოლიტიკურ ხელმძღვანელებს შორის პროლეტარული მოძრაობის ძირითადი მიმართულების საკითხის გამო მოხდა ცხრაასიანი წლების დასაწყისში, რუსეთ-იაპონიის ომის დროს. როგორც ცნობილია, ჩვენი პარტიის ერთი ნაწილი (მენშევიკები) მაშინ იმ აზრისა იყო, რომ პროლეტარიატის მოძრაობის ძირითადი მიმართულება ცარიზმთან ბრძოლაში უნდა წავიდეს პროლეტარიატსა და ლიბერალურ ბურჟუაზიას შორის ბლოკის ხაზით, ამასთან გლეხობა, როგორც უმნიშვნელოვანესი რევოლუციური ფაქტორი, გამორიცხული. ან თითქმის გამორიცხული იყო გეგმიდან, ხოლო ლიბერალურ ბურჟუაზიას ეთმობოდა ხელმძღვანელი როლი საერთო-რევოლუციურ მოძრაობაში. პარტიის მეორე ნაწილი (ბოლშევიკები), პირიქით, ამტკიცებდა, რომ ძირითადი დარტყმა უნდა წარიმართოს პროლეტარიატისა და გლეხობის ბლოკის ხაზით, ამასთან საერთო-რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელის როლი უნდა დაეთმოს პროლეტარიატს, ხოლო ლიბერალური ბურჟუაზია ნეიტრალიზებულ უნდა იქნას.

თუ დენიკინთან ომის ანალოგიით წარმოვიდგენთ მთელ ჩვენს რევოლუციურ მოძრაობას ცხრაასიანი წლებიდან 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე როგორც მუშებისა და გლეხების ომს ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ, მაშინ ცხადი გახდება, რომ ამა თუ იმ სტრატეგიული გეგმის (მენშევიკურისა თუ ბოლშევიკურის) მიღებაზე, რევოლუციური მოძრაობის ამა თუ იმ ძირითადი მიმართულების მიღებაზე ბევრად იყო დამოკიდებული ცარიზმისა და მემამულეების ბედი.

როგორც დენიკინთან ომის დროს სამხედრო სტრატეგიამ, დარტყმის ძირითადი მიმართულება რომ დასახა,

ამით 9/10-ით განსაზღვრა მთელი შემდგომი ოპერაციების ხასიათი, თვით დენიკინის ლიკვიდაციამდე, ისე აქაც, ცარიზმთან რევოლუციური ბრძოლის სფეროში, ჩვენმა პოლიტიკურმა სტრატეგიამ, რევოლუციური მოძრაობის ძირითადი მიმართულება ბოლშევიკური გეგმის მიხედვით რომ დასახა, ამით განსაზღვრა ხასიათი ჩვენი პარტიის მუშაობისა ცარიზმის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლის მთელი პერიოდისათვის, რუსეთ-იაპონიის ომის დროიდან 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე.

პოლიტიკური სტრატეგიის ამოცანა, უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ, მარქსიზმის თეორიისა და პროგრამის მონაცემებზე დაყრდნობით და ყველა ქვეყნის მუშების რევოლუციური ბრძოლის გამოცდილების გათვალისწინებით, სწორად განსაზღვროს ამა თუ იმ ქვეყნის პროლეტარული მოძრაობის ძირითადი მიმართულება ამა თუ იმ ისტორიული პერიოდისათვის.

4. ტაქტიკა

ტაქტიკა არის სტრატეგიის ნაწილი, რომელიც მას ექვემდებარება, მას უწევს მომსახურებას. ტაქტიკას საქმე აქვს არა ომთან მთლიანად, არამედ მის ცალკეულ ეპიზოდებთან, ბრძოლებთან, შეტაკებებთან. თუ სტრატეგია ცდილობს მოიგოს ომი, ან ბოლომდე მიიყვანოს, ვთქვათ, ცარიზმთან ბრძოლა, ტაქტიკა, პირიქით, ისწრაფვის მოიგოს ესა თუ ის ბრძოლა, ესა თუ ის შეტაკება, წარმატებით ჩაატაროს ესა თუ ის კამპანია, ესა თუ ის გამოსვლა, რომელიც მეტად თუ ნაკლებად შეესაბამება ბრძოლის კონკრეტულ ვითარებას ყოველ განსაზღვრულ მომენტში.

ტაქტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ბრძოლის იმ გზებისა და საშუალებების, იმ ფორმებისა და ხერხების განსაზღვრა, რომლებიც ყველაზე უფრო შეესა-

ბამებიან კონკრეტულ ვითარებას მოცემულ მომენტში და ყველაზე უფრო უტყუარად ამზადებენ სტრატეგიულ წარმატებას. ამიტომ ტაქტიკის მოქმედება, მისი შედეგები უნდა შეფასდეს არა თავისთავად, არა უშუალო ეფექტის თვალსაზრისით, არამედ სტრატეგიის ამოცანათა და შესაძლებლობათა თვალსაზრისით.

არის ხოლმე მომენტები, როცა ტაქტიკური წარმატებანი აადვილებენ სტრატეგიული ამოცანების გატარებას. ასე იყო საქმე, მაგალითად, დენიკინის ფრონტზე 1919 წლის დამლევს, ჩვენი ჯარების მიერ ორიოლისა და ვორონეჟის განთავისუფლებისას, როცა ვორონეჟთან ჩვენი კავალერიისა და ორიოლთან ქვეითი ჯარის წარმატებებმა შექმნეს როსტოვზე დარტყმისათვის ხელსაყრელი ვითარება. ასე იყო საქმე რუსეთში 1917 წლის აგვისტოში, როცა ბოლშევიკების მხარეზე პეტროგრადისა და მოსკოვის საბჭოების გადმოსვლამ შექმნა ახალი პოლიტიკური ვითარება, რომელმაც მერე გაუადვილა ჩვენს პარტიას დარტყმა ოქტომბერში.

არის ხოლმე ისეთი მომენტებიც, როცა ტაქტიკური წარმატებანი, რომლებიც თავისი უშუალო ეფექტით ბრწყინვალენი არიან, მაგრამ სტრატეგიულ შესაძლებლობებს არ შეესაბამებიან, ქმნიან «მოულოდნელ», მთელი კამპანიისათვის დამღუპველ, ვითარებას. ასე დაემართა დენიკინს 1919 წლის დამლევს, როცა მან, მოსკოვისაკენ სწრაფი და ეფექტური წინსვლის იოლი წარმატებით გატაცებულმა, გაშალა თავისი ფრონტი ვოლგიდან დნეპრამდე და ამით მოამზადა თავისი არმიების დაღუპვა. ასეთი იყო ვითარება 1920 წელს, პოლონელებთან ომის დროს, როცა ჩვენ სათანადოდ ვერ შევაფასეთ ნაციონალური მომენტის ძალა პოლონეთში, ეფექტური წინსვლის იოლმა წარმატებამ

გაგვიტაცა და ვიკისრეთ შეუძლებელი ამოცანა — ვარშავით გავჭრილიყავით ევროპაში, საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ დავრაზმეთ პოლონელი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა და, ამრიგად, შევქმენით ისეთი ვითარება, რომელმაც გააქარწყლა საბჭოთა ჯარების მიერ მინსკთან და ჟიტომირთან მოპოვებული წარმატებანი და შეარყია საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟი დასავლეთში.

ბოლოს, არის კიდევ მომენტები, როცა საჭირო ხდება უგულებელვყოთ ტაქტიკური წარმატება, შეგნებულად დავთანხმდეთ ტაქტიკურ მინუსებსა და წაგებას, რათა მომავალში უზრუნველვყოთ ჩვენი სტრატეგიული პლუსები. ასე ხდება არაიშვიათად ომში როცა, ერთი მხარე, რათა თავისი ჯარების კადრები გადაარჩინოს და მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების მხრივ დარტყმას აცილოს, იწყებს გეგმაშეზომილად უკანდახევას და უბრძოლველად სთმობს მთელ ქალაქებსა და ოლქებს, რომ დრო მოიგოს და ძალ-ღონე მოიკრიბოს ახალი გადამწყვეტი ბრძოლებისათვის მომავალში. ასე იყო საქმე რუსეთში 1918 წელს, გერმანიის შემოტევის დროს, როცა ჩვენი პარტია იძულებული გახდა დათანხმებულიყო ბრესტის ზავზე, რაც უდიდეს მინუსს წარმოადგენდა უშუალო პოლიტიკური ეფექტის თვალსაზრისით იმ მომენტში, რათა შეენარჩუნებინა კავშირი გლეხობასთან, რომელიც ზავს იყო მოწყურებული, მიეღო შესვენება, შეექმნა ახალი არმია და, ამრიგად, უზრუნველეყო მომავალში სტრატეგიული პლუსები.

სხვანაირად რომ ითქვას: ტაქტიკას არ შეუძლია დაუქვემდებაროს თავისი თავი წუთის წარმავალ ინტერესებს, იგი არ უნდა ხელმძღვანელობდეს უშუალო პოლიტიკური ეფექტის მოსაზრებებით, იგი მით უფრო არ უნდა მოსწყდეს მიწას და არ უნდა აგებდეს ჰაერის კოშკებს, — ტაქტიკა სტრატეგიის ამოცანებსა და შესაძლებლობებთან შეფარდებით უნდა ყალიბდებოდეს.

ტაქტიკის ამოცანა, უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ იხელმძღვანელოს სტრატეგიის მითითებებით, გაითვალისწინოს ყველა ქვეყნის მუშების რევოლუციური ბრძოლის გამოცდილება და განსაზღვროს ბრძოლის ისეთი ფორმები და ხერხები, რომლებიც ყველაზე უფრო შეესაბამებიან ბრძოლის კონკრეტულ ვითარებას ყოველ მოცემულ მომენტში.

5. ბრძოლის ფორმები

ომის წარმოების ხერხები, ომის ფორმები ყოველთვის როდია ერთნაირი: ისინი იცვლებიან განვითარების პირობების მიხედვით, უწინარეს ყოვლისა წარმოების განვითარების მიხედვით. ჩინგის-ყაენის დროს ომი სხვანაირად წარმოებდა, ვიდრე ნაპოლეონ III-ის დროს, XX საუკუნეში სხვანაირად წარმოებს, ვიდრე XIX საუკუნეში.

თანამედროვე პირობებში ომის წარმოების ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ, ომის ყველა ფორმას და ამ დარგში მეცნიერების ყველა მიღწევას რომ დაეუფლები, გონივრულად გამოიყენო, მოხერხებულად შეახამო ისინი ან თავის დროზე გამოიყენო ესა თუ ის ფორმა ვითარების მიხედვით.

ესევე უნდა ითქვას პოლიტიკურ დარგში ბრძოლის ფორმების შესახებ. პოლიტიკურ დარგში ბრძოლის ფორმები კიდევ უფრო სხვადასხვანაირია, ვიდრე ომის წარმოების ფორმები. ისინი იცვლებიან მეურნეობის, საზოგადოებრიობის, კულტურის განვითარების მიხედვით, კლასების მდგომარეობის, მებრძოლი ძალების თანაფარდობის, ხელისუფლების ხასიათის მიხედვით, ბოლოს, საერთაშორისო ურთიერთობის მიხედვით და სხვ. ბრძოლის არალეგალური ფორმა აბსოლუტიზმის დროს, დაკავშირებული მუშების ნაწილობრივ გაფიცვებთან და დემონსტრაციებთან; ბრძოლის

აშკარა ფორმა «ლეგალურ შესაძლებლობათა» დროს და მუშების მასობრივი პოლიტიკური გაფიცვები; ბრძოლის პარლამენტური ფორმა, ვთქვათ, სათათბიროს დროს და მასების პარლამენტგარეშე გამოსვლა, რაც ზოგჯერ შეიარაღებულ აჯანყებებამდე მიდის; ბოლოს, ბრძოლის სახელმწიფოებრივი ფორმები პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღების შემდეგ, როცა პროლეტარიატს შესაძლებლობა ეძლევა უზრუნველყოს თავისთვის მთელი სახელმწიფოებრივი საშუალებანი და ძალები, თვით არმიამდე, — ასეთია ზოგადად ბრძოლის ის ფორმები, რომლებიც პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკამ წამოაყენა.

პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაეუფლოს ბრძოლის ყველა ფორმას, გონივრულად შეახამოს ისინი ბრძოლის ველზე და მოხერხებულად გაამახვილოს ბრძოლა მის იმ ფორმებზე, რომლებიც არსებულ ვითარებაში განსაკუთრებით მიზანშეწონილი არიან.

6. ორგანიზაციის ფორმები

არმიების ორგანიზაციის ფორმები, ჯარების გვარეობა და სახე ჩვეულებრივ შეეფარდება ომის წარმოების ფორმებსა და ხერხებს. უკანასკნელთა შეცვლასთან ერთად იცვლებიან პირველნი. სამანევრო ომის დროს საქმეს ხშირად მასობრივი კავალერია წყვეტს. პოზიციური ომის დროს, პირიქით, კავალერია ან არავითარ როლს არ ასრულებს, ან მეორეხარისხოვან როლს ასრულებს: მძიმე არტილერია და ავიაცია, გაზი და ტანკები წყვეტენ ყველაფერს.

სამხედრო ხელოვნების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოს თავისთვის ყველა გვარეობის ჯარები, მიიყვანოს ისინი სრულყოფამდე და მოხერხებულად შეახამოს მათი მოქმედება.

ესევე შეიძლება ითქვას ორგანიზაციის ფორმებზე პოლიტიკურ დარგში. აქ, ისევე როგორც სამხედრო დარგში, ორგანიზაციის ფორმები ბრძოლის ფორმებს ეფარდება. პროფესიონალი რევოლუციონერების კონსპირაციული ორგანიზაციები აბსოლუტიზმის ეპოქაში; საგანმანათლებლო, პროფესიული, კოოპერაციული და პარლამენტური ორგანიზაციები (სათათბიროს ფრაქცია და სხვ.) სათათბიროს ეპოქაში; საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები, გლეხთა კომიტეტები, საგაფიცვო კომიტეტები, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, სამხედრო-რევოლუციური კომიტეტები და ფართო პროლეტარული პარტია, რომელიც აკავშირებს ორგანიზაციების ყველა ამ ფორმას მასობრივი გამოსვლებისა და აჯანყებების პერიოდში; ბოლოს, პროლეტარიატის ორგანიზაციის სახელმწიფოებრივი ფორმა მუშათა კლასის ხელში ძალაუფლების თავმოყრის პერიოდში, — ასეთია ზოგადად ორგანიზაციის ის ფორმები, რომლებსაც, გარკვეულ პირობებში, შეუძლია და უნდა ემყარებოდეს პროლეტარიატი ბურჟუაზიასთან ბრძოლაში.

პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაეუფლოს ორგანიზაციის ყველა ამ ფორმას, სრულყოფამდე მიიყვანოს ისინი და მოხერხებულად შეახამოს მათი შეშაობა ყოველ მოცემულ მომენტში.

7. ლოზუნგი. დირექტივა

მარჯვედ ფორმულირებულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ასახავენ ომისა თუ ცალკეული ბრძოლის მიზნებს და პოპულარული არიან ჯარებში, ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ფრონტზე, როგორც საშუალებას — აღაგზნონ არმია მოქმედებისათვის, გაამხნევონ იგი და სხვ. სათანადო ბრძანებებს, ლოზუნგებს ან მოწოდებებს ჯარებისადმი ომის მთელი მსვლელობისათვის ისეთივე დიდი

მნიშვნელობა აქვთ, როგორც პირველხარისხოვან მძიმე არტილერიას ან პირველხარისხოვან სწრაფმავალ ტანკებს.

კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვთ ლოზუნგებს პოლიტიკურ დარგში, სადაც საქმე გვაქვს ათობით და ასობით მილიონ მცხოვრებთან და მათს მრავალნაირ მოთხოვნებთან და საჭიროებებთან.

ლოზუნგი არის ბრძოლის უახლოესი თუ შორეული მიზნების მოკლე და მკაფიო ფორმულირება, მოცემული, ვთქვათ, პროლეტარიატის ხელმძღვანელი ჯგუფის, მისი პარტიის მიერ. ლოზუნგები სხვადასხვანაირია ბრძოლის იმ მიზნების მრავალგვარობის მიხედვით, რომლებიც მოიცავენ ან მთელ ისტორიულ პერიოდს, ან გარკვეული ისტორიული პერიოდის ცალკეულ სტადიებსა და ეპიზოდებს. ლოზუნგი «ძირს თვითმპყრობელობა», პირველად წამოყენებული «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის[53] მიერ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, იყო **პროპაგანდის** ლოზუნგი, ვინაიდან მას მიზნად ჰქონდა გადმოეყვანა პარტიის მხარეზე ყველაზე უფრო გამოწრთობილ და მტკიცე მებრძოლთა ერთეულები და ჯგუფები. რუსეთ-იაპონიის ომის პერიოდში, როცა თვითმპყრობელობის სისუსტე მუშათა კლასის ფართო მასებისათვის მეტად თუ ნაკლებად აშკარა გახდა, ეს ლოზუნგი **აგიტაციის** ლოზუნგად იქცა, ვინაიდან იგი უკვე მილიონობით მშრომელი მასის მიმხრობას ისახავდა მიზნად. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის წინაპერიოდში, როცა ცარიზმი საბოლოოდ გაკოტრდა მასების თვალში, ლოზუნგი «ძირს თვითმპყრობელობა» აგიტაციის ლოზუნგიდან უკვე **მოქმედების** ლოზუნგად გადაიქცა, ვინაიდან იგი ნავარაუდევი იყო იმისათვის, რომ მილიონიანი მასები დაგვეძრა ცარიზმზე იერიშის მისატანად. თებერვლის რევოლუციის დღეებში ეს ლოზუნგი გადაიქცა უკვე პარტიის **დირექტივად**, ე. ი. პირდაპირ მოწო-

დებად გარკვეულ ვადაში ცარიზმის სისტემის ამა თუ იმ დაწესებულების და ამა თუ იმ პუნქტის დაპყრობისაკენ, ვინაიდან საქმე ეხებოდა უკვე იმას, რომ დაგვემხო ცარიზმი, მოგვესპო იგი. დირექტივა არის პარტიის პირდაპირი მოწოდება მოქმედებისაკენ ამა და ამ დროს და ამა და ამ ადგილას, რომელიც სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისათვის და რომელსაც ჩვეულებრივ მიჰყვებიან მშრომელთა ფართო მასები, თუ მოწოდება სწორად და ზედმიწევნით აყალიბებს მასების მოთხოვნებს, თუ იგი მართლაც მომწიფებულია.

ლოზუნგების არევა დირექტივებში, ან აგიტაციის ლოზუნგის არევა მოქმედების ლოზუნგში, ისევე სახიფათოა, როგორც სახიფათოა, ხოლო ზოგჯერ დამღუპველიცაა ნაადრევი თუ დაგვიანებული გამოსვლები. 1917 წლის აპრილში ლოზუნგი «რთელი ძალაუფლება საბჭოებს» **აგიტაციის** ლოზუნგი იყო. ლოზუნგით «მთელი ძალაუფლება საბჭოებს» პიტერში 1917 წლის აპრილში მომხდარი ცნობილი დემონსტრაცია, რომელიც მაშინ გარშემოერტყა ზამთრის სასახლეს, იყო ცდა, ნაადრევი და ამიტომ დამღუპველი ცდა ამ ლოზუნგის გადაქცევისა **მოქმედების** ლოზუნგად [54]. ეს იყო აგიტაციის ლოზუნგის მოქმედების ლოზუნგში არევის მეტად საშიშარი ნიმუში. პარტია მართალი იყო, რომ მან დაგმო ამ დემონსტრაციის ინიციატორები, ვინაიდან მან იცოდა, რომ პირობები, რომლებიც აუცილებელი იყვნენ ამ ლოზუნგის გადაქცევისათვის მოქმედების ლოზუნგად, ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული, რომ პროლეტარიატის ნაადრევ გამოსვლას შეეძლო გამოეწვია მისი ძალების განადგურება.

მეორე მხრივ, არის ხოლმე შემთხვევები, როცა პარტიისათვის აუცილებელი ხდება «24 საათში» გააუქმოს ან შეცვალოს უკვე მიღებული და მომწიფებული ლოზუნგი

(ან დირექტივა), რათა დაიცვას თავისი რიგები მოწინააღმდეგის მიერ დაგებული ხაფანგისაგან ან დროებით გადადოს დირექტივის გატარება უფრო ხელსაყრელ მომენტამდე. ასეთი შემთხვევა იყო პეტროგრადში 1917 წლის ივნისში, როცა მუშათა და ჯარისკაცთა დემონსტრაცია, გულდასმით მომზადებული და 9 ივნისისათვის დანიშნული, «უეცრად» გადადო ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეცვლილი ვითარების გამო.

პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოხერხებულად და თავის დროზე აქციოს აგიტაციის ლოზუნგები მოქმედების ლოზუნგებად, ან მოქმედების ლოზუნგები — გარკვეულ კონკრეტულ დირექტივებად, ანდა, თუ ამას ვითარება მოითხოვს, გამოიჩინოს საჭირო მოქნილობა და გამბედაობა იმისათვის, რომ თავის დროზე ხელი აიღოს ამა თუ იმ, თუნდაც პოპულარული, თუნდაც მომწიფებული, ლოზუნგის გატარებაზე.

II

სტრატეგიული გეგმა

1. ისტორიული შემობრუნებანი. სტრატეგიული გეგმები

პარტიის სტრატეგია მუდმივს, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ რაიმეს არ წარმოადგენს. იგი იცვლება ისტორიულ შემობრუნებათა, ისტორიულ ძვრათა მიხედვით. ეს ცვლილებები იმით გამოიხატება, რომ ყოველი ცალკეული ისტორიული შემობრუნებისათვის შემუშავდება ცალკეული, მისი შესაფერისი, სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოქმედებს მთელი პერიოდის განმავლობაში — ერთი შემობრუნებიდან მეორემდე. სტრატეგიული გეგმა შეიცავს რევოლუციური ძალების ძირითადი დარტყმის მიმართულების განსაზღვრას და სოციალურ ფრონტზე მილიონიანი

მასების სათანადო განლაგების სქემას. ბუნებრივია, რომ სტრატეგიული გეგმა, გამოსადეგი ერთი ისტორიული პერიოდისათვის, რომელსაც თავისი თავისებურებანი აქვს, არ შეიძლება გამოდგეს სხვა ისტორიული პერიოდისათვის, რომელსაც სრულიად სხვა თავისებურებანი აქვს. თვითეულ ისტორიულ შემობრუნებას შეესაბამება მისთვის აუცილებელი და მის ამოცანებთან შეფარდებული სტრატეგიული გეგმა.

ესევე შეიძლება ითქვას სამხედრო საქმის შესახებაც. კოლჩაკთან ომისათვის შემუშავებული სტრატეგიული გეგმა არ შეიძლებოდა გამომდგარიყო დენიკინთან ომისათვის, რომელიც ახალ სტრატეგიულ გეგმას მოითხოვდა; ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, არ გამოდგებოდა, ვთქვათ, პოლონელებთან 1920 წლის ომისათვის, ვინაიდან როგორც ძირითად დარტყმათა მიმართულებანი, ისე ძირითად მებრძოლ ძალთა განლაგების სქემები არ შეიძლებოდა ამ სამივე შემთხვევაში სხვადასხვანაირი არ ყოფილიყო.

რუსეთის ახალმა ისტორიამ იცის სამი სხვადასხვა ისტორიული შემობრუნება, რომლებმაც სამი სხვადასხვა სტრატეგიული გეგმა წარმოშვეს ჩვენი პარტიის ისტორიაში. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ დავახასიათოთ ისინი იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ იცვლება საერთოდ პარტიის სტრატეგიული გეგმები ახალი ისტორიული ძვრების მიხედვით.

2. პირველი ისტორიული შემობრუნება და კურსი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციისაკენ რუსეთში

ეს შემობრუნება დაიწყო ცხრაასიანი წლების დასაწყისში, რუსეთ-იაპონიის ომის პერიოდში, როცა მეფის არმიების დამარცხებამ და რუსი მუშების გრანდიოზულმა პოლიტიკურმა გაფიცვებმა აამოძრავეს მოსახლეობის ყვე-

ლა კლასი და პოლიტიკური ბრძოლის სარბიელზე გამოიყვანეს ისინი. იგი, ეს შემობრუნება, დამთავრდა 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის დღეებში.

ორი სტრატეგიული გეგმა იბრძოდა ამ პერიოდში ჩვენს პარტიაში: მენშევიკების გეგმა (პლეხანოვი — მარტოვი, 1905 წ.) და ბოლშევიკების გეგმა (ამხ. ლენინი, 1905 წ.).

მენშევიკური სტრატეგია ცარიზმისათვის ძირითად დარტყმას გეგმავდა პროლეტარიატთან ლიბერალური ბურჟუაზიის კოალიციის ხაზით. იმაზე დაყრდნობით, რომ რევოლუცია მაშინ ბურჟუაზიულ რევოლუციად ითვლებოდა, ეს გეგმა ლიბერალურ ბურჟუაზიას აკუთვნებდა მოძრაობის ჰეგემონის (ბელადის) როლს, ხოლო პროლეტარიატს არგუნებდა «უკიდურესი მემარცხენე ოპოზიციის» როლს, ბურჟუაზიის «წამბიძგებლის» როლს, ამასთან გლეხობა, როგორც ერთ-ერთი ძირითადი რევოლუციური ძალა, გამორიცხული, ან თითქმის გამორიცხული იყო თვალთახედვის არედან. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ, რამდენადაც ეს გეგმა მოძრაობიდან გამორიცხავდა მრავალმილიონიან გლეხობას ისეთ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, იგი უიმედოდ უტოპიური იყო, ხოლო რამდენადაც იგი რევოლუციის ბედს ხელში უგდებდა ლიბერალურ ბურჟუაზიას (ბურჟუაზიის ჰეგემონია), იგი რეაქციული იყო, ვინაიდან ლიბერალური ბურჟუაზია დაინტერესებული არ იყო რევოლუციის სრული გამარჯვებით და ყოველთვის მზად იყო ცარიზმთან გარიგებით დაემთავრებინა საქმე.

ბოლშევიკური სტრატეგია (იხ. ამხ. **ლენინის** «ორი ტაქტიკა» [55]) ცარიზმისათვის რევოლუციის ძირითად დარტყმას გეგმავდა გლეხობასთან პროლეტარიატის კოალიციის ხაზით, ლიბერალური ბურჟუაზიის ნეიტრალიზაციის პირობებში. იმის გამო, რომ ლიბერალური ბურჟუაზია დაინტერესებული არ იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სრული გამარჯვებით, რომ იგი რევოლუციის

გამარჯვების ნაცვლად ამჯობინებდა ცარიზმთან გარიგებას მუშებისა და გლეხების ხარჯზე, ეს გეგმა პროლეტარიატს, როგორც რუსეთში ერთადერთ ბოლომდე რევოლუციურ კლასს, აკუთვნებდა რევოლუციური მოძრაობის ჰეგემონის როლს. ეს გეგმა შესანიშნავია არა მარტო იმ მხრივ, რომ იგი სწორად ითვალისწინებდა რევოლუციის მამოძრავებელ ძალებს, არამედ იმ მხრივაც, რომ იგი ჩანასახში შეიცავდა პროლეტარიატის დიქტატურის იდეას (პროლეტარიატის ჰეგემონია), გენიალურად წინასწარჭვრეტდა რევოლუციის შემდგომ, უმაღლეს ფაზას რუსეთში და აადვილებდა მასზე გადასვლას.

რევოლუციის შემდგომმა განვითარებამ თვით 1917 წლის თებერვლამდე მთლიანად დაადასტურა ამ სტრატეგიული გეგმის სისწორე.

3. მეორე ისტორიული შემობრუნება და კურსი პროლეტარიატის დიქტატურისაკენ რუსეთში

მეორე შემობრუნება დაიწყო 1917 წლის თებერვლის რევოლუციიდან, ცარიზმის დამხობის შემდეგ, როცა იმპერიალისტურმა ომმა გამოააშკარავა კაპიტალიზმის მომაკვდინებელი წყლულები მთელ მსოფლიოში; როცა ლიბერალური ბურჟუაზია, რომელსაც უნარი არ შესწევდა ხელთ აეღო ქვეყნის ფაქტიური მართვა, იძულებული იყო დასჯერებოდა ფორმალური ძალაუფლების შენარჩუნებას (დროებითი მთავრობა); როცა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს, რომლებმაც ფაქტიური ძალაუფლება მიიღეს, არც გამოცდილება ჰქონდათ და არც ნებისყოფა — სათანადოდ გამოეყენებინათ იგი; როცა ჯარისკაცები ფრონტზე, მუშები და გლეხები ზურგში იტანჯებოდნენ ომის სიმძიმისა და სამეურნეო ნგრევის გამო; როცა «ორხელისუფლებიანობისა» და «საკონტაქტო კომისიის» [56]

რეჟიმი, რომელსაც ღრღნიდნენ შინაგანი წინააღმდეგობანი და არც ომისა და არც ზავის უნარი არ შესწევდა, არა თუ ვერ პოულობდა «ჩიხიდან გამოსავალს», არამედ კიდევ უფრო რევდა მდგომარეობას. დამთავრდა იგი, ეს პერიოდი, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციით.

ორი სტრატეგიული გეგმა იბრძოდა ამ პერიოდში საბჭოების შიგნით: მენშევიკურ-ესერული გეგმა და ბოლშევიკური გეგმა.

მენშევიკურ-ესერული სტრატეგია, რომელიც პირველ-ხანად საბჭოებსა და დროებით მთავრობას შუა, რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შუა ჭანაობდა, საბოლოოდ ჩამოყალიბდა დემოკრატიული თათბირის გახსნის მომენტისათვის (1917 წლის სექტემბერი). იგი შენდებოდა იმ ხაზით, რომ საბჭოები თანდათან, მაგრამ განუხრელად ჩამოეშორებინათ ხელისუფლებისაგან და ქვეყანაში მთელი ძალაუფლებისათვის თავი მოეყარათ «წინაპარლამენტის» ხელში, რომელიც მომავალი ბურჟუაზიული პარლამენტის პირველსახე იყო. ომისა და ზავის საკითხებს, აგრარულ და მუშათა საკითხებს, ისევე როგორც ნაციონალურ საკითხს, სდებდნენ დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, რომელსაც, თავის მხრივ, სდებდნენ განუსაზღვრელი დროისათვის. «მთელი ძალაუფლება დამფუძნებელ კრებას», — ასე ჩამოაყალიბეს ესერ-მენშევიკებმა თავისი სტრატეგიული გეგმა. ეს იყო ბურჟუაზიული დიქტატურის, მართალია, შელამაზებული და დავარცხნილი, «სავსებით დემოკრატიული», მაგრამ მაინც ბურჟუაზიული დიქტატურის მომზადების გეგმა.

ბოლშევიკური სტრატეგია (იხ. ამხ. **ლენინის** «თეზისები», გამოქვეყნებული 1917 წლის აპრილში [57]) ძირითად დარტყმას გეგმავდა პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის შეერთებული ძალებით ბურჟუაზიული ხელისუფლე-

ბის ლიკვიდაციის ხაზით, საბჭოების რესპუბლიკის სახით პროლეტარიატის დიქტატურის ორგანიზების ხაზით. იმპერიალიზმთან კავშირის გაწყვეტა და ომიდან გამოსვლა; ყოფილი რუსეთის იმპერიის ჩაგრულ ეროვნებათა განთავისუფლება; მემამულეთა და კაპიტალისტთა ექსპროპრიაცია; სოციალისტური მეურნეობის მოწყობისათვის პირობების მომზადება, — ასეთია ბოლშევიკების სტრატეგიული გეგმის ელემენტები ამ პერიოდში. «მთელი ძალაუფლება საბჭოებს» — ასე ჩამოაყალიბეს მაშინ ბოლშევიკებმა თავისი სტრატეგიული გეგმა. იგი საგულისხმოა არა მარტო იმ მხრივ, რომ სწორად ითვალისწინებდა რუსეთის ახალი, პროლეტარული რევოლუციის მამოძრავებელ ძალებს, არამედ იმ მხრივაც, რომ აადვილებდა და აჩქარებდა დასავლეთში რევოლუციური მოძრაობის გაჩაღების საქმეს.

მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ თვით ოქტომბრის გადატრიალებამდე სავსებით დაადასტურა ამ სტრატეგიული გეგმის სისწორე.

4. მესამე ისტორიული შემობრუნება და კურსი პროლეტარული რევოლუციისაკენ ევროპაში

მესამე შემობრუნება დაიწყო ოქტომბრის გადატრიალებიდან, როცა დასავლეთის ორი იმპერიალისტური ჯგუფის სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია; როცა რევოლუციური კრიზისი დასავლეთში აშკარად იზრდებოდა; როცა გაკოტრებული და წინააღმდეგობებში გახლართული ბურჟუაზიული ხელისუფლება რუსეთში პროლეტარული რევოლუციის დარტყმის შედეგად დაეცა; როცა გამარჯვებულმა პროლეტარულმა რევოლუციამ, რომელმაც კავშირი გაწყვიტა იმპერიალიზმთან და ომს თავი დააღწია, მოსისხლე მტრები პოვა დასავ-

ლეთის იმპერიალისტური კოალიციების სახით; როცა ახალი საბჭოთა მთავრობის აქტებმა ზავისა, მემამულეთა მიწების კონფისკაციისა, კაპიტალისტების ექსპროპრიაციისა და ჩაგრულ ეროვნებათა განთავისუფლების შესახებ მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელთა ნდობა მოუპოვეს მას. ეს იყო შემობრუნება საერთაშორისო მასშტაბით, ვინაიდან კაპიტალის საერთაშორისო ფრონტი პირველად იქნა გარღვეული, პრაქტიკულ ნიადაგზე პირველად იქნა დაყენებული კაპიტალიზმის დამხობის საკითხი. ამით ოქტომბრის რევოლუცია ნაციონალური, რუსული ძალიდან გადაქცეულ იქნა საერთაშორისო ძალად, ხოლო რუსი მუშები საერთაშორისო პროლეტარიატის ჩამორჩენილი რაზმიდან — მის ავანგარდად, რომელიც თავისი თავდადებული ბრძოლით აღვიძებს დასავლეთის მუშებს და აღმოსავლეთის ჩაგრულ ქვეყნებს. ამ შემობრუნებას ჯერ კიდევ არ მიუღწევია თავის საბოლოო განვითარებამდე, ვინაიდან იგი ჯერ კიდევ არ გაშლილა საერთაშორისო მასშტაბით, მაგრამ მისი შინაარსი და საერთო მიმართულება უკვე საკმაო სიცხადით გამოირკვა.

ორი სტრატეგიული გეგმა იბრძოდა მაშინ რუსეთის პოლიტიკურ წრეებში: კონტრრევოლუციონერების გეგმა, რომლებმაც თავიანთ ორგანიზაციებში ჩააბეს მენშევიკებისა და ესერების აქტიური ნაწილი, და ბოლშევიკების გეგმა.

კონტრრევოლუციონერებსა და აქტიურ ესერ-მენშევიკებს გეზი იქით ჰქონდათ აღებული, რომ ერთ ბანაკად გაეერთიანებინათ ყველა უკმაყოფილო ელემენტი: ზურგისა და ფრონტის ძველი ოფიცრობა, განაპირა მხარეების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობანი, რევოლუციის მიერ ექსპროპრიირებული კაპიტალისტები და მემამულეები, ანტანტის აგენტები, რომლებიც ინტერვენციას

ამზადებდნენ, და სხვ. მათ კურსი იქით ჰქონდათ აღებული, რომ დაემხოთ საბჭოთა მთავრობა აჯანყებათა ან უცხოეთის ინტერვენციის გზით და აღედგინათ კაპიტალისტური წესწყობილება რუსეთში.

ბოლშევიკებს, პირიქით, გეზი იქით ჰქონდათ აღებული, რომ შიგნით, რუსეთში, განემტკიცებინათ პროლეტარიატის დიქტატურა და გაეფართოებინათ პროლეტარული რევოლუციის მოქმედების სფერო მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იმ გზით, რომ გაეერთიანებინათ რუსეთის პროლეტართა ღონისძიებანი ევროპის პროლეტართა და აღმოსავლეთის ჩაგრულ ქვეყანათა ღონისძიებებთან მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. უაღრესად შესანიშნავია ამ სტრატეგიული გეგმის ზუსტი და მოკლე ფორმულირება, მოცემული ამხ. ლენინის მიერ მის ბროშურაში «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი»: **«გავატაროთ იმის მაქსიმუმი, რის განხორციელებაც ერთ** (თავის. — **ი. სტ.) ქვეყანაშია შესაძლებელი, ყველა ქვეყანაში რევოლუციის განვითარების, მხარდაჭერის, გაღვივების მიზნით».** ამ სტრატეგიული გეგმის ღირებულება მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ იგი სწორად ითვალისწინებდა მსოფლიო რევოლუციის მამოძრავებელ ძალებს, არამედ იმაშიც, რომ იგი წინასწარჭვრეტდა და აადვილებდა შემდეგ დაწყებულ პროცესს — პროცესს საბჭოთა რუსეთის გადაქცევისას მთელი მსოფლიოს რევოლუციური მოძრაობის ყურადღების ცენტრად, დასავლეთის მუშებისა და აღმოსავლეთის კოლონიების განთავისუფლების დროშად.

რევოლუციის შემდგომმა განვითარებამ მთელ მსოფლიოში, ისევე როგორც საბჭოთა ხელისუფლების ხუთი წლის არსებობამ რუსეთში, სავსებით დაადასტურეს ამ სტრატეგიული გეგმის სისწორე. იმგვარი ფაქტები, როგორიცაა ის, რომ კონტრრევოლუციონერები და ესერ-

მენშევიკები, რომლებმაც რამდენჯერმე სცადეს დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება, ახლა ემიგრაციაში სხედან, ხოლო საბჭოთა ხელისუფლება და საერთაშორისო პროლეტარული ორგანიზაცია მსოფლიო პროლეტარიატის პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს იარაღად იქცევიან, — ეს ფაქტები აშკარად მეტყველებენ ბოლშევიკების სტრატეგიული გეგმის სასარგებლოდ.

«პრავდა» № 56,
1923 წ. 14 მარტი.
ხელმოწერა: ი. სტალინი.

ნაციონალური მოძენტები პარტიულ და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში

თეზისები
რკპ(ბ) XII ყრილობისათვის, მოწონებული პარტიის
ცენტრალური კომიტეტის მიერ 58

I

1. კაპიტალიზმის განვითარებამ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გამოააშკარავა წარმოებისა და გაცვლის წესების ინტერნაციონალიზაციის, ნაციონალური კარჩაკეტილობის მოსპობის, ხალხთა მეურნეობრივად დაახლოებისა და უზარმაზარი ტერიტორიების თანდათანობით ერთ შეკავშირებულ მთელად გაერთიანების ტენდენცია. კაპიტალიზმის შემდგომმა განვითარებამ, მსოფლიო ბაზრის განვითარებამ, დიდი საზღვაო გზებისა და რკინიგზების მოწყობამ, კაპიტალის გატანამ და სხვ. კიდევ უფრო გააძლიერეს ეს ტენდენცია, შეაკავშირეს რა სულ სხვადასხვაგვარი ხალხები შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და ყოველმხრივი ურთიერთდამოკიდებულების ძაფებით. რამდენადაც ეს პროცესი ასახავდა საწარმოო ძალების კოლოსალურ განვითარებას, რამდენადაც იგი აადვილებდა ნაციონალური

განკერძოებულობისა და სხვადასხვა ხალხთა ინტერესების დაპირისპირების მოსპობას, იგი იყო და რჩება პროგრესულ პროცესად, ვინაიდან იგი მომავალი მსოფლიო სოციალისტური მეურნეობის მატერიალურ წანამძღვრებს ამზადებს.

2. მაგრამ ეს ტენდენცია ვითარდებოდა თავისებური ფორმებით, რომლებიც სრულებით არ შეესაბამებოდნენ მის შინაგან ისტორიულ აზრს. ხალხთა ურთიერთდამოკიდებულება და ტერიტორიების სამეურნეო გაერთიანება მყარდებოდა კაპიტალიზმის განვითარების მსვლელობაში არა ხალხთა, როგორც თანასწორუფლებიან ერთეულთა, თანამშრომლობის გზით, არამედ ზოგი ხალხის მიერ სხვათა დამორჩილების წესით, უფრო განვითარებული ხალხების მიერ ნაკლებ განვითარებულ ხალხთა ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წესით. კოლონიური ძარცვა და დაპყრობა, ნაციონალური ჩაგვრა და უთანასწორობა, იმპერიალისტური თვითნებობა და ძალმომრეობა, კოლონიური მონობა და ნაციონალური უუფლებობა, ბოლოს, «ცივილიზებული» ერების ურთიერთშორის ბრძოლა «არაცივილიზებულ» ხალხებზე ბატონობისათვის, — ასეთია ის ფორმები, რომელთა ფარგლებშიც მიმდინარეობდა ხალხთა სამეურნეო დაახლოების პროცესი. ამიტომ გაერთიანების ტენდენციასთან ერთად იზრდებოდა ამ გაერთიანების ძალმომრეობითი ფორმების მოსპობის ტენდენცია, იზრდებოდა ბრძოლა იმპერიალისტური ჩაგვრისაგან ჩაგრული კოლონიების და დამოკიდებულ ეროვნებათა განთავისუფლებისათვის. რამდენადაც ეს მეორე ტენდენცია ნიშნავდა ჩაგრული მასების აღშფოთებას გაერთიანების იმპერიალისტური ფორმების წინააღმდეგ, რამდენადაც იგი მოითხოვდა ხალხთა გაერთიანებას თანამშრომლობისა და ნებაყოფლობითი კავშირის საფუძველზე, — ამდენად იგი იყო და რჩება პროგრესულ ტენდენციად, ვინაიდან იგი მომავალი

მსოფლიო სოციალისტური მეურნეობის სულიერ წანამძღვრებს ამზადებს.

3. კაპიტალიზმის დამახასიათებელ ფორმებში გამოხატული ამ ორი ძირითადი ტენდენციის ბრძოლით არის აღსავსე მრავალეროვან ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა უკანასკნელი ნახევარი საუკუნის ისტორია. ამ ტენდენციებს შორის არსებული შეურიგებელი წინააღმდეგობა კაპიტალისტური განვითარების ფარგლებში საფუძვლად დაედო ბურჟუაზიული კოლონიური სახელმწიფოების შინაგან უმწეობასა და ორგანულ უმყარობას. გარდუვალი კონფლიქტები ასეთი სახელმწიფოების შიგნით და გარდუვალი ომები ასეთ სახელმწიფოთა შორის; ძველი კოლონიური სახელმწიფოების დაშლა და ახლების წარმოშობა; ახალი სწრაფვა კოლონიების დაპყრობისაკენ და მრავალეროვან სახელმწიფოთა ახალი დაშლა, რაც იწვევს მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ხელახლა შეცვლას, — ასეთია ამ ძირითადი წინააღმდეგობის შედეგები. ძველი რუსეთის, ავსტრია-უნგრეთისა და თურქეთის დაშლა, ერთი მხრივ, ისეთი კოლონიური სახელმწიფოების ისტორია, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი და ძველი გერმანია, — მეორე მხრივ; ბოლოს, «დიდი» იმპერიალისტური ომი და კოლონიურ და არასრულუფლებიან ხალხთა რევოლუციური მოძრაობის ზრდა, — ყველა ეს და ამგვარი ფაქტები აშკარად მეტყველებენ, რომ მრავალეროვანი ბურჟუაზიული სახელმწიფოები მოკლებული არიან სიმყარესა და სიმტკიცეს.

ამრიგად, შეურიგებელმა წინააღმდეგობამ ხალხთა სამეურნეო გაერთიანების პროცესსა და ამ გაერთიანების იმპერიალისტურ წესებს შორის განსაზღვრა ბურჟუაზიის უუნარობა, უმწეობა, უძლურება — მონახოს სწორი მიდგომა ნაციონალური საკითხის გადაწყვეტისადმი.

4. ჩვენი პარტია ითვალისწინებს ამ გარემოებებს და ამიტომ მან თავის პოლიტიკას ნაციონალურ საკითხში საფუძვლად დაუდო ერთა თვითგამორკვევის უფლება, ხალხთა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლება. ჯერ კიდევ თავისი არსებობის პირველ დღეებში, თავის პირველ ყრილობაზე (1898 წელს), როდესაც კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს ნაციონალური საკითხის ხაზით კიდევ ვერ მოესწროთ ამომწურავი სიცხადით გამოსახულიყვნენ, პარტიამ აღიარა ეროვნებათა ეს უცილობელი უფლება. შემდეგში იგი განუხრელად ადასტურებდა თავის ნაციონალურ პროგრამას სპეციალურ დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებში თავის ყრილობებსა და კონფერენციებზე თვით ოქტომბრის გადატრიალებამდე. იმპერიალისტური ომი და მასთან დაკავშირებული მძლავრი რევოლუციური მოძრაობა კოლონიებში იყო მხოლოდ ახალი დადასტურება პარტიის გადაწყვეტილებებისა ნაციონალურ საკითხზე. ამ გადაწყვეტილებათა აზრს შეადგენს:

ა) ეროვნებათა მიმართ იძულების ყველა და ყოველგვარი ფორმების გადაჭრით უარყოფა;

ბ) თავიანთი ბედის მოწყობის საქმეში ხალხთა თანასწორობისა და სუვერენობის აღიარება;

გ) იმ დებულების აღიარება, რომ ხალხთა მტკიცე გაერთიანება შეიძლება გატარდეს მხოლოდ თანამშრომლობისა და ნებაყოფლობის საწყისებზე;

დ) იმ ჰეშმარიტების აღიარება, რომ ასეთი გაერთიანების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალის ძალაუფლების დამხობის შედეგად.

ამ განმათავისუფლებელ ნაციონალურ პროგრამას ჩვენი პარტია დაუღალავად უპირისპირებდა თავის მუშაობაში როგორც ცარიზმის აშკარად ჩაგვრითს პოლიტიკას, ისე მენშევიკებისა და ესერების ორჭოფულ, ნახევრადიმპერიალისტურ პოლიტიკას. თუ ცარიზმის რუსიფიკატორულმა

პოლიტიკამ შექმნა უფსკრული ცარიზმსა და ძველი რუსეთის ეროვნებათა შორის, ხოლო მენშევიკებისა და ესერების ნახევრადმენშევიკურმა პოლიტიკამ გამოიწვია ამ ეროვნებათა საუკეთესო ელემენტების განდგომა კერენშჩინისაგან, სამაგიეროდ ჩვენი პარტიის განმათავისუფლებელმა პოლიტიკამ მოუპოვა მას ამ ეროვნებათა ფართო მასების თანაგრძნობა და მხარდაჭერა მათს ბრძოლაში ცარიზმისა და იმპერიალისტური რუსი ბურჟუაზიის წინააღმდეგ. არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ ეს თანაგრძნობა და ეს მხარდაჭერა გახდა ერთი იმ გადამწყვეტ მომენტთაგანი, რომელთაც განსაზღვრეს ჩვენი პარტიის გამარჯვება ოქტომბრის დღეებში.

5. ოქტომბრის რევოლუციამ პრაქტიკულად შეაჯამა ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებანი ნაციონალურ საკითხში. ოქტომბრის რევოლუციამ, მემამულეებისა და კაპიტალისტების — ნაციონალური ჩაგვრის ამ ძირითადი მატარებლების — ძალაუფლება რომ დაამხო და ხელისუფლების სათავეში პროლეტარიატი რომ დააყენა, ერთი დაკვრით დაამსხვრია ნაციონალური ჩაგვრის ბორკილები, გადაატრიალა ძველი ურთიერთობა ხალხთა შორის, ძირი გამოუთხარა ძველ ნაციონალურ მტრობას, ნიადაგი გაუწმინდა ხალხთა თანამშრომლობას და მოუპოვა რუს პროლეტარიატს მისი სხვატომელი ძმების ნდობა არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპასა და აზიაშიც. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ასეთი ნდობა რომ არ ყოფილიყო, ისე რუსი პროლეტარიატი ვერ შეძლებდა კოლჩაკისა და დენიკინის, იუდენიჩისა და ვრანგელის დამარცხებას. მეორე მხრივ, უეჭველია, რომ ჩაგრული ეროვნებანი ვერ მიაღწევდნენ თავიანთ განთავისუფლებას, რუსეთის ცენტრში პროლეტარიატის დიქტატურა რომ არ დამყარებულიყო. ნაციონალური მტრობა და ნაციონალური შეხლა-

შემოხლა გარდუვალია, თავიდან აუცდენელია, ვიდრე ხელისუფლების სათავეში კაპიტალი დგას, ვიდრე ყოფილი «მპყრობელი» ერის წვრილი ბურჟუაზია და, უწინარეს ყოვლისა, გლეხობა, რომელნიც გაჟღენთილი არიან ნაციონალისტური ცრურწმენებით, კაპიტალისტებს მიჰყვებიან; და, პირიქით, ნაციონალური მშვიდობიანობა და ნაციონალური თავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილად ჩავთვალოთ, თუ გლეხობა და სხვა წვრილბურჟუაზიული ფენები პროლეტარიატს მიჰყვებიან, ე. ი. თუ უზრუნველყოფილია პროლეტარიატის დიქტატურა. ამიტომ საბჭოების გამარჯვება და პროლეტარიატის დიქტატურის დამკვიდრება წარმოადგენენ იმ ბაზას, იმ საძირკველს, რომელზეც შეიძლება აშენდეს ხალხთა ძმური თანამშრომლობა ერთიან სახელმწიფოებრივ კავშირში.

6. მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის შედეგები არ ამოიწურება ნაციონალური ჩაგვრის მოსპობით, ხალხთა გაერთიანებისათვის ნიადაგის შექმნით. თავისი განვითარების მსვლელობაში ოქტომბრის რევოლუციამ შეიმუშავა აგრეთვე ამ გაერთიანების ფორმები, დასახა ძირითადი ხაზები, რომლებითაც უნდა აიგოს ხალხთა გაერთიანება ერთ საკავშირო სახელმწიფოდ. რევოლუციის პირველ პერიოდში, როდესაც ეროვნებათა მშრომელმა მასებმა პირველად იგრძნეს თავი დამოუკიდებელ ნაციონალურ სიდიდეებად, ხოლო უცხოეთის ინტერვენციის მუქარა ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა რეალურ საფრთხეს, — ხალხთა თანამშრომლობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა სავსებით განსაზღვრული, ზუსტად დადგენილი ფორმა. სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის პერიოდში, როდესაც ნაციონალური რესპუბლიკების სამხედრო თავდაცვის ინტერესები პირველ რიგში დადგა, ხოლო სამეურნეო მშენებლობის საკითხები ჯერ კიდევ არ ყოფილა დღის წესრიგში დასმული, — თანამშრომლობამ სამხედრო კავშირის ფორმა მიიღო. ბოლოს,

ომისშემდგომ პერიოდში, როდესაც ომით დანგრეული საწარმოო ძალების აღდგენის საკითხები პირველ რიგში დადგა, — სამხედრო კავშირს სამეურნეო კავშირი დაემატა. ნაციონალური რესპუბლიკების გაერთიანება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად არის თანამშრომლობის ფორმების განვითარების დასკვნითი ეტაპი, რომელმაც ამჯერად მიიღო ხასიათი ხალხთა სამხედრო-სამეურნეო და პოლიტიკური გაერთიანებისა ერთიან მრავალეროვან საბჭოთა სახელმწიფოდ.

ამრიგად, პროლეტარიატმა საბჭოთა წყობილებაში პოვა ნაციონალური საკითხის სწორად გადაჭრის გასაღები, მან აღმოაჩინა ამ წყობილებაში ნაციონალური თანასწორუფლებიანობისა და ნებაყოფლობის საფუძველზე მყარი მრავალეროვანი სახელმწიფოს მოწყობის გზა.

7. მაგრამ ნაციონალური საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის გასაღების პოვნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის სავსებით და საბოლოოდ გადაჭრას, ამ გადაწყვეტის ამოწურვას მისი კონკრეტულ-პრაქტიკული განხორციელების მხრივ. იმისათვის, რომ ოქტომბრის რევოლუციის მიერ წამოყენებული ნაციონალური პროგრამა სწორად განვახორციელოთ, საჭიროა კიდევ იმ დაბრკოლებათა გადალახვა, რომლებიც ჩვენ მემკვიდრეობად გადმოგვცა ნაციონალური ჩაგვრის განვლილმა პერიოდმა და რომლებიც არ შეიძლება გადალახულ იქნას მოკლე ხანში, ერთი დაკვრით.

ეს მემკვიდრეობა მდგომარეობს, ჯერ ერთი, დიდმპყრობელური შოვინიზმის გადმონაშთებში, რომელიც ველიკოროსების ყოფილი პრივილეგიური მდგომარეობის ანარეკლს წარმოადგენს. ეს გადმონაშთები ჯერ კიდევ ცოცხლობენ ჩვენი ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოთა მუშაკების თავში, ისინი დაბუდებული არიან ჩვენს ცენტრალურ და ადგილობრივ სახელმწიფო დაწესებულებებში, ისინი მაშველ ძალას იღებენ «ახალ» «სმენავე-

ხურ» [59] ველიკოროსულ-შოვინისტურ შეხედულებათა სახით, რომლებიც სულ უფრო და უფრო ძლიერდებიან ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით. პრაქტიკულად ეს გადმონაშთები გამოიხატებიან რუსი საბჭოთა მოხელეების ამპარტავნულ-ათვალწუნებითს და უსულგულობიუროკრატიულ დამოკიდებულებაში ნაციონალური რესპუბლიკების საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი. მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო შეიძლება გახდეს ნამდვილად მტკიცე, ხალხთა თანამშრომლობა კი მასში — ნამდვილად ძმური მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გადმონაშთები გადაჭრით და საბოლოოდ აღმოიფხვრება ჩვენი სახელმწიფო დაწესებულებების პრაქტიკაში. ამიტომ გადამწყვეტი ბრძოლა ველიკოროსული შოვინიზმის გადმონაშთებთან ჩვენი პარტიის პირველი მორიგი ამოცანაა.

მეორეც, ეს მემკვიდრეობა მდგომარეობს რესპუბლიკების კავშირის ეროვნებათა ფაქტიურ, ე. ი. სამეურნეო და კულტურულ უთანასწორობაში. ოქტომბრის რევოლუციით მოპოვებული უფლებრივი ნაციონალური თანასწორობა ხალხთა დიად მონაპოვარს წარმოადგენს, მაგრამ იგი თავისთავად ვერ წყვეტს მთელ ნაციონალურ საკითხს. მთელ რიგ რესპუბლიკებსა და ხალხებს, რომლებსაც კაპიტალიზმი არ გაუვლიათ ან თითქმის არ გაუვლიათ, რომლებსაც თავიანთი პროლეტარიატი არა ჰყავთ ან თითქმის არა ჰყავთ და რომელნიც ამის გამო სამეურნეო და კულტურული მხრივ ჩამორჩნენ, — არ ძალუძთ მთლიანად გამოიყენონ ის უფლებანი და შესაძლებლობანი, რასაც მათ ანიჭებს ნაციონალური თანასწორუფლებიანობა, არ ძალუძთ ავიდნენ განვითარების უმაღლეს საფეხურზე და, ამრიგად, დაეწიონ წინწასულ ეროვნებებს, თუ მათ გარედან ნამდვილი და ხანგრძლივი დახმარება არ მიიღეს. ამ ფაქტიური უთანასწორობის მიზეზები ჩაქსოვილია არა მარტო ამ ხალხთა ისტორიაში, არამედ ცარიზმისა და რუსი ბურჟუა-

ზიის პოლიტიკაშიც, რომელნიც ისწრაფვოდნენ გადაექციათ განაპირა მხარეები მხოლოდ სანედლეულო რაიონებად, რომელთა ექსპლოატაციას მრეწველობის მხრივ განვითარებული ცენტრალური რაიონები გასწევდნენ. ამ უთანასწორობის გადალახვა მოკლე ხანში, ამ მემკვიდრეობის მოსპობა ერთ-ორ წელიწადში შეუძლებელია. უკვე ჩვენი პარტიის X ყრილობამ აღნიშნა რომ «ფაქტიური ნაციონალური უთანასწორობის მოსპობა არის ხანგრძლივი პროცესი, რომელიც მოითხოვს შეუპოვარ და მტკიცე ბრძოლას ნაციონალური ჩაგვრისა და კოლონიური მონობის ყველა გადმონაშთთან» [60]. მაგრამ იგი აუცილებლად უნდა გადავლახოთ. და მისი გადალახვა შეიძლება მხოლოდ იმ გზით, რომ რუსი პროლეტარიატი ნამდვილად და ხანგრძლივად დაეხმაროს კავშირის ჩამორჩენილ ხალხებს მათი სამეურნეო და კულტურული წარმატების საქმეში. უამისოდ საფუძველი არა გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ ხალხთა სწორი და მტკიცე თანამშრომლობა მოწესრიგდება ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს ფარგლებში. ამიტომ ბრძოლა ეროვნებათა ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაციისათვის, ბრძოლა ჩამორჩენილ ხალხთა კულტურული და სამეურნეო დონის ამაღლებისათვის ჩვენი პარტიის მეორე მორიგი ამოცანაა.

ბოლოს, ეს მემკვიდრეობა მდგომარეობს ნაციონალიზმის გადმონაშთებში მთელ რიგ ხალხთა შორის, რომელთაც გადაიტანეს ნაციონალური ჩაგვრის მძიმე უღელი და რომელნიც ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლებულან ძველ ნაციონალურ შეურაცხყოფათა გრძნობისაგან. ამ გადმონაშთების პრაქტიკულ გამოხატულებას წარმოადგენს წინათ ჩაგრულ ხალხთა ერთგვარი ნაციონალური განკერძოება და რუსებისაგან მომდინარე ღონისძიებებისადმი სრული ნდობის უქონლობა. მაგრამ ზოგიერთ რესპუბლიკაში, რომელთაც თავიანთ შემადგენლობაში რამდენიმე ეროვნება ჰყავთ,

ეს თავდაცვითი ნაციონალიზმი ხშირად იქცევა შეტევით ნაციონალიზმად, უფრო ძლიერი ეროვნების წმინდა წყლის შოვინიზმად, რომელიც მიმართულია ამ რესპუბლიკების სუსტ ეროვნებათა წინააღმდეგ. ქართული შოვინიზმი (საქართველოში), მიმართული სომხების, ოსების, აჭარლებისა და აფხაზების წინააღმდეგ; აზერბაიჯანული შოვინიზმი (აზერბაიჯანში), მიმართული სომხების წინააღმდეგ; უზბეკური შოვინიზმი (ბუხარასა და ხორეზმში), მიმართული თურქმენებისა და ყირგიზების წინააღმდეგ, — ყველა ამ სახის შოვინიზმი, რასაც ამასთანავე ხელს უწყობენ ახალი ეკონომიური პოლიტიკისა და კონკურენციის პირობები, წარმოადგენს უდიდეს ბოროტებას, რომელიც ზოგიერთ ნაციონალურ რესპუბლიკას ჩხუბისა და კინკლაობის ასპარეზად გადაქცევას უქადის. რაღა თქმა უნდა, ყველა ეს მოვლენა აფერხებს ხალხთა ფაქტიურ გაერთიანებას ერთიან სახელმწიფო კავშირად. რამდენადაც ნაციონალიზმის გადმონაშთები წარმოადგენენ ველიკოროსული შოვინიზმის წინააღმდეგ თავდაცვის თავისებურ ფორმას, — გადამწყვეტი ბრძოლა ველიკოროსულ შოვინიზმთან არის ყველაზე უტყუარი საშუალება ნაციონალისტური გადმონაშთების დასაძლევად. ხოლო რამდენადაც ეს გადმონაშთები იქცევა ადგილობრივ შოვინიზმად, რომელიც მიმართულია ცალკეულ რესპუბლიკებში სუსტი ნაციონალური ჯგუფების წინააღმდეგ, — პირდაპირი ბრძოლა მათთან პარტიის წევრების მოვალეობას შეადგენს. ამიტომ ბრძოლა ნაციონალისტურ გადმონაშთებთან და, უწინარეს ყოვლისა, ამ გადმონაშთების შოვინისტურ ფორმებთან ჩვენი პარტიის მესამე მორიგი ამოცანაა.

8. ძველის მემკვიდრეობის ერთ-ერთ მკაფიო გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ცენტრში და ადგილობრივ მომუშავე საბჭოთა მოხელეების თვალსაჩინო ნაწილი რესპუბლიკების კავშირს უყურებს არა როგორც

თანასწორუფლებიან სახელმწიფოებრივ ერთეულთა კავშირს, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ნაციონალური რესპუბლიკების თავისუფალი განვითარება, არამედ როგორც ნაბიჯს ამ რესპუბლიკების ლიკვიდაციისაკენ, როგორც ეგრეთწოდებული «ერთიანი-განუყოფელის» შექმნის დასაწყისს. ყრილობა გმობს ასეთ გაგებას, როგორც ანტიპროლეტარულს და რეაქციულს, და მოუწოდებს პარტიის წევრებს ფხიზლად ადევნონ თვალყური იმას, რომ რესპუბლიკების გაერთიანება და კომისარიატების შეერთება შოვინისტურად განწყობილმა საბჭოთა მოხელეებმა არ გამოიყენონ საფარველად თავიანთი ცდებისა — უგულებელყონ ნაციონალური რესპუბლიკების სამეურნეო და კულტურული საჭიროებანი. კომისარიატების შეერთება საბჭოთა აპარატის გამოცდაა: თუ ეს ცდა პრაქტიკაში დიდმპყრობელურ მიმართულებას მიიღებდა, პარტია იძულებული გახდებოდა ეხმარა ასეთი დამახინჯების წინააღმდეგ ყველაზე გადამწყვეტი ღონისძიებანი, იქამდეც კი, რომ დაესვა საკითხი ზოგიერთი კომისარიატის შეერთების გადასინჯვისა, ვიდრე საბჭოთა აპარატი სათანადოდ არ იქნება ხელახლა აღზრდილი ისეთი სულისკვეთებით, რომ იგი ნამდვილად პროლეტარული და ნამდვილად ძმური ყურადღებით ეკიდებოდეს მცირე და ჩამორჩენილ ეროვნებათა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს.

9. რამდენადაც რესპუბლიკების კავშირი არის ახალი ფორმა ხალხთა თანაცხოვრებისა, ახალი ფორმა მათი თანამშრომლობისა ერთიან საკავშირო სახელმწიფოში, რომლის ფარგლებშიც უნდა აღმოიფხვრას ზემოალნიშნული გადმონაშთები ხალხთა ერთად მუშაობის პროცესში, — კავშირის უმაღლესი ორგანოები ისე უნდა ავაგოთ, რომ ისინი სავსებით გამოხატავდნენ არა მარტო კავშირის ყველა ეროვნების საერთო საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, არამედ აგრეთვე ცალკეულ ეროვნებათა სპეციალურ საჭიროებებსაც

და მოთხოვნილებებს, ამიტომ, კავშირის არსებული ცენტრალური ორგანოების გვერდით, რომლებიც შეადგენენ მთელი კავშირის მშრომელი მასების წარმომადგენლობას ეროვნების დამოუკიდებლად, — უნდა შეიქმნას ეროვნებათა წარმომადგენლობის სპეციალური ორგანო თანასწორობის საფუძველზე. კავშირის ცენტრალური ორგანოების ასე მოწყობა სრულ შესაძლებლობას მოგვცემს გულისხმიერად მოვეპყრათ ხალხთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, თავის დროზე გავუწიოთ მათ საჭირო დახმარება, შევქმნათ სრული ურთიერთნდობის ატმოსფერო და, ამრიგად, ყველაზე უფრო უმტკივნეულო გზებით მოვსპოთ ზემოხსენებული მემკვიდრეობა.

10. ზემოთქმულის მიხედვით, ყრილობა ურჩევს პარტიის წევრებს პრაქტიკულ ღონისძიებათა სახით მიაღწიონ იმას, რომ:

ა) კავშირის უმაღლესი ორგანოების სისტემაში დაარსდეს გამოუკლებლივ ყველა ნაციონალური რესპუბლიკისა და ნაციონალური ოლქის წარმომადგენლობის სპეციალური ორგანო თანასწორობის საფუძველზე;

ბ) კავშირის კომისარიატები ჩამოყალიბდეს ისეთ საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს კავშირის ხალხთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას;

გ) ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების ორგანოები აიგოს უმთავრესად ადგილობრივი ადამიანებისაგან, რომლებმაც იციან სათანადო ხალხის ენა, ყოფა-ცხოვრება და ზნე-ჩვეულება.

II

1. ჩვენი პარტიის ორგანიზაციების განვითარება ნაციონალური რესპუბლიკების უმრავლესობაში მიმდინარეობს ისეთ პირობებში, რომლებიც სავსებით როდი უწყობენ ხელს მათს ზრდასა და განმტკიცებას. ამ რესპუბლიკების

ეკონომიურმა ჩამორჩენილობამ, ნაციონალური პროლეტარიატის მცირერიცხოვნობამ, ადგილობრივ ადამიანთაგან გამოსული ძველი პარტიული მუშაკების კადრების ნაკლებობამ და არარსებობამაც კი, სერიოზული მარქსისტული ლიტერატურის უქონლობამ დედაენაზე, პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის სისუსტემ, ბოლოს, რადიკალურ-ნაციონალისტური ტრადიციების გადმონაშთების არსებობამ, რომლებიც ჯერ კიდევ არ გაქარწყლებულა, — ყოველივე ამან წარმოშვა ადგილობრივ კომუნისტებს შორის განსაზღვრული გადახრა ნაციონალურ თავისებურებათა გაზვიადებით შეფასებისაკენ, პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების სათანადოდ შეუფასებლობისაკენ, გადახრა ნაციონალიზმისაკენ. ეს მოვლენა განსაკუთრებით საშიში ხდება იმ რესპუბლიკებში, სადაც რამდენიმე ეროვნებაა, სადაც იგი ხშირად იღებს უფრო ძლიერი ეროვნების კომუნისტთა შოვინიზმისაკენ გადახრის ფორმას, რომელიც თავისი მახვილით მიმართულია სუსტ ეროვნებათა კომუნისტების წინააღმდეგ (საქართველო, აზერბაიჯანი, ბუხარა, ხორეზმი). ნაციონალიზმისაკენ გადახრა მავნებელია იმ მხრივ, რომ იგი, აფერხებს რა ნაციონალური ბურჟუაზიის იდეური გავლენისაგან ნაციონალური პროლეტარიატის განთავისუფლების პროცესს, აძნელებს სხვადასხვა ეროვნების პროლეტარების ერთიან ინტერნაციონალისტურ ორგანიზაციად დარაზმვის საქმეს.

2. მეორე მხრივ, ძველი, წარმოშობით რუსი პარტიული მუშაკების მრავალრიცხოვანი კადრების არსებობამ როგორც პარტიის ცენტრალურ დაწესებულებებში, ისე ნაციონალური რესპუბლიკების კომპარტიების ორგანიზაციებში, კადრებისა, რომლებიც არ იცნობენ ამ რესპუბლიკების მშრომელი მასების ზნე-ჩვეულებასა და ენას და ამიტომ ყოველთვის გულისხმიერნი როდი არიან მათი მოთხოვნილებებისადმი, — წარმოშვა ჩვენს პარტიაში გადახრა

ნაციონალურ თავისებურებათა და ნაციონალური ენის სათანადოდ შეუფასებლობისაკენ პარტიულ მუშაობაში, ქედმაღლურ-ათვალწუნებითი დამოკიდებულება ამ თავისებურებათადმი, გადახრა ველიკოროსული შოვინიზმისაკენ. ეს გადახრა მავნებელია არამარტო იმიტომ, რომ იგი, აფერხებს რა ადგილობრივ ადამიანთაგან კომუნისტური კადრების შექმნის საქმეს, რომელთაც ნაციონალური ენა ეცოდინებათ, ქმნის ნაციონალური რესპუბლიკების პროლეტარული მასებისაგან პარტიის მოწყვეტის საფრთხეს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ იგი კვებავს და ზრდის ზემოთ დახასიათებულ გადახრას ნაციონალიზმისაკენ და აძნელებს მასთან ბრძოლას.

3. გმობს რა ორივე ამ გადახრას, როგორც კომუნიზმის საქმისათვის მავნესა და საშიშს, და მიაქცევს რა პარტიის წევრების ყურადღებას იმაზე, რომ ველიკოროსული შოვინიზმისაკენ გადახრა განსაკუთრებით მავნე და განსაკუთრებით საშიშია, ყრილობა მოუწოდებს პარტიას — რაც შეიძლება მალე აღმოფხვრას ძველის ეს გადმონაშთები ჩვენს პარტიულ მშენებლობაში.

პრაქტიკულ ღონისძიებათა სახით ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს განახორციელოს:

ა) უმაღლესი ტიპის მარქსისტული წრეების შექმნა ნაციონალური რესპუბლიკების ადგილობრივი პარტიული მუშაკებისაგან;

ბ) პრინციპული მარქსისტული ლიტერატურის განვითარება დედაენაზე;

გ) აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის და მისი ადგილობრივი განყოფილებების გაძლიერება;

დ) ნაციონალური კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან ადგილობრივი მუშაკებისაგან ინსტრუქტორთა ჯგუფების შექმნა;

ე) მასობრივი პარტიული ლიტერატურის განვითარება დედაენაზე;

ვ) პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება რესპუბლიკებში;

ზ) ახალგაზრდობაში მუშაობის გაძლიერება რესპუბლიკებში.

«პრავდა» № 65,
1923 წ. 24 მარტი.
ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

რკპ(ბ) XII ყრილობა[61]

1923 წ. 17 — 25 აპრილი

რუსეთის კომუნისტური პარტიის
(ბოლშევიკების) მეთორმეტე
ყრილობა. სტენოგრაფიული
ანგარიში. მ., 1923.

1. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციული ანგარიში

17 აპრილი

ამხანაგებო! მე ვფიქრობ, რომ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, რომელიც «ცენტრალური კომიტეტის უწყებებში» [62] დაიბეჭდა, დეტალების მხრივ სავსებით საკმარისია, და აქ, ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ ანგარიშში, მისი განმეორება არ ღირს.

ჩემი აზრით, ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციული ანგარიში სამი ნაწილისაგან უნდა შედგებოდეს.

პირველი ნაწილი უნდა განიხილავდეს პარტიის ორგანიზაციულ კავშირს მუშათა კლასთან, — მასობრივი ხასიათის იმ კავშირსა და იმ აპარატებს, რომლებიც გარშემო აკრავს პარტიას და რომელთა საშუალებითაც პარტია ახორციელებს მუშათა კლასის მიმართ ხელმძღვანელობას, ხოლო მუშათა კლასი იქცევა პარტიის არმიად.

ანგარიშის მეორე ნაწილი, ჩემი აზრით, უნდა განიხილავდეს მასობრივი ხასიათის იმ ორგანიზაციულ კავშირსა და იმ აპარატებს, რომელთა საშუალებით მუშათა კლასი უკავშირდება გლეხობას. ეს არის სახელმწიფო აპარატი. სახელმწიფო აპარატის საშუალებით მუშათა კლასი, პარტიის ხელმძღვანელობით, ახორციელებს გლეხობის მიმართ ხელმძღვანელობას.

მესამე და უკანასკნელი ნაწილი უნდა ეხებოდეს თვითონ პარტიას, როგორც ორგანიზმს, რომელიც თავისი განსაკუთრებული ცხოვრებით ცხოვრობს, და როგორც აპარატს, რომელიც ლოზუნგებს იძლევა და მათს განხორციელებას ამოწმებს.

გადავდივარ ანგარიშის პირველ ნაწილზე. მე ვლაპარაკობ პარტიაზე, როგორც ავანგარდზე, და მუშათა კლასზე, როგორც ჩვენი პარტიის არმიაზე. შეიძლება ანალოგიით მოგვეჩვენოს, თითქოს აქ ურთიერთობა ისეთივე იყოს, როგორიცაა სამხედრო დარგში, ე. ი. პარტია იძლევა ბრძანებებს, ტელეგრაფით გადაიცემა ლოზუნგები, ხოლო არმია, ე. ი. მუშათა კლასი, ახორციელებს ამ ბრძანებებს. ასეთი წარმოდგენა სრულიადაც არ არის სწორი. პოლიტიკურ დარგში საქმე ბევრად უფრო რთულია. საქმე ის არის, რომ სამხედრო დარგში არმიას ქმნის თვით მეთაურთა შემადგენლობა, ის თვითონ ადგენს არმიას. აქ კი, პოლიტიკურ დარგში, პარტია კი არ ქმნის თავის არმიას, არამედ პოულობს მას, — ეს არის მუშათა კლასი. მეორე განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სამხედრო დარგში მეთაურთა შემადგენლობა არა მარტო ქმნის არმიას, არამედ კიდეც კვებავს მას, აცმევს და ახურავს. პოლიტიკურ დარგში ასეთი მოვლენები არა გვაქვს. პარტია არ კვებავს, არ აცმევს და არ ახურავს თავის არმიას, მუშათა კლასს. სწორედ ამიტომ პოლიტიკაში საქმე ბევრად უფრო რთულია. სწორედ ამიტომ პოლიტიკაში კლასი კი არ არის დამოკიდებული პარტიისაგან, არამედ პირიქით. აი რატომ არის, რომ პოლიტიკურ დარგში კლასის ავანგარდის, ე. ი. პარტიის, ხელმძღვანელობის განსახორციელებლად საჭიროა, რათა პარტიას გარს ეკრას უპარტიო მასობრივი აპარატების ფართო ქსელი, რომლებიც წარმოადგენენ იარაღს პარტიის ხელში და რომელთა საშუალებით ის თავის ნებას გადას-

ცემს მუშათა კლასს, ხოლო მუშათა კლასი დაქსაქსული მასიდან პარტიის არმიად იქცევა.

მაშ ასე, მე გადავდივარ იმის განხილვაზე, თუ როგორია ეს აპარატები, ეს ამძრავი ღვედები, რომლებიც აერთებენ პარტიას კლასთან, როგორია ეს აპარატები, და რის გაკეთება მოასწრო პარტიამ ერთი წლის განმავლობაში ამ აპარატების განმტკიცების მხრივ.

პირველი, ძირითადი ამძრავი ღვედი, პირველი, ძირითადი გადამცემი აპარატი, რომლის საშუალებითაც პარტია უკავშირდება მუშათა კლასს, — ესაა პროფკავშირები. ერთი წლის მოღვაწეობის განმავლობაში, თუ ავიღებთ კლასთან პარტიის მიმყვანი ამ ძირითადი ამძრავი ღვედის განმტკიცების მაჩვენებელ ციფრებს, პარტიამ გააძლიერა, განამტკიცა თავისი გავლენა კავშირების ხელმძღვანელ ორგანოებში. მე არ ვეხები პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს. მის შემადგენლობას ყველა იცნობს. არ ვეხები აგრეთვე კავშირების ცენტრალურ კომიტეტებს. მე მხედველობაში მაქვს, უმთავრესად, გუბპროფსაბჭოები. გასულ წელს, ჩვენი პარტიის XI ყრილობისათვის, ოქტომბრამდელი სტაჟი ჰქონდა პროფკავშირთა საგუბერნიო საბჭოების თავმჯდომარეთა 27%-ს, წელს კი აქვს 57%-ზე მეტს. წარმატება არც ისე დიდია, მაგრამ მაინც წარმატებაა. ეს წარმატება მოწმობს, რომ ჩვენი პარტიის ოქტომბრამდელი სტაჟის მქონე ხელმძღვანელ ელემენტებს ხელთ უპყრიათ კავშირების ძირითადი ძაფები, რომელთა საშუალებითაც ისინი აკავშირებენ პარტიას მუშათა კლასთან.

მე არ შევეხები მუშათა პროფკავშირების შემადგენლობას მთლიანად. ციფრები მოწმობენ, რომ შარშანდელი ყრილობისათვის კავშირების წევრი დაახლოებით 6 მილიონი იყო. წელს, ამ ყრილობისათვის, არის 4 800 000. თითქოს უკან გადაგვიდგამს ნაბიჯი, მაგრამ ეს მხოლოდ ასე ჩანს.

შარშან, — ნება მომეცით აქ სიმართლე ვთქვა! — კავშირები გაბერილ სიდიდეებს წარმოადგენდნენ. ციფრები, რომლებსაც იძლეოდნენ, ზუსტად არ გამოხატავდნენ სინამდვილეს. ამ ყრილობისათვის მოცემული ციფრები, თუმცა შარშანდლისაზე ნაკლებია, მაგრამ უფრო რეალური და უფრო ნამდვილია. ეს მე წინგადადგმულ ნაბიჯად მიმაჩნია, მიუხედავად პროფკავშირთა რიცხობრივი შემადგენლობის შემცირებისა. ამრიგად, პროფკავშირების გადაქცევა გაბერილი და ნახევრადკაზიონური ორგანიზაციებიდან ნამდვილად ცოცხალ კავშირებად, რომლებიც თავის ხელმძღვანელ ორგანოებთან საერთო ცხოვრებით ცხოვრობენ, ერთი მხრივ, და კავშირების საგუბერნიო ორგანოებში პარტიის ხელმძღვანელი ელემენტების პროცენტის გადიდება 27%-დან 57%-მდე — მეორე მხრივ, — აი ის წარმატება, რომელსაც ჩვენ აღვნიშნავთ, როცა ვლაპარაკობთ ჩვენი პარტიის მიერ პროფკავშირების განსამტკიცებლად ამ წლის განმავლობაში გაწეულ მუშაობაზე.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ამ დარგში ყველაფერი რიგზე იყოს. კავშირების პირველადი უჯრედები — ფაბ-ქარხკომები — ყველგან ჯერ კიდევ როდია ჩვენი. ასე, მაგალითად, ხარკოვის გუბერნიაში არსებული 146 ფაბქარხკომიდან 70-ს არც ერთი კომუნისტი არა ჰყავს თავის შემადგენლობაში. მაგრამ ეს ერთეული მოვლენებია. საერთოდ უნდა ვაღიაროთ, რომ პროფკავშირების განვითარებამ უეჭველად წაიწია წინ როგორც საგუბერნიო, ისე ძირეულ უჯრედებში პარტიის გავლენის განმტკიცების აზრით. ეს ფრონტი პარტიისათვის უზრუნველყოფილად უნდა მივიჩნიოთ. კავშირების დარგში ჩვენ ძლიერი მოწინააღმდეგენი არა გვყავს.

მეორე ამძრავი ღვედი, მასობრივი ხასიათის მეორე გადამცემი აპარატი, რომლის საშუალებითაც პარტია უკავ-

შირდება კლასს, — ესაა კოოპერატივები. უწინარეს ყოვლისა მხედველობაში მაქვს სამომხმარებლო კოოპერაცია, მისი მუშური ნაწილი, შემდეგ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, რამდენადაც იგი მოიცავს სოფლის ღარიბ მოსახლეობას. XI ყრილობისათვის «ცენტროსოიუზის» მუშათა სექციებში იყო სამ მილიონამდე კაცი. წელს, ამ ყრილობისათვის, არის ერთგვარი მატება: 3 300 000. ეს ძალიან ცოტაა. მაგრამ მაინც ჩვენს პირობებში, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, ეს წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. თითო მუშაზე ოჯახში 3 მჭამელი რომ ვიანგარიშოთ, გამოდის, რომ კოოპერატივებს ახლა ჰყავთ 9 მილიონამდე მუშა-მოსახლეობა, რომელიც დარაზმულია, როგორც მომხმარებელნი, სამომხმარებლო კოოპერაციის გარშემო, სადაც პარტიის გავლენა დღითი დღე იზრდება...

წინა ყრილობისათვის ჩვენ არ გვქონდა მონაცემები, თუ რამდენად დიდია პარტიის ძალები სამომხმარებლო კოოპერაციაში, 2 — 3 — 5%, არა უმეტესი. ამ ყრილობისათვის კომუნისტები «ცენტროსოიუზის» საგუბერნიო ორგანოებში უკვე სულ ცოტა 50%-ს შეადგენენ. ესეც წინგადადგმული ნაბიჯია.

ცოტათი უარესადაა საქმე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში. თვითონ ისინი კი უეჭველად იზრდებიან. შარშან, ყრილობისათვის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები აერთიანებდნენ სულ ცოტა 1 700 000 გლეხურ მეურნეობას. წელს, ამ ყრილობისათვის, ისინი აერთიანებენ სულ ცოტა 4 000 000 გლეხურ მეურნეობას. აქ არის გარკვეული ნაწილი ღარიბი გლეხობისა, რომელიც პროლეტარიატისაკენ მიიწევს. სწორედ ამიტომ საინტერესოა გამოვარკვიოთ, თუ როგორ იზრდებოდა პარტიის გავლენა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დარგში. გასული წლის ციფრები ჩვენ არა გვაქვს.

წელს (თუმცა ეს ციფრები მე საეჭვოდ მიმაჩნია) კომუნისტები სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საგუბერნიო ორგანოებში, თურმე, 50%-ზე არანაკლებია. თუ ეს მართალია, ჩვენ უდიდესი ნაბიჯი გადაგვიდგამს წინ. უარესადაა საქმე ძირეულ უჯრედებში, სადაც ჩვენ ჯერ კიდევ არ ძალგვიძს გავათავისუფლოთ პირველადი კოოპერატივები ჩვენდამი მტრული ძალების გავლენისაგან.

მესამე ამძრავი ღვედი, რომელიც კლასს აერთიანებს პარტიასთან, — ესაა ახალგაზრდობის კავშირები. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის კავშირს და საერთოდ ახალგაზრდობას ჩვენი პარტიის განვითარების საქმეში. ჩვენს განკარგულებაში არსებული ციფრები მოწმობენ, რომ გასულ წელს, XI ყრილობისათვის, ახალგაზრდობის კავშირის შემადგენლობაში ირიცხებოდა სულ ცოტა 400 000 წევრი. შემდეგ, 1922 წლის შუახანებში, როცა შტატების შემცირება ჩატარდა, როცა დაჯავშნა ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ განხორციელებული, როცა ახალგაზრდობის კავშირს ჯერ კიდევ არ შესწევდა უნარი — შეგუებოდა ახალ პირობებს, წევრთა რიცხვი 200 000-მდე დაეცა. ახლა, განსაკუთრებით გასული წლის შემოდგომიდან, ჩვენ გვაქვს ახალგაზრდობის კავშირის უდიდესი ზრდა. კავშირის შემადგენლობაში სულ ცოტა 400 000 წევრი ითვლება. ყველაზე სასიხარულო ის არის, რომ ახალგაზრდობის კავშირები პირველ რიგში მუშა-ახალგაზრდობის ხარჯზე იზრდებიან. ისინი იზრდებიან უწინარეს ყოვლისა იმ რაიონებში, სადაც ჩვენი მრეწველობა ვითარდება.

თქვენ იცით, რომ ახალგაზრდობის კავშირის ძირითადი საქმიანობა მუშებს შორის არის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები. ციფრები ამ დარგის შესახებ მოწმობენ, რომ გასულ წელს, XI ყრილობისათვის, ჩვენ გვქონდა 500-მდე საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა, სადაც

იყო 44 ათასი წევრი. ამა წლის იანვრისათვის ჩვენ გვაქვს 700-ზე მეტი სკოლა, სადაც 50 ათასი წევრია. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ზრდა მიმდინარეობს ახალგაზრდობის კავშირის მუშური შემადგენლობის ხარჯზე.

ისევე, როგორც წინანდელი ფრონტი, — სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ფრონტი, — ახალგაზრდობის ფრონტი უნდა ჩაითვალოს განსაკუთრებით საფრთხეში მყოფ ფრონტად იმის გამო, რომ ჩვენი პარტიის მოწინააღმდეგეებს ამ დარგში განსაკუთრებული დაჟინებით მოაქვთ იერიშები. სწორედ აქ, ამ ორ დარგში, საჭიროა, რომ პარტიამ და მისმა ორგანიზაციებმა დაძაბონ მთელი ძალ-ღონე, რათა უზრუნველყონ თავისი უპირატესი გავლენა.

შემდეგ გადავდივარ მუშა-ქალთა სადელეგატო კრებებზე. ესეც, ჩვენი ორგანიზაციებისათვის იქნებ შეუმჩნეველი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი, ფრიად არსებითი ამძრავი მექანიზმია, რომელიც ჩვენს პარტიას აერთებს მუშათა კლასის ქალთა ნაწილთან. ჩვენს განკარგულებაში არსებული ციფრები შემდეგს მოწმობენ: 1927 გუბერნიასა და 3 ოლქში გასულ წელს, XI ყრილობისათვის, ჩვენ გვყავდა 16 000-მდე დელეგატი ქალი, რომელთა შორის მუშა-ქალები ჭარბობდნენ. წელს, ამ ყრილობისათვის, იმავე გუბერნიებსა და ოლქებში ჩვენ გვყავს სულ ცოტა 52 000 დელეგატი ქალი, აქედან 33 000 მუშა-ქალი. ეს უდიდესი ნაბიჯია წინ. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ეს ისეთი ფრონტია, რომელსაც დღევანდლამდე ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით, მას კი ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რაკი საქმე წინ მიდის, რაკი არის ნიადაგი, რომ ეს აპარატიც განვამტკიცოთ, გავაფართოოთ და წარვმართოთ პარტიის მეცადინეობა იქითკენ, რომ ძირი გამოვუთხაროთ ხუცების გავლენას ახალგაზრდობაში, რომელსაც ქალები ზრდიან, ბუნებრივია, პარტიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა უნდა იყოს ის, რომ ამ ფრონტზეც, რომელსაც

უეჭველად ემუქრება საფრთხე, მაქსიმუმი ენერგია განვავითაროთ.

გადავდივარ სკოლაზე. მე ვლაპარაკობ პოლიტიკურ სკოლებზე, საბჭოთა-პარტიულ სკოლებსა და კომუნისტურ უნივერსიტეტებზე. ესეც აპარატია, რომლის შემწეობითაც პარტია ავითარებს კომუნისტურ განათლებას, ქმნის განათლების დარგის მეთაურთა შემადგენლობას, რომელიც მუშამოსახლეობაში თესავს სოციალიზმის თესლს, კომუნიზმის თესლს და ამით პარტიას სულიერი ძაფებით აკავშირებს მუშათა კლასთან. ციფრები მოწმობენ, რომ საბჭოთა-პარტიული სკოლების მსმენელთა რიცხვი გასულ წელს იყო 22 ათასამდე. წელს ჩვენ გვყავს სულ ცოტა 33 000, თუ ჩავთვლით პოლიტცოდნის საქალაქო სკოლებსაც, რომლებსაც პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო აფინანსებს. რაც შეეხება კომუნისტურ უნივერსიტეტებს, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ კომუნისტური განათლებისათვის, აქ მატება მცირეა: იყო 6 ათასამდე მსმენელი, გახდა 6 400. პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაძაბოს ძალ-ღონე ამ ფრონტზე, გააძლიეროს მუშაობა კომუნისტური განათლების მეთაურთა შემადგენლობის მოსამზადებლად, გამოსაჭედად.

გადავდივარ ბეჭდვით სიტყვაზე. ბეჭდვითი სიტყვა მასობრივ აპარატს, მასობრივ ორგანიზაციას არ წარმოადგენს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის უჩინარ კავშირს აბამს პარტიასა და მუშათა კლასს შორის, — კავშირს, რომელიც თავისი ძალით მასობრივი ხასიათის ყოველგვარ გადამცემ აპარატს უდრის. ამბობენ, ბეჭდვითი სიტყვა მეექვსე სახელმწიფო არისო. მე არ ვიცი, რომელი სახელმწიფოა ის, მაგრამ მას რომ ძალა, დიდი ხვედრითი წონა აქვს,—ეს უდავოა. ბეჭდვითი სიტყვა ყველაზე ძლიერი იარაღია, რომლის შემწეობითაც პარტია ყოველდღე, ყოველ საათს ელაპარაკება მუშათა კლასს თავისი, მისთვის საჭირო ენით.

პარტიასა და კლასს შორის სულიერი ძაფების გაბმის სხვა საშუალებები, სხვა ასეთი მოქნილი აპარატი ბუნებაში არ არსებობს. აი რატომ უნდა მიაქციოს პარტიამ ამ დარგს განსაკუთრებული ყურადღება, და უნდა ითქვას, რომ აქ ჩვენ უკვე გვაქვს ერთგვარი წარმატება. ავიღოთ გაზეთები. გადმოცემული ციფრების თანახმად, გასულ წელს ჩვენ გვქონდა 380 გაზეთი, წელს გვაქვს სულ ცოტა 528. ტირაჟი გასულ წელს იყო 2 500 000, მაგრამ ეს ტირაჟი ნახევრადკაზიონურია, ნამდვილი არ არის. ზაფხულში, როცა ბეჭდვით სიტყვას სუბსიდიები შეუმცირდა, როცა ბეჭდვითი სიტყვა იმ აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა, რომ საკუთარ ფეხებზე დამდგარიყო, ტირაჟი 900 ათასამდე დაეცა. ამ ყრილობისათვის ჩვენ გვაქვს ორ მილიონამდე ტირაჟი. მაშასადამე, ბეჭდვითი სიტყვა ნაკლებად კაზიონური ხდება და თავისი სახსრებით ცხოვრობს, პარტიის ხელში ბასრ იარაღს წარმოადგენს, აკავშირებს მას მასებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ტირაჟი ვერ გაიზრდებოდა და ვერ განმტკიცდებოდა.

გადავდივარ შემდეგ გადამცემ აპარატზე — არმიაზე. შეეჩვივნენ არმიას უყურონ როგორც თავდაცვის ან შეტევის აპარატს. მე კი არმიას განვიხილავ როგორც მუშათა და გლეხთა შესაკრებ პუნქტს. ყველა რევოლუციის ისტორია გვეუბნება, რომ არმია ერთადერთი შესაკრები პუნქტია, სადაც სხვადასხვა გუბერნიის მუშები და გლეხები, ერთმანეთს მოწყვეტილნი, ერთად იყრიან თავს და, რომ შეიყრებიან, იმუშავებენ თავიანთ პოლიტიკურ შეხედულებებს. შემთხვევითი როდია, რომ დიდი მობილიზაციები და სერიოზული ომები ყოველთვის იწვევენ ამა თუ იმ სოციალურ კონფლიქტს, ამა თუ იმ მასობრივ რევოლუციურ მოძრაობას. ეს იმიტომ ხდება, რომ არმიაში სულ შორეული კუთხეების გლეხები და მუშები პირველად ხვდებიან ერთიმეორეს. ჩვეულებრივ, ვორონეჟელი გლეხი ხომ არ შეხვდება

პიტერელს, ფსკოველი ვერ ხედავს ციმბირელს, არმიაში კი ისინი ერთმანეთს ხვდებიან. არმია წარმოადგენს მუშათა და გლეხთა სკოლას, შესაკრებ პუნქტს, და ამ თვალსაზრისით არმიაზე პარტიის ძალასა და გავლენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, და ამ აზრით არმია არის უზარმაზარი აპარატი, რომელიც პარტიას აერთებს მუშებთან და უღარიბეს გლეხობასთან. არმია სრულიად რუსეთის, მთელი ფედერაციის ერთადერთი შესაკრები პუნქტია, სადაც სხვადასხვა გუბერნიისა და ოლქის ადამიანები, ერთად რომ შეიყრებიან, სწავლობენ და ეჩვევიან პოლიტიკურ ცხოვრებას. და ამ უაღრესად სერიოზულ გადამცემ მასობრივ აპარატში ჩვენ გვაქვს შემდეგი ცვლილებანი: კომუნისტების პროცენტი წინანდელი ყრილობისათვის შეადგენდა 7½-ს, წელს კი იგი ადის 10½-მდე. არმია ამ ხნის განმავლობაში შემცირდა, მაგრამ არმიის ხარისხი გაუმჯობესდა. პარტიის გავლენა გაიზარდა, და ამ ძირითად შესაკრებ პუნქტში ჩვენ მოვიპოვეთ გამარჯვება კომუნისტური გავლენის გადიდების აზრით.

კომუნისტები მეთაურთა შემადგენლობაში, თუ ავიღებთ მეთაურთა მთელ შემადგენლობას ოცეულთა მეთაურებამდე ჩათვლით, გასულ წელს შეადგენდნენ 10%-ს, წელს კი შეადგენენ 13%-ს. თუ ავიღებთ მეთაურთა შემადგენლობას ოცეულთა მეთაურების გამოკლებით, გასულ წელს იყო 16%, წელს კი არის 24%.

ასეთია ის ამძრავი ღვედები, ის მასობრივი აპარატები, რომლებიც გარს აკრავს ჩვენს პარტიას და რომლებიც, აკავშირებენ რა პარტიას მუშათა კლასთან, საშუალებას აძლევენ პარტიას გადაიქცეს ავანგარდად, ხოლო მუშათა კლასი გადააქციოს არმიად.

ასეთია კავშირის ქსელი და გადამცემი პუნქტების ქსელი, რომელთა შემწეობითაც პარტია, სამხედრო მეთაურთა შემადგენლობისაგან განსხვავებით, იქცევა

ავანგარდად, ხოლო მუშათა კლასი დაქსაქსული მასიდან იქცევა ნამდვილ პოლიტიკურ არმიად.

ამ კავშირის განმტკიცების მხრივ ჩვენი პარტიის მიერ ამ დარგებში მიღწეული წარმატებანი აიხსნება არა მარტო იმით, რომ ამ მხრივ პარტიის გამოცდილება გაიზარდა, არა მარტო იმით, რომ ამ გადამცემ აპარატებზე ზემოქმედების თვით საშუალებანი გაუმჯობესდა, არამედ იმითაც, რომ ქვეყნის საერთო პოლიტიკური მდგომარეობა შველოდა, ხელს უწყობდა ამას.

გასულ წელს ჩვენში იყო შიმშილი, შიმშილის შედეგები, მრეწველობის დეპრესია, მუშათა კლასის დაქსაქსვა და სხვ. წელს, პირიქით, ჩვენ გვაქვს მოსავალი, მრეწველობის ნაწილობრივი აღმავლობა, პროლეტარიატის შეკრების დაწყებული პროცესი, მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება. ძველი მუშები, რომლებიც წინათ იძულებული იყვნენ სოფლად დაფანტულიყვნენ, კვლავ მოდიან ფაბრიკა-ქარხნებში, და ყოველივე ეს ქმნის ვითარებას, რომელიც პოლიტიკურად ხელსაყრელია იმისათვის, რომ პარტიამ გაშალოს ფართო მუშაობა კავშირის ზემოხსენებული აპარატების განსამტკიცებლად.

გადავდივარ ანგარიშის მეორე ნაწილზე: პარტიისა და სახელმწიფო აპარატის შესახებ. სახელმწიფო აპარატი არის ძირითადი მასობრივი აპარატი, რომელიც ხელისუფლების სათავეში მდგომ მუშათა კლასს, მისი პარტიის სახით, აერთებს გლეხობასთან და შესაძლებლობას აძლევს მუშათა კლასს, მისი პარტიის სახით, უხელმძღვანელოს გლეხობას. ჩემი მოხსენების ამ ნაწილს მე უშუალოდ ვუკავშირებ ამხ. ლენინის ორ ცნობილ სტატიას [63].

ამხ. ლენინის მიერ ორ სტატიაში განვითარებული იდეა ბევრს სრულიად ახალ რამედ მოეჩვენა. ჩემი აზრით, ის იდეა, რომელიც ამ სტატიებშია განვითარებული, ჯერ კიდევ გასულ წელს უტრიალებდა თავში ვლადიმერ ილიას-ძეს.

თქვენ, ალბათ, გახსოვთ მისი გასული წლის პოლიტიკური ანგარიში. ის მაშინ ამბობდა, რომ ჩვენი პოლიტიკა სწორია, მაგრამ აპარატი ყალბობს, რომ ამიტომ მანქანა იქით კი არ მიდის, საითკენაც საჭიროა, არამედ განზე უხვევსო. ამაზე, როგორც მახსოვს, შლიაპნიკოვმა შენიშნა, შოფერები არ ვარგანო. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. სრულიადაც არ არის სწორი. პოლიტიკა სწორია, შოფერი საუცხოოა, თვითონ მანქანის ტიპი კარგია, იგი საბჭოთა ტიპისაა, მაგრამ სახელმწიფო მანქანის შემადგენელი ნაწილები, ე. ი. სახელმწიფოს აპარატის ესა თუ ის მუშაკი ცუდია, ჩვენი არ არის. ამიტომ მანქანა ყალბობს, და საერთოდ გამოდის სწორი პოლიტიკური ხაზის დამახინჯება. გამოდის არა განხორციელება, არამედ დამახინჯება. სახელმწიფო აპარატი, ვიმეორებ, ტიპის მხრივ სწორია, მაგრამ მისი შემადგენელი ნაწილები ჯერ კიდევ უცხოა, კაზიონურია, სანახევროდ მეფისეულ-ბურჟუაზიულია. ჩვენ გვსურს გვქონდეს სახელმწიფო აპარატი, როგორც ხალხის მასების მომსახურების საშუალება, ხოლო ამ სახელმწიფო აპარატის ზოგიერთ მუშაკს სურს იგი საზრდოობის წყაროდ გადააქციოს. აი რატომ არის, რომ აპარატი საერთოდ ყალბობს. თუ ჩვენ იგი არ გავასწორეთ, მარტოოდენ სწორი პოლიტიკური ხაზით შორს ვერ წავალთ: ეს ხაზი დამახინჯდება, მივიღებთ მუშათა კლასისა და გლეხობის გათიშვას. მივიღებთ იმას, რომ თუმცა ჩვენ საჭესთან ვართ, მაგრამ მანქანა არ დაგვემორჩილება. გამოვა კრახი. აი ის აზრები, რომლებსაც ჯერ კიდევ შარშან ავითარებდა ამხ. ლენინი, და რომლებიც მხოლოდ წელს ჩამოაყალიბა მან ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშა-გლეხთა ინსპექციის რეორგანიზაციის მწყობრ სისტემად, იმ აზრით, რომ რეორგანიზებული სარევიზიო აპარატი გადაიქცეს მანქანის ყველა შემადგენელი ნაწილის გადაკეთების, ძველი უვარგისი ნაწილების ახლებით შეცვ-

ლის ბერკეტად, თუ ჩვენ მართლაც გვსურს წავიყვანოთ მანჭანა იქით, საითაც იგი უნდა მიდიოდეს.

ამაშია ამხ. ლენინის წინადადების დედაარსი.

მე შემეძლო დამემოწმებინა ისეთი ფაქტი, როგორიცაა ორეხოვო-ზუევოს ტრესტის რევიზია. ეს ტრესტი მოწყობილია საბჭოთა ტიპის მიხედვით, მოწოდებულია გამოიმუშაოს ფაბრიკატების მაქსიმუმი და მოამარაგოს გლეხობა, ამავე დროს კი ეს საბჭოურად მოწყობილი ტრესტი გამომუშავებულ ფაბრიკატებს კერძო პირებს უგდებდა ხელში სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ. მანჭანა იქით არ მიდიოდა, საითაც იგი უნდა მიდიოდეს.

მე შემეძლო დამემოწმებინა ისეთი ფაქტი, რომელიც ამ დღეებში მიამბო ამხ. ვოროშილოვმა. არის ჩვენში ისეთი დაწესებულება, რომელსაც სამრეწველო ბიურო ეწოდება. იყო ასეთი დაწესებულება სამხრეთ-აღმოსავლეთში. ამ აპარატში 2 ათასამდე მუშაკი ითვლებოდა. ეს აპარატი მოწოდებული იყო ხელმძღვანელობა გაეწია სამხრეთ-აღმოსავლეთის მრეწველობისათვის. ამხ. ვოროშილოვი სასოწარკვეთით მეუბნებოდა, რომ ადვილი როდი იყო ამ აპარატის მორევნა, და მის სამართავად საჭირო იყო შეექმნათ დამატებითი მცირე აპარატი, ე. ი. მართვის აპარატის სამართავად. აღმოჩნდნენ კეთილი ადამიანები: ვოროშილოვი, ეისმონტი და მიქოიანი, რომლებმაც ჯეროვნად მოჰკიდეს საქმეს ხელი. და აღმოჩნდა, რომ 2 ათასი მუშაკის ნაცვლად აპარატში შეიძლება ჰყავდეთ 170. და მერე? ახლა, თურმე, საქმე გაცილებით უკეთ მიდის, ვიდრე წინათ. წინათ აპარატი ნთქამდა ყველაფერს, რასაც გამოიმუშავებდა. ახლა აპარატი მომსახურებას უწევს მრეწველობას. ასეთი ფაქტი ბევრია, უამრავია, უფრო მეტია, ვიდრე თმა ჩემს თავზე.

ყველა ეს ფაქტი მხოლოდ ერთ რამეს მეტყველებს, — რომ ჩვენი საბჭოთა აპარატები, ტიპით სწორნი, ზოგჯერ

ისეთი ადამიანებისაგან შედგებიან, ისეთ ჩვევებსა და ტრადიციებს მისდევენ, რომლებიც ყირამალა აყენებენ არსებითად სწორ პოლიტიკურ ხაზს. ამის გამო მთელი მანქანა ყალბობს, და გამოდის უზარმაზარი პოლიტიკური მინუსი, გლეხობასთან პროლეტარიატის გათიშვის საფრთხე.

საკითხი ასე დგას: ან ჩვენ სამეურნეო აპარატებს გავაუმჯობესებთ, შევამცირებთ მათს შემადგენლობას, გავამარტივებთ მათ, გავაიაფებთ, დავაკომპლექტებთ მათ სულისკვეთებით ჩვენი პარტიისათვის მახლობელი ადამიანებით, და მაშინ მივაღწევთ იმას, რისთვისაც ჩვენ შემოვიღეთ ეგრეთწოდებული ახალი ეკონომიური პოლიტიკა, ე. ი. მრეწველობა გამოიმუშავებს მაქსიმუმ ფაბრიკატებს იმისათვის, რომ სოფელი მოამარაგოს, საჭირო პროდუქტები მიიღოს, და, ამრიგად, ჩვენ დავამყარებთ გლეხობის ეკონომიკის კავშირს მრეწველობის ეკონომიკასთან. ან ჩვენ ამას ვერ მივაღწევთ, და კრახი იქნება.

ანდა კიდევ: ან თვით სახელმწიფო აპარატს, საგადასახადო აპარატს გავამარტივებთ, შევამცირებთ, იქიდან ქურდებსა და თაღლითებს განვდევნით, და მაშინ ჩვენ შევძლებთ გლეხებისაგან ავიღოთ ნაკლები, ვიდრე ახლა ვიღებთ, და მაშინ სახალხო მეურნეობა გაძლებს. ანდა ეს აპარატი გადაიქცევა თვითმიზნად, როგორც ეს იყო სამხრეთ-აღმოსავლეთში, და ყოველივე ის, რასაც გლეხებისაგან ვიღებთ, საჭირო გახდება თვით აპარატის შესანახად ვხარჯოთ, — და მაშინ პოლიტიკური კრახი მოგველის.

აი ის მოსაზრებანი, რომლებითაც, ჩემი რწმენით, ხელმძღვანელობდა ვლადიმერ ილიას-ძე, როცა იგი ამ სტატიებს წერდა.

ამხ. ლენინის წინადადებებში არის კიდევ ერთი მხარე. იგი არა მარტო ცდილობს მივაღწიოთ იმას, რომ აპარატი გაუმჯობესდეს, და პარტიის ხელმძღვანელი როლი მაქ-

სიმალურად გაძლიერდეს, — ვინაიდან პარტია აშენებდა სახელმწიფოს, მანვე უნდა გააუმჯობესოს იგი, — არამედ მას, აშკარაა, მხედველობაში აქვს მორალური მხარეც. ლენინს სურს მიაღწიოს იმას, რომ ქვეყანაში არ დარჩეს არც ერთი დიდკაცი, თუნდაც ყველაზე მაღალი თანამდებობისა, რომლის შესახებ უბრალო კაცს შეეძლოს თქვას: მისთვის კანონი არ არსებობსო. აი ეს მორალური მხარე წარმოადგენს ილიჩის წინადადების მესამე მხარეს, სწორედ ეს წინადადება აყენებს ამოცანას — გავწმინდოთ არა მარტო სახელმწიფო აპარატი, არამედ პარტიაც იმ დიდკაცური ტრადიციებისა და ჩვევებისაგან, რომლებიც სახელს უტეხენ ჩვენს პარტიას.

გადავდივარ მუშაკთა შერჩევის საკითხზე, ე. ი. იმ საკითხზე, რომელზედაც ილიჩი ჯერ კიდევ XI ყრილობაზე ლაპარაკობდა. თუ ჩვენთვის ცხადია, რომ ჩვენი სახელმწიფო აპარატი თავისი შემადგენლობით, ჩვევებითა და ტრადიციებით უვარგისია, რის გამო მუშებსა და გლეხობას შორის კავშირის გაწყვეტა გვემუქრება, ცხადია, პარტიის ხელმძღვანელი როლი მარტო იმით კი არ უნდა გამოიხატოს, რომ დირექტივებს იძლეოდეს, არამედ იმითაც, რომ გარკვეულ პოსტებზე ინიშნებოდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც უნარი ექნებათ გაიგონ ჩვენი დირექტივები და უნარი ექნებათ პატიოსნად გაატარონ ისინი. საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მუშაობასა და ორგანიზაციულ მუშაობას შორის არ შეიძლება გაუვალი ზღვარი გავავლოთ.

საეჭვოა რომელიმე თქვენგანმა ამტკიცოს, საკმარისია კარგი პოლიტიკური ხაზი მივცეთ, და საქმე გათავებულიაო. არა, ეს მხოლოდ საქმის ნახევარია. მას შემდეგ, რაც მოცემულია სწორი პოლიტიკური ხაზი, საჭიროა ისე შევარჩიოთ მუშაკები, რომ პოსტებზე იდგნენ ადამიანები, რომლებსაც შეეძლებათ განახორციელონ დირექტივები, შეეძლებათ

გაიგონ დირექტივები, შეეძლებათ მიიღონ ეს დირექტივები, როგორც საკუთარი გულისნადები, და შეეძლებათ გაატარონ ისინი ცხოვრებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკა აზრს კარგავს, ხელების ქნევად იქცევა. აი რატომ არის, რომ აღრიცხვა-განაწილების განყოფილებას, ე. ი. ცენტრალური კომიტეტის იმ ორგანოს, რომელიც მოწოდებულია აღრიცხოს ჩვენი ძირითადი მუშაკები როგორც დაბლა, ისე მაღლა და გაანაწილოს ისინი, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. აქამდე ისე იყო, რომ აღრიცხვა-განაწილების განყოფილების საქმე იფარგლებოდა ამხანაგების აღრიცხვა-განაწილებით სამაზრო, საგუბერნიო და საოლქო კომიტეტების მიხედვით. ამის იქით აღრიცხვა-განაწილების განყოფილება, უბრალოდ რომ ითქვას, ცხვირს არ სჩრიდა. ახლა, როცა ომი დამთავრებულია, როცა მასობრივი ხელაღებითი მობილიზაციები აღარ ხდება, როცა მათ ყოველგვარი აზრი დაკარგეს, რაც დაამტკიცა ათასი მუშაკის მობილიზაციამ, რომელიც გასულ წელს ცენტრალურ კომიტეტს დაეკისრა და ჩაიფუშა, ვინაიდან ხელაღებითი მობილიზაციები ჩვენს პირობებში, როცა მუშაობა გაღრმავდა, როცა ჩვენ კურსი გვაქვს აღებული სპეციალიზაციაზე, როცა საჭიროა თვითეული მუშაკის ყოველმხრივ შესწავლა, — ხელაღებითი მობილიზაციები მხოლოდ აფუჭებენ საქმეს და არავითარ პლუსს არ აძლევენ ადგილებს, — ახლა აღრიცხვა-განაწილების განყოფილებას უკვე არ შეუძლია საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტების ფარგლებში ჩაიკეტოს.

მე შემეძლო რამდენიმე ციფრი მომეყვანა. XI ყრილობამ ცენტრალურ კომიტეტს დაავალა მოეხდინა სულ ცოტა ათასი მოსკოველი მუშაკის მობილიზაცია. ცენტრალურმა კომიტეტმა სამობილიზაციოდ 1 500-მდე კაცი აღრიცხა. მობილიზებულთა ავადმყოფობისა და ყოველგვარი მიზეზების გამო შესაძლებელი გახდა მხოლოდ 700

კაცის მობილიზება; მათგან რამდენადმე გამოსადეგი, ადგილების შეფასებით, 300 კაცი აღმოჩნდა. აი ფაქტი, რომელიც მოწმობს, რომ ძველი ტიპის ხელაღებითი მობილიზაციები, რაც წინათ ტარდებოდა, ახლა უკვე გამოუსადეგარია, რადგან ჩვენი პარტიული მუშაობა გაღრმავდა, იგი დიფერენცირებული გახდა მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიხედვით, და ადამიანთა ხელაღებით გადასროლ-გადმოსროლა იმას ნიშნავს, რომ, ჯერ ერთი, განუმზადო მათ უმოქმედობა, და, მეორეც, არ დააკმაყოფილო თვით იმ ორგანიზაციების მინიმალური საჭიროებანი, რომლებიც ახალ მუშაკებს მოითხოვენ.

მინდოდა მომეყვანა ჩვენი მრეწველობის მეთაურთა შემადგენლობის შესწავლის ზოგიერთი ციფრი აღრიცხვა-განაწილების განყოფილების მუშაკის სოროკინის მიერ შედგენილი ცნობილი ბროშურიდან [64]. მაგრამ, ვიდრე ამ ციფრებზე გადავიდოდე, უნდა ვთქვა ცოტა რამ იმ რეფორმაზე, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა მუშაკთა აღრიცხვისათვის მის მიერ გაწეული მუშაობის მსვლელობისას გაატარა აღრიცხვა-განაწილების განყოფილებაში. წინათ, როგორც ზემოთ ვილაპარაკე, აღრიცხვა-განაწილების განყოფილება საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტების ჩარჩოებით იფარგლებოდა, ახლა კი, როცა მუშაობა გაღრმავდა, როცა სამშენებლო მუშაობა ყველგან გაჩაღდა, სამაზრო და საგუბერნიო კომიტეტების ჩარჩოებში ჩაკეტვა არ შეიძლება. საჭიროა მოვიცვათ მმართველობის უკლებლივ ყველა დარგი და მრეწველობის მეთაურთა მთელი შემადგენლობა, რომლის შემწეობითაც პარტიას ხელთ უპყრია ჩვენი მეურნეობის აპარატი და ახორციელებს თავის ხელმძღვანელობას. სწორედ ამ აზრით გადაწყვიტა ცენტრალურმა კომიტეტმა გაეფართოებინა აღრიცხვა-განაწილების განყოფილების აპარატი როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, იმ ანგარიშით, **რომ გამგეს ჰყოლოდა** მოადგილეები

სამეურნეო და საბჭოთა ნაწილში და რომ მათ ჰყოლოდათ თავისი თანაშემწეები მეთაურთა შემადგენლობის აღსარიცხავად ადგილებისა და ცენტრის საწარმოებისა და ტრესტების მიხედვით, სამეურნეო ორგანოების მიხედვით, საბჭოებსა და პარტიაში.

ამ რეფორმის შედეგებმა დაუყოვნებლივ იჩინეს თავი. მოკლე ხნის განმავლობაში მოხერხდა აღრიცხული ყოფილიყო მრეწველობის მეთაურთა შემადგენლობა, რომელიც 1 300-მდე დირექტორს მოიცავს. მათგან 29% პარტიული აღმოჩნდა და 70% უპარტიო. შეიძლება გვეჩვენოს, რომ ძირითად საწარმოებში უპარტიონი სჭარბობენ თავიანთი ხვედრითი წონით, მაგრამ ეს მართალი არ არის. ირკვევა, რომ 29% კომუნისტი ხელმძღვანელობს ყველაზე დიდ საწარმოებს, რომლებიც 300 ათასზე მეტ მუშას აერთიანებენ, ხოლო 70% უპარტიო დირექტორი ხელმძღვანელობს საწარმოებს, რომლებიც, სულ ბევრი, 250 ათას მრეწველობის მუშას მოიცავენ. წვრილ საწარმოებს ხელმძღვანელობენ უპარტიოები, ხოლო მსხვილებს — პარტიულები. შემდეგ, პარტიულ დირექტორთა შორის მუშები სამჯერ მეტია, ვიდრე არამუშები. ეს მოწმობს, რომ ძირეული სამრეწველო მშენებლობის ხაზით, ძირითად უჯრედებში, ზედა ორგანოებისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსა და მისი განყოფილებებისაგან განსხვავებით, სადაც კომუნისტები ცოტანი არიან, უკვე დაწყებულია საწარმოთა დაუფლება კომუნისტების ძალებით და უწინარეს ყოვლისა მუშებით. საინტერესოა, რომ თავისი ხარისხით, გამოსადეგობით კომუნისტ დირექტორთა შორის მეტნი აღმოჩნდნენ ვარგისნი, ვიდრე უპარტიოთა შორის. აქედან გამომდინარეობს, რომ პარტია, როცა კომუნისტებს საწარმოებში ანაწილებს, ხელმძღვანელობს არა მარტო წმინდა პარტიული მოსაზრებებით, არა მარტო იმით, რომ გააძლიეროს პარტიის გავლენა საწარმოებში, არამედ საქმიანი მოსაზრე-

ბებითაც. ამით იგებს არა მარტო პარტია, როგორც პარტია, არამედ მთელი მეურნეობის მშენებლობაც, ვინაიდან ვარგისი დირექტორები კომუნისტებს შორის გაცილებით მეტნი არიან, ვიდრე უპარტიოებს შორის.

აი ჩვენი მრეწველობის მეთაურთა შემადგენლობის აღრიცხვის პირველი ცდა, — ახალი ცდა, რომელიც, როგორც ვთქვი, ყველა საწარმოს როდი მოიცავს, ვინაიდან ამ ბროშურაში აღრიცხული 1 300 დირექტორი შეადგენს ყველა იმ საწარმოთა დაახლოებით მხოლოდ ნახევარს, რომლებიც ჯერ კიდევ აღსარიცხავია. მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აქ არე განუზომლად დიდია, და აღრიცხვა-განაწილების განყოფილების მუშაობა სავსებით უნდა გავშალოთ, რათა პარტიას შესაძლებლობა მივცეთ დააკომპლექტოს კომუნისტებით ჩვენი ძირითადი საწარმოების მმართველი ორგანოები და ამით განახორციელოს პარტიის ხელმძღვანელობა სახელმწიფო აპარატის მიმართ.

ამხანაგები უნდა იცნობდნენ იმ წინადადებებს, რომლებიც ცენტრალურ კომიტეტს შემოაქვს ყრილობის განსახილველად ორგანიზაციულ საკითხზე, მხედველობაში აქვს რა როგორც პარტიული, ისე საბჭოთა მხარე. რაც შეეხება საბჭოთა მხარეს, რაზედაც ეს-ეს არის ვილაპარაკე ჩემი ანგარიშის მეორე ნაწილში, ცენტრალურ კომიტეტს განზრახული ჰქონდა ეს საკითხი დაწვრილებით განხილვის მიზნით წარედგინა სპეციალური სექციისათვის, რომელმაც უნდა შეისწავლოს ამ საკითხის როგორც პარტიული, ისე საბჭოთა მხარე, და შემდეგ უკვე წარედგინა ყრილობისათვის განსახილველად თავისი მოსაზრებანი.

გადავდივარ ანგარიშის მესამე ნაწილზე: პარტიის, როგორც ორგანიზმის, და პარტიის, როგორც აპარატის შესახებ.

უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა ჩვენი პარტიის რაოდენობრივ შემადგენლობაზე. ციფრები

მოწმობენ, რომ გასულ წელს, XI ყრილობისათვის, პარტიაში იყო 400 ათას კაცზე რამდენიმე ათეული ათასით მეტი. წელს, პარტიის შემდგომი შემცირების გამო, იმის გამო, რომ მთელ რიგ ოლქებში პარტია განთავისუფლდა არაპროლეტარული ელემენტებისაგან, პარტია უფრო მცირერიცხოვანი გახდა, — 400 ათასზე ცოტათი ნაკლები. ეს მინუსი კი არ არის, არამედ პლუსია, ვინაიდან სოციალური შემადგენლობით პარტია გაუმჯობესდა. ჩვენი პარტიის განვითარებაში მისი სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესების აზრით ყველაზე საინტერესო ის არის, რომ წინათ არსებული ტენდენცია მუშური ელემენტის ხარჯზე პარტიის არაპროლეტარული ელემენტების ზრდისა საანგარიშო წელს შეწყდა, რომ დაიწყო გარდატეხა, დაისახა გარკვეული გადახრა ჩვენი პარტიის მუშური შემადგენლობის პროცენტის გადიდებისაკენ მისი არაპროლეტარული შემადგენლობის ხარჯზე. ეს სწორედ ის წარმატებაა, რომლის მიღწევასაც ჩვენ ვცდილობდით წმენდამდე და რომელსაც ჩვენ ახლა მივაღწიეთ. ვერ ვიტყვი, თითქოს ამ დარგში ყველაფერი იყოს გაკეთებული, — სრულიადაც არ არის ყველაფერი გაკეთებული. მაგრამ გარდატეხას ჩვენ მივაღწიეთ, ერთგვაროვნობის გარკვეულ მინიმუმს მივაღწიეთ, პარტიის მუშური შემადგენლობა უზრუნველვყავით, და, აშკარაა, შემდგომ მოგვიხდება ამ გზით სვლა პარტიის არაპროლეტარული ელემენტების შემდგომი შემცირებისა და პროლეტარული ელემენტების შემდგომი ზრდის აზრით. ის ღონისძიებანი, რომლებსაც ცენტრალური კომიტეტი აყენებს ჩვენი პარტიის შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მოცემულია ცენტრალური კომიტეტის წინადადებებში, და მათ მე არ გავიმეორებ. აშკარაა, რომ საჭირო გახდება გავაძლიეროთ ზღუდეები არაპროლეტარული ელემენტების მოზღვავების წინააღმდეგ, ვინაიდან ახლა, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირო-

ბებში, როცა პარტია უეჭველად განიცდის ნეპური ელემენტების გამხრწნელ გავლენას, აუცილებელია მივაღწიოთ ჩვენი პარტიის ერთგვაროვნობის მაქსიმუმს და, ყოველ შემთხვევაში, იმას, რომ მუშური ელემენტი გადაჭრით სჭარბობდეს არამუშურ ელემენტს. პარტიამ ეს უნდა გააკეთოს, ის ვალდებულიცაა ეს გააკეთოს, თუ მას სურს შეინარჩუნოს თავი, როგორც მუშათა კლასის პარტიამ.

გადავდივარ საგუბერნიო კომიტეტების ცხოვრებისა და მათი საქმიანობის საკითხზე. პრესაში, ზოგიერთ სტატიაში, ხშირად ატანს ირონიული ხმები საგუბერნიო კომიტეტების მისამართით, ხშირად დასცინიან საგუბერნიო კომიტეტებს, ჯეროვნად ვერ აფასებენ მათს საქმიანობას. მე კი უნდა ვთქვა, ამხანაგებო, რომ გუბკომები — ეს ჩვენი პარტიის ძირითადი დასაყრდენია, და უიმათოდ, უგუბკომებოდ, როგორც საბჭოთა, ისე პარტიული მუშაობისათვის მათი მხრივ ხელმძღვანელობის გაუწევლად პარტია უნიადაგოდ დარჩებოდა. გუბკომების ყველა ნაკლის მიუხედავად, იმის მიუხედავად, რომ დეფექტები ჯერ კიდევ არის, მიუხედავად ეგრეთწოდებული კინკლაობისა გუბკომებში, მიუხედავად ჭინჭყლისა, საერთოდ გუბკომები ჩვენი პარტიის ძირითადი დასაყრდენია.

როგორ ცხოვრობენ და როგორ ვითარდებიან გუბკომები? მე წავიკითხე გუბკომების წერილები 10 თვის წინათ, როცა ჩვენი გუბკომების მდივნები ჯერ კიდევ იბნეოდნენ მეურნეობის საქმეებში და შეგუებულნი არ იყვნენ ახალ პირობებთან. მერე, 10 თვის შემდეგ წავიკითხე ახალი წერილები, წავიკითხე კმაყოფილებით, სიხარულით, რადგან ამ წერილებიდან ჩანს, რომ გუბკომები გაიზარდნენ, ისინი უკვე შევიდნენ საქმის კურსში, უშუალოდ მიუახლოვდნენ სამშენებლო მუშაობას, მოაწესრიგეს ადგილობრივი ბიუჯეტი, დაეუფლნენ ადგილობრივი მასშტაბის მეურნეობას და ნამდვილად შეძლეს სათავეში ჩა-

დგომოდნენ თავისი გუბერნიის მთელ სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებას. ეს, ამხანაგებო, დიდი მონაპოვარია. უეჭველია, ნაკლოვანებანიც არის გუბკომებში, მაგრამ უნდა ვთქვა, გუბკომების პარტიული და სამეურნეო გამოცდილების ეს ზრდა რომ არ ყოფილიყო, წინ რომ არ გადაგვედგა ეს ვეებერთელა ნაბიჯი ადგილობრივი სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების ხელმძღვანელობის საქმეში გუბკომების სიმწიფის ზრდის აზრით, ჩვენ მაშინ შესაძლებლობაც კი არ გვექნებოდა გვეოცნება იმაზე, რომ პარტიას როდისმე ხელი მოეკიდა სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელობისათვის.

ლაპარაკობენ გუბკომებში არსებულ კინკლაობასა და შეხლა-შემოხლაზე. უნდა ვთქვა, რომ კინკლაობასა და შეხლა-შემოხლას, გარდა უარყოფითი მხარეებისა, კარგი მხარეებიც აქვს. კინკლაობისა და ჭინჭყლის ძირითად წყაროს წარმოადგენს გუბკომების მისწრაფება — შექმნან თავის შიგნით შედუღაბებული ბირთვი, დარაზმული ბირთვი, რომელსაც შეეძლება შეუფერხებლად გასწიოს ხელმძღვანელობა. ეს მიზანი და ეს მისწრაფება სავსებით ჯანსაღი და კანონიერია, თუმცა მათ მიღწევას ხშირად ისეთი გზებით ცდილობენ, რომლებიც მიზნებს არ შეესაბამებიან. ეს აიხსნება ჩვენი პარტიის მრავალგვაროვნობით, — იმით, რომ პარტიაში არიან ძირითადი და ახალგაზრდა წევრები, პროლეტარები და ინტელიგენტები, ცენტრისა და განაპირა მხარეთა ადამიანები, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, ამასთან მთელ ამ სხვადასხვაგვარ ელემენტებს, რომლებიც გუბკომებში შედიან, სხვადასხვანაირი ზნენი, ტრადიციები შეაქვთ, და ამ ნიადაგზე წარმოიშობა შეხლა-შემოხლა, კინკლაობა. მაინც, კინკლაობისა და შეხლა-შემოხლის $^{9}/_{10}$-ს, მათი ფორმების შეუწყნარებლობის მიუხედავად, აქვს ჯანსაღი მისწრაფება — მიაღწიონ იმას, რომ შექმნან ბირთვი, რომელსაც შეეძლება უხელმძღვანელოს

მუშაობას. საჭირო არ არის მტკიცება—ასეთი ხელმძღვანელი ჯგუფები გუბკომებში რომ არ ყოფილიყვნენ, ყველაფერი ისე რომ ყოფილიყო შეკოწიწებული, «კარგსა» და «ცუდს» ერთიმეორე შეეთანასწორებინა, — გუბერნიაში არავითარი ხელმძღვანელობა არ იქნებოდა, ვერავითარ სასურსათო გადასახადს ჩვენ ვერ შევაგროვებდით და ვერავითარ კამპანიას ვერ ჩავატარებდით. აი კინკლაობის ის ჯანსაღი მხარე, რომელიც არ უნდა დაიჩრდილოს იმით, რომ იგი ზოგჯერ მახინჯ ფორმებს იღებს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ პარტია არ უნდა ებრძოდეს კინკლაობას, მეტადრე როცა იგი პირად ნიადაგზე წარმოიშობა.

ასეა გუბკომების საქმე.

მაგრამ ჩვენი პარტიის ძალა გუბკომებს ქვემოთ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის ისე დიდი, როგორც ეს შეიძლებოდა მოგვჩვენებოდა. ჩვენი პარტიის ძირითადი სისუსტე აპარატის დარგში — ეს არის სწორედ ჩვენი სამაზრო კომიტეტების სისუსტე, რეზერვების — სამაზრო მდივნების უყოლობა. ვფიქრობ, რომ თუ ჩვენ ძირითადი აპარატები, რომლებიც ჩვენს პარტიას მუშათა კლასთან აკავშირებენ, — აპარატები, რომელთა შესახებაც ჩემი ანგარიშის პირველ ნაწილში ვილაპარაკე, — ჯერ კიდევ მთლიანად არა გვაქვს ხელთ (მე მხედველობაში მაქვს ძირეული უჯრედები, კოოპერატივები, ქალთა სადელეგატო კრებები, ახალგაზრდობის კავშირები და სხვ.), თუ საგუბერნიო ორგანოები ჯერ კიდევ ვერ დაუფლებიან ამ აპარატებს, — ეს სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ერთობ სუსტნი ვართ მაზრებში.

ეს მე ძირითად საკითხად მიმაჩნია.

ვფიქრობ, რომ ჩვენი პარტიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა შექმნას ცენტრალურ კომიტეტთან სკოლა სამაზრო მდივნებისა ყველაზე ერთგული და ნიჭიერი ადამიანე-

ბისაგან, გლეხებისა და მუშებისაგან. პარტიამ მომავალ წელს იმას რომ მიაღწიოს, რომ თავის გარშემო შემოიკრიბოს რეზერვი მაზრის 200 თუ 300 მდივნის რაოდენობით, რომლებიც შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა გუბკომების დასახმარებლად გადაგვეცა, რათა უკანასკნელებისათვის გაგვეადვილებინა მაზრებში მუშაობის ხელმძღვანელობის საქმე, ამით პარტია უზრუნველყოფდა მასობრივი ხასიათის ყველა გადამცემი აპარატის ხელმძღვანელობას. მაშინ ჩვენ არც ერთი სამომხმარებლო კოოპერატივი, არც ერთი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, არც ერთი ფაბქარხკომი, ქალთა არც ერთი სადელეგატო კრება, ახალგაზრდობის კავშირის არც ერთი უჯრედი, მასობრივი ხასიათის არც ერთი აპარატი არ გვექნებოდა ისე, რომ იქ პარტიის უპირატესი გავლენა არ ყოფილიყო.

ახლა საოლქო ორგანოების შესახებ. გასულმა წელმა ცხადყო, რომ პარტია და ცენტრალური კომიტეტი მართალი იყვნენ, როცა მათ შექმნეს საოლქო ორგანოები, ნაწილობრივ არჩევითნი, ნაწილობრივ დანიშნულნი. დარაიონების საკითხის მთლიანად განხილვისას ცენტრალური კომიტეტი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პარტიის საოლქო ორგანოების მოწყობის საქმეში თანდათან უნდა გადავიდეთ დანიშვნების პრინციპიდან არჩევითობის პრინციპზე, და ითვალისწინებდა, რომ ასეთი გადასვლა, უეჭველია, შექმნის ხელსაყრელ მორალურ ატმოსფეროს პარტიის საოლქო კომიტეტების ირგვლივ და გაუადვილებს ცენტრალურ კომიტეტს პარტიის ხელმძღვანელობას.

გადავდივარ პარტიის ცენტრალური ორგანოების გაუმჯობესების საკითხზე. თქვენ, ალბათ, წაკითხული გექნებათ ცენტრალური კომიტეტის წინადადებანი იმის შესახებ, რომ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ფუნქციები სავსებით ნათლად და ზუსტად გაიმიჯნოს ორგბიუროსა და პოლიტბიუროს ფუნქციებისაგან. არც კია საჭირო ამ სა-

კითხის განსაკუთრებული განმარტება, ვინაიდან იგი თავისთავად ცხადია. მაგრამ არის ერთი საკითხი, — თვით ცენტრალური კომიტეტის გაფართოებისა, — საკითხი, რომელიც რამდენიმეჯერ იყო განხილული ცენტრალური კომიტეტის შიგნით, და რომელმაც ერთ დროს სერიოზული კამათი გამოიწვია. არის ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი წევრი, რომლებიც ფიქრობენ, რომ კი არ უნდა გავადიდოთ, არამედ კიდევაც უნდა შევამციროთ ცენტრალური კომიტეტის წევრთა რიცხვი. მათს მოტივებს მე არ გადმოგცემთ: დაე ამხანაგებმა თვითონ გამოთქვან თავიანთი აზრი. მე მოკლედ მოვიყვან მოტივებს ცენტრალური კომიტეტის გაფართოების სასარგებლოდ.

ახლა საქმის ვითარება ჩვენი პარტიის ცენტრალურ აპარატში ასეთია: გვყავს ცენტრალური კომიტეტის 27 წევრი. ცენტრალური კომიტეტი ორ თვეში ერთხელ იკრიბება, ხოლო ცენტრალური კომიტეტის შიგნით არის 10—15 კაცისაგან შემდგარი ბირთვი, რომლებიც იმდენად დახელოვნდნენ ჩვენი ორგანოების პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის ხელმძღვანელობის საქმეში, რომ ლამის არის თავისებურ ჭურუმებად გადაიქცნენ ხელმძღვანელობის დარგში. ეს, იქნებ, კარგიცაა, მაგრამ ამას მეტად საშიში მხარეც აქვს: ეს ამხანაგები, რომლებმაც ხელმძღვანელობის დიდი გამოცდილება შეიძინეს, შეიძლება თავმომწონეობით დასნეულდნენ, თავის თავში ჩაიკეტონ და მასებში მუშაობას მოსწყდნენ. თუ ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი წევრი ან, ვთქვათ, 15 კაცისაგან შემდგარი ბირთვი ისეთი გამოცდილნი გახდნენ და ისე გაიწაფნენ, რომ მითითებათა შემუშავების საქმეში ათიდან 9 შემთხვევაში შეცდომას არ დაუშვებენ, ეს ძალიან კარგია. მაგრამ თუ მათ თავის ირგვლივ არა ჰყავთ ადგილებზე მუშაობასთან მჭიდროდ დაკავშირებულ მომავალ ხელმძღვანელთა ახალი თაობა, ამ

მაღალკვალიფიციურ ადამიანებს ყველა შანსი აქვთ, რომ გაიყინონ და მასებს მოსწყდნენ.

მეორეც, ცენტრალური კომიტეტის შიგნით არსებული ბირთვი, რომელიც ხელმძღვანელობის საქმეში ძალიან გაიზარდა, ბერდება, მას ცვლა ესაჭიროება. თქვენ იცით ვლადიმერ ილიას-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობა. თქვენ იცით, რომ ცენტრალური კომიტეტის ძირითადი ბირთვის დანარჩენი წევრებიც საკმაოდ მოიქანცნენ. ახალი ცვლა კი ჯერ კიდევ არ არის, — აი რაშია უბედურება. პარტიის ხელმძღვანელთა შექმნა მეტად ძნელია: ამისათვის საჭიროა წლები, 5 — 10 წელი, 10-ზე მეტიც. გაცილებით უფრო ადვილია დაიპყრო ესა თუ ის ქვეყანა ამხ. ბუდიონის კავალერიის საშუალებით, ვიდრე ქვედაფენებიდან გამოსჭედო 2 — 3 ხელმძღვანელი, რომლებსაც მომავალში შეეძლებათ ქვეყნის ნამდვილი ხელმძღვანელები გახდნენ. და დროა ვიფიქროთ იმაზე, რომ ახალი ცვლა გამოვჭედოთ. ამისათვის ერთი საშუალება არსებობს — ჩავაბათ ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში ახალი, ჯანღონით სავსე მუშაკები და მუშაობის მსვლელობაში ავამაღლოთ ისინი, ავამაღლოთ ყველაზე უფრო ნიჭიერი და დამოუკიდებელი ადამიანები, რომლებსაც მხრებზე თავი ებმებათ. ხელმძღვანელებს წიგნით ვერ შექმნი. წიგნი გვეხმარება წინ წავიწიოთ, მაგრამ თვითონ ხელმძღვანელს ვერ შექმნის. ხელმძღვანელი მუშაკები მხოლოდ თვით მუშაობის პროცესში იზრდებიან. მხოლოდ იმ გზით, თუ ცენტრალურ კომიტეტში ავირჩევთ ახალ ამხანაგებს და საშუალებას მივცემთ მათ გამოსცადონ ხელმძღვანელობის მთელი სიმძიმე, — მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ჩვენთვის ახლანდელ ვითარებაში ესოდენ საჭირო ცვლის მომზადებას. აი რატომ ვფიქრობ, რომ უდიდესი შეცდომა იქნებოდა ყრილობის მხრივ, თუ იგი არ დაეთანხმებოდა ცენტრალური კომიტეტის წინადადებას მისი 40 კაცამდე მაინც გაფართოების შესახებ.

ვამთავრებ რა მოხსენებას, უნდა აღვნიშნო ერთი ფაქტი, რომელიც, — იქნებ, იმიტომ, რომ იგი ძალიან ცნობილია, — არ გვხვდება თვალში, მაგრამ რომელიც უნდა აღინიშნოს, როგორც დიდი მნიშვნელობის ფაქტი. ეს არის ჩვენი პარტიის ის შეკავშირებულობა, ის უმაგალითო დარაზმულობა, რომელმაც ჩვენს პარტიას შესაძლებლობა მისცა თავიდან აეცილებინა გათიშვა ისეთი შემობრუნებისას, როგორიც ახალი ეკონომიური პოლიტიკაა. ვერც ერთი პარტია მსოფლიოში, ვერც ერთი პოლიტიკური პარტია ასეთ მძაფრ შემობრუნებას ვერ გაუძლებდა დაუბნევლად, გაუთიშავად, უიმისოდ, რომ პარტიული ურმიდან ესა თუ ის ჯგუფი არ გადავარდნილიყო. როგორც ცნობილია, ასეთი შემობრუნებანი იწვევენ იმას, რომ განსაზღვრული ჯგუფი ურმიდან ვარდება, და პარტიაში იწყება თუ გათიშვა არა, დაბნეულობა მაინც. ჩვენ გვქონდა ასეთი შემობრუნება ჩვენი პარტიის ისტორიაში 1907 და 1908 წლებში, როცა 1905 და 1906 წლების შემდეგ ჩვენ, რევოლუციურ ბრძოლას შეჩვეულთ, არ გვსურდა ყოველდღიურ, ლეგალურ მუშაობაზე გადავსულიყავით, არ გვსურდა სათათბიროში წავსულიყავით, არ გვსურდა გამოგვეყენებინა ლეგალური დაწესებულებანი, არ გვსურდა გაგვეძლიერებინა ჩვენი პოზიციები ლეგალურ ორგანოებში და საერთოდ გავურბოდით ახალ გზებს. ეს ისეთი მძაფრი შემობრუნება არ ყოფილა, როგორიც არის ახალი ეკონომიური პოლიტიკა, მაგრამ, აშკარაა, ჩვენ მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდები ვიყავით, როგორც პარტია, ჩვენ არ გვქონდა გამოცდილება მანევრირების დარგში, და საქმე იმით გათავდა, რომ მაშინ მთელი ორი ჯგუფი ჩამოვარდა ურმიდან. ახლანდელი შემობრუნება ახალი ეკონომიური პოლიტიკისაკენ ჩვენი შეტევის პოლიტიკის შემდეგ — მძაფრი შემობრუნებაა. და აი ამ შემობრუნებისას, როცა პროლეტარიატს დროებით უარი უნდა ეთქვა შეტევაზე და ძველი პოზიციებისაკენ

დაეხია, როცა პროლეტარიატი უნდა შებრუნებულიყო გლეხური ზურგისაკენ, რომ მასთან კავშირი არ გაეწყვიტა, როცა პროლეტარიატს უნდა ეფიქრა იმაზე, რომ თავისი რეზერვები აღმოსავლეთსა და დასავლეთში გაეძლიერებინა, განემტკიცებინა, — ასეთი მძაფრი შემობრუნებისას პარტიამ არათუ გაუთიშავად გაიტანა თავი, არამედ დაუბნევლადაც განახორციელა იგი.

ეს მოწმობს პარტიის უმაგალითო მოქნილობას, შეკავშირებულობასა და დარაზმულობას.

ეს არის იმის საწინდარი, რომ ჩვენი პარტია გაიმარჯვებს.

გასულ წელს, და ამ წელსაც, ჩხაოდნენ და ჩხავიან ჩვენი მტრები, რომ ჩვენს პარტიაში გახრწნაა. მაგრამ, ახალ ეკონომიურ პოლიტიკას რომ ვიწყებდით, ჩვენ შევინარჩუნეთ ჩვენი პოზიციები, შევინარჩუნეთ სახალხო მეურნეობის ძაფები, და პარტია განაგრძობს შეკავშირებულად, როგორც ერთი კაცი, წინსვლას, მაშინ როცა ჩვენი მოწინააღმდეგენი მართლაც იხრწნებიან და ისპობიან. თქვენ, ალბათ, გაიგონებდით, ამხანაგებო, რომ ამ ცოტა ხნის წინათ მოსკოვში შედგა ესერების ყრილობა[65]. ყრილობამ გადაწყვიტა მიემართა ჩვენი ყრილობისათვის თხოვნით, რომ გაგვეღო მათთვის ჩვენი პარტიის კარები. გარდა ამისა, თქვენ, ალბათ, გაიგონებდით, რომ მენშევიზმის ყოფილი ციხე-სიმაგრე, საქართველო, სადაც მენშევიკების პარტიის სულ ცოტა 10 000 წევრია, — მენშევიზმის ეს ციხე-სიმაგრე უკვე ინგრევა, და პარტიის 2 ათასამდე წევრი უკვე გავიდა მენშევიკების რიგებიდან. ეს თითქოს მოწმობს არა იმას, რომ ჩვენი პარტია იხრწნებოდეს, არამედ იმას, რომ ისინი, ჩვენი მოწინააღმდეგენი, იხრწნებიან. დასასრულ, თქვენ, ალბათ, იცით, რომ მენშევიზმის ერთ-ერთი ყველაზე პატიოსანი და საქმიანი მუშაკი — ამხ. მარტინოვი — წავიდა მენშევიკების რიგებიდან, ამასთან ცენტრალურმა

კომიტეტმა პარტიაში მიიღო იგი და შემოაქვს თავისი წინადადება ყრილობაზე, რომ ყრილობამ დაამტკიცოს ეს მიღება. (ნაწილობრივ ტაში). ყველა ეს ფაქტი, ამხანაგებო, მოწმობს არა იმას, რომ ჩვენს პარტიაში საქმეები ცუდად იყოს, არამედ იმას, რომ მათთან, ჩვენს მოწინააღმდეგეებთან, დაიწყო გახრწნა მთელი ხაზით, ჩვენი პარტია კი დარჩა შეკავშირებული, დარაზმული, რომ მან გაუძლო უდიდეს შემობრუნებას და რომ ის ფართოდ გაშლილი დროშით მიდის წინ. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

2. საბოლოო სიტყვა ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციული ანგარიშის გამო

19 აპრილი

ამხანაგებო! საბოლოო სიტყვა ორ ნაწილს შეიცავს: პირველ ნაწილში ლაპარაკი იქნება ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ პრაქტიკაზე, რამდენადაც მას ორატორები აკრიტიკებდნენ, ხოლო მეორე ნაწილში ლაპარაკი იქნება ცენტრალური კომიტეტის იმ ორგანიზაციულ წინადადებებზე, რომლებიც ორატორებს არ გაუკრიტიკებიათ და რომლებსაც ყრილობა, როგორც ეტყობა, ეთანხმება.

ჯერ ვიტყვი რამდენიმე სიტყვას ცენტრალური კომიტეტის მოხსენების კრიტიკოსებზე.

ლუტოვინოვის შესახებ. ის კმაყოფილი არ არის ჩვენი პარტიის რეჟიმით: არ არის სიტყვის თავისუფლება ჩვენს პარტიაში, არ არის ლეგალობა, არ არის დემოკრატიზმიო. მან, რა თქმა უნდა, იცის, რომ უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში ცენტრალურ კომიტეტს ესოდენ დემოკრატიულად არასოდეს არ მოუმზადებია ყრილობა, როგორც ახლა. მან იცის, რომ თებერვლის პლენუმის დამთავრებისთანავე ცენტრალური კომიტეტის წევრები და ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები გაემგზავრნენ ჩვენი ფედერაციის ყველა კუთხეში და მოხსენებებს აკეთებდნენ ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ. მან, ლუტო-

ვინოვმა, უნდა იცოდეს, რომ ჩვენ უკვე გვაქვს ოთხი ნომერი სადისკუსიო ფურცლისა[66], სადაც წაღმა-უკუღმა, სწორედ წაღმა-უკუღმა, არჩევენ ცენტრალური კომიტეტის მუშაობას, ლაპარაკობენ მასზე. მაგრამ ეს მისთვის, ლუტოვინოვისათვის, ცოტაა. მას სურს «ნამდვილი» დემოკრატიზმი, რათა ყველა საკითხი, ყოველ შემთხვევაში, უმნიშვნელოვანესი საკითხები განიხილებოდეს ყველა უჯრედში თავიდან ბოლომდე, რათა მთელი პარტია თვითეული საკითხის გამო მოძრაობაში მოდიოდეს და მონაწილეობას იღებდეს საკითხის განხილვაში. მაგრამ, ამხანაგებო, ახლა, როცა ჩვენ ხელისუფლების სათავეში ვდგავართ, როცა ჩვენ პარტიის 400 ათასი წევრი მაინც გვყავს, როცა ჩვენ სულ ცოტა 20 ათასი უჯრედი გვაქვს, მე არ ვიცი, თუ რას გამოიწვევდა ასეთი წესი. ასეთი წესის დროს პარტია მუდამ მოლაყბეთა და არაფრის გადამწყვეტთა სადისკუსიო კლუბად გადაიქცეოდა. ამავე დროს კი ჩვენი პარტია უწინარეს ყოვლისა უნდა იყოს მოქმედი, ვინაიდან ჩვენ ხელისუფლების სათავეში ვდგავართ.

გარდა ამისა, ლუტოვინოვი ივიწყებს, რომ თუმცა ჩვენ ფედერაციის შიგნით ხელისუფლების სათავეში ვდგავართ და ლეგალობის ყველა შეღავათით ვსარგებლობთ, მაგრამ საერთაშორისო თვალსაზრისით ჩვენ განვიცდით იმის ანალოგიურ პერიოდს, როგორსაც 1912 წელს განვიცდიდით, როცა პარტია ნახევრადლეგალური, უფრო კი არალეგალური იყო, როცა პარტიას ჰქონდა ზოგიერთი ლეგალური ხელმოსაჭიდი სათათბიროს ფრაქციის სახით, ლეგალური გაზეთების სახით, კლუბების სახით, როცა პარტია, ამასთან ერთად, გარშემორტყმული იყო მოწინააღმდეგეებით, და როცა ის ცდილობდა დაეგროვებინა თავისი ძალები იმისათვის, რომ წინ წასულიყო და ლეგალური ჩარჩოები გაეფართოებინა. მსგავს პერიოდს განვიცდით ახლა ჩვენ საერთაშორისო მასშტაბით. ჩვენ გარშემორტყმული ვართ

მტრებით, — ეს ყველასათვის ნათელია. იმპერიალიზმის მგლებს, რომლებიც ჩვენ გარს გვარტყიან, არ სძინავთ. არ არის არც ერთი ისეთი მომენტი, როცა ჩვენი მტრები არ ცდილობდნენ ხელთ იგდონ რაიმე ხვრელი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა შემოძრომა და ჩვენთვის ვნების მოყენება. საფუძველი არა გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ჩვენი მტრები, რომლებიც გარს გვარტყიან, არ ეწეოდნენ რაიმე მოსამზადებელ მუშაობას ბლოკადის ან ინტერვენციის ხაზით. აი როგორია მდგომარეობა. განა შეიძლება ასეთი ვითარების დროს ომისა და მშვიდობის ყველა საკითხი ქუჩაში გამოიტანო? საკითხის 20 ათასი უჯრედის კრებებზე განხილვა ხომ იმას ნიშნავს, რომ საკითხი ქუჩაში გამოიტანო. რა მოგვივიდოდა, მთელი ჩვენი წინასწარი მუშაობა გენუის კონფერენციისათვის წინასწარ ქუჩაში რომ გამოგვეტანა? ჩვენ სამარცხვინოდ დავმარცხდებოდით. უნდა გვახსოვდეს, რომ იმ პირობებში, როცა ჩვენ მტრებით ვართ გარშემორტყმულნი, უეცარი დარტყმა ჩვენის მხრივ, მოულოდნელი მანევრი, სისწრაფე ყველაფერს წყვეტს. რა მოგვივიდოდა მაშინ, თუ ნაცვლად იმისა, რომ პარტიის ნდობით აღჭურვილ პირთა ვიწრო წრეში განგვეხილა ჩვენი პოლიტიკური კამპანია ლოზანის კონფერენციაზე, ქუჩაში გამოვიტანდით მთელ ამ მუშაობას, გამოვამჟღავნებდით ჩვენს ზრახვებს? მტრები გაითვალისწინებდნენ ყველა მინუსს და პლუსს, ჩაშლიდნენ ჩვენს კამპანიას, და შერცხვენილნი წამოვიდოდნენ ლოზანიდან. რა მოგვივიდოდა, ომისა და მშვიდობის საკითხები, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები ყველა მნიშვნელოვან საკითხთა შორის, წინასწარ ქუჩაში რომ გამოგვეტანა, ვინაიდან, ვიმეორებ, საკითხების 20 ათასი უჯრედის განსახილველად გამოტანა იმას ნიშნავს, რომ საკითხები ქუჩაში გამოიტანო? ჩვენ მყისვე გაგვაცამტვერებდნენ. ცხადია, ამხანაგებო, რომ როგორც

ორგანიზაციული, ისე პოლიტიკური მოსაზრებებით ლუტოვინოვის ეგრეთწოდებული დემოკრატიზმი ფანტაზიაა, დემოკრატიული მანილოვობაა. იგი ყალბი და სახიფათოა. ჩვენ ლუტოვინოვთან საერთო გზა არა გვაქვს.

გადავდივარ ოსინსკიზე. იგი ჩაებღაუჭა ჩემს ფრაზას, რომ ცენტრალური კომიტეტის გაფართოებისას ჩვენ მის შემადგენლობაში დამოუკიდებელი ადამიანები უნდა შევიყვანოთ. დიახ, დიახ, სორინ, დამოუკიდებელი, და არა თავისთავადი ადამიანები. ოსინსკის ჰგონია, რომ ამ პუნქტში მე რამდენადმე დავუკავშირდი ოსინსკის, დემოკრატიულ ცენტრალიზმს [17]. მე მართლაც ვთქვი, რომ საჭიროა ცენტრალური კომიტეტი დამოუკიდებელი ამხანაგებით შეივსოს. დამოუკიდებლებით რისგან, — ეს მე არ მითქვამს, რადგან იმთავითვე ვიცოდი, რომ ხელსაყრელი არ არის ამოსწურო **ყველა საკითხი ძირითად** სიტყვაში, საჭიროა ზოგი რამ საბოლოო სიტყვისთვისაც შემოინახო. (სიცილი. ტაში). ჩვენ გვჭირდება დამოუკიდებელი ადამიანები ცენტრალურ კომიტეტში, მაგრამ დამოუკიდებელნი არა ლენინიზმისაგან, — არა, ამხანაგებო, ღმერთმა დაგვიფაროს! ჩვენ გვჭირდება დამოუკიდებელი ადამიანები, თავისუფალნი პირად გავლენათაგან, ცენტრალური კომიტეტის შიგნით ბრძოლის იმ ჩვევებისა და ტრადიციებისაგან, რომლებიც ჩვენში შეიქმნა და რომლებიც ცენტრალური კომიტეტის შიგნით ზოგჯერ შეშფოთებას იწვევენ. თქვენ გეხსომებათ ამხ. ლენინის სტატია. იქ ლაპარაკია იმაზე, რომ ჩვენ გვაქვს გათიშვის პერსპექტივა. რადგან ამხ. ლენინის სტატიის ამ ადგილის გამო ორგანიზაციებს შეიძლებოდა მოჩვენებოდათ, რომ ჩვენში გათიშვა უკვე მწიფდება, ცენტრალური კომიტეტის წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს გაეფანტათ შესაძლო ეჭვები და თქვეს, რომ ცენტრალურ კომიტეტში არავითარი გათიშვა არ არის, რაც სავსებით შეესაბამება სინამდვილეს. მაგრამ ცენტრა-

ლურმა კომიტეტმა აგრეთვე თქვა, რომ გათიშვის პერსპექტივა გამორიცხული არ არის. და ეს სავსებით სწორია. მუშაობის მსვლელობაში ცენტრალური კომიტეტის შიგნით უკანასკნელი 6 წლის მანძილზე შეიქმნა (არ შეიძლებოდა არ შექმნილიყო) შინაცეკისტური ბრძოლის ზოგიერთი ჩვევა და ზოგიერთი ტრადიცია, რომლებიც ზოგჯერ, არც თუ სავსებით კარგ ატმოსფეროს წარმოშობენ. მე ამ ატმოსფეროს ვამჩნევდი ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ უკანასკნელ პლენუმზე — თებერვლის პლენუმზე, და აი იქ მე შევნიშნე, რომ ადგილებიდან ჩამოსულ ადამიანთა ჩარევა ხშირად წყვეტს ყველაფერს. ჩვენ გვჭირდება ამ ტრადიციებისაგან და ამ პირად გავლენათაგან დამოუკიდებელი ადამიანები იმისათვის, რომ ისინი, როცა ცენტრალურ კომიტეტში შევლენ და იქ დადებითი მუშაობისა და ადგილებთან კავშირის გამოცდილებას მიიტანენ, გადაიქცნენ იმ დუღაბად, რომელიც შეძლებდა შეეკავშირებინა ცენტრალური კომიტეტი, როგორც ერთიანი და განუყოფელი კოლექტივი, რომელიც ჩვენს პარტიას ხელმძღვანელობს. ასეთი დამოუკიდებელი ამხანაგები, ცენტრალური კომიტეტის შიგნით შექმნილი ძველი ტრადიციებისაგან თავისუფალნი, ჩვენ გვჭირდება სწორედ როგორც ისეთი ადამიანები, რომლებსაც შემოაქვთ ახალი, მაცოცხლებელი ელემენტი, რაც შეაკავშირებს ცენტრალურ კომიტეტს და თავიდან აგვაცილებს ცენტრალური კომიტეტის შიგნით გათიშვის ყველა და ყოველგვარ შესაძლებლობას. ამ თვალსაზრისით ვლაპარაკობდი მე დამოუკიდებელ ადამიანებზე.

არ შემიძლია, ამხანაგებო, გვერდი ავუარო ოსინსკის იმ საძრახის საქციელს, რომელიც მან დაუშვა ზინოვიევის მიმართ. მან შეაქო ამხ. სტალინი, შეაქო კამენევი და წიხლი ჰკრა ზინოვიევს იმ ვარაუდით, რომ ჯერ საკმარისია ჩამოიცილო ერთი, შემდეგ კი სხვების ჯერიც დადგებაო.

მან კურსი აიღო იმ ბირთვის დაშლაზე, რომელიც შეიქმნა ცენტრალური კომიტეტის შიგნით მთელი წლების მუშაობის მანძილზე, იმ ანგარიშით, რომ თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ, დაშალოს ყველაფერი. თუ ოსინსკი სერიოზულად ფიქრობს ასეთი მიზანი დაისახოს, თუ ის სერიოზულად ფიქრობს ასეთი იერიშები მოიტანოს ჩვენი ცენტრალური კომიტეტის ბირთვის ამა თუ იმ წევრის წინააღმდეგ, უნდა გავაფრთხილო, რომ ის წააწყდება ისეთ კედელს, რომელზეც, ვშიშობ, თავს გაიტეხს.

დასასრულ, მდივანის შესახებ. ნება მომეცით ვთქვა რამდენიმე სიტყვა ამ საკითხის გამო, რომელმაც მთელ ყრილობას მოაბეზრა თავი. მდივანი ლაპარაკობდა მერყეობაზე ცენტრალურ კომიტეტში: დღეს, ვითომ, გადაწყვეტენ ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანებას, ხვალ მოდის გადაწყვეტილება, რომ ეს რესპუბლიკები ფედერაციად გაერთიანდნენ, ზეგ — მესამე გადაწყვეტილება, რომ ყველა საბჭოთა რესპუბლიკა გაერთიანდეს რესპუბლიკების კავშირად. ამას ის ცენტრალური კომიტეტის მერყეობას უწოდებს. მართალია თუ არა ეს? არა, ამხანაგებო, აქ მერყეობა არ არის, აქ სისტემაა. დამოუკიდებელი რესპუბლიკები ჯერ სამეურნეო საფუძველზე უახლოვდებიან ერთმანეთს. ეს ნაბიჯი გადაიდგა ჯერ კიდევ 1921 წელს. მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ რესპუბლიკების დაახლოების გამოცდილება კარგ შედეგებს იძლევა, იდგმება შემდეგი ნაბიჯი — ფედერაციად გაერთიანება. განსაკუთრებით ისეთ ადგილას, როგორიც არის ამიერკავკასია, სადაც ნაციონალური მშვიდობის სპეციალური ორგანოს უქონლად საქმე ვერ მოგვარდება. მოგეხსენებათ, ამიერკავკასია ისეთი ქვეყანაა, სადაც ადგილი ჰქონდა თათარ-სომეხთა ხოცვა-ჟლეტას ჯერ კიდევ მეფის დროს და ომს მუსავატელების, დაშნაკებისა და მენშევიკების

დროს. ეს ჩხუბი რომ შევწყვიტოთ, საჭიროა ნაციონალური მშვიდობის ორგანო, ე. ი. უმაღლესი ხელისუფლება, რომელსაც შეეძლება თქვას გადამწყვეტი სიტყვა. ნაციონალური მშვიდობის ასეთი ორგანოს შექმნა ქართველი ერის წარმომადგენელთა მონაწილეობის გარეშე სრულიად შეუძლებელია. და აი, სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანების რამდენიმე თვის შემდეგ იდგმება შემდეგი ნაბიჯი — რესპუბლიკების ფედერაცია, ხოლო ამის მერე ერთი წლის შემდეგ — კიდევ შემდეგი ნაბიჯი, როგორც დასკვნითი ეტაპი რესპუბლიკათა გაერთიანების გზაზე, — რესპუბლიკათა კავშირის შექმნა. სად არის აქ მერყეობა? ეს არის ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის სისტემა. მდივანს პირდაპირ ვერ გაუგია ჩვენი საბჭოთა პოლიტიკის არსი, თუმცა მას თავი ძველ ბოლშევიკად მოაქვს.

მან დასვა მთელი რიგი კითხვები და გადაკვრით თქვა, უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომლებიც ამიერკავკასიის საქმის ნაციონალურ მხარეს ეხება, განსაკუთრებით საქართველოში, არ ვიცით, ცენტრალური კომიტეტი წყვეტდა, თუ ცალკე პირებიო. ამიერკავკასიაში ძირითადი საკითხი— ესაა ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხი. ნება მომეცით წავიკითხო პატარა დოკუმენტი, რომელიც აშუქებს ამიერკავკასიის ფედერაციის შესახებ რკპ ცენტრალური კომიტეტის დირექტივის ისტორიას.

1921 წლის 28 ნოემბერს ამხ. ლენინი მიგზავნის ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ თავისი წინადადების პროექტს. იქ ნათქვამია:

«1) ცნობილ იქნას ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნა პრინციპულად აბსოლუტურად სწორ და უეჭველად განსახორციელებელ საქმედ, მაგრამ დაუყოვნებლივი პრაქტიკული განხორციელების აზრით ნაადრევად, ე. ი. ისეთ საქმედ, რაც მოითხოვს რამდენიმე კვი-

რას განხილვისა, პროპაგანდისა და ქვემოდან გატარებისათვის;

2) წინადადება მიეცეთ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის ცენტრალურ კომიტეტებს ცხოვრებაში გაატარონ ეს გადაწყვეტილება».

მე წერილს ვუგზავნი ამხ. ლენინს და წინადადებას ვიძლევი — ნუ ავჩქარდებით ამ საქმეში, დავიცადოთ, დროის ერთგვარი პერიოდი მივცეთ ადგილობრივ მუშაკებს ფედერაციის გასატარებლად-მეთქი. მე ვწერ მას:

«ამხ. ლენინ. თქვენი რეზოლუციის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუ დათანხმდებით მიიღოთ შემდეგი შესწორება: ნაცვლად სიტყვებისა: «მოითხოვს რამდენიმე კვირას განხილვისათვის» 1 პუნქტში ითქვას: «მოითხოვს დროის გარკვეულ პერიოდს განხილვისათვის» და სხვ., თანახმად თქვენი რეზოლუციისა. საქმე ის არის, რომ ფედერაციის «გატარება» საქართველოში «ქვემოდან» «საბჭოთა წესით» «რამდენიმე კვირაში» შეუძლებელია, რადგან საქართველოში საბჭოები მხოლოდ ახლა იქმნებიან. ისინი ჯერ კიდევ არ არიან მთლად შექმნილნი. ერთი თვის წინათ ისინი სულაც არ ყოფილან, და იქ «რამდენიმე კვირაში» საბჭოების ყრილობის მოწვევა წარმოუდგენელია, — ხოლო ამიერკავკასიის ფედერაცია საქართველოს გარეშე ქაღალდზე არსებული ფედერაცია იქნება. ვფიქრობ, საჭიროა 2 — 3 თვე გადავდოთ იმისათვის, რომ ფედერაციის იდეამ გაიმარჯვოს საქართველოს ფართო მასებში. **სტალინი».**

ამხ. ლენინი მიპასუხებს: «მე ვიღებ ამ შესწორებას».

ერთი დღის შემდეგ ეს წინადადება მიღებულ იქნა ლენინის, ტროცკის, კამენევის, მოლოტოვის, სტალინის ხმებით. ზინოვიევი არ იყო, მას მოლოტოვი სცვლიდა. ეს გადაწყვეტილება პოლიტბიურომ მიიღო 1921 წლის დამ-

ლევს, როგორც ხედავთ, ერთხმად. ამავე დროიდან იწყება ქართველი კომუნისტების ჯგუფის ბრძოლა, მდივანის მეთაურობით, ცენტრალური კომიტეტის მიერ ფედერაციის შესახებ მოცემული დირექტივის წინააღმდეგ. თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, რომ საქმე ისე როდი იყო, როგორც ეს აქ მდივანმა დაგვიხატა. ეს დოკუმენტი მომყავს იმ არასაკადრისი გადაკვრითი სიტყვების წინააღმდეგ, რომლებსაც აქ მდივანმა მიმართა.

მეორე საკითხი: რით აიხსნება, ნამდვილად რომ ითქვას, ის ფაქტი, რომ ამხანაგების ჯგუფი, მდივანის მეთაურობით, გამოიწვია პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რა არის ამის მიზეზი? აქ არის ორი ძირითადი და, ამასთან ერთად, ფორმალური მიზეზი. მე ვალდებული ვარ ეს ვთქვა, რადგან იყო საყვედურები ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ და, კერძოდ, ჩემს წინააღმდეგ.

პირველი მიზეზი ისაა, რომ მდივანის ჯგუფი ვერ სარგებლობს გავლენით მისსავე, საქართველოს კომუნისტურ პარტიაში, რომ მას უარყოფს თვითონ საქართველოს კომპარტია. ამ პარტიას ორი ყრილობა ჰქონდა: 1922 წელს, წლის დამდეგს, იყო პირველი ყრილობა, და 1923 წელს, წლის დამდეგს, იყო მეორე ყრილობა. ორივე ყრილობაზე მდივანის ჯგუფი და მის მიერ ფედერაციის იდეის უარყოფა წააწყდა გადამწყვეტ წინააღმდეგობას თავისივე პარტიის მხრივ. პირველ ყრილობაზე, მგონია, 122 ხმიდან მან რაღაც 18-მდე ხმა შეაგროვა; მეორე ყრილობაზე მან 144 ხმიდან 20-მდე ხმა შეაგროვა; მას დაჟინებით არ ირჩევდნენ ცენტრალურ კომიტეტში, მის პოზიციას სისტემატურად უარყოფდნენ. პირველად 1922 წლის დამდეგს ჩვენ ცენტრალურ კომიტეტში ზეგავლენა მოვახდინეთ საქართველოს კომპარტიაზე და, საქართველოს კომპარტიის ნების წინააღმდეგ, ვაიძულეთ მიეღოთ ძველი ამხანაგები

(უეჭველია, მდივანი ძველი ამხანაგია, მახარაძეც აგრეთვე ძველი ამხანაგია), ვინაიდან ვფიქრობდით, რომ ორივე ჯგუფი, უმრავლესობა და უმცირესობა, მუშაობაში ერთმანეთს შეეწყობოდა. მაგრამ პირველ და მეორე ყრილობას შუა განვლილ პერიოდში იყო მთელი რიგი კონფერენციები, საქალაქო და სრულიად საქართველოსი, სადაც მდივანის ჯგუფს ყოველთვის მუჯლუგუნებით უმასპინძლდებოდა მისი პარტია, და, ბოლოს, უკანასკნელ ყრილობაზე მდივანმა ძლივს შეაგროვა 18 ხმა 140-დან.

ამიერკავკასიის ფედერაცია არის ორგანიზაცია, რომელიც ეხება არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ ამიერკავკასიასაც. ჩვეულებრივ, საქართველოს პარტიული ყრილობის შემდეგ სრულიად ამიერკავკასიის ყრილობა იკრიბება. იქაც იგივე სურათია. სრულიად ამიერკავკასიის უკანასკნელ ყრილობაზე 244 ხმიდან მდივანმა, მგონი, ძლივს მიიღო 10-მდე ხმა. ასეთია ფაქტები. როგორ მოიქცეს პარტიის ცენტრალური კომიტეტი ასეთ მდგომარეობაში, თუ პარტია, თუ თვითონ საქართველოს ორგანიზაცია ვერ ინელებს მდივანის ჯგუფს? ჩვენი პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში მე ისე მესმის, როგორც ნაციონალებისა და ნაციონალურ ცრურწმენათადმი დათმობათა პოლიტიკა: ეს პოლიტიკა, უეჭველად, სწორია. მაგრამ განა შეიძლება უსასრულოდ დაატანო ძალა იმ პარტიის ნებას, რომლის ფარგლებშიც მუშაობა უხდება მდივანის ჯგუფს? ჩემი აზრით, არ შეიძლება. პირიქით, საჭიროა შეძლებისამებრ შევათანხმოთ ჩვენი მოქმედება საქართველოს კომპარტიის ნებასთან. ცენტრალური კომიტეტიც სწორედ ასე მოიქცა, როცა ამ ჯგუფის გარკვეული წევრები გამოიწვია.

მეორე მიზეზი, რამაც ცენტრალურ კომიტეტს უკარნახა ამ ჯგუფში მყოფი ზოგიერთი ამხანაგის გამოწვევა, ის არის, რომ ისინი წამდაუწუმ არღვევდნენ რკპ ცენტრა-

ლური კომიტეტის დადგენილებებს. მე უკვე გადმოგეცით ფედერაციის შესახებ დადგენილების ისტორია; მე უკვე ვილაპარაკე, რომ ამ ორგანოს გარეშე ნაციონალური მშვიდობა შეუძლებელია, რომ ამიერკავკასიაში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ, შექმნა რა ფედერაცია, მიაღწია იმას, რომ ნაციონალური მშვიდობა დამყარდა. ამიტომ ჩვენ ცენტრალურ კომიტეტში მიგვაჩნდა, რომ ეს დადგენილება უთუოდ სავალდებულოა. ამავე დროს კი, რას ვხედავთ ჩვენ? მდივანის ჯგუფი არ ემორჩილება ამ დადგენილებას, უფრო მეტი: ებრძვის მას. ეს ცხადყო როგორც ამხ. ძერჟინსკის კომისიამ, ისე კამენევ-კუიბიშევის კომისიამ. ახლაც კი, საქართველოს შესახებ მარტის პლენუმის გადაწყვეტილების შემდეგ, მდივანი განაგრძობს ბრძოლას ფედერაციის წინააღმდეგ. რა არის ეს, თუ არა ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა აბუჩად აგდება?

ასეთია გარემოებანი, რომლებმაც აიძულეს პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოეწვია მდივანი.

მდივანი საქმეს ისე გვიხატავს, რომ მან, მიუხედავად მისი გამოწვევისა, მაინც გაიმარჯვა. მე არ ვიცი, რას უნდა ეწოდოს მაშინ დამარცხება. თუმცაღა, ცნობილია, რომ ნეტარხსენებული დონ-კიხოტიც თავს გამარჯვებულად თვლიდა, როცა მას ქარის წისქვილებმა ცხვირპირი დაუმტვრიეს. ვფიქრობ, ზოგიერთ ამხანაგებს, რომლებიც მუშაობენ საბჭოთა ტერიტორიის ერთ ნაკვეთზე, საქართველო რომ ეწოდება, იქ, ზედა სართულში, ეტყობა, ყველაფერი რიგზე ვერა აქვთ.

გადავდივარ ამხ. მახარაძეზე. მან აქ განაცხადა, ძველი ბოლშევიკი ვარ ნაციონალურ საკითხში, ლენინის სკოლიდანო. ეს მართალი არ არის, ამხანაგებო. 1917 წლის აპრილში კონფერენციაზე [68] მე ამხ. ლენინთან ერთად ვიბრძოდი ამხ. მახარაძის წინააღმდეგ. მაშინ ის წინააღმდეგი

იყო ერების თვითგამორკვევისა, წინააღმდეგი იყო ჩვენი პროგრამის საფუძვლისა, წინააღმდეგი იყო ხალხთა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლებისა. ის ამ თვალსაზრისზე იდგა და იბრძოდა პარტიის წინააღმდეგ. შემდეგ მან შეიცვალა თავისი შეხედულება (ეს, რა თქმა უნდა, პატივს სდებს მას), მაგრამ მაინც მას ეს არ უნდა დაევიწყებინა! ეს უკვე არის არა ძველი ბოლშევიკი ნაციონალურ საკითხში, არამედ მეტად თუ ნაკლებად ახალგაზრდა ბოლშევიკი.

ამხ. მახარაძემ მომცა პარლამენტური შეკითხვა, ვცნობ თუ არა მე, ან ცნობს თუ არა ცენტრალური კომიტეტი ქართველი კომუნისტების ორგანიზაციას ნამდვილ ორგანიზაციად, რომელსაც უნდა ენდობოდე, და თუ ცნობს, თანახმაა თუ არა ცენტრალური კომიტეტი, რომ ამ ორგანიზაციას აქვს უფლება — დასვას საკითხები და წამოაყენოს თავისი წინადადებანი. თუ ყოველივე ეს აღიარებულია, თვლის თუ არა ცენტრალური კომიტეტი, რომ იქ, საქართველოში, დამყარებული რეჟიმი აუტანელია?

მე ვუპასუხებ ამ პარლამენტურ შეკითხვას.

რა თქმა უნდა, ცენტრალური კომიტეტი ენდობა საქართველოს კომპარტიას, — აბა ვისღა უნდა ენდობოდეს?! საქართველოს კომპარტია წარმოადგენს ქართველი ხალხის რჩეულ ნაწილს, საუკეთესო ელემენტებს, ურომლისოდაც საქართველოს მართვა არ შეიძლება. მაგრამ ყოველი ორგანიზაცია შედგება უმრავლესობისა და უმცირესობისაგან. ჩვენში არ არის არც ერთი ორგანიზაცია, სადაც უმრავლესობა და უმცირესობა არ იყოს. და პრაქტიკულად ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი შედგება უმრავლესობისაგან, რომელიც პარტიის ხაზს ატარებს, და უმცირესობისაგან, რომელიც

ყოველთვის როდი ატარებს ამ ხაზს. ცხადია, საქმე ეხება ნდობას ორგანიზაციისადმი მისი უმრავლესობის სახით.

მეორე კითხვა: აქვთ თუ არა ნაციონალურ ცენტრალურ კომიტეტებს ინიციატივის, საკითხების დაყენების უფლება, აქვთ თუ არა მათ წინადადებათა შემოტანის უფლება?

თავისთავად იგულისხმება, აქვთ, — ეს ცხადია. გაუგებარია მხოლოდ, რატომ არ წარმოგვიდგინა ამხ. მახარაძემ იმის ფაქტები, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს საშუალებას არ აძლევენ დასვას საკითხები, საშუალებას არ აძლევენ შეიტანოს წინადადებანი და განიხილოს ისინი? ასეთი ფაქტები მე არ ვიცი. ვფიქრობ, რომ ამხ. მახარაძე წარუდგენს ცენტრალურ კომიტეტს ასეთ მასალებს, თუ ისინი საზოგადოდ მოეპოვება მას.

მესამე კითხვა: შეიძლება თუ არა დაშვებულ იქნას ის რეჟიმი, რომელიც საქართველოში შეიქმნა?

სამწუხაროდ, კითხვა არ არის კონკრეტული, — რა რეჟიმი? თუ საკითხი ეხება იმ რეჟიმს, რომლის დროსაც საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ ამ ბოლო დროს იწყო თავად-აზნაურთა გაძევება მათი საბუდრებიდან, აგრეთვე მენშევიკებისა და კონტრრევოლუციონერებისა, თუ საკითხი ამ რეჟიმს ეხება, ეს რეჟიმი, ჩემი აზრით, რაიმე ცუდს არ წარმოადგენს. ეს ჩვენი საბჭოთა რეჟიმია. თუ საკითხი ეხება იმას, რომ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა შექმნა ისეთი პირობები, რომლებიც შეუძლებელს ხდიან საქართველოს კომპარტიის განვითარებას, ასეთი ფაქტები მე არა მაქვს. საქართველოს იმ ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც არჩეულია საქართველოს კომპარტიის უკანასკნელ ყრილობაზე 110 ხმის უმრავლესობით 18 ხმის წინააღმდეგ, ასეთი საკითხები ჩვენს წინაშე არ დაუყენებია. ის ჩვენი პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომი-

ტეტთან სრული კონტაქტით მუშაობს. თუ არის პატარა ჯგუფი, მიმდინარეობა, ერთი სიტყვით, თუ არიან პარტიის წევრები, რომლებიც პარტიული რეჟიმით უკმაყოფილონი არიან, საჭიროა სათანადო მასალები წარედგინოს ცენტრალურ კომიტეტს. იქ, საქართველოში, უკვე იყო ორი კომისია ასეთი საჩივრების შესამოწმებლად, ერთი — ძერჟინსკის კომისია, მეორე — კამენევისა და კუიბიშევისა. შეიძლება მესამეც შევქმნათ, თუ ეს საჭიროა.

ამით ვამთავრებ ცენტრალური კომიტეტის ერთი წლის ორგანიზაციული პრაქტიკის გამო ჩემი საბოლოო სიტყვის პირველ ნაწილს.

გადავდივარ მეორე ნაწილზე, ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ წინადადებებზე, რომლებიც შემოტანილია ყრილობის განსახილველად. რამდენადაც ვიცი, არც ერთი ორატორთაგანი არ შეხებია კრიტიკის თვალსაზრისით ცენტრალური კომიტეტის მიერ შემოტანილ არც ერთ წინადადებას. ეს მე ისე მესმის, როგორც ცენტრალური კომიტეტის იმ წინადადებებთან სრული სოლიდარობის გამოხატულება, რომლებიც ჩვენ განსახილველად წარმოგიდგინეთ. მიუხედავად ამისა, მე მსურს დაგეხმაროთ და შემოვიტანო მთელი რიგი შესწორებანი. ამ შესწორებებს შევიტან იმ სექციაში, რომელიც, ცენტრალური კომიტეტის იდეით, უნდა შეიქმნას, — ორგანიზაციულ სექციაში, სადაც ძირითად მუშაობას პარტიული ხაზით გასწევს ამხ. მოლოტოვი, ხოლო საბჭოთა ხაზით — ამხ. ძერჟინსკი.

პირველი შესწორება ამბობს, რომ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატთა რიცხვი ხუთი კაციდან გადიდდეს 15-მდე მაინც.

მეორე შესწორება ეხება იმას, რომ საგანგებო ყურადღება მიექცეს აღრიცხვისა და განაწილების ორგანოების

განმტკიცებასა და გაფართოებას როგორც ზედა, ისე ქვედა ინსტანციებში, ვინაიდან ამ ორგანოებს ახლა უზარმაზარი და პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებათ, ვინაიდან ეს ყველაზე რეალური საშუალებაა, რომ პარტიის ხელში გვქონდეს მეურნეობისა და საბჭოთა აპარატის ყველა ძაფი.

მესამე შესწორება შეეხება იმას, რომ ყრილობამ დაადასტუროს წინადადება ცენტრალურ კომიტეტთან სამაზრო მდივნების სკოლის შექმნის შესახებ, იმ ანგარიშით, რომ წლის დამლევს გუბკომებს ჰყავდეთ მაზრის მასშტაბის 200 — 300 მდივანი.

და მეოთხე შესწორებაც — ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. ამ დარგში რაიმე კონკრეტული წინადადება არა მაქვს შემოსატანი, მაგრამ მინდა ყრილობის განსაკუთრებული ყურადღება მივაქციო იმას, რომ ბეჭდვითი სიტყვა სათანადო სიმაღლეზე იქნას აყვანილი. იგი წინ მიდის, მან დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, მაგრამ არა იმდენად, როგორც ეს საჭიროა. ბეჭდვითი სიტყვა უნდა იზრდებოდეს არა დღეობით, არამედ საათობით, — ეს ჩვენი პარტიის ყველაზე ბასრი და ყველაზე ძლიერი იარაღია.

დასასრულ რამდენიმე სიტყვა ამ ყრილობის შესახებ. ამხანაგებო! უნდა ვთქვა, რომ დიდი ხანია არ მინახავს ასეთი შედუღებული, ერთი იდეით აღფრთოვანებული ყრილობა. გული მწყდება, რომ აქ ამხ. ლენინი არ არის. ის რომ აქ ყოფილიყო, შეეძლო ეთქვა: «25 წელი ვზარდე პარტია და გამოვზარდე იგი, დიადი და ძლიერიო». (ხანგრძლივი ტაში).

3. მოხსენება პარტიულ და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში ნაციონალური მომენტების შესახებ

23 აპრილი

ამხანაგებო! ოქტომბრის რევოლუციის დროიდან ჩვენ მესამედ ვიხილავთ ნაციონალურ საკითხს: პირველად — VIII ყრილობაზე, მეორედ — X-ზე და მესამედ — XII-ზე. ხომ არ არის ეს იმის ნიშანი, რომ პრინციპულად ზოგი რამ შეიცვალა ჩვენს შეხედულებებში ნაციონალურ საკითხზე? არა, პრინციპული შეხედულება ნაციონალურ საკითხზე იგივე დარჩა, როგორიც იყო ოქტომბრამდე და მის შემდეგ. მაგრამ X ყრილობის დროიდან შეიცვალა საერთაშორისო ვითარება რევოლუციის იმ მძიმე რეზერვების ხვედრითი წონის გაძლიერების აზრით, რომელთაც ამჟამად აღმოსავლეთის ქვეყნები წარმოადგენენ. ეს — ერთი. მეორეც, X ყრილობის დროიდან ჩვენმა პარტიამ საშინაო მდგომარეობაში ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით აგრეთვე განიცადა ერთგვარი ცვლილებანი. ყველა ეს ახალი ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ, უნდა შევაჯამოთ. სწორედ ამ აზრით უნდა ვილაპარაკოთ ნაციონალური საკითხის ახალი დაყენების შესახებ XII ყრილობაზე.

ნაციონალური საკითხის საერთაშორისო მნიშვნელობა. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ჩვენ წარმოვად-

გენთ, ჩვენ, როგორც საბჭოთა ფედერაცია, დღეს ისტორიული ბედის ნებით წარმოვადგენთ მსოფლიო რევოლუციის მოწინავე რაზმს. თქვენ იცით, რომ ჩვენ პირველად გავარღვიეთ საერთო-კაპიტალისტური ფრონტი და, ბედის ნებით, ყველაზე წინ აღმოვჩნდით. თქვენ იცით, რომ ჩვენს წინსვლაში ჩვენ მივედით ვარშავამდე, ხოლო შემდეგ უკან დავიხიეთ და გავმაგრდით იმ პოზიციებზე, რომლებსაც ჩვენ ყველაზე მტკიცე პოზიციებად ვთვლიდით. ამ მომენტიდან ჩვენ გადავედით ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე და ამ მომენტიდან მხედველობაში მივიღეთ საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ტემპის შენელება, ამ მომენტიდან ჩვენი პოლიტიკა გახდა უკვე არა შეტევითი, არამედ მოგერიებითი. მას შემდეგ, რაც ვარშავასთან მარცხი განვიცადეთ (ნუ დავმალავთ სიმართლეს), წინ წასვლა ჩვენ არ შეგვეძლო, ვინაიდან შესაძლებელი იყო მოვწყვეტოდით ზურგს, ეს უკანასკნელი კი ჩვენში გლეხურია, და, ბოლოს, შესაძლებელი იყო ძალიან შორს გაგვესწრო რევოლუციის იმ რეზერვებისათვის, რომლებიც მოცემულია ბედის ნებით, დასავლეთის და აღმოსავლეთის რეზერვებისათვის. აი ამიტომ ჩვენ მოვახდინეთ შემობრუნება შიგნით — ახალი ეკონომიური პოლიტიკისაკენ, ხოლო გარეთ — წინსვლის შენელებისაკენ და გადავწყვიტეთ, რომ საჭიროა სული მოვითქვათ, მოვიშუშოთ ჩვენი ჭრილობანი, — მოწინავე რაზმის, პროლეტარიატის ჭრილობანი, კონტაქტი დავამყაროთ გლეხურ ზურგთან, გავაჩაღოთ შემდგომი მუშაობა რეზერვებს შორის, რომლებიც ჩამოგვრჩნენ, — დასავლეთის რეზერვებსა და აღმოსავლეთის, მძიმე, რეზერვებს შორის, რომლებიც მსოფლიო კაპიტალიზმის ძირითად ზურგს შეადგენენ. ნაციონალური საკითხის გან-

ხილვისას ლაპარაკია სწორედ ამ რეზერვებზე, — მძიმე რეზერვებზე, რომლებიც ამასთანავე მსოფლიო იმპერიალიზმის ზურგს შეადგენენ.

ორში ერთი: ან ჩვენ იმპერიალიზმის ღრმა ზურგს — აღმოსავლეთის კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებს — ავამოძრავებთ, გავარევოლუციურებთ და ამით დავაჩქარებთ იმპერიალიზმის დაცემას, ან ჩვენ აქ საქმე ჩაგვეშლება, და ამით გავამაგრებთ იმპერიალიზმს, ამით დავასუსტებთ ჩვენი მოძრაობის ძალას. ასე დგას საკითხი.

საქმე ისაა, რომ ჩვენს რესპუბლიკათა კავშირს მთელი აღმოსავლეთი შესცქერის როგორც საცდელ მინდორს. ან ჩვენ ამ კავშირის ფარგლებში სწორად გადავწყვეტთ ნაციონალურ საკითხს მისი პრაქტიკული განხორციელების მხრივ, ან ჩვენ აქ, ამ კავშირის ფარგლებში, მართლაც დავამყარებთ ძმურ ურთიერთობას, ნამდვილ თანამშრომლობას ხალხთა შორის, — და მაშინ მთელი აღმოსავლეთი დაინახავს, რომ ჩვენი ფედერაციის სახით მას ხელთ აქვს განთავისუფლების დროშა, ჰყავს მოწინავე რაზმი, რომელსაც ის კვალდაკვალ უნდა გაჰყვეს, — და ეს იქნება მსოფლიო იმპერიალიზმის კრახის დასაწყისი. ანდა ჩვენ აქ დავუშვებთ შეცდომას, შევარყევთ წინათ დაჩაგრულ ხალხთა ნდობას რუსეთის პროლეტარიატისადმი, წავართმევთ რესპუბლიკების კავშირს იმ მიმზიდველ ძალას აღმოსავლეთის თვალში, რომელიც მას აქვს, — და მაშინ მოიგებს იმპერიალიზმი, წავაგებთ ჩვენ.

ამაშია ნაციონალური საკითხის საერთაშორისო მნიშვნელობა.

ჩვენთვის ნაციონალურ საკითხს მნიშვნელობა აქვს საშინაო მდგომარეობის თვალსაზრისითაც, არა მარტო იმიტომ, რომ რიცხობრივად ყოფილი მპყრობელი ერი წარმოადგენს დაახლოებით 75 მილიონს, ხოლო დანარჩენი

ერები — 65 მილიონს (ეს არც ისე ცოტაა), და არა მარტო იმიტომ, რომ წინათ ჩაგრულ ეროვნებებს სამეურნეო განვითარებისათვის ყველაზე საჭირო რაიონები და სამხედრო სტრატეგიის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტები უჭირავთ, არამედ უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენ შემოვიღეთ ეგრეთწოდებული ახალი ეკონომიური პოლიტიკა, ამასთან დაკავშირებით კი ველიკოროსულმა ნაციონალიზმმა იწყო ზრდა, გაძლიერება, წარმოიშვა «სმენავეხელობის» იდეა, აღიძრა სურვილები — მშვიდობიანი წესით მოაწყონ ის, რის მოწყობაც ვერ შეძლო დენიკინმა, ე. ი. შექმნან ეგრეთწოდებული «ერთიანი და განუყოფელი».

ამრიგად, ჩვენს საშინაო ცხოვრებაში ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით იბადება ახალი ძალა — ველიკოროსული შოვინიზმი, რომელიც ბუდობს ჩვენს დაწესებულებებში, რომელიც იჭრება არა მარტო საბჭოთა, არამედ პარტიულ დაწესებულებებშიც, დაძრწის ჩვენი ფედერაციის ყოველ კუთხეში და იწვევს იმას, რომ თუ ჩვენ ამ ახალ ძალას გადამწყვეტ წინააღმდეგობას არ გავუწევთ, თუ მას ძირშივე არ მოვკვეთთ, — ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობები კი მას ზრდიან, — ჩვენ შეგვექმნება საფრთხე — აღმოვჩნდეთ ყოფილი მპყრობელი ერის პროლეტარიატსა და წინათ დაჩაგრულ ერთა გლეხებს შორის გათიშვის სურათის წინაშე, რაც პროლეტარიატის დიქტატურისათვის ძირის გამოთხრა იქნება.

მაგრამ ახალი ეკონომიური პოლიტიკა ზრდის არა მარტო ველიკოროსულ შოვინიზმს, — იგი ზრდის აგრეთვე ადგილობრივ შოვინიზმსაც, განსაკუთრებით იმ რესპუბლიკებში, რომლებშიც რამდენიმე ეროვნებაა. მე მხედველობაში მაქვს საქართველო, აზერბაიჯანი, ბუხარა, ნაწილობრივ თურქესტანი, სადაც ჩვენ გვყავს რამდენიმე ეროვნება, რომელთა მოწინავე ელემენტებმა, იქნებ, მალე

დაიწყონ ერთმანეთს შორის მეტოქეობა პირველობისათვის. ეს ადგილობრივი შოვინიზმი, რასაკვირველია, თავისი ძლიერებით არ წარმოადგენს იმ საფრთხეს, როგორსაც ველიკოროსული შოვინიზმი წარმოადგენს. მაგრამ იგი მაინც წარმოადგენს საფრთხეს, გვიქადის ნაციონალური კინკლაობის ასპარეზად გადააქციოს ზოგიერთი რესპუბლიკა, ძირი გამოუთხაროს იქ ინტერნაციონალიზმს.

ასეთია საერთაშორისო და შინაგანი ხასიათის საფუძვლები, რომლებიც მოწმობენ ნაციონალური საკითხის დიდ, პირველხარისხოვან მნიშვნელობას საერთოდ, დღევანდელ მომენტში კი — განსაკუთრებით.

რაში მდგომარეობს ნაციონალური საკითხის კლასობრივი არსი? ნაციონალური საკითხის კლასობრივი არსი თანამედროვე საბჭოთა განვითარების პირობებში მდგომარეობს ყოფილი მპყრობელი ერის პროლეტარიატსა და ყოფილ დაჩაგრულ ეროვნებათა გლეხობას შორის სწორი ურთიერთდამოკიდებულების დამყარებაში. ქალაქისა და სოფლის კავშირის საკითხი აქ საკმარისზე მეტად იყო განხილული, მაგრამ კამენევის, კალინინის, სოკოლნიკოვის, რიკოვის, ტროცკის მოხსენების გამო ამ კავშირის საკითხის განხილვისას მხედველობაში იყო მიღებული, უმთავრესად, რუსი პროლეტარიატის დამოკიდებულება რუს გლეხობასთან. აქ, ნაციონალურ სფეროში, ჩვენ უფრო რთული მექანიკა გვაქვს. აქ ჩვენ საქმე გვაქვს იმ საკითხთან, რომ დამყარდეს სწორი ურთიერთდამოკიდებულება ყოფილი მპყრობელი ერის პროლეტარიატსა, რომელიც მთელი ჩვენი ფედერაციის პროლეტარიატის ყველაზე კულტურულ ფენას წარმოადგენს, და გლეხობას, უმთავრესად წინათ დაჩაგრულ ეროვნებათა გლეხობას შორის. ამაშია ნაციონალური საკითხის კლასობრივი არსი. თუ პროლეტარიატი შეძლებს სხვა ეროვნებათა გლეხობასთან ისეთი ურთიერთობის დამყარებას, რომელიც აღმოფხვრის ყოველივე რუსულისადმი

უნდობლობის ყველა გადმონაშთს, რასაც ათეული წლობით ზრდიდა და ნერგავდა ცარიზმის პოლიტიკა, კიდევ მეტი, თუ რუსი პროლეტარიატი შეძლებს მიაღწიოს სრულ ურთიერთგაგებასა და ნდობას, დაამყაროს ნამდვილი კავშირი არა მარტო პროლეტარიატსა და რუს გლეხობას შორის, არამედ პროლეტარიატსა და წინათ დაჩაგრულ ეროვნებათა გლეხობას შორისაც, — მაშინ ამოცანა გადაჭრილი იქნება. ამისათვის აუცილებელია, რომ პროლეტარიატის ხელისუფლება ისეთივე მშობლიური იყოს სხვა ეროვნებათა გლეხობისათვის, როგორც რუსი გლეხობისათვის. რათა საბჭოთა ხელისუფლება სხვა ეროვნებათა გლეხობისთვისაც მშობლიური გახდეს, ამისათვის აუცილებელია, რომ იგი გასაგები იყოს მისთვის, რომ იგი მოქმედებდეს დედაენაზე, რომ სკოლები და ხელისუფლების ორგანოები შენდებოდეს ადგილობრივ ადამიანთაგან, რომელთაც იციან არარუს ეროვნებათა ენა, ზნე-ჩვეულება, ყოფაცხოვრება. მხოლოდ მაშინ და მხოლოდ იმდენად გახდება საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც უკანასკნელ დრომდე რუსულ ხელისუფლებას წარმოადგენდა, არა მარტო რუსული, არამედ საეროვნებათაშორისო, წინათ დაჩაგრულ ეროვნებათა გლეხებისათვის მშობლიური, როდესაც დაწესებულებანი და ხელისუფლების ორგანოები ამ ქვეყნების რესპუბლიკებში დედაენაზე ალაპარაკდებიან და ამუშავდებიან.

ამაშია ნაციონალური საკითხის ერთ-ერთი საფუძველი საერთოდ, საბჭოთა ვითარებაში კი — განსაკუთრებით.

რაში მდგომარეობს ნაციონალური საკითხის გადაჭრის დამახასიათებელი ნიშანი ახლანდელ მომენტში, 1923 წელს? რა ფორმა მიიღეს 1923 წელს იმ საკითხებმა, რომლებიც ნაციონალური ხაზით უნდა გადაიჭრას? ჩვენი ფედერაციის ხალხთა შორის სამეურნეო ხაზით, სამხედრო ხაზით, პოლიტიკური ხაზით თანამშრომლობის დამყარების ფორმა. მე მხედველობაში მაქვს ურთიერთობა ეროვნე-

ბათა შორის. ნაციონალური საკითხი, რომელსაც საფუძვლად უდევს ყოფილი მპყრობელი ერის პროლეტარიატსა და სხვატომელ გლეხობას შორის სწორი ურთიერთობის დამყარების ამოცანები, — დღევანდელ მომენტში ღებულობს იმ ხალხთა თანამშრომლობისა და ძმური თანაცხოვრების დამყარების განსაკუთრებულ ფორმას, რომელნიც წინათ განცალკევებული იყვნენ და რომელნიც ახალ ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში ერთიანდებიან.

აი ნაციონალური საკითხის არსი იმ ფორმით, როგორიც მან 1923 წელს მიიღო.

ამ სახელმწიფოებრივი გაერთიანების კონკრეტულ ფორმას წარმოადგენს რესპუბლიკათა ის კავშირი, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობდით ჯერ კიდევ გასული წლის დამლევს საბჭოების ყრილობაზე და რომელიც ჩვენ მაშინ დავამყარეთ.

ამ კავშირის საფუძველია კავშირის წევრთა ნებაყოფლობა და უფლებრივი თანასწორობა. ნებაყოფლობა და თანასწორობა — იმიტომ, რომ ჩვენი ნაციონალური პროგრამის ამოსავალ პუნქტს წარმოადგენს ერების დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლება, — ის, რასაც წინათ თვითგამორკვევის უფლება ეწოდებოდა. ამაზე დაყრდნობით ჩვენ გარკვეულად უნდა ვთქვათ, რომ ხალხთა არავითარი კავშირი, ხალხთა არავითარი გაერთიანება ერთიან სახელმწიფოდ არ შეიძლება მტკიცე იყოს, თუ მას საფუძვლად არ ექნება სრული ნებაყოფლობა, თუ თვით ხალხებს არ სურთ გაერთიანდნენ. მეორე საფუძველია კავშირის შემადგენლობაში შემავალ ხალხთა უფლებრივი თანასწორობა. ეს გასაგებიცაა. მე არ ვლაპარაკობ ფაქტიურ თანასწორობაზე, ამაზე შემდეგ ვიტყვი, ვინაიდან წინწასულ ერებსა და ჩამორჩენილ ერებს შორის ფაქტიური თანასწორობის დამყარება ძალიან რთული,

ძალიან მძიმე საქმეა, რომელიც მთელ რიგ წლებს მოითხოვს. მე აქ ვლაპარაკობ უფლებრივ თანასწორობაზე. აქ თანასწორობა იმაში გამოიხატება, რომ კავშირის შემადგენლობაში შემავალი ყველა რესპუბლიკა, ამ შემთხვევაში ოთხი რესპუბლიკა: ამიერკავკასია, ბელორუსია, უკრაინა და რსფსრ, თანაბრად სარგებლობს კავშირის სიკეთით და ამავე დროს თანაბრად იღებს ხელს დამოუკიდებლობის ზოგიერთ თავის უფლებაზე კავშირის სასარგებლოდ. თუ რსფს რესპუბლიკას, უკრაინას, ბელორუსიას, ამიერკავკასიის რესპუბლიკას არ ექნებათ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატები, აშკარაა, ამ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატების გაუქმებისას და რესპუბლიკების კავშირში საერთო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შექმნისას მოხდება იმ დამოუკიდებლობის ერთგვარი შეზღუდვა, რომელიც ამ რესპუბლიკებს ჰქონდათ და რომელიც თანაბრად შეზღუდულია კავშირში შემავალი ყველა რესპუბლიკისათვის. ცხადია, თუ წინათ ამ რესპუბლიკებში არსებობდნენ საკუთარი საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატები, ხოლო დღეს ეს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატები უქმდებიან როგორც რსფს რესპუბლიკაში, ისე დანარჩენ რესპუბლიკებში იმისათვის, რომ შეიქმნას რესპუბლიკათა კავშირში საერთო საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, აქაც ხდება ერთგვარი შეზღუდვა იმ დამოუკიდებლობისა, რომელსაც წინათ სრული სახე ჰქონდა და რომელიც ახლა შეიკვეცა საერთო კავშირის სასარგებლოდ, და სხვ. და სხვ. ზოგიერთები წმინდა სქოლასტიკურ კითხვას იძლევიან: როგორ, გაერთიანების შემდეგ რესპუბლიკები განა დამოუკიდებელნი რჩებიან? ეს სქოლასტიკური კითხვაა. მათი დამოუკიდებლობა იზღუდება, ვინაიდან ყოველი გაერთიანება ერთგვარი შეზღუდვაა წინათ ქონებული უფლებებისა იმათთვის, ვინც გაერთიანდა. მაგრამ დამოუ-

კიდებლობის ძირითადი ელემენტები, უეჭველია, რჩება თვითეულ რესპუბლიკას, თუნდაც იმიტომ, რომ თვითეულ რესპუბლიკას აქვს კავშირის შემადგენლობიდან ცალმხრივი გასვლის უფლება.

ამრიგად, ნაციონალური საკითხის კონკრეტული ფორმა ჩვენს ვითარებაში ამჟამად განისაზღვრა ხალხთა სამეურნეო, საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის დამყარების საკითხით. ჩვენ უნდა გავაერთიანოთ ეს რესპუბლიკები ამ ხაზებით ერთიან კავშირად, რომელსაც სსრ კავშირი ეწოდება. ამით განისაზღვრა ნაციონალური საკითხის კონკრეტული ფორმები ახლანდელ მომენტში.

მაგრამ, თქმა ადვილია, სიტყვის საქმედ ქცევა კი ძნელი. საქმე ის არის, რომ ჩვენს პირობებში ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც არა მარტო ხელს უწყობენ ხალხთა გაერთიანებას ერთ სახელმწიფოდ, არამედ აფერხებენ კიდევაც ამ გაერთიანებას.

ხელშემწყობი ფაქტორები თქვენ მოგეხსენებათ: უწინარეს ყოვლისა ხალხთა სამეურნეო დაახლოება, დამყარებული ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლებამდე და განმტკიცებული საბჭოთა ხელისუფლების მიერ, ხალხთა შორის შრომის ერთგვარი დანაწილება, დამყარებული ჩვენამდე და განმტკიცებული ჩვენს მიერ, საბჭოთა ხელისუფლების მიერ, — ეს წარმოადგენს ძირითად ფაქტორს, რომელიც ხელს უწყობს რესპუბლიკების კავშირად გაერთიანებას. მეორე ფაქტორად, რომელიც ხელს უწყობს გაერთიანებას, საბჭოთა ხელისუფლების ბუნება უნდა ჩაითვალოს. ეს გასაგებია. საბჭოთა ხელისუფლება არის მუშების ხელისუფლება, პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც თავისი ბუნებით ქმნის იმის განწყობილებას, რომ კავშირში შემავალ რესპუბლიკათა და ხალხთა მშრომელმა ელემენტებმა ერთმანეთთან მეგობრული ურთიერ-

თობა დაამყარონ. ეს გასაგებია. და მესამე ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს გაერთიანებას, — ესაა იმპერიალისტური გარემოცვა, რაც შეადგენს იმ გარემოს, რომლის პირობებშიც უხდება მოქმედება რესპუბლიკათა კავშირს.

მაგრამ არის აგრეთვე ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან ამ გაერთიანებას, აფერხებენ ამ გაერთიანებას. ძირითადი ძალა, რომელიც აფერხებს რესპუბლიკების ერთ კავშირად გაერთიანების საქმეს, ეს ის ძალაა, რომელიც იზრდება ჩვენში, როგორც უკვე ვთქვი, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში: ეს ველიკოროსული შოვინიზმია. სრულიადაც არ არის შემთხვევითი, ამხანაგებო, რომ «სმენავეხელებმა» მრავალი მომხრე მოიპოვეს საბჭოთა მოხელეებს შორის. ეს სრულიადაც არ არის შემთხვევითი. არც ისაა შემთხვევითი, რომ ბატონი «სმენავეხელები» აქებენ კომუნისტ-ბოლშევიკებს, თითქოს ეუბნებოდნენ მათ: თქვენ რამდენიც გენებოთ ილაპარაკეთ ბოლშევიზმზე, რამდენიც გენებოთ ილაყბეთ თქვენს ინტერნაციონალისტურ ტენდენციებზე, ჩვენ კი ვიცით, რომ რის მოწყობაც ვერ მოახერხა დენიკინმა, თქვენ იმას მოაწყობთ, რომ დიდი რუსეთის იდეა თქვენ, ბოლშევიკებმა, აღადგინეთ, ან თქვენ მას, ყოველ შემთხვევაში, აღადგენთო, ყველაფერი ეს შემთხვევითი როდია. არც ისაა შემთხვევითი, რომ ეს იდეა ზოგიერთ ჩვენს პარტიულ დაწესებულებაშიც კი შემოიჭრა. მე ვიყავი იმის მოწმე. რომ თებერვლის პლენუმზე, სადაც პირველად დაისვა მეორე პალატის საკითხი, ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში გაისმოდა კომუნიზმისათვის შეუფერებელი სიტყვები, — სიტყვები, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ ინტერნაციონალიზმთან. ყოველივე ეს დროების ნიშანია, მოარული სენია. აქედან გამომდინარე ძირითადი საფრთხე ის არის, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით ჩვენში დღეობით კი არა,

საათობით იზრდება დიდმპყრობელური შოვინიზმი, რომელიც ცდილობს წაშალოს ყოველივე არარუსული, თავი მოუყაროს მმართველობის ყველა ძაფს რუსული საწყისის გარშემო და გასრისოს არარუსული. ძირითადი საფრთხე ის არის, რომ ასეთი პოლიტიკის დროს ჩვენ შეიძლება დავკარგოთ ის ნდობა რუსი პროლეტარებისადმი ყოფილი ჩაგრული ხალხების მხრივ, რომელიც მათ მოიპოვეს ოქტომბრის დღეებში, როცა რუსმა პროლეტარებმა ჩამოაგდეს მემამულეები, რუსი კაპიტალისტები, როცა მათ მოსპეს ნაციონალური ჩაგვრა რუსეთის შიგნით, გამოიყვანეს ჯარები სპარსეთიდან, მონღოლეთიდან, გამოაცხადეს ფინეთის, სომხეთის დამოუკიდებლობა და, საერთოდ, სრულიად ახალ საფუძველზე დააყენეს ნაციონალური საკითხი. ის ნდობა, რომელიც ჩვენ მაშინ მოვიპოვეთ, შეიძლება სულ ერთიანად დავკარგოთ, თუ ჩვენ ყველანი არ შევიარაღდებით ამ ახალი, ვიმეორებ, ველიკოროსული შოვინიზმის წინააღმდეგ, რომელიც გვიტევს და დახოხავს, წვეთ-წვეთად იჟონება ყურსა და თვალში და თანდათან ხრწნის ჩვენს მუშაკებს. აი ეს საფრთხე, ამხანაგებო, ჩვენ რადაც უნდა დაგვიჯდეს უნდა დავანარცხოთ მიწაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვემუქრება წინათ დაჩაგრულ ხალხთა მუშებისა და გლეხების ნდობის დაკარგვის პერსპექტივა, გვემუქრება ამ ხალხებსა და რუს პროლეტარიატს შორის კავშირის გაწყვეტის პერსპექტივა, ამით კი გვემუქრება ჩვენი დიქტატურის სისტემაში ბზარის გაჩენის საფრთხე.

ნუ დაგავიწყდებათ ამხანაგებო, რომ თუ ჩვენ გაშლილი დროშებით მივდიოდით კერენსკის წინააღმდეგ და დავამხეთ დროებითი მთავრობა, ეს, სხვათა შორის, იმიტომ, რომ იქ ჩვენ ზურგს გვიმაგრებდა იმ დაჩაგრული ხალხების ნდობა, რომლებიც რუსი პროლეტარებისაგან ელოდნენ განთავისუფლებას. ნუ დაივიწყებთ ისეთ რე-

ზერვებს, როგორიც არიან დაჩაგრული ხალხები, რომელნიც დუმან, მაგრამ თავისი დუმილით ზეგავლენას ახდენენ და ბევრ რამეს წყვეტენ. ხშირად ეს არ იგრძნობა, მაგრამ ისინი, ეს ხალხები, ცხოვრობენ, ისინი არიან, და მათი დავიწყება არ შეიძლება. ნუ დაივიწყებთ: ჩვენ რომ კოლჩაკის, დენიკინის, ვრანგელისა და იუდენიჩის ზურგში ეგრეთწოდებული «უცხოტომელნი» არ გვყოლოდა, არ გვყოლოდა წინათ დაჩაგრული ხალხები, რომლებიც ძირს უთხრიდნენ ამ გენერლების ზურგს თავისი ჩუმი თანაგრძნობით რუსი პროლეტარებისადმი, — ამხანაგებო, ეს განსაკუთრებული ფაქტორია ჩვენს განვითარებაში: ჩუმი თანაგრძნობა, მას ვერავინ ვერ ხედავს, იგი არავის არ ესმის, მაგრამ იგი წყვეტს ყველაფერს, — ეს თანაგრძნობა რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ვერც ერთს ამ გენერალთაგანს ვერ გავანადგურებდით. იმ დროს, როცა ჩვენ მათ წინააღმდეგ მივდიოდით, მათს ზურგში დაიწყო რღვევა. რატომ? იმიტომ, რომ ეს გენერლები ეყრდნობოდნენ კაზაკთა კოლონიზატორულ ელემენტს, ისინი დაჩაგრულ ხალხებს წინ უშლიდნენ მათი შემდგომი დაჩაგვრის პერსპექტივას, და დაჩაგრული ხალხები იძულებული იყვნენ ჩვენსკენ მოეშურებინათ, მაშინ როდესაც ჩვენ გავშალეთ ამ დაჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების დროშა. აი რამ გადაწყვიტა ამ გენერლების ბედი, აი იმ ფაქტორების ჯამი, რომლებიც დაჩრდილულია ჩვენი ჯარების წარჩატებებით, მაგრამ რომლებმაც საბოლოო ანგარიშით ყველაფერი გადაწყვიტეს. ამის დავიწყება არ შეიძლება. აი რატომ ვართ ჩვენ ვალდებულნი გადაჭრით შემოვბრუნდეთ ახალ შოვინისტურ განწყობილებასთან ბრძოლის აზრით და სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ ჩვენი დაწესებულებების ის მოხელენი და ის პარტიული ამხანაგები, რომელნიც ივიწყებენ ჩვენს მონაპოვარს ოქტომბერში,

სახელდობრ წინათ დაჩაგრულ ხალხთა ნდობას, რომელსაც ჩვენ დიდად უნდა ვაფასებდეთ.

უნდა შევიგნოთ, რომ თუ ისეთი ძალა, როგორიცაა ველიკოროსული შოვინიზმი, დიდად გაიშლება და დაიწყებს პარპაშს, — არავითარი ნდობა წინათ დაჩაგრული ხალხების მხრივ არ გვექნება, ვერავითარ თანამშრომლობას ერთიან კავშირში ვერ შევქმნით და რესპუბლიკათა არავითარი კავშირი არ გვექნება.

ასეთია პირველი და ყველაზე საშიში ფაქტორი, რომელიც აფერხებს ერთიან კავშირად ხალხთა და რესპუბლიკათა გაერთიანების საქმეს.

მეორე ფაქტორი, ამხანაგებო, რომელიც აგრეთვე აფერხებს წინათ დაჩაგრულ ხალხთა გაერთიანებას რუსი პროლეტარიატის ირგვლივ, — ეს არის ერების ის ფაქტიური უთანასწორობა, რომელიც ჩვენ მემკვიდრეობით გადმოგვეცა ცარიზმის პერიოდისაგან.

უფლებრივი თანასწორობა ჩვენ გამოვაცხადეთ და ვახორციელებთ მას, მაგრამ უფლებრივი თანასწორობა, რომელსაც თავისთავად უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა რესპუბლიკების განვითარების ისტორიაში, მაინც დიდად დაშორებულია ფაქტიურ თანასწორობას. ყველა ჩამორჩენილ ეროვნებასა და ყველა ხალხს ფორმალურად იმდენივე უფლებები აქვთ, რამდენიც ყველა სხვა, წინწასულ ერს ჩვენი ფედერაციის შემადგენლობაში. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ზოგიერთ ეროვნებას არა ჰყავს თავისი პროლეტარები, არ გაუვლია სამრეწველო განვითარება, არც კი დაუწყია იგი, კულტურულად საშინლად ჩამორჩენილია და სრულიად არ ძალუძს გამოიყენოს ის უფლებები, რომლებიც მას მიანიჭა რევოლუციამ. ეს, ამხანაგებო, უფრო მნიშვნელოვანი საკითხია, ვიდრე სკოლების საკითხი. აქ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი ფიქრობს, რომ, თუ პირველ რიგში წამოვჭიმავთ სკოლებისა და ენის

საკითხს, ამით შევძლებთ ყველაფრის გადაჭრას. არ არის სწორი, ამხანაგებო, სკოლებით აქ შორს ვერ წახვალთ, ისინი, თვით ეს სკოლები, ვითარდებიან, ენაც ვითარდება, მაგრამ ფაქტიური უთანასწორობა ყველა უკმაყოფილებისა და ყველა შეხლა-შემოხლის საფუძვლად რჩება. აქ სკოლებითა და ენით ფონს ვერ გახვალთ, აქ ჩვენი მხრივ საჭიროა ჭეშმარიტი, სისტემატური, გულწრფელი, ნამდვილი პროლეტარული დახმარება კულტურულად და მეურნეობრივად ჩამორჩენილ ეროვნებათა მშრომელი მასებისადმი. აუცილებელია, რომ, სკოლებისა და ენის გარდა, რუსეთის პროლეტარიატმა მიიღოს ყოველგვარი ზომა იმისათვის, რომ განაპირა მხარეებში, კულტურულად ჩამორჩენილ რესპუბლიკებში, — ისინი კი ჩამორჩნენ არა თავისი მიზეზით, არამედ იმიტომ, რომ მათ წინათ უყურებდნენ როგორც ნედლეულის წყაროებს, — აუცილებელია მივალწიოთ იმას, რომ ამ რესპუბლიკებში შეიქმნას მრეწველობის კერები. ამ მხრივ ზოგიერთი ცდა უკვე მოხდა. საქართველომ ერთი ფაბრიკა წაიღო მოსკოვიდან, და იგი, ალბათ, ახლო მომავალში ამუშავდება. ბუხარამ წაიღო ერთი ფაბრიკა, შეეძლო კი ოთხი ფაბრიკა წაეღო. თურქესტანს მიაქვს ერთი დიდი ფაბრიკა, და, ამნაირად, ყველა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ რესპუბლიკებმა, რომლებიც მეურნეობრივად ჩამორჩენილი არიან და რომლებსაც პროლეტარიატი არა ჰყავთ, რუსი პროლეტარიატის დახმარებით უნდა შექმნან მრეწველობის კერები, თუნდაც პატარა კერები, იმ ვარაუდით, რომ ამ კერებში იყვნენ ადგილობრივ პროლეტართა ჯგუფები, რომელთაც შეეძლებათ გახდნენ გადამცემი ხიდი რუსი პროლეტარებისა და გლეხებისაგან ამ რესპუბლიკათა მშრომელი მასებისაკენ. აი ამ დარგში მოგვიხდება ჩვენ სერიოზულად მუშაობა, და აქ მარტო სკოლებით ვერაფერს გახდებით.

მაგრამ არის კიდევ მესამე ფაქტორი, რომელიც აფერხებს რესპუბლიკების გაერთიანებას ერთ კავშირად, — ეს არის ნაციონალიზმი ცალკეულ რესპუბლიკებში. ახალი ეკონომიური პოლიტიკა მოქმედებს არა მარტო რუს მოსახლეობაზე, არამედ არარუს მოსახლეობაზედაც. ახალი ეკონომიური პოლიტიკა ავითარებს კერძო ვაჭრობასა და მრეწველობას არა მარტო რუსეთის ცენტრში, არამედ ცალკეულ რესპუბლიკებშიც. აი სწორედ ეს ახალი ეკონომიური პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული კერძო კაპიტალი კვებავენ, ზრდიან ქართულ, აზერბაიჯანულ, უზბეკურ და სხვა ნაციონალიზმს. რა თქმა უნდა, ველიკოროსული შოვინიზმი რომ არ იყოს, რომელიც შემტევია, იმიტომ რომ ის ძლიერია, იმიტომ რომ ის წინათაც ძლიერი იყო, და მას შერჩენილი აქვს ჩაგვრისა და დამცირების ჩვევები, — ველიკოროსული შოვინიზმი რომ არ იყოს, მაშინ, შეიძლება, ადგილობრივი შოვინიზმიც, როგორც ველიკოროსული შოვინიზმის პასუხი, იარსებებდა, ასე ვთქვათ, მინიმალური, მინიატურული სახით, იმიტომ რომ საბოლოო ანგარიშით ანტირუსული ნაციონალიზმი მოგერიებითი ფორმაა, ველიკოროსული ნაციონალიზმის, ველიკოროსული შოვინიზმის წინააღმდეგ თავდაცვის ერთგვარი მახინჯი ფორმაა. ეს ნაციონალიზმი მარტო თავდაცვითი რომ იყოს, კიდევ შეიძლებოდა არ აგვეტეხა მის გამო განგაში. შეიძლებოდა ჩვენი მოქმედების მთელი ძალა და ჩვენი ბრძოლის მთელი ძალა ველიკოროსული შოვინიზმის წინააღმდეგ მიგვემართა იმ იმედით, რომ რაკი ამ ძლიერ მტერს დავსცემთ, მასთან ერთად წაიქცევა აგრეთვე ანტირუსული ნაციონალიზმიც, ვინაიდან იგი, ეს ნაციონალიზმი, ვიმეორებ, საბოლოო ანგარიშით რეაქციაა ველიკოროსული ნაციონალიზმის წინააღმდეგ, პასუხია მისი, ერთგვარი თავდაცვაა. დიახ, ეს ასე იქნებოდა, ადგილობრივად

ანტირუსული ნაციონალიზმი ველიკოროსული ნაციონალიზმის საწინააღმდეგო რეაქციაზე უფრო შორს რომ არ მიდიოდეს. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ზოგიერთ რესპუბლიკაში ეს თავდაცვითი ნაციონალიზმი შემტევ ნაციონალიზმად იქცევა.

ავიღოთ საქართველო. იქ არის 30%-ზე მეტი არაქართველი მოსახლეობა. მათ შორის: სომხები, აფხაზები, აჭარლები, ოსები, თათრები. სათავეში ქართველები დგანან. ქართველ კომუნისტთა ერთ ნაწილში დაიბადა და ვითარდება იდეა — მაინცდამაინც დიდი ანგარიში არ გაუწიონ ამ წვრილ ეროვნებებს: ისინი ნაკლებ კულტურულნი, ნაკლებ განვითარებულნი არიანო, ამიტომ შეიძლება მათ არც გავუწიოთ ანგარიშიო. ეს არის შოვინიზმი, — მავნე და საშიში შოვინიზმი, ვინაიდან მას შეუძლია საქართველოს პატარა რესპუბლიკა კინკლაობის ასპარეზად გადააქციოს. თუმცა მან უკვე გადააქცია იგი კინკლაობის ასპარეზად.

აზერბაიჯანი. მთავარი ეროვნება აზერბაიჯანული ეროვნებაა, მაგრამ იქ არიან სომხებიც. აზერბაიჯანელთა ერთ ნაწილშიც არის ასეთივე, ზოგჯერ ძალიან დაუფარავი, ტენდენცია: ჩვენ, აზერბაიჯანელები, მკვიდრნი ვართ, ისინი კი, სომხები, მოსულები არიან, — ამის გამო ხომ არ შეიძლება ცოტა უკან დავწიოთ ისინი, არ გავუწიოთ ანგარიში მათს ინტერესებსო. ესეც შოვინიზმია. ეს ძირს უთხრის ეროვნებათა იმ თანასწორობას, რომლის საფუძველზეც შენდება საბჭოთა ხელისუფლება.

ბუხარა. იქ, ბუხარაში, არის სამი ეროვნება: უზბეკები — ძირითადი ეროვნება, თურქმენები — ბუხარული შოვინიზმის თვალსაზრისით «ნაკლებ მნიშვნელოვანი» ეროვნება, და ყირგიზები. იქ მათი რიცხვი მცირეა, და ისინი, თურმე, «ნაკლებ მნიშვნელოვანნი» არიან.

ხორეზმში იგივეა: თურქმენები და უზბეკები. უზბეკები ძირითადი ეროვნებაა, თურქმენები კი — «ნაკლებ მნიშვნელოვანი».

ყოველივე ეს იწვევს კონფლიქტებს, საბჭოთა ხელისუფლების დასუსტებას. ეს ტენდენცია ადგილობრივი შოვინიზმისაკენ აგრეთვე ძირში უნდა იქნას აღკვეთილი. რასაკვირველია, ველიკოროსულ შოვინიზმთან შედარებით, რომელიც ნაციონალური საკითხის საერთო სისტემაში მთელის სამ მეოთხედს შეადგენს, ადგილობრივი შოვინიზმი იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ ადგილობრივი მუშაობისათვის, ადგილობრივი ადამიანებისათვის, თვით ნაციონალური რესპუბლიკების მშვიდობიანი განვითარებისათვის ამ შოვინიზმს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

ეს შოვინიზმი ზოგჯერ ძალიან საინტერესო ევოლუციას განიცდის ხოლმე. მხედველობაში მაქვს ამიერკავკასია. თქვენ იცით, რომ ამიერკავკასია სამი რესპუბლიკისაგან შედგება, რომელთაც თავის შემადგენლობაში ათი ეროვნება ჰყავთ. ამიერკავკასია ადრიდანვე წარმოადგენდა ხოცვა-ჟლეტისა და კინკლაობის ასპარეზს, ხოლო შემდეგ, მენშევიზმისა და დაშნაკების დროს, — ომის ასპარეზს. თქვენ იცით ქართველთა და სომეხთა ომი. მოგეხსენებათ აგრეთვე ხოცვა-ჟლეტა აზერბაიჯანში 1905 წლის დამდეგს და დამლევს. შემიძლია დავასახელო მთელი რიგი რაიონები, სადაც სომეხთა უმრავლესობამ ამოხოცა მოსახლეობის მთელი დანარჩენი ნაწილი, რომელიც თათრებისაგან შედგებოდა, — მაგალითად, ზანგეზური. შემიძლია დავასახელო მეორე პროვინცია — ნახჭევანი. იქ თათრები ჭარბობდნენ, და მათ ამოხოცეს ყველა სომეხი. ეს იყო სწორედ იმპერიალიზმის უღლისაგან სომხეთისა და საქართველოს განთავისუფლების წინ. (ხ მ ა ა დ გ ი ლ ი დ ა ნ: «თავი-

სებურად გადაუჭრიათ ნაციონალური საკითხი»). რა თქმა უნდა, ესეც ერთგვარი ფორმაა ნაციონალური საკითხის გადაჭრისა. მაგრამ ეს გადაჭრის საბჭოური ფორმა არ არის. ურთიერთი ნაციონალური მტრობის ამ ვითარებაში რუსი მუშები, რა თქმა უნდა, არაფერ შუაში არიან, ვინაიდან იბრძვიან თათრები და სომხები, ურუსებოდ. აი რატომ არის ამიერკავკასიაში აუცილებლად საჭირო სპეციალური ორგანო, რომელსაც შეეძლება ეროვნებათა ურთიერთდამოკიდებულების მოწესრიგება.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ყოფილი მპყრობელი ერის პროლეტარიატისა და ყველა დანარჩენი ეროვნების მშრომელთა ურთიერთდამოკიდებულება მთელი ნაციონალური საკითხის სამ მეოთხედს წარმოადგენს. მაგრამ ამ საკითხის ერთი მეოთხედი წილად უნდა დარჩეს თვით წინათ ჩაგრულ ეროვნებათა ურთიერთდამოკიდებულებას.

და აი ამ ურთიერთუნდობლობის ვითარებაში, საბჭოთა ხელისუფლებას რომ ვერ მოეხერხებინა ამიერკავკასიაში ნაციონალური მშვიდობიანობის ისეთი ორგანოს შექმნა, რომელიც შეძლებდა უთანხმოებათა და კონფლიქტთა მოწესრიგებას, ჩვენ დავუბრუნდებოდით ცარიზმის ეპოქას ან დაშნაკების, მუსავატელების, მენშევიკების ეპოქას, როდესაც ადამიანები წვავდნენ და ხოცავდნენ ერთმანეთს. აი ამიტომ სამჯერ დაადასტურა ცენტრალურმა კომიტეტმა ამიერკავკასიის ფედერაციის, როგორც ნაციონალური მშვიდობიანობის ორგანოს, შენარჩუნების აუცილებლობა.

ჩვენში იყო და რჩება ქართველ კომუნისტთა ერთი ჯგუფი, რომელიც არ არის იმის წინააღმდეგი, რომ საქართველო გაერთიანდეს რესპუბლიკათა კავშირთან, მაგრამ წინააღმდეგია იმისა, რომ ამ გაერთიანებამ გაიაროს ამიერკავკასიის ფედერაცია. მათ, თურმე, კავშირთან უფრო ახლოს უნდათ ყოფნა, საჭირო არ არისო ეს შუაკედელი

ჩვენსა, ქართველებსა, და რესპუბლიკათა კავშირს შორის ამიერკავკასიის ფედერაციის სახით, საჭირო არ არის ფედერაციაო. ეს, თითქოს, ძალიან რევოლუციურად ისმის.

მაგრამ აქ სხვა განზრახვაა. ჯერ ერთი, ეს განცხადებანი მოწმობენ, რომ საქართველოში ნაციონალური საკითხის სფეროში რუსებთან დამოკიდებულებას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ამ ამხანაგ უკლონისტებს (მათ ასე უწოდებენ) არაფერი არა აქვთ იმის საწინააღმდეგო, რომ საქართველო პირდაპირ გაერთიანდეს კავშირთან, ე. ი. არ ეშინიათ ველიკოროსული შოვინიზმისა, რადგან ფიქრობენ, რომ ის ასე თუ ისე მოკვეთილია, ანდა მას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მათ, ცხადია, ამიერკავკასიის ფედერაციისა უფრო ეშინიათ. რატომ? რატომ უნდა მოხდეს, რომ ამიერკავკასიაში მცხოვრებმა სამმა მთავარმა ხალხმა, რომელნიც ამდენ ხანს ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, ერთიმეორეს ჟლეტდნენ, ერთიმეორეს ეომებოდნენ, — რატომ უნდა მოხდეს, რომ ამ ხალხებმა ახლა, როდესაც, ბოლოს, საბჭოთა ხელისუფლებამ მათ შორის ძმური კავშირი დაამყარა ფედერაციის სახით, როდესაც ამ ფედერაციამ დადებითი ნაყოფი გამოიღო, რატომ უნდა გაწყვიტონ მათ ახლა ფედერაციის ეს კავშირი? რაშია საქმე, ამხანაგებო?

საქმე იმაშია, რომ ამიერკავკასიის ფედერაციაში ყოფნა საქართველოს ართმევს იმ პრივილეგიური მდგომარეობის წილს, რაც მას შეეძლო დაეკავებინა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით. თვითონ განსაჯეთ. საქართველოს აქვს თავისი ნავსადგური — ბათუმი, საიდანაც შემოდის დასავლეთის საქონელი, საქართველოს აქვს ისეთი სარკინიგზო კვანძი, როგორიც არის თბილისი, რასაც ვერ ასცდებიან სომხები, ვერ ასცდება აზერბაიჯანი, რომელიც თავის საქონელს ბათუმიდან ღებულობს. საქართველო

ცალკე რესპუბლიკა რომ იყოს, იგი ამიერკავკასიის ფედერაციაში რომ არ შედიოდეს, მას შეეძლო ერთგვარი ბატარა ულტიმატუმი წაეყენებინა სომხეთისთვისაც, რომელიც უთბილისოდ ვერ გაძლებს, და აზერბაიჯანისთვისაც, რომელიც უბათუმოდ ვერ გაძლებს. აქ ერთგვარი სარგებლობა იქნებოდა საქართველოსათვის. შემთხვევითი როდია, ამხანაგებო, რომ ყველასათვის ცნობილი ველური დეკრეტი სასაზღვრო კორდონების შესახებ სწორედ საქართველოში შემუშავდა. ახლა ამ ბრალს სერებრიაკოვს ახვევენ თავს. დავუშვათ. მაგრამ იგი, ეს დეკრეტი, ხომ საქართველოში დაიბადა, და არა აზერბაიჯანში ან სომხეთში.

შემდეგ, აქ არის კიდევ სხვა მიზეზიც. თბილისი საქართველოს დედაქალაქია, მაგრამ იქ ქართველებია არაუმეტეს 30%, სომხები არანაკლებ 35%, მერე მიჰყვებიან ყველა დანარჩენი ეროვნებანი. ესეც თქვენ საქართველოს დედაქალაქი. საქართველო ცალკე რესპუბლიკას რომ წარმოადგენდეს, იქ შეიძლებოდა მოსახლეობის ერთგვარი გადანაცვლება, — მაგალითად, სომეხი მოსახლეობისა თბილისიდან. აკი მიიღეს საქართველოში ცნობილი დეკრეტი თბილისში მოსახლეობის «რეგულირების» შესახებ, რაზედაც ამხ. მახარაძემ განაცხადა, იგი სომხების წინააღმდეგ არ ყოფილა მიმართულიო. გათვალისწინებული იყო მოსახლეობის ერთგვარი გადანაცვლება მოეხდინათ ისე, რომ სომხები წლითი-წლობით ნაკლები აღმოჩენილიყვნენ თბილისში, ვიდრე ქართველები, და, ამრიგად, თბილისი გადაექციათ ნამდვილ ქართულ დედაქალაქად. მე დასაშვებად მიმაჩნია, რომ დეკრეტი გადასახლების შესახებ მათ მოხსნეს. მაგრამ მათ ხელთ აქვთ მრავალი შესაძლებლობა, მრავალი ისეთი მოქნილი ფორმა, — მაგალითად, «განტვირთვა», — რომელთა მეოხებით შეიძლებოდა, ინტერ-

ნაციონალიზმის მოჩვენებითობის დაცვით, ისე მოეწყოთ საქმე, რომ სომხები თბილისში ნაკლები ალმოჩენილიყვნენ.

აი ეს სარგებლობა გეოგრაფიული მხრივ, რაც ქართველ უკლონისტებს არ სურთ დაკარგონ, და ქართველთა არახელსაყრელი მდგომარეობა თვითონ თბილისში, სადაც ქართველები სომხებზე ცოტანი არიან, აიძულებენ ჩვენს უკლონისტებს იბრძოლონ ფედერაციის წინააღმდეგ. მენშევიკები პირდაპირ ასახლებდნენ თბილისიდან სომხებსა და თათრებს. ახლა კი, საბჭოთა ხელისუფლების დროს, გადასახლება არ შეიძლება, ამიტომ საჭიროა გამოეყო ფედერაციას, და მაშინ იურიდიული შესაძლებლობა გექნება დამოუკიდებლად მოახდინო ზოგიერთი ისეთი ოპერაცია, რომლებიც გამოიწვევენ იმას, რომ ქართველების ხელსაყრელი მდგომარეობა სავსებით გამოყენებული იქნება აზერბაიჯანისა და სომხეთის წინააღმდეგ. ყოველივე ამის შედეგად შეიქმნებოდა ქართველების პრივილეგიური მდგომარეობა ამიერკავკასიის შიგნით. ამაშია მთელი საშიშროება.

შეგვიძლია თუ არა. ჩვენ უგულებელვყოთ ნაციონალური მშვიდობიანობის ინტერესები ამიერკავკასიაში და შევქმნათ ისეთი პირობები, როდესაც ქართველები პრივილეგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების მიმართ? არა. ჩვენ არ შეგვიძლია ეს დავუშვათ.

არის ერების მართვის ძველი სპეციალური სისტემა, როდესაც ბურჟუაზიული ხელისუფლება იახლოებს ზოგიერთ ეროვნებას, ანიჭებს მათ პრივილეგიებს, ხოლო დანარჩენ ერებს ამცირებს, არ სურს მათთვის თავი შეიწუხოს. ამრიგად, იახლოებს რა ერთ ეროვნებას, იგი მისი საშუალებით ავიწროებს დანარჩენებს. ასე მართავდნენ, მაგალითად, ავსტრიაში. ყველას ახსოვს ავსტრიის მინისტრის ბეისტის განცხადება, როცა მან მიიხმო უნგრეთის

მინისტრი და უთხრა: «შენ მართე შენი ურდოები, მე კი ჩემს ურდოებს გავართმევ თავსო». ესე იგი, შენ შეავიწროე და დათრგუნე შენი ეროვნებანი უნგრეთში, მე კი ჩემსას შევავიწროებ ავსტრიაში. შენ და მე პრივილეგიური ერები ვართ, ხოლო დანარჩენები დავთრგუნოთო.

ასეთსავე მდგომარეობაში იყვნენ პოლონელები თვით ავსტრიის შიგნით. ავსტრიელებმა დაიახლოეს პოლონელები, ანიჭებდნენ მათ პრივილეგიებს, რათა პოლონელები დახმარებოდნენ ავსტრიელებს თავიანთი პოზიციები გაემაგრებინათ პოლონეთში, და ამისათვის შესაძლებლობას აძლევდნენ პოლონელებს გალიციისათვის ყელში წაეჭირათ.

ეს განსაკუთრებული, წმინდა ავსტრიული სისტემაა — გამოჰყო ზოგიერთი ეროვნებანი და მიანიჭო მათ პრივილეგიები, რათა შემდეგ გაუსწორო ანგარიში დანარჩენებს. ბიუროკრატიის თვალსაზრისით ეს «მომჭირნეობითი» მმართველობაა, იმიტომ რომ ერთ ეროვნებასთან გექნება საქმე, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით ეს სახელმწიფოს ნამდვილი სიკვდილია, ვინაიდან ეროვნებათა თანასწორობის პრინციპების დარღვევა და ერთი ეროვნებისათვის რაიმე პრივილეგიის დაშვება იმას ნიშნავს, რომ სასიკვდილოდ გასწირო საკუთარი ნაციონალური პოლიტიკა.

სწორედ ასევე მართავს დღეს ინგლისი ინდოეთს. ბიუროკრატიის თვალსაზრისით უფრო ადვილად რომ გაერთმია თავი ინდოეთის ეროვნებებისა და ტომებისათვის, ინგლისმა ინდოეთი გაყო ბრიტანეთის ინდოეთად (240 000 000 მოსახლეობა) და მკვიდრ ინდოეთად (72 000 000). რა საბუთით? იმ საბუთით, რომ ინგლისს უნდოდა ერების ერთი ჯგუფი გამოეყო და მისთვის პრივილეგიები მიენიჭებინა, რათა უფრო მოხერხებულად შეს-

ძლებოდა დანარჩენ ეროვნებათა მართვა. თვით ინდოეთში რამდენიმე ასეული ეროვნებაა, და ინგლისმა გადაწყვიტა: ვიდრე ამ ეროვნებებს ვეჯახირო, უმჯობესია გამოვყო რამდენიმე ერი, მივცე მათ ზოგიერთი პრივილეგია და მათი საშუალებით ვმართო სხვებიო, ვინაიდან, ჯერ ერთი, ამ შემთხვევაში დანარჩენი ერების უკმაყოფილება მიმართული იქნება არა ინგლისის, არამედ ამ პრივილეგიური ერების წინააღმდეგ, და, მეორეც, უფრო იაფი დაჯდება ორსამ ერთან «ჯახირიო».

ესეც მმართველობის სისტემაა, ინგლისური სისტემა. საით მივყავართ მას? აპარატის «გაიაფებისაკენ», — ეს მართალია. მაგრამ, ამხანაგებო, თუ განზე დავტოვებთ ბიუროკრატიულ მოხერხებულობას, მაშინ აქ ჩაქსოვილია უეჭველი სიკვდილი ინგლისის ბატონობისა ინდოეთში, ეს სისტემა გარდუვალი სიკვდილია, როგორც ორჯერ ორი — ოთხია, სიკვდილია ინგლისის მმართველობისა და ინგლისის მბრძანებლობისა.

ამ სახიფათო გზისაკენ გვიბიძგებენ ჩვენი ამხანაგები, ქართველი უკლონისტები, რამდენადაც ისინი არღვევენ პარტიის ყველა კანონს და ებრძვიან ფედერაციას, რამდენადაც მათ უნდათ გამოეყონ ფედერაციას ხელსაყრელი მდგომარეობის შესანარჩუნებლად. ისინი გვიბიძგებენ იქითკენ, რომ მივანიჭოთ მათ ზოგიერთი პრივილეგია სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ხარჯზე. ჩვენ არ შეგვიძლია ამ გზას დავადგეთ, ვინაიდან ეს უეჭველი სიკვდილია მთელი ჩვენი პოლიტიკისა და საბჭოთა ხელისუფლებისა კავკასიაში.

შემთხვევითი როდია, რომ ეს საშიშროება იგრძნეს ჩვენმა ქართველმა ამხანაგებმა. ამ ქართულმა შოვინიზმმა, რომელიც გადავიდა სომხებისა და აზერბაიჯანელების წინააღმდეგ მიმართულ შეტევაზე, ფეხზე დააყენა საქართ-

ველოს კომპარტია. სავსებით გასაგებია, რომ საქართველოს კომპარტია, რომელსაც თავისი ლეგალური არსებობის დროიდან ორი ყრილობა ჰქონდა, ყოველთვის ერთსულოვნად უარყოფდა ამხანაგ უკლონისტთა პოზიციას, ვინაიდან ამიერკავკასიის ფედერაციის გარეშე ახლანდელ პირობებში მშვიდობიანობის შენარჩუნება კავკასიაში არ შეიძლება, თანასწორობის დამყარება არ შეიძლება. შეუძლებელია დავუშვათ, რომ ერთი ერი უფრო პრივილეგიური იყოს, ვიდრე მეორე. ეს იგრძნეს ჩვენმა ამხანაგებმა. აი რატომ არის, რომ ორი წლის ბრძოლის განმავლობაში მდივანის ჯგუფი წარმოადგენს ერთ მუჭა ხალხს, რომელსაც პარტია ერეკება ხოლმე თავისი რიგებიდან თვით საქართველოში.

შემთხვევითი როდია აგრეთვე, რომ ამხ. ლენინი ასე ჩქარობდა და ასე დაჟინებით მოითხოვდა იმას, რომ ფედერაცია დაუყოვნებლივ ყოფილიყო შემოღებული. შემთხვევითი არაა ისიც, რომ ჩვენმა ცენტრალურმა კომიტეტმა სამჯერ დაადასტურა, რომ ამიერკავკასიისათვის აუცილებელია ფედერაცია თავისი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტითა და თავისი აღმასრულებელი ხელისუფლებით, რომლის გადაწყვეტილებანი სავალდებულო იქნება რესპუბლიკებისათვის. შემთხვევითი არაა ის, რომ ორივე — როგორც ამხ. ძერჟინსკის, ისე კამენევისა და კუიბიშევის — კომისიამ მოსკოვში ჩამოსვლისას განაცხადა, რომ შეუძლებელია, თუ ფედერაცია არ იქნაო.

შემთხვევითი არაა, ბოლოს, ისიც, რომ «სოციალისტიჩესკი ვესტნიკის»[69] მენშევიკები აქებენ ჩვენს ამხანაგ უკლონისტებს ფედერაციასთან ბრძოლისათვის, ელოლიავებიან მათ: ამჭარი ამჭარს შორიდან იცნობს.

გადავდივარ იმ საშუალებების, იმ გზების განხილვაზე, რის შემწეობითაც ჩვენ უნდა დავძლიოთ ეს სამი ძირი-

თადი ფაქტორი, რომელნიც აფერხებენ გაერთიანებას: ველიკოროსული შოვინიზმი, ერების ფაქტიური უთანასწორობა და ადგილობრივი ნაციონალიზმი, განსაკუთრებით, როდესაც იგი შოვინიზმში გადადის. იმ საშუალებათაგან, რომელთაც შეუძლიათ დაგვეხმარონ უმტკივნეულოდ აღმოვფხვრათ მთელი ეს ძველი მემკვიდრეობა, რაც აფერხებს ხალხთა დაახლოებას, მე აღვნიშნავ სამს.

პირველი საშუალება: მივიღოთ ყველა ზომა იმისათვის, რომ რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლება გასაგები და მშობლიური გახდეს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ჩვენში იყოს არა მარტო რუსული, არამედ საეროვნებათაშორისოც. ამისათვის საჭიროა, რათა არა მარტო სკოლები, არამედ აგრეთვე ყველა დაწესებულება, ყველა ორგანო, როგორც პარტიული, ისე საბჭოთა, თანდათან გაეროვნულდეს, რათა ისინი მოქმედებდნენ მასებისათვის გასაგებ ენაზე, რათა ისინი მუშაობდნენ ამა თუ იმ ხალხის ყოფა-ცხოვრების შესაბამის პირობებში. მხოლოდ ამ პირობით მივიღებთ შესაძლებლობას — საბჭოთა ხელისუფლება რუსული ხელისუფლებიდან გადავაქციოთ საეროვნებათაშორისო, ახლობელ, გასაგებ და მშობლიურ ხელისუფლებად ყველა რესპუბლიკათა მშრომელი მასებისათვის, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც ჩამორჩენილია მეურნეობრივად და კულტურულად.

მეორე საშუალება, რომელსაც შეუძლია გაგვიადვილოს ცარიზმისა და ბურჟუაზიისაგან მიღებული მემკვიდრეობის უმტკივნეულოდ აღმოფხვრის საქმე, — ეს არის კომისარიატების ისეთი კონსტრუქცია რესპუბლიკების კავშირში, რომელიც საშუალებას მისცემს ძირითად ეროვნებებს მაინც თავისი ხალხი იყოლიონ კოლეგიათა შემადგენლობაში და რომელიც შექმნის ისეთ პირობებს, როცა

ცალკეულ რესპუბლიკათა საჭიროებანი და მოთხოვნილებანი აუცილებლად დაკმაყოფილდებიან.

მესამე საშუალება: საჭიროა, რომ ჩვენი უმაღლესი ცენტრალური ორგანოების შემადგენლობაში იყოს ისეთი ორგანო, რომელიც გამოხატავდეს უკლებლივ ყველა რესპუბლიკისა და ეროვნების საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს.

ამ უკანასკნელ საშუალებას მინდა საგანგებოდ მივაქციო თქვენი ყურადღება.

ჩვენ რომ შეგვეძლოს საკავშირო ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის შემადგენლობაში შევქმნათ ორი თანასწორუფლებიანი პალატა, რომელთაგან პირველი აირჩეოდა საბჭოების საკავშირო ყრილობაზე, ეროვნებათა დამოუკიდებლად, ხოლო მეორე პალატას აირჩევდნენ რესპუბლიკები და ნაციონალური ოლქები (რესპუბლიკები თანაბრად და ნაციონალური ოლქებიც თანაბრად) და დაამტკიცებდა რესპუბლიკათა კავშირის საბჭოების იგივე ყრილობა, — მე ვფიქრობ, მაშინ ჩვენი უმაღლესი დაწესებულებების შემადგენლობაში გვექნებოდა გამოხატულება არა მარტო უკლებლივ ყველა მშრომელთა კლასობრივი ინტერესებისა, არამედ წმინდა ნაციონალური მოთხოვნილებებისაც. ჩვენ გვექნებოდა ორგანო, რომელიც გამოხატავდა რესპუბლიკათა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნებათა, ხალხთა და ტომთა განსაკუთრებულ ინტერესებს. არ შეიძლება, ამხანაგებო, ჩვენს პირობებში, როცა კავშირი აერთიანებს საერთოდ სულ ცოტა 140 მილიონ ადამიანს, რომელთაგან 65 მილიონი არარუსია, — არ შეიძლება ასეთ სახელმწიფოში მართვა, თუ არ გვეყოლა თვალწინ, აქ, მოსკოვში, უმაღლეს ორგანოში, ამ ეროვნებათა წარმომადგენელნი, რომელნიც გამოხატავენ არა მარტო მთელი პროლეტარიატისათვის საერთო ინტერესებს, არამედ განსაკუთრებულ,

სპეციალურ, სპეციფიკურ, ნაციონალურ ინტერესებსაც. უამისოდ, ამხანაგებო, მართვა არ შეიძლება. თუ არ გვექნა ხელში ეს ბარომეტრი და არ გვეყოლა ადამიანები, რომელთაც შეეძლებათ ჩამოაყალიბონ ცალკეულ ეროვნებათა ეს სპეციალური საჭიროებანი, ისე მართვა არ შეიძლება.

არის ქვეყნის მართვის ორი წესი: ერთი წესია, როცა აპარატი «გამარტივებულია» და მის სათავეში ზის, ვთქვათ, ჯგუფი ან ერთი კაცი, რომელსაც ადგილობრივად ხელები და თვალები აქვს გუბერნატორების სახით. ეს მმართველობის მეტად მარტივი ფორმაა, ამასთან მეთაური, ქვეყანას რომ მართავს, ღებულობს იმ ცნობებს, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნან გუბერნატორებისაგან, და მეთაური თავს ინუგეშებს იმედით, რომ ის პატიოსნად და მართებულად განაგებს. შემდეგ ჩნდება უთანხმოებანი, უთანხმოებანი გადადიან კონფლიქტებში, კონფლიქტები — აჯანყებებში. მერე აჯანყებებს ახშობენ. მმართველობის ასეთი სისტემა ჩვენი სისტემა არ არის, ამასთან იგი მეტად ძვირია, თუმცა მარტივი კია. მაგრამ არის მმართველობის სხვა სისტემაც, საბჭოთა სისტემა. ჩვენ საბჭოთა ქვეყანაში ვახორციელებთ მმართველობის სხვა სისტემას, მმართველობის იმ სისტემას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა წინასწარ ზუსტად გავითვალისწინოთ ყოველი ცვლილება, ყოველგვარი ვითარება გლეხებშიც, ნაციონალებშიც, ეგრეთწოდებულ «სხვატომელებშიც» და რუსებშიც, რათა უმაღლესი ორგანოების სისტემაში გვქონდეს მთელი რიგი ბარომეტრები, რომლებიც წინასწარ გაგვაგებინებენ ყოველნაირ ცვლილებას, აღნუსხავენ ბასმაჩურ მოძრაობასაც[70], ბანდიტურ მოძრაობასაც, კრონშტადტსაც და ყოველგვარ შესაძლებელ ჭარიშხალსა და უბედურებასაც და გაგვაფრთხილებენ მათ შესახებ. ეს არის მმართველობის საბჭოთა სისტემა. მას იმიტომ ეწოდება საბჭოთა ხელის-

უფლება, სახალხო ხელისუფლება, რომ, ეყრდნობა რა თვით დაბალ ფენებს, იგი ყველაზე უწინ გებულობს ყოველგვარ ცვლილებას, იღებს სათანადო ღონისძიებებს და დროზე ასწორებს ხაზს, თუ ის გამრუდდა, — თავის თავს აკრიტიკებს და ასწორებს ხაზს. მმართველობის ეს სისტემა არის საბჭოთა სისტემა, და იგი მოითხოვს, რომ ჩვენ უმაღლესი ორგანოების სისტემაში გვქონდეს ისეთი ორგანოები, რომლებიც მთლიანად გამოხატავენ ნაციონალურ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს.

ამაზე გვიპასუხებენ, ეს სისტემა გაართულებს მმართველობას, ეს ჭარბად შექმნის ახალ ორგანოებსო. ეს მართალია. აქამდე ჩვენ გვყავდა რსფს რესპუბლიკის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტი, მერე შევქმენით კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტი, ახლა მოგვიხდება კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის ორ ნაწილად გაყოფა. რას იზამთ. მე უკვე ვთქვი, რომ მმართველობის ყველაზე მარტივი ფორმაა — დავსვათ ერთი კაცი და მივცეთ მას გუბერნატორები. მაგრამ ოქტომბრის შემდეგ ასეთი ექსპერიმენტების მოხდენა უკვე აღარ შეიძლება. სისტემა გართულდა, მაგრამ იგი აადვილებს მმართველობას და უაღრესად საბჭოურს ხდის მთელ მმართველობას. აი რატომ ვფიქრობ, რომ ყრილობამ უნდა დაადგინოს — შეიქმნას სპეციალური ორგანო — მეორე პალატა კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის შემადგენლობაში, როგორც აბსოლუტურად აუცილებელი ორგანო.

მე ვერ ვიტყვი, რომ ეს კავშირის ხალხთა შორის თანამშრომლობის მოგვარების სრულყოფილი ფორმა იყოს, ვერ ვიტყვი, რომ ეს მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა იყოს. ნაციონალურ საკითხს ჩვენ კიდევ არაერთხელ დავაყენებთ, ვინაიდან ნაციონალური და საერთაშორისო პირობები იცვლებიან და კიდეც შეიძლება შეიცვალონ.

მე პირობას ვერ დავდებ, რომ ჩვენ ზოგიერთ კომისარიატს, რომელთაც ვაერთებთ რესპუბლიკათა კავშირის შემადგენლობაში, შემდეგ არ განვაცალკევებთ, თუ გამოცდილება დაგვანახებს, რომ ზოგიერთმა კომისარიატმა შეერთების გამო მინუსი მოგვცა. მაგრამ ერთი რამ აშკარაა, — ახლანდელ პირობებში და ახლანდელ ვითარებაში უკეთესი მეთოდი და სხვა უფრო შესაფერისი ორგანო ჩვენს განკარგულებაში არ არის. უკეთესი საშუალება და სხვა გზა ისეთი ორგანოს შესაქმნელად, რომელიც ასახავდეს ყოველ რყევას და ყოველ ცვლილებას ცალკეული რესპუბლიკების შიგნით, ვიდრე მეორე პალატის შექმნაა, ჯერჯერობით არა გვაქვს.

თავისთავად გასაგებია, რომ მეორე პალატაში წარმოდგენილი უნდა იყოს არა მარტო ეს ოთხი რესპუბლიკა, რომელნიც გაერთიანდნენ, არამედ ყველა ხალხიც, ვინაიდან საქმე ეხება არა მარტო ფორმალურად გაერთიანებულ რესპუბლიკებს (ასეთი რესპუბლიკა ოთხია), არამედ რესპუბლიკათა კავშირის ყველა ერსა და ხალხსაც. ამიტომ ჩვენ უნდა გვქონდეს ისეთი ფორმა, რომელიც გამოუკლებლივ ყველა ხალხისა და რესპუბლიკის მოთხოვნილებათა გამომხატველი იქნებოდა.

მე ვაჯამებ, ამხანაგებო.

მაშასადამე, ნაციონალური საკითხის დიდი მნიშვნელობა განისაზღვრება ახალი სიტუაციით საერთაშორისო მდგომარეობაში, იმით, რომ ჩვენ აქ, რუსეთში, ჩვენს ფედერაციაში, ნაციონალური საკითხი უნდა გადავჭრათ სწორად, სანიმუშოდ, რათა მაგალითი მივცეთ აღმოსავლეთს, რომელიც წარმოადგენს რევოლუციის მძიმე რეზერვებს, და ამით გავაძლიეროთ მათი ნდობა, მათი სწრაფვა ჩვენი ფედერაციისადმი.

შინაგანი მდგომარეობის თვალსაზრისით ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობები, თანდათან გაძლიერებული ველიკოროსული შოვინიზმი და ადგილობრივი შოვინიზმი აგრეთვე გვავალდებულებენ ხაზგასმით აღვნიშნოთ ნაციონალური საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობა.

შემდეგ მე ვილაპარაკე, რომ ნაციონალური საკითხის არსი მდგომარეობს ყოფილი მპყრობელი ერის პროლეტარიატსა და ყოფილ არამპყრობელ ერთა გლეხობას შორის სწორი ურთიერთობის დამყარებაში, რომ ამ თვალსაზრისით ნაციონალური საკითხის კონკრეტული ფორმა ამჟამად გამოიხატება იმით, რომ გამოვნახოთ გზები, გამოვნახოთ საშუალებანი ხალხთა თანამშრომლობის მოსაგვარებლად რესპუბლიკების კავშირში, ერთიან სახელმწიფოში.

შემდეგ ვილაპარაკე იმ ფაქტორებზე, რომლებიც ხელს უწყობენ ხალხთა ამგვარ დაახლოებას. ვილაპარაკე იმ ფაქტორებზე, რომლებიც აფერხებენ ასეთ გაერთიანებას. სპეციალურად შევჩერდი ველიკოროსულ შოვინიზმზე, როგორც ძალაზე, რომელიც მტკიცდება. ეს ძალა ძირითადი საფრთხეა, რომელსაც შეუძლია შეარყიოს წინათ დაჩაგრულ ხალხთა ნდობა რუსი პროლეტარიატისადმი. ეს ჩვენი უსაშიშროესი მტერია, რომელიც ჩვენ უნდა დავსცეთ, ვინაიდან თუ ჩვენ მას დავსცემთ, მაშინ 9/10-ით დავსცემთ იმ ნაციონალიზმსაც, რომელიც შემორჩენილია და რომელიც ვითარდება ცალკეულ რესპუბლიკებში.

შემდეგ. ჩვენ ვდგავართ იმ საფრთხის წინაშე, რომ ამხანაგების ზოგიერთ ჯგუფს შეუძლია წაგვიბიძგოს ზოგი ეროვნებისათვის სხვების საზიანოდ პრივილეგიების მინიჭების გზისაკენ. მე განვაცხადე, რომ ჩვენ ამ გზაზე დადგომა არ შეგვიძლია, ვინაიდან მას შეუძლია ძირი გამოუთხაროს ნაციონალურ მშვიდობიანობას და ჩაკლას სხვა ეროვნებათა მასების ნდობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

შემდეგ მე ვამბობდი, რომ ძირითად საშუალებას, რომელსაც შეუძლია მოგვცეს შესაძლებლობა — ყველაზე უმტკივნეულო გზით აღმოვფხვრათ ეს, გაერთიანების შემაფერხებელი, ფაქტორები, წარმოადგენს მეორე პალატის შექმნა ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის შემადგენლობაში, რის შესახებაც მე უფრო აშკარად ვილაპარაკე ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე და რის შესახებაც თეზისებში ნათქვამია უფრო დაფარული ფორმით, რათა საშუალება მიგვეცა ამხანაგებისათვის, იქნებ, თვითონ დაესახათ სხვა, უფრო მოქნილი ფორმა, სხვა, უფრო შესაფერისი ორგანო, რომელსაც შეეძლებოდა ეროვნებათა ინტერესების გამოხატვა.

ასეთია დასკვნები.

მე ვფიქრობ, რომ მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ ჩვენ ნაციონალური საკითხის სწორ გადაწყვეტას, მივაღწევთ იმას, რომ ფართოდ გავშლით პროლეტარული რევოლუციის დროშას და მოვუპოვებთ მას თანაგრძნობასა და ნდობას აღმოსავლეთის ქვეყნებისას, რომლებიც წარმოადგენენ რევოლუციის მძიმე რეზერვებს და რომელთაც შეუძლიათ გადამწყვეტი როლი შეასრულონ პროლეტარიატის მომავალ შეტაკებებში იმპერიალიზმთან. (ტ ა შ ი).

4. საბოლოო სიტყვა პარტიულ და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში ნაციონალური მომენტების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო

25 აპრილი

ამხანაგებო! ვიდრე გადავიდოდე ინფორმაციაზე ნაციონალური საკითხის სექციის მუშაობის შესახებ, ნება მომეცით ორი ძირითადი პუნქტის გამო ვუპასუხო იმ ორატორებს, რომლებიც აქ გამოვიდნენ ჩემი მოხსენების გამო. ეს წაგვართმევს სულ ოციოდე წუთს, მეტს არა.

პირველი საკითხი — ეს არის საკითხი იმის შესახებ, რომ ამხანაგების ერთმა ჯგუფმა, ბუხარინისა და რაკოვსკის მეთაურობით, მეტისმეტად გაბერა ნაციონალური საკითხის მნიშვნელობა, გააზვიადა იგი და რომ ნაციონალური საკითხის გამო მას გამორჩა სოციალური საკითხი, — მუშათა კლასის ხელისუფლების საკითხი.

ჩვენთვის, როგორც კომუნისტებისათვის, ცხადია, რომ მთელი ჩვენი მუშაობის საფუძველს წარმოადგენს მუშაობა მუშათა ხელისუფლების განსამტკიცებლად, და მხოლოდ ამის შემდეგ დგება ჩვენს წინაშე მეორე საკითხი, ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ პირველისადმი დაქვემდებარებული საკითხი, — ნაციონალური საკითხი. გვეუბნებიან, არ შეიძლება ნაციონალებს ვაწყენინოთო. ეს სრული სიმართლეა,

მე ამას ვეთანხმები, — არ უნდა ვაწყენინოთ მათ. მაგრამ აქედან იმ ახალი თეორიის შექმნა, რომ ველიკოროსი პროლეტარიატი უნდა ჩავაყენოთ არათანასწორუფლებიანი ერის მდგომარეობაში ყოფილი ჩაგრული ერების მიმართ, — ეს ნიშნავს შეუსაბამობის თქმას. ის, რაც ამხ. ლენინის ცნობილ სტატიაში სიტყვის ხერხია, ბუხარინმა მთელ ლოზუნგად გადააქცია. ამავე დროს კი ცხადია, რომ პროლეტარული დიქტატურის პოლიტიკური საფუძველი უპირველესად და უმთავრესად ცენტრალური, სამრეწველო რაიონებია, და არა განაპირა მხარეები, რომლებიც გლეხურ ქვეყნებს წარმოადგენენ. ჩვენ რომ გადავღუნოთ ჯოხი გლეხური განაპირა მხარეებისაკენ, პროლეტარული რაიონების საზიანოდ, მაშინ შეიძლება პროლეტარიატის დიქტატურის სისტემა გაიბზაროს. ეს საშიშია, ამხანაგებო. პოლიტიკაში არ შეიძლება გადამლაშება, ისე როგორც არ შეიძლება მარილის დაკლება.

უნდა გვახსოვდეს, რომ, გარდა ხალხთა თვითგამორკვევის უფლებისა, არსებობს კიდევ მუშათა კლასის უფლება — განამტკიცოს თავისი ძალაუფლება, და ამ უკანასკნელი უფლებისადმი დაქვემდებარებულია თვითგამორკვევის უფლება. არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც თვითგამორკვევის უფლება წინააღმდეგობაში ექცევა მეორე, უმაღლეს უფლებასთან,—ხელისუფლების სათავეში ჩამდგარი მუშათა კლასის უფლებასთან — განამტკიცოს თავისი ძალაუფლება. ასეთ შემთხვევაში, — ეს პირდაპირ უნდა ითქვას, — თვითგამორკვევის უფლება არ შეიძლება იყოს და არც უნდა იყოს დაბრკოლება იმ საქმისათვის, რომ მუშათა კლასმა განახორციელოს თავისი დიქტატურის უფლება. პირველმა უკან უნდა დაიხიოს მეორის წინაშე. ასე იყო საქმე, მაგალითად, 1920 წელს, როდესაც ჩვენ, მუშათა კლასის ძალაუფლების დაცვის ინტერესებისათვის, იძულებული გავხდით წავსულიყავით ვარშავაზე.

ამიტომ არ უნდა დავივიწყოთ, რომ, როდესაც ნაციონალებს ყოველგვარ დაპირებას აძლევ, როდესაც ეროვნებათა წარმომადგენლებს ელაქუცები, როგორც ამას ამ ყრილობაზე ზოგიერთი ამხანაგი სჩადიოდა, უნდა გახსოვდეს, რომ ნაციონალური საკითხის მოქმედების სფერო და მისი, ასე ვთქვათ, კომპეტენციის ფარგლები ჩვენი საგარეო და საშინაო პირობების დროს იფარგლება «მუშათა საკითხის» — როგორც ყველა საკითხთა შორის ძირითადი საკითხის — მოქმედებისა და კომპეტენციის სფეროთი.

აქ ბევრი იმოწმებდა ვლადიმერ ილიას-ძის წერილებსა და სტატიებს. მე არ მინდოდა ჩემი მასწავლებლის — ამხ. ლენინის ციტირება, რადგან ის აქ არ არის, და ვშიშობ, ვაი თუ უმართებულოდ და უადგილოდ დავიმოწმო იგი. მიუხედავად ამისა, იძულებული ვარ ერთი აქსიომატური ადგილი, რომელიც არავითარ გაუგებრობას არ იწვევს, მოვიყვანო, რათა ამხანაგებს არ ჰქონდეთ ეჭვი ნაციონალური საკითხის ხვედრითი წონის თაობაზე. ამხ. ლენინი თავის სტატიაში თვითგამორკვევის შესახებ, არჩევს რა მარქსის წერილს ნაციონალურ საკითხზე, ასეთ დასკვნას აკეთებს:

«მუშათა საკითხთან» შედარებით ნაციონალური საკითხის დაქვემდებარებული მნიშვნელობა მარქსისათვის ეჭვს გარეშეა» [71].

აქ სულ ორი სტრიქონია, მაგრამ ის ყველაფერს წყვეტს. აი ეს უნდა აღიბეჭდოს თავის მეხსიერებაში ზოგიერთმა ერთობ გულმოდგინე ამხანაგმა.

მეორე საკითხი — ესაა ველიკოროსული შოვინიზმისა და ადგილობრივი შოვინიზმის საკითხი. აქ გამოვიდნენ რაკოვსკი და განსაკუთრებით ბუხარინი, რომელმაც შემოიტანა წინადადება — ამოიშალოს ის პუნქტი, სადაც ლაპარაკია ადგილობრივი შოვინიზმის მავნებლობაზე. აქაო-და, არ ღირს თავი ვიმტვრიოთ ისეთი ჭიაყელასათვის, როგო-

რიცაა ადგილობრივი შოვინიზმი, როდესაც ჩვენს წინაშეა ისეთი «გოლიათი», როგორიც ველიკოროსული შოვინიზმია. საზოგადოდ, ბუხარინი მონანიების გუნებაზე იყო. ეს გასაგებია: მთელი წლობით სცოდავდა იგი ეროვნებათა წინაშე, როცა უარყოფდა თვითგამორკვევის უფლებას. — ბოლოს, დროა მოინანიოს. მაგრამ, როცა მოინანია, ის მეორე უკიდურესობაში გადავარდა. კურიოზულია, რომ ბუხარინი მოუწოდებს პარტიას — მისდიოს მის მაგალითს და მანაც მოინანიოს, თუმცა მთელმა ქვეყანამ იცის, რომ პარტია აქ არაფერ შუაშია, ვინაიდან ის თავისი არსებობის დასაწყისიდანვე (1898 წ.) აღიარებდა თვითგამორკვევის უფლებას და, მაშასადამე, მოსანანიებელიც არაფერი აქვს. საქმე ის არის, რომ ბუხარინმა ვერ გაიგო ნაციონალური საკითხის არსი. როდესაც ამბობენ, ნაციონალურ საკითხში ქვაკუთხედად უნდა დაესახოთ ბრძოლა ველიკოროსულ შოვინიზმთანო, ამით სურთ აღნიშნონ რუსი კომუნისტის მოვალეობანი, ამით სურთ თქვან, რომ რუსი კომუნისტის მოვალეობაა თვითონ აწარმოოს ბრძოლა რუსულ შოვინიზმთან. რუსმა კომუნისტებმა კი არა, არამედ თურქესტანელმა ან ქართველმა კომუნისტებმა რომ დაიწყონ ბრძოლა რუსულ შოვინიზმთან, მათს ასეთ ბრძოლას შეაფასებდნენ როგორც ანტირუსულ შოვინიზმს. ეს მთელ საქმეს არევ-დარევდა და ველიკოროსულ შოვინიზმს განამტკიცებდა. მხოლოდ რუს კომუნისტებს შეუძლიათ იკისრონ ბრძოლა ველიკოროსულ შოვინიზმთან და ბოლომდე მიიყვანონ იგი.

მაგრამ რისი თქმა უნდათ, როდესაც მოითხოვენ ბრძოლას ადგილობრივ შოვინიზმთან? ამით სურთ აღნიშნონ ადგილობრივი კომუნისტების მოვალეობა, არარუსი კომუნისტების მოვალეობა — ებრძოლონ თავიანთ შოვინიზმს. განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ გადახრები ანტირუ-

სული შოვინიზმისაკენ არსებობს? აკი მთელმა ყრილობამ თვალნათლივ დაინახა, რომ ადგილობრივი შოვინიზმი, ქართული, ბაშკირული და სხვ., არსებობს, რომ მასთან ბრძოლა საჭიროა. რუს კომუნისტებს არ შეუძლიათ თათრულ, ქართულ, ბაშკირულ შოვინიზმთან ბრძოლა, რადგან რუსმა კომუნისტმა რომ იკისროს თათრულ ან ქართულ შოვინიზმთან ბრძოლის მძიმე ამოცანა, ეს მისი ბრძოლა შეფასებული იქნება როგორც ველიკოროსი შოვინისტის ბრძოლა თათრების თუ ქართველების წინააღმდეგ. ეს მთელ საქმეს არევ-დარევდა. მხოლოდ თათარ, ქართველ და სხვა კომუნისტებს შეუძლიათ იბრძოლონ თათრული, ქართული და სხვა შოვინიზმის წინააღმდეგ, მხოლოდ ქართველ კომუნისტებს შეუძლიათ წარმატებით ებრძოლონ თავის, ქართულ ნაციონალიზმს თუ შოვინიზმს. ეს არის **არარუსი** კომუნისტების მოვალეობა. აი რატომაა საჭირო, **რომ** თეზისებში **აღინიშნოს** ეს ორმხრივი ამოცანა — **რუსი კომუნისტებისა** (მხედველობაში მაქვს ბრძოლა ველიკოროსულ შოვინიზმთან) და არარუსი კომუნისტებისა (მხედველობაში მაქვს მათი ბრძოლა ანტისომხურ, ანტითათრულ, ანტირუსულ შოვინიზმთან). უამისოდ თეზისები ცალმხრივი გამოვა, უამისოდ ვერ მივიღებთ ვერავითარ ინტერნაციონალიზმს ვერც სახელმწიფოებრივ და ვერც პარტიულ მშენებლობაში.

ჩვენ რომ ვაწარმოოთ ბრძოლა მარტო ველიკოროსულ შოვინიზმთან, ეს ბრძოლა დაჩრდილავს თათარი და სხვა შოვინისტების ბრძოლას, რომელიც ადგილებზე ვითარდება და რომელიც საშიშია განსაკუთრებით ამჟამად, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში. ჩვენ არ შეგვიძლია არ ვაწარმოოთ ბრძოლა ორ ფრონტზე, ვინაიდან მხოლოდ იმ პირობით, თუ ვიბრძოლებთ ორ ფრონტზე, — ერთი მხრივ, ველიკოროსულ შოვინიზმთან, რომელიც ჩვენს სა-

მშენებლო მუშაობაში ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, და, მეორე მხრივ, ადგილობრივ შოვინიზმთან, — მხოლოდ ამ პირობით შეიძლება მივაღწიოთ წარმატებას, ვინაიდან ამ ორმხრივი ბრძოლის გარეშე არავითარი შეკავშირება რუს და სხვა ეროვნებათა მუშებისა და გლეხებისა არ გამოგვივა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ ადგილობრივი შოვინიზმის წაქეზება, ადგილობრივი შოვინიზმისათვის პრემიის პოლიტიკა, რის დაშვებაც ჩვენ არ შეგვიძლია.

ნება მომეცით აქაც დავიმოწმო ამხ. ლენინი. ამას არ ვიზამდი, მაგრამ რადგან ჩვენს ყრილობაზე არის ბევრი ამხანაგი, რომელთაც წაღმა-უკუღმა მოჰყავთ ციტატები ამხ. ლენინის ნაწერებიდან და ამახინჯებენ მას, ნება მომეცით წაგიკითხოთ რამდენიმე სიტყვა ამხ. ლენინის ერთი, ყველასათვის ცნობილი, სტატიიდან:

«პროლეტარიატი უნდა მოითხოვდეს იმ კოლონიათა და ერთა პოლიტიკური გამოყოფის თავისუფლებას, რომელთაც «მისი» ერი ჩაგრავს. წინააღმდეგ შემთხვევაში პროლეტარიატის ინტერნაციონალიზმი ცარიელი ლაპარაკი იქნება; ჩაგრულ და მჩაგვრელ ერთა მუშებს შორის არც ურთიერთნდობა და არც კლასობრივი სოლიდარობა არ არის შესაძლებელი» [72].

ესაა, ასე ვთქვათ, გაბატონებული ან ყოფილი გაბატონებული ერის პროლეტარების მოვალეობა. შემდეგ იგი უკვე ლაპარაკობს წინათ ჩაგრულ ერთა პროლეტარების ან კომუნისტების მოვალეობაზე:

«მეორე მხრივ, ჩაგრულ ერთა სოციალისტები განსაკუთრებით უნდა იცავდნენ და ცხოვრებაში ატარებდნენ ჩაგრული ერის მუშათა სრულსა და უეჭველ, მათ შორის ორგანიზაციულ, ერთიანობას მჩაგვრელი ერის მუშებთან. უამისოდ შეუძლებელია დავიცვათ პროლეტარიატის დამოუკიდებელი პოლიტიკა და მისი კლასობრივი სოლიდარობა სხვა ქვეყნების პროლეტარიატთან ბურჟუაზიის ყველა და ყოველგვარი ყალთაბანდობის, ღალატისა და თაღლითობის პირობებში. ვინაიდან ჩაგრულ ერთა ბურჟუაზია ეროვნული განთავისუფლების ლოზუნგებს მუდამ მუშათა მოტყუებად აქცევს».

როგორც ხედავთ, თუკი ამხ. ლენინის კვალს გავყვებით, — ხოლო აქ ზოგიერთი ამხანაგი მის სახელს ფიცულობდა, — საჭიროა, რომ ორივე თეზისი, როგორც ველიკოროსულ შოვინიზმთან, ისე ადგილობრივ შოვინიზმთან ბრძოლის შესახებ, — დავტოვოთ რეზოლუციაში, როგორც ერთი მოვლენის ორი მხარე, როგორც თეზისები საზოგადოდ შოვინიზმთან ბრძოლის შესახებ.

ამით მე ვათავებ ჩემს პასუხს იმ ორატორების მიმართ, რომლებიც აქ გამოვიდნენ.

შემდეგ, ნება მომეცით მოგახსენოთ ნაციონალური საკითხის სექციის მუშაობის შესახებ. სექციამ საფუძვლად მიიღო ცენტრალური კომიტეტის თეზისები. სექციამ სრულიად უცვლელად დატოვა ამ თეზისების ექვსი პუნქტი: 1, 2, 3, 4, 5 და 6. სექციაში მიმდინარეობდა ბრძოლა უწინარეს ყოვლისა იმის შესახებ, წინასწარ უნდა გამოვყოთ ავტონომიური რესპუბლიკები რსფს რესპუბლიკის შემადგენლობიდან და შემდეგ კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკები ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობიდან, რათა ისინი დამოუკიდებლად შევიდნენ რესპუბლიკების კავშირში, — თუ არ უნდა მოვიქცეთ ასე. ეს იყო ქართველი ამხანაგების ერთი ნაწილის წინადადება, — წინადადება, რომელიც, როგორც ცნობილია საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციების მხრივ თანაგრძნობას ვერ ხვდება. სექციამ განიხილა ეს საკითხი და უდიდესი უმრავლესობით მხარი დაუჭირა იმას, რომ დატოვებულ იქნას ის მდგომარეობა, რომელიც განვითარებულია თეზისებში, ე. ი. რსფსრ რჩება როგორც მთლიანი ერთეული, ამიერკავკასიის ფედერაციაც — აგრეთვე როგორც მთლიანი ერთეული და ამ სახით შედის რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში. ქართველი ამხანაგების ამ ნაწილის ყველა წინადადებას როდი ეყარა კენჭი, რად-

გან ამ წინადადებათა ავტორებმა, რაკი დაინახეს, რომ მათი წინადადებანი თანაგრძნობას ვერ ხვდებიან, მოხსნეს ისინი. ამ საკითხის გამო სერიოზული ბრძოლა იყო.

მეორე საკითხი, რომლის გამოც ბრძოლა წარმოებდა, იყო საკითხი, თუ როგორ უნდა შედგეს მეორე პალატა. ამხანაგების ერთი ნაწილი (უმცირესობა) წინადადებას იძლეოდა შეგვეყვანა მეორე პალატის შემადგენლობაში არა ყველა რესპუბლიკის, ეროვნებისა და ოლქის წარმომადგენლები, არამედ შეგვექმნა მეორე პალატა ოთხი რესპუბლიკის: რსფსრ-ის, ამიერკავკასიის ფედერაციის, ბელორუსიისა და უკრაინის წარმომადგენლობის საფუძველზე. უმრავლესობამ ეს წინადადება არ მიიღო, სექციამაც გაილაშქრა ამ წინადადების წინააღმდეგ და გადაწყვიტა, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნება ისე აიგოს მეორე პალატა, რომ იქ თანასწორობის საფუძველზე წარმოდგენილი იყოს ყველა რესპუბლიკა (დამოუკიდებელიც და ავტონომიურიც) და ყველა ნაციონალური ოლქი. მე აქ მოტივებს არ მოვიყვან, რადგან უმცირესობის წარმომადგენელი რაკოვსკი გამოვა აქ, რათა დაასაბუთოს თავისი წინადადება, რომელიც სექციაში არ გავიდა. როცა ის თავის აზრს გაგაცნობთ, მეც ჩემს მოსაზრებებს გამოვთქვამ.

ბრძოლა წარმოებდა კიდევ, თუმცა არც ისე მძაფრი, იმ საკითხის გამო, უნდა შევიტანოთ თუ არა ამ თეზისებში ისეთი შესწორება, რომელიც აღნიშნავდა, რომ ნაციონალური საკითხის გადაწყვეტისას საჭიროა ორიენტაცია ავიღოთ არა მარტო აღმოსავლეთზე, არამედ დასავლეთზედაც. სექციამ კენჭი უყარა ამ შესწორებას. ეს არის უმცირესობის შესწორება — რაკოვსკის შესწორება. სექციამ უარყო ეს შესწორება. ამ საკითხზეც კიდევ ვილაპარაკებ, მას შემდეგ რაც რაკოვსკი გამოთქვამს თავის აზრს.

მე წაგიკითხავთ იმ შესწორებებს, რომლებიც სექციამ მიიღო. ექვსი პუნქტი უსიტყვოდ მივიღეთ. მე-7 პუნქტს, მეორე აბზაცი, მესამე სტრიქონი, შემდეგი სიტყვების წინ: «ამიტომ გადამწყვეტი ბრძოლა» ჩაერთოს შემდეგი:

«მდგომარეობა მთელ რიგ ნაციონალურ რესპუბლიკებში (უკრაინა, ბელორუსია, აზერბაიჯანი, თურქესტანი) რთულდება იმით, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი მუშათა კლასისა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ძირითად დასაყრდენს წარმოადგენს, ველიკოროსულ ეროვნებას ეკუთვნის. ამ რაიონებში ქალაქისა და სოფლის, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი ხვდება უძლიერეს დაბრკოლებას ველიკოროსული შოვინიზმის გადმონაშთების სახით როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა ორგანოებში. ამ პირობებში ლაპარაკი რუსული კულტურის უპირატესობებზე და იმ დებულების წამოყენება, რომ გარდუვალია უფრო მაღალი რუსული კულტურის გამარჯვება უფრო ჩამორჩენილ ხალხთა კულტურებზე (უკრაინულ, აზერბაიჯანულ, უზბეკურ, ყირგიზულ და სხვა კულტურებზე), სხვა არა არის რა, თუ არა ცდა — განამტკიცო ველიკოროსული ეროვნების ბატონობა».

ეს შესწორება მე მივიღე იმიტომ, რომ იგი აუმჯობესებს თეზისებს.

მეორე შესწორება ეხება აგრეთვე მე-7 პუნქტს. ფრაზის წინ: «უამისოდ საფუძველი არა გვაქვს იმედი ვიქონიოთ» ჩაერთოს შემდეგი დამატება:

«ეს დახმარება უწინარეს ყოვლისა უნდა გამოიხატოს წინათ ჩაგრულ ეროვნებათა რესპუბლიკებში მრეწველობის კერების შესაქმნელად მთელი რიგი პრაქტიკული ზომების მიღებით და მასში ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალური ჩაბმით. ბოლოს, ეს დახმარება, X ყრილობის რეზოლუციის თანახმად, უნდა მიმდინარეობდეს იმ ბრძოლის პარა-

ლელურად, რასაც მშრომელი მასები ეწევიან თავიანთი სოციალური პოზიციების განმტკიცებისათვის ადგილობრივი და მოსული ექსპლოატატორული ზედაფენების წინააღმდეგ, რომლებიც ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით ძლიერდებიან. რამდენადაც ეს რესპუბლიკები უპირატესად სოფლის მეურნეობის რაიონებს წარმოადგენენ, საშინაო სოციალური ღონისძიებანი უნდა ტარდებოდეს უწინარეს ყოვლისა იმნაირად, რომ მშრომელ მასებს მიეცეს მიწა თავისუფალი სახელმწიფო ფონდიდან».

შემდეგ ამავე მე-7 პუნქტში, აბზაცი 2, შუა ადგილას, სადაც ლაპარაკია ქართულ, აზერბაიჯანულ და სხვ. შოვინიზმზე, ჩაემატოს: «სომხური შოვინიზმი და სხვ.». სომეხმა ამხანაგებმა მოისურვეს, რომ სომხები ნაწყენი არ დარჩენილიყვნენ, რომ მათი შოვინიზმიც ყოფილიყო მოხსენიებული.

მერე, თეზისების მე-8 პუნქტში ამ სიტყვებს შემდეგ: «ერთიანი განუყოფელი» ჩაერთოს:

«ძველის მემკვიდრეობის ასეთივე შედეგად უნდა ჩაითვალოს რსფსრ ზოგიერთ უწყებათა მისწრაფება — დაიმორჩილონ ავტონომიური რესპუბლიკების დამოუკიდებელი კომისარიატები და გაიკაფონ გზა ამ უკანასკნელთა ლიკვიდაციისაკენ».

შემდეგ მე-8 პუნქტში ჩაერთოს:

«და რომელიც აღიარებს ნაციონალური რესპუბლიკების არსებობისა და შემდგომი განვითარების აბსოლუტურ აუცილებლობას».

შემდეგ მე-9 პუნქტი. დაწყებულ იქნას ისე, როგორც მე წაგიკითხავთ:

«რესპუბლიკების კავშირი, შექმნილი ცალკეულ რესპუბლიკათა მუშებისა და გლეხების თანასწორობისა და ნებაყოფლობის საფუძველზე, წარმოადგენს პროლეტარიატის

პირველ ცდას დამოუკიდებელი ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში და პირველ ნაბიჯს შრომის მომავალი მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკის შექმნისაკენ».

მე-10 პუნქტს აქვს ქვეპუნქტი «ა», მანამდე შევიტანეთ ქვეპუნქტი «ა» შემდეგი სახით:

«ა) კავშირის ცენტრალური ორგანოების აგებისას უზრუნველყოფილ იქნას ცალკეული რესპუბლიკების უფლებათა და მოვალეობათა თანასწორობა როგორც ურთიერთდამოკიდებულებაში, ისე კავშირის ცენტრალური ხელისუფლების მიმართ».

შემდეგ წავა ქვეპუნქტი «ბ» იმ სახით, როგორიც იგი იყო «ა» ქვეპუნქტის სახელწოდებით.

«ბ) კავშირის უმაღლესი ორგანოების სისტემაში შეიქმნას უკლებლივ ყველა ნაციონალური რესპუბლიკისა და ნაციონალური ოლქის წარმომადგენლობის სპეციალური ორგანო თანასწორობის საფუძველზე, ამასთან შეძლებისამებრ გათვალისწინებულ იქნას ამ რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალი ყველა ეროვნების წარმომადგენლობა».

შემდეგ წინანდელი «ბ» ქვეპუნქტი, ახლა «გ» ქვეპუნქტი ასეთი სახით:

«გ) კავშირის აღმასრულებელი ორგანოები შედგენილ იქნას ისეთ საფუძვლებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მათში რესპუბლიკების წარმომადგენელთა რეალურ მონაწილეობას და კავშირის ხალხების საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას».

მერე წავა «დ» ქვეპუნქტი, დამატება:

«დ) რესპუბლიკებს მიეცეთ საკმაოდ ფართო ფინანსური და, კერძოდ, საბიუჯეტო უფლებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი საკუთარი სახელმწიფო-ადმინისტ-

რაციული, კულტურული და სამეურნეო ინიციატივის გამოვლენის შესაძლებლობას».

შემდეგ წავა «გ» ქვეპუნქტი «ე» ქვეპუნქტის სახით:

«ე) ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების ორგანოები შედგეს უპირატესად ადგილობრივი ადამიანებისაგან, რომლებმაც იციან სათანადო ხალხთა ენა, ყოფა-ცხოვრება და ზნე-ჩვეულებანი».

შემდეგ დამატებულია მე-2 ქვეპუნქტი. უკანასკნელი იქნება «ვ»:

«ვ) გამოიცეს სპეციალური კანონები, რომლებიც უზრუნველყოფენ დედაენის ხმარებას ადგილობრივი და ნაციონალური მოსახლეობისათვის და ნაციონალურ უმცირესობათათვის მომსახურების გამწევ ყველა სახელმწიფო ორგანოსა და ყველა დაწესებულებაში, — კანონები, რომლებიც დევნიან და სჯიან მთელი რევოლუციური სიმკაცრით ნაციონალური უფლებებისა და განსაკუთრებით ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების ყველა დამრღვევს».

შემდეგ «ზ» ქვეპუნქტი დამატების სახით:

«ზ) გაძლიერდეს აღმზრდელობითი მუშაობა წითელ არმიაში კავშირის ხალხთა ძმობისა და სოლიდარობის იდეების დანერგვისათვის და მიღებულ იქნას პრაქტიკული ღონისძიებანი ნაციონალური საჯარისო ნაწილების შესაქმნელად, ამასთან გატარდეს ყველა ზომა, რაც კი აუცილებელია რესპუბლიკათა სრული თავდაცვისუნარიანობის უზრუნველსაყოფად».

აი ყველა ის დამატება, რომლებიც მიიღო სექციამ და რომელთა საწინააღმდეგო მე არაფერი მაქვს, ვინაიდან ისინი უფრო კონკრეტულს ხდიან თეზისებს.

რაც შეეხება მეორე განყოფილებას, რამდენადმე სერიოზული შესწორებანი ამ განყოფილებაში შეტანილი არ ყოფილა. იყო ზოგიერთი უმნიშვნელო შესწორება, რომლებიც ნაციონალური საკითხის სექციის მიერ არჩეულმა კომისიამ გადაწყვიტა მომავალ ცენტრალურ კომიტეტს გადასცეს.

ამრიგად, მეორე განყოფილება იმ სახით რჩება, რა სახითაც იგი ნაბეჭდ მასალებად დარიგდა.

5. პასუხი რეზოლუციის შესწორებათა გამო

25 აპრილი

თუმცა რაკოვსკის ერთისამად შეუცვლია და ერთიოთხად შეუმოკლებია ის რეზოლუცია, რომელიც მან სექციაში წარმოადგინა, მაინც მე გადაჭრით გამოვდივარ მისი შესწორების წინააღმდეგ, და აი რატომ. ჩვენი თეზისები ნაციონალურ საკითხზე ისეა აგებული, რომ ჩვენ თითქოს პირს ვიბრუნებთ აღმოსავლეთისაკენ, ვინაიდან მხედველობაში გვაქვს ის მძიმე რეზერვები, რომლებიც იქ თვლემენ. მთელი ნაციონალური საკითხი ჩვენ დავაყენეთ ილიჩის სტატიასთან დაკავშირებით, რომელშიც იგი თითქოს არც ერთ სიტყვას არ ამბობს დასავლეთზე, რადგან ნაციონალური საკითხის ცენტრი იქ კი არ არის, არამედ აღმოსავლეთის კოლონიებსა და ნახევრადკოლონიებშია. რაკოვსკის სურს, რათა ჩვენ, აღმოსავლეთისაკენ რომ შევბრუნდით, ამასთან ერთად, დასავლეთისკენაც შევბრუნდეთ. მაგრამ ეს შეუძლებელია, ამხანაგებო, და არაბუნებრივია, ვინაიდან კაცი საზოგადოდ ან ერთი მხარისაკენ შებრუნდება პირით, ან მეორე მხარისაკენ, — ორივე მხარისაკენ ერთსა და იმავე დროს შებრუნება არ შეიძლება. ჩვენ არ შეგვიძლია და არც უნდა დავარღვიოთ

თეზისების საერთო ტონი, მათი აღმოსავლური ტონი. აი, რატომ ვფიქრობ, რომ რაკოვსკის შესწორება უკუგდებულ უნდა იქნას.

* * *

ეს შესწორება თავისი მნიშვნელობით მე კარდინალურ შესწორებად მიმაჩნია. თუ მას ყრილობა მიიღებს, მე უნდა ვთქვა, რომ თეზისები თავდაყირა იქნება დაყენებული. რაკოვსკი წინადადებას იძლევა — ისე ავაგოთ მეორე პალატა, რომ იქ შედიოდნენ სახელმწიფო გაერთიანებათა წარმომადგენელნი. მას მიაჩნია, რომ უკრაინა არის სახელმწიფო გაერთიანება, ხოლო ბაშკირეთი არ არის. რატომ? ჩვენ ხომ არ ვსპობთ რესპუბლიკებში სახკომსაბჭოებს. განა ბაშკირეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი არ არის სახელმწიფო დაწესებულება?! და რატომ არ არის ბაშკირეთი სახელმწიფო? განა უკრაინა აღარ იქნება სახელმწიფო მას შემდეგ, რაც იგი კავშირში შევა? სახელმწიფოებრივმა ფეტიშიზმმა გზა-კვალი აუბნია რაკოვსკის. თუ ეროვნებანი თავისი უფლებებით თანასწორი არიან, თუ მათ აქვთ თავისი ენა, ზნენი, ყოფა-ცხოვრება, ჩვეულებანი, თუ ამ ეროვნებებმა შექმნეს თავისი სახელმწიფო დაწესებულებანი — ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, სახკომსაბჭოები, განა ცხადი არ არის, რომ ყველა ეს ნაციონალური წარმონაქმნი სახელმწიფო გაერთიანებას წარმოადგენენ. ვფიქრობ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია რესპუბლიკათა და ეროვნებათა თანასწორობის თვალსაზრისს დავშორდეთ მეორე პალატაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ეროვნებათა მიმართ.

რაკოვსკი, ეტყობა, ფედერაციის აგების პრუსიული სისტემით არის გატაცებული. გერმანიის ფედერაცია ისეა აგებული, რომ სახელმწიფოთა შორის თანასწორობა სრუ-

ლებით არ არის. მე წინადადებას ვიძლევი საქმე ისე დავაყენოთ, რომ კლასობრივ წარმომადგენლობასთან ერთად, — ეს არის პირველი პალატა, რომელსაც საბჭოების სრულიად საკავშირო ყრილობაზე ირჩევენ,—ჩვენ გვყავდეს ეროვნებათა წარმომადგენლობა თანასწორობის საფუძველზე. აღმოსავლეთის ხალხებს, რომლებიც ორგანულად არიან დაკავშირებული ჩინეთთან, ინდოეთთან, რომლებიც დაკავშირებული ჰრიან მათთან ენით, რელიგიით, ჩვეულებებით და სხვ., უწინარეს ყოვლისა რევოლუციისათვის აქვს დიდი მნიშვნელობა. ამ პალატა ეროვნებათა ხვედრითი წონა გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე უკრაინის ხვედრითი წონა.

თუ ჩვენ უკრაინაში დავუშვებთ მცირე შეცდომას, ეს ისე საგრძნობი არ იქნება აღმოსავლეთისათვის. ხოლო საკმარისია ერთი მცირე შეცდომა ჩავიდინოთ პატარა ქვეყანაში, აჭარისტანში (120 ათასი მცხოვრები), და ეს გამოხმაურებას პოვებს თურქეთში, გამოხმაურებას პოვებს მთელ აღმოსავლეთში, ვინაიდან თურქეთი აღმოსავლეთთან უმჭიდროესად არის დაკავშირებული. საკმარისია მცირე შეცდომა დავუშვათ ყალმუხთა პატარა ოლქის მიმართ, რომელნიც დაკავშირებული არიან ტიბეტთან და ჩინეთთან, და ეს გაცილებით უფრო ცუდ გავლენას მოახდენს ჩვენს მუშაობაზე, ვიდრე შეცდომა უკრაინის მიმართ. ჩვენ ვდგავართ აღმოსავლეთში მძლავრი მოძრაობის პერსპექტივის წინაშე და ჩვენი მუშაობა უწინარეს ყოვლისა უნდა წარვმართოთ აღმოსავლეთის გამოღვიძების ხაზით და არ ჩავიდინოთ ისეთი რამ, რასაც შეუძლია, თუნდაც შორეულად, თუნდაც არაპირდაპირ, დაამციროს აღმოსავლეთი განაპირა მხარეების ყოველი ცალკეული, ყველაზე პატარა ხალხის მნიშვნელობა. აი რატომ მგონია მე, რომ უფრო სამართლიანი, უფრო მიზანშეწონილი და რევოლუციურად უფრო ხელსაყრელი იქნებოდა ისეთი

დიდი ქვეყნის მართვის თვალსაზრისით, როგორიცაა რესპუბლიკების კავშირი, სადაც 140 მილიონი მცხოვრებია, — უკეთესი იქნებოდა საქმე ისე მოგვეწყო, რომ იქ, მეორე პალატაში, ყოფილიყო ყველა რესპუბლიკისა და ნაციონალური ოლქის თანასწორი წარმომადგენლობა. ავტონომიური რესპუბლიკა ჩვენში არის 8, დამოუკიდებელიც — 8, რუსეთი შევა როგორც რესპუბლიკა, ოლქი არის 14, და ეს იქნება სწორედ ის მეორე პალატა, რომელიც ასახავს ეროვნებათა ყველა მოთხოვნილებასა და საჭიროებას და გააადვილებს ასეთი დიდი ქვეყნის მართვას. აი რატომ ვფიქრობ მე, რომ რაკოვსკის შესწორება უნდა უკუვაგდოთ.

6. დამატება ნაციონალური საკითხის კომისიის მოხსენებისა

25 აპრილი

ამხანაგებო, როცა მოგახსენებდით ნაციონალური საკითხის სექციის მუშაობის შესახებ, დამავიწყდა აღმენიშნა კიდევ ორი პატარა დამატება, რომლებიც არ შეიძლება არ აღინიშნოს. მე-10 პარაგრაფს «ბ» პუნქტში, სადაც ლაპარაკია, რომ თანასწორ საფუძველზე შეიქმნას უკლებლივ ყველა ნაციონალური რესპუბლიკისა და ნაციონალური ოლქის წარმომადგენლობის სპეციალური ორგანო, ჭნდა დაემატოს: «ამასთან შეძლებისამებრ გათვალისწინებულ იქნას ამ რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალი ყველა ეროვნება», იმის გამო, რომ ზოგიერთ რესპუბლიკაში, რომლებიც წარმოდგენილი იქნებიან მეორე პალატაში, არის რამდენიმე ეროვნება. მაგალითად, თურქესტანი. იქ, გარდა უზბეკებისა, არიან თურქმენები, ყირგიზები და სხვა ხალხები, და საჭიროა ისე შედგეს წარმომადგენლობა, რომ თვითეული ამ ხალხთაგანი იყოს წარმოდგენილი.

მე-2 განყოფილების მე-2 დამატება სულ ბოლოში. იქ ნათქვამია:

«იმ უდიდესი მნიშვნელობის გამო, როგორიც აქვს პასუხისმგებელ მუშაკთა საქმიანობას ავტონომიურ და

დამოუკიდებელ რესპუბლიკებში და საერთოდ განაპირა მხარეებში (ამა თუ იმ რესპუბლიკის მშრომელთა კავშირურთიერთობის განხორციელება მთელი დანარჩენი კავშირის მშრომელებთან), ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს იზრუნოს ამ მუშაკების განსაკუთრებით გულდასმით შერჩევისათვის, იმ ვარაუდით, რომ მათი შემადგენლობა სავსებით უზრუნველყოფდეს ნაციონალურ საკითხზე პარტიის გადაწყვეტილებათა ნამდვილად გატარებას ცხოვრებაში».

შემდეგ ორიოდე სიტყვა რადეკის ერთი შენიშვნის გამო, რაც მან თავის სიტყვაში გამოთქვა. ამას მთხოვენ სომეხი ამხანაგები. ეს შენიშვნა, ჩემი აზრით, არ შეესაბამება სინამდვილეს. რადეკმა აქ ილაპარაკა იმაზე, რომ სომხები ჩაგრავენ აზერბაიჯანელებს, ან მათ შეუძლიათ დაჩაგრონ ისინი აზერბაიჯანში და, პირიქით, აზერბაიჯანელებს შეუძლიათ დაჩაგრონ სომხები სომხეთშიო. უნდა განვაცხადო, რომ საზოგადოდ ასეთი მოვლენები ბუნებაში არ ხდება. ხდება პირუკუ მოვლენა, რომ აზერბაიჯანში აზერბაიჯანელები, როგორც უმრავლესობა, ჩაგრავენ სომხებს და ჟლეტენ, როგორც ეს იყო ნახჭევანში, სადაც მათ გაჟლიტეს თითქმის ყველა სომეხი, ხოლო სომხები თავის ქვეყანაში, სომხეთში, ჟლეტენ თითქმის ყველა თათარს. ეს იყო ზანგეზურში. მაგრამ სხვა სახელმწიფოში უმცირესობა უმრავლესობის ადამიანებს რომ ჩაგრავდეს, — ასეთი არაბუნებრივი რამ არ მომხდარა.

ბეჭდვითი სიტყვა როგორც კოლექტიური ორგანიზატორი

თავის სტატიაში «ფესვამდე» (იხ. «პრავდა» № 98) ინგულოვი შეეხო საყურადღებო საკითხს, თუ რა მნიშვნელობა აქვს პრესას სახელმწიფოსა და პარტიისათვის. ეტყობა, თავისი აზრის დასადასტურებლად დაიმოწმა მან ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციული ანგარიში, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ პრესა «უჩინარ კავშირს აბამს პარტიასა და მუშათა კლასს შორის, — კავშირს, რომელიც თავისი ძალით მასობრივი ხასიათის ყოველგვარ გადამცემ აპარატს უდრის, რომ პრესა ყველაზე ძლიერი იარაღია, რომლის შემწეობითაც პარტია ყოველდღე, ყოველ საათს ელაპარაკება მუშათა კლასს» *.

მაგრამ თავის ცდაში, რომ საკითხი გადაეწყვიტა, ინგულოვმა დაუშვა ორი შეცდომა: ჯერ ერთი, მან დაამახინჯა ცენტრალური კომიტეტის ანგარიშიდან მოყვანილი ციტატის აზრი; მეორეც, მხედველობიდან გაუშვა ბეჭდვითი სიტყვის უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციული როლი. მე ვფიქრობ, რომ საკითხის დიდი მნიშვნელობის გამო საჭიროა ორიოდე სიტყვით შევჩერდეთ ამ შეცდომებზე.

1. ანგარიშის აზრი სრულიადაც არ არის ის, თითქოს პარტიის როლი განისაზღვრებოდეს ამოცანით —

* იხ. ეს ტომი, გვ. 224. რ ე დ.

ელაპარაკებოდეს მუშათა კლასს, მაშინ როცა პარტია უნდა **საუბრობდეს** მუშათა კლასთან, და არა მარტო ელაპარაკებოდეს მასო. დაპირისპირება ფორმულისა «ელაპარაკებოდეს» ფორმულისადმი «საუბრობდეს» გარდა ფუჭი ეკვილიბრისტიკისა არაფერს არ წარმოადგენს. პრაქტიკაში ერთიც და მეორეც წარმოადგენს განუყრელ მთელს და გამოიხატება განუწყვეტელ ურთიერთმოქმედებაში მკითხველსა და მწერალს შორის, პარტიასა და მუშათა კლასს შორის, სახელმწიფოსა და მშრომელ მასებს შორის. ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა მასობრივი პროლეტარული პარტიის არსებობის დასაწყისიდანვე, ჯერ კიდევ ძველი «ისკრის» დროიდან. ინგულოვი მართალი არ არის, როცა ფიქრობს, თითქოს ასეთი ურთიერთმოქმედება დაწყებულიყოს რუსეთში მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების აღებიდან მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ. ცენტრალური კომიტეტის ანგარიშიდან მოყვანილი ციტატის აზრი მდგომარეობს არა «ლაპარაკში», არამედ იმაში, რომ ბეჭდვითი სიტყვა «კავშირს აბამს პარტიასა და მუშათა კლასს შორის», კავშირს, «რომელიც თავისი ძალით მასობრივი ხასიათის ყოველგვარ გადამცემ აპარატს უდრის». ციტატის აზრი ბეჭდვითი სიტყვის ორგანიზაციულ მნიშვნელობაშია. სწორედ ამიტომ მოხვდა ბეჭდვითი სიტყვა, როგორც პარტიასა და მუშათა კლასს შორის ერთ-ერთი ამძრავი ღვედი, ცენტრალური კომიტეტის **ორგანიზაციულ** ანგარიშში. ინგულოვმა ციტატა ვერ გაიგო და მისი აზრი უნებლიეთ დაამახინჯა.

2. ინგულოვი ხაზს უსვამს ბეჭდვითი სიტყვის სააგიტაციო, მამხილებელ როლს და ფიქრობს, რომ ამით ამოიწურება პერიოდული ბეჭდვითი სიტყვის ამოცანა. იგი იმოწმებს ჩვენს ქვეყანაში მომხდარ მთელ რიგ ბოროტმოქმედებას და აღნიშნავს, რომ ბეჭდვითი სიტყვის მამხილებელი მუშაობა, ბეჭდვითი სიტყვის გზით აგიტაცია საკითხის

«ფესვს» წარმოადგენს. ამავე დროს კი ცხადია, რომ, ბეჭდვითი სიტყვის სააგიტაციო როლის მთელი მნიშვნელობის მიუხედავად, მისი ორგანიზაციული როლი ამჟამად ჩვენი სამშენებლო მუშაობის ყველაზე საჭირბოროტო მომენტს წარმოადგენს. საქმე მარტო ის როდია, რომ გაზეთი აგიტაციას ეწეოდეს და ამხილებდეს, არამედ უწინარეს ყოვლისა ისაა, რომ მას ჰყავდეს მუშაკების, აგენტებისა და კორესპონდენტების ფართო ქსელი მთელ ჩვენს ქვეყანაში, ყველა სამრეწველო და სამიწათმოქმედო პუნქტში, ყველა მაზრასა და თემში, რომ ძაფი პარტიიდან გაზეთის მეშვეობით გადიოდეს უკლებლივ ყველა მუშური და გლეხური რაიონისაკენ, რომ ურთიერთმოქმედება, ერთი მხრივ, პარტიასა და საბჭოთა და, მეორე მხრივ, სამრეწველო და გლეხურ რაიონებს შორის — სრული იყოს. ისეთი პოპულარული გაზეთი, როგორიცაა, ვთქვათ, «ბედნოტა» [73], დროდადრო რომ იწვევდეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა პუნქტში მყოფი თავისი მთავარი აგენტების კონფერენციებს აზრთა ურთიერთგაზიარებისა და გამოცდილების გათვალისწინებისათვის, ხოლო თვითეული ამ აგენტთაგანი თავის მხრივ იწვევდეს თავის კორესპონდენტთა კონფერენციებს თავის რაიონებში, პუნქტებსა და თემებში ამავე მიზნით, — ამით გადაიდგმებოდა პირველი სერიოზული ნაბიჯი არა მარტო პარტიასა და მუშათა კლასს შორის, საბჭოთა და ჩვენი ქვეყნის ყველაზე მივარდნილ კუთხეებს შორის ორგანიზაციული კავშირის დამყარების საქმეში, არამედ თვით ბეჭდვითი სიტყვის გაუმჯობესებისა და გამოცოცხლების, ჩვენი პერიოდული ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა მთელი შემადგენლობის გაუმჯობესებისა და გამოცოცხლების საქმეშიც. ასეთ კონფერენციებსა და ასეთ თათბირებს, ჩემი აზრით, გაცილებით მეტი რეალური მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე ჟურნალისტთა «სრულიად

რუსეთის» და სხვა ყრილობებს. გაზეთი, როგორც კოლექტიური ორგანიზატორი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხელში, გაზეთი, როგორც ჩვენი ქვეყნის მშრომელ მასებთან კავშირის გაბმისა და პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო მათი დარაზმვის საშუალება, — ეს არის ახლა ბეჭდვითი სიტყვის მორიგი ამოცანა.

ზედმეტი არ იქნება გავახსენოთ მკითხველს რამდენიმე სტრიქონი ამხ. ლენინის სტატიიდან «რით დავიწყოთ?» (დაწერილია 1901 წელს) პერიოდული ბეჭდვითი სიტყვის ორგანიზაციულ როლზე ჩვენი პარტიის ცხოვრებაში:

«მაგრამ გაზეთის როლი არ შემოიფარგლება მარტოოდენ იდეების გავრცელებით, მარტოოდენ პოლიტიკური აღზრდით და პოლიტიკურ მოკავშირეთა მოპოვებით. გაზეთი არის არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორი, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიც. ამ უკანასკნელი მხრივ ის შეიძლება შევადაროთ ხარაჩოს, რომელსაც აგებენ ასაშენებელი შენობის გარშემო; სახავს შენობის კონტურებს, აადვილებს კავშირს ცალკეულ მშენებელთა შორის, ეხმარება მათ სამუშაოს განაწილებასა და ორგანიზებული შრომით მიღწეული საერთო შედეგების თვალყურის დევნებაში. გაზეთის შემწეობით და მასთან დაკავშირებით თავისთავად მოეწყობა მუდმივი ორგანიზაცია, რომელიც გასწვევს არა მარტო ადგილობრივს, არამედ იმ რეგულარულ საერთო მუშაობასაც, რომელიც მიაჩვევს თავის წევრთ ყურადღებით ადევნონ თვალყური პოლიტიკურ ამბებს, შეაფასონ მათი მნიშვნელობა და მათი გავლენა მოსახლეობის სხვადასხვა ფენაზე, გამოიმუშაონ რევოლუციური პარტიის მხრივ ამ ამბებზე მიზანშეწონილი ზემოქმედების საშუალებანი. უკვე მარტოოდენ ტექნიკური ამოცანა — გაზეთის უზრუნველყოფა მასალების წესიერად მიწოდებით და გაზეთის წესიერად გავრცელება — გვაიძულებს შევქმნათ ერთიანი პარტიის ადგილობრივი აგენტების ქსელი, აგენტებისა, რომელთაც ცოცხალი კავშირურთიერთობა ექნებათ ერთმანეთთან, ეცოდინებათ საქმის საერთო მდგომარეობა, შეეჩვევიან საერთო-რუსეთის სამუშაოს ცალკე ფუნქციების რეგულარულად შესრულებას, მოსინჯავენ თავიანთ ძალებს ამა თუ იმ რევოლუციური მოქმედების მოსაწყობად. აგენტების ეს ქსელი სწორედ ისეთი ორგანიზაციის ჩონჩხი იქნება, როგორიც ჩვენ გვესაჭიროება: საკმაოდ დიდისა, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა მოიცვას; საკმაოდ ფართოსი და მრავალმხრივისა,

რომ ზუსტად და დეტალურად გაანაწილოს შრომა; საკმაოდ გამძლესი, რომ ყოველ გარემოებაში, ყოველ «მოსახვევში» და მოულოდნელ შემთხვევებში შეძლოს მტკიცედ წარმართოს **თავისი** მუშაობა; საკმაოდ მოქნილისა, რომ შეძლოს, ერთი მხრივ, გაშლილ ველზე თავი აარიდოს შეტაკებას ბევრად უფრო ძლიერ მტერთან, როცა ამ უკანასკნელს ერთ ადგილას დაუგროვებია მთელი ძალები, ხოლო, მეორე მხრივ, რომ შეძლოს ისარგებლოს ამ მტრის მოუქნელობით და თავს დაესხას მას მაშინ და იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად მოელიან თავდასხმას» [74].

ამხ. ლენინი მაშინ ლაპარაკობდა გაზეთზე, როგორც ჩვენი პარტიის მშენებლობის იარაღზე. მაგრამ საფუძველი არა გვაქვს დავეჭვდეთ, რომ ამხ. ლენინის მიერ ნათქვამი სავსებით მიუდგება პარტიული და სახელმწიფოებრივი მშენებლობის ახლანდელ ჩვენს ვითარებას.

პერიოდული ბეჭდვითი სიტყვის ეს მნიშვნელოვანი ორგანიზაციული როლი ინგულოვმა მხედველობიდან გაუშვა თავის სტატიაში. ეს არის მისი მთავარი შეცდომა.

როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის ერთ-ერთ მთავარ მუშაკს გამორჩა ეს მნიშვნელოვანი ამოცანა? გუშინ ერთ-ერთი ამხანაგი მეუბნებოდა: ინგულოვი, ეტყობა, ბეჭდვითი სიტყვის საკითხის გადაწყვეტის ამოცანის გარდა, სხვა, დამატებითს ამოცანასაც ისახავდა: «ვიღაცასთვის კბილი გაეკრა და ვიღაცასთვის ქუსლი მოეფხანაო». მე ვერ ვიკისრებ ამის მტკიცებას და შორსა ვარ იმისაგან, რომ უარვყო ვინმეს უფლება — დაისახოს, გარდა პირდაპირი ამოცანებისა, სხვა ამოცანებიც. მაგრამ არ შეიძლება დავუშვათ, რომ სხვა ამოცანებმა თუნდაც ერთი წუთით დაჩრდილონ პირდაპირი ამოცანა — ჩვენი პარტიული და სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმეში ბეჭდვითი სიტყვის **ორგანიზაციული** როლის გამორკვევა.

«პრავდა» № 99,
1923 წ. 6 მაისი.
ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

რაც უფრო შესტოკავს...

«პრავდის» № 99-ში გამოქვეყნებულ ჩემს სტატიაში * ბეჭდვითი სიტყვის ორგანიზაციული როლის შესახებ მე აღვნიშნე ინგულოვის ორი შეცდომა ბეჭდვითი სიტყვის საკითხის გამო. საპასუხო სტატიაში (იხ. «პრავდა» № 101) ინგულოვი თავს იმით იმართლებს, რომ მას შეცდომები კი არ გამოუვიდა, არამედ «გაუგებრობანი». მე თანახმა ვარ ინგულოვის შეცდომებს «გაუგებრობანი» ვუწოდო. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ინგულოვმა თავის საპასუხო სტატიაში დაუშვა სამი ახალი შეცდომა, ანუ, თუ გნებავთ, სამი ახალი «გაუგებრობა», რომელთა მიჩქმალვა, სამწუხაროდ, სრულიად შეუძლებელია ბეჭდვითი სიტყვის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო.

1. ინგულოვი ირწმუნება, რომ თავის პირველ სტატიაში ის საჭიროდ არ თვლიდა მთელი ყურადღება მიექცია ბეჭდვითი სიტყვის ორგანიზაციული როლის საკითხისათვის და ისახავდა «კერძო ამოცანას», თუ «ვინ ქმნის ჩვენს პარტიულ გაზეთს». დავუშვათ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში რატომ მოიყვანა ინგულოვმა თავისი სტატიის სათაურში ციტატა ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციული ანგარიშიდან, ციტატა, რომელიც ჩვენი პერიოდული ბეჭდვითი

* იხ. ეს ტომი, გვ. 311 — 315. რ ე დ.

სიტყვის მხოლოდ და მხოლოდ ორგანიზაციულ როლზე ლაპარაკობს? ორში ერთი, — ან ინგულოვს ციტატის აზრი ვერ გაუგია, ან მთელი თავისი სტატია აუგია ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციული ანგარიშიდან ბეჭდვითი სიტყვის ორგანიზაციული მნიშვნელობის შესახებ მოყვანილი ციტატის ზუსტი აზრის წინააღმდეგ და საპირდაპიროდ. როგორც ერთს, ისე მეორე შემთხვევაში ინგულოვის შეცდომა თვალში გვეცემა.

2. ინგულოვი ირწმუნება, რომ «ორი-სამი წლის წინათ ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა არ ყოფილა მასებთან დაკავშირებული», «არ აკავშირებდა მათთან პარტიას», რომ, საზოგადოდ, კავშირი ბეჭდვით სიტყვასა და მასებს შორის «არ ყოფილა». საკმარისია ყურადღებით წაიკითხოთ ინგულოვის ეს მტკიცება, რომ გაიგოთ მთელი მისი შეუსაბამობა, უნიადაგობა, სინამდვილისაგან მოწყვეტილობა. მართლაც, თუ ჩვენი პარტიული ბეჭდვითი სიტყვა, მისი საშუალებით კი თვითონ პარტია «არ იყვნენ დაკავშირებულნი» მუშათა მასებთან «ორი სამი წლის წინათ», მაშინ განა ცხადი არ არის, რომ ჩვენი პარტია ვერ გაუძლებდა რევოლუციის შინაურ და გარეშე მტრებს, რომ იგი «ერთი ხელის მოსმით» იქნებოდა დამარხული, არარად ქცეული! აბა დაუფიქრდით: სამოქალაქო ომი გაჩაღებულია, პარტია იგერიებს მტრებს და მთელ რიგ ბრწყინვალე გამარჯვებებს აღწევს, პარტია ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით მოუწოდებს მუშებსა და გლეხებს დაიცვან სოციალისტური სამშობლო, ათეულ და ასეულ ათასობით მშრომელი მასა ეხმაურება პარტიის მოწოდებას ასობით რეზოლუციით, ფრონტზე მიდის და თავის სიცოცხლეს არ იშურებს, ინგულოვი კი, თუმცა მან ყოველივე ეს იცის, მაინც შესაძლებლად თვლის ამტკიცოს, რომ «ორი-სამი წლის წინათ ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა არ ყოფილა მასებთან დაკავშირებული,

მაშასადამე, არ აკავშირებდა მათთან პარტიასაც». განა ეს სასაცილო არ არის? სად გაგონილა, რომ პარტიას, რომელიც მასობრივი ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით «დაკავშირებული არ არის მასებთან», შეძლებოდეს აემოძრაოს ბინოს ათობით და ასობით ათასი მუშა და გლეხი? ხოლო თუ პარტიას მაინც მოჰყავდა მოძრაობაში ათეულ და ასეულ ათასობით მშრომელი მასა, განა ცხადი არ არის, რომ აქ მასობრივი პარტია ბეჭდვითი სიტყვის დაუხმარებლად ვერასგზით ვერ შეძლებდა იოლად წასვლას? დიახ, დიახ, ვიღაცას, უეჭველია, დაუკარგავს კავშირი მასებთან, ოღონდ არა ჩვენს პარტიას და არა მის ბეჭდვით სიტყვას, არამედ ვიღაც სხვას. არ შეიძლება ბეჭდვით სიტყვას ცილი დასწამო! საქმე კი ის არის, რომ პარტიის კავშირი მასებთან მისი ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით უეჭველად იყო და არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო «ორი-სამი წლის წინათ», მაგრამ ეს კავშირი შედარებით სუსტი იყო, როგორც ამას სამართლიანად ამბობს ჩვენი პარტიის XI ყრილობა. ამოცანა ახლა ის არის, რომ გავაფართოოთ ეს კავშირი, ყოველნაირად განვამტკიცოთ იგი, უფრო მტკიცე და რეგულარული გავხადოთ იგი. ამაშია მთელი საქმე.

3. ინგულოვი შემდეგ ირწმუნება, რომ «ორი-სამი წლის წინათ პარტიასა და მუშათა კლასს შორის ურთიერთმოქმედება ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით არ იყო». რატომ? იმიტომ, თურმე, რომ მაშინ, «ჩვენი პრესა დღითი დღე მოუწოდებდა ბრძოლისაკენ, ლაპარაკობდა საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებზე, პარტიის დადგენილებებზე, ხოლო მუშა მკითხველის გამოხმაურება არ ყოფილა». სწორედ ასეა ნათქვამი: «მუშა მკითხველის გამოხმაურება არ ყოფილა».

ეს დაუჯერებელია, საოცრებაა, მაგრამ ფაქტია.

ყველამ იცის, რომ, როცა პარტია პრესის საშუალებით მოუწოდებდა: «ყველანი ტრასპორტზე», მასები ერთსუ-

ლოვნად ეხმაურებოდნენ, ასობით გზავნიდნენ პრესაში რეზოლუციებს, სადაც გამოთქვამდნენ თავიანთ თანაგრძნობას, თავიანთ მზადყოფნას — დაეცვათ ტრანსპორტი, და ათეულათასობით გზავნიდნენ თავიანთ შვილებს ტრანსპორტის დასახმარებლად. მაგრამ ინგულოვი თანახმა არ არის, რომ ეს მუშა მკითხველის გამოხმაურებად მიიჩნიოს, ის თანახმა არ არის, რომ ამას ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით პარტიასა და მუშათა კლასს შორის ურთიერთმოქმედება უწოდოს, რადგან ეს ურთიერთმოქმედება ხდებოდა არა იმდენად კორესპონდენტების საშუალებით, რამდენადაც უშუალოდ პარტიასა და მუშათა კლასს შორის, რა თქმა უნდა, ბეჭდვითი სიტყვის გზით.

ყველამ იცის, რომ, როცა პარტია მოუწოდებდა: «შიმშილობასთან საბრძოლველად», მასები ერთსულოვნად ეხმაურებოდნენ პარტიის მოწოდებას, უამრავ რეზოლუციას გზავნიდნენ პარტიულ პრესაში და ათეულათასობით გზავნიდნენ თავიანთ შვილებს კულაკთან საბრძოლველად. მაგრამ ინგულოვი თანახმა არ არის მიიჩნიოს ეს მუშა მკითხველის გამოხმაურებად და პრესის საშუალებით პარტიასა და მუშათა კლასს შორის ურთიერთმოქმედებად, რადგან ეს ურთიერთმოქმედება განხორციელებულია არა «წესისამებრ», გვერდი აქვს ავლილი ზოგიერთ კორესპონდენტს და სხვა.

ინგულოვის მიხედვით ისე გამოდის, რომ თუ პარტიული პრესის მოწოდებას ეხმაურება ათობით და ასობით ათასი მუშა, ეს არ არის პარტიისა და მუშათა კლასის ურთიერთმოქმედება, ხოლო თუ პარტიული პრესის იმავე მოწოდებაზე შემოვა ათი-ოცი კორესპონდენტის წერილობითი პასუხი, ეს არის პარტიისა და მუშათა კლასის ნამდვილი, ჭეშმარიტი ურთიერთმოქმედება. და ამას ეწოდება პარტიული პრესის ორგანიზაციული როლის განსაზღვრა!

ღვთის შიში იქონიეთ, ინგულოვ, და ნუ აურევთ ურთიერთმოქმედების მარქსისტულ გაგებას კანცელარულ გაგებაში.

ამავე დროს კი ცხადია, რომ თუ პრესის საშუალებით პარტიისა და მუშათა კლასის ურთიერთმოქმედებას შევხედეთ არა კანცელარისტის თვალით, არამედ მარქსისტის თვალით, მაშინ უნდა ითქვას, იგი, ეს ურთიერთმოქმედება, იყო ყოველთვის, როგორც «ორი-სამი წლის წინათ», ისე უფრო ადრეც, და არც შეიძლებოდა არ ყოფილიყო, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, პარტია ვერ შეინარჩუნებდა ხელმძღვანელობას მუშათა კლასის მიმართ, ხოლო მუშათა კლასი ვერ შეინარჩუნებდა ძალაუფლებას. საქმე ახლა, ცხადია, იმაში მდგომარეობს, რომ ეს ურთიერთმოქმედება კიდევ უფრო განუწყვეტელი და მტკიცე გავხადოთ. ინგულოვმა არათუ სათანადოდ ვერ შეაფასა პრესის ორგანიზაციული მნიშვნელობა, არამედ კიდევაც დაამახინჯა იგი, — პრესის საშუალებით პარტიისა და მუშათა კლასის ურთიერთმოქმედების მარქსისტული გაგება შეცვალა კანცელარული, გარეგნულ-ტექნიკური გაგებით. და ამას უწოდებს იგი «გაუგებრობას»...

რაც შეეხება ინგულოვის «დამატებით ამოცანებს», რომელთა არსებობას იგი გადაჭრით უარყოფს, უნდა ვთქვა, რომ მის მეორე სტატიას არ გაუფანტავს ჩემი ის ეჭვები ამის თაობაზე, რაც მე წინა სტატიაში გამოვთქვი.

«პრავდა» № 102,
1923 წ. 10 მაისი.
ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მეოთხე თათბირი ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების პასუხისმგებელ მუშაკებთან [75]

1923 წ. 9 — 12 ივნისი

რკპ ცენტრალური კომიტეტის მეოთხე თათბირი ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების პასუხისმგებელ მუშაკებთან. სტენოგრაფიული ანგარიში. მ., 1923.

1. პროექტი პლატფორმისა ნაციონალურ საკითხში IV თათბირისათვის, მოწონებული ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ [76]

ნაციონალურ საკითხში პარტმუშაობის ზოგადი ხაზი

ნაციონალურ საკითხში პარტმუშაობის ხაზი პარტიის XII ყრილობის პოზიციიდან გადახვევებთან ბრძოლის აზრით უნდა განისაზღვრებოდეს ნაციონალურ საკითხზე ამ ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციის სათანადო პუნქტებით. სახელდობრ: რეზოლუციის პირველი განყოფილების მე-7 პუნქტით და მეორე განყოფილების 1, 2 და 3 პუნქტებით.

პარტიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის პროლეტარული და ნახევრად-პროლეტარული ელემენტებისაგან ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების ახალგაზრდა კომუნისტური ორგანიზაციების გამოზრდა და განვითარება, ყოველნაირად ხელისშეწყობა ამ ორგანიზაციებისათვის—დადგნენ ფეხზე, მიიღონ ნამდვილად კომუნისტური აღზრდა, დარაზმონ თავდაპირველად თუნდაც მცირერიცხოვანი, მაგრამ ჭეშმარიტად ინტერნაციონალისტური კომუნისტური კადრები. მხოლოდ მაშინ იქნება საბჭოთა ხელისუფლება რესპუბლი-

კებსა და ოლქებში მტკიცე, როცა იქ ნამდვილად სერიოზული კომუნისტური ორგანიზაციები დამკვიდრდებიან.

მაგრამ რესპუბლიკებსა და ოლქებში მყოფ კომუნისტებს თვითონ უნდა ახსოვდეთ, რომ ვითარება მათთან, მოსახლეობის სხვანაირი სოციალური შემადგენლობის გამო, ძალიან განსხვავდება რესპუბლიკების კავშირის სამრეწველო ცენტრების ვითარებისაგან, რომ ამიტომ განაპირა მხარეებში ხშირად აუცილებელია მუშაობის სხვანაირი მეთოდების გამოყენება. კერძოდ აქ, რათა მოვიპოვოთ ადგილობრივი მოსახლეობის მშრომელი მასების მხარდაჭერა, აუცილებელია უფრო მეტად, ვიდრე ცენტრალურ ოლქებში, ხელი გავუწოდოთ იმ ელემენტებს, რომლებიც რევოლუციურ-დემოკრატიულნი ანდა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ლოიალურნი მაინც არიან. რესპუბლიკებისა და ოლქების ადგილობრივი ინტელიგენციის როლი ბევრის მხრივ სხვანაირია, ვიდრე რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური ოლქების ინტელიგენციის როლი. განაპირა მხარეები იმდენად ღარიბი არიან ადგილობრივი ინტელიგენტური მუშაკებით, რომ თვითეული მათგანი მთელი ძალით უნდა მოვიზიდოთ საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე.

განაპირა მხარეებში მყოფ კომუნისტს უნდა ახსოვდეს: მე კომუნისტი ვარ, **ამიტომ** მოცემულ გარემოსთან შეფარდებით უნდა ვიმოქმედო და დათმობებზე წავიდე იმ ადგილობრივი ნაციონალური ელემენტების მიმართ, რომელთაც სურთ და შეუძლიათ ლოიალურად იმუშაონ საბჭოთა სისტემის ჩარჩოებში. ეს კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს სისტემატურ იდეურ ბრძოლას მარქსიზმის პრინციპებისა და ნამდვილი ინტერნაციონალიზმისათვის ნაციონალიზმისაკენ გადახრის წინააღმდეგ. მხოლოდ ამნაირად შეგვეძლება წარმატებით დავძლიოთ ადგილობრივი

ნაციონალიზმი და საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადმოვიყვანოთ ადგილობრივი მოსახლეობის ფართო ფენები.

კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე პალატის შექმნასა და რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისარიატების მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები

ასეთი საკითხი, ჯერ კიდევ არასრული მონაცემების მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, სულ შვიდია:

ა) **მეორე პალატის შემადგენლობის შესახებ.** ეს პალატა უნდა შედგებოდეს ავტონომიური და დამოუკიდებელი რესპუბლიკების წარმომადგენლებისაგან (ოთხ-ოთხი თუ მეტი წარმომადგენელი თვითეულისაგან) და ნაციონალური ოლქების წარმომადგენლებისაგან (საკმარისია თითო წარმომადგენელი თვითეულისაგან). სასურველია საქმე ისე მოეწყოს, რომ პირველი პალატის წევრები, საერთოდ რომ ითქვას, იმავე დროს არ იყვნენ მეორე პალატის წევრებიც. რესპუბლიკებისა და ოლქების წარმომადგენლებს უნდა ამტკიცებდეს რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობა. პირველ პალატას ეწოდოს საკავშირო საბჭო, მეორეს — ეროვნებათა საბჭო.

ბ) **მეორე პალატის უფლებებზე პირველი პალატის მიმართ.** საჭიროა დადგინდეს პირველი და მეორე პალატის უფლებათა **თანასწორობა,** ამასთან თვითეულ მათგანს დარჩეს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება და დაცულ იქნას პირობა, რომლის დროსაც არც ერთი კანონპროექტი, შეტანილი პირველი თუ მეორე პალატის განსახილველად, არ შეიძლება კანონად იქცეს, თუ ამის თანახმა არ არის ორივე პალატა, რომლებიც კენჭისყრას ცალ-ცალკე ატარებენ. კონფლიქტის საკითხები წყდება ორივე პალატის შემათანხმებელ კომისიაში მათი გადაცემის წესით და, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, — ამ პალატების გაერ-

თიანებულ სხდომაზე ახალი კენჭისყრის წესით, ამასთან, თუ ამგვარად შესწორებული სადავო კანონპროექტი ორივე პალატის უმრავლესობას ვერ შეაგროვებს, — საქმე გადასაწყვეტად გადაეცემა რესპუბლიკათა კავშირის საბჭოების საგანგებო ან მორიგ ყრილობას.

გ) **მეორე პალატის კომპეტენციის შესახებ.** მეორე (ისევე როგორც პირველი) პალატის გამგებლობას ექვემდებარება სსრ კავშირის კონსტიტუციის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკითხები. კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმისა და კავშირის სახკომსაბჭოს საკანონმდებლო ფუნქციები ძალაში რჩება.

დ) **რესპუბლიკათა კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმის შესახებ.** ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმი ერთი უნდა იყოს. მას უნდა ირჩევდეს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის ორივე პალატა, ამასთან, რა თქმა უნდა, უზრუნველყოფილ უნდა იქნას ეროვნებათა, ყოველ შემთხვევაში, მათგან ყველაზე დიდ ეროვნებათა, წარმომადგენლობა. მიზანშეუწონელია უკრაინელთა წინადადება, რომ ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის ორი პალატის რიცხვის მიხედვით შეიქმნას საკანონმდებლო ფუნქციების მქონე ორი პრეზიდიუმი, ნაცვლად კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის ერთიანი პრეზიდიუმისა. პრეზიდიუმი არის კავშირის უმაღლესი ხელისუფლება, რომელიც სესიიდან სესიამდე მუდმივად, განუწყვეტლივ მოქმედებს. საკანონმდებლო ფუნქციების მქონე ორი პრეზიდიუმის შედგენა არის უმაღლესი ხელისუფლების გაორება, რაც აუცილებლად შექმნის დიდ სიძნელეებს მუშაობაში. პალატებს უნდა ჰყავდეთ თავიანთი პრეზიდიუმები, მაგრამ ამ უკანასკნელთ საკანონმდებლო ფუნქციები არ უნდა ჰქონდეთ.

ე) **შეერთებული კომისარიატების რაოდენობის შესახებ.** ცენტრალური კომიტეტის წინანდელი პლენუმების

გადაწყვეტილებებით **შეერთებული** კომისარიატი უნდა იყოს ხუთი (საგარეო საქმეთა, საგარეო ვაჭრობისა, სამხედრო საქმეთა, გზათა და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატები), **სადირექტივო** კომისარიატიც უნდა იყოს ხუთი (ფინსახკომი, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, სასურსათო სახალხო კომისარიატი, შრომის სახალხო კომისარიატი, მუშაგლეხინი), დანარჩენი კომისარიატები სავსებით ავტონომიური არიან. უკრაინელები წინადადებას იძლევიან — საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი შეერთებულთა თანრიგიდან სადირექტივოთა თანრიგში გადავიყვანოთ, ე. ი. ეს კომისარიატები რესპუბლიკებში დავტოვოთ კავშირის საგარეო საქმეთა კომისარიატისა და საგარეო ვაჭრობის კომისარიატის პარალელურად, ამასთან დავუმორჩილოთ ისინი ამ უკანასკნელთა დირექტივებს. ეს წინადადება მიუღებელია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჩვენ ნამდვილად ვქმნით ერთ საკავშირო სახელმწიფოს, რომელსაც შეეძლება გამოვიდეს გარეშე მსოფლიოს წინაშე, როგორც გაერთიანებული მთელი. იგივე შეიძლება ითქვას საკონცესიო ხელშეკრულებებზე, რომლებსაც უნდა სდებდეს რესპუბლიკების კავშირი.

ვ) **რესპუბლიკათა კავშირის სახალხო კომისარიატების კონსტრუქციის შესახებ.** საჭიროა გავაფართოოთ ამ სახალხო კომისარიატების კოლეგიათა შემადგენლობა და შევიყვანოთ იქ ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან ეროვნებათა წარმომადგენლები.

ზ) **რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ.** რესპუბლიკებისათვის მინიჭებული წილის ფარგლებში, რომლის ოდენობა ცალკე უნდა განისაზღვროს, საჭიროა გაფართოვდეს რესპუბლიკების საბიუჯეტო დამოუკიდებლობა.

პარტიულ და საბჭოთა მშენებლობაში ადგილობრივი მოსახლეობის მშრომელი ელემენტების ჩაბმის ღონისძიებანი

არასრული მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უკვე ახლა შეიძლებოდა წამოგვეყენებინა ოთხი ღონისძიება:

ა) სახელმწიფო და პარტიული აპარატების წმენდა ნაციონალისტური ელემენტებისაგან (იგულისხმებიან, პირველ რიგში, ველიკოროსი, აგრეთვე ანტირუსი და სხვა ნაციონალისტები). წმენდა უნდა ტარდებოდეს ფრთხილად, შემოწმებული მონაცემების საფუძველზე, პარტიის ცენტრალური კომიტეტის კონტროლით.

ბ) სისტემატური და განუხრელი მუშაობა რესპუბლიკებსა და ოლქებში სახელმწიფო და პარტიულ დაწესებულებათა ნაციონალიზაციისათვის, საქმის წარმოებაში ადგილობრივი ენების თანდათანი შემოღების აზრით, ამასთან სავალდებულოა, რომ პასუხისმგებელმა მუშაკებმა ადგილობრივი ენები შეისწავლონ.

გ) ადგილობრივი ინტელიგენციის მეტ-ნაკლებად ლოიალური ელემენტების შერჩევა და საბჭოთა დაწესებულებებში მოზიდვა და ამავე დროს რესპუბლიკებსა და ოლქებში ჩვენი პასუხისმგებელი მუშაკების მუშაობა პარტიის წევრთა შემადგენლობიდან საბჭოთა და პარტიული მუშაკების კადრების მოსამზადებლად.

დ) მუშებისა და გლეხების უპარტიო კონფერენციათა მოწყობა, რომლებზედაც სახალხო კომისრები და საერთოდ პარტიის პასუხისმგებელი მუშაკები მოხსენებებს გააკეთებენ საბჭოთა ხელისუფლების ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებათა შესახებ.

ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული მდგომარეობის ამაღლების ღონისძიებანი

საჭიროა დაახლოებით:

ა) მოვაწყოთ კლუბები (უპარტიო) და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებანი ადგილობრივ ენებზე;

გ) გავაფართოოთ ყველა საფეხურის სასწავლებელთა ქსელი ადგილობრივ ენებზე;

გ) მოვიზიდოთ სკოლაში სამუშაოდ ადგილობრივი წარმოშობის მეტ-ნაკლებად ლოიალური სახალხო მასწავლებლები;

დ) შევქმნათ ადგილობრივ ენებზე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებათა ქსელი;

ე) მოვაწყოთ საგამომცემლო საქმე.

სამეურნეო მშენებლობა ნაციონალურ რესპუბლიკებსა და ოლქებში ნაციონალურ-ყოფაცხოვრებითი თავისებურებების თვალსაზრისით

საჭიროა დაახლოებით:

ა) მოვაწესრიგოთ და სადაც საჭიროა — შევწყვიტოთ გადასახლება-გადმოსახლება.

ბ) შეძლებისდაგვარად უზრუნველვყოთ მიწით ადგილობრივი მშრომელი მოსახლეობა სახელმწიფო მიწის ფონდის ხარჯზე;

გ) მისაწვდომი გავხადოთ სასოფლო-სამეურნეო კრედიტი ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

დ) გავაძლიეროთ საირიგაციო სამუშაოები;

ე) ყოველნაირად დავეხმაროთ კოოპერაციას, კერძოდ, სარეწაო კოოპერაციას (შინამრეწველთა მოზიდვის მიზნით);

ვ) გადავიტანოთ ფაბრიკები და ქარხნები იმ რესპუბლიკებში, სადაც უხვად მოიპოვება სათანადო ნედლეული;

ზ) შევქმნათ სახელოსნო და ტექნიკური სკოლები ადგილობრივი მოსახლეობისათვის;

თ) შევქმნათ სასოფლო-სამეურნეო კურსები ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

ნაციონალური საჯარისო ნაწილების შედგენის პრაქტიკულ ღონისძიებათა შესახებ

საჭიროა ახლავე შევუდგეთ სამხედრო სკოლების შექმნას რესპუბლიკებსა და ოლქებში იმისათვის, რომ ადგილობრივი ადამიანებისაგან გარკვეულ ვადაში მომზადდეს მეთაურთა შემადგენლობა, რომელიც შეიძლება შემდეგ გადაიქცეს ბირთვად ნაციონალური საჯარისო ნაწილების შესადგენად. ამასთან გასაგებია, რომ საკმაოდ უნდა უზრუნველვყოთ ნაციონალური ნაწილების პარტიული და სოციალური შემადგენლობა, განსაკუთრებით მეთაურთა შემადგენლობისა. იქ, სადაც მოიპოვებიან ადგილობრივ ადამიანთა ძველი სამხედრო კადრები (თათრეთი, ნაწილობრივ ბაშკირეთი), შეიძლებოდა ახლავე შეგვექმნა ნაციონალური სამილიციო პოლკები. საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, მგონია, უკვე არის თითო დივიზია. უკრაინასა და ბელორუსიაში შეიძლებოდა ახლავე შეგვექმნა (განსაკუთრებით უკრაინაში) თითო სამილიციო დივიზია.

ნაციონალური საჯარისო ნაწილების შექმნის საკითხს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს როგორც თურქეთის, ავღანეთის, პოლონეთისა და სხვ. შესაძლო თავდასხმათა ძოგერიების აზრით, ისე მეზობელ სახელმწიფოთა წინააღმდეგ რესპუბლიკების კავშირის შესაძლო იძულებითი გამოსვლის აზრითაც. ნაციონალური საჯარისო ნაწილების მნიშვნელობა რესპუბლიკების კავშირის საშინაო მდგომარეობის თვალსაზრისით დასაბუთებას არ საჭიროებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ამასთან დაკავშირებით საჭირო გახდება გავადიდოთ ჩვენი არმიის რიცხობრივი შემადგენლობა დაახლოებით 20 — 25 ათასით.

პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენება

საჭიროა დაახლოებით:

ა) შევქმნათ პოლიტცოდნის სკოლები დედაენაზე;

ბ) შევქმნათ მარქსისტული ლიტერატურა დედაენაზე;

გ) გვქონდეს კარგად დაყენებული პერიოდული პრესა დედაენაზე;

დ) გავაფართოოთ აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის საქმიანობა ცენტრში და ადგილობრივ, ამასთანავე მატერიალურად უზრუნველვყოთ ეს უნივერსიტეტი;

ე) დავაარსოთ პარტიული სადისკუსიო კლუბი აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტთან და მოვიზიდოთ მასში ცენტრალური კომიტეტის ის წევრები, რომლებიც მოსკოვში ცხოვრობენ;

ვ) გავაძლიეროთ მუშაობა ახალგაზრდობის კავშირში და ქალთა შორის რესპუბლიკებსა და ოლქებში.

პარტიული და საბჭოთა მუშაკების შერჩევა ნაციონალურ საკითხზე XII ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციის ცხოვრებაში გატარების თვალსაზრისით

საჭიროა მოვიზიდოთ ცენტრალური კომიტეტის აღრიცხვა-განაწილების, აგიტაცია-პროპაგანდის, საორგანიზაციო და ქალთა განყოფილებებსა და ინსტრუქტორთა აპარატში ნაციონალების გარკვეული რაოდენობა (ორ-ორი ან სამ-სამი), რათა მათი დახმარებით გავაადვილოთ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე პარტმუშაობა განაპირა მხარეებში და სწორად გავანაწილოთ პარტიული და საბჭოთა მუშაკები რესპუბლიკებსა და ოლქებში რკპ XII ყრილობის მიერ ნაციონალურ საკითხზე მიღებული ხაზის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

2. მემარჯვენეებსა და «მემარცხენეებზე» ნაციონალურ რესპუბლიკებსა და ოლქებში

სიტყვა თათბირის დღის წესრიგის პირველი პუნქტის — «სულთან-გალიევის საქმის» გამო

10 ივნისი

მე სიტყვა ავიღე, რათა გამოვთქვა რამდენიმე შენიშვნა აქ გამოსული ამხანაგების სიტყვების გამო. რაც შეეხება სულთან-გალიევის საქმესთან დაკავშირებით აღძრული საკითხის პრინციპულ მხარეს, შევეცდები გავაშუქო იგი ჩემს მოხსენებაში მეორე პუნქტის გამო.

უწინარეს ყოვლისა თვით თათბირის საკითხზე. აქ ვიღაცამ თქვა (დამავიწყდა, სახელდობრ ვინ), ეს თათბირი უჩვეულო მოვლენას წარმოადგენსო. ეს მართალი არ არის. ასეთი თათბირები როდია ახალი რამ ჩვენი პარტიისათვის. ეს თათბირი რიცხვით მეოთხეა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში. 1919 წლის დამდეგამდე იყო სამი თათბირი. მაშინ ვითარება საშუალებას გვაძლევდა შეგვეკრიბა ხოლმე ასეთი თათბირები. მერე, 1919 წლის შემდეგ, 1920 — 1921 წლებში, როცა ჩვენ მთლად გადავეშვით სამოქალაქო ომში, ამგვარი თათბირებისათვის დრო აღარ გვქონდა. და მხოლოდ ახლა, მას შემდეგ, რაც ჩვენ სამოქალაქო ომს ბოლო მოვუღეთ, როცა ჩვენი მუშაობა გაღრმავდა სამეურნეო მშენებლობის ხაზით, მას შემდეგ, რაც თვით პარტიული მუშაობაც უფრო კონკრეტული გახდა, განსაკუთრებით ნაციონალურ ოლქებსა და რესპუბლიკებში, — ჩვენ კვლავ მოგვეცა შესაძლებლობა მოგვეწვია ამგვარი თათბირი. ვფიქრობ, რომ

ცენტრალური კომიტეტი არაერთხელ მიმართავს ამ საშუალებას, რათა შექმნას სრული ურთიერთგაგება იმათ შორის, ვინც ადგილებზე პოლიტიკას ატარებს, და ვინც მას გამოიმუშავებს ხოლმე. ვფიქრობ, რომ ასეთ თათბირებს უნდა ვიწვევდეთ არა მარტო ყველა რესპუბლიკისა და ოლქისაგან, არამედ ცალკეული ოლქებისა და რესპუბლიკების მიხედვითაც — უფრო კონკრეტულ გადაწყვეტილებათა შესამუშავებლად. საკითხის მხოლოდ ასეთ დასმას შეუძლია დააკმაყოფილოს ცენტრალური კომიტეტიც და ადგილობრივი მუშაკებიც.

ყურს ვუგდებდი ზოგიერთ ამხანაგს, რომლებიც ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ როგორ ვაფრთხილებდი მე სულთან-გალიევს, როცა შესაძლებლობა მომეცა გავცნობოდი მის პირველ კონსპირაციულ წერილს, მგონი, ადიგამოვის სახელზე, რომელიც რატომღაც დუმს და არ გამოდის აქ, თუმცა ყველაზე ადრე და ყველაზე მეტად სწორედ მას უნდა გამოეთქვა თავისი აზრი. მე მისაყვედურეს ამ ამხანაგებმა, მეტისმეტად იცავდით სულთან-გალიევსო. დიახ, მე მართლაც, ვიცავდი მას უკანასკნელ შესაძლებლობამდე, და ეს მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია ჩემ მოვალეობად. მაგრამ მე ვიცავდი მას გარკვეულ მიჯნამდე. და როცა სულთან-გალიევმა ეს მიჯნა გადალახა, მე ზურგი შევაქციე მას. მისი პირველი კონსპირაციული წერილი მოწმობს, რომ ის, სულთან-გალიევი, უკვე კავშირს წყვეტს პარტიასთან, ვინაიდან მისი წერილის ტონი თითქმის თეთრგვარდიულია, ვინაიდან ის ცენტრალური კომიტეტის წევრებზე ისე წერს, როგორც მხოლოდ მტრებზე შეიძლება წერა. მე შემთხვევით შევხვდი მას პოლიტბიუროში, სადაც იგი თათართა რესპუბლიკის მოთხოვნებს იცავდა მიწსახკომის ხაზით. მაშინვე გავაფრთხილე, — გადავეცი ბარათი, სადაც მის კონსპირაციულ წერილს ანტიპარტიული ვუწოდე,

სადაც ბრალად ვდებდი მას ვალიდოვისებური ტიპის ორგანიზაციის მოწყობას და ვეუბნებოდი — თუ არალეგალური ანტიპარტიული მუშაობა არ შეწყვიტე, საქმეს ცუდად გაათავებ, და ჩემი მხრით ყოველგვარი დახმარება გამორიცხული იქნება-მეთქი. მან დიდად შემკრთალმა მიპასუხა, რომ შეცდომაში ხართ შეყვანილიო, რომ მართლაც მივწერე წერილი ადიგამოვს, მაგრამ მივწერე არა ეს, არამედ რაღაც სხვა, რომ როგორც ვიყავი, ისე ვრჩები პარტიულ კაცად და პატიოსან სიტყვას ვიძლევი — შემდეგშიც პარტიული დავრჩეო. მიუხედავად ამისა, ერთი კვირის შემდეგ ის გზავნის მეორე კონსპირაციულ წერილს, სადაც ავალებს ადიგამოვს გააბას კავშირი ბასმაჩებთან და მათ ლიდერ ვალიდოვთან, წერილი კი «დაწვას». ამრიგად, გამოვიდა სისაძაგლე, გამოვიდა მოტყუება, რამაც მ. იძულა ყოველგვარი კავშირი გამეწყვიტა სულთან-გალიევთან. ამ მომენტიდან სულთან-გალიევი ჩემთვის ისეთი კაცი გახდა, რომელიც პარტიის გარეთ, საბჭოების გარეთ დგას, და მე შესაძლებლად აღარ მიმაჩნდა მასთან მელაპარაკნა, მიუხედავად იმისა, რომ მან რამდენიმეჯერ სცადა ჩემთან «სასაუბროდ» შემოსვლა. «მემარცხენე» ამხანაგები ჯერ კიდევ 1919 წლის დამდეგს მისაყვედურებდნენ, რომ მე მხარს ვუჭერ სულთან-გალიევს, ვინახავ მას პარტიისათვის, მებრალება და იმედი მაქვს, რომ ის ნაციონალისტობას თავს დაანებებს, მარქსისტი გახდება. მე, მართლაც, ჩემ მოვალეობად მიმაჩნდა მხარი დამეჭირა მისთვის გარკვეულ დრომდე. ინტელიგენტები, მოაზროვნე ადამიანები, საზოგადოდ წერა-კითხვის მცოდნენიც კი აღმოსავლეთის რესპუბლიკებსა და ოლქებში ისე ცოტანი არიან, რომ შეგვიძლია თითებზე ჩამოვთვალოთ, — და როგორღა შეიძლება ამის შემდეგ მათ არ გავუფრთხილდეთ? დანაშაული იქნებოდა — ყოველი ზომა არ მიგვეღო იმისათვის, რომ აღმო-

სავლეთის საჭირო ადამიანები დაგვეცვა გახრწნისაგან და შეგვენარჩუნებინა პარტიისათვის. მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. და ეს საზღვარი მაშინ დადგა, როცა სულთანგალიევი კომუნისტების ბანაკიდან ბასმაჩების ბანაკში გადაბარგდა. ამ დროიდან ის პარტიისათვის აღარ არსებობს. აი რატომ არის, რომ თურქეთის ელჩი მისთვის უფრო მისაღები აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ასეთივე საყვედური მოვისმინე შამიგულოვისაგან, რომ, წინააღმდეგ მისი დაჟინებითი თხოვნისა — ერთი დაკვრით გამეთავებინა საქმე ვალიდოვთან, მე ვიცავდი ვალიდოვს და ვცდილობდი შემენარჩუნებინა ის პარტიისათვის. მე, მართლაც, ვიცავდი, რადგან იმედი მქონდა, რომ ვალიდოვი გამოსწორდებოდა. იმაზე უარესი ადამიანებიც გამოსწორებულან, ეს ჩვენ ვიცით პოლიტიკური პარტიების ისტორიიდან. მე ვიფიქრე, რომ შამიგულოვი ერთობ უბრალოდ წყვეტს საკითხს. მე არ გავყევი მის რჩევას. მართალია, შამიგულოვის წინასწარმეტყველება ერთი წლის შემდეგ გამართლდა, ვალიდოვი არ გამოსწორდა, ის ბასმაჩებთან წავიდა. მაგრამ მაინც პარტიამ მოიგო იმით, რომ ჩვენ ერთი წლით შევაჩერეთ ვალიდოვის წასვლა პარტიიდან. ვალიდოვს რომ 1918 წელს გავსწორებოდით, დარწმუნებული ვარ, ისეთი ამხანაგები, როგორიც არიან მურტაზინი, ადიგამოვი, ხალიკოვი და სხვები, მაშინ ჩვენს რიგებში არ დარჩებოდნენ. (ხმა: «ხალიკოვი დარჩებოდა»). იქნებ ხალიკოვი არ წასულიყო, მაგრამ ჩვენს რიგებში მომუშავე ამხანაგების მთელი ჯგუფი წავიდოდა ვალიდოვთან ერთად. აი რას მივაღწიეთ ჩვენი მომთმენლობითა და წინდახედულობით.

მე ყურს ვუგდებდი რისკულოვს და უნდა ვთქვა, რომ მისი სიტყვა მთლად გულწრფელი არ იყო, ნახევრად

დიპლომატიური იყო (ხ მ ა: «მართალია»), და საზოგადოდ მისი სიტყვა მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს. მისგან მეტ სიცხადესა და გულწრფელობას მოველოდი. რაც უნდა თქვას რისკულოვმა, ცხადია, რომ მას შინ უდევს სულთან-გალიევის ორი კონსპირაციული წერილი, რომლებიც არავისთვის არ უჩვენებია, ცხადია, რომ იგი იდეურად დაკავშირებული იყო სულთან-გალიევთან. ის გარემოება, რომ რისკულოვი ემიჯნება სულთან-გალიევის საქმის კრიმინალურ ნაწილს და ამტკიცებს, სულთან-გალიევთან დაკავშირებული არა ვარ ბასმაჩობისაკენ მიმავალი ხაზითო, —ეს უმნიშვნელო რამ არის. ამაზე როდია ლაპარაკი თათბირზე. ლაპარაკია სულთან-გალიევშჩინასთან იდეურ, იდეოლოგიურ კავშირზე. მაგრამ რისკულოვს სულთან-გალიევთან ასეთი კავშირი რომ ჰქონდა, ეს ცხადია, ამხანაგებო, ამის უარყოფა თვითონ რისკულოვსაც არ შეუძლია. მაგრამ განა არ დამდგარა დრო იმისათვის, რომ აქ, ამ ტრიბუნიდან, ბოლოს და ბოლოს, გადაჭრით და მიუკიბ-მოუკიბავად გავემიჯნოთ სულთან-გალიევშჩინას? ამ მხრივ რისკულოვის სიტყვა ნახევრადდიპლომატიური და არადამაკმაყოფილებელი იყო.

ენბაევმაც დიპლომატიური, არაგულწრფელი სიტყვა წარმოთქვა. განა ფაქტი არ არის, რომ ენბაევმა და თათარ მუშაკთა ჯგუფმა, რომლებიც, მათი იდეური სისუსტის მიუხედავად, მე საუცხოო პრაქტიკოსებად მიმაჩნია, სულთან-გალიევის დაპატიმრების შემდეგ მიმართეს ცენტრალურ კომიტეტს მოთხოვნით — დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ იგი, ამასთან სრულ თავდებობას კისრულობდნენ სულთან-გალიევისათვის, თანაც გადაკვრით ამბობდნენ, რომ სულთან-გალიევისათვის ჩამორთმეული დოკუმენტები ნამდვილი არ არისო? განა ეს ფაქტი არ არის? მაგრამ რა აღმოჩნდა გამოძიების შემდეგ?

აღმოჩნდა, რომ ყველა დოკუმენტი ნამდვილი იყო. მათი ნამდვილობა თვითონ სულთან-გალიევმაც აღიარა და ამასთან უფრო მეტი გვამცნო თავის ცოდვებზე, ვიდრე დოკუმენტებშია ნათქვამი,. სავსებით აღიარა თავისი დანაშაული, აღიარა და მოინანია კიდეც. განა ცხადი არ არის, რომ ყოველივე ამის შემდეგ ენბაევს გადაჭრით და საბოლოოდ უნდა ეღიარებინა თავისი შეცდომები და გამიჯნოდა სულთან-გალიევს? მაგრამ ენბაევი ასე არ მოიქცა. მან შემთხვევა იპოვა სასაცილოდ აეგდო «მემარცხენენი», მაგრამ სულთან-გალიევშჩინისაგან გადაჭრით და კომუნისტურად გამიჯვნა, იმ უფსკრულისაგან გამიჯვნა, სადაც სულთან-გალიევი გადაეშვა, მან არ მოისურვა, — ალბათ ფიქრობდა, დიპლომატია მიხსნისო.

ფირდევსის სიტყვა თავიდან ბოლომდე მთლად დიპლომატია იყო. ვინ ვის ხელმძღვანელობდა იდეურად: სულთან-გალიევი ფირდევსს თუ ფირდევსი სულთან-გალიევს — ამ საკითხს მე ღიად ვტოვებ. მაგრამ ვფიქრობ, რომ იდეურად უფრო ფირდევსი ხელმძღვანელობდა სულთან-გალიევს, ვიდრე პირიქით. სულთან-გალიევის თეორიულ ვარჯიშობაში განსაკუთრებით დაუშვებელს მე ვერაფერს ვხედავ. სულთან-გალიევი პანთურქიზმისა და პანისლამიზმის იდეოლოგიით რომ კმაყოფილდებოდეს, ეს არ იქნებოდა მაინცდამაინც დიდი უბედურება, მე ვიტყოდი, რომ ეს იდეოლოგია, ნაციონალურ საკითხზე პარტიის X ყრილობის რეზოლუციით აკრძალვის მიუხედავად, შეიძლება მოსათმენად ჩაითვალოს და რომ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მისი კრიტიკით ჩვენი პარტიის რიგებში. მაგრამ როცა იდეოლოგიური ვარჯიშობა თავდება იმით, რომ წარმოებს მუშაობა ბასმაჩების ლიდერებთან, ვალიდოვთან და სხვებთან კავშირის გასაბმელად, აქ ბასმაჩური პრაქტიკის გამართლება უწყინარი იდეოლოგიით, როგორც ამას ფირდევსი

ცდილობს, — უკვე სრულიად შეუძლებელია. სულთან-გალიევის საქმიანობის ასეთი გამართლებით ვერავის ვერ მოატყუებთ. ასე შეიძლება გამართლება გამოუნახოთ იმპერიალიზმსაც, ცარიზმსაც, ვინაიდან მათაც აქვთ თავისი იდეოლოგია, ზოგჯერ გარეგნულად საკმაოდ უწყინარი. ასე მსჯელობა არ შეიძლება. აქ თქვენ ტრიბუნალის წინაშე კი არ დგახართ, არამედ პასუხისმგებელ მუშაკთა თათბირის წინაშე, რომლებიც თქვენგან პირდაპირობასა და გულწრფელობას მოითხოვენ, და არა დიპლომატიას.

კარგად ილაპარაკა, ჩემი აზრით, ხოჯანოვმა. ცუდად არ ულაპარაკნია იკრამოვს. მაგრამ უნდა აღვნიშნო ამ ამხანაგების სიტყვების ერთი ადგილი, რომელიც ჩამაფიქრებელია. ორივემ თქვა, ახლანდელ თურქესტანსა და მეფის თურქესტანს შორის არავითარი განსხვავება არ არის, მხოლოდ წარწერა შეიცვალაო, თურქესტანი წინანდელი დარჩა, ისეთივე, როგორიც მეფის დროს იყოო. ამხანაგებო, თუ ეს წამოცდენილი სიტყვა არ არის, თუ ეს მოფიქრებული სიტყვაა და თუ ეს სრული შეგნებით არის ნათქვამი, მაშინ უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ბასმაჩები მართალი არიან, ჩვენ კი მართალი არა ვართ. თუ თურქესტანი მართლაც კოლონიაა, როგორც ცარიზმის დროს იყო, მაშინ ბასმაჩები მართალი არიან, მაშინ ჩვენ კი არ უნდა ვასამართლებდეთ სულთან-გალიევს, არამედ ის უნდა გვასამართლებდეს ჩვენ, როგორც ისეთ ადამიანებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების ფარგლებში კოლონიის არსებობას ითმენენ. თუ ეს სწორია, არ მესმის, რატომ თქვენ თვითონ არ შეუერთდით ბასმაჩობას? აშკარაა, ხოჯანოვი და იკრამოვი არ ჩაფიქრებიან თავისი სიტყვის ამ ადგილს, ვინაიდან მათ არ შეუძლიათ არ იცოდნენ, რომ ახლანდელი საბჭოთა თურქესტანი ძირფესვიანად განსხვავდება მეფის თურქესტანისაგან. ამ ამხანაგების სიტყვების ეს უმარ-

თებულო ადგილი მე მინდოდა აღმენიშნა იმისათვის, რომ ამხანაგები შეეცადონ ჩაუფიქრდნენ ამას და გამოასწორონ თავისი შეცდომა.

მე ვიღებ ჩემს თავზე იმ ბრალდებათა ნაწილს, რომლებიც იკრამოვმა ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობასთან დაკავშირებით გამოთქვა, რომ ჩვენ ყოველთვის როდი ვიყავით გულისხმიერნი და ყოველთვის როდი ვახერხებდით დროზე დაგვესვა ის პრაქტიკული საკითხები, რომლებსაც აღმოსავლეთის რესპუბლიკებისა და ოლქების ვითარება გვიკარნახებდა. რა თქმა უნდა, ცენტრალური კომიტეტი ძალიან დატვირთულია მუშაობით და ყველგან ვერ ასწრებს. მაგრამ სასაცილო იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ცენტრალურ კომიტეტს ყველაფერი შეუძლია თავის დროზე გააკეთოს. რა თქმა უნდა, სკოლები ცოტაა თურქესტანში. ადგილობრივი ენები ჯერ კიდევ არაა შემოღებული სახელმწიფო დაწესებულებებში, დაწესებულებანი არ არიან გაეროვნულებულნი. კულტურა საზოგადოდ დაბალია. ყოველივე ეს მართალია. მაგრამ განა შეიძლება სერიოზულად ვიქონიოთ იმის იმედი, რომ ცენტრალური კომიტეტი ან პარტია მთლიანად შეძლებენ ორ-სამ წელში აამაღლონ თურქესტანის კულტურა? ჩვენ ყველანი გავიძახით და ვჩივით, რომ რუსული კულტურა, კულტურა რუსი ხალხისა, რომელიც უფრო კულტურულია, ვიდრე რესპუბლიკათა კავშირის სხვა ხალხები, დაბალია. ილიჩს არაერთხელ განუცხადებია, რომ კულტურულობა ჩვენში ნაკლებია, რომ შეუძლებელია ორ-სამ და ათ წელშიც კი არსებითად ავამაღლოთ რუსული კულტურაო. ხოლო თუ არ შეიძლება ორ-სამ და ათ წელშიც კი არსებითად ავამაღლოთ რუსული კულტურა, მაშინ როგორ შეგვიძლია მოვითხოვოთ კულტურის დაჩქარებული ამაღლება არარუსულ, ჩამორჩენილ, წერა-კითხვის მცირემცოდნე ოლქებში? განა ცხადი

არ არის, რომ «ბრალის» ცხრა მეათედი აქ აწვება ვითარებას, ჩამორჩენილობას, რომ ამას, როგორც იტყვიან, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს.

«მემარცხენეებსა» და მემარჯვენეებზე.

არიან თუ არა ისინი ოლქებისა და რესპუბლიკების კომუნისტურ ორგანიზაციებში? რა თქმა უნდა, არიან. ამის უარყოფა არ შეიძლება.

რაში გამოიხატება მემარჯვენეთა ცოდვები? ეს ცოდვები იმაში გამოიხატება, რომ მემარჯვენეები არ წარმოადგენენ და არც შეიძლება წარმოადგენდნენ საწინააღმდეგო საშუალებას, საიმედო დასაყრდენს ნაციონალისტურ განწყობილებათა წინააღმდეგ, რომლებიც ვითარდება და ძლიერდება ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ის, რომ სულთან-გალიევშჩინას ჰქონდა ადგილი, ის, რომ მან თავის მომხრეთა ერთგვარი წრე შექმნა აღმოსავლეთ რესპუბლიკებში, განსაკუთრებით ბაშკირეთსა და თათრეთში, — ეს უეჭველად მოწმობს, რომ მემარჯვენე ელემენტები, რომლებიც აქ, ამ რესპუბლიკებში, დიდ უმრავლესობას შეადგენენ, არ წარმოადგენენ საკმაო დასაყრდენს ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს კომუნისტურ ორგანიზაციებს განაპირა მხარეებში, რესპუბლიკებსა და ოლქებში, შეუძლიათ განვითარდნენ და ფეხზე დადგნენ, ნამდვილი ინტერნაციონალისტური მარქსისტული კადრები გახდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ნაციონალიზმს დასძლევენ. ნაციონალიზმი ძირითადი იდეური დაბრკოლებაა განაპირა მხარეებსა და რესპუბლიკებში მარქსისტული კადრების, მარქსისტული ავანგარდის გამოზრდის გზაზე. ჩვენი პარტიის ისტორია მოწმობს, რომ ბოლშევიკების პარტიის რუსული ნაწილი მენშევიზმთან ბრძოლის გზით იზრდებოდა და მტკიცდებოდა, ვინაიდან მენ-

შევიზმი არის ბურჟუაზიის იდეოლოგია, მენშევიზმი არის ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამტარებელი ჩვენს პარტიაში, და მენშევიზმის დაუძლევლად პარტიას არ შეეძლო ფეხზე დამდგარიყო. ილიჩს არაერთხელ დაუწერია ამაზე. მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ბოლშევიზმი სძლევდა მენშევიზმს, მის ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ ფორმებს, მხოლოდ იმდენად იზრდებოდა და მტკიცდებოდა ის როგორც ნამდვილი ხელმძღვანელი პარტია. ასევე უნდა ითქვას ნაციონალიზმის შესახებ ჩვენი განაპირა მხარეებისა და რესპუბლიკების კომუნისტური ორგანიზაციების მიმართ. ნაციონალიზმი ამ ორგანიზაციებისათვის იმავე როლს ასრულებს, როგორსაც მენშევიზმი ასრულებდა წარსულში ბოლშევიკების პარტიისათვის. მხოლოდ ნაციონალისტური საფარით შეუძლია ყოველგვარ ბურჟუაზიულ გავლენას, მათ შორის მენშევიკურსაც, შემოაღწიოს ჩვენს განაპირა მხარეების ორგანიზაციებში. ჩვენს ორგანიზაციებს რესპუბლიკებში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ მარქსისტული გახდნენ, თუ ისინი შეძლებენ გაუმკლავდნენ იმ ნაციონალისტურ განწყობილებას, რომელიც აწვება ჩვენს პარტიას განაპირა მხარეებში, აწვება იმიტომ, რომ ხდება ბურჟუაზიის აღორძინება, იზრდება ახალი ეკონომიური პოლიტიკა, იზრდება ნაციონალიზმი, არის ველიკოროსული შოვინიზმის გადმონაშთები, რომლებიც აგრეთვე წინ უბიძგებენ ადგილობრივ ნაციონალიზმს, არსებობს უცხო სახელმწიფოთა გავლენა, რომლებიც ყოველნაირად მხარს უჭერენ ნაციონალიზმს. ამ მტერთან ბრძოლა რესპუბლიკებსა და ოლქებში წარმოადგენს იმ სტადიას, რომელიც უნდა განვლონ ჩვენმა კომუნისტურმა ორგანიზაციებმა ნაციონალურ რესპუბლიკებში, თუ მათ სურთ განმტკიცდნენ როგორც ნამდვილად მარქსისტული ორგანიზაციები. სხვა გზა არ არის. და ამ ბრძოლაში

მემარჯვენენი სუსტნი არიან. სუსტნი არიან, რადგან პარტიის მიმართ სკეპტიციზმით არიან შეპყრობილნი და ადვილად ემორჩილებიან ნაციონალიზმის გავლენას. აი რაშია რესპუბლიკებისა და ოლქების კომუნისტურ ორგანიზაციათა მემარჯვენე ფრთის ცოდვა.

მაგრამ არანაკლებ, თუ მეტად არა, ცოდვილნი არიან «მემარცხენენი» განაპირა მხარეებში. თუ კომუნისტურ ორგანიზაციებს განაპირა მხარეებში ნაციონალიზმის დაუძლევლად არ შეუძლიათ განმტკიცდნენ და განვითარდნენ ნამდვილ მარქსისტულ კადრებად, თვით ამ კადრებს მასობრივ ორგანიზაციებად გახდომა, თავის გარშემო მშრომელი მასების უმრავლესობის დარაზმვა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუ ისინი ისწავლიან საკმაოდ მოქნილი იყვნენ იმისათვის, რომ ჩვენს სახელმწიფო დაწესებულებებში ჩააბან ყველა რამდენადმე მაინც ლოიალური ნაციონალური ელემენტები მათ მიმართ დათმობათა გზით, თუ ისინი ისწავლიან მანევრირებას პარტიაში ნაციონალიზმთან გადამწყვეტ ბრძოლასა და საბჭოთა მუშაობაში ადგილობრივ ადამიანთა წრიდან, ინტელიგენციიდან და სხვ. ყველა ცოტად თუ ბევრად ლოიალური ელემენტების ჩაბმისათვის ასევე გადამწყვეტ ბრძოლას შორის. «მემარცხენენი» განაპირა მხარეებში მეტ-ნაკლებად თავისუფალი არიან პარტიისადმი სკეპტიკური დამოკიდებულებისაგან, ნაციონალიზმის ზემოქმედებისადმი დამყოლობისაგან. მაგრამ «მემარცხენეთა» ცოდვები იმაში გამოიხატება, რომ მათ უნარი არ შესწევთ მოქნილი იყვნენ მოსახლეობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და უბრალოდ ლოიალური ელემენტების მიმართ, მათ უნარი არ შესწევთ და არ სურთ სხვადასხვა ხერხი გამოიყენონ ამ ელემენტების მოზიდვის საქმეში, ისინი ამახინჯებენ პარტიის ხაზს, რომელიც მიმართულია ქვეყნის მშრომელი მოსახლეობის უმრავ-

ლესობის მიმხრობისაკენ. ამავე დროს კი საჭიროა, რაც უნდა დაგვიჯდეს, შევქმნათ და გამოვიმუშაოთ ეს მოქნილობა და ეს უნარი მანევრირებისა ნაციონალიზმთან ბრძოლასა და ჩვენი სახელმწიფო დაწესებულებების რიგებში რამდენადმე მაინც ლოიალური ელემენტების ჩაბმას შორის. ამისი შექმნა და გამომუშავება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, **თუ** ანგარიშს გავუწევთ მთელ იმ სირთულესა და სპეციფიკურობას, რასაც ვხვდებით ჩვენს ოლქებსა და რესპუბლიკებში; **თუ** არ შევუდგებით იმ ნიმუშების უბრალოდ გადანერგვას, რომლებიც ცენტრალურ სამრეწველო ოლქებში იქმნება და რომლებიც არ შეიძლება მექანიკურად გადავიტანოთ განაპირა მხარეებში; **თუ** ხელს არა ვკრავთ მოსახლეობის ნაციონალისტურად განწყობილ ელემენტებს, ნაციონალისტურად განწყობილ წვრილ ბურჟუებს, **თუ** ვისწავლით ამ ელემენტების ჩაბმას საერთო სახელმწიფოებრივ მუშაობაში. «მემარცხენენი» სცოდავენ იმით, რომ ისინი შეპყრობილი არიან სექტანტობით, რომ მათ არ ესმით პარტიის ამ რთული ამოცანების პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქებისათვის.

თუ მემარჯვენენი გვემუქრებიან იმით, რომ მათ ნაციონალიზმისადმი დამყოლობით შეუძლიათ გააძნელონ ჩვენი კომუნისტური კადრების ზრდა განაპირა მხარეებში; «მემარცხენენი» პარტიას ემუქრებიან იმით, რომ მათ, თავიანთი გაუბრალოებული და განუსჯელი «კომუნიზმით» გატაცებულთ, შეუძლიათ მოსწყვიტონ ჩვენი პარტია გლეხობას და ადგილობრივი მოსახლეობის ფართო ფენებს.

რომელი უფრო საშიშია ამ საფრთხეთაგან? თუ «მარცხნივ» გადახრილი ამხანაგები ფიქრობენ შემდგომაც გაატარონ ადგილებზე მოსახლეობის ხელოვნურ ფენებად

დაყოფის პოლიტიკა, ხოლო ეს პოლიტიკა ტარდებოდა არა მარტო ჩაჩნეთში და იაკუტიის ოლქში, არა მარტო თურქესტანში... (ი ბ რ ა გ ი მ ო ვ ი: «ეს დიფერენციაციის ტაქტიკაა»). ახლა იბრაგიმოვს მოუგონია ფენებად დაყოფის ტაქტიკის შეცვლა დიფერენციაციის ტაქტიკით, მაგრამ ამით არაფერი არ შეცვლილა, — თუ, ვამბობ მე, ისინი ფიქრობენ შემდგომაც გაატარონ ზემოდან ფენებად დაყოფის პოლიტიკა; თუ ისინი ფიქრობენ, რომ შესაძლებელია რუსული ნიმუშები მექანიკურად გადანერგო სპეციფიკურ ნაციონალურ გარემოში და ანგარიში არ გაუწიო ყოფა-ცხოვრებასა და კონკრეტულ პირობებს; თუ ისინი ფიქრობენ, ნაციონალიზმს რომ ებრძვი, საჭიროა ამასთან ერთად ყოველივე ნაციონალური წყალს გაატანოო; ერთი სიტყვით, თუ განაპირა მხარეების «მემარცხენე» კომუნისტები ფიქრობენ გამოუსწორებელნი დარჩნენ, — მაშინ უნდა ვთქვა, რომ ორი საფრთხიდან «მემარცხენე» საფრთხე შეიძლება უფრო საშიში აღმოჩნდეს.

ესაა და ეს, რის თქმაც მინდოდა «მემარცხენეთა» და მემარჯვენეთა საკითხის გამო. მე რამდენადმე გავუსწარი საკითხს, მაგრამ ეს იმიტომ, რომ მთელი თათბირი გადახტა წინ, როცა წინასწარ შეუდგა მეორე პუნქტის განხილვას.

უნდა წავუბიძგოთ მემარჯვენეებს, რათა ვაიძულოთ ისინი, ვასწავლოთ მათ ბრძოლა ნაციონალიზმის წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ გამოვჭედოთ ნამდვილი კომუნისტური კადრები ადგილობრივ ადამიანთაგან. მაგრამ უნდა წავუბიძგოთ «მემარცხენეებსაც», რათა ვასწავლოთ მათ მოქნილობა, მოხერხებული მანევრირება იმ მიზნით, რომ მივიმხროთ მოსახლეობის ფართო მასები. აუცილებელია ყოველივე ეს ვაკეთოთ იმიტომ, რომ ჭეშმარიტება არის «შუაში», მემარჯვენეებსა და «მემარცხენეებს» შორის, როგორც სწორად შენიშნა ხოჯანოვმა.

3. პარტიის XII ყრილობის მიერ ნაციონალურ საკითხზე მიღებული რეზოლუციის განხორციელების პრაქტიკული ღონისძიებანი

მოხსენება დღის წესრიგის მეორე პუნქტის გამო
10 ივნისი

ამხანაგებო! თქვენ ალბათ, უკვე მიიღეთ პროექტი ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პლატფორმისა* ნაციონალურ საკითხში (ხ მ ე ბ ი: «ყველას არ მიგვიღია»). ეს პლატფორმა ეხება დღის წესრიგის მეორე პუნქტს და ყველა მის ქვეპუნქტს. თათბირის დღის წესრიგი ცენტრალური კომიტეტის შიფრიანი დეპეშის სახით, ყოველ შემთხვევაში, ყველას გექნებათ მიღებული.

პოლიტბიუროს წინადადებანი შეგვიძლია სამ ჯგუფად დავყოთ.

საკითხების პირველი ჯგუფი ეხება ადგილობრივ ადამიანთაგან კომუნისტური კადრების განმტკიცებას რესპუბლიკებსა და ოლქებში.

საკითხების მეორე ჯგუფი ეხება ყოველივე იმას, რაც დაკავშირებულია ნაციონალურ საკითხზე XII ყრილობის მიერ მიღებულ კონკრეტულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ განხორციელებასთან, სახელდობრ: პარტიულ და საბჭოთა მშენებლობაში ადგილობრივი მოსახლეობის

* იხ. ეს ტომი, გვ. 323 — 331. რ ე დ.

მშრომელი ელემენტების ჩაბმის საკითხებს; ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებათა საკითხებს; ყოფა-ცხოვრების სპეციფიკურ თავისებურებებთან შეფარდებით რესპუბლიკებისა და ოლქების სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებს; დასასრულ, ოლქებსა და რესპუბლიკებში კოოპერაციისა, იქ ქარხნების გადატანისა, მრეწველობის კერების შექმნისა და სხვა საკითხებს. საკითხების ეს ჯგუფი მოიცავს ოლქებისა და რესპუბლიკების სამეურნეო, კულტურულ და სახელმწიფოებრივ ამოცანებს ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

საკითხების მესამე ჯგუფი ეხება რესპუბლიკათა კავშირის კონსტიტუციას საერთოდ, განსაკუთრებით კი იმ საკითხს, რომ ამ კონსტიტუციაში შეტანილ იქნას შესწორებანი რესპუბლიკათა კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მეორე პალატის შექმნის თვალსაზრისით. საკითხების უკანასკნელი ჯგუფი, როგორც ცნობილია, დაკავშირებულია რესპუბლიკათა კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მომავალ სესიასთან.

მე გადავდივარ საკითხების პირველ ჯგუფზე, — ადგილობრივ ადამიანთაგან მარქსისტული კადრების, ისეთი კადრების გამოზრდისა და განმტკიცების საშუალებათა საკითხებზე, რომლებსაც შეეძლებათ იყვნენ განაპირა მხარეებში საბჭოთა ხელისუფლების ყველაზე მნიშვნელოვანი და, საბოლოო ანგარიშით, გადამწყვეტი დასაყრდენი. თუ ავიღებთ ჩვენი პარტიის განვითარებას (მე ვიღებ მის რუსულ ნაწილს, როგორც ძირითადს), გავითვალისწინებთ მისი განვითარების ძირითად ეტაპებს და შემდეგ ამის ანალოგიით შევადგენთ ოლქებსა და რესპუბლიკებში ჩვენი კომუნისტური ორგანიზაციების განვითარების უახლოეს სურათს, ვფიქრობ, ჩვენ ვიპოვით ამ ქვეყნების

თავისებურებათა გაგების გასაღებს განაპირა მხარეებში ჩვენი პარტიის განვითარების თვალსაზრისით.

ჩვენი პარტიის, მისი რუსული ნაწილის, განვითარების პირველ პერიოდში ძირითად ამოცანას კადრების, მარქსისტული კადრების შექმნა წარმოადგენდა. ისინი, ეს მარქსისტული კადრები, ჩვენში იქმნებოდნენ, იწრთობოდნენ მენშევიზმთან ბრძოლაში. ამ კადრების ამოცანა მაშინ, იმ პერიოდში, — მე ვიღებ პერიოდს ბოლშევიკური პარტიის დაარსებიდან იმ მომენტამდე, როცა პარტიიდან განდევნილ იქნენ ლიკვიდატორები, როგორც მენშევიზმის ყველაზე დამთავრებული გამომხატველნი, — ძირითადი ამოცანა ის იყო, რომ ბოლშევიკების მხარეზე გადმოგვეყვანა მუშათა კლასის ყველაზე ცოცხალი, ყველაზე პატიოსანი და ყველაზე თვალსაჩინო ელემენტები, შეგვექმნა კადრები, გამოგვეჭედა ავანგარდი. აქ პირველ რიგში ბრძოლა წარმოებდა ბურჟუაზიული ხასიათის იმ მიმდინარეობებთან, განსაკუთრებით მენშევიზმთან, რომლებიც ხელს გვიშლიდნენ შემოგვეკრიბა კადრები, შემოგვეკრიბა როგორც ერთი მთელი, როგორც პარტიის ძირითადი ბირთვი. მაშინ პარტიის წინაშე ჯერ კიდევ არ იდგა, როგორც მორიგი და საჭირბოროტო მოთხოვნილება, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მილიონიან მასებთან ფართო კავშირურთიერთობის გაბმის ამოცანა, ამ მასების დაუფლების ამოცანა, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის მიმხრობის ამოცანა. აქამდე პარტია ჯერ კიდევ არ იყო მისული.

ჩვენი პარტიის განვითარების მხოლოდ შემდეგ საფეხურზე, მის მხოლოდ მეორე სტადიაში, როცა ეს კადრები გაიზარდნენ, როცა ისინი ჩვენი პარტიის ძირითად ბირთვად გადაიქცნენ, როცა მუშათა კლასის საუკეთესო ელემენტების სიმპათიები უკვე მოპოვებული ან თითქმის მოპოვებული იყო, მხოლოდ ამის შემდეგ დადგა პარტიის წინაშე, როგორც მორიგი და გადაუდებელი მოთხოვნი-

ლება, — მილიონიანი მასების დაუფლების ამოცანა, პარტიული კადრების ნამდვილად მასობრივ მუშათა პარტიად გადაქცევის ამოცანა. ამ პერიოდში ჩვენი პარტიის ბირთვს მოუხდა ბრძოლა არა იმდენად მენშევიზმთან, რამდენადაც ჩვენი პარტიის «მემარცხენე» ელემენტებთან, ყოველი ჯურის «ოტზოვისტებთან», რომლებიც ცდილობდნენ რევოლუციური ფრაზეოლოგიით შეეცვალათ 1905 წლის შემდეგ დამდგარი მომენტის ახალი პირობების თავისებურებათა სერიოზული შესწავლა, თავიანთი გაუბრალოებულ-«რევოლუციური» ტაქტიკით აფერხებდნენ ჩვენი პარტიის კადრების ნამდვილად მასობრივ პარტიად გადაქცევის საქმეს და რომლებმაც თავიანთი მუშაობით შექმნეს მუშათა ფართო მასებისაგან პარტიის მოწყვეტის საფრთხე. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ამ «მემარცხენე» საფრთხესთან გადამწყვეტი ბრძოლის გაუჩაღებლად, მის დაუძლევლად პარტია ვერ შესძლებდა მშრომელთა მილიონიანი მასების დაუფლებას.

ასეთია ორ ფრონტზე ბრძოლის, მემარჯვენეებთან, ე. ი. მენშევიკებთან, და «მემარცხენეებთან» ბრძოლის დაახლოებითი სურათი, ჩვენი პარტიის ძირითადი, რუსული ნაწილის განვითარების სურათი.

ამხანაგმა ლენინმა საკმაოდ დამაჯერებლად დაგვიხატა კომუნისტური პარტიების განვითარების ეს აუცილებელი, გარდუვალი სურათი თავის ბროშურაში: ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში». ამხ. ლენინი იქ ამტკიცებდა, რომ განვითარების დაახლოებით ასეთივე საფეხურები უნდა განვლონ დასავლეთის კომუნისტურმა პარტიებმა, და ისინი უკვე გადიან ამ საფეხურებსო. ჩვენ დათავად დავძენთ, რომ ესევე უნდა ითქვას ჩვენი კომუნისტური ორგანიზაციებისა და კომუნისტური პარტიების განვითარებაზე განაპირა მხარეებში.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ანალოგიისა წარსულში ჩვენი პარტიის მიერ განცდილსა და იმას შორის, რასაც ახლა განიცდიან განაპირა მხარეებში ჩვენი პარტორგანიზაციები, მაინც არსებობს ნაციონალურ რესპუბლიკებსა და ოლქებში ჩვენი პარტიის განვითარების ზოგიერთი არსებითი თავისებურება, რომლებიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ და რომელთა გულდასმით გათვალისწინების გარეშე ჩვენ მოგვველის საფრთხე, რომ დავუშვებთ მთელ რიგ მეტად უხეშ შეცდომებს განაპირა მხარეებში ადგილობრივ ადამიანთაგან მარქსისტული კადრების გამოზრდის ამოცანათა განსაზღვრისას.

გადავიდეთ ამ თავისებურებათა განხილვაზე.

ბრძოლა მემარჯვენე და «მემარცხენე» ელემენტებთან ჩვენს განაპირა მხარეების ორგანიზაციებში საჭიროა და სავალდებულო, უამისოდ ჩვენ ვერ გამოვზრდით მასებთან მჭიდროდ დაკავშირებულ მარქსისტულ კადრებს. მაგრამ განაპირა მხარეების მდგომარეობის თავისებურება და წარსულისაგან განსხვავება ჩვენი პარტიის განვითარების მხრივ იმაში მდგომარეობს, რომ კადრების გამოჭედვა და მათი მასობრივ პარტიად გადაქცევა განაპირა მხარეებში მიმდინარეობს არა ბურჟუაზიული წყობილების დროს, როგორც ეს ხდებოდა ჩვენი პარტიის ისტორიაში, არამედ საბჭოთა წყობილების დროს, პროლეტარიატის დიქტატურის დროს. მაშინ, ბურჟუაზიული წყობილების დროს, შეიძლებოდა და საჭიროც იყო დროის პირობების გამო დაგვერტყა **ჯერ** მენშევიკებისათვის (მარქსისტული კადრების შექმნის მიზნით), **შემდეგ** კი — ოტზოვისტებისათვის (ამ კადრების მასობრივ პარტიად გადაქცევის მიზნით) და ამ გადახრებთან ბრძოლით აგვევსო ჩვენი პარტიის ისტორიის მთელი ორი პერიოდი. ახლა დროის პირობების გამო ჩვენ ამას ვერასგზით ვერ ვიზამთ, ვინაიდან ახლა პარტია ხელისუფლების

სათავეში დგას, ხოლო ხელისუფლების სათავეში მდგომ პარტიას ესაჭიროება ის, რომ განაპირა მხარეებში ჰყავდეს მარქსისტულად საიმედო კადრები ადგილობრივ ადამიანთაგან, რომელნიც ამასთან ერთად დაკავშირებული იქნებიან მოსახლეობის ფართო მასებთან. ახლა ჩვენ არ შეგვიძლია **ჯერ** დავამარცხოთ მემარჯვენე საფრთხე «მემარცხენეების» დახმარებით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ჩვენი პარტიის ისტორიაში, და **შემდეგ** «მემარცხენე» საფრთხე მემარჯვენეების დახმარებით, — ჩვენ ახლა უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა ორ ფრონტზე **ერთდროულად** და ვეცადოთ დავამარცხოთ ორივე საფრთხე, რათა შედეგად მივიღოთ განაპირა მხარეებში მასებთან დაკავშირებული, მარქსისტულად მომზადებული კადრები ადგილობრივ ადამიანთაგან. მაშინ შეიძლებოდა ლაპარაკი ისეთ კადრებზე, რომლებიც ფართო მასებთან ჯერ კიდევ არ იყვნენ დაკავშირებულნი და რომლებიც განვითარების შემდგომ პერიოდში უნდა დაკავშირებოდნენ მათ, — ახლა სასაცილოც კია ამაზე ლაპარაკი, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლების დროს წარმოუდგენელია მარქსისტული კადრები, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებული არ არიან ფართო მასებთან. ეს იქნებოდა ისეთი კადრები, რომლებსაც არაფერი საერთო არ ექნებოდათ არც მარქსიზმთან და არც მასობრივ პარტიასთან. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად ართულებს საქმეს და უკარნახებს ჩვენს განაპირა მხარეების პარტორგანიზაციებს, რომ აუცილებელია ერთდროული ბრძოლა როგორც მემარჯვენეებთან, ისე «მემარცხენეებთან». აქედან გამომდინარეობს ჩვენი პარტიის პოზიცია ერთსა და იმავე დროს ორ ფრონტზე — ორივე გადახრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

შემდეგ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ განაპირა მხარეებში ჩვენი კომუნისტური ორგანიზაციების განვითარება მიმდინარეობს არა იზოლირებულად, როგორც ამას

ადგილი ჰქონდა ჩვენი პარტიის ისტორიაში მისი რუსული ნაწილის მიმართ, არამედ ჩვენი პარტიის ძირითადი ბირთვის უშუალო ზემოქმედებით, იმ ბირთვისა, რომელიც გამოწრთობილია არა მარტო მარქსისტული კადრების შექმნის საქმეში, არამედ მოსახლეობის ფართო მასებთან ამ კადრების დაკავშირების საქმეშიც, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის დროს რევოლუციური მანევრირების საქმეში. განაპირა მხარეების მდგომარეობის თავისებურება ამ მხრივ ის არის, რომ ჩვენს პარტორგანიზაციებს ამ ქვეყნებში, იქ საბჭოთა ხელისუფლების განვითარების პირობების გამო, შეუძლიათ და კიდევაც უნდა იმოქმედონ თავიანთი ძალებით მოსახლეობის ფართო მასებთან კავშირის განსამტკიცებლად, რისთვისაც უნდა გამოიყენონ ჩვენი პარტიის წინანდელი პერიოდის მდიდარი გამოცდილება. უკანასკნელ დრომდე რკპ ცენტრალური კომიტეტი, ჩვეულებრივ, მოქმედებდა განაპირა მხარეებში უშუალოდ, განაპირა მხარეების კომუნისტური ორგანიზაციების გარეშე, ზოგჯერ ამ ორგანიზაციებისათვის გვერდის ავლითაც კი, და საბჭოთა მშენებლობის საერთო მუშაობაში აბამდა ცოტად თუ ბევრად ლოიალური ხასიათის ყველა და ყოველგვარ ნაციონალურ ელემენტებს. ახლა ეს მუშაობა თვითონ განაპირა მხარეების პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა შეასრულონ. მათ შეუძლიათ ამის გაკეთება და კიდევაც უნდა გააკეთონ ეს, რადგან უნდა ახსოვდეთ, რომ ეს გზა საუკეთესო საშუალებაა იმისა, რომ ადგილობრივ ადამიანთაგან გამოსული მარქსისტული კადრები გადავაქციოთ ნამდვილ მასობრივ პარტიად, რომელსაც ექნება უნარი — გაიყოლიოს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა.

ასეთია ის ორი თავისებურება, რომელიც ჩვენ მტკიცედ უნდა გავითვალისწინოთ იმის განსაზღვრის დროს,

თუ როგორი უნდა იყოს განაპირა მხარეებში ჩვენი პარტიის ხაზი მარქსისტული კადრების გამოზრდისა და ამ კადრებით მოსახლეობის ფართო მასების დაუფლების საქმეში.

გადავდივარ საკითხების მეორე ჯგუფზე. რადგან პლატფორმის პროექტი ყველა ამხანაგს არ მიუღია, მე მას წავიკითხავ და თან განვმარტავ.

პირველი, «პარტიულ და საბჭოთა მშენებლობაში პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული ელემენტების ჩაბმის ღონისძიებანი». რისთვის არის ეს საჭირო? იმისათვის, რომ დავუახლოოთ პარტიული და განსაკუთრებით საბჭოთა აპარატი მოსახლეობას. საჭიროა, რომ ეს აპარატები მოსახლეობის ფართო მასებისათვის გასაგებ ენებზე მუშაობდნენ, სხვანაირად შეუძლებელია მათი დაახლოება მოსახლეობასთან. თუ ჩვენი პარტიის ამოცანა ის არის, რომ საბჭოთა ხელისუფლება მასებისათვის მშობლიური გახადოს, ამ ამოცანის შესრულება მხოლოდ იმით შეიძლება, თუ ამ ხელისუფლებას მასებისათვის გასაგებს გავხდით. საჭიროა, რომ სახელმწიფო დაწესებულებათა სათავეში მდგომი ადამიანები, ისევე როგორც თვით დაწესებულებანი, მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე მუშაობდნენ. საჭიროა განვდევნოთ დაწესებულებებიდან შოვინისტური ელემენტები, რომლებიც არღვევენ რესპუბლიკების კავშირის ხალხთა შორის მეგობრობისა და სოლიდაროზის გრძნობას, საჭიროა გავწმინდოთ ასეთი ელემენტებისაგან როგორც მოსკოვში, ისე რესპუბლიკებში არსებული ჩვენი დაწესებულებანი და რესპუბლიკების სახელმწიფო დაწესებულებათა სათავეში ჩავაყენოთ ადგილობრივი ადამიანები, რომლებმაც მოსახლეობის ენა და ზნე-ჩვეულება იციან.

მე მახსოვს, რომ ორი წლის წინათ ყირგიზეთის რესპუბლიკაში სახკომსაბჭოს თავმჯდომარე იყო პესტკოვსკი,

რომელმაც ყირგიზული ენა არ იცოდა. ამ გარემოებამ ჯერ კიდევ მაშინ წარმოშვა უდიდესი სიძნელენი ყირგიზელ გლეხთა მასებთან ყირგიზეთის რესპუბლიკის მთავრობის კავშირურთიერთობის განმტკიცების საქმეში. სწორედ ამიტომ პარტიამ მიაღწია იმას, რომ ახლა ყირგიზეთის რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე არის ყირგიზი.

გარდა ამისა, მე მახსოვს, რომ ბაშკირეთში მომუშავე ამხანაგების ერთი ჯგუფი გასულ წელს წინადადებას იძლეოდა ბაშკირეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ რუსი ამხანაგი წამოგვეყენებინა. პარტიამ გადაჭრით უარყო ეს წინადადება და მიაღწია იმას, რომ ამ პოსტზე ბაშკირი დაენიშნათ.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეს ხაზი და საზოგადოდ მთავრობის დაწესებულებათა თანდათანი ნაციონალიზაციის ხაზი გავატაროთ ყველა ნაციონალურ რესპუბლიკასა და ოლქში და უწინარეს ყოვლისა ისეთ მნიშვნელოვან რესპუბლიკაში, როგორიც უკრაინაა.

მეორე, «ადგილობრივი ინტელიგენციის მეტ-ნაკლებად ლოიალური ელემენტების შერჩევა და მოზიდვა და ამავე დროს მუშაობა პარტიის წევრთა რიცხვიდან საბჭოთა კადრების მოსამზადებლად». ეს დებულება განსაკუთრებულ ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს. ახლა, როცა ხელისუფლების სათავეში დგას მუშათა კლასი, რომელსაც თავის გარშემო დაურაზმავს მოსახლეობის უმრავლესობა, საფუძველი არა გვაქვს გვეშინოდეს იმისა, რომ საბჭოთა მშენებლობაში ჩავაბათ მეტ-ნაკლებად ლოიალური ელემენტები, თვით ყოფილი «ოქტიაბრისტებიც» კი. პირიქით, ყველა ეს ელემენტი აუცილებლად საჭიროა მოვიზიდოთ სამუშაოდ ნაციონალურ ოლქებსა და რესპუბლიკებში, რათა ისინი თვით მუშაობის მსვლელობაში გადავახალისოთ და გავასაბჭოოთ.

მესამე: «მუშებისა და გლეხების უპარტიო კონფერენციათა მოწყობა, რომლებზედაც მთავრობის წევრები მოხსენებებს გააკეთებენ საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა შესახებ». მე ვიცი, რომ ბევრ სახალხო კომისარს რესპუბლიკებში, მაგალითად, ყირგიზეთის რესპუბლიკაში, არ სურს შემოიაროს ადგილები, დაესწროს გლეხთა კრებებს, გამოვიდეს მიტინგებზე, გააცნოს ფართო მასებს ის მუშაობა, რომელსაც პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ეწევიან განსაკუთრებით გლეხებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. აუცილებლად საჭიროა მოვიწვიოთ ხოლმე მუშებისა და გლეხების უპარტიო კონფერენციები და იქ გავაცნოთ მასებს საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობა. უამისოდ ოცნებაც კი არ შეიძლება სახელმწიფო აპარატის ხალხთან დაახლოებაზე.

შემდეგ: «ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული მდგომარეობის ამაღლების ღონისძიებანი». დასახულია რამდენიმე ღონისძიება, რომლებიც, რა თქმა უნდა, ამომწურავად ვერ ჩაითვლება. სახელდობრ: ა) «კლუბების (უპარტიო კლუბების) და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებათა მოწყობა ადგილობრივ ენებზე»; ბ) «ყველა საფეხურის სასწავლებელთა ქსელის გაფართოება ადგილობრივ ენებზე»; გ) «მეტ-ნაკლებად ლოიალურ სახალხო მასწავლებელთა მოზიდვა»; დ) «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებათა ქსელის შექმნა ადგილობრივ ენებზე»; ე) «საგამომცემლო საქმის მოწყობა». ყველა ეს ღონისძიება ცხადი და გასაგებია. ამიტომ ისინი განსაკუთრებულ ახსნა-განმარტებას არ საჭიროებენ.

შემდეგ: «სამეურნეო მშენებლობა ნაციონალურ რესპუბლიკებსა და ოლქებში ნაციონალურ-ყოფაცხოვრებითი თავისებურებების თვალსაზრისით». პოლიტბიუროს მიერ

წარმოდგენილი საფინანსო ღონისძიებანი: ა) «გადასახლება-გადმოსახლების მოწესრიგება, ხოლო სადაც საჭიროა — შეწყვეტა»; ბ) «ადგილობრივი **მშრომელი** მოსახლეობის უზრუნველყოფა მიწით სახელმწიფო მიწის ფონდის ხარჯზე»; გ) «ხელმისაწვდომი სასოფლო-სამეურნეო კრედიტი ადგილობრივი მოსახლეობისათვის»; დ) «საირიგაციო სამუშაოთა გაძლიერება»; ე) «ფაბრიკა-ქარხნების გადატანა იმ რესპუბლიკებში, სადაც ნედლეული უხვად მოიპოვება»; ვ) «სახელოსნო და ტექნიკური სკოლების შექმნა»; ზ) «სასოფლო-სამეურნეო კურსების შექმნა» და, დასასრულ, თ) «ყოველნაირი დახმარება კოოპერაციისათვის, კერძოდ სარეწაო კოოპერაციისათვის (შინამრეწველთა მოზიდვის მიზნით)».

მე უნდა შევჩერდე ამ უკანასკნელ პუნქტზე, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო. თუ წინათ, მეფის დროს, განვითარება იმგვარად ხდებოდა, რომ კულაკი იზრდებოდა, სასოფლო-სამეურნეო კაპიტალი ვითარდებოდა, გლეხთა საშუალო მასა მერყეულ წონასწორობაში იმყოფებოდა, ხოლო გლეხობის ფართო მასები, წვრილ მხვნელ-მთესველ მეურნეთა ფართო მასები იძულებული იყვნენ გაჩანაგებისა და გაღატაკების კლანჭებში ეფართხალნათ, ახლა, პროლეტარიატის დიქტატურის დროს, როცა კრედიტი, როცა მიწა, როცა ძალაუფლება მუშათა კლასის ხელშია, — განვითარება, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობების მიუხედავად, კერძო კაპიტალის აღორძინების მიუხედავად, ძველი გზით ვერ წავა. სრულებით არ არიან მართალნი ის ამხანაგები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის განვითარების გამო ჩვენ თითქოს იძულებული ვართ გავიმეოროთ ძველი ისტორია, როცა გლეხობის უმრავლესობის მასობრივად გაჩანაგების ხარჯზე კულაკები იზრდებოდნენ. ეს გზა ჩვენი გზა არ

არის. ახალ პირობებში, როცა ხელისუფლების სათავეში პროლეტარიატი დგას, რომლის ხელში თავმოყრილია მეურნეობის ძირითადი ძაფები, განვითარება უნდა წარიმართოს სხვა გზით — იმ გზით, რომ სოფლის წვრილი მეპატრონენი გაერთიანებულ იქნან ყველა სახის კოოპერაციაში, რომელსაც სახელმწიფო გაუწევს დახმარებას კერძო კაპიტალთან ბრძოლაში, კოოპერატივების საშუალებით სოციალისტურ მშენებლობაში სოფლის მილიონობით წვრილ მეპატრონეთა თანდათანი ჩაბმის გზით, წვრილ მეპატრონეთა მეურნეობრივი მდგომარეობის თანდათანი გაუმჯობესების (და არა მათი გაღატაკების) გზით. ამ აზრით «ყოველნაირ დახმარებას კოოპერაციისათვის» განაპირა მხარეებში, ამ, უპირატესად, გლეხურ ქვეყნებში, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკების კავშირის მომავალი სამეურნეო განვითარებისათვის.

შემდეგ: «ნაციონალური საჯარისო ნაწილების შედგენის პრაქტიკულ ღონისძიებათა შესახებ». ვფიქრობ, რომ ჩვენ საგრძნობლად დავიგვიანეთ ამ მხრივ ღონისძიებათა შემუშავების საქმეში. ჩვენ ვალდებულნი ვართ შევქმნათ ნაციონალური საჯარისო ნაწილები. რა თქმა უნდა, ერთ დღეს მათ ვერ შევქმნი, მაგრამ ახლა შეიძლება და საჭიროცაა შევუდგეთ სამხედრო სკოლების შექმნას რესპუბლიკებსა და ოლქებში, რათა გარკვეულ ვადაში მოვამზადოთ ადგილობრივ ადამიანთაგან მეთაურთა შემადგენლობა, რომელიც შემდეგ შეძლებდა ბირთვი გამხდარიყო ნაციონალური საჯარისო ნაწილების შესადგენად. ამ საქმის დაწყება და წინწაწევა აბსოლუტურად აუცილებელია. ჩვენ რომ გვყავდეს საიმედო ნაციონალური საჯარისო ნაწილები და საიმედო მეთაურთა შემადგენლობა ისეთ რესპუბლიკებში, როგორიცაა თურქესტანი, უკრაინა, ბელორუსია, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, — ჩვენი რესპუბლიკა

ბევრად უკეთ იქნებოდა უზრუნველყოფილი როგორც თავდაცვის აზრით, ისე იძულებითი გამოსვლების აზრით, ვიდრე ეს ახლა არის. ეს მუშაობა ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ. რა თქმა უნდა, ამასთან დაკავშირებით საჭირო გახდება 20 — 25 ათასით გავადიდოთ ჩვენი ჯარების რიცხობრივი შემადგენლობა, მაგრამ ეს გარემოება არ შეიძლება დაუძლეველ დაბრკოლებად ჩაითვალოს.

დანარჩენ პუნქტებზე (იხ. პლატფორმის პროექტი) სიტყვას არ გავაგრძელებ, რადგან ისინი თავისთავად გასაგები არიან და ახსნა-განმარტებას არ საჭიროებენ.

საკითხების მესამე ჯგუფი — ეს არის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მეორე პალატის შექმნასთან და რესპუბლიკათა კავშირის სახალხო კომისარიატების დაარსებასთან. აქ გამოყოფილია ძირითადი საკითხები, ის საკითხები, რომლებიც ყველაზე მეტად გვხვდება თვალში, ამასთან ამ საკითხების სია, რა თქმა უნდა, ამომწურავად ვერ ჩაითვლება.

მეორე პალატა პოლიტბიუროს წარმოუდგენია, როგორც სსრ კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის შემადგენელი ნაწილი. იყო წინადადებანი, რომ არსებული ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის გვერდით შექმნილი ყოფილიყო ეროვნებათა უმაღლესი საბჭო, რომელიც ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის შემადგენლობაში არ შევიდოდა. ეს პროექტი უკუგდებულ იქნა, და პოლიტბიურო იმაზე შეჩერდა, რომ უფრო მიზანშეწონილია თვითონ ცენტრ. აღმასრ. კომიტეტი გაიყოს ორ პალატად; ამათგან პირველ პალატას შეიძლება ეწოდოს საკავშირო საბჭო, რომელსაც რესპუბლიკათა კავშირის საბჭოების ყრილობაზე ირჩევენ, ხოლო მეორე პალატას, რომლისთვისაც უნდა გვეწოდებინა ეროვნებათა საბჭო, ირჩევენ რესპუბლიკათა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები და ნაციონალური ოლქების საოლქო

ყრილობები, ხუთ-ხუთ კაცს რესპუბლიკებიდან და თითოს ოლქებიდან, ამასთან არჩეულ წარმომადგენლებს რესპუბლიკათა კავშირის საბჭოების ყრილობა ამტკიცებს.

რაც შეეხება მეორე პალატის უფლებებს პირველის მიმართ, ჩვენ ორივე პალატის თანასწორუფლებიანობის პრინციპზე შევჩერდით. ორივე პალატას ჰყავს თავ-თავისი პრეზიდიუმი, ამასთან ამ პრეზიდიუმებს კანონმდებლობითი ფუნქციები არა აქვთ. ორივე პალატა იკრიბება და ირჩევს საერთო პრეზიდიუმს, როგორც უმაღლესი ძალაუფლების მატარებელს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის სესიათაშორის პერიოდში. ვერც ერთი კანონპროექტი, რომელიც შეიტანება ერთ-ერთ პალატაში, კანონის ძალას ვერ მოიპოვებს, თუ იგი ორივე პალატაში არ გავიდა, ე. ი. მყარდება ორივე პალატის სრული თანასწორობა.

შემდეგ, ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმის შესახებ. მე ამაზე გაკვრით ვილაპარაკე. პოლიტბიურო ფიქრობს, რომ არ შეიძლება დაშვებულ იქნას ორი კანონმდებელი პრეზიდიუმი. პრეზიდიუმი, თუ იგი უმაღლეს ხელისუფლებას წარმოადგენს, არ შეიძლება დაიყოს ორ თუ მეტ ნაწილად; საჭიროა, რომ უმაღლესი ხელისუფლება ერთიანი იყოს. ამიტომ მიზანშეწონილად ითვლება შედგენილ იქნას სსრ კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის საერთო პრეზიდიუმი პირველი და მეორე პალატის პრეზიდიუმებისაგან, რამდენიმე კაცის მიმატებით, რომლებსაც აირჩევენ ორივე პალატის საერთო კრებაზე, ე. ი. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პლენარულ სხდომაზე.

შემდეგ, შეერთებული კომისარიატების რაოდენობის საკითხი. თქვენ იცით, რომ, ძველი კონსტიტუციით, რაც დამტკიცებულია გასულ წელს რესპუბლიკათა კავშირის საბჭოების ყრილობაზე, სამხედრო, საგარეო, საგარეო ვაჭრობის, ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინიგზის საქმეები თავ-

მოყრილია რესპუბლიკათა კავშირის სახკომსაბჭოს ხელში, რომ ხუთი სხვა კომისარიატი სადირექტივოა, ე. ი. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, სასურსათო სახალხო კომისარიატი, ფინანსთა სახალხო კომისარიატი, შრომის სახალხო კომისარიატი და მუშათა და გლეხთა ინსპექცია ორმაგი დაქვემდებარებისანი არიან, ხოლო დანარჩენი ექვსი კომისარიატი დამოუკიდებელია. ეს პროექტი გაკრიტიკებულ იქნა უკრაინელთა ერთი ნაწილის, რაკოვსკის, სკრიპნიკისა და სხვების მიერ. მაგრამ პოლიტბიუროს უარყო უკრაინელთა წინადადება, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი შეერთებული კომისარიატების ჯგუფიდან გადაყვანილი ყოფილიყვნენ სადირექტივო კომისარიატების თანრიგში, და ძირითადად მიიღო კონსტიტუციის მთავარი დებულებანი შარშანდელ გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

ასეთია, ზოგადად, ის მოსაზრებანი, რომლებითაც ხელმძღვანელობდა პოლიტბიუროს პლატფორმის პროექტის შემუშავებისას.

ვფიქრობ, რომ რესპუბლიკათა კავშირის კონსტიტუციისა და მეორე პალატის საკითხზე თათბირს მოუხდება დასჯერდეს აზრთა მოკლე გაცვლა-გამოცვლას, მით უფრო, რომ ეს საკითხი ცენტრალური კომიტეტის პლენუმის კომისიაში მუშავდება [77]. XII ყრილობის რეზოლუციების ცხოვრებაში გატარების პრაქტიკულ ღონისძიებათა საკითხზე, ჩემი აზრით, საჭირო გახდება უფრო ვრცლად მოვილაპარაკოთ. რაც შეეხება ადგილობრივ ადამიანთაგან მარქსისტული კადრების განმტკიცების საკითხს, — საჭირო იქნება ამ საქმეს კამათის მეტი ნაწილი მოვანდომოთ.

ვფიქრობ, რომ, ვიდრე კამათს დავიწყებდეთ, მიზანშეწონილი იქნებოდა მოგვესმინა რესპუბლიკებისა და ოლქების წარმომადგენელი ამხანაგების მოხსენებანი მათ მიერ ადგილებიდან ჩამოტანილი მასალების საფუძველზე.

4. საბოლოო სიტყვა

12 ივნისი

უწინარეს ყოვლისა მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ამხანაგების მოხსენებებზე და საზოგადოდ თათბირის ხასიათზე წარმოდგენილ მოხსენებათა თვალსაზრისით. თუმცა ეს თათბირი მეოთხეა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროიდან, მაინც ყველა წინანდელთა შორის ეს არის ერთადერთი სრული თათბირი, სადაც წარმოდგენილი იყო მეტ-ნაკლებად სრული და დასაბუთებული მოხსენებანი რესპუბლიკებიდან და ოლქებიდან. მოხსენებებიდან ჩანს, რომ კომუნისტების კადრები ოლქებსა და რესპუბლიკებში გაიზარდნენ, სწავლობენ დამოუკიდებლად მუშაობას. ვფიქრობ, რომ ის მდიდარი მასალა, რომელიც ამხანაგებმა აქ წარმოგვიდგინეს, ოლქებსა და რესპუბლიკებში მუშაობის ის გამოცდილება, რომელიც აქ ამხანაგებმა გადმოგვიშალეს, აუცილებლად უნდა გახდეს მთელი ჩვენი პარტიისათვის მისაწვდომი ამ თათბირის ოქმების სახით. ადამიანები გაიზარდნენ და წინ მიდიან, ისინი სწავლობენ მართვა-გამგებლობას — ასეთია პირველი დასკვნა, პირველი შთაბეჭდილება მოხსენებებიდან.

მოხსენებათა შინაარსზე რომ გადავიდეთ, წარმოდგენილი მასალები შეიძლებოდა ორ ჯგუფად დაგვეყო: მოხსენებებად სოციალისტური რესპუბლიკებიდან და მოხსენებე-

ბად სახალხო, არასოციალისტური რესპუბლიკებიდან (ბუხარა, ხორეზმი).

გადავიდეთ მოხსენებათა პირველი ჯგუფის განხილვაზე. მოხსენებებიდან ჩანს, რომ ყველაზე უფრო განვითარებულ და მოწინავე რესპუბლიკად ხალხის ენასა და ყოფა-ცხოვრებასთან პარტიული და, განსაკუთრებით, სახელმწიფო აპარატის მიახლოების აზრით საქართველო უნდა ჩაითვალოს. საქართველოს მოსდევს სომხეთი. მათ მიჰყვებიან დანარჩენი რესპუბლიკები და ოლქები. ასეთია, ჩემი აზრით, უდავო დასკვნა. ეს მოვლენა აიხსნება საქართველოს და სომხეთის მეტი კულტურულობით. საქართველოში წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი საკმაოდ მაღალია, 80-მდე აღწევს, სომხეთში — არანაკლებ 40%-ისა. ამაშია იმის საიდუმლოება, რომ ეს ორი ქვეყანა სხვა რესპუბლიკებზე წინ აღმოჩნდა. აქედან გამომდინარეობს, რომ რაც უფრო წინ დგას წერა-კითხვის მცოდნეობით და კულტურულობით ქვეყანა, რესპუბლიკა, ოლქი, მით უფრო ახლოსაა ხალხთან, მის ენასთან, მის ყოფა-ცხოვრებასთან პარტიული და საბჭოთა აპარატი. ყოველივე ეს ასეა სხვა თანაბარ პირობებში, რა თქმა უნდა. ეს ცხადია, და არაფერი ახალი ამ დასკვნაში არ არის, და სწორედ იმიტომ, რომ აქ არაფერი ახალი არ არის, ამ დასკვნას ხშირად ივიწყებენ და არაიშვიათად ცდილობენ — კულტურული ჩამორჩენილობა, მაშასადამე, სახელმწიფოებრივი ჩამორჩენილობაც მიაწერონ «შეცდომებს» პარტიის პოლიტიკაში, მიაწერონ კონფლიქტებს და სხვ., მაშინ როცა ყველაფრის საფუძველი ის არის, რომ აკლიათ წერა-კითხვის მცოდნეობა, არა აქვთ კულტურულობა. შენ გინდა მოწინავე გახადო შენი ქვეყანა მისი სახელმწიფოებრიობის ამაღლების აზრით, — აამაღლე წერა-კითხვის ცოდნა მოსახლეობაში, აამაღლე შენი ქვეყნის კულტურა, — დანარჩენი მოეწყობა.

თუ ამ მხრივ მივუდექით საქმეს და მოხსენებათა მონაცემების თვალსაზრისით შევაფასეთ ცალკეული რესპუბლიკების მდგომარეობა, უნდა ვაღიაროთ, რომ მდგომარეობა თურქესტანში, ახლანდელი მდგომარეობა იქ ყველაზე უფრო ცუდია, ყველაზე უფრო ჩამაფიქრებელია. კულტურული ჩამორჩენილობა, წერა-კითხვის მცოდნეთა საშინლად მინიმალური პროცენტი, სახელმწიფო აპარატის მოწყვეტილობა თურქესტანის ხალხთა ენისა და ყოფა-ცხოვრებისაგან, განვითარების საშინლად ნელი ტემპი — ასეთია სურათი. ამავე დროს ცხადია, რომ ყველა საბჭოთა რესპუბლიკას შორის თურქესტანი ყველაზე მნიშვნელოვანი რესპუბლიკაა აღმოსავლეთის გარევოლუციურების თვალსაზრისით, არა მარტო იმიტომ, რომ თურქესტანი აღმოსავლეთთან ყველაზე უფრო დაკავშირებულ ეროვნებათა კომბინაციას წარმოადგენს, არამედ იმიტომაც, რომ თავისი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ის იმ აღმოსავლეთის თვით გულში იჭრება, რომელსაც ყველაზე მეტად უწევენ ექსპლოატაციას და რომელშიც დაგროვებულია ყველაზე მეტი დენთი იმპერიალიზმთან საბრძოლველად. აი რატომ წარმოადგენს ახლანდელი თურქესტანი საბჭოთა ხელისუფლების ყველაზე სუსტ პუნქტს. ამოცანა ისაა, რომ გადავაქციოთ თურქესტანი სანიმუშო რესპუბლიკად, აღმოსავლეთის გარევოლუციურების მოწინავე პოსტად. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი თურქესტანზე ყურადღების გამახვილება მასების კულტურული დონის ამაღლების, სახელმწიფო აპარატის ნაციონალიზაციისა და სხვ. აზრით. ეს ამოცანა ჩვენ უნდა შევასრულოთ რადაც უნდა დაგვიჯდეს, ამისათვის ძალ-ღონე არ უნდა დავზოგოთ, მსხვერპლს არ უნდა დავერიდოთ.

საბჭოთა ხელისუფლების მეორე სუსტ პუნქტად უნდა ჩაითვალოს უკრაინა. საქმის ვითარება კულტურის, წერა-კითხვის მცოდნეობისა და სხვ. მხრივ აქ ისეთივეა, ან

თითქმის ისეთივეა, როგორც თურქესტანში. სახელმწიფო აპარატი ისევე ნაკლებად არის მიახლოებული ხალხის ენასთან და ყოფა-ცხოვრებასთან, როგორც თურქესტანში. ამავე დროს კი უკრაინას ისეთივე მნიშვნელობა აქვს დასავლეთის ხალხებისათვის, როგორც თურქესტანს აღმოსავლეთის ხალხებისათვის. მდგომარეობას უკრაინაში ართულებს კიდევ ქვეყნის სამრეწველო განვითარების ზოგიერთი თავისებურება. საქმე ის არის, რომ მრეწველობის ძირითადი დარგები, ქვანახშირისა და მეტალურგიული, უკრაინაში გაჩნდა არა ქვემოდან, არა სახალხო მეურნეობის ბუნებრივი განვითარების წესით, არამედ ზემოდან, გარედან შეტანის, ხელოვნური დანერგვის წესით. ამის გამო ამ დარგების პროლეტარიატის შემადგენლობა არ არის ადგილობრივი, ენით არ არის უკრაინული. ეს გარემოება კი იწვევს იმას, რომ ქალაქის კულტურული ზემოქმედება სოფელზე და პროლეტარიატის კავშირი გლეხობასთან მნიშვნელოვნად ძნელდება პროლეტარიატისა და გლეხობის ნაციონალური შემადგენლობის ასეთ განსხვავებათა გამო. ყველა ეს გარემოება უნდა გავითვალისწინოთ უკრაინის სანიმუშო რესპუბლიკად გადაქცევისათვის მუშაობის დროს. უკრაინა კი, დასავლეთის ხალხებისათვის მისი უდიდესი მნიშვნელობის გამო, აუცილებლად უნდა გადავაქციოთ სანიმუშო რესპუბლიკად.

გადავდივარ მოხსენებებზე ხორეზმისა და ბუხარის შესახებ. ხორეზმზე, რამდენადაც აქ არ ესწრება ხორეზმის წარმომადგენელი, არ ვილაპარაკებ: უხერხულია მარტო იმ მასალების საფუძველზე, რაც ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში მოიპოვება, გააკრიტიკო ხორეზმის კომუნისტური პარტიისა და ხორეზმის მთავრობის მუშაობა. ის, რაც აქ ბროიდომ ხორეზმზე ილაპარაკა, წარსულს ეხება.

ხორეზმის ახლანდელ მდგომარეობასთან ამას ნაკლები დამოკიდებულება აქვს. პარტიის შესახებ მან თქვა, მასში 50% ვაჭრებიაო და სხვ. იქნებ ეს იყო კიდევაც წარსულში, მაგრამ ახლა იქ წმენდა მიმდინარეობს, არც ერთი «ერთიანი პარტბილეთი» ჯერ არ გაცემულა ხორეზმისათვის, პარტია იქ, ნამდვილად რომ ითქვას, არ არის, პარტიის შესახებ ლაპარაკი მხოლოდ წმენდის შემდეგ შეიძლება. ამბობენ, იქ პარტიის რამდენიმე ათასი წევრი ითვლებაო. ვფიქრობ, რომ პარტიის წმენდის შემდეგ იქ პარტიის ასობით წევრზე მეტი არ დარჩება. სწორედ ასევე იყო საქმე ბუხარაში გასულ წელს, როცა იქ პარტიის 16 ათასი წევრი ითვლებოდა, ხოლო წმენდის შემდეგ ერთი ათასზე მეტი არ დარჩენილა.

გადავდივარ მოხსენებაზე ბუხარის შესახებ. ბუხარაზე რომ ვლაპარაკობ, წინასწარ უნდა ვთქვა ორიოდე სიტყვა წარმოდგენილ მოხსენებათა საერთო ტონისა და ხასიათის შესახებ. მე მიმაჩნია, რომ მოხსენებანი რესპუბლიკებისა და ოლქების შესახებ საერთოდ სწორი იყვნენ, ისინი საერთოდ არ შორდებოდნენ სინამდვილეს. მხოლოდ ერთი მოხსენება დაშორდა სავსებით სინამდვილეს — ეს არის მოხსენება ბუხარის შესახებ. ეს არც კია მოხსენება, არამედ სულ ერთიანად დიპლომატიაა, ვინაიდან ყოველივე, რაც კი უარყოფითია ბუხარაში, აქ მიჩქმალულია, მიფუჩეჩებულია, ხოლო ყოველივე ის, რაც გარეგნულად ბრწყინავს და თვალში გვხვდება, წამოწეულია წინა ადგილზე, საჩვენებლად. დასკვნა — ბუხარაში ყველაფერი რიგზეაო. ვფიქრობ, ამ თათბირზე ჩვენ იმიტომ კი არ ჩამოვსულვართ, რომ ერთმანეთთან დიპლომატობა გავწიოთ, ერთმანეთს თვალი ჩავუკრათ, ხოლო ზურგს უკან ერთმანეთი ვატყუოთ, არამედ იმისათვის, რომ მთელი სიმართლე ვთქვათ, კომუნისტურად გამოვავლინოთ ყველა წყლული, გამოვააშკარაოთ ისინი და შევიმუშაოთ მდგომარეობის გაუმჯობესების

საშუალებანი. მხოლოდ ამ პირობით შეგვიძლია ჩვენ წინ წავიწიოთ. ამ თვალსაზრისით მოხსენება ბუხარის შესახებ ყველა სხვა მოხსენებისაგან განირჩევა იმით, რომ იგი ნაკლებად შეიცავს სიმართლეს. მე აქ შემთხვევით კი არ მიმიცია კითხვა მომხსენებლისათვის ბუხარის ნაზირთა საბჭოს შემადგენლობის შესახებ. ნაზირთა საბჭო — ეს სახალხო კომისართა საბჭოა. არიან თუ არა იქ დეხკანები, ე. ი. გლეხები? მომხსენებელს არ უპასუხნია. მაგრამ მე მაქვს ცნობები ამის შესახებ, და აი, თურმე, ბუხარის მთავრობის შემადგენლობაში არც ერთი გლეხი არ არის. მთავრობის 9 თუ 11 წევრიდან არის მდიდარი ვაჭრის შვილი, ვაჭარი, ინტელიგენტი, მოლა, ვაჭარი, ინტელიგენტი, ისევ ვაჭარი, მაგრამ არც ერთი დეხკანი არ არის. ამავე დროს კი ბუხარა, როგორც ცნობილია, პირწმინდად გლეხური ქვეყანაა.

ამ საკითხს პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ბუხარის მთავრობის პოლიტიკის საკითხთან. როგორია ამ მთავრობის პოლიტიკა, რომლის სათავეში კომუნისტები დგანან, ანგარიშს უწევს თუ არა ეს მთავრობა გლეხობის, თავისი გლეხობის ინტერესებს? მე მინდა დავიმოწმო მხოლოდ ორი ფაქტი, რაც ნათელყოფს, თუ რა პოლიტიკას ატარებს ბუხარის მთავრობა, რომლის სათავეში კომუნისტები დგანან. დოკუმენტიდან, რომელიც ხელმოწერილია ფრიად პასუხისმგებელი ამხანაგებისა და პარტიის ძველი წევრების მიერ, ჩანს, მაგალითად, რომ თავისი არსებობის განმავლობაში ბუხარის სახელმწიფო ბანკს გაუცია კრედიტები კერძო ვაჭრობისათვის 75%, გლეხთა კოოპერატივებისათვის კი — 2%. აბსოლუტური ციფრებით ეს ასე გამოიხატება: 7 მილიონი მანეთი ოქროთი — ვაჭრებს და 220 ათასი მანეთი ოქროთი — გლეხებს. შემდეგ: ბუხარაში გატარებული არ არის მიწების კონფისკაცია. მაგრამ იქ მოახდინეს ემირის პირუტყვის კონფისკაცია... გლეხთა სასარგებლოდ. და მერე? იმავე დოკუმენტიდან ჩანს, რომ

გლეხებისათვის გადასაცემად ჩამორთმეულია ორ ათასამდე სული პირუტყვი, აქედან კი გლეხთა ხელში გადავიდა მხოლოდ 200-მდე სული პირუტყვი, დანარჩენი გაყიდეს, მიჰყიდეს, რა თქმა უნდა, შეძლებულ მოქალაქეებს.

და ამ მთავრობას ეწოდება საბჭოთა, სახალხო მთავრობა! საჭიროც კი არ არის იმის მტკიცება, რომ ბუხარის მთავრობის ამ საქმიანობაში არაფერი სახალხო, არაფერი საბჭოური არ არის.

მომხსენებელმა ძალიან ფერადოვნად გააშუქა რსფს რესპუბლიკისა და რესპუბლიკების კავშირისადმი ბუხარელი ხალხის დამოკიდებულების საკითხი. მას აქაც ყველაფერი რიგზე აქვს. ბუხარის რესპუბლიკას, თურმე, სურს კავშირში შევიდეს. მომხსენებელი, ეტყობა, ფიქრობს, რომ საკმარისია მოისურვო რესპუბლიკების კავშირში შესვლა, და კარი ფართოდ გაიღება. არა, ამხანაგებო, საქმე ასე მარტივად არ არის. კიდევ უნდა იკითხოთ, შეგიშვებენ თუ არა რესპუბლიკების კავშირში? კავშირში შესვლის შესაძლებლობა რომ გქონდეთ, კავშირის ხალხთა თვალში წინასწარ უნდა დაიმსახუროთ კავშირში შესვლის უფლება, უნდა მოიპოვოთ ეს ნდობა. უნდა მოვაგონო ბუხარელ ამხანაგებს, რომ რესპუბლიკების კავშირი არ შეიძლება ისეთ ადგილად მივიჩნიოთ, სადაც ყველაფერი დაიყრება.

ბოლოს, მოხსენებათა გამო ჩემი საბოლოო სიტყვის პირველი ნაწილის დამთავრებისას, მინდა შევეხო ამ მოხსენებათა ერთ დამახასიათებელ მომენტს. არავის, არც ერთ მომხსენებელს არ უპასუხნია თათბირის დღის წესრიგში დასმულ კითხვაზე, სახელდობრ — ადგილობრივი მუშაკების შემადგენლობიდან გამოუყენებელი, თავისუფალი რეზერვების არსებობის საკითხზე. ამ კითხვაზე არავის გაუცია ბასუხი, არავინ შეხებია მას, გარდა გრინკოსი, რომელიც მომხსენებელი არ არის. ამავე დროს კი ამ საკითხს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. არიან თუ არა რეს-

პუბლიკებში ან ოლქებში თავისუფალი, გამოუყენებელი მუშაკები ადგილობრივ ადამიანთა წრიდან, თუ არიან — რატომ არ არიან გამოყენებულნი, ხოლო თუ ასეთი რეზერვები არ არის, მუშაკების ნაკლებობა კი მაინც იგრძნობა, რა ნაციონალური ელემენტებით ივსება დაუკავებელი ადგილები პარტიული თუ საბჭოთა ხაზით, — ყველა ეს საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია პარტიისათვის. მე ვიცი, რომ რესპუბლიკებსა და ოლქებში არის ერთი ნაწილი ხელმძღვანელი მუშაკებისა, უმთავრესად რუსებისა, რომლებიც ზოგჯერ გასაჭანს არ აძლევენ ადგილობრივ ადამიანთა წრიდან გამოსულ მუშაკებს, აფერხებენ მათს დაწინაურებას განსაზღვრულ პოსტებზე, გზას უხშობენ მათ. ასეთი შემთხვევები არის, და ეს წარმოადგენს რესპუბლიკებსა და ოლქებში უკმაყოფილების ერთ-ერთ მიზეზს. მაგრამ უკმაყოფილების ყველაზე დიდი და ძირითადი მიზეზი ის არის, რომ მუშაობისათვის გამოსადეგ ადგილობრივ ადამიანთა თავისუფალი რეზერვი საშინლად მცირეა ან, უფრო სწორად რომ ითქვას, სულაც არ არის. ესაა თავიდათავი. თუ ადგილობრივი მუშაკები საკმაოდ არ მოიპოვებიან, ცხადია, აუცილებელია სამუშაოზე დავაყენოთ არაადგილობრივი ადამიანები, სხვა ეროვნებათა ადამიანები, ვინაიდან დრო არ იცდის, საჭიროა შენება და მართვა, კადრები კი ადგილობრივ ადამიანთაგან ნელა იზრდებიან. ვფიქრობ, აქ ოლქებისა და რესპუბლიკების მუშაკები რამდენადმე ეშმაკურად მოიქცნენ, როცა მათ ამ გარემოებაზე არაფერი თქვეს. ამავე დროს ცხადია, რომ გაუგებრობათა $^{9}/_{10}$ ადგილობრივ ადამიანთაგან მუშაკების ნაკლებობით აიხსნება. აქედან დასკვნა ერთია: დავაყენოთ პარტიის წინაშე, როგორც საბრძოლო ამოცანა, ადგილობრივ ადამიანთაგან საბჭოთა და პარტიული მუშაკების კადრების დაჩქარებით მომზადება.

მოხსენებებიდან გადავდივარ სიტყვებზე. უნდა აღვნიშნო, ამხანაგებო, რომ არავის, არც ერთ ორატორს არ გაუკრიტიკებია პოლიტბიუროს მიერ წარმოდგენილი პლატფორმის პროექტის პრინციპული ნაწილი. (ხმა: «გასაკრიტიკებელი არაფერია»). მე ამას ვუყურებ, როგორც კონფერენციის თანხმობას, როგორც კონფერენციის სოლიდარობას იმ დებულებებთან, რომლებიც გადმოცემულია პლატფორმის პრინციპულ ნაწილში. (ხმები: «სწორია»).

ტროცკის დამატება, რაზედაც მან ილაპარაკა, ანუ ჩანართი (იგი პრინციპულ მხარეს ეხება), უნდა მივიღოთ, ვინაიდან ეს დამატება სრულიად არ ცვლის რეზოლუციის პრინციპული ნაწილის ხასიათს, მეტიც, — ბუნებრივად გამომდინარეობს მისგან. მით უფრო, რომ თავისი არსებით ტროცკის დამატება წარმოადგენს X ყრილობის მიერ ნაციონალურ საკითხზე მიღებული რეზოლუციის იმ ცნობილი პუნქტის განმეორებას, სადაც ლაპარაკია ოლქებსა და რესპუბლიკებში პიტერისა და მოსკოვის ნიმუშების მექანიკური გადანერგვის დაუშვებლობაზე. აქ, რა თქმა უნდა, არის განმეორება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ზოგი რამის განმეორება ხანდახან საზიანო არ არის. ამის გამო მე არ ვაპირებ დიდხანს ვილაპარაკო რეზოლუციის პრინციპულ ნაწილზე. სკრიპნიკის სიტყვა ერთგვარ საბაბს იძლევა იმ დასკვნისათვის, რომ ის თავისებურად განმარტავს ამ პრინციპულ ნაწილს, როცა ცდილობს ძირითადი ამოცანის წინაშე, როგორიცაა ბრძოლა ველიკოროსულ შოვინიზმთან, რომელიც მთავარ საშიშროებას წარმოადგენს, დაჩრდილოს სხვა საშიშროება — ადგილობრივი ნაციონალიზმის საშიშროება. მაგრამ ასეთი განმარტება დიდად მცდარია.

პოლიტბიუროს პლატფორმის მეორე ნაწილი ეხება რესპუბლიკების კავშირის ხასიათის საკითხს და ეგრეთწო-

დებული მეორე პალატის დაარსების თვალსაზრისით რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციაში ზოგიერთი შესწორების შეტანის საკითხს. უნდა ვთქვა, რომ აქ პოლიტბიუროს ერთგვარი უთანხმოება აქვს უკრაინელ ამხანაგებთან. ის, რაც გადმოცემულია პოლიტბიუროს პლატფორმის პროექტში, პოლიტბიუროს მიერ ერთხმად არის მიღებული. მაგრამ ზოგიერთი პუნქტი სადავოდ მიაჩნია რაკოვსკის. ამან თავი იჩინა, სხვათა შორის, ცენტრალური კომიტეტის პლენუმის კომისიაში. იქნებ საჭირო არ იყო ამაზე ლაპარაკი, რადგან აქ არ წყდება ეს საკითხი. მე უკვე მოგახსენეთ პლატფორმის ამ ნაწილზე და ვთქვი, რომ საკითხი მუშავდება ცენტრალური კომიტეტის პლენუმის კომისიაში და კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმის კომისიაში [78]. მაგრამ რაკი ამ საკითხს შეეხნენ, მე მას გვერდს ვერ ავუვლი.

არ არის სწორი, თითქოს კონფედერაციისა და ფედერაციის საკითხი უბრალო საკითხი იყოს. განა შემთხვევითია ის, რომ უკრაინელმა ამხანაგებმა, რესპუბლიკების კავშირის ყრილობაზე მიღებული კონსტიტუციის ცნობილი პროექტის განხილვისას, იქიდან ამოშალეს ფრაზა, რომ რესპუბლიკები «ერთ საკავშირო სახელმწიფოდ ერთიანდებიან»? განა ეს შემთხვევითია და განა მათ ეს არა ქნეს? რატომ ამოშალეს მათ ეს ფრაზა? განა შემთხვევითია ის, რომ უკრაინელმა ამხანაგებმა თავის კონტრპროექტში წინადადება წამოაყენეს — საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატები და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატები კი არ შევაერთოთ, არამედ სადირექტივო კომისარიატების თანრიგში მოვაქციოთ? სად არის აქ ერთიანი საკავშირო სახელმწიფო, თუ თვითეულ რესპუბლიკას რჩება თავისი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი და

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი? განა შემთხვევითია ის, რომ უკრაინელებმა თავის კონტრპროექტში ნულამდე დაიყვანეს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმის ძალაუფლება, როცა იგი ორი პალატის ორ პრეზიდიუმს შორის გაყვეს? რაკოვსკის ყველა ეს შესწორება ფიქსირებული და გარჩეულია ცენტრალური კომიტეტის პლენუმის კომისიის მიერ და უკუგდებულია. მაშ რისთვისღა უნდა გავიმეოროთ ისინი აქ? ზოგიერთი უკრაინელი ამხანაგის ამ დაკინებაში მე ვხედავ სურვილს — კავშირის ხასიათის განსაზღვრის მხრივ მიაღწიონ რაღაც საშუალოს კონფედერაციასა და ფედერაციას შორის, ამასთან უპირატესობა მიანიჭონ კონფედერაციას. ამავე დროს კი ცხადია, რომ ჩვენ ვქმნით რესპუბლიკების არა კონფედერაციას, არამედ ფედერაციას, ერთ საკავშირო სახელმწიფოს, რომელიც გააერთიანებს სამხედრო, საგარეო, საგარეო ვაჭრობის და სხვა საქმეებს, სახელმწიფოს, რომლის არსებობა არ ამცირებს ცალკეულ რესპუბლიკათა სუვერენობას.

ოუ ჩვენი კავშირის შემადგენლობაში არის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი და სხვ. და ამავე დროს ყველა ეს სახალხო კომისარიატი არის კავშირის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკებშიც, მაშინ მთელი კავშირის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს, გამოსვლა გარეშე მსოფლიოს წინაშე, ცხადია, ქრება, ვინაიდან ორში ერთი: ან ჩვენ ამ აპარატებს ვაერთებთ და გარეშე მტრის წინაშე გამოვდივართ, როგორც ერთიანი კავშირი, ან ჩვენ ამ აპარატებს არ ვაერთებთ, ვქმნით არა საკავშირო სახელმწიფოს, არამედ რესპუბლიკების კონგლომერატს, და მაშინ თვითეულ რესპუბლიკას უნდა მოეპოვებოდეს თავისი პარალელური აპარატი. ვფიქრობ, რომ აქ ჭეშმარიტება ამხ. მანუილსკის მხარეზეა, და არა რაკოვსკისა და სკრიპნიკის მხარეზე.

სახელმწიფოებრივი საკითხებიდან გადავდივარ წინდა კონკრეტული, პრაქტიკული ხასიათის საკითხებზე, რომლებიც ნაწილობრივ დაკავშირებულია პოლიტბიუროს პრაქტიკულ წინადადებასთან, ნაწილობრივ კი იმ შესწორებებთან, რაც შეიძლება აქ ამხანაგმა პრაქტიკოსებმა შემოიტანონ. მე, როგორც პოლიტბიუროს მომხსენებელს, არ მითქვამს და არც შემეძლო მეთქვა, რომ პოლიტბიუროს კონკრეტული პრაქტიკული წინადადებანი ამომწურავია. პირიქით, იმთავითვე შევნიშნე, რომ აქ ხარვეზები შეიძლება იყოს და დამატებანი აუცილებელია. ერთ-ერთ ასეთ დამატებას აყენებს სკრიპნიკი პროფკავშირების შესახებ. ეს დამატება მისაღებია. ამხ. მიქოიანის ზოგიერთ დამატებასაც ვღებულობ. ზოგიერთ ჩამორჩენილ რესპუბლიკასა და ოლქში გამომცემლობის და საზოგადოდ ბეჭდვითი სიტყვის ფონდის შესახებ, მართლაც, საჭიროა შესწორება. ეს საკითხი გამორჩენილა. გამორჩენილა აგრეთვე ზოგიერთი ოლქისა და — კიდევ მეტი — ზოგიერთი რესპუბლიკის სკოლების საკითხი. პირველი საფეხურის სკოლები სახელმწიფო ბიუჯეტში არ არის შეტანილი. ეს მართლაც ხარვეზია, და ასეთი ხარვეზი შეიძლება ძალიან ბევრი იყოს. ამიტომ მე წინადადებას ვაძლევ ამხანაგ პრაქტიკოსებს, რომლებიც მეტს ლაპარაკობდნენ თავისი ორგანიზაციების მდგომარეობაზე და ნაკლებად ცდილობდნენ რაიმე კონკრეტული მოეცათ, იფიქრონ ამაზე და სათანადო კონკრეტული დამატებანი, შესწორებანი და სხვ. წარმოადგინონ ცენტრალური კომიტეტისათვის, რომელიც მათ თავს მოუყრის, სათანადო პუნქტებში შეიტანს და ორგანიზაციებს დაუგზავნის.

არ შემიძლია დუმილით ავუაროო გვერდი გრინკოს ერთ-ერთ წინადადებას, რომელიც იმაზე ლაპარაკობს, რომ საჭიროა შეიქმნას ზოგიერთი შეღავათიანი პირობა, რაც

გააადვილებს ნაკლებ კულტურულ და შეიძლება ნაკლებ პროლეტარულ ეროვნებათა ადგილობრივი ადამიანების შესვლას პარტიაში და მათ დაწინაურებას პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში. ეს წინადადება სწორია და, ჩემი აზრით, მიღებულ უნდა იქნას.

მე ვამთავრებ ჩემს საბოლოო სიტყვას შემდეგი წინადადებით: პროექტი პოლიტბიუროს პლატფორმისა ნაციონალური საკითხის შესახებ მივიღოთ საფუძვლად, ამასთან გავითვალისწინოთ ტროცკის შესწორებაც. წინადადება მიეცეს ცენტრალურ კომიტეტს — კლასიფიკაცია უყოს პრაქტიკული ხასიათის შესწორებებს, რომლებიც უკვე გვაქვს ან შეიძლება შემოვიდეს, და ასახოს ისინი პლატფორმის სათანადო პუნქტებში. წინადადება მიეცეს ცენტრალურ კომიტეტს — ეროი კვირის ვადაში დაბეჭდოს და ორგანიზაციებს დაუგზავნოს პლატფორმის პროექტი, ოქმები, რეზოლუცია, მომხსენებელთა მიერ დატოვებული უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები. მიღებულ იქნას პლატფორმის პროექტი სპეციალური კომისიის შეუქმნელად.

მე არ შევხებივარ ცენტრალურ კომიტეტთან ნაციონალურ საკითხზე კომისიის შექმნის საკითხს. ამხანაგებო, მე რამდენადმე ეჭვი შემაქვს ასეთი ორგანიზაციის შექმნის მიზანშეწონილობაში, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ რესპუბლიკები და ოლქები, უეჭველია, დიდ მუშაკებს ამ საქმისათვის ვერ მოგვცემენ. მე ამაში დარწმუნებული ვარ. მეორეც, ვფიქრობ, რომ საოლქო კომიტეტები და ნაციონალური ცენტრალური კომიტეტები არ დათანხმდებიან მუშაკთა განაწილებისას თავიანთ უფლებათა ნაწილი გადასცენ ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილ კომისიას. ახლა ჩვენ, როცა ძალებს ვანაწილებთ, ჩვეულებრივ საოლქო კომიტეტებს და ნაციონალურ ცენტრალურ კომიტეტებს ვეკითხებით. კომისიის არსებობისას სიმძიმის ცენტრი, ბუნებრივია,

კომისიაში გადმოინაცვლებს. ანალოგია ნაციონალური საკითხის კომისიასა და კოოპერაციის საკითხის თუ გლეხთა შორის მუშაობის საკითხის კომისიებს შორის არ არის. სოფლად მუშაობის კომისია და კოოპერაციის კომისია ჩვეულებრივ ზოგად მითითებებს გამოიმუშავებენ ხოლმე. ნაციონალური საკითხის შესახებ კი საჭიროა არა ზოგადი მითითებანი, არამედ ცალკეული რესპუბლიკებისა და ოლქების მიხედვით კონკრეტული ნაბიჯების დასახვა, რასაც საერთო კომისია ვერ შეძლებს. არა გვგონია რომელიმე კომისიას შეეძლოს შეიმუშაოს და მიიღოს რაიმე გადაწყვეტილებანი, მაგალითად, უკრაინის რესპუბლიკისათვის: უკრაინიდან გამოგზავნილ ორ თუ სამ კაცს არ შეუძლია უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაგიერობა გასწიოს. აი რატომ ვფიქრობ, რომ კომისია რაიმე არსებითს ვერ მოგვცემს. ის ნაბიჯი, რომელიც აქაა დასახული, — ნაციონალური კომიტეტის ძირითად განყოფილებებში ნაციონალების შეყვანა, — ეს ნაბიჯი, ვფიქრობ, ჯერჯერობით სავსებით საკმარისია. თუ ნახევარი წლის შემდეგ განსაკუთრებული წარმატებანი არ გვექნება, მაშინ შეიძლება დაისვას სპეციალური კომისიის შექმნის საკითხი.

ნ. პასუხი გამოსვლებზე

12 ივნისი

რადგან მე თავს დამესხნენ (ს ი ც ი ლ ი), ნება მომეცით პასუხი გავცე «ერთიანი განუყოფელის» გამო. სწორედ სტალინმა, და არა სხვა ვინმემ, დაგმო რეზოლუციაში ნაციონალური საკითხის შესახებ «ერთიანი განუყოფელი» მე-7 პუნქტში. აშკარაა, ლაპარაკია არა «განუყოფელზე», არამედ ფედერაციაზე, მაშინ როცა უკრაინელები თავს გვახვევენ კონფედერაციას. ეს პირველი საკითხი.

მეორე საკითხი ეხება რაკოვსკის. მე ვიმეორებ, მე ეს ერთხელ უკვე ვთქვი, რომ სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობაზე მიღებულ კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ ესა და ეს რესპუბლიკები **«ერთიანდებიან ერთ საკავშირო სახელმწიფოდ»**, — «საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად». უკრაინელებმა ცენტრალურ კომიტეტში თავისი კონტრპროექტი გამოგზავნეს. იქ ნათქვამია: ესა და ეს რესპუბლიკები **«შეადგენენ სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს»**. ამოგდებულია სიტყვები «ერთიანდებიან ერთ საკავშირო სახელმწიფოდ». აქ ამოგდებულია ოთხი სიტყვა. რატომ? განა ეს შემთხვევითია? სადღაა აქ ფედერაცია? კონფედერალიზმის ჩანასახებს რაკოვსკისთან მე კიდევ იმაში ვხედავ, რომ მან I ყრილობის მიერ მიღებული კონსტიტუციის ცნობილ პუნქტში ამოაგდო სიტყვები

პრეზიდიუმზე, როგორც «სესიათაშორის პერიოდში უმაღლესი ძალაუფლების მატარებელზე», და გაყო ძალაუფლება ორი პალატის პრეზიდიუმებს შორის, ე. ი. ფიქციად აქცია საკავშირო ხელისუფლება. რატომ ჩაიდინა მან ეს? იმიტომ, რომ ის საკავშირო სახელმწიფოს იდეის წინააღმდეგია, ნამდვილი საკავშირო ძალაუფლების წინააღმდეგია. ეს მეორე.

მესამეც — უკრაინელების პროექტში საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი კი არ ერთდებიან, არამედ შეერთებული კომისარიატების თანრიგიდან სადირექტივოთა თანრიგში ექცევიან.

ასეთია სამი მოსაზრება, რომელთა გამო რაკოვსკის წინადადებებში მე კონფედერაციის ჩანასახებს ვხედავ. საიდან გამოგდით თქვენ ასეთი განსხვავება კონსტიტუციის ტექსტთან, რომელიც უკრაინის დელეგაციის მიერაა მიღებული? (რ ა კ ო ვ ს კ ი: «იყო XII ყრილობა»).

უკაცრავად. XII ყრილობამ თქვენი შესწორებანი უკუაგდო და მიიღო «რესპუბლიკების გაერთიანება ერთ საკავშირო სახელმწიფოდ».

მე ვხედავ, რომ ზოგიერთ უკრაინელ ამხანაგს რესპუბლიკების კავშირის I ყრილობიდან პარტიის XII ყრილობამდე და ამ თათბირამდე გასულ პერიოდში ერთგვარი ევოლუცია განუცდია ფედერალიზმიდან კონფედერალიზმისაკენ. მე კი ფედერაციის მომხრე ვარ, ე. ი. კონფედერაციის წინააღმდეგი, ე. ი. რაკოვსკისა და სკრიპნიკის წინადადებათა წინააღმდეგი ვარ.

ოქტომბრის რევოლუცია და საშუალო ფენების საკითხი

უეჭველია, საშუალო ფენების საკითხი მუშათა რევოლუციის ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენს. საშუალო ფენები, ე. ი. გლეხობა, ქალაქის წვრილი მშრომელი ხალხი. ამათვე უნდა მივაკუთვნოთ ჩაგრული ეროვნებანი, რომლებიც ცხრა მეათედით საშუალო ფენებისაგან შედგებიან. ესენი არიან, როგორც ხედავთ, სწორედ ის ფენები, რომლებიც თავიანთი ეკონომიური მდგომარეობით პროლეტარიატსა და კაპიტალისტების კლასს შუა დგანან. ამ ფენების ხვედრითი წონა განისაზღვრება ორი გარემოებით: ჯერ ერთი, ეს ფენები შეადგენენ არსებულ სახელმწიფოთა მოსახლეობის უმრავლესობას ან, ყოველ შემთხვევაში, მნიშვნელოვან უმცირესობას; მეორეც, ისინი წარმოადგენენ იმ სერიოზულ რეზერვებს, რომელთა შორისაც აგროვებს თავის არმიას კაპიტალისტების კლასი პროლეტარიატის წინააღმდეგ. პროლეტარიატს არ შეუძლია შეინარჩუნოს ძალაუფლება ისე, თუ მას არ ექნება საშუალო ფენების, უწინარეს ყოვლისა კი გლეხობის, თანაგრძნობა და მხარდაჭერა, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა ჩვენი რესპუბლიკების კავშირი. პროლეტარიატს სერიოზულად ოცნებაც კი არ შეუძლია ძალაუფლების აღებაზე, თუ ეს ფენები ნეიტრალიზებული

მაინც არ არიან, თუ ამ ფენებს ჯერ კიდევ ვერ მოუსწრიათ კაპიტალისტების კლასისაგან ჩამოშორება, თუ ისინი ჯერ კიდევ შეადგენენ თავიანთი მასით კაპიტალის არმიას. აქედან — ბრძოლა საშუალო ფენებისათვის, ბრძოლა გლეხობისათვის, რაც წითელ ზოლადაა გავლებული მთელი ჩვენი რევოლუციის მანძილზე 1905 წლიდან 1917 წლამდე, ბრძოლა, რომელიც ჯერ კიდევ სრულიადაც არ დამთავრებულა და რომელიც კიდევ იწარმოებს მომავალში.

საფრანგეთის 1848 წლის რევოლუცია დამარცხდა, სხვათა შორის, იმიტომ, რომ მან ვერ პოვა თანაგრძნობა და გამოხმაურება ფრანგ გლეხობაში. პარიზის კომუნა დაეცა, სხვათა შორის, იმიტომ, რომ წააწყდა საშუალო ფენების და, უწინარეს ყოვლისა, გლეხობის წინააღმდეგობას. იგივე უნდა ითქვას რუსეთის 1905 წლის რევოლუციის შესახებ.

ევროპის რევოლუციების გამოცდილების მიხედვით, ზოგიერთი ვულგარული მარქსისტი, კაუცკის მეთაურობით, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საშუალო ფენები, და უწინარეს ყოვლისა გლეხობა, წარმოადგენენ მუშათა რევოლუციის თითქმის ბუნებრივ მტრებს, რომ ამის გამო აუცილებელია აღებულ იქნას გეზი განვითარების უფრო ხანგრძლივ პერიოდზე, რის შედეგადაც პროლეტარიატი გადაიქცევა ერების უმრავლესობად, და ამით შეიქმნება რეალური პირობები მუშათა რევოლუციის გასამარჯვებლად. ამ დასკვნის საფუძველზე ისინი, ეს ვულგარული მარქსისტები, აფრთხილებდნენ პროლეტარიატს «ნაადრევი» რევოლუციისაგან. ამ დასკვნის საფუძველზე ისინი «პრინციპული მოსაზრებებით» ტოვებდნენ საშუალო ფენებს კაპიტალის სრულ განკარგულებაში. ამ დასკვნის საფუძველზე ისინი გვიწინასწარმეტყველებდნენ რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის დაღუპვას და მიუთითებდნენ იმაზე, რომ

რუსეთის პროლეტარიატი შეადგენს უმცირესობას, რომ რუსეთი გლეხთა ქვეყანაა და ამის გამო რუსეთში შეუძლებელია ძლევამოსილი მუშათა რევოლუციაო.

დამახასიათებელია, რომ თვით მარქსი საშუალო ფენებს, და უწინარეს ყოვლისა გლეხობას, სრულებით სხვანაირად აფასებდა. იმ დროს, როდესაც ვულგარულმა მარქსისტებმა ხელი ჩაიქნიეს გლეხობაზე, დატოვეს იგი კაპიტალის სრულ პოლიტიკურ განკარგულებაში და დიდი ამბით ყოყოჩობდნენ თავიანთი «პრინციპული სიმტკიცით»,—მარქსი, ეს ყველაზე უფრო პრინციპული მარქსისტი ყველა მარქსისტთა შორის, დაჟინებით ურჩევდა კომუნისტების პარტიას მხედველობიდან არ გამორჩენოდა გლეხობა, გადაეყვანა იგი პროლეტარიატის მხარეზე და მოეპოვებინა მისი მხარდაჭერა მომავალ პროლეტარულ რევოლუციაში. ცნობილია, რომ 50-იან წლებში, საფრანგეთსა და გერმანიაში თებერვლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, მარქსი სწერდა ენგელსს და მისი საშუალებით — გერმანიის კომპარტიას:

«მთელი საქმე გერმანიაში დამოკიდებული იქნება შესაძლებლობაზე — ზურგი გაუმაგრდეს პროლეტარულ რევოლუციას გლეხთა ომის რაიმე მეორე გამოცემით» [79].

ეს იწერებოდა 50-იანი წლების გერმანიის შესახებ, გლეხური ქვეყნის შესახებ, სადაც პროლეტარიატი უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენდა, სადაც პროლეტარიატი ნაკლებად იყო ორგანიზებული, ვიდრე რუსეთში 1917 წელს, სადაც გლეხობა თავისი მდგომარეობით უფრო ნაკლებად იყო განწყობილი პროლეტარული რევოლუციისათვის მხარის დასაჭერად, ვიდრე ამას ჰქონდა ადგილი რუსეთში 1917 წელს.

უეჭველია, ოქტომბრის რევოლუციამ განასახიერა «გლეხთა ომის» ის ბედნიერი შეერთება «პროლეტარულ რევოლუციასთან», რაზედაც წერდა მარქსი წინააღმდეგ

ყველა «პრინციპული» მოლაყბისა. ოქტომბრის რევოლუციამ დაამტკიცა, რომ ასეთი შეერთება შესაძლებელი და განსახორციელებელია. ოქტომბრის რევოლუციამ დაამტკიცა, რომ პროლეტარიატს შეუძლია აიღოს ძალაუფლება და შეინარჩუნოს იგი, თუ ის შეძლებს ჩამოაშოროს საშუალო ფენები, და უწინარეს ყოვლისა გლეხობა, კაპიტალისტების კლასს, თუ ის შეძლებს გადააქციოს ეს ფენები კაპიტალის რეზერვებიდან პროლეტარიატის რეზერვებად.

მოკლედ: ოქტომბრის რევოლუციამ, პირველმა მსოფლიოს ყველა რევოლუციათაგან, პირველ რიგში წამოაყენა საშუალო ფენების, და უწინარეს ყოვლისა მთელი გლეხობის, საკითხი, და ძლევამოსილად გადაჭრა იგი წინააღმდეგ II ინტერნაციონალის გმირების ყველა «თეორიისა» და მოთქმისა.

ესაა ოქტომბრის რევოლუციის პირველი დამსახურება, თუ ამ შემთხვევაში საზოგადოდ შესაძლებელია დამსახურებაზე ლაპარაკი.

მაგრამ საქმე ამით არ შემოფარგლულა. ოქტომბრის რევოლუცია უფრო შორს წავიდა, — იგი შეეცადა შემოეკრიბა პროლეტარიატის ირგვლივ ჩაგრული ეროვნებანი. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ეს უკანასკნელნი ცხრა მეათედით შედგებიან გლეხებისა და ქალაქის წვრილი მშრომელი ხალხისაგან. მაგრამ ამით არ ამოიწურება «ჩაგრული ეროვნების» ცნება. ჩაგრული ეროვნებანი იჩაგრებიან ჩვეულებრივ არა მარტო როგორც გლეხობა და ქალაქის წვრილი მშრომელი ხალხი, არამედ როგორც ეროვნებანიც, ე. ი. როგორც გარკვეული ეროვნების, ენის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების მშრომელნი. ჩაგვრის ორმაგ წნეხს არ შეუძლია არ გაარევოლუციუროს ჩაგრულ ეროვნებათა მშრომელი მასები, არ შეუძლია არ წაუბიძგოს მათ ჩაგვრის ძირითად ძალასთან

ბრძოლისაკენ — კაპიტალთან ბრძოლისაკენ. ეს გარემოება გახდა ის ბაზა, რომლის საფუძველზედაც პროლეტარიატმა მოახერხა განეხორციელებინა «პროლეტარული რევოლუციის» შეერთება არა მარტო «გლეხთა ომთან», არამედ «ნაციონალურ ომთანაც». ყოველივე ამას არ შეეძლო არ გაეფართოებინა პროლეტარული რევოლუციის მოქმედების არე შორს — რუსეთის საზღვრებს იქით, არ შეეძლო უშუალო საფრთხე არ შეექმნა კაპიტალის ყველაზე უფრო ღრმა რეზერვებისათვის. თუ ბრძოლა ამა თუ იმ გაბატონებული ეროვნების საშუალო ფენებისათვის წარმოადგენს ბრძოლას კაპიტალის უახლოესი რეზერვებისათვის, მაშინ ბრძოლა ჩაგრულ ეროვნებათა განთავისუფლებისათვის არ შეიძლებოდა არ გადაქცეულიყო ბრძოლად კაპიტალის ცალკეული, ყველაზე უფრო ღრმა რეზერვების დაპყრობისათვის, ბრძოლად კაპიტალის უღლისაგან კოლონიურ და არასრულუფლებიან ხალხთა განთავისუფლებისათვის. ეს უკანასკნელი ბრძოლა ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის დამთავრებული, — კიდევ მეტი, მან ჯერ კიდევ ვერც კი მოასწრო მოეცა პირველი გადამწყვეტი წარმატებანი. მაგრამ იგი, ეს ბრძოლა ღრმა რეზერვებისათვის, დაიწყო ოქტომბრის რევოლუციის მეოხებით, და იგი, უეჭველია, თანდათან უფრო გაიშლება იმპერიალიზმის განვითარებასთან ერთად, ჩვენი რესპუბლიკების კავშირის ძლიერების ზრდასთან ერთად, დასავლეთში პროლეტარული რევოლუციის განვითარებასთან ერთად.

მოკლედ: ოქტომბრის რევოლუციამ საქმით ჩაუყარა საფუძველი პროლეტარიატის ბრძოლას კაპიტალის ღრმა რეზერვებისათვის, რომლებიც ჩაგრული და არასრულუფლებიანი ქვეყნების ხალხთა მასებისაგან შედგებიან, მან პირველმა აღმართა ამ რეზერვების მიმხრობისათვის ბრძოლის დროშა, — ესაა მისი მეორე დამსახურება.

გლეხობის მიმხრობა ჩვენში სოციალიზმის დროშით მიმდინარეობდა. გლეხობას, რომელმაც მიიღო მიწა პროლეტარიატის ხელიდან, დაამარცხა მემამულეები პროლეტარიატის დახმარებით და ხელისუფლებამდე ამაღლდა პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, არ შეეძლო არ ეგრძნო, არ შეეძლო არ გაეგო, რომ მისი განთავისუფლების პროცესი მიმდინარეობდა და კვლავ წარიმართება პროლეტარიატის დროშით, მისი წითელი დროშით. ამ გარემოებას არ შეეძლო არ გადაეჭცია სოციალიზმის დროშა, რაც წინათ საფრთხობელა იყო გლეხობისათვის, დროშად, რომელიც იპყრობს მის ყურადღებას და აადვილებს მის განთავისუფლებას სიბეჩავისა, სიღატაკისა და ჩაგვრისაგან.

იგივე უნდა ითქვას, მაგრამ კიდევ უფრო მეტად, ჩაგრულ ეროვნებათა შესახებ. ეროვნებათა განთავისუფლებისათვის ბრძოლის ძახილი, გაძლიერებული ისეთი ფაქტებით, როგორიცაა ფინეთის განთავისუფლება, ჯარების გამოყვანა სპარსეთიდან და ჩინეთიდან, რესპუბლიკათა კავშირის შექმნა, აშკარა მორალური დახმარება თურქეთის, ჩინეთის, ინდოსტანის, ეგვიპტის ხალხებისადმი, — ეს ძახილი პირველად გაისმა იმ ადამიანების პირიდან, რომლებმაც გაიმარჯვეს ოქტომბრის რევოლუციაში. არ შეიძლება შემთხვევითი ვუწოდოთ იმ ფაქტს, რომ რუსეთი, რომელიც წინათ ჩაგვრის დროშას წარმოადგენდა ჩაგრულ ეროვნებათა თვალში, ახლა, მას შემდეგ, რაც ის სოციალისტური გახდა, განთავისუფლების დროშად გადაიქცა. შემთხვევითი როდია ისიც, რომ ოქტომბრის რევოლუციის ბელადის, ამხ. ლენინის, სახელი ახლა ყველაზე უფრო საყვარელ სახელს წარმოადგენს კოლონიური და არათანასწორუფლებიანი ქვეყნების დაბეჩავებული და დაჩაგრული გლეხებისა და რევოლუციური ინტელიგენციისათვის.

თუ წინათ ქრისტიანობა რომის უზარმაზარი იმპერიის ჩაგრულ და დაბეჩავებულ მონებს შორის ხსნის იმედად ითვლებოდა, ახლა საქმე იქითკენ მიდის, რომ სოციალიზმს შეუძლია იყოს (და იგი უკვე ხდება!) განთავისუფლების დროშა იმპერიალიზმის უზარმაზარ კოლონიურ სახელმწიფოთა მრავალმილიონიანი მასებისათვის. არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად გააადვილა სოციალიზმის საწინააღმდეგო ცრურწმენებთან ბრძოლის საქმე და გზა გაუხსნა სოციალიზმის იდეებს ჩაგრული ქვეყნების ყველაზე უფრო შორეული კუთხეებისაკენ. თუ წინათ ძნელი იყო სოციალისტისათვის აშკარად გამოჩენილიყო ჩაგრული თუ მჩაგვრელი ქვეყნების არაპროლეტარულ, საშუალო ფენებს შორის, ახლა მას შეუძლია აშკარად გამოვიდეს ამ ფენებში სოციალიზმის იდეების პროპაგანდით და იქონიოს იმედი, რომ მას მოუსმენენ და, ალბათ, კიდევაც დაუჯერებენ, ვინაიდან მას აქვს ისეთი ძლიერი არგუმენტი, როგორიცაა ოქტომბრის რევოლუცია. ესეც ოქტომბრის რევოლუციის შედეგია.

მოკლედ: ოქტომბრის რევოლუციამ გზა გაუკაფა სოციალიზმის იდეებს ყველა ეროვნებისა და ტომის საშუალო, არაპროლეტარული, გლეხური ფენებისაკენ, მან გადააქცია სოციალიზმის დროშა მათთვის პოპულარულ დროშად. ესაა ოქტომბრის რევოლუციის მესამე დამსახურება.

«პრავდა» № 253,
1923 წ. 7 ნოემბერი.

ხელმოწერა: ი. სტალინი.

მუშა და გლეხ ქალთა პირველი ყრილობის ხუთი წლისთავისათვის[80]

ხუთი წლის წინათ ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოსკოვში მოიწვია მუშა და გლეხ ქალთა პირველი სრულიად რუსეთის ყრილობა. ყრილობაზე თავი მოიყარა ათასზე მეტმა დელეგატმა ქალმა, რომლებიც სულ ცოტა ერთ მილიონ მშრომელ ქალს წარმოადგენდნენ. ამ ყრილობამ დასაბამი მისცა ჩვენი პარტიის მუშაობას მშრომელ ქალთა შორის. ამ ყრილობის ფასდაუდებელი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან საფუძველი ჩაუყარა ჩვენი რესპუბლიკის მუშა და გლეხ ქალთა პოლიტიკური განათლების საქმის **ორგანიზაციას.**

ზოგიერთებმა შეიძლება იფიქრონ: ამაში არაფერია განსაკუთრებული, პარტია ყოველთვის მუშაობდა მასების, მათ შორის ქალების, პოლიტიკური განათლებისათვისო, ქალთა პოლიტიკურ განათლებას არ შეიძლება სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდეს, რაკი ჩვენ მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსული დარაზმული კადრები გვყავსო. ეს მსჯელობა სრულიადაც არ არის სწორი. მშრომელ ქალთა პოლიტიკურ განათლებას ახლა, როცა ძალაუფლება მუშებისა

და გლეხების ხელში გადავიდა, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

და აი რატომ.

ჩვენს ქვეყანაში დაახლოებით 140 მილიონი მცხოვრებია, აქედან სულ ცოტა ნახევარი ქალები არიან, უმთავრესად მუშა და გლეხი ქალები, დაბეჩავებულნი, ნაკლებად შეგნებულნი, გონებაბნელნი. თუ ჩვენმა ქვეყანამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი ახალი საბჭოთა ცხოვრების მშენებლობას, განა ცხადი არ არის, რომ ამ ქვეყნის ქალები, რომლებიც მისი მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ, დამამძიმებელი ტვირთი იქნებიან ყოველგვარი წინსვლის დროს, თუ ისინი კვლავაც დაბეჩავებულნი, ნაკლებად შეგნებულნი, გონებაბნელნი დარჩებიან?

მუშა ქალი მუშა მამაკაცის მხარდამხარ დგას. იგი მასთან ერთად აკეთებს ჩვენი მრეწველობის მშენებლობის საერთო საქმეს. მას შეუძლია დაეხმაროს საერთო საქმეს, თუ იგი შეგნებულია, თუ იგი პოლიტიკურად განათლებულია. მაგრამ მას შეუძლია დაღუპოს საერთო საქმე, თუ იგი დაბეჩავებული და გონებაბნელია, რა თქმა უნდა, არა თავისი ბოროტი ნება-სურვილით, არამედ თავისი უმეცრებით.

გლეხი ქალი გლეხი მამაკაცის მხარდამხარ დგას. იგი მასთან ერთად წინ სწევს ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების, მისი წარმატების, მისი აყვავების საერთო საქმეს. მას შეუძლია ამ საქმეში უდიდესი სარგებლობა მოგვიტანოს, თუ იგი თავს დააღწევს სიბნელესა და უმეცრებას. და პირიქით: მას შეუძლია შეაფერხოს მთელი საქმე, თუ იგი კვლავაც უმეცრების ტყვეობაში დარჩება.

მუშა და გლეხი ქალები თავისუფალი მოქალაქენი არიან მუშა და გლეხი მამაკაცების თანაბრად. ისინი ირჩევენ ჩვენს საბჭოებს, ჩვენს კოოპერატივებს, ისინი შეიძ-

ლება არჩეულ იქნან საბჭოებში, კოოპერატივებში. მუშა და გლეხ ქალებს შეუძლიათ გააუმჯობესონ ჩვენი საბჭოები და კოოპერატივები, განამტკიცონ და განავითარონ ისინი, თუ პოლიტიკურად განათლებულნი არიან. მუშა და გლეხ ქალებს შეუძლიათ შეასუსტონ და შეარყიონ ისინი, თუ გონებაბნელნი და უმეცარნი არიან.

ბოლოს, მუშა და გლეხი ქალები არიან დედები, ჩვენი ახალგაზრდობის — ჩვენი ქვეყნის მომავლის აღმზრდელნი. მათ შეუძლიათ დაასახიჩრონ ბავშვის სული, ან მოგვცენ სულით ჯანსაღი ახალგაზრდობა, რომელსაც შეეძლება წინ წასწიოს ჩვენი ქვეყანა, იმის მიხედვით, თანაუგრძნობს ქალი-დედა საბჭოთა წყობილებას თუ იგი კუდში მისჩანჩალებს ხუცესს, კულაკს, ბურჟუაზიას.

აი რატომ არის, რომ მუშა და გლეხ ქალთა პოლიტიკური განათლების საქმე ახლა, როცა მუშებმა და გლეხებმა ხელი მოჰკიდეს ახალი ცხოვრების მშენებლობას, — პირველხარისხოვანი საქმეა, ბურჟუაზიაზე ნამდვილად გამარჯვების უმნიშვნელოვანესი საქმეა.

აი რატომ არის, რომ მუშა და გლეხ ქალთა პირველ ყრილობას, რომელმაც დასაბამი მისცა მშრომელ ქალთა პოლიტიკური განათლების საქმის დაყენებას, მართლაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს.

ხუთი წლის წინათ, მუშა და გლეხ ქალთა პირველ ყრილობაზე, პარტიის მორიგი ამოცანა ის იყო, რომ ჩაება ახალი საბჭოთა ცხოვრების მშენებლობის საერთო მუშაობაში ასეულათასობით **მუშა ქალი.** ამასთან, პირველ რიგებში იდგნენ სამრეწველო რაიონების მუშა ქალები, როგორც მშრომელ ქალთა ყველაზე უფრო მოძრავი და შეგნებული ელემენტები. უნდა ვაღიაროთ, რომ ხუთი წლის განმავლობაში ამ მხრივ ცოტა როდია გაკეთებული, თუმცა ბევრი რამ კიდევ გასაკეთებელი რჩება.

ახლა პარტიის მორიგი ამოცანა ის არის, რომ ჩააბას ჩვენი საბჭოთა ცხოვრების მოწყობის საერთო მუშაობაში მილიონობით **გლეხი ქალი.** ხუთი წლის მუშაობამ უკვე წამოსწია გლეხ ქალთა რიგებიდან მთელი რიგი ხელმძღვანელები. იმედი ვიქონიოთ, რომ ხელმძღვანელ გლეხ ქალთა რიგები ახალი შეგნებული გლეხი ქალებით შეივსებიან. იმედი ვიქონიოთ, რომ პარტია ამ ამოცანასაც გაართმევს თავს.

1923 წ. 10 ნოემბერი

ჟურნალი «კომმუნისტკა» № 11,
1923 წ. ნოემბერი.

ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

სიტყვა საზეიმო სხდომაზე სამხედრო აკადემიაში

1923 წ. 17 ნოემბერი

(მოკლე საგაზეთო ანგარიში)

ჩვენი წითელი კავალერიის ოთხი წლისთავის დღესასწაულზე გამოვიდა ცხენოსანი არმიის დამაარსებელი და მისი საპატიო წითელარმიელი ამხანაგი **სტალინი.**

ამხანაგი **სტალინი** აღნიშნავს, რომ ცხენოსანი ჯარის ძირითადი ბირთვის, როგორც მომავალი ცხენოსანი არმიის ჩანასახის, შექმნის მომენტში, მისი სულის-ჩამდგმელნი წააწყდნენ ხელმძღვანელი სამხედრო წრეებისა და სამხედრო სპეციალისტების აზრს, რომლებიც უარყოფდნენ საერთოდ ცხენოსანი ჯარის შექმნის საჭიროებას.

ცხენოსანი არმიის ისტორიის ყველაზე დამახასიათებელი ფურცელი ის არის, რომ 1919 წლის ზაფხულში კავალერია ჩვენში გადაიქცა ცხენოსანი ჯარის მასის შეერთებად ტყვიამფრქვევთა მასასთან. განთქმული «ტაჩანკა» ამ შეერთების მაჩვენებელია.

რაც უნდა დიდი იყოს ჩვენი ცხენოსანი ჯარი, თუ იგი თავის მოქმედებაში ვერ შეძლებს შეაერთოს ცხენის ძალა ტყვიამფრქვევისა და არტილერიის ძალასთან, იგი სერიოზული ძალა აღარ იქნება.

ფრიად სასახელო ფურცელი ჩაიწერა ცხენოსანი არმიის ისტორიაში 1919 წლის მიწურულს, როცა მოწინააღ-

მდეგის დაახლოებით 22 პოლკი დაამარცხა ჩვენი ცხენოსანი ჯარის 12 პოლკმა ვორონეჟის მისადგომებზე. ამ მომენტიდან დაიწყო ცხენოსანი კორპუსის ფაქტიური გადაქცევა ცხენოსან არმიად.

ამ პერიოდის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ამ სტადიაზე შეიძინა კიდევ ერთი ახალი თვისება, რომელმაც მას გამარჯვება მოუპოვა დენიკინის ცხენოსან ჯარზე, სახელდობრ: მან შეიერთა ზოგიერთი ქვეითი ნაწილი, რომლებიც მას ჩვეულებრივ გადაჰყავდა ფორნებით და რომლებსაც იყენებდა, როგორც საფარს მოწინააღმდეგისაგან, რათა საფარქვეშ სული მოეთქვა, ძალ-ღონე მოეკრიბა და კვლავ დაერტყა მოწინააღმდეგისათვის. ეს არის ცხენოსანი ჯარის შეერთება ქვეით ჯართან, როგორც დამხმარე ძალასთან. ამ შეერთებამ, ამ კიდევ ერთმა ახალმა თვისებამ, ჩვენი ცხენოსანი ჯარი გადააქცია სერიოზულ სამანევრო ძალად, რომელიც თავზარს სცემდა მოწინააღმდეგეს.

— ამხანაგებო, — დაამთავრა თავისი სიტყვა ამხანაგმა **სტალინმა**, — მე არა ვარ ისეთი კაცი, რომელსაც ადვილად გაიტაცებს რამე, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ თუ ეს ახალი თვისებანი შევუნარჩუნეთ ჩვენს ცხენოსან არმიას, ჩვენი ცხენოსანი ჯარი და მისი წინამძღოლი ამხანაგი ბუდიონი უძლეველი იქნებიან.

«იზვესტია» № 265,
1923 წ. 20 ნოემბერი.

პარტიის ამოცანების შესახებ

მოხსენება რკპ(ბ) კრასნაია პრესნიას რაიონული კომიტეტის გაფართოებულ კრებაზე ჯგუფთა ორგანიზატორებთან, სადისკუსიო კლუბისა და უჯრედთა ბიუროების წევრებთან ერთად

1923 წ. 2 დეკემბერი

ამხანაგებო! უწინარეს ყოვლისა, უნდა ვთქვა, რომ აქ შომხსენებლად გამოვდივარ ჩემი სახელით და არა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით. თუ კრებას ნებავს მოისმინოს ასეთი მოხსენება, — მე მზად ვარ სამსახურისათვის. (ხ მ ე ბ ი: «გთხოვთ»). ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს მე ამ საკითხის გამო რაიმე უთანხმოება მქონდეს ცენტრალურ კომიტეტთან, — სრულიადაც არა. მე ჩემი სახელით მხოლოდ იმიტომ გამოვდივარ, რომ შინაპარტიული მდგომარეობის გამაუმჯობესებელ ღონისძიებათა შესამუშავებლად ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოყოფილმა კომისიამ [81] ამ დღეებში უნდა წარუდგინოს ცენტრალურ კომიტეტს თავისი მუშაობის შედეგები; ეს შედეგები ჯერ კიდევ არ არის წარმოდგენილი, და ამიტომ მე ჯერჯერობით არა მაქვს ფორმალური უფლება ცენტრალური კომიტეტის სახელით გამოვიდე, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ის, რასაც მე ახლა თქვენ მოგახსენებთ, ძირითადად გამოხატავს ცენტრალური კომიტეტის პოზიციას ამ საკითხების გამო.

დისკუსია პარტიის ძლიერების ნიშანია

პირველი საკითხი, რომელიც აქ მინდა დავსვა, — ეს არის საკითხი, თუ რა აზრი აქვს პრესასა და უჯრედებში მიმდინარე დისკუსიას. რას მოწმობს ეს დისკუსია და რას მოასწავებს იგი? ხომ არ არის ეს ქარიშხალი, რომელიც პარტიის მყუდრო ცხოვრებაში შემოჭრილა, ხომ არ არის ეს დისკუსია პარტიის რღვევის, მისი დაშლის ნიშანი, როგორც ამბობენ ერთნი, ან პარტიის გადაგვარების ნიშანი, როგორც ამბობენ მეორენი.

მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ არ არის არც ერთი, არც მეორე: არც გადაგვარება, არც რღვევა. საქმე ისაა, რომ პარტია უკანასკნელ პერიოდში გაიზარდა, იგი საკმაოდ გაიწმინდა ზედმეტი ბალასტისაგან, იგი უფრო პროლეტარული გახდა. მოგეხსენებათ, რომ ორი წლის წინათ ჩვენ გვყავდა პარტიის სულ ცოტა 700 000 წევრი, მოგეხსენებათ, რომ პარტიიდან გავიდა ან გაძევებულ იქნა პარტიის რამდენიმე ათასი წევრი. შემდეგ, ამ ხნის განმავლობაში პარტია თავისი შემადგენლობის მხრივ გაუმჯობესდა და ხარისხობრივად ამაღლდა მრეწველობის აღმავლობასთან დაკავშირებით მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების გამო, სოფლებიდან ძველი კვალიფიციური მუშების დაბრუნების გამო, მრეწველობის მუშების კულტურული აღმავლობის ახალი ტალღის გამო.

ერთი სიტყვით, ყველა ამ პირობების გამო პარტია გაიზარდა, ხარისხობრივად უფრო ამაღლდა, მისი მოთხოვნილებანი გაიზარდნენ, იგი უფრო მომთხოვნი გახდა, მას სურს უფრო მეტი იცოდეს, ვიდრე აქამდე იცოდა, და სურს უფრო მეტი გადაწყვიტოს ხოლმე, ვიდრე აქამდე წყვეტდა.

დაწყებული დისკუსია პარტიის სისუსტის ნიშანი კი არაა, არც, მით უფრო, მისი რღვევის თუ გადაგვარების

ნიშანი, არამედ ძლიერების ნიშანია, სიმტკიცის ნიშანი, პარტიის ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების ნიშანი, მისი აქტივობის ზრდის ნიშანი.

დისკუსიის მიზეზები

მეორე საკითხი, რომელიც ჩვენს წინაშე დგება, არის საკითხი, თუ რატომ სწორედ ამ პერიოდში, სახელდობრ ამა წლის შემოდგომაზე, მიიღო მწვავე ხასიათი შინაპარტიული პოლიტიკის საკითხმა? რით უნდა აიხსნას ეს? სადაა მიზეზები? ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს ორ მიზეზთან.

პირველი მიზეზია ხელფასთან დაკავშირებით მღელვარებისა და გაფიცვების ტალღა, რაც მოედო რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონს ამა წლის აგვისტოში. საქმე ის არის, რომ გაფიცვების ამ ტალღამ გამოააშკარავა ჩვენი ორგანიზაციების ნაკლოვანებანი, ზოგიერთი ჩვენი ორგანიზაციის — როგორც პარტიულის, ისე პროფკავშირულის — მოწყვეტილობა საწარმოთა ამბებისაგან, რომ გაფიცვების ამ ტალღასთან დაკავშირებით გამოაშკარავდა ჩვენი პარტიის შიგნით ზოგიერთი არალეგალური, არსებითად ანტიკომუნისტური, ორგანიზაციების არსებობა, რომლებიც ცდილობენ დაშალონ პარტია. და აი ყველა ეს ნაკლი, რაც გაფიცვათა ტალღასთან დაკავშირებით გამოაშკარავდა, ისე ელვარედ, ისეთ გამაფხიზლებელ სხივად ეცა პარტიას, რომ მან იგრძნო შინაპარტიულ ცვლილებათა აუცილებლობა.

მეორე მიზეზი, რამაც შინაპარტიული პოლიტიკის საკითხი სწორედ ამ მომენტში გაამწვავა, იყო ის მასობრივი შვებულებანი, რაც ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა დაუშვეს. ეს შვებულებანი, რა თქმა უნდა, სავსებით გასაგებია, მაგრამ თავიანთი მასობრივი ხასიათის გამო მათ ის გა-

მოიწვიეს, რომ პარტიული ცხოვრების ტემპი მნიშვნელოვნად შენელებული აღმოჩნდა სწორედ მაშინ, როცა ქარხნებში მღელვარება დაიწყო, რამაც მეტად გააადვილა დაგროვილ ნაკლოვანებათა გამოაშკარავება სწორედ ამ პერიოდში, ამა წლის შემოდგომაზე.

შინაპარტიული ცხოვრების ნაკლოვანებანი

მე ვილაპარაკე ჩვენი პარტიული ცხოვრების ნაკლოვანებებზე, რაც ამა წლის შემოდგომაზე გამოაშკარავდა და რამაც შინაპარტიული ცხოვრების გაუმჯობესების საკითხი დააყენა. რაში მდგომარეობს შინაპარტიული ცხოვრების ეს ნაკლოვანებები? იმაში ხომ არა, რომ პარტიის ხაზი სწორი არ იყო, როგორც ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, ან იმაში ხომ არა, რომ პარტიის ხაზი სწორი იყო, მაგრამ პრაქტიკულად იგი სცილდებოდა სწორ ხაზს, მახინჯდებოდა გარკვეული სუბიექტური და ობიექტური პირობების გამო?

ვფიქრობ, ჩვენი შინაპარტიული ცხოვრების ძირითადი ნაკლი სწორედ ის არის, რომ პარტიის სწორი საზის დროს, რამაც თავისი გამოხატულება პოვა ჩვენი ყრილობების დადგენილებებში, პრაქტიკა ადგილებზე (ყველგან კი არა, რა თქმა უნდა, არამედ ზოგიერთ რაიონში) სწორი არ იყო. ჩვენი პარტიის სწორი პროლეტარულ-დემოკრატიული ხაზის დროს პრაქტიკამ ადგილებზე მოგვცა ამ ხაზის ბიუროკრატიული დამახინჯების ფაქტები.

ესაა ძირითადი ნაკლი. ყრილობების (X, XI, XII) მიერ დასახულ ძირითად პარტიულ ხაზსა და ამ ხაზის გატარებისას ადგილებზე ჩვენი ორგანიზაციების პრაქტიკას შორის წინააღმდეგობათა არსებობა, — აი შინაპარტიული ცხოვრების ყველა ნაკლის საფუძველი.

პარტიული ხაზი ამბობს, რომ ჩვენი პარტიული პრაქტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები, რა თქმა უნდა, იმ

საკითხების გამოკლებით, რომლებიც ვერ ითმენენ გადადებას, ან რომლებიც სამხედრო და დიპლომატიურ საიდუმლოებას შეადგენენ, აუცილებლად უნდა განიხილებოდეს პარტიულ კრებებზე. ასე ამბობს პარტიული ხაზი. პარტიული პრაქტიკა კი ადგილებზე, თუმცა არა ყველგან, რა თქმა უნდა, თვლიდა — მაინცდამაინც არც თუ ისე აუცილებელია, რომ შინაპარტიული პრაქტიკის მთელი რიგი საკითხები განიხილებოდეს პარტიულ კრებებზე, ვინაიდან ცენტრალური კომიტეტი და სხვა ხელმძღვანელი ორგანიზაციები ამ საკითხებს თვითონ გადაწყვეტენო.

პარტიული ხაზი ამბობს, რომ ჩვენი პარტიის თანამდებობის პირნი აუცილებლად უნდა ირჩეოდნენ, რამდენადაც არ არსებობს დაუძლეველი დაბრკოლებანი, როგორიცაა პარტიული სტაჟი და სხვ. მოგეხსენებათ, რომ პარტიის წესდებით გუბკომის მდივნისათვის საჭიროა ოქტომბრამდელი სტაჟი, მაზრკომის მდივნისათვის — სამი წლის, ხოლო უჯრედის მდივნისათვის — ერთი წლის სტაჟი. მაგრამ პარტიული პრაქტიკა ზოგჯერ თვლიდა, რომ თუ საჭიროა სტაჟი, მაშასადამე, საჭირო არ არის ნამდვილი არჩევნებიო.

პარტიული ხაზი თვლის, რომ საჭიროა პარტიული მასა ვიყოლიოთ სამეურნეო ორგანოების, საწარმოებისა და ტრესტების მუშაობის კურსში, ვინაიდან ჩვენს პარტიულ უჯრედებს, ბუნებრივია, აწევთ მორალური პასუხისმგებლობა უპარტიო მასების წინაშე საწარმოებში არსებულ ნაკლოვანებათათვის. მიუხედავად ამისა, პარტიული პრაქტიკა თვლიდა, რომ რაკი არის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც დირექტივებს აძლევს სამეურნეო ორგანოებს, და რაკი სამეურნეო ორგანოებს აკისრიათ ამ დირექტივების განხორციელება, დირექტივები გატარ-

დება პარტიული მასების მხრივ ქვემოდან კონტროლის გაუწევლადაცო.

პარტიული ხაზი თვლის, რომ მუშაობის სხვადასხვა დარგის პასუხისმგებელი მუშაკები, სულ ერთია, ვინ არიან ისინი — პარტიულნი, სამეურნეო მუშაკები, პროფესიონალისტები თუ სამხედრო მუშაკები, მთელი თავისი სპეციალიზაციის მიუხედავად, რომელსაც ისინი თავის საკუთარ სამუშაოზე იღებენ, მაინც დაკავშირებული არიან ერთმანეთთან, წარმოადგენენ ერთი მთელის განუყრელ ნაწილებს, ვინაიდან ისინი ყველანი მუშაობენ პროლეტარიატის ერთი საქმისათვის, რომელიც არ შეიძლება ნაწილებად დაკუწო. პარტიული პრაქტიკა კი თვლის, რომ რაკი არის მუშაობის სპეციალიზაცია, შრომის განაწილება საკუთრივ პარტიულ, სამეურნეო, სამხედრო და სხვა სამუშაოდ, პარტიული მუშაკები პასუხს არ აგებენ სამეურნეო მუშაკებისათვის, სამეურნეო მუშაკები პასუხს არ აგებენ პარტიული მუშაკებისათვის, და მათ შორის საზოგადოდ კავშირურთიერთობის შესუსტება და დაკარგვაც კი გარდუვალიაო.

ასეთია, ამხანაგებო, ზოგადად, წინააღმდეგობანი პარტიულ ხაზსა, რომელიც აღბეჭდილია ჩვენი ყრილობების მთელ რიგ გადაწყვეტილებებში, დაწყებული X ყრილობით და გათავებული XII ყრილობით, და პარტიულ პრაქტიკას შორის.

მე შორსა ვარ იმისაგან, რომ ბრალი დავდო ადგილობრივ ორგანიზაციებს პარტიული ხაზის ამ დამახინჯებისათვის, ვინაიდან, თუ გავერკვევით, აქ იმდენად ბრალი კი არ არის, არამედ უბედურებაა ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციებისა. რაში მდგომარეობს ეს უბედურება და როგორ შეიძლებოდა საქმე ასე შეტრიალებულიყო, — ამაზე ქვემოთ ვიტყვი, მაგრამ მე მინდოდა აღმენიშნა ეს

ფაქტი, რათა ამეხსნა ეს წინააღმდეგობა და შემდეგ ვცდილიყავ წარმომედგინა გაუმჯობესების ღონისძიებანი.

მე ასევე შორსა ვარ იმისაგან, რომ ჩვენი ცენტრალური კომიტეტი უცოდველად მივიჩნიო. მასაც აქვს ცოდვები, როგორც ყოველ სხვა დაწესებულებას და ორგანიზაციას, — და აქაც არის ერთგვარი ბრალი და ერთგვარი უბედურება, ერთგვარი ბრალი თუნდაც იმაში, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა, ამა თუ იმ მიზეზის გამო, დროზე ვერ გამოააშკარავა ეს ნაკლოვანებანი და ვერ მიიღო ღონისძიებანი მათ აღმოსაფხვრელად.

მაგრამ საკითხი ახლა ეს როდია. საქმე ახლა ის არის, რომ გავერკვეთ ამ ნაკლოვანებათა მიზეზებში, რომელთა შესახებაც მე ეს-ეს არის ვილაპარაკე. მართლაც, საიდან გაჩნდა ეს ნაკლოვანებანი და როგორ უნდა აღმოვფხვრათ ისინი?

ნაკლოვანებათა მიზეზები

პირველი მიზეზი ის არის, რომ ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს ჯერ არ აღმოუფხვრიათ ან ჯერ კიდევ მთლიანად არ აღმოუფხვრიათ სამხედრო პერიოდის ზოგიერთი გადმონაშთი, — განვლილი პერიოდისა, მაგრამ ისეთი პერიოდისა, რომელმაც ჩვენი მუშაკების შეგნებაში დატოვა სამხედრო სისტემის გადმონაშთები პარტიაში. ვფიქრობ, რომ ამ გადმონაშთების გამოხატულებაა ის შეხედულება პარტიაზე, რომლის მიხედვითაც პარტია წარმოადგენს პროლეტარიატის არა თვითმოქმედ ორგანიზმს, არა თვითმოქმედ მებრძოლ ორგანიზაციას, არამედ დაწესებულებათა სისტემის მსგავს რამეს, მთელ რიგ დაწესებულებათა კომპლექსის მსგავს რამეს, სადაც არიან დაბალი მოსამსახურენი და უმაღლესი მოსამსახურენი. ეს, ამხანაგებო, დიდად მცდარი შეხედულებაა, რომელსაც

საერთო არა აქვს რა მარქსიზმთან, — შეხედულება, რომელიც გადმოგვეცა როგორც იმ დროის გადმონაშთი, როცა ჩვენ მოვახდინეთ პარტიის მილიტარიზაცია სამხედრო პერიოდის დროს, როცა პარტიული მასების თვითმოქმედების საკითხი ძალაუნებურად უკანა რიგში მოექცა და როცა საბრძოლო ბრძანებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ. მე არ მახსოვს, რომ ეს შეხედულება როდისმე დამთავრებულად ყოფილიყოს გამოთქმული, მაგრამ ეს შეხედულება ან ამ შეხედულების ელემენტები ისევ ამძიმებენ ჩვენს მუშაობას. ამხანაგებო, ამ შეხედულებებს ჩვენ მთელი ძალღონით უნდა ვებრძოლოთ, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ერთ ყველაზე რეალურ საფრთხეთაგანს, რომლებიც ხელსაყრელ პირობებს ქმნიან იმისათვის, რომ ჩვენი პარტიის არსებითად სწორი ხაზი პრაქტიკულად დამახინჯდეს.

მეორე მიზეზი ის არის, რომ ჩვენი სახელმწიფო აპარატი, საგრძნობლად ბიუროკრატიული, ერთგვარ ზეგავლენას ახდენს პარტიასა და პარტიულ მუშაკებზე. 1917 წელს, როცა ჩვენ აღმა, ოქტომბრისაკენ მივდიოდით, საქმე ისე გვქონდა წარმოდგენილი, რომ ჩვენ კომუნა გვექნებოდა, რომ ეს იქნებოდა მშრომელთა ასოციაცია, რომ ბოლოს მოვუღებდით ბიუროკრატიზმს დაწესებულებებში, და რომ შესაძლებელი გახდებოდა — სახელმწიფო, თუ უახლოეს პერიოდში არა, ორ-სამ ხანმოკლე პერიოდში მაინც, მშრომელთა ასოციაციად გადაგვექცია. მაგრამ პრაქტიკამ ცხადყო, რომ ეს არის იდეალი, რომლისგანაც ჯერ კიდევ შორსა ვართ, რომ, ბიუროკრატიზმის ელემენტებისაგან სახელმწიფო რომ გავათავისუფლოთ, საბჭოთა საზოგადოება მშრომელთა ასოციაციად რომ გადავაქციოთ, ამისათვის საჭიროა მოსახლეობის მაღალი კულტურულობა, საჭიროა ირგვლივ სავსებით უზრუნველყოფილი მშვიდობიანი ვითა-

რება, რათა აუცილებელი არ იყოს ჯარების დიდი კადრების არსებობა, რაც დიდ სახსრებს და ვეება უწყებებს მოითხოვს, რომლებიც თავისი არსებობით ბეჭედს ასვამენ ყველა სხვა სახელმწიფო დაწესებულებას. ჩვენი სახელმწიფო აპარატი საგრძნობლად ბიუროკრატიულია, და იგი კიდევ დიდხანს დარჩება ასეთი. ამ აპარატში მუშაობენ ჩვენი პარტიული ამხანაგები, და აქ ამ ბიუროკრატიული აპარატის ვითარება, — მე ვიტყოდი, ატმოსფერო, — ისეთია, რომ იგი აადვილებს ჩვენი პარტიული მუშაკების, ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ბიუროკრატიზაციის საქმეს.

ნაკლოვანებათა მესამე მიზეზი, ამხანაგებო, არის ზოგიერთი ჩვენი უჯრედის არასაკმაო აქტივობა, ჩამორჩენილობა და ზოგჯერ წერა-კითხვის სრული უცოდინარობაც კი, განსაკუთრებით განაპირა მხარეებში. უჯრედები ამ რაიონებში ნაკლებად აქტიური, პოლიტიკურად და კულტურულად ჩამორჩენილი არიან. ეს გარემოებაც, უეჭველია, ქმნის ხელსაყრელ ვითარებას პარტიული ხაზის დამახინჯებისათვის.

მეოთხე მიზეზია ადგილობრივ პარტიულად მომზადებული ამხანაგების საკმაო რაოდენობის უყოლობა. ამ ცოტა ხნის წინათ მე მოვისმინე უკრაინის ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის მოხსენება ცენტრალურ კომიტეტში. მოხსენებას აკეთებდა ძალიან ნიჭიერი, დიდი იმედების მომცემი ამხანაგი. ის ამბობდა, რომ 130 უჯრედიდან 80 უჯრედს ჰყავს გუბკომის მიერ დანიშნული მდივნები. შენიშვნაზე, რომ ეს ორგანიზაცია ამ შემთხვევაში არასწორად იქცევაო, ეს ამხანაგი მიზეზად იმას ასახელებდა, რომ მცოდნე პირები უჯრედებში არ არიან, პარტიული სტაჟი მათ არა აქვთ, უჯრედები თვითონ გვთხოვენ, მდივნები მოგვეცითო, და სხვ. მე შესაძლებლად მიმაჩნია, რომ ამ ამხანაგმა 50 პროცენტით გადაამლაშა,

რომ აქ, ნამდვილად რომ ითქვას, საქმე მარტო ის როდია, რომ უჯრედებში მომზადებული პირები არ მოიპოვებიან, არამედ ისიც, რომ გუბკომმა, ძველი ტრადიციით, წრეგადასული გულმოდგინება გამოიჩინა. მაგრამ თუ გუბკომი მართალია 50 პროცენტით, განა ცხადი არ არის, რომ თუ ასეთი უჯრედები მოიპოვებიან უკრაინაში, მით უფრო უნდა იყვნენ ისინი განაპირა მხარეებში, სადაც ორგანიზაციები ნორჩია, სადაც პარტიული კადრები ნაკლებად არიან და წერა-კითხვის მცოდნეობა ნაკლებია, ვიდრე უკრაინაში? ესეც ერთ-ერთი მიზეზია, რომელიც ქმნის ხელსაყრელ პირობებს იმისათვის, რომ ჩვენი, არსებითად სწორი, პარტიული ხაზი პრაქტიკულად მახინჯდებოდეს.

ბოლოს, მეხუთე მიზეზია ინფორმაციის სისუსტე. ცუდად ვიძლევით ინფორმაციას, — ცენტრალური კომიტეტი უწინარეს ყოვლისა, იქნებ, იმიტომ, რომ იგი ძალზე დატვირთულია მუშაობით. ცუდად გვაწვდიან ინფორმაციას ადგილებიდან. ამას ბოლო უნდა მოეღოს. ესეც ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია იმისა, რომ ჩვენ პარტიის შიგნით ნაკლოვანებანი დაგვიგროვდა.

როგორ აღმოვფხვრათ შინაპარტიული ცხოვრების ნაკლოვანებანი?

როგორი უნდა იყოს ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებანი?

პირველი საქმეა ყოველნაირად და დაუღალავად ვიბრძოლოთ ჩვენს პარტიაში სამხედრო პერიოდის გადმონაშთებისა და ჩვევების წინააღმდეგ, იმ არასწორი შეხედულების წინააღმდეგ, თითქოს ჩვენი პარტია დაწესებულებათა სისტემას წარმოადგენდეს და არა პროლეტარიატის მებრძოლ, აქტიურად მოაზროვნე, თვითმოქმედ ორგანიზაციას, რომელიც ცოცხალი ცხოვრებით ცხოვრობს, ანგრევს ძველს და ქმნის ახალს.

მეორეც, საჭიროა ავამაღლოთ პარტიული მასების აქტივობა, რისთვისაც მათ წინაშე უნდა დავაყენოთ განსახილველად ყველა, მათთვის საინტერესო, საკითხი, რამდენადაც ამ საკითხების საჯაროდ განხილვა შესაძლებელია; უნდა უზრუნველვყოთ პარტიული ინსტანციების ყველა და ყოველგვარ განზრახულობათა თავისუფალი კრიტიკის შესაძლებლობა. ვინაიდან მხოლოდ ამ გზით შევძლებთ გადავაქციოთ პარტიული დისციპლინა ნამდვილად შეგნებულ, ნამდვილად რკინისებურ დისციპლინად, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ავამაღლოთ პარტიული მასების პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული გამოცდილება, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით შევძლებთ მოვამზადოთ იმის აუცილებელი პირობები, რომ პარტიული მასები თანდათან აწინაურებდნენ ახალ აქტიურ მუშაკებს, ახალ ხელმძღვანელებს ქვედაფენებიდან.

მესამეც, საჭიროა ნამდვილად გატარდეს ყველა პარტიული ორგანიზაციისა და თანამდებობის პირის არჩევითობა, თუ არ არსებობს დაუძლეველი პირობები, როგორიცაა პარტიული სტაჟის უქონლობა და სხვ. უნდა განვდევნოთ პრაქტიკიდან პასუხსაგებ პარტიულ თანამდებობაზე ამხანაგების წამოყენების დროს ორგანიზაციათა უმრავლესობის ნების უგულებელყოფა, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ არჩევითი საწყისი ნამდვილად ტარდებოდეს.

მეოთხეც, საჭიროა, რათა ცენტრალურ კომიტეტთან, საგუბერნიო და საოლქო კომიტეტებთან არსებობდეს მუშაობის ყველა დარგის პასუხისმგებელ მუშაკთა — სამეურნეო მუშაკთა, პარტიულ მუშაკთა, პროფესიონალისტთა, სამხედროთა მუდმივ მოქმედი თათბირები; რათა თათბირები რეგულარულად ეწყობოდეს, რათა თათბირზე ისმებო-

დეს ის საკითხები, რომელთა დასმასაც იგი საჭიროდ მიიჩნევს; რათა კავშირი ყველა გვარეობის იარაღის მუშაკთა შორის არ შეწყდეს, რათა ყველა ეს მუშაკნი თავს გრძნობდნენ ერთი პარტიული ოჯახის წევრებად, რომლებიც მუშაობენ ერთი, ყველასათვის საერთო საქმისათვის, პროლეტარიატის საქმისათვის, რაც განუყოფელია; რათა ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ, ისევე როგორც ადგილობრივი ორგანიზაციების ირგვლივ, არსებობდეს ისეთი ვითარება, რომელიც შესაძლებლობას აძლევს პარტიას მიიღოს და შეამოწმოს ჩვენი პასუხისმგებელი მუშაკების მუშაობის გამოცდილება მუშაობის ყველა დარგში.

მეხუთეც, საჭიროა ჩავაბათ ჩვენი საწარმოო პარტიული უჯრედები იმ საკითხების რკალში, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოებსა და ტრესტებში საქმის მსვლელობასთან. საჭიროა საქმე ისე დავაყენოთ, რომ უჯრედები ჩვენს საწარმოთა და გაერთიანებათა მმართველი ორგანოების მუშაობის კურსში იყვნენ, რომ მათ შეეძლოთ გავლენა იქონიონ ამ მუშაობაზე. თქვენ იცით, როგორც უჯრედების წარმომადგენლებმა, თუ რაოდენ დიდია უპარტიო მასების წინაშე ჩვენი საწარმოო უჯრედების მორალური პასუხისმგებლობა საწარმოების საქმის მსვლელობისათვის. უჯრედს რომ შეეძლოს უხელმძღვანელოს ქარხნის პარტიულ მასას და გაიყოლიოს იგი, მას რომ შეეძლოს იკისროს პასუხისმგებლობა საწარმოს საქმის მსვლელობისათვის, — მას კი საწარმოს მუშაობის ხარვეზებისათვის მორალური პასუხისმგებლობა უეჭველად აწევს უპარტიო მასების წინაშე, — იგი ამ საქმეების კურსში უნდა იყოს, მას შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ასე თუ ისე გავლენა მოახდინოს ამ საქმეებზე. ამიტომ საჭიროა, რომ უჯრედები ჩავაბათ საწარმოსთან დაკავშირებული სამეურნეო საკითხების განხილვაში, რომ დროდადრო

იკრიბებოდნენ ტრესტის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა უჯრედების წარმომადგენელთა სამეურნეო კონფერენციები იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც დაკავშირებულია ტრესტის საქმეებთან. ეს ერთ-ერთი უტყუარი გზაა, რომელიც საჭიროა როგორც პარტიული მასების სამეურნეო გამოცდილების გასამდიდრებლად, ისე ქვემოდან კონტროლის მოსაწყობადაც.

მეექვსეც, უნდა ავამაღლოთ ჩვენი პარტიული უჯრედების ხარისხობრივი შემადგენლობა. ზინოვიევის სტატიაში უკვე იყო ნათქვამი, რომ აქა-იქ ჩვენი პარტიული უჯრედები ხარისხობრივად ჩამორჩნენ გარემომცველ უპარტიო მასას.

ეს მტკიცება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება განვაზოგადოთ და ყველა უჯრედზე გავავრცელოთ. უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, მაგალითად, ასე: ჩვენი პარტიული უჯრედები კულტურულად გაცილებით უფრო მაღლა იდგებოდნენ, ვიდრე ახლა დგანან, და გაცილებით მეტი ავტორიტეტით იქნებოდნენ მოსილნი უპარტიოთა შორის, ამ უჯრედებს ჩვენ რომ არ ვაცარიელებდეთ, ამ უჯრედებიდან ჩვენ რომ არ მიგვყავდეს ადამიანები, რომლებიც იძულებული ვართ სამეურნეო, ადმინისტრაციულ, პროფესიულ და ყოველგვარ სხვა სამუშაოზე დავაყენოთ. ყველა ჩვენი ამხანაგი მუშა, კადრები, რომლებიც ამ ექვსი წლის განმავლობაში უჯრედებიდან წამოვიყვანეთ, თავის უჯრედებს რომ დაუბრუნდნენ, განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ეს უჯრედები ბევრად უფრო მაღლა იდგებოდნენ უპარტიო, თუნდაც ძალიან განვითარებულ, მუშებზე? სწორედ იმიტომ, რომ პარტიას სხვა კადრები არა ჰყავს სახელმწიფო აპარატის გასაუმჯობესებლად, სწორედ იმიტომ, რომ პარტია იძულებულია შემდეგშიც გამოიყენოს ეს წყარო, — სწორედ ამიტომ ჩვენი უჯრედები შემდეგშიც

რამდენადმე იკოჭლებენ თავისი კულტურული დონის მხრივ, თუ არ მივიღეთ სასწრაფო ზომები მათი ხარისხობრივი შემადგენლობის გასაუმჯობესებლად. საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, მაქსიმალურად გავაძლიეროთ პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობა უჯრედებში. გარდა ამისა, აუცილებელია უკუვაგდოთ ზედმეტი ფორმალიზმი, რასაც ზოგჯერ იჩენენ ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციები პარტიის წევრებად მუშათა წრიდან ამხანაგების მიღებისას. ვფიქრობ, რომ ფორმალიზმმა არ უნდა გაგვიტაცოს; პარტიას შეუძლია და მან კიდეც უნდა შეამსუბუქოს მუშათა კლასის რიგებიდან პარტიაში ახალ წევრთა მიღების პირობები. ეს საქმე უკვე დაწყებულია ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ. პარტიამ თავის ხელში უნდა აიღოს ეს საქმე და გაშალოს ორგანიზებული კამპანია იმისათვის, რომ გააადვილოს დაზგის მუშების წრიდან პარტიაში ახალი წევრების შემოსვლა.

მეშვიდეც, უნდა გავაძლიეროთ მუშაობა უპარტიო მუშებს შორის. ესეც ერთ-ერთი საშუალებაა, რომელსაც შეუძლია გააუმჯობესოს შინაპარტიული მდგომარეობა, შეუძლია აამაღლოს პარტიული მასების აქტივობა. უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ორგანიზაციები ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ჩვენს საბჭოთა ორგანოებში უპარტიო მუშების მოზიდვის საქმეს. ავიღოთ თუნდაც მოსკოვის საბჭოს არჩევნები, რაც ახლა მიმდინარეობს. მე მიმაჩნია, რომ ამ არჩევნების ერთ-ერთი დიდი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოში უპარტიო მუშები ცოტანი გადიან. ამბობენ, რომ არის ორგანიზაციის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც გაყვანილ უნდა იქნას ამდენი და ამდენი უპარტიო მაინც, ამდენი და ამდენი პროცენტი და სხვ. მაგრამ ვხედავ, რომ სინამდვილეში ისინი გაცილებით ნაკლები რაოდენობით გადიან. ამბობენ, თითქოს მასები

ისწრაფვიან და მოწადინებული არიან მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტები აირჩიონ. ამაში მე ეჭვი მეპარება, ამხანაგებო. ვფიქრობ, რომ თუ ჩვენ ერთგვარ მინიმალურ ნდობას არ გამოვიჩენთ უპარტიოებისადმი, პასუხად შეიძლება მივიღოთ დიდი უნდობლობა ჩვენი ორგანიზაციებისადმი უპარტიოების მხრივ. ეს ნდობა უპარტიოებისადმი აბსოლუტურად აუცილებელია, ამხანაგებო. საჭიროა ვაიძულოთ კომუნისტები — მოხსნან ხოლმე თავისი კანდიდატურები. საჭირო არ არის წარმოვთქვათ სიტყვები იმაზე, რომ მხოლოდ კომუნისტები აირჩიონ, საჭიროა წავახალისოთ უპარტიონი, საჭიროა ჩავაბათ ისინი სახელმწიფოებრივ მუშაობაში. ჩვენ სამაგიეროდ მივიღებთ პლუსებს, სამაგიეროდ მივიღებთ უპარტიოთა საპასუხო ნდობას ჩვენი ორგანიზაციებისადმი. არჩევნები მოსკოვში ერთ-ერთი ნიმუშია იმისა, თუ რამდენად იწყებენ ჩვენი ორგანიზაციები თავის პარტიულ ნაჭუჭში ჩაკეტვას, ნაცვლად იმისა, რომ გააფართოონ თავისი მოქმედების არე, თანდათან დარაზმონ უპარტიონი თავის გარშემო.

მერვეც, უნდა გავაძლიეროთ მუშაობა გლეხთა შორის. მე არ ვიცი, რატომ არ შეიძლებოდა ჩვენი სოფლის უჯრედებისათვის, რომლებიც ალაგ-ალაგ ჩიავდებიან, საიდანაც ადამიანები ზოგჯერ გარბიან, და რომლებიც დიდი ნდობით ვერ სარგებლობენ გლეხობაში (ეს უნდა ვაღიაროთ), — რატომ არ შეიძლებოდა ამ უჯრედებისათვის დაგვესვა, მაგალითად, ორი პრაქტიკული ამოცანა: ჯერ ერთი, იყვნენ გლეხთა ყოფაცხოვრებასთან დაკავშირებული საბჭოთა კანონების განმმარტებელნი და გამავრცელებელნი და, მეორეც, იყვნენ აგიტატორები და გამავრცელებელნი ელემენტარული აგრონომიული ცოდნისა თუნდაც იმის შესახებ, რომ საჭიროა მინდორი დროზე მოიხნას, საჭიროა თესლი გაიწმინდოს და სხვა. იცით თუ არა,

ამხანაგებო, რომ თუ თვითეული გლეხი გადაწყვეტს სულ მცირედი შრომა მოანდომოს თესლის გაწმენდას, შეგვიძლია ყოველგვარი მელიორაციის გაუტარებლად და ახალი მანქანების გამოუყენებლად მივაღწიოთ მოსავლიანობის გადიდებას 10 ფუთით დესეტინაზე? ხოლო რას ნიშნავს მოსავლის მატება 10 ფუთით დესეტინაზე? ეს ნიშნავს საერთო მოსავალში წლიურად მილიარდი ფუთის მატებას. და ყოველივე ამის მიღწევა შეიძლებოდა დიდი შრომის გაუწევლად. რატომ არ შეიძლება, რომ ამ საქმეებს ხელი შეჰკიდონ ჩვენმა სოფლის უჯრედებმა? განა ეს ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ლაპარაკი კერზონის პოლიტიკაზე? გლეხი მაშინ მიხვდებოდა, რომ კომუნისტებმა თავი გაანებეს ლაქლაქს, რომ მათ ხელი მიჰყვეს საქმეს, და მაშინ ჩვენი სოფლის უჯრედები გლეხთა შორის უდიდესი ნდობით აღიჭურვებოდნენ.

მე უკვე არ ვეხები იმას, თუ რაოდენ საჭიროა პარტიული ცხოვრების გასაუმჯობესებლად და გასაცხოველებლად პარტიულ-აღმზრდელობითი და პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერება ახალგაზრდობაში, რომელიც ახალ კადრებს იძლევა, წითელ არმიაში, დელეგატ-ქალთა შორის და საერთოდ ყველა უპარტიოთა შორის.

სიტყვას არ გავაგრძელებ აგრეთვე იმაზე, თუ რაოდენ საჭიროა ჩვენთვის ინფორმაციის გაძლიერება, რაზედაც უკვე ვილაპარაკე, — ინფორმაციის გაძლიერება ზევიდან ქვემოთ და ქვევიდან ზემოთ.

ასეთია, ამხანაგებო, გაუმჯობესების ის ღონისძიებანი, შინაპარტიული დემოკრატიის ის კურსი, რომელიც დასახა ცენტრალურმა კომიტეტმა ჯერ კიდევ ამა წლის სექტემბერში და რომელიც უნდა გავატაროთ ცხოვრებაში ქვევიდან ზემომდე.

ახლა მე მინდა შევჩერდე ორ უკიდურესობაზე, ორ გატაცებაზე მუშათა დემოკრატიის საკითხების გამო, რაც დაისახა «პრავდაში» მოთავსებულ ზოგიერთ სადისკუსიო სტატიაში.

პირველი უკიდურესობა ეხება არჩევითობას. ეს უკიდურესობა იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი ამხანაგი ცდილობს გატარდეს არჩევითობა «ბოლომდე». რაკი არჩევითობაა, მაშ აირჩიე როგორც გნებავს! პარტიული სტაჟი? რა საჭიროა? აირჩიე, ვინც მოგეპრიანება. ეს შეხედულება, ამხანაგებო, შემცდარია. მას პარტია არ მიიღებს. რა თქმა უნდა, ჩვენ ახლა ომი არა გვაქვს, ჩვენ მშვიდობიანი განვითარების პერიოდს განვიცდით. მაგრამ ჩვენ გვაქვს ახალი ეკონომიური პოლიტიკა. ეს არ დაივიწყოთ, ამხანაგებო. არა ომის დროს, არამედ ომის შემდეგ მოახდინა პარტიამ წმენდა. რატომ? იმიტომ, რომ ომის დროს დამარცხების შიში რაზმავდა პარტიას ერთ მთელად, და პარტიის შიგნით არსებული ზოგიერთი მრღვევი ელემენტი იძულებული იყო გაჰყოლოდა საერთო ხაზს პარტიაში, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის წინაშე იდგა. ახლა ეს სალტეები ჩვენ არა გვაქვს, ვინაიდან ომი არ არის, ახლა ჩვენ ახალი ეკონომიური პოლიტიკა გვაქვს, ჩვენ დავუშვით კაპიტალიზმი, აღორძინებაშია ბურჟუაზია. მართალია, ყოველივე ეს იწვევს პარტიის გაწმენდას, მის განმტკიცებას, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ გარშემო გვეკვრის ახალი ატმოსფერო ჩასახული და მზარდი ბურჟუაზიისა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ისე ძლიერი, მაგრამ რომელმაც უკვე შეძლო დაემარცხებინა ზოგიერთი ჩვენი კოოპერატივი და სავაჭრო ორგანო შინავაჭრობის საქმეში. სწორედ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემდეგ დაიწყო პარტიამ წმენდა და ნახევარ შემადგენლობამდე დაიყვანა პარტიის წევრთა რაოდენობა; სწო-

რედ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემდეგ გადაწყვიტა პარტიამ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გავლენისაგან ჩვენი ორგანიზაციების დასაცავად საჭიროა, მაგალითად, გავუძნელოთ არაპროლეტარულ ელემენტებს პარტიაში შემოსვლა, საჭიროა დაწესდეს პარტიული სტაჟი თანამდებობის პირთათვის პარტიაში და ა. შ. სწორად მოიქცა თუ არა პარტია, ეს გამაფრთხილებელი ზომები რომ მიიღო, რომლებიც ზღუდავენ «გაშლილ» დემოკრატიას? ვფიქრობ, რომ სწორად მოიქცა. აი რატომ მგონია, რომ დემოკრატია საჭიროა, არჩევითობა აუცილებელია, მაგრამ XI და XII ყრილობათა მიერ მიღებული შემზღუდავი ზომებიც, ძირითადნი მაინც, ჯერ ისევ ძალაში უნდა დარჩეს.

მეორე უკიდურესობა ეხება დისკუსიის საზღვრების საკითხს. ეს უკიდურესობა იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი ამხანაგი ეტანება შეუზღუდავ დისკუსიას, საკითხების განხილვაში ხედავს პარტიული მუშაობის თავსა და ბოლოს და ივიწყებს პარტიული მუშაობის მეორე მხარეს, სახელდობრ — მის ქმედით მხარეს, რომელიც მოითხოვს პარტიის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში **გატარებას**. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე რაძინის სტატიამ, სადაც იგი ცდილობს შეუზღუდავი დისკუსიის პრინციპი დაასაბუთოს ტროცკის დამოწმებით, რომელსაც ვითომ ეთქვას, რომ «პარტია თანამოაზრეთა ნებაყოფლობითი კავშირიაო». ტროცკის შრომებში მე ვეძებე ეს ფრაზა, მაგრამ ვერ ვიპოვე. საეჭვოცაა, რომ ტროცკის ეს ეთქვას, როგორც პარტიის განსაზღვრის დამთავრებული ფორმულა, ხოლო თუ ეს მან თქვა, არა მგონია, რომ მას აქ დაესვას წერტილი. პარტია არ არის მარტოოდენ თანამოაზრეთა კავშირი, იგი, გარდა ამისა, არის თანამოქმედთა კავშირი, მებრ-

ძოლი კავშირი თანამოქმედთა, რომლებიც საერთო იდეური ბაზის (პროგრამა, ტაქტიკა) საფუძველზე იბრძვიან. ტროცკის დამოწმება მე არასწორად მიმაჩნია, ვინაიდან მე ვიცნობ ტროცკის, როგორც ცენტრალური კომიტეტის ერთ იმ წევრთაგანს, რომლებიც ყველაზე მეტად უსვამენ ხაზს პარტიული მუშაობის ქმედით მხარეს. ამიტომ ვფიქრობ, რომ რაძინის განსაზღვრისათვის თვითონ რაძინსვე უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა. მაგრამ საით მივყავართ მას, ამ განსაზღვრას? ორიდან ერთ-ერთ შესაძლებლობამდე: **ან** პარტია გადაგვარდება სექტად, ფილოსოფიურ სკოლად, ვინაიდან მხოლოდ ასეთ ვიწრო ორგანიზაციებშია შესაძლებელი სრული თანამოაზრეობა, **ან** იგი იქცევა განუწყვეტელ სადისკუსიო კლუბად, რომელიც მუდამ განიხილავს და მუდამ მსჯელობს, თვით ფრაქციების წარმოშობამდე, თვით პარტიის გათიშვამდე. არც ერთი ეს შესაძლებლობა არ შეიძლება მიღებულ იქნას ჩვენი პარტიის მიერ. აი რატომ მგონია, რომ საკითხების განხილვა აუცილებელია, დისკუსია საჭიროა, მაგრამ საჭიროა დისკუსიის ფარგლებიც, რომლებიც დაიცავენ პარტიას, პროლეტარიატის ამ მებრძოლ რაზმს, სადისკუსიო კლუბად გადაგვარებისაგან.

ვამთავრებ რა ჩემს მოხსენებას, უნდა გაგაფრთხილოთ, ამხანაგებო, ამ ორი უკიდურესობისაგან. ვფიქრობ, რომ თუ უკუვაგდებთ ორივე ამ უკიდურესობას და პატიოსნად და გადაჭრით შევუდგებით შინაპარტიული დემოკრატიის იმ კურსის განხორციელებას, რომელიც დასახა ცენტრალურმა კომიტეტმა ჯერ კიდევ ამა წლის სექტემბერში, ჩვენ უეჭველად მივაღწევთ გაუმჯობესებას ჩვენს პარტიულ მუშაობაში. (ტ ა შ ი).

«პრავდა» № 277,
1923 წ. 6 დეკემბერი.

დისკუსიისა, რაფაილისა, პრეობრაჟენსკის და საპრონოვის სტატიებისა და ტროცკის წერილის შესახებ

დისკუსიის შესახებ

დისკუსია შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ, რაც რამდენიმე კვირის წინათ დაიწყო, როგორც ეტყობა, დასასრულს უახლოვდება, თუ მხედველობაში ვიქონიებთ მოსკოვსა და პეტროგრადს. პეტროგრადმა, როგორც ცნობილია, მხარი დაუჭირა პარტიის ხაზს. მოსკოვის ძირითადმა რაიონებმა აგრეთვე მხარი დაუჭირეს ცენტრალური კომიტეტის ხაზს. მოსკოვის ორგანიზაციის აქტიურ მუშაკთა 11 დეკემბრის საერთო-საქალაქო კრებამ სავსებით მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური ხაზი. საფუძველი არ არის ეჭვი შევიტანოთ, რომ მოსკოვის ორგანიზაციის მომავალი საერთო-პარტიული კონფერენცია თავისი რაიონების გზით წავა. ოპოზიცია, რომელიც წარმოადგენს «მემარცხენე» კომუნისტების ნაწილის (პრეობრაჟენსკი, სტუკოვი, პიატაკოვი და სხვ.) ბლოკს ეგრეთწოდებულ დემოკრატიულ ცენტრალისტებთან (რაფაილი, საპრონოვი და სხვ.), გადათელილი აღმოჩნდა.

საინტერესოა დისკუსიის მსვლელობა და ის გარდაქმნანი, რაც ოპოზიციამ დისკუსიის პერიოდის განმავლობაში განიცადა.

ოპოზიციამ იმით დაიწყო, რომ მოითხოვა, — არც მეტი, არც ნაკლები, — გადასინჯული ყოფილიყო პარტიის ძირითადი ხაზი, რაც ტარდებოდა შინაპარტიულ მშენებლობასა და შინაპარტიულ პოლიტიკაში ორი უკანასკნელი წლის, ახალი ეკონომიური პოლიტიკის მთელი პერიოდის მანძილზე. მოითხოვდა რა სავსებით გატარებულიყო X ყრილობის რეზოლუცია შინაპარტიული დემოკრატიის შესახებ, ოპოზიცია ამასთან ერთად დაჟინებით მოითხოვდა — გაუქმებულიყო ის შეზღუდვანი (დაჯგუფებათა აკრძალვა, პარტსტაჟი და სხვ.), რომლებიც მიიღეს პარტიის X, XI და XII ყრილობებმა. მაგრამ ოპოზიცია ამაზე არ შეჩერებულა. ოპოზიცია ამტკიცებდა, პარტია არსებითად არმიული ტიპის ორგანიზაციად გადაიქცა, ხოლო პარტიული დისციპლინა — სამხედრო დისციპლინადო, და მოითხოვდა მთელი პარტიული აპარატის შემადგენლობის თავიდან ბოლომდე შებერტყვას, პოსტებიდან ძირითადი მუშაკების მოხსნას და სხვ. მაგარი სიტყვები და ლანძღვა-გინება ცენტრალური კომიტეტის მისამართით, რა თქმა უნდა, ცოტა როდი იყო. «პრავდა» სავსე იყო ვრცელი თუ პატარა სტატიებით, რომლებიც ცენტრალურ კომიტეტს ყველა მომაკვდინებელ ცოდვას აბრალებდნენ. ისღა აკლდათ, რომ მისთვის იაპონიის მიწისძვრა დაედოთ ბრალად.

მთლიანად ცენტრალური კომიტეტი ამ პერიოდის მანძილზე არ ერეოდა «პრავდის» ფურცლებზე წარმოებულ დისკუსიაში და პარტიის წევრებს კრიტიკის სრულ თავისუფლებას აძლევდა. ის საჭიროდაც კი არ თვლიდა გაებათილებინა უაზრო ბრალდებანი, რომლებსაც კრიტიკოსები ხშირად აყენებდნენ, ვინაიდან ფიქრობდა, რომ პარტიის წევრები საკმაოდ შეგნებული არიან, რათა დამოუკიდებლად გადაწყვიტონ განსახილველი საკითხები.

ეს იყო დისკუსიის, ასე ვთქვათ, პირველი პერიოდი.

შემდეგში, როცა მაგარი სიტყვები მომაბეზრებელი გახდა, როცა ლანძღვა-გინება აღარ მოქმედებდა და პარტიის წევრებმა მოითხოვეს საკითხის საქმიანი განხილვა,— დადგა დისკუსიის მეორე პერიოდი. იგი დაიწყო პარტმშენებლობის შესახებ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის რეზოლუციის გამოქვეყნებით [82]. ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის [83] დადგენილების საფუძველზე, რომელმაც მოიწონა შინაპარტიული დემოკრატიის კურსი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა შეიმუშავეს ცნობილი რეზოლუცია, რომელმაც დასახა შინაპარტიული დემოკრატიის გატარების პირობები. ამ აქტით შეიქმნა შემობრუნება დისკუსიის მსვლელობაში. ახლა უკვე არ შეიძლებოდა ზოგადი კრიტიკით დაკმაყოფილება. ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული გეგმა ოპოზიციისაგან მოითხოვდა ან მიეღო ეს გეგმა, ან წარმოედგინა შინაპარტიული დემოკრატიის გატარების სხვა, პარალელური, ასევე კონკრეტული გეგმა. და აი აქ აღმოჩნდა, რომ ოპოზიციას არ ძალუძს დაუპირისპიროს ცენტრალური კომიტეტის გეგმას თავისი საკუთარი გეგმა, რომელიც დააკმაყოფილებდა პარტიული ორგანიზაციების მოთხოვნებს. დაიწყო ოპოზიციის უკანდახევა. ოპოზიციის არსენალიდან გაქრა მოთხოვნა — გაუქმებულიყო პარტიის ძირითადი ხაზი, რაც ტარდებოდა შინაპარტიულ მშენებლობაში ორი უკანასკნელი წლის მანძილზე. დაჭკნა და გახუნდა ოპოზიციის მოთხოვნა დემოკრატიის იმ შეზღუდვათა გაუქმებისა, რაც პარტიის X, XI და XII ყრილობებმა მიიღეს. უკანა რიგში დასწიეს და შეარბილეს პარტიული აპარატის

თავიდან ბოლომდე შებერტყვის მოთხოვნა. ოპოზიციამ საჭიროდ მიიჩნია ყველა ეს მოთხოვნა შეეცვალა წინადადებებით, რომ აუცილებელია «ზუსტად ჩამოყალიბდეს ფრაქციების საკითხი», «ჩატარდეს ყველა იმ პარტორგანოს გადარჩევა, რომლებიც წინათ დანიშნული იყვნენ», «გაუქმდეს დანიშვნა, როგორც სისტემა» და სხვ. დამახასიათებელია, რომ ოპოზიციის ეს, ბევრად შერბილებული, მოთხოვნებიც კი ჩააფლავეს კრასნაია პრესნიას და ზამოსკვორეჩიეს ორგანიზაციებმა, რომლებიც ხმის უდიდესი უმრავლესობით მიესალმნენ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის რეზოლუციას.

ეს იყო დისკუსიის, ასე ვთქვათ, მეორე პერიოდი.

ახლა ჩვენ მესამე პერიოდში შევედით. ამ პერიოდის დამახასიათებელი ნიშანია ოპოზიციის შემდგომი უკანდახევა, — მე ვიტყოდი: უწესრიგო უკანდახევა. ოპოზიციის გახუნებული და ბევრად შერბილებული მოთხოვნებიც კი გამოვარდა ამჯერად მისი რეზოლუციიდან. პრეობრაჟენსკის უკანასკნელი რეზოლუცია (მგონი, ანგარიშით მესამე), რომელიც წარედგინა მოსკოვის ორგანიზაციის აქტიურ მუშაკთა კრებას (1 000-ზე მეტ კაცს), ამბობს:

«მხოლოდ პოლიტბიუროს რეზოლუციების სწრაფ, ერთსულოვან და გულწრფელ გატარებას, კერძოდ შინაპარტიული აპარატის განახლებას გადარჩევის გზით, შეუძლია უზრუნველყოს ჩვენი პარტიისათვის ახალ კურსზე გადასვლა შერყევებისა და შინაგანი ბრძოლის განუცდელად და გააძლიეროს მისი რიგების ნამდვილი დარაზმულობა და ერთიანობა».

არ შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ კრებამ ოპოზიციის ეს სრულიად უვნებელი წინადადებაც კი უარყო. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ კრებამ ხმის უდიდესი უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია «ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული ხაზის მოწონების» შესახებ.

რაფაილის შესახებ

ვფიქრობ, რომ რაფაილი ახლანდელი ოპოზიციის, ან, უფრო ზუსტად რომ ითქვას, ოპოზიციის ახლანდელი ბლოკის ყველაზე თანმიმდევარი და დასრულებული წარმომადგენელია. ერთ-ერთ სადისკუსიო კრებაზე რაფაილმა განაცხადა, რომ ჩვენი პარტია არსებითად გადაიქცა არმიულ ორგანიზაციად, რომ დისციპლინა მასში არმიულია და რომ ამის გამო საჭიროა პარტიის მთელი აპარატი შეიბერტყოს თავიდან ბოლომდე, როგორც უვარგისი და ნამდვილი პარტიულობის სულისკვეთებისათვის უცხოო. მგონია, რომ ეს, ან მაგგვარი აზრები უტრიალებთ თავში ახლანდელ ოპოზიციონერებს, მაგრამ ისინი სხვადასხვა მოსაზრებით ვერ ბედავენ მათ გამოთქმას. უნდა ვაღიაროთ, რომ რაფაილი ამ მხრივ უფრო გაბედული აღმოჩნდა, ვიდრე მისი კოლეგები ოპოზიციიდან.

და მაინც რაფაილი ოდნავადაც არ არის მართალი. ის არ არის მართალი არა მარტო ფორმალურად, არამედ, უწინარეს ყოვლისა, არსებითად. ვინაიდან ჩვენი პარტია მართლაც რომ გადაქცეულიყო ან თუნდაც დაწყებულიყო მისი გადაქცევა არმიულ ორგანიზაციად, განა ცხადი არ არის, რომ ჩვენ მაშინ არც პარტია გვეყოლებოდა, ამ სიტყვის საკუთარი აზრით, არც პროლეტარიატის დიქტატურა გვექნებოდა, არც რევოლუცია.

რა არის არმია?

არმია არის კარჩაკეტილი ორგანიზაცია, რომელიც ზემოდან შენდება. არმიის არსება გულისხმობს, რომ არმიის სათავეში დგას შტაბი, რომელიც ზემოდან არის დანიშნული და იძულების საფუძველზე ადგენს არმიას. შტაბი არა მარტო ადგენს არმიას, — ის კიდეც ამარაგებს მას, აცმევს და სხვ. არმიის მთელი შემადგენლობა მატერიალურად სავსებით დამოკიდებულია შტაბისაგან. სხვათა

შორის, ამას ემყარება ის არმიული დისციპლინა, რომლის დარღვევა იწვევს სასჯელის უმაღლესი ღონისძიების სპეციფიკურ ფორმას — დახვრეტას. ამითვე უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ შტაბს შეუძლია დაძრას არმია საითაც ნებავს და როდესაც ნებავს, მხოლოდ თავისი საკუთარი სტრატეგიული გეგმების შესაბამისად.

რა არის პარტია?

პარტია არის პროლეტარიატის მოწინავე რაზმი, რომელიც ქვემოდან შენდება ნებაყოფლობის საფუძველზე. პარტიასაც ჰყავს თავისი შტაბი, მაგრამ მას ზემოდან კი არ ნიშნავენ, არამედ ქვემოდან ირჩევს მთელი პარტია. შტაბი კი არ ადგენს პარტიას, არამედ, პირიქით, პარტია ადგენს თავის შტაბს. პარტია სდგება თვითონ, ნებაყოფლობის საფუძველზე. აქ არ არის აგრეთვე ის მატერიალური დამოკიდებულება პარტიის შტაბსა და მთლიანად აღებულ პარტიას შორის, რაზედაც ზემოთ არმიის მიმართ იყო ლაპარაკი. პარტიის შტაბი არ ამარაგებს პარტიას, არ კვებავს და არ მოსავს მას. ამით, სხვათა შორის, აიხსნება ის ფაქტი, რომ პარტიის შტაბს არ შეუძლია დაძრას პარტიის რიგები თვითნებურად, საითაც ნებავს და როდესაც ნებავს, რომ პარტიის შტაბს შეუძლია უხელმძღვანელოს პარტიას მთლიანად მხოლოდ იმ კლასის ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების ხაზით, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს თვითონ პარტია. აქედან წარმოდგება განსაკუთრებული ხასიათი პარტიული დისციპლინისა, რომელიც ძირითადად დარწმუნების მეთოდის ხაზით შენდება, არმიული დისციპლინისაგან განსხვავებით, რომელიც ძირითადად იძულების მეთოდის ხაზით შენდება. აქედან წარმოსდგება ძირითადი განსხვავება პარტიაში სასჯელის უმაღლეს ღონისძიებასა (პარტიიდან გარიცხვა) და არმიაში სასჯელის უმაღლეს ღონისძიებას (დახვრეტა) შორის.

საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ ეს ორი განსაზღვრა, რომ გავიგოთ რაფაილის შეცდომის მთელი საოცრება.

პარტია, — ამბობს ის, — არმიულ ორგანიზაციად იქცაო. მაგრამ როგორ შეიძლება გადააქციოთ პარტია არმიულ ორგანიზაციად, თუ ის მატერიალურად თავისი შტაბისაგან არ არის დამოკიდებული, თუ ის ქვემოდან შენდება ნებაყოფლობის საფუძველზე, თუ ის თვითონ ადგენს თავის შტაბს? რით უნდა აიხსნას, ასეთ შემთხვევაში, მუშების მოზღვავება პარტიაში, მისი გავლენის ზრდა უპარტიო მასებში, მისი პოპულარობა მთელი მსოფლიოს მშრომელ ფენებში?

ორში ერთი:

ან პარტია უაღრესად პასიურია და უტყვი, — მაგრამ მაშინ რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ასეთი პასიური და უტყვი პარტია მიუძღვება მსოფლიოში ყველაზე რევოლუციურ პროლეტარიატს და აი უკვე რამდენიმე წელია მართავს მსოფლიოში ყველაზე რევოლუციურ ქვეყანას?

ან პარტია აქტიური და თვითმოქმედია, — მაგრამ მაშინ გაუგებარია, რატომ არ დაამხო ასეთმა აქტიურმა და თვითმოქმედმა პარტიამ ამ ხნის განმავლობაში სამხედრო რეჟიმი პარტიაში, თუ ასეთი რეჟიმი მართლაც არსებობს თვით პარტიის წიაღში?

განა ცხადი არ არის, რომ ჩვენი პარტია, რომელმაც მოახდინა სამი რევოლუცია, გაანადგურა კოლჩაკი და დენიკინი და რომელიც ახლა არყევს მსოფლიო იმპერიალიზმის საფუძვლებს, — რომ ეს პარტია ერთ კვირასაც კი ვერ მოითმენდა იმ სამხედრო რეჟიმსა და მბრძანებლობის წყობილებას, რაზედაც ასე იოლად და ასე ანგარიშმიუცემლად ლაპარაკობს რაფაილი, რომ ის არ დაუცდიდა რაფაილის მოწოდებას, ერთბაშად დაანგრევდა მათ და დაამყარებდა ახალ რეჟიმს?

მაგრამ როგორც ჭუხს, ისე არა წვიმს. ჯერ ერთი, საქმე ის არის, რომ რაფაილმა პარტია აურია არმიაში და არმია პარტიაში, ვინაიდან იგი, აშკარაა, ხეირიანად არც პარტიას იცნობს და არც არმიას. მეორეც, საქმე ის არის, რომ რაფაილს, ეტყობა, თვითონაც არა სჯერა თავისი აღმოჩენა, — მას «საშინელი» სიტყვები, თითქოს პარტიაში მბრძანებლობის წყობილება სუფევდეს, იმისათვის სჭირდება, რომ დაასაბუთოს ახლანდელი ოპოზიციის ძირითადი ლოზუნგები: ა) ფრაქციულ დაჯგუფებათა თავისუფლების შესახებ და ბ) პარტიის ხელმძღვანელი ელემენტების თავიდან ბოლომდე პოსტებიდან მოხსნის შესახებ.

რაფაილი, ეტყობა, გრძნობს, რომ თუ «საშინელი» სიტყვები არა, ისე ამ ლოზუნგებს ვერ გაათრევ.

ამაშია საქმის მთელი არსი.

პრეობრაჟენსკის სტატიის შესახებ

შინაპარტიული ცხოვრების ნაკლოვანებათა ძირითად მიზეზად პრეობრაჟენსკის მიაჩნია პარტიულ მშენებლობაში პარტიის ძირითადი ხაზის უსწორობა. პრეობრაჟენსკი ამტკიცებს, რომ «პარტია აი უკვე ორი წელია ძირითადად არასწორ ხაზს ატარებს თავის შინაპარტიულ პოლიტიკაში», რომ «პარტიის ძირითადი ხაზი შინაპარტიულ მშენებლობასა და შინაპარტიულ პოლიტიკაში ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდის მანძილზე» არასწორი აღმოჩნდაო.

რაში მდგომარეობს პარტიის ძირითადი ხაზი ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდის მანძილზე? პარტიამ თავის X ყრილობაზე მიიღო რეზოლუცია მუშათა დემოკრატიის შესახებ. სწორად მოიქცა თუ არა პარტია, ასეთი რეზოლუცია რომ მიიღო? პრეობრაჟენსკი ფიქრობს, რომ

პარტია სწორად მოიქცა. პარტიამ იმავე X ყრილობაზე მიიღო დემოკრატიის ფრიად სერიოზული შეზღუდვა, დაჯგუფებათა აკრძალვის სახით. სწორად მოიქცა თუ არა პარტია, ასეთი შეზღუდვა რომ მიიღო? პრეობრაჟენსკი ფიქრობს, რომ პარტია არასწორად მოიქცა, ვინაიდან ასეთი შეზღუდვა, მისი აზრით, ბოჭავს დამოუკიდებელ პარტიულ აზრს. პარტიამ XI ყრილობაზე მიიღო დემოკრატიის ახალი შეზღუდვანი, გარკვეული პარტიული სტაჟის და სხვ. სახით. პარტიის XII ყრილობამ მხოლოდ დაადასტურა ეს შეზღუდვანი. სწორად მოიქცა თუ არა პარტია, ეს შეზღუდვები რომ მიიღო, როგორც გარანტია ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში წვრილბურჟუაზიული ტენდენციების წინააღმდეგ? პრეობრაჟენსკი ფიქრობს, რომ პარტია არასწორად მოიქცა, ვინაიდან ამ შეზღუდვებმა, მისი აზრით, შებოჭეს პარტიული ორგანიზაციების თვითმოქმედება. დასკვნა ნათელია: პრეობრაჟენსკი წინადადებას იძლევა გავაუქმოთ პარტიის ძირითადი ხაზი ამ დარგში, მიღებული პარტიის X და XI ყრილობების მიერ ახალი ეკონომიური პოლიტიკის ვითარებაში.

მაგრამ პარტიის X და XI ყრილობებმა ამხ. ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით ჩაიარა. რეზოლუცია დაჯგუფებათა აკრძალვის შესახებ (რეზოლუცია ერთიანობის შესახებ) X ყრილობაზე შეიტანა და გაატარა ამხ. ლენინმა. დემოკრატიის შემდგომი შეზღუდვანი, გარკვეული პარტიული სტაჟის და სხვ. სახით, XI ყრილობამ მიიღო ამხ. ლენინის უშუალო მონაწილეობით. ხვდება თუ არა პრეობრაჟენსკი, რომ ის არსებითად წინადადებას იძლევა გაუქმდეს პარტიის ხაზი ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, ორგანულად დაკავშირებული ლენინიზმთან? ხომ არ იწყებს პრეობრაჟენსკი იმის შეგნებას, რომ მისი წინადადება — გაუქმდეს პარტიის ძი-

რითადი ხაზი პარტმშენებლობისა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, არსებითად არის განმეორება იმ არცთუ ისე უცნობი «ანონიმური პლატფორმის» [84] ზოგიერთი წინადადებისა, რომელიც ლენინიზმის რევიზიას მოითხოვდა?

საკმარისია დაისვას ეს კითხვები, რათა მივხვდეთ, რომ პარტია პრეობრაჟენსკის გზით ვერ წავა.

რას გვთავაზობს პრეობრაჟენსკი? ის გვთავაზობს, — არც მეტი, არც ნაკლები, — აღდგენილ იქნას პარტიული ცხოვრება «1917 — 1918 წლების ტიპის მიხედვით». რით ხასიათდება ამ მხრივ 1917 — 1918 წლები? იმით, რომ მაშინ ჩვენს პარტიაში არსებობდნენ დაჯგუფებანი და ფრაქციები, რომ მაშინ არსებობდა დაჯგუფებათა აშკარა ბრძოლა, რომ პარტია მაშინ განიცდიდა კრიტიკულ მომენტს, რომელიც დაკავშირებული იყო მისი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხთან. პრეობრაჟენსკი მოითხოვს, რომ პარტიაში ასეთი წესრიგი, რაც X ყრილობამ გააუქმა, «ნაწილობრივ» მაინც იქნას აღდგენილი. შეუძლია თუ არა პარტიას დაადგეს ამ გზას? არა, არ შეუძლია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პარტიული ცხოვრების აღდგენა 1917 — 1918 წლების საფუძველზე, როცა ახალი ეკონომიური პოლიტიკა არ იყო, არ შეეფერება და არც შეიძლება შეეფერებოდეს პარტიის მოთხოვნილებებს 1923 წლის პირობებში, როცა არის ახალი ეკონომიური პოლიტიკა. მეორეც, იმიტომ, რომ ფრაქციული ბრძოლის განვლილი წესების აღდგენა აუცილებლად გამოუთხრიდა ძირს პარტიის ერთიანობას, განსაკუთრებით ახლა, ამხ. ლენინის ავადმყოფობის დროს.

პრეობრაჟენსკის მიდრეკილება აქვს შინაპარტიული ცხოვრების 1917 — 1918 წლების პირობები დასახოს, როგორც რაღაც სასურველი და იდეალური. მაგრამ ჩვენ ვიცით შინაპარტიული ცხოვრების ამ პერიოდის მრავალი

შავი მხარე, რამაც პარტიას ბევრი უდიდესი განსაცდელი მიაყენა. მგონი, შინაპარტიული ბრძოლა ბოლშევიკებს შორის ისეთ გააფთრებამდე არასოდეს არ მისულა, როგორც ამ პერიოდში, ბრესტის ზავის პერიოდში. ცნობილია, მაგალითად, რომ «მემარცხენე» კომუნისტები, რომლებიც მაშინ ცალკე ფრაქციას შეადგენდნენ, ისეთ გააფთრებამდე მივიდნენ, რომ სერიოზულად ლაპარაკობდნენ მაშინ არსებული სახკომსაბჭოს შეცვლაზე ახალი სახკომსაბჭოთი ახალი ადამიანებისაგან, რომლებიც «მემარცხენე» კომუნისტების ფრაქციის შემადგენლობაში შედიოდნენ. ახლანდელი ოპოზიციონერების ნაწილი — პრეობრაჟენსკი, პიატაკოვი, სტუკოვი და სხვები — მაშინ «მემარცხენე» კომუნისტების ფრაქციის შემადგენლობაში შედიოდა.

ხომ არ ფიქრობს პრეობრაჟენსკი «აღადგინოს» ჩვენს პარტიაში ეს ძველი «იდეალური» წესები?

ცხადია, ყოველ შემთხვევაში, რომ პარტია ამ «აღდგენაზე» არ დათანხმდება.

საპრონოვის სტატიის შესახებ

შინაპარტიული ცხოვრების ნაკლთა ძირითად მიზეზად საპრონოვს მიაჩნია პარტიის აპარატებში «პარტიული პედანტების», «კლასის დამრიგებელი დამების» არსებობა, რომლებიც «სასკოლო მეთოდით» «ზრდიან პარტიის წევრებს» და, ამრიგად, აფერხებენ პარტიის წევრთა ნამდვილ აღზრდას ბრძოლის მსვლელობაში. საპრონოვი ამნაირად ჩვენი პარტიული აპარატის მუშაკებს «კლასის დამრიგებელ დამებად» აქცევს და არც კი ფიქრობს იკითხოს: საიდან გაჩნდნენ ეს ადამიანები და როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ «პარტიული პედანტები» გაბატონდნენ ჩვენი პარტიის მუშაობაში. ამ უაღრესად სახიფათო და დემაგოგიურ დებულებას რომ აყენებს, როგორც დამტკიცებულს, საპრო-

ნოვი ივიწყებს, რომ მარქსისტს არ შეუძლია ლიტონი სიტყვებით დაკმაყოფილდეს, რომ მან უწინარეს ყოვლისა უნდა გაიგოს მოვლენა, თუ ეს მოვლენა მართლაც არსებობს ბუნებაში, და ახსნას იგი, რათა შემდეგ დასახოს გაუმჯობესების ნამდვილი ზომები. მაგრამ საპრონოვს, ეტყობა, მარქსიზმთან არა ესაქმება რა. მას სჭირდება, რადაც უნდა დაჯდეს, გამოლანძღოს პარტიული აპარატი, — ყოველივე დანარჩენი თავისთავად მოწესრიგდებაო. «პარტიული პედანტების» ბოროტი ნებისყოფა — ასეთია, საპრონოვის აზრით, ჩვენი შინაპარტიული ცხოვრების ნაკლთა მიზეზი. სწორი ახსნაა, თქვენმა მზემ.

ოღონდ გაუგებარია:

1) როგორ შეძლეს ამ «კლასის დამრიგებელმა დამებმა» და «პარტიულმა პედანტებმა» შეენარჩუნებინათ ხელმძღვანელობა მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური პროლეტარიატისადმი?

2) როგორ შეძლეს ჩვენმა «პარტიულმა მოწაფეებმა», რომლებიც «კლასის დამრიგებელი დამებისათვის» აღსაზრდელად მიუბარებიათ, შეენარჩუნებინათ ხელმძღვანელობა მსოფლიოს ყველაზე რევოლუციური ქვეყნისადმი?

ცხადია, ყოველ შემთხვევაში, რომ «პარტიულ პედანტებზე» ყბედობა უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე ჩვენი პარტიული აპარატის უდიდეს ღირსებათა გაგება და დაფასება.

როგორ ფიქრობს საპრონოვი განკურნოს ჩვენი შინაპარტიული ცხოვრების ნაკლოვანებანი? მისი წამალი ისეთივე მარტივია, როგორც დიაგნოზი. «გადაისინჯოს ჩვენი ოფიცერთა შემადგენლობა», მოიხსნან პოსტებიდან ახლანდელი მუშაკები — ასეთია საპრონოვის საშუალება. ამაში ხედავს ის შინაპარტიული დემოკრატიის გატარების ძირითად გარანტიას. მე სრულებითაც არ ვფიქრობ უარვყო-

რომ დემოკრატიზმის თვალსაზრისით გადარჩევას მნიშვნელობა აქვს ჩვენი შინაპარტიული ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში. მაგრამ ამაში ძირითადი გარანტიის დანახვა იმას ნიშნავს, რომ არც შინაპარტიული ცხოვრება გესმოდეს და არც მისი ნაკლოვანებანი. ოპოზიციის რიგებში მოიპოვებიან ისეთები, როგორიც არის ბელობოროდოვი, რომლის «დემოკრატიზმი» დღემდე დარჩენილია როსტოველი მუშების ხსოვნაში; როზენგოლცი, რომლის «დემოკრატიზმს» ხეირი არ დაუყრია ჩვენი წყალტრანსპორტელებისა და რკინიგზელებისათვის; პიატაკოვი, რომლის «დემოკრატიზმისაგან» კი არ ყვიროდა, არამედ ღრიალებდა მთელი დონბასი; ალსკი, რომლის «დემოკრატიზმი» ყველასათვის ცნობილია; ბიკი, რომლის «დემოკრატიზმისაგან» დღემდე ღრიალებს ხორეზმი. ფიქრობს თუ არა საპრონოვი, რომ თუ ახლანდელ «პარტიულ პედანტებს» შეცვლიან ზემოდასახელებული «პატივცემული ამხანაგები», დემოკრატია პარტიის შიგნით გაიმარჯვებს? ნება მომეცით ამაში ცოტათი დავეჭვდე.

ეტყობა, არსებობს ორგვარი დემოკრატიზმი: დემოკრატიზმი პარტიული მასებისა, რომლებიც მიიწევენ თვითმოქმედებისა და პარტიული ხელმძღვანელობის საქმეში აქტიური მონაწილეობისაკენ, და «დემოკრატიზმი» უკმაყოფილო პარტიული დიდკაცებისა, რომლებიც დემოკრატიზმის არსს განსაზღვრული პირების სხვა პირებით შეცვლაში ხედავენ. პარტია პირველნაირი დემოკრატიზმის მომხრე იქნება, და მას იგი რკინის ხელით გაატარებს. მაგრამ პარტია უკუაგდებს უკმაყოფილო პარტიული დიდკაცების «დემოკრატიზმს», რომელსაც საერთო არაფერი აქვს ნამდვილ შინაპარტიულ მუშათა დემოკრატიასთან.

შინაპარტიული დემოკრატია რომ უზრუნველყო, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, დასძლიო სამხედრო პერიოდის

ის გადმონაშთები და ჩვევები ზოგიერთი ჩვენი მუშაკის თავში, რომელთა გამო პარტია მიჩნეულია არა თვითმოქმედ ორგანიზმად, არამედ დაწესებულებათა სისტემად. მაგრამ ამ გადმონაშთების დაძლევა უმოკლეს ხანში არ შეიძლება.

მეორეც, შინაპარტიული დემოკრატია რომ უზრუნველყო, საჭიროა დასძლიო მილიონამდე მოსამსახურის მყოლი მთელი ჩვენი ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატის ზეგავლენა პარტიულ აპარატზე, რომელიც 20 — 30 ათასზე მეტ მუშაკს არ შეიცავს. მაგრამ ამ უზარმაზარი მანქანის ზეგავლენის დაძლევა და მისი დამორჩილება წარმოუდგენელია უმოკლეს ხანში.

მესამეც, შინაპარტიული დემოკრატია რომ უზრუნველყო, საჭიროა მიაღწიო მთელი რიგი ჩვენი ჩამორჩენილი უჯრედების კულტურული დონის ამაღლებას და საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე აქტიური მუშაკების სწორ განაწილებას, რის მიღწევაც ისევე შეუძლებელია უმოკლეს ხანში.

როგორც ხედავთ, სრული დემოკრატიის უზრუნველყოფა ისე იოლი რამ არ არის, როგორც ეს საპრონოვს წარმოუდგენია, თუ, რა თქმა უნდა, დემოკრატიზმად ვიგულისხმეთ არა საპრონოვის ცარიელი ფორმალური დემოკრატიზმი, არამედ ნამდვილი, მუშური, შეუბღალავი დემოკრატიზმი.

აშკარაა, საჭიროა თავიდან ბოლომდე მთელი პარტიის ნებისყოფის დაძაბვა, რათა უზრუნველვყოთ და ცხოვრებაში გავატაროთ ნამდვილი შინაპარტიული დემოკრატია.

ტროცკის წერილის შესახებ

ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის რეზოლუცია შინაპარტიული დემოკრატიის შესახებ, გამოქვეყნებული 7 დეკემბერს, ერთხმად

არის მიღებული. ტროცკიმ ხმა მისცა ამ რეზოლუციას. ამიტომ შეიძლებოდა გვეყვარაუდნა, რომ ცენტრალური კომიტეტის წევრები, მათ შორის ტროცკი, ერთიანი ფრონტით გამოვიდოდნენ და მოუწოდებდნენ პარტიის წევრებს — ერთსულოვნად დაეჭირათ მხარი ცენტრალური კომიტეტისა და მისი რეზოლუციისათვის. მაგრამ ეს ვარაუდი სინამდვილეში არ გამართლდა. ტროცკი ამ დღეებში გამოვიდა პარტიული თათბირებისადმი მიმართული წერილით, რომელიც არ შეიძლება სხვანაირად შეფასდეს, თუ არა როგორც ცდა, რომ შესუსტებულ იქნას პარტიის წევრთა ერთიანობის ნებისყოფა ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოზიციისათვის მხარდაჭერის საქმეში.

თვითონ განსაჯეთ.

ტროცკი იხსენიებს პარტიული აპარატის ბიუროკრატიზმს და ძველი გვარდიის, ე. ი. ლენინელების — ჩვენი პარტიის ძირითადი ბირთვის გადაგვარების საფრთხეს და წერს:

«„ძველი გვარდიის» გადაგვარება ისტორიაში არაერთხელ მომხდარა. ავიღოთ ყველაზე ახალი და მკაფიო ისტორიული მაგალითი: II ინტერნაციონალის ბელადები და პარტიები. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ვილჰელმ ლიბკნეხტი, ბებელი, ზინგერი, ვიქტორ ადლერი, კაუცკი, ბერნშტეინი, ლაფარგი, გედი და სხვები მარქსისა და ენგელსის პირდაპირი და უშუალო მოწაფენი იყვნენ. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ყველა ეს ბელადი, — ზოგი ნაწილობრივ, ზოგი მთლიანად,—ოპორტუნიზმისაკენ გადაგვარდა»... «ჩვენ უნდა ვთქვათ, — სწორედ ჩვენ, «მოხუცებმა», — რომ ჩვენი თაობა, რომელიც ბუნებრივად ასრულებს ხელმძღვანელ როლს პარტიაში, მაინც არ შეიცავს არავითარ თვითკმარ გარანტიას პროლეტარული და რევოლუციური სულისკვეთების თანდათანი და შეუმჩნეველი დასუსტების წინააღმდეგ, თუ დავუშვებთ, რომ პარტია მოითმენს პოლიტიკის აპარატულ-ბიუროკრატიული მეთოდების შემდგომ ზრდასა და განმტკიცებას, რომლებიც ახალგაზრდა თაობას აღმზრდელობის პასიურ მასალად აქცევენ და აუცილებლად წარმოშობენ აპარატისა და მასის, მოხუცებისა და ახალგაზრდების ურთიერთდაშორებას»... «ახალგაზრდობა — პარტიის ფრიად უტყუარი

ბარომეტრი — ყველაზე უფრო მწვავედ ეხმაურება პარტიულ ბიუროკრატიზმს».. «საჭიროა, რათა ახალგაზრდობა ბრძოლით ეუფლებოდეს რევოლუციურ ფორმულებს...»

ჯერ ერთი, მე უნდა გავფანტო ერთი შესაძლო გაუგებრობა. ტროცკი, როგორც მისი წერილიდან ჩანს, თავის თავს ბოლშევიკების ძველ გვარდიას მიაკუთვნებს და ამით იჩენს მზადყოფნას — იკისროს ის შესაძლო ბრალდებანი, რომლებიც შეიძლება თავს დაატყდეს ძველ გვარდიას, თუ ის მართლაც დაადგება გადაგვარების გზას. უნდა ვაღიაროთ, რომ თავისი თავის მსხვერპლად მიტანის ეს მზადყოფნა, უეჭველია, კეთილშობილების თვისებას წარმოადგენს. მაგრამ მე უნდა დავიცვა ტროცკი ტროცკისაგან, ვინაიდან მას, გასაგები მიზეზების გამო, არ შეიძლება და არც უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ძველი ბოლშევიკური გვარდიის ძირითადი კადრების შესაძლო გადაგვარებისათვის. მსხვერპლი, რა თქმა უნდა, კარგი საქმეა, მაგრამ სჭირდებათ კი იგი ძველ ბოლშევიკებს? ვფიქრობ, რომ არ სჭირდებათ.

მეორეც, გაუგებარია, როგორ შეიძლება ერთმანეთს გაუტოლოთ ისეთი ოპორტუნისტები და მენშევიკები, როგორიც არიან ბერნშტეინი, ადლერი, კაუცკი, გედი და სხვ., და ბოლშევიკების ძველი გვარდია, რომელიც სულ მუდამ იბრძოდა და, იმედი მაქვს, შემდეგშიც ღირსეულად იბრძოლებს ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, მენშევიკების წინააღმდეგ, II ინტერნაციონალის წინააღმდეგ. რით არის გამოწვეული ეს აბნეულობა და ეს აღრევა, ვისთვის არის ეს საჭირო, თუ მხედველობაში ვიქონიებთ პარტიის ინტერესებს და არა რაიმე გარეშე მოსაზრებებს, რომელთა მიზანი სრულიადაც არაა ძველი გვარდიის დაცვა? როგორ უნდა გავიგოთ ეს გადაკრული სიტყვები ოპორტუნიზმზე ძველი ბოლშევიკების მიმართ, რომლებიც ოპორტუნიზმთან ბრძოლაში გაიზარდნენ?

მესამეც, მე სრულიადაც არ ვფიქრობ, რომ ძველი ბოლშევიკები აბსოლუტურად გარანტირებული იყვნენ გადაგვარების საფრთხისაგან, ისევე როგორც საფუძველი არა მაქვს ვამტკიცო, რომ ჩვენ აბსოლუტურად გარანტირებული ვართ, ვთქვათ, მიწისძვრისაგან. ასეთი საფრთხე, როგორც **შესაძლებელი**, შეიძლება და საჭიროცაა დავუშვათ. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ეს საფრთხე **რეალურია**, რომ იგი არსებობს? ვფიქრობ, რომ არ ნიშნავს. და თვით ტროცკისაც არ მოუყვანია არავითარი მონაცემები, რომლებიც მოწმობდნენ გადაგვარების საფრთხეს, როგორც რეალურ საფრთხეს. ამავე დროს კი ჩვენი პარტიის შიგნით მოიპოვებიან მთელი რიგი ელემენტები, რომლებსაც შეუძლიათ წარმოშვან ჩვენი პარტიის ზოგიერთი რიგების გადაგვარების ნამდვილი საფრთხე. მხედველობაში მყავს ერთი ნაწილი მენშევიკებისა, რომლებიც ჩვენს პარტიაში **ძალაუნებურად** შემოვიდნენ და რომლებსაც ძველი ოპორტუნისტული ჩვევები ჯერ კიდევ არ დაუძლევიათ. აი რას წერდა ამ მენშევიკებისა და ამ საფრთხის შესახებ ამხ. ლენინი ჩვენი პარტიის წმენდის პერიოდში:

«ყოველ ოპორტუნისტს ახასიათებს შემგუებლობა... და მენშევიკებიც, როგორც ოპორტუნისტები, ეგუებიან, ასე ვთქვათ, «პრინციპის გამო» მუშათა შორის გაბატონებულ მიმდინარეობას, იღებენ მეყარავ ფერს, როგორც კურდღელი ხდება ხოლმე ზამთარში თეთრი. მენშევიკების ეს თავისებურება უნდა ვიცოდეთ და უნდა გავითვალისწინოთ. ხოლო ამის გათვალისწინება იმას ნიშნავს, რომ პარტია უნდა გავწმინდოთ იმ მენშევიკთა მთელი რიცხვის დაახლოებით ოთხმოცდაცხრამეტი მეასედით, რომლებიც რკ პარტიას მიემხრნენ 1918 წლის შემდეგ, ე. ი. მაშინ, როდესაც ბოლშევიკების გამარჯვება ჯერ მოსალოდნელი გახდა, ხოლო შემდეგ უეჭველი». (იხ. ტ. XXVII, გვ. 13).

როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ტროცკიმ მხედველობიდან გაუშვა ეს და მისი მსგავსი საფრთხენი, რაც რეალურად არსებობს, და პირველ ადგილზე წამოჭიმა

შესაძლო საფრთხე, ბოლშევიკების ძველი გვარდიის გადაგვარების საფრთხე? როგორ შეიძლება თვალი აარიდო რეალურ საფრთხეს და პირველ ადგილზე წამოაყენო, ნამდვილად რომ ითქვას, არარეალური, შესაძლებელი საფრთხე, თუ მხედველობაში გაქვს პარტიის ინტერესები და არა ის მოსაზრებანი, რომ ძირი გამოუთხარო ცენტრალური კომიტეტის იმ უმრავლესობის ავტორიტეტს, რომელიც ბოლშევიკების ძველი გვარდიის ხელმძღვანელ ბირთვს წარმოადგენს? განა ცხადი არ არის, რომ ასეთ «მიდგომას» შეუძლია მხოლოდ წყალი მიუშვას ოპოზიციის წისქვილზე?

მეოთხეც, საიდან აიღო ტროცკიმ ეს **დაპირისპირება** «მოხუცებისა», რომლებიც შეიძლება გადაგვარდნენ, «ახალგაზრდობასთან», რომელიც პარტიის «ფრიად უტყუარ ბარომეტრს» წარმოადგენს, და «ძველი გვარდიისა», რომელიც შეიძლება გაბიუროკრატდეს, «ახალგაზრდა გვარდიასთან», რომელიც უნდა «ბრძოლით ეუფლებოდეს რევოლუციურ ფორმულებს»? საიდან გაჩნდა ეს დაპირისპირება, რისთვის იყო ის საჭირო? განა ახალგაზრდობა და ძველი გვარდია ყოველთვის ერთიანი ფრონტით არ მიდიოდნენ შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ? განა «მოხუცებისა» და «ახალგაზრდების» ერთიანობა არ წარმოადგენს ჩვენი რევოლუციის ძირითად ძალას? საიდან გაჩნდა ეს ცდა — შარავანდედი მოაცილონ ძველ გვარდიას და დემაგოგიურად შეუღიტინონ ახალგაზრდობას იმისათვის, რომ გახსნან და გააფართოონ ხვრელი ჩვენი პარტიის ამ ძირითად რაზმებს შორის? ვისთვის არის ყოველივე ეს საჭირო, თუ მხედველობაში ვიქონიებთ პარტიის ინტერესებს, მის ერთიანობას, მის დარაზმულობას, და არა ოპოზიციის საამებლად ამ ერთიანობის შერყევის ცდას?

განა ასე იცავენ ცენტრალურ კომიტეტს და მის რეზოლუციას შინაპარტიული დემოკრატიის შესახებ, რაც, ამასთან, ერთხმად არის მიღებული?

თუმცაღა, ტროცკი, აშკარაა, არც ისახავდა ასეთ ამოცანას, როცა გამოდიოდა წერილით პარტიული თათბირებისადმი. ეტყობა, აქ სხვა განზრახვა იყო, სახელდობრ: დიპლომატიურად, ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციის დაცვის სახით, დაეჭირა მხარი ოპოზიციისათვის მის ბრძოლაში პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ.

ნამდვილი რომ ითქვას, სწორედ ამით აიხსნება ორმაგობის ბეჭედი, რაც ტროცკის წერილს აზის.

ტროცკი ბლოკშია დემოკრატიულ ცენტრალისტებთან და «მემარცხენე» კომუნისტების ნაწილთან — ამაშია ტროცკის გამოსვლის პოლიტიკური აზრი.

«პრავდა» № 285,
1923 წ. 15 დეკემბერი.
ხელმოწერა: ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

საჭირო შენიშვნა

(რაფაილის შესახებ)

«პრავდაში» (№ 285) მოთავსებულ ჩემს სტატიაში «დისკუსიისა, რაფაილისა და სხვ. შესახებ» მე ვამბობდი, რომ, რაფაილის განცხადებით პრესნიას კრებაზე, «ჩვენი პარტია არსებითად გადაიქცა არმიულ ორგანიზაციად, დისციპლინა მასში არმიულია, და რომ ამის გამო საჭიროა პარტიის მთელი აპარატი შეიბერტყოს თავიდან ბოლომდე, როგორც უვარგისი». ამის გამო რაფაილი «პრავდაში» გამოქვეყნებულ თავის სტატიაში აცხადებს, რომ მე არასწორად გადმოვეცი რაფაილის შეხედულებანი, «პოლემიკით აღგზნებულმა» «გავამარტივე» ისინი და სხვ. რაფაილი ამბობს, რომ ის პარტიასა და არმიას შორის მხოლოდ ანალოგიას (შედარებას) ატარებდა, რომ ანალოგია იგივეობა არ არის. «პარტიის მართვის სისტემა არმიის მართვის სისტემის ანალოგიურია — ეს იმას არ ნიშნავს, — ამბობს ის, — რომ ეს ზუსტი ასლია, არამედ მხოლოდ პარალელია გატარებული».

მართალია თუ არა რაფაილი?

არა, არ არის მართალი. და აი რატომ.

ჯერ ერთი. თავის სიტყვაში პრესნიას კრებაზე რაფაილი მართლოდენ კი არ ადარებდა პარტიას არმიასთან, რო-

გორც ახლა ირწმუნება, არამედ არსებითად აიგივებდა მას არმიასთან და თვლიდა, რომ პარტია არმიის ტიპისამებრ შენდება. ჩემს წინაშეა რაფაილის სიტყვის სტენოგრამა, ავტორის მიერ გასინჯული. იქ ნათქვამია: «მთელი ჩვენი პარტია თავიდან ბოლომდე აგებულია არმიის ტიპის მიხედვით». არა გვგონია შეიძლებოდეს იმის უარყოფა, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა უბრალო ანალოგიასთან, არამედ პარტიის აგებულებისა და არმიის აგებულების შეტოლებასთან, გაიგივებასთან.

შეიძლება თუ არა ვამტკიცოთ, რომ ჩვენი პარტია არმიის ტიპის მიხედვითაა აგებული? ცხადია, არ შეიძლება: ვინაიდან პარტია შენდება ქვემოდან, ნებაყოფლობის საფუძველზე, ისე, რომ მატერიალურად დამოკიდებული არ არის პარტიის მიერ არჩეული თავისი შტაბისაგან; არმია კი, როგორც ცნობილია, შენდება ზემოდან, იძულების საფუძველზე, მატერიალურად სავსებით დამოკიდებულია შტაბისაგან, რომელიც არავის არ აურჩევია, ზემოდან არის დანიშნული. და სხვ. და სხვ.

მეორეც. რაფაილი მარტოოდენ კი არ ადარებს პარტიის მართვის სისტემას არმიის მართვის სისტემასთან, არამედ ათანაბრებს პირველს მეორესთან, აიგივებს მათ «ზედმეტი სიტყვის» დაუხარჯავად. აი რას წერს რაფაილი თავის სტატიაში: «ჩვენ ვადასტურებთ, რომ პარტიის მართვის სისტემა **ეიგივება** არმიის მართვის სისტემას არა რაიმე გარეშე მოსაზრებებით, არამედ პარტიის მდგომარეობის ობიექტური ანალიზის გამო». შეუძლებელია უარყოფილ იქნას, რომ აქ რაფაილი არ სჯერდება პარტიის მართვასა და არმიის მართვას შორის ანალოგიის გატარებას, — ვინაიდან ის «მარტოოდენ» აიგივებს მათ «ზედმეტი სიტყვის» დაუხარჯავად.

შეიძლება თუ არა მართვის ამ ორი სისტემის გაიგივება? არა, არ შეიძლება: ვინაიდან არმიის მართვის სისტემა,

როგორც სისტემა, არ შეიძლება შეეთავსოს არც პარტიის არსებას, არც როგორც თავის წევრებზე, ისე უპარტიო მასაზე მისი ზემოქმედების მეთოდებს.

მესამეც. რაფაილი თავის სტატიაში ირწმუნება, რომ მთლიანად პარტიისა და ცალკეულად მისი წევრების ბედი საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია ცენტრალური კომიტეტის აღრიცხვა-განაწილების განყოფილებაზე, რომ «პარტიის წევრები მობილიზებულებად ითვლებიან, აღრიცხვა-განაწილების განყოფილება აყენებს **ყველას** სამუშაოზე, **არავის** არა აქვს უფლება ოდნავ მაინც ეკუთვნოდეს თავის თავს, და აღრიცხვა-განაწილების განყოფილებაზე, ანუ «შტაბზე», არის დამოკიდებული მომარაგების ოდენობის განსაზღვრა, ე. ი. განაკვეთი, მუშაობის ფორმა და ა. შ.». მართალია თუ არა ყოველივე ეს? რა თქმა უნდა, არა! მშვიდობიან დროს ცენტრალური კომიტეტის აღრიცხვა-განაწილების განყოფილებას ჩვეულებრივ, წლის განმავლობაში, რვა-ათი ათასი კაცი თუ გაივლის. ცენტრალური კომიტეტის მიერ რკპ XII ყრილობაზე გაკეთებული მოხსენებიდან [85] ცნობილია, რომ 1922 წლის განმავლობაში ცენტრალური კომიტეტის აღრიცხვა-განაწილების განყოფილება გაუვლია 10 700 კაცს (ე. ი. ერთიორად ნაკლებს, ვიდრე 1921 წლის განმავლობაში). ამ რიცხვს რომ გამოვაკლოთ ადგილების მიერ სასწავლებლებში გაგზავნილი 1 500 კაცი და შვებულებაში წასული ავადმყოფნი (400 კაცზე მეტი), დარჩება დაახლოებით 8 000-ზე ცოტათი მეტი. ამათგან პასუხისმგებელი მუშაკი ცენტრალური კომიტეტის მიერ წლის განმავლობაში განაწილებულია 5 167 კაცი (ე. ი. აღრიცხვა-განაწილების განყოფილებაში გავლილთა საერთო რიცხვის ნახევარზე ნაკლები). პარტიაში კი მთლიანად მაშინ იყო არა 5 000 და არც 10 000, არამედ დაახლოებით 500 000 კაცი, რომელთა ძირითად მასას არ

შეხებია და არც შეიძლებოდა შეხებოდა ცენტრალური კომიტეტის აღრიცხვა-განაწილების განყოფილების საგანმანაწილებლო მუშაობა. აშკარაა, რაფაილს დავიწყებია, რომ მშვიდობიან დროს ცენტრალური კომიტეტი ჩვეულებრივ მხოლოდ პასუხისმგებელ მუშაკებს ანაწილებს, რომ ცენტრალური კომიტეტის აღრიცხვა-განაწილების განყოფილება არ განსაზღვრავს, არ შეუძლია განსაზღვროს და არც უნდა განსაზღვრავდეს «ჯამაგირის განაკვეთს» პარტიის ყველა წევრისათვის, რომელთა რაოდენობა ახლა 400 000 კაცს აღემატება. რისთვისღა დასჭირდა რაფაილს ეს სასაცილო გაზვიადება? ეტყობა, იმისათვის, რომ «ფაქტებით» ეჩვენებინა პარტიის მართვის სისტემის «იგივეობა» არმიის მართვის სისტემასთან.

ასეთია ფაქტები.

აი რატომ ვფიქრობდი და ისევ ვფიქრობ, რომ რაფაილი «ხეირიანად არც პარტიას იცნობს და არც არმიას».

რაც შეეხება რაფაილის მიერ X ყრილობის დადგენილებებიდან მოყვანილ ციტატებს, მათი მნიშვნელობა ამ შემთხვევისათვის თავისთავად ქრება, რადგან ისინი ეხებიან ჩვენს პარტიაში მხოლოდ სამხედრო პერიოდის გადმონაშთებს და არა ეგრეთწოდებულ «პარტიის მართვის სისტემის იგივეობას არმიის მართვის სისტემასთან».

მართალია რაფაილი, რომ შეცდომები უნდა გამოვასწოროთ, რომ შეცდომებში არ უნდა ვიჯიუტოთო. და სწორედ ამიტომ არ ვკარგავ იმედს, რომ რაფაილი, ბოლოს, გამოასწორებს მის მიერ დაშვებულ შეცდომებს.

«პრავდა» № 294,
1923 წ. 28 დეკემბერი.
ხელმოწერა: ი. სტალინი.

მისალმება გაზეთ «კომუნისტს» [86]

სულით და გულით მივესალმები გაზეთ «კომუნისტს» მეათასე ნომრის გამოსვლის გამო. ვუსურვებ მას იყოს საიმედო შუქურა, რომელიც აღმოსავლეთის მშრომელ მასებს გაუნათებს გზას კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

რკპ ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **სტალინი**

«ბაკინსკი რაბოჩი»
№ 294 (1022),
1923 წ. 30 დეკემბერი.

დანართი

დანართი № 1

დეკლარაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ

საბჭოთა რესპუბლიკების შექმნის დროიდან მსოფლიოს სახელმწიფონი გაითიშნენ ორ ბანაკად: კაპიტალიზმის ბანაკად და სოციალიზმის ბანაკად.

იქ, კაპიტალიზმის ბანაკში, — სუფევს ნაციონალური მტრობა და უთანასწორობა, კოლონიური მონობა და შოვინიზმი, ნაციონალური ჩაგვრა და რბევა, იმპერიალისტური მხეცობა და ომები.

აქ, სოციალიზმის ბანაკში, — ურთიერთნდობა და მშვიდობიანობა, ნაციონალური თავისუფლება და თანასწორობა, ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრება და ძმური. თანამშრომლობა.

კაპიტალისტური მსოფლიოს ცდები ათეული წლების განმავლობაში — გადაეწყვიტა ეროვნებათა საკითხი იმ გზით, რომ შეთავსებული ყოფილიყო ხალხთა თავისუფალი განვითარება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის სისტემასთან, — უნაყოფო აღმოჩნდა. პირიქით, ნაციონალურ წინააღმდეგობათა კვანძი უფრო და უფრო იხლართება და თვით კაპიტალიზმის არსებობას ემუქრება. ბურჟუაზია უძლური აღმოჩნდა — მოეგვარებინა ხალხთა თანამშრომლობა.

მხოლოდ საბჭოების ბანაკში, მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა მოსახლეობის უმრავლესობა, გახდა შესაძლებელი ნაციონალური ჩაგვრის ძირფეს-

ვიანად აღმოფხვრა, ურთიერთნდობის ატმოსფეროს შექმნა და ხალხთა ძმური თანამშრომლობის საფუძველთა ჩაყრა.

მხოლოდ ამ გარემოებათა მეოხებით შეძლეს საბჭოთა რესპუბლიკებმა მოეგერიებინათ თავდასხმები მთელი მსოფლიოს იმპერიალისტებისა — შინაურებისა და უცხოელებისა.

მხოლოდ ამ გარემოებათა მეოხებით შეძლეს მათ წარმატებით მოეხდინათ სამოქალაქო ომის ლიკვიდაცია, უზრუნველეყოთ თავიანთი არსებობა და შესდგომოდნენ მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობას.

მაგრამ ომიანობის წლებს უკვალოდ არ ჩაუვლია. გაჩანაგებული მინდორ-ველები, გაჩერებული ქარხნები, მოშლილი საწარმოო ძალები და გამოფიტული სამეურნეო რესურსები, ომიანობამ მემკვიდრეობად რომ დაგვიტოვა, — არასაკმარისს ხდის ცალკეული რესპუბლიკების განკერძოებულ ღონისძიებებს სამეურნეო მშენებლობის დარგში. სახალხო მეურნეობის აღდგენა შეუძლებელი აღმოჩნდა რესპუბლიკების განცალკევებული არსებობის პირობებში.

მეორე მხრივ, საერთაშორისო მდგომარეობის მერყეობა და ახალი თავდასხმების საშიშროება აუცილებელს ხდის საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანი ფრონტის შექმნას კაპიტალისტური გარემოცვის პირისპირ.

ბოლოს, თვით აგებულება საბჭოთა ხელისუფლებისა, რომელიც თავისი კლასობრივი ბუნებით ინტერნაციონალურია, აყენებს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელ მასებს ერთ სოციალისტურ ოჯახად გაერთიანების გზაზე.

ყველა ეს გარემოება დაბეჯითებით მოითხოვს საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებას ერთ საკავშირო სახელმწიფოდ, რომელიც შეძლებს უზრუნველყოს ხალხთა საგარეო უშიშროებაც, შინაური სამეურნეო წარმატებაც და ნაციონალური განვითარების თავისუფლებაც.

ნება საბჭოთა რესპუბლიკების ხალხებისა, რომლებიც ამ რამდენიმე ხნის წინათ შეიკრიბნენ თავიანთი საბჭოების ყრილობებზე და ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება «საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის» შექმნის შესახებ, საიმედო თავდებია იმისა, რომ ეს კავშირი არის თანასწორუფლებიან ხალხთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომ თვითეულ რესპუბლიკას უზრუნველყოფილი აქვს უფლება — თავისუფლად გამოვიდეს კავშირიდან, რომ კავშირის კარი ღიაა ყველა, როგორც ამჟამად არსებული, ისე იმ სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, რომლებიც მომავალში წარმოიშვებიან,

რომ ახალი საკავშირო სახელმწიფო იქნება ღირსეული დაგვირგვინება ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრების და ძმური თანამშრომლობის საფუძვლებისა, რაც ჩაყრილ იქნა ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბერში, რომ ეს სახელმწიფო იქნება საიმედო ბურჯი მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ და ახალი გადამწყვეტი ნაბიჯი ყველა ქვეყნის მშრომელების მსოფლიო სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად გაერთიანების გზაზე.

ვაცხადებთ რა ყოველივე ამას მთელი მსოფლიოს წინაშე და საზეიმოდ ვაღიარებთ რა საბჭოთა ხელისუფლების საფუძვლების შეურყევლობას, რომლებმაც თავისი გამოხატულება პოვეს ჩვენთვის რწმუნებათა მომცემი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციებში, — ჩვენ, ამ რესპუბლიკების დელეგატები, მოცემულ რწმუნებათა საფუძველზე, ვადგენთ ხელი მოვაწეროთ ხელშეკრულებას «საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის» შექმნის შესახებ

დანართი № 2

ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ

რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა (რსფსრ), უკრაინის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა (უსსრ), ბელორუსიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა (ბსსრ) და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა (ა.-კ სფსრ — საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი) სდებენ ამ საკავშირო ხელშეკრულებას ერთ საკავშირო სახელმწიფოდ — «საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი» — გაერთიანების შესახებ შემდეგ საფუძველზე.

1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გამგებლობას, მისი უმაღლესი ორგანოების სახით, ეკუთვნის:

ა) კავშირის წარმომადგენლობა საერთაშორისო ურთიერთობაში;

ბ) კავშირის გარესაზღვრების შეცვლა;

გ) ხელშეკრულებათა დადება კავშირის შემადგენლობაში ახალი რესპუბლიკების მიღების შესახებ;

დ) ომის გამოცხადება და ზავის დადება;

ე) საგარეო სახელმწიფო სესხებზე ხელშეკრულების დადება,

ვ) საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაცია;

ზ) საგარეო ვაჭრობისა და შინავაჭრობის სისტემების დაწესება;

თ) კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის საფუძვლებისა და საერთო გეგმის დაწესება, აგრეთვე საკონცესიო ხელშეკრულებათა დადება;

ი) ტრანსპორტისა და ფოსტა-ტელეგრაფის საქმის რეგულირება;

კ) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციის საფუძვლების დაწესება;

ლ) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება, სამონეტო, ფულადი და საკრედიტო სისტემის, აგრეთვე საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი გადასახადების სისტემის დაწესება;

მ) მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის, აგრეთვე კავშირის მთელ ტერიტორიაზე მიწის წიაღით, ტყითა და წყლით სარგებლობის საერთო პრინციპების დაწესება;

ნ) საერთო-საკავშირო კანონმდებლობა გადასახლება-გადმოსახლების შესახებ;

ო) სასამართლო წყობილებისა და სამართალწარმოების საფუძველთა დაწესება, აგრეთვე საკავშირო სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობა;

პ) შრომის ძირითადი კანონების დაწესება;

ჟ) სახალხო განათლების საერთო პრინციპების დაწესება;

რ) სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში საერთო ღონისძიებათა დაწესება;

ს) ზომისა და წონის სისტემის დაწესება;

ტ) საერთო-საკავშირო სტატისტიკის ორგანიზაცია;

უ) ძირითადი კანონმდებლობა საკავშირო მოქალაქეობის დარგში უცხოელთა უფლებების მიმართ;

ფ) საერთო ამნისტიის უფლება;

ქ) მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოების ყრილობების, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და სახალხო კომისართა საბჭოების ისეთ დადგენილებათა გაუქმება, რომლებიც საკავშირო ხელშეკრულებას არღვევენ.

2. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო არის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობა, ხოლო ერთი ყრილობიდან მეორე ყრილობამდე — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

3. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობა შედგება საქალაქო საბჭოების წარმომადგენელთაგან — ამ

ანგარიშით, რომ ყოველ 25 000 ამომრჩეველზე მოდიოდეს ერთი დეპუტატი, — და საბჭოების საგუბერნიო ყრილობების წარმომადგენელთაგან — იმ ანგარიშით, რომ ყოველ 125 000 მცხოვრებზე მოდიოდეს ერთი დეპუტატი.

4. დელეგატები საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობისათვის აირჩევიან საბჭოების საგუბერნიო ყრილობებზე.

5. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების მორიგ ყრილობებს იწვევს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი წელიწადში ერთხელ; საგანგებო ყრილობებს იწვევს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საკუთარი გადაწყვეტილებით ან არანაკლებ, ვიდრე ორი მოკავშირე რესპუბლიკის მოთხოვნით.

6. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობა ირჩევს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენელთაგან თვითეული მათგანის მოსახლეობის პროპორციულად, სულ 371 წევრის შემადგენლობით.

7. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სესიები მოიწვევა სამჯერ წელიწადში. საგანგებო სესიები მოიწვევა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით ან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მოთხოვნით, აგრეთვე ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მოთხოვნით.

8. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობები და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიები მოიწვევა მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში იმ წესით, რასაც დაადგენს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

9. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ირჩევს პრეზიდიუმს, რომელიც კავშირის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ერთი სესიიდან მეორემდე.

10. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ირჩევა 19 წევრის შემადგენლობით, რომელთაგან კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ირჩევს კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ოთხ თავმჯდომარეს მოკავშირე რესპუბლიკების რიცხვის მიხედვით.

11. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის აღმასრულებელი ორგანო არის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭო (კავშირის სახკომსაბჭო), რომელსაც ირჩევს კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ამ უკანასკნელის უფლებამოსილების ვადით შემდეგი შემადგენლობით:

კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე,
თავმჯდომარის მოადგილენი,
საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი,
სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი,
საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი,
გზათა სახალხო კომისარი,
ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი,
მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი,
სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე,
შრომის სახალხო კომისარი,
სასურსათო საქმეთა სახალხო კომისარი,
ფინანსთა სახალხო კომისარი.

12. იმ მიზნით, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე დამყარდეს რევოლუციური კანონიერება და მოკავშირე რესპუბლიკების ძალ-ღონე გაერთიანდეს კონტრრევოლუციასთან ბრძოლის საქმეში, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსდება უმაღლესი სასამართლო, უმაღლესი სასამართლო კონტროლის ფუნქციებით, ხოლო კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან — სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს გაერთიანებული ორგანო, რომლის თავმჯდომარე შედის კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში სათათბირო ხმის უფლებით.

13. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახკომსაბჭოს დეკრეტები და დადგენილებები სავალდებულოა ყველა მოკავ-

შირე რესპუბლიკისათვის და უშუალოდ მოიყვანება სისრულეში კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

14. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს დეკრეტები და დადგენილებები იბეჭდება მოკავშირე რესპუბლიკებში საერთო-სახმარებელ ენებზე (რუსული, უკრაინული, ბელორუსული, ქართული, სომხური, თურქული).

15. მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები გააპროტესტებენ კავშირის სახკომსაბჭოს დეკრეტებსა და დადგენილებებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში, ხოლო ვერ შეაჩერებენ მათ შესრულებას.

16. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი შეიძლება გაუქმებულ იქნან მხოლოდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და მისი პრეზიდიუმის მიერ; ხოლო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცალკეული სახალხო კომისრების განკარგულებანი შეიძლება გაუქმებულ იქნან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, მისი პრეზიდიუმისა და კავშირის სახკომსაბჭოს მიერ.

17. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა განკარგულებანი შეიძლება შეჩერებულ იქნან მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ ან ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების მიერ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც განკარგულება აშკარად არ შეესაბამება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახკომსაბჭოს ან ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებებს. განკარგულების შეჩერება მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ან ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სათანადო სახალხო კომისარს.

18. მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე,
თავმჯდომარის მოადგილენი,
სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე,
მიწათმოქმედების სახალხო კომისარი,
სასურსათო საქმეთა სახალხო კომისარი,
ფინანსთა სახალხო კომისარი,
შრომის სახალხო კომისარი,
შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი,
იუსტიციის სახალხო კომისარი,
მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი,
განათლების სახალხო კომისარი,
ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი,
სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი,
ნაციონალურ საქმეთა სახალხო კომისარი,

ჟრეთვე სათათბირო ხმის უფლებით — კავშირის საგარეო საქმეთა, სამხედრო და საზღვაო საქმეთა, საგარეო ვაჭრობის, გზათა და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატების რწმუნებულები.

19. მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები და სასურსათო საქმის, ფინანსთა, შრომის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატები, უშუალოდ ემორჩილებიან რა მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და სახკომსაბჭოებს, თავიანთ მუშაობაში ხელმძღვანელობენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სათანადო სახალხო კომისრების განკარგულებებით.

20. კავშირის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკებს აქვთ თავიანთი ბიუჯეტები, რომლებიც კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული საერთო-საკავშირო ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. რესპუბლიკების ბიუჯეტებს მათი საშემოსავლო და საგასავლო ნაწილით დააწესებს კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. შემოსავალთა ნუსხას და საშემოსავლო ანარიცხების რაოდენობას, რაც მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების შეჭმნას ხმარდება, განსაზღვრავს კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

21. მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქეთათვის დაწესებულია ერთიანი საკავშირო მოქალაქეობა.

22. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს აქვს თავისი დროშა, ღერბი და სახელმწიფო ბეჭედი.

23. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დედაქალაქი არის ქალაქი მოსკოვი.

24. მოკავშირე რესპუბლიკებს ამ ხელშეკრულების შესაბამისად შეაქვთ ცვლილებანი თავიანთ კონსტიტუციებში.

25. საკავშირო ხელშეკრულების დამტკიცება, შეცვლა და დამატება შეადგენს მხოლოდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობის გამგებლობის საგანს.

26. თვითეული მოკავშირე რესპუბლიკა ინარჩუნებს კავშირიდან თავისუფლად გასვლის უფლებას.

შენიშვნები

1 რსფსრ თურქ ხალხთა კომუნისტების თათბირი, მოწვეული რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ, შედგა მოსკოვში 1921 წლის 1 — 2 იანვარს. თათბირში მონაწილეობას იღებდნენ აზერბაიჯანის, ბაშკირეთის, თურქესტანის, თათრეთის, დაღისტნის, თერგის ოლქის, ყირგიზეთის, ყირიმის პარტიული მუშაკები. თათბირმა განიხილა აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების ცენტრალური ბიუროს მოხსენება, ორგანიზაციული საკითხი და სხვ. 2 იანვარს ი. ბ. სტალინი გამოვიდა მოხსენებით ორგანიზაციულ საკითხზე (მოხსენება სტენოგრაფიულად არ ყოფილა ჩაწერილი). თათბირმა ი. ბ. სტალინის მოხსენების გამო მიიღო «რსფსრ თურქ ხალხთა შორის მუშაობის ცენტრალური ბიუროს დებულება». ამ «დებულების» შესაბამისად აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტური ორგანიზაციების ცენტრალური ბიურო, რომელიც 1918 წლიდან არსებობდა, რეორგანიზებულ იქნა რსფსრ თურქ ხალხთა შორის აგიტაციისა და პროპაგანდის გამწევ ცენტრალურ ბიუროდ. — **1.**

2 იგულისხმება რკპ(ბ) პროგრამა, მიღებული პარტიის VIII ყრილობის მიერ, განყოფილება «ეკონომიურ დარგში» და რკპ(ბ) IX ყრილობის რეზოლუცია «პროფესიული კავშირებისა და მათი ორგანიზაციის საკითხზე» (იხ. «საკ. კპ(ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1941, გვ. 289 — 291, 337 — 340). — **4.**

3 რკპ(ბ) VIII ყრილობასა და მის გადაწყვეტილებებზე სამხედრო და სხვა საკითხების გამო იხ. «საკ. კპ(ბ) ისტორია. მოკლე კურსი»,

1947, გვ. 301 — 305 და «საკ. კპ(ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1941, გვ. 280 — 313. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) VIII ყრილობაზე გამოვიდა სიტყვით სამხედრო საკითხის გამო (იხ. თხზულებანი, ტ. 4. გვ. 273 — 274) და მონაწილეობდა ყრილობის მიერ სამხედრო საკითხზე რეზოლუციის შესამუშავებლად შექმნილ სამხედრო კომისიაში. — **6.**

4 იგულისხმება საბჭოების VIII ყრილობის, პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს და პროფკავშირთა მოსკოვის საქალაქო საბჭოს რკპ(ბ) ფრაქციების გაერთიანებული სხდომა, რომელიც მიმდინარეობდა 1920 წლის 30 დეკემბერს. — **13.**

5 თეზისები «პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში» განხილული იყო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე 1921 წლის 5 თებერვალს. თეზისების საბოლოო რედაქტირებისათვის დაინიშნა კომისია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მეთაურობით. თეზისები გამოქვეყნდა 10 თებერვალს გაზეთ «პრავდაში» № 29 და ცალკე ბროშურად გამოიცა 1921 წელს. —**16.**

6 პანისლამიზმი — რელიგიურ-პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც ქადაგებს ისლამის (მუსლიმანური რელიგიის) მაღიარებელი ყველა ხალხის ერთ მთელად გაერთიანებას. ფართოდ გავრცელდა XIX საუკუნის დამლევს აღმოსავლეთის ქვეყნებში ექსპლოატატორ კლასებს შორის; მას იყენებდა თურქეთი იმ მიზნით, რომ მთელი მსოფლიოს მუსლიმანები დაემორჩილებინა თურქეთის სულთანისათვის როგორც «ყველა მართლმორწმუნეთა ხალიფისათვის». ვ. ი. ლენინი პანისლამიზმს შეფასებას აძლევდა როგორც ერთერთ მიმდინარეობას, რომელიც ცდილობს «შეაერთოს ევროპისა და ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართული განმათავისუფლებელი მოძრაობა ხანების, მემამულეების, მოლების და სხვ. პოზიციის განმტკიცებასთან» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXV, გვ. 336).

პანთურქიზმი მიზნად ისახავს დაუმორჩილოს ყველა თურქი ხალხი თურქეთის ბატონობას; წარმოიშვა ბალკანეთის ომების პერიოდში (1912 — 1913 წწ.). 1914 — 1918 წლების ომის დროს

უკიდურესად აგრესიულ და შოვინისტურ იდეოლოგიად განვითარდა. რუსეთში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ პანისლამიზმსა და პანთურქიზმს კონტრრევოლუციური ელემენტები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებდნენ. — **30.**

7 რკპ(ბ) X ყრილობა მიმდინარეობდა 1921 წლის 8 — 16 მარტს. ყრილობამ განიხილა ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ანგარიშები და მოხსენებანი: პროფესიულ კავშირებსა და მათს როლზე ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში, ნატურალურ გადასახადზე, პარტიულ მშენებლობაზე, პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში, პარტიის ერთიანობასა და ანარქისტულ-სინდიკალისტურ გადახრაზე და სხვ. ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშით და მოხსენებებით ნატურალურ გადასახადზე და პარტიის ერთიანობასა და ანარქისტულ-სინდიკალისტურ გადახრაზე გამოვიდა ვ. ი. ლენინი. ყრილობამ შეაჯამა პროფკავშირების შესახებ წარმოებული დისკუსიის შედეგები და ხმის უდიდესი უმრავლესობით მოიწონა ლენინური პლატფორმა. რეზოლუციაში «პარტიის ერთიანობის შესახებ», რაც დაწერილი იყო ვ. ი. ლენინის მიერ, ყრილობამ დაგმო ყველა ფრაქციული ჯგუფი, მოითხოვა მათი დაუყოვნებლივ დაშლა და აღნიშნა, რომ პარტიის ერთიანობა პროლეტარიატის დიქტატურის წარმატების ძირითად პირობას წარმოადგენს. ყრილობამ მიიღო ვ. ი. ლენინის რეზოლუცია «სინდიკალისტურ და ანარქისტულ გადახრაზე ჩვენს პარტიაში», რომლითაც დაგმო ეგრეთწოდებული «მუშათა ოპოზიცია» და კომუნისტური პარტიის წევრობასთან შეუთავსებლად ცნო ანარქისტულ-სინდიკალისტური გადახრის იდეების ქადაგება. X ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება სასურსათო გაწერიდან სასურსათო გადასახადზე გადასვლის, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის შესახებ. ი. ბ. სტალინის მოხსენება «პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში» მოსმენილ იქნა 10 მარტს. ყრილობამ ი. ბ. სტალინის თეზისები ერთხმად მიიღო საფუძვლად და აირჩია კომისია მათი შემდგომი დამუშავებისათვის. კომისიის მუშაობის შედეგები ი. ბ. სტალინმა ყრილობას მოახსენა 15 მარტის საღამოს სხდომაზე. ი. ბ. სტალინის მიერ კომისიის სახელით წარმოდგენილი რეზოლუცია ყრილობამ ერთხმად მიიღო. ყრილობამ

დაგმო ანტიპარტიული გადახრები ნაციონალურ საკითხში: დიდმპყრობელური (ველიკოროსული) შოვინიზმი და ადგილობრივი ნაციონალიზმი, როგორც კომუნიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმისათვის მავნე და საშიში გადახრანი. ყრილობამ მთავარი მახვილი მიმართა დიდმპყრობელური შოვინიზმის, როგორც მთავარი საფრთხის, წინააღმდეგ. (რკპ(ბ) X ყრილობის შესახებ იხ. «საკ. კპ(ბ) ისტორია. მოკლე კურსი», 1947, გვ. 330 — 335. ყრილობის რეზოლუციები იხ. წიგნში «საკ. კპ(ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1941, გვ. 356 — 395). — **33.**

8 კრებული «რსფსრ ელექტროფიკაციის გეგმა. რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისიის მოხსენება საბჭოების მე-8 ყრილობას» გამოსცა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკურმა განყოფილებამ 1920 წლის დეკემბერში. — **53.**

9 **«ეკონომიჩესკაია ჟიზნ»** — ყოველდღიური გაზეთი, ორგანო რსფსრ და სსრ კავშირის ეკონომიური და ფინანსთა სახალხო კომისარიატებისა და დაწესებულებებისა (სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, შრომისა და თავდაცვის საბჭოსი, სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, სახელმწიფო ბანკისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და სხვ.); გამოდიოდა 1918 წლის ნოემბრიდან 1937 წლის ნოემბრამდე. — **54.**

10 II$^1/_2$ ინტერნაციონალი — «სოციალისტური პარტიების საერთაშორისო მუშური გაერთიანება» — დაარსდა ვენაში 1921 წლის თებერვალს იმ ცენტრისტული პარტიებისა და ჯგუფების დამფუძნებელ კონფერენციაზე, რომლებიც რევოლუციურად განწყობილი მუშათა მასების ზეგავლენით დროებით გამოვიდნენ II ინტერნაციონალიდან. II$^1/_2$ ინტერნაციონალის ლიდერები (ფ. ადლერი, ო. ბაუერი, ლ. მარტოვი და სხვ.) სიტყვით აკრიტიკებდნენ III ინტერნაციონალს, საქმით კი პროლეტარული მოძრაობის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხში ოპორტუნისტულ პოლიტიკას ატარებდნენ და ცდილობდნენ გამოეყენებინათ შექმნილი გაერთიანება იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ მუშათა მასებზე კომუნისტების გავლენისათვის, რომელიც უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

1923 წელს II$^{1}/_{2}$ ინტერნაციონალი კვლავ შეუერთდა II ინტერნაციონალს. — **56.**

11 «აღმოსავლეთის ხალხთა მოქმედებისა და პროპაგანდის საბჭო» შეიქმნა აღმოსავლეთის ხალხთა I ყრილობის გადაწყვეტილებით, რომელიც შედგა ბაქოში 1920 წლის სექტემბერში. საბჭოს მიზანი იყო აღმოსავლეთში გაჩაღებული განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერა და გაერთიანება; იარსება დაახლოებით ერთ წელს. — **60.**

12 მთიელთა სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელ ქალთა I ყრილობა მიმდინარეობდა 1921 წლის 16 — 18 ივნისს კავკავში. ყრილობას ესწრებოდა 152 დელეგატი ქალი: ჩაჩნები, ოსები, თათრები, ყაბარდოელები, ბალყარელები და სხვ., რომლებიც მთიელთა შორეული სოფლებიდან ჩამოვიდნენ. ყრილობამ განიხილა საკითხები: აღმოსავლეთის ქალთა ეკონომიურ-უფლებრივი მდგომარეობა წინათ და ახლა, შინამრეწველობა და მთიელ ქალთა მონაწილეობა მასში, სახალხო განათლება და აღმოსავლეთის ქალი, მოხსენება დედათა და ბავშვთა დაცვის შესახებ და სხვ. ი. ბ. სტალინის დეპეშა გამოქვეყნდა ყრილობის 18 ივნისის საღამოს სხდომაზე. ყრილობამ ი. ბ. სტალინს მისალმების დეპეშა გაუგზავნა. — **65.**

13 მთიელთა ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა შეიქმნა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1921 წლის 20 იანვრის დეკრეტის საფუძველზე. მთიელთა ასს რესპუბლიკაში თავდაპირველად შედიოდნენ ჩაჩნეთის, ნაზრანის, კავკავის, ყაბარდოს, ბალყარეთისა და ყარაჩაის ოლქები. 1921—1924 წლებში მთიელთა ასს რესპუბლიკის შემადგენლობიდან თანმიმდევრულად გამოიყო მთელი რიგი ავტონომიური ნაციონალური ოლქები. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წლის 7 ივლისის დეკრეტით მთიელთა ასს რესპუბლიკა გაუქმებულ იქნა. — **65.**

14 იგულისხმება კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების 21 პირობა, დამტკიცებული კომინტერნის II კონგრესის მიერ 1920 წლის 6 აგვისტოს. — **71.**

15 იგულისხმება ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისები «პროლეტარიატის ამოცანების შესახებ მიმდინარე რევოლუციაში» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XX, გვ. 113 — 118). — **71.**

16 ლაპარაკია კრონშტადტში 1921 წლის მარტში მომხდარ კონტრრევოლუციურ ამბოხებაზე (იხ. «საკ. კპ(ბ) ისტორია. მოკლე კურსი», 1947, გვ. 324 — 325). — **72.**

17 ვ. ი. ლენინი. «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3 (რუს.), ტ. VIII, გვ. 27 — 126). — **73.**

18 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3 (რუს.), ტ. VII და გამოც. მე-4 (რუს.), ტ. 8. — **73.**

19 ვ. ი. ლენინი. «კადეტების გამარჯვება და მუშათა პარტიის ამოცანები» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3 (რუს.), ტ. LX, გვ. 79 — 143). — **73.**

20 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXII, გვ. 11 — 24. — **75.**

21 იგულისხმება ვ. ი. ლენინის ბროშურა «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXII, გვ. 511 — 555). — **75.**

22 კრედო («credo») — «ეკონომისტების» ჯგუფის მანიფესტი. (კრედოს შესახებ იხ. ვ. ი. ლენინი. «რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტი». თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. II, გვ. 635 — 650 და გამოც. მე-4, ტ. 4 (რუს.), გვ. 149 — 163). — **77.**

23 ვ. ი. ლენინი. ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXV, გვ. 189 — 291). — **80.**

24 დემოკრატიული თათბირი მიმდინარეობდა 1917 წლის 14 — 22 სექტემბერს პეტროგრადში. თათბირი მოწვეული იყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის მენშევიკ-ესერი ლიდერების

მიერ სოციალისტური პარტიების, შემთანხმებლური საბჭოების, პროფკავშირების, ერობების, ვაჭარ-მრეწველთა წრეებისა და სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებისაგან. თათბირმა გამოყო წინაპარლამენტი (რესპუბლიკის დროებითი საბჭო) — სათათბირო ორგანო დროებით მთავრობასთან. შემთანხმებლები ფიქრობდნენ წინაპარლამენტის დახმარებით შეეჩერებინათ რევოლუცია და გადაეყვანათ ქვეყანა საბჭოთა რევოლუციის გზიდან ბურჟუაზიულ-კონსტიტუციური განვითარების გზაზე. — 82.

25 ვ. ი. ლენინი. «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი» (იხ. თხზულებანი, გამ. მე-3 (რუს.), ტ. XXIII, გვ. 331 — 412). — 87.

26 იგულისხმება ვ. ი. ლენინის წიგნი «რა ვაკეთოთ?» (იხ. თხზულებანი, გამ. მე-3, ტ. IV, გვ. 441 — 634 და გამ. მე-4 (რუს.), ტ. 5, გვ. 319 — 494). — 88.

27 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი». 1948, გვ. 64. — 88.

28 ი. ბ. სტალინი 1921 წლის ივნისის დამლევს ნალჩიკიდან (სადაც ის მკურნალობდა) თბილისში ჩამოვიდა, რათა მონაწილეობა მიეღო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პლენუმის მუშაობაში. პლენუმმა, რომელიც ადგილობრივი პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით მიმდინარეობდა 2 — 7 ივლისს, განიხილა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მშენებლობის უმნიშვნელოვანესი სამეურნეო და პოლიტიკური საკითხები. პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში, რომელიც შემუშავებული იყო ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით, პლენუმმა განსაზღვრა ამიერკავკასიის კომუნისტების ამოცანები და გადაჭრით დაარტყა ნაციონალ-უკლონისტებს. პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო საქმიანობის გაერთიანებისათვის კომისიის შექმნის შესახებ, განიხილა ამიერკავკასიის რკინიგზის მდგომარეობის, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში ფულის ნიშნებას ტრიალის, მთის ყარაბაღის

ავტონომიის, აჭარის, აფხაზეთში არსებული მდგომარეობის და სხვა საკითხები. თბილისის პარტიული ორგანიზაციის საერთო კრებაზე 6 ივლისს ი. ბ. სტალინი გამოვიდა მოხსენებით «კომუნიზმის მორიგ ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში». მოხსენება გამოქვეყნდა 13 ივლისს გაზეთ «პრავდა გრუზიი»-ში № 108 და ცალკე ბროშურად გამოსცა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ 1921 წელს. — **96.**

29 მუსავატელები — პარტია «მუსავატი» — აზერბაიჯანის ბურჟუაზიისა და მემამულეების ნაციონალისტური პარტია; წარმოიშვა 1912 წელს. ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში წარმოადგენდა მთავარ კონტრრევოლუციურ ძალას აზერბაიჯანში. თურქი, შემდეგ კი ინგლისელი ინტერვენტების მხარდაჭერით მუსავატელები აზერბაიჯანში ხელისუფლების სათავეში იდგნენ 1918 წლის სექტემბრიდან 1920 წლის აპრილამდე, როცა ბაქოს მუშების, აზერბაიჯანის გლეხების და მათ დასახმარებლად მისული წითელი არმიის საერთო ძალ-ღონით მუსავატელთა მთავრობა დამხობილ იქნა. — **104.**

30 დაშნაკები — პარტია «დაშნაკცუთიუნი» — სომხური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტია; წარმოიშვა XIX საუკუნის 90-იან წლებში. 1918 — 1920 წლებში დაშნაკები მეთაურობდნენ სომხეთის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მთავრობას და სომხეთი გადააქციეს ინგლისელი ინტერვენტების დასაყრდენ პუნქტად საბჭოთა რუსეთთან საბრძოლველად. დაშნაკების მთავრობა დამხობილ იქნა 1920 წლის ნოემბერში სომხეთის მშრომელთა ბრძოლის შედეგად, რომლებსაც დაეხმარა წითელი არმია. — **104.**

31 იგულისხმება ინგლისსა და საფრანგეთს შორის 1904 წელს დადებული სამხედრო-პოლიტიკური შეთანხმება, რომელმაც დასაბამი მისცა ანტანტის (ინგლისის, საფრანგეთისა და მეფის რუსეთის იმპერიალისტური კავშირის) შექმნას. — **106.**

32 «ისკრა» — პირველი საერთო-რუსული არალეგალური მარქსისტული გაზეთი; დაარსებულ იქნა 1900 წელს ვ. ი. ლენინის მიერ («ისკრის» მნიშვნელობისა და როლის შესახებ იხ. «საკ. კპ(ბ) ისტორია. მოკლე კურსი», 1947, გვ. 39 — 51). — **110.**

33 ნ. ლენინი. «„მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში». პ., 1920 (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამ. მე-3, ტ. XXV, გვ. 189 — 291). — **112.**

34 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამ. მე-3, ტ. XXIII, გვ. 385. — **116.**

35 იგულისხმება შეიარაღების შეზღუდვისა და წყნარი ოკეანისა და შორეული აღმოსავლეთის საკითხებზე მოწვეული კონფერენცია, რომელიც მიმდინარეობდა ვაშინგტონში 1921 წლის 12 ნოემბრიდან 1922 წლის 6 თებერვლამდე. კონფერენციაში მონაწილეობდნენ: ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი დომინიონებთან ერთად, იაპონია, საფრანგეთი, იტალია, ჩინეთი, ბელგია, ჰოლანდია და პორტუგალია. საბჭოთა რუსეთი, მიუხედავად საბჭოთა მთავრობის პროტესტებისა, კონფერენციაზე არ ყოფილა მიწვეული. ვაშინგტონის კონფერენცია ამთავრებდა მსოფლიოს ომისშემდგომ გადანაწილებას და წარმოადგენდა წყნარ ოკეანეზე იმპერიალისტურ ძალთა ახალი თანაფარდობის დამყარების ცდას. ვაშინგტონში ხელმოწერილი შეთანხმებანი განსაზღვრავდნენ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა საზღვაო შეიარაღების ოდენობას, ამ სახელმწიფოთა უფლებებს წყნარი ოკეანის კუნძულების მიმართ და ამყარებდნენ «ღია კარების» პოლიტიკის პრინციპს ჩინეთში, ე. ი. «ყველა ერის ვაჭრობისა და მრეწველობისათვის იმ შესაძლებლობათა თანასწორობას, რაც იქმნება ჩინეთში». ვაშინგტონის კონფერენციამ კი არ აღმოფხვრა, არამედ, პირიქით, გააძლიერა წინააღმდეგობანი იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის. — **131.**

36 **«ზვეზდა»** — ბოლშევიკური ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1910 წლის 16 დეკემბრიდან 1912 წლის 22 აპრილამდე (ჯერ ყოველკვირეულად, შემდეგ კვირაში ორჯერ და სამჯერ). გაზეთის იდეურ ხელმძღვანელობას ახორციელებდა ვ. ი. ლენინი; ის სისტემატურად გზავნიდა საზღვარგარეთიდან თავის სტატიებს გაზეთისათვის. «ზვეზდის» უახლოესი თანამშრომლები იყვნენ: ვ. მ. მოლოტოვი, მ. ს. ოლმინსკი, ნ. გ. პოლეტაევი, ნ. ნ. ბატურინი, კ. ს. ერემეევი და სხვ. გაზეთში მონაწილეობას იღებდა ა. მ. გორკი. 1912 წლის გაზაფხულზე, პეტერბურგში ყოფნის დროს, ი. ბ. სტალინი უშუალოდ ხელმძღვანელობდა გაზეთის მუშაობას;

იქ მან მოათავსა მთელი რიგი სტატიები (იხ. თხზულებანი, ტ. 2, გვ. 240 — 264). გაზეთის ცალკეული ნომრების ტირაჟი 50 — 60 ათასს აღწევდა. «ზვეზდამ» მოამზადა ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთის — «პრავდის» გამოსვლა. 1912 წლის 22 აპრილს მეფის მთავრობამ «ზვეზდა» დახურა. «ზვეზდის» განგრძობა იყო «ნევსკაია ზვეზდა», რომელიც გამოდიოდა 1912 წლის ოქტომბრამდე. — **142.**

87 ციტირებულია ი. ბ. სტალინის სტატია «ჩვენი მიზნები», რომელიც გამოქვეყნდა «პრავდაში» № 1, 1912 წლის 22 აპრილს (იხ. თხზულებანი, ტ. 2, გვ. 265). — **143.**

88 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 2, გვ. 266. — **144.**

89 ესერების პროცესი მიმდინარეობდა მოსკოვში 1922 წლის 8 ივნისიდან 7 აგვისტომდე. უმაღლესი რევოლუციური ტრიბუნალის მიერ სასამართლო პასუხისგებაში მიცემულ 34 ბრალდებულს შორის იყო სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიის ცენტრალური კომიტეტის 11 წევრი. პროცესმა ცხადყო, რომ ესერების პარტია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დღეებიდანვე იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, აწყობდა შეიარაღებულ აჯანყებებს და შეთქმულებებს, მხარს უჭერდა ინტერვენტებს, ახდენდა ტერორისტულ აქტებს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. — **148.**

40 იგულისხმება საერთაშორისო ეკონომიური კონფერენციები, რომლებიც მიმდინარეობდა გენუაში (1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისამდე) და ჰაagაში (1922 წლის 15 ივნისიდან 20 ივლისამდე). გენუის კონფერენცია მოწვეული იყო კაპიტალისტურ მსოფლიოსა და საბჭოთა რუსეთს შორის ურთიერთობის განსასაზღვრავად. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ, ერთი მხრივ, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია და სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოები და, მეორე მხრივ, საბჭოთა რუსეთი. კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენლებმა საბჭოთა დელეგაციას წაუყენეს მოთხოვნები, რომელთა შესრულება იქნებოდა საბჭოთა ქვეყნის გადაქცევა დასავლეთ ევროპის კაპიტალის კოლონიად (ყველა სამხედრო და

ომამდელი ვალის გადახდის, უცხოელი მფლობელებისათვის ჩამორთმეული და ნაციონალიზებული საკუთრების უკანვე დაბრუნებისა და სხვ. მოთხოვნები). საბჭოთა დელეგაციამ უარყო უცხოელი კაპიტალისტების პრეტენზიები. საკითხი განსახილველად გადაეცა ექსპერტთა კონფერენციას, რომელიც ჰააგაში შეიკრიბა. ჰააგის კონფერენციამაც ვერ მიაღწია შეთანხმებას ორივე მხარის თვალსაზრისთა შეურიგებლობის გამო. — **148.**

41 ი. ბ. სტალინი სათავეში ედგა კომისიას, რომელიც შექმნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1922 წლის 6 ოქტომბერს რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ამიერკავკასიის ფედერაციისა და ბელორუსიის სსრ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად გაერთიანების კანონპროექტის შესამუშავებლად. კომისია ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობის მთელ მოსამზადებელ მუშაობას. — **152.**

42 იგულისხმება შეთანხმება, რომელსაც მოსკოვში 1922 წლის 22 თებერვალს ხელი მოაწერეს დამოუკიდებელი რესპუბლიკების — აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, ბელორუსიის, უკრაინის, ხორეზმის, ბუხარის, შორეული აღმოსავლეთის და რსფს რესპუბლიკის სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა იმის შესახებ, რომ ხსენებული რესპუბლიკების წარმომადგენლობა გენუის საერთოევროპულ ეკონომიურ კონფერენციაზე გადასცემოდა რსფს რესპუბლიკას. — **155.**

43 შ. აღმ. რესპუბლიკა — შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკა — არსებობდა 1920 წლის აპრილიდან 1922 წლის ნოემბრამდე. შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდნენ: ბაიკალისპირეთი, იმიერბაიკალი, ამურის ოლქი, ზღვისპირეთი, კამჩატკა და სახალინის ჩრდილოეთი ნაწილი. — **155.**

44 ამიერკავკასიის ფედერაცია — ამიერკავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული კავშირი — შეიქმნა 1922 წლის 12 მარტს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელთა სრულუფლებიან კონფერენციაზე. 1922 წლის დეკემბერში ფედერაციული

კავშირი გარდაიქმნა ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკად (ა. კ. სფსრ). ამიერკავკასიის ფედერაცია არსებობდა 1936 წლამდე. სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციით სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები შევიდნენ სსრ კავშირში როგორც მოკავშირე რესპუბლიკები. (ამიერკავკასიის ფედერაციის შესახებ იხ. ეს ტომი, გვ. 251 — 256, 277 — 284). — **157.**

45 ბუხარისა და ხორეზმის სახალხო საბჭოთა რესპუბლიკები შეიქმნა 1920 წელს ბუხარისა და ხივის ყოფილი სახანოების ტერიტორიებზე გაჩაღებულ ძლევამოსილ სახალხო აჯანყებათა შედეგად. 1924 წლის დამლევს და 1925 წლის დამდეგს, ნაციონალური ნიშნის მიხედვით შუა აზიის სახელმწიფოებრივ გამიჯვნასთან დაკავშირებით, ბუხარისა და ხორეზმის რესპუბლიკათა ტერიტორიები შევიდა ახლადშექმნილი მოკავშირე თურქმენეთისა და უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ტაჯიკეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ყარა-ყალპაკეთის ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში. — **157.**

46 საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1922 წლის 23 — 27 დეკემბერს. ყრილობას ესწრებოდა 2 215 დელეგატი, მათ შორის ხელშეკრულებითი რესპუბლიკების — ა. კ. სფსრ, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ 488 დელეგატი, რომლებიც მოსკოვს ჩავიდნენ სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად და მიწვეული იყვნენ საპატიო სტუმრებად საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობაზე. საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობამ განიხილა საკითხები: სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს ანგარიში რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ, მოხსენება მრეწველობის მდგომარეობის შესახებ, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება (გლეხური მეურნეობის აღორძინებისათვის გაწეული მუშაობის შედეგები), განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენება, ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოხსენება, ხელშეკრულებითი საბჭოთა რესპუბლიკების წინადადება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ. მოხსენებით საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ 26 დეკემბერს გამოვიდა ი. ბ. სტალინი.

ი. ბ. სტალინის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია ყრილობამ ერთხმად მიიღო. ი. ბ. სტალინის მოხსენების შემდეგ გამოვიდნენ უკრაინის, აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთისა და ბელორუსიის წარმომადგენლები და თავიანთ ხალხთა სახელით მიესალმნენ საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ — სსრ კავშირად გაერთიანებას. — **160.**

47 იგულისხმება საბჭოთა მთავრობის მოლაპარაკება ინგლისელ მრეწველ ურკარტთან ურალსა და ყაზახეთში მთამადნეულის დამუშავებაზე საკონცესიო ხელშეკრულების დადების შესახებ. სახალხო კომისართა საბჭომ 1922 წლის 6 ოქტომბერს ხელშეკრულების პროექტი უარყო ურკარტის მიერ წამოყენებული პირობების კაბალური ხასიათის გამო, აგრეთვე საბჭოთა რუსეთის მიმართ ინგლისის კონსერვატიული მთავრობის მტრული პოლიტიკის გამო. საბჭოთა მთავრობის მიერ ურკარტთან ხელშეკრულების დადებაზე უარისთქმა საბაბი გახდა ბურჟუაზიულ პრესაში ანტისაბჭოთა კამპანიის გაძლიერებისა. — **163.**

48 ლოზანის კონფერენცია (1922 წლის 20 ნოემბერი — 1923 წლის 24 ივლისი) მოწვეული იყო საფრანგეთის, ინგლისისა და იტალიის ინიციატივით ახლო აღმოსავლეთის საკითხის განსახილველად (საბერძნეთსა და თურქეთს შორის საზავო ხელშეკრულების დასადებად, თურქეთის საზღვრების დასაწესებლად, სრუტეების რეჟიმის შესახებ კონვენციის მისაღებად და სხვ.). კონფერენციაში, აღნიშნულ ქვეყნებს გარდა, მონაწილეობას იღებდნენ იაპონია, რუმინეთი, იუგოსლავია, საბერძნეთი, ბულგარეთი, თურქეთი (ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელნი ესწრებოდნენ როგორც მეთვალყურენი). საბჭოთა რუსეთი კონფერენციაზე მიწვეული იყო მხოლოდ სრუტეების (ბოსფორი, დარდანელი) საკითხის განსახილველად. კონფერენციაზე, სრუტეების საკითხზე შექმნილ კომისიაში, საბჭოთა დელეგაციამ გაილაშქრა სამხედრო გემებისათვის სრუტეების როგორც მშვიდობიან, ისე ომის დროს გახსნის პროექტის წინააღმდეგ და წამოაყენა თავისი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სრუტეების სავსებით დახურვას ყველა სახელმწიფოს (თურქეთის გამოკლებით) სამხედრო გემებისათვის. საბჭოთა დელეგაციის პროექტი კომისიამ უარყო. — **164.**

49 სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1922 წლის 30 დეკემბერს. ყრილობას ესწრებოდა 1727 დელეგატი რსფს რესპუბლიკიდან, 364 დელეგატი უკრაინის სს რესპუბლიკიდან, 91 დელეგატი ამიერკავკასიის ფედერაციიდან და 33 დელეგატი ბელორუსიის სს რესპუბლიკიდან. ყრილობამ განიხილა ი. ბ. სტალინის მოხსენება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ, დაამტკიცა დეკლარაცია და საკავშირო ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ და აირჩია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. — **172.**

50 რსფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ და ა. კ. სფსრ სრულუფლებიანი დელეგაციების კონფერენცია მიმდინარეობდა 1922 წლის 29 დეკემბერს. კონფერენციამ განიხილა და მიიღო დეკლარაცია და ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ. ი. ბ. სტალინი კონფერენციაზე გამოვიდა ინფორმაციით სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობის მუშაობის წესრიგის შესახებ. კონფერენციამ დაავალა ი. ბ. სტალინს გამოსულიყო ყრილობაზე მოხსენებით სსრ კავშირის შექმნის საკითხზე. 30 დეკემბერს, დილას სრულუფლებიანმა დელეგაციებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციასა და ხელშეკრულებას სსრ კავშირის შექმნის შესახებ. — **175.**

51 ი. ბ. სტალინის სტატია «რუსი კომუნისტების სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხისათვის» გამოქვეყნდა 1923 წლის 14 მარტს გაზეთ «პრავდის» 56-ე ნომერში, რომელიც მიძღვნილი იყო რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) 25 წლისთავისადმი, გაზეთ «პეტროგრადსკაია პრავდის» 1923 წლის 14, 15 და 16 მარტის 57, 58 და 59 №№ ში და ჟურნალ «კომუნისტიჩესკაია რევოლუციის» 1923 წლის 1 აპრილის № 7 (46)-ში. უფრო გვიან ამ სტატიის ნაწყვეტი სათაურით «ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების სტრატეგია» დაიბეჭდა წიგნში: ი. სტალინი, «ოქტომბრის რევოლუციის შესახებ». მ., 1932. — **176.**

52 სვერდლოვის უნივერსიტეტი — ი. მ. სვერდლოვის სახელობის მუშურ-გლეხური კომუნისტური უნივერსიტეტი.

ი. მ. სვერდლოვის ინიციატივით 1918 წელს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყო მოკლევა-

დიანი სააგიტაციო-საპროპაგანდო კურსები; ამ კურსებს 1919 წლის იანვარში ეწოდა საბჭოთა მუშაობის სკოლა. ამ სკოლის საფუძველზე, რკპ(ბ) VIII ყრილობის დადგენილებით, შეიქმნა საბჭოთა და პარტიული მუშაობის ცენტრალური სკოლა. 1919 წლის მეორე ნახევარში საბჭოთა და პარტიული მუშაობის ცენტრალური სკოლა გარდაქმნილ იქნა ი. ძ. სვერდლოვის სახელობის მუშურ-გლეხურ კომუნისტურ უნივერსიტეტად. — **176.**

53 «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი — პირველი რუსული მარქსისტული ჯგუფი; დააარსა 1883 წელს ჟენევაში გ. ვ. პლეხანოვმა. (ჯგუფის მოღვაწეობისა და მისი ისტორიული როლის შესახებ იხ. «საკ. კპ(ბ) ისტორია. მოკლე კურსი», 1947, გვ. 12 — 22). — **188.**

54 პეტროგრადში 1917 წლის 20 — 21 აპრილს შემდგარი მასობრივი პოლიტიკური დემონსტრაციის დროს ბოლშევიკური პარტიის პეტროგრადის კომიტეტის წევრთა ჯგუფმა (ბაგდატიევმა და სხვ.) წამოაყენა დროებითი მთავრობის დაუყოვნებლივ დამხობის ლოზუნგი, წინააღმდეგ ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის დირექტივისა დემონსტრაციის მშვიდობიანი ხასიათის შესახებ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაგმო ამ «მემარცხენე» ავანტიურისტების მოქმედება (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამ. მე-3, ტ. XX, გვ. 290 — 292). — **189.**

55 ვ. ი. ლენინი. «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში» (იხ. თხზულებანი, გამ. მე-3 (რუს.). ტ. VIII, გვ. 27 — 126). — **192.**

56 «საკონტაქტო კომისია» ჩხეიძის, სტეკლოვის, სუხანოვის, ფილიპოვსკისა და სკობელევის შემადგენლობით (შემდეგ შევიდნენ ჩერნოვი და წერეთელი) გამოყოფილ იქნა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მენშევიკურ-ესერული აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1917 წლის 7 მარტს დროებით მთავრობასთან კონტაქტის დასამყარებლად, მასზე «ზემოქმედების» მოსახდენად და მისი საქმიანობისათვის «კონტროლის გასაწევად». ნამდვილად კი «საკონტაქტო კომისია» ხელს უწყობდა დროებითი მთავრობის ბურჟუაზიული პოლიტიკის განხორციელებას და აკა-

ვებდა მუშათა მასებს იმისაგან, რომ მათ აქტიური რევოლუციური ბრძოლა გაეჩაღებინათ საბჭოების ხელში მთელი ძალაუფლების გადასვლისათვის. «საკონტაქტო კომისია» არსებობდა 1917 წლის მაისამდე, როცა მენშევიკებისა და ესერების წარმომადგენლები უშუალოდ შევიდნენ დროებითი მთავრობის შემადგენლობაში. — **198.**

57 ვ. ი. ლენინი. «პროლეტარიატის ამოცანების შესახებ მიმდინარე რევოლუციაში» (იხ. თხზულებანი, გამ. მე-3, ტ. XX, გვ. 113 — 118). — **194.**

58 პროექტი თეზისებისა ნაციონალურ საკითხზე პარტიის XII ყრილობისათვის განხილულ იქნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1923 წლის 21 თებერვალს. თეზისების რედაქტირებისათვის გამოიყო კომისია ი. ბ. სტალინის მეთაურობით. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 22 მარტს განიხილა და დაამტკიცა თეზისები, 24 მარტს ეს თეზისები გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 65. — **199.**

59 «სმენავეხობა» ბურჟუაზიული პოლიტიკური მიმდინარეობა იყო, წარმოიშვა 1921 წელს საზღვარგარეთ რუს თეთრგვარდიელთა ემიგრაციაში; ამ მიმდინარეობას მეთაურობდა ნ. უსტრიალოვის, ი. კლიუჩნიკოვისა და სხვ. ჯგუფი, რომელიც სცემდა ჟურნალს «სმენა ვეხ» (თავდაპირველად გამოვიდა კრებული ასეთივე სახელწოდებით). «სმენავეხობის» იდეოლოგია გამოხატავდა იმ ბურჟუაზიის შეხედულებებს, რომელმაც ხელი აიღო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აშკარა შეიარაღებულ ბრძოლაზე. «სმენავეხელები» ვარაუდობდნენ, რომ საბჭოთა რუსეთის ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, საბჭოთა წყობილება თანდათან შეიცვლებოდა ბურჟუაზიული დემოკრატიის მიმართულებით. — **206.**

60 იხ. რკპ(ბ) X ყრილობის რეზოლუცია «პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში» წიგნში «საკ. კპ(ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1941, გვ. 386. — **207.**

61 რკპ(ბ) XII ყრილობა მიმდინარეობდა 1923 წლის 17 — 25 აპრილს. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ეს იყო პირველი ყრილობა, რომელზე დასწრება ვ. ი. ლენინმა ვერ შეძლო. ყრილობამ განიხილა ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური საკონტროლო კომისიის, კომინტერნის აღმასკომში რუსეთის წარმომადგენლობის ანგარიშები და მოხსენებანი: მრეწველობის შესახებ, პარტიულ და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში ნაციონალური მომენტების, სოფლად საგადასახადო პოლიტიკის, დარაიონებისა და სხვ. შესახებ. ყრილობამ თავის გადაწყვეტილებებში გაითვალისწინა ვ. ი. ლენინის ყველა მითითება, მოცემული მის უკანასკნელ სტატიებსა და წერილებში. რკპ(ბ) XII ყრილობამ შეაჯამა ახალი ეკონომიური პოლიტიკის ორი წლის შედეგები და გადაჭრით წინააღუდგა ტროცკის, ბუხარინს და მათს მომხრეებს, რომლებსაც ახალი ეკონომიური პოლიტიკა ესმოდათ როგორც სოციალისტური პოზიციებიდან უკანდახევა. ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო ორგანიზაციულ და ნაციონალურ საკითხებს. 17 აპრილს, საღამოს სხდომაზე, ი. ბ. სტალინი გამოვიდა ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციული ანგარიშით. ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო მიღებულ რეზოლუციაში ყრილობამ მოიწონა მუშგლეხინისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის რეორგანიზაციის ლენინური გეგმა და აღნიშნა ცენტრალური კომიტეტის ორგაპარატისა და მთელი ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესება. ი. ბ. სტალინის მოხსენება «ნაციონალურ მომენტებზე პარტიულ და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში» ყრილობამ მოისმინა 23 აპრილს. მოხსენების გამო კამათი გრძელდებოდა 23 და 24 აპრილს, საკითხის შემდგომი განხილვა გადატანილ იქნა ყრილობის ნაციონალურ სექციაში, რომელიც ი. ბ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდა. 25 აპრილს ყრილობამ დაამტკიცა სექციის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია; რეზოლუციას საფუძვლად დაედო ი. ბ. სტალინის თეზისები. ყრილობამ ამხილა ნაციონალ-უკლონისტები და მოუწოდა პარტიას გადამწყვეტი ბრძოლა გაეჩაღებინა გადახრებთან ნაციონალურ საკითხში — ველიკოროსულ შოვინიზმთან და ადგილობრივ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმთან. (რკპ(ბ) XII ყრილობის შესახებ იხ. «საკ. კპ(ბ) ისტორია. მოკლე კურსი», 1947, გვ. 340 — 343. ყრილობის რეზოლუციები იხ. წიგნში «საკ. კპ(ბ) ყრილობების, კონფერენ-

ციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1941, გვ. 472 — 524). — **215.**

62 **«რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის უწყებები»** — საინფორმაციო ჟურნალი; დაარსდა რკპ(ბ) VIII ყრილობის გადაწყვეტილებით; გამოდიოდა 1919 წლის 28 მაისიდან 1929 წლის 10 ოქტომბრამდე (პირველი 20 ნომერი გამოვიდა როგორც გაზეთ «პრავდის» დამატება). საინფორმაციო ბიულეტენიდან «ც. კ-ის უწყებები» თანდათან გადაიქცა ცენტრალურ პარტიულ ჟურნალად და 1929 წელს გადაკეთდა ჟურნალად — «პარტიინოე სტროიტელსტვო». «რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში პარტიის XII ყრილობისათვის» გამოქვეყნდა «ც. კ-ის უწყებებში» № 4 (52), 1923 წ. აპრილი. — **217.**

63 ი. ბ. სტალინს მხედველობაში აქვს სტატიები «როგორ მოვახდინოთ მუშაგლეხთა ინსპექციის რეორგანიზაცია» და «სჯობს ცოტა და კარგი» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამ. მე-3 (რუს.). ტ. XXVII, გვ. 402 — 418). — **227.**

64 ი. ბ. სტალინს მხედველობაში აქვს ბროშურა «ჩვენი მრეწველობის მეთაურთა შემადგენლობა (რკპ ცენტრალური კომიტეტის აღრიცხვა-განაწილების განყოფილების მასალების მიხედვით)». მ., 1923. — **233.**

65 ესერების პარტიის რიგითი წევრების სრულიად რუსეთის ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1923 წლის 18 — 20 მარტს. ყრილობამ ცნო, რომ ესერების პარტია საბოლოოდ გაიხრწნა და რომ მის ხელმძღვანელ ემიგრანტულ ორგანოებს უფლება არა აქვთ გამოდიოდნენ არარსებული პარტიის სახელით. — **244.**

66 სადისკუსიო ფურცელი იბეჭდებოდა გაზეთ «პრავდაში» რკპ(ბ) XII ყრილობის წინ სახელწოდებით «წინასაყრილობო სადისკუსიო ფურცელი». გამოვიდა 5 ნომერი, ოთხი — ყრილობამდე და ერთი — ყრილობის მუშაობის დროს («პრავდა» №№ 46, 65, 75, 82, 86; 1923 წლის 1, 24 მარტი, 5, 15 და 20 აპრილი). — **247.**

67 ი. ბ. სტალინს მხედველობაში აქვს «დემოკრატიული ცენტრალიზმის» ანტიპარტიული ჯგუფი. (ამ ჯგუფის შესახებ იხ. «საკ. კპ(ბ) ისტორია. მოკლე კურსი», 1947, გვ. 312, 328). — 249.

68 იგულისხმება რსდმპ(ბ) **სრულიად რუსეთის VII** (აპრილის) კონფერენცია, რომელიც მიმდინარეობდა 1917 წლის 24 — 29 აპრილს. ი. ბ. სტალინი კონფერენციაზე გამოვიდა მოხსენებით ნაციონალური საკითხის შესახებ; მოხსენების გამო მიღებული რეზოლუციის პროექტი დაწერილი იყო ვ. ი. ლენინის მიერ. (კონფერენციის რეზოლუციები იხ. წიგნში «საკ. კპ(ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1941, გვ. 225 — 239). — **256.**

69 **«სოციალისტიჩესკი ვესტნიკ»** — მენშევიკ-თეთრემიგრანტთა ორგანო; დააარსა მარტოვმა 1921 წლის თებერვალში; 1933 წლის მარტამდე გამოდიოდა ბერლინში, 1933 წლის მაისიდან 1940 წლის ივნისამდე — პარიზში, შემდეგ — ამერიკაში. «სოციალისტიჩესკი ვესტნიკ» წარმოადგენს ყველაზე რეაქციული იმპერიალისტური წრეების რუპორს. — **284.**

70 ბასმაჩთა მოძრაობა — კონტრრევოლუციური ნაციონალისტური მოძრაობა შუა აზიაში (თურქესტანი, ბუხარა, ხორეზმი) 1918 — 1924 წლებში; გამოიხატებოდა აშკარა პოლიტიკური ბანდიტიზმის ფორმით; მოძრაობას მეთაურობდნენ ბაები და მოლები; მისი მიზანი იყო შუა აზიის რესპუბლიკების მოწყვეტა საბჭოთა რუსეთისაგან და ექსპლოატატორული კლასების ბატონობის აღდგენა. ბასმაჩთა მოძრაობას აქტიურად უჭერდნენ მხარს ინგლისელი იმპერიალისტები, რომლებიც ცდილობდნენ გადაექციათ შუა აზია. თავიანთ კოლონიად. — **287.**

71 იხ. ვ. ი. ლენინი. «ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ». თხზულებანი, გამ. მე-3, ტ. XVII, გვ. 460. — **294.**

72 ვ. ი. ლენინი. **«სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება»** (იხ. თხზულებანი, გამ. მე-3, ტ. XIX, გვ. 41). — **297.**

73 «**ბედნოტა**» — ყოველდღიური გაზეთი, სსრკ კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანო; გამოდიოდა 1918 წლის მარტიდან 1931 წლის იანვრამდე. — **318.**

74 ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამ. მე-3, ტ. IV, გვ. 126 — 127 და გამ. მე-4, ტ. 5, გვ. 12 — 14. — **315.**

75 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მეოთხე თათბირი ნაციონალური (რესპუბლიკებისა და ოლქების პასუხისმგებელ მუშაკებთან, მოწვეული ი. ბ. სტალინის ინიციატივით, შედგა მოსკოვში 1923 წლის 9 — 12 ივნისს. თათბირში, გარდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და კანდიდატებისა, მონაწილეობა მიიღო ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების 58 წარმომადგენელმა. თათბირის დღის წესრიგის ძირითადი საკითხი იყო ი. ბ. სტალინის მოხსენება «პარტიის XII ყრილობის მიერ ნაციონალურ საკითხზე მიღებული რეზოლუციის ცხოვრებაში გატარების პრაქტიკული ღონისძიებანი». მოხსენებებით ადგილებზე არსებული მდგომარეობის შესახებ გამოვიდნენ ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების 20 პარტორგანიზაციის წარმომადგენლები. თათბირმა განიხილა აგრეთვე ცენტრალური საკონტროლო კომისიის მოხსენება სულთან-გალიევის ანტიპარტიული, ანტისაბჭოთა საქმიანობის შესახებ. (თათბირის რეზოლუციები იხ. წიგნში «სსრკ კპ(ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1941, გვ. 525 — 530). — **321.**

76 პროექტი პლატფორმისა ნაციონალურ საკითხში დაწერილი იყო ი. ბ. სტალინის მიერ 1923 წლის მაისის დამლევს IV თათბირის მომზადებასთან დაკავშირებით და დამტკიცებულ იქნა 4 ივნისს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ. თათბირმა პროექტი მიიღო როგორც რეზოლუცია ი. ბ. სტალინის მოხსენების გამო — «პარტიის XII ყრილობის მიერ ნაციონალურ საკითხზე მიღებული რეზოლუციის ცხოვრებაში გატარების პრაქტიკული ღონისძიებანი». — **328.**

77 რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის კომისია სსრკავშირის შესახებ პრაქტიკულ წინადადებათა შესამუშავებლად შექმნილი იყო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1923 წლის 24 თებერვ-

ლის გადაწყვეტილებით. კომისიას მეთაურობდა ი. ბ. სტალინი; კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომისია ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შემუშავებას. — **359.**

78 სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ სსრ კავშირის კონსტიტუციის შესამუშავებლად შექმნილი კომისია შედგებოდა მოკავშირე რესპუბლიკების 25 წარმომადგენლისაგან. ი. ბ. სტალინი კომისიაში შედიოდა რსფს რესპუბლიკისაგან. კომისიის პლენარული სხდომები, რომლებზეც იხილავდნენ კონსტიტუციის პროექტს, მიმდინარეობდა 1923 წლის 8 ივნისიდან 16 ივნისამდე. — **369.**

79 ი. ბ. სტალინს მოჰყავს ციტატა კ. მარქსის 1856 წლის 16 აპრილის წერილისა ფ. ენგელსისადმი წიგნიდან: კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «წერილები». მ., 1922 (იხ. კ. მარქსი, ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXII. გვ. 139, რუს. გამ.). — **378.**

80 მუშა და გლეხ ქალთა სრულიად რუსეთის პირველი ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1918 წლის 16 ნოემბრიდან 21 ნოემბრამდე. ყრილობას ესწრებოდა 1 147 დელეგატი ქალი. 19 ნოემბერს ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა ვ. ი. ლენინი. ყრილობამ სურვილი გამოთქვა — შექმნილიყო პარტიულ კომიტეტებთან ქალთა შორის მუშაობის სპეციალური ორგანოები. ყრილობის შემდეგ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით პარტიულ კომიტეტებთან შეიქმნა ქალთა შორის აგიტაციისა და პროპაგანდის კომისიები, ხოლო რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა ცენტრალური კომისია. — **388.**

81 ლაპარაკია იმ კომისიაზე, რომელიც შეიქმნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და 1923 წლის 23 — 25 სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებით. — **389.**

82 რეზოლუცია პარტმშენებლობის შესახებ მიღებულია რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე 1923 წლის

5 დეკემბერს და გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდაში» № 278, 1923 წლის 7 დეკემბერს. — **410.**

83 იგულისხმება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი ათი პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად, რომელიც მიმდინარეობდა 1923 წლის 25 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრამდე. (პლენუმის რეზოლუცია იხ. წიგნში «საკ. კპ(ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1941, გვ. 531 — 532). — **410.**

84 იგულისხმება ანონიმური პლატფორმა, გამოშვებული რკპ(ბ) XII ყრილობის წინ კონტრრევოლუციური არალეგალური ჯგუფის მიერ, რომელიც თავისთავს «მუშათა ჯგუფს» უწოდებდა. («მუშათა ჯგუფი» შექმნილი იყო პარტიიდან გარიცხული მიასნიკოვისა და კუზნეცოვის მიერ 1923 წელს მოსკოვში, აერთიანებდა მონაწილეთა უმნიშვნელო რაოდენობას, ლიკვიდირებულ იქნა 1923 წლის შემოდგომაზე). — **417.**

85 ი. ჯ. სტალინს მხედველობაში აქვს «რკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში პარტიის XII ყრილობისათვის», გამოქვეყნებული ჟურნალში «რკპ(ბ) ც. კ-ის უწყებები» № 4 (52), 1923 წლის აპრილი. — **429.**

86 **«კომუნისტი»** — აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და ბაქოს კომიტეტის ორგანო, გამოდის აზერბაიჯანულ ენაზე. პირველი ნომერი არალეგალურად გამოსცა აზერბაიჯანის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ 1919 წლის 29 აგვისტოს; პირველი ნომრის გამოსვლის შემდეგ გაზეთი დახურა მუსავატელთა მთავრობამ. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაზეთის გამოცემა განახლდა 1920 წლის 30 აპრილიდან. ი. ბ. სტალინის მისალმება გამოქვეყნდა აზერბაიჯანულ ენაზე გაზეთ «კომუნისტში» 1923 წლის 29 დეკემბერს, ხოლო რუსულ ენაზე გაზეთებში: «ბაკინსკი რაბოჩი» — 1923 წლის 30 დეკემბერს და «ზარია ვოსტოკაში» — 1924 წლის 3 იანვარს. — **431.**

ბიოგრაფიული ქრონიკა

(*1921 — 1923*)

1921

1 — 2 იანვარი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს რსფსრ თურქ ხალხთა კომუნისტების თათბირს; გამოდის სიტყვით თათბირის გახსნისას და მოხსენებით ორგანიზაციულ საკითხზე.

5 იანვარი. ი. ბ. სტალინმა დაწერა სტატია «ჩვენი უთანხმოებანი»; სტატია გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 12, 1921 წ. 19 იანვარს.

14 იანვარი. ი. ბ. სტალინი გამოდის მოხსენებით მიმდინარე მომენტის შესახებ პირველი საზღვაო სანაპირო რაზმის თეატრში შემდგარ მიტინგზე (პეტროგრადი).

17 იანვარი. ი. ბ. სტალინი გამოდის რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე სიტყვით წარმოებაში პროფკავშირების როლის საკითხის გამო, ტროცკისა და ბუხარინის თეზისების წინააღმდეგ, ლენინური «10-ის პლატფორმის» დასაცავად.

18 იანვარი. ი. ბ. სტალინი გამოდის რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე არმიის სამილიციო სისტემაზე გადაყვანის წინააღმდეგ, იცავს კადრის

არმიის გაძლიერებისა და განმტკიცების წინადადებას.

19 იანვარი. ი. ბ. სტალინი თავმჯდომარეობს ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატის ეროვნებათა საბჭოს სხდომას; მას ირჩევენ ეროვნებათა საბჭოს დებულების პროექტის შემმუშავებელ კომისიაში.

5 თებერვალი. ი. ბ. სტალინის თეზისები «პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში» განხილულ იქნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე; თეზისების საბოლოო რედაქტირებისათვის შეიქმნა კომისია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

7 თებერვალი. ი. ბ. სტალინი და ვ. ი. ლენინი კომისიის სხვა წევრებთან ერთად რედაქციას უკეთებენ თეზისებს ნაციონალურ საკითხზე რკპ(ბ) X ყრილობისათვის.

10 თებერვალი. ი. ბ. სტალინის თეზისები «პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში» გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 29.

12 თებერვალი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება დაღისტნის ასსრ წარმომადგენლებს.

15 თებერვალი. ი. ბ. სტალინი გ. კ. ორჯონიკიძეს ბაქოში უგზავნის დეპეშას, სადაც მოცემულია რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივები XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოსათვის, და სთხოვს ყოველდღე აცნობოს მას ამბების მსვლელობა კავკასიაში.

16 თებერვალი. ი. ბ. სტალინი შეკითხვას უგზავნის გ. კ. ორჯონიკიძეს, თუ რა მდგომარეობაა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

28 თებერვალი. ი. ბ. სტალინი ბარათს სწერს ვ. ი. ლენინს — საჭიროა ბათუმის დაცვა თურქებისაგანო.

3 მარტი. ი. ბ. სტალინმა პირდაპირი მავთულით გადასცა ქართველ კომუნისტებს ვ. ი. ლენინის მისალმება და დირექტივები.

5 მარტი. ი. ბ. სტალინი ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატთან არსებული ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე გამოდის მოხსენებით ეროვნებათა საბჭოს დებულების შემმუშავებელი კომისიის მუშაობის შედეგების შესახებ.

8 — 16 მარტი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს რკპ(ბ) X ყრილობის მუშაობაში.

8 მარტი. რკპ(ბ) X ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს ყრილობის პრეზიდიუმში.

9 მარტი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს საბჭოთა მთავრობის მოლაპარაკებაში თურქეთის დელეგაციასთან.

10 მარტი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) X ყრილობაზე გამოდის მოხსენებით «პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში».

13 მარტი. ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინს სწერს ბარათს კრონშტადტის ამბოხების ჩასახშობად რკპ(ბ) X ყრილობის დელეგატების გაგზავნის შესახებ.

14 მარტი. რკპ(ბ) X ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად.

15 მარტი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) X ყრილობაზე გამოდის ინფორმაციით ნაციონალურ საკითხზე რეზოლუციის შემმუშავებელი კომისიის სახელით.

16 მარტი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ი. ბ. სტალინი აირჩია პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლტბიუროს და ორგბიუროს წევრად.

მარტი. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინს სწერს წერილს რუსეთის ელექტროფიკაციის გეგმის შესახებ.

16 აპრილი. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინს უგზავნის თავის შენიშვნებს სათბობის მთავარი სამმართველოს შესახებ დებულების პროექტის გამო.

19 აპრილი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაში; იგი შეჰყავთ აზერბაიჯანის ნავთობის კომიტეტის კომპეტენციის გაფართოების შესახებ დადგენილების პროექტის შემმუშავებელი კომისიის შემადგენლობაში.

22 აპრილი. ი. ბ. სტალინი სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს უგზავნის კომის ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული პროექტის ტექსტს.

25 აპრილი. ი. ბ. სტალინი ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატთან არსებული ეროვნებათა საბჭოს სხდომას მოახსენებს იმ შესწორებებს, რომლებიც სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა შეიტანა «ეროვნებათა საბჭოს დებულებაში», და გამოდის კამათში კომის ავტონომიური ოლქის შექმნის საკითხზე.

2 მაისი ი. ბ. სტალინმა დაწერა სტატია «ნაციონალური საკითხის დაყენებისათვის»; სტატია გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 98, 1921 წ. 8 მაისს.

5 მაისი. ი. ბ. სტალინი ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომაზე გამოდის ინ-

ფორმაციით იმ დეკრეტის პროექტის გამო, რომლის თანახმადაც ყველა სახალხო კომისარიატმა ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატის დასკვნისათვის უნდა წარმოადგინოს ხოლმე კანონპროექტები და დადგენილებანი, რაც კი სხვადასხვა ეროვნებას შეეხება.

10 მაისი. ი. ბ. სტალინი სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე გამოდის ადგილებზე მუშათა და გლეხთა ინსპექციის საკითხის გამო.

16 მაისი. ი. ბ. სტალინი თავმჯდომარეობს ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომას. კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება — მოწვეული ყოფილიყო იაკუტ მშრომელთა ყრილობა იაკუტიის ავტონომიური ოლქის შექმნის საკითხის განსახილველად.

16 — 25 მაისი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის იმ კომისიის მუშაობაში, რომელიც შექმნილი იყო პროფკავშირთა სრულიად რუსეთის IV ყრილობის მოსამზადებლად და ჩასატარებლად.

18 მაისი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალებით გამოდის პროფკავშირთა სრულიად რუსეთის IV ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს მიერ ყრილობაზე წარმოდგენილი ანგარიშის გამო ანარქო-სინდიკალისტური ჯგუფის რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ.

19 მაისი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს იმ კომისიის მუშაობაში, რომელიც შექმნილი იყო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ პროფკავშირთა სრულიად რუსეთის IV ყრილობაზე ტომსკის ანტიპარტიული მოქმედების გამოსაკვლევად.

მაისის დამლევი. ი. ბ. სტალინი სამკურნალოდ მიემგზავრება ქ. ნალჩიკში.

12 ივნისი. ი. ბ. სტალინი მისალმებას უგზავნის ყაბარდოს ოლქის საბჭოების IV ყრილობას.

17 ივნისი. ი. ბ. სტალინი მისალმების დეპეშას უგზავნის მთიელ ქალთა I ყრილობას.

ივნისის დამლევი. ი. ბ. სტალინი ნალჩიკიდან მიემგზავრება თბილისს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პლენუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

2 — 7 ივლისი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პლენუმის მუშაობაში.

4 ივლისი. ვ. ი. ლენინი დეპეშით ეკითხება გ. კ. ორჯონიკიძეს, რატომ არ აძლევდნენ ი. ბ. სტალინს დასვენების შესაძლებლობას, და სთხოვს გაუგზავნოს ექიმების დასკვნა ი. ბ. სტალინის ჯანმრთელობის შესახებ.

6 ივლისი. ი. ბ. სტალინი თბილისის პარტიული ორგანიზაციის საერთო კრებაზე გამოდის მოხსენებით «კომუნიზმის მორიგ ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში». მოხსენება გამოქვეყნდა გაზეთში «პრავდა გრუზიი» № 108, 1921 წ. 13 ივლისს.

7, 8, 14 ივლისი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში. ი. ბ. სტალინის წინადადებით პლენუმმა განიხილა საკითხი საქართველოს კომუნისტური პარტიის პოლიტიკისა სახალხო მეურნეობის აღდგენის და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში.

25 ივლისი. ვ. ი. ლენინი ეკითხება გ. კ. ორჯონიკიძეს, რამდენი დღით შეაწყვეტინეს დასვენება ი. ბ. სტალინს,

და სთხოვს აცნობოს იმ ექიმის გვარი და მისამართი, რომელიც ი. ბ. სტალინს მკურნალობს.

6 აგვისტო. ი. ბ. სტალინი ნალჩიკიდან მოსკოვს მიემგზავრება.

18 აგვისტო. ვ. ი. ლენინი განკარგულებას აძლევს სახელმწიფო საგეგმო კომისიას — ხელი შეუწყოს ი. ბ. სტალინს — გაეცნოს მთელ ეკონომიურ მასალას, განსაკუთრებით ოქროს მრეწველობისა და ბაქოს ნავთობის მრეწველობის შესახებ.

22 აგვისტო. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ი. ბ. სტალინს აკისრებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების მუშაობის საერთო ხელმძღვანელობას.

28 აგვისტო. ი. ბ. სტალინის სტატია «პარტია ძალაუფლების აღებამდე და მისი აღების შემდეგ» გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 190.

6 — 8 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს რკინიგზის ტრანსპორტის ცენტრალური აპარატის მუშაობის გასაუმჯობესებლად რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ შექმნილ კომისიაში.

22 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე აირჩიეს მთიელ მოსახლეობასა (ჩაჩნებსა) და კაზაკებს შორის მიწის განაწილების საკითხზე შექმნილ კომისიაში.

27 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი იღებს ვ. ი. ლენინის წერილს «მუშგლეხინის ამოცანების, მათი გაგებისა და მათი შესრულების საკითხისათვის» და სწერს ვ. ი. ლენინს «პასუხს ინსპექციის შესახებ».

3 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდო-

მაზე არჩეულ იქნა საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობის მომზადების კომისიაში.

5 ნოემბერი. ი. ბ. სტალინის სტატია «ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ნაციონალური პოლიტიკა» გამოქვეყნდა გაზეთში «ეიზნ ნაციონალნოსტეი» № 24 (122).

13 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი პარტიის კრასნაია პრესნიას რაიკომის კლუბში კითხულობს ლექციას «კომუნისტების პოლიტიკური სტრატეგიის და ტაქტიკისა და ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ».

17 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაში, სადაც განხილულ იქნა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების — კომუნების, არტელებისა და მიწის საზოგადოებრივი დამუშავების ამხანაგობათა საკითხი.

18 ნოემბერი. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ი. ბ. სტალინი დაამტკიცა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის «ვესტნიკ აგიტაციი ი პროპაგანდი»-ს ერთერთ რედაქტორად.

28 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინისაგან იღებს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შექმნის შესახებ წინადადების პროექტს და წერს თავის შენიშვნებსა და შესწორებას პროექტისადმი. ვ. ი. ლენინი იღებს ი. ბ. სტალინის შესწორებას.

29 ნოემბერი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო იღებს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის რეზოლუციას ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შესახებ.

18 დეკემბერი. ი. ბ. სტალინის სტატია «პერსპექტივები» გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 286.

20 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი სახალხო კომისართა საბჭოს სხვა წევრებთან ერთად ხელს აწერს რსფსრ ელექტროფიკაციის გეგმის შესახებ სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტს.

23 დეკემბერი. საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს პრეზიდიუმში.

28 დეკემბერი. საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად.

29 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი სრულიად რუსეთის IX მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სესიის მიერ არჩეულია სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად და დამტკიცებულია ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრად და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრად.

დეკემბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ სოფლად მუშაობის საკითხზე შექმნილ კომისიაში.

1922

9 იანვარი. ი. ბ. სტალინი თავმჯდომარეობს ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომას და გამოდის ყარაჩაი-ჩერქეზეთის ოლქის შექმნის საკითხზე.

14 იანვარი. ი. ბ. სტალინი ვ. მ. მოლოტოვს უგზავნის პროექტს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ცირკულარული წერილისას თურქესტანის კომპარტიისადმი.

16 იანვარი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე გამოდის წინადადებით — მოწვეულ იქნას დამოუკიდებელი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა კონფერენცია იმ საკითხის განსახილველად, რომ გენუის კონფერენციაზე გაიგზავნოს ერთიანი წარმომადგენლობა.

21 იანვარი. ი. ბ. სტალინი თავმჯდომარეობს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომას და გამოდის 1922 წლის ბიუჯეტის ვადასინჯვის საკითხის გამო.

27 იანვარი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს სრულიად რუსეთის IX მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე საგანგებო სესიის სხდომაში; სესია იხილავდა გენუის კონფერენციაზე დელეგაციის გაგზავნის საკითხს.

28 იანვარი. ი. ბ. სტალინი გამოდის «ძველი ბოლშევიკების საზოგადოების» დამფუძნებელ სხდომაზე საზოგადოების წესდების საკითხის გამო.

ი. ბ. სტალინი თავმჯდომარეობს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომას და გამოდის მუშგლეხინის სახალხო კომისარიატის საოლქო რწმუნებულთა შესახებ დებულებისათვის ინსტრუქციის შედგენის საკითხის გამო.

14 თებერვალი. ი. ბ. სტალინი და ა. დ. ციურუპა იღებენ პროფესორთა — უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების წარმომადგენელთა ჯგუფს.

22 თებერვალი. ი. ბ. სტალინი ქართველ კომუნისტებს სწერს, რომ აუცილებელია გატარდეს პრაქტიკული ღო-

ნისძიებანი საქართველოს წითელი არმიის გაძლიერების შესახებ ვ. ი. ლენინის მიერ მოცემულ მითითებათა შესასრულებლად.

28 თებერვალი. ი. ბ. სტალინი იღებს ვ. ი. ლენინის ბარათს იმის შესახებ, რომ საჭიროა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში დამზადდეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ კერძო გაერთიანებათა და საწარმოთა კონტროლის გაწევის პროექტი.

21 მარტი. ი. ბ. სტალინი იღებს ვ. ი. ლენინის წერილს იმის შესახებ, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მუშაკები გამოყენებულ იქნან სახკომსაბჭოს აპარატის დასახმარებლად გადაწვეტილებათა შესრულების შემოწმების საქმეში.

27 მარტი — 2 აპრილი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს რკპ(ბ) XI ყრილობის მუშაობაში.

27 მარტი. რკპ(ბ) XI ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს ყრილობის პრეზიდიუმში.

28 მარტი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) XI ყრილობაზე არჩეულ იქნა 22-ის (ყოფილი «მუშათა ოპოზიციის» ჯგუფის) საქმეზე შექმნილ კომისიაში.

29 — 30 მარტი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს 22-ის (ყოფილი «მუშათა ოპოზიციის» ჯგუფი) საქმეზე რკპ(ბ) XI ყრილობის მიერ შექმნილი კომისიის მუშაობაში.

31 მარტი. რკპ(ბ) XI ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს კომისიაში, რომელსაც დაევალა პარტიის საფინანსო პოლიტიკის შესახებ რეზოლუციის საბოლოო რედაქტირება.

2 აპრილი. რკპ(ბ) XI ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად.

3 აპრილი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ვ. ი. ლენინის წინადადებით ი. ბ. სტალინს ირჩევს პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად.

28 აპრილი. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინს სწერს წერილს გლეხობის თესლეულით მომარაგების წესის შეცვლის შესახებ.

4 მაისი. ი. ბ. სტალინმა დაწერა სტატია ««პრავდის» ათი წლისთავისათვის (მოგონებანი)»; სტატია გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში». № 98, 1922 წ. 5 მაისს.

5 მაისი. ი. ბ. სტალინის მისალმება «პრავდისადმი» ამ გაზეთის ათი წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 98.

12 — 17 მაისი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიაში, რომელსაც დაევალა უკრაინის სსრ და რუსეთის სფსრ ცენტრალური ორგანოების ურთიერთდამოკიდებულების დებულებათა შემუშავება.

19 მაისი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წერილი კომინტერნის აღმასკომისადმი ერთიანი ფრონტის ტაქტიკის შესახებ, ხელმოწერილი ი. ბ. სტალინის მიერ, გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 110.

7 ივნისი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს კომინტერნის აღმასკომის II გაფართოებული პლენუმის სხდომაში.

15 ივნისი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წერილი ყირგიზეთის რესპუბლიკის კომუნისტებისადმი, ხელმოწე-

რილი ი. ბ. სტალინის მიერ, გამოქვეყნდა ჟურნალში «ჟიზნ ნაციონალნოსტეი» № 12 (147).

9 ივლისი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წერილი საგუბერნიო კომიტეტებისა, საოლქო კომიტეტებისა, ცენტრალური კომიტეტის ნაციონალური და საოლქო ბიუროებისადმი სასურსათო გადასახადის კამპანიის ჩატარების შესახებ, ხელმოწერილი ი. ბ. სტალინის მიერ, გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 151.

13 ივლისი. ი. ბ. სტალინი ეწვია ვ. ი. ლენინს გორკაში.

14 ივლისი. ი. ბ. სტალინი ტელეგრაფით აცნობებს გ. კ. ორჯონიკიძეს ვ. ი. ლენინის ჯანმრთელობის მდგომარეობას.

8 აგვისტო. ი. ბ. სტალინი თავმჯდომარეობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ XII პარტკონფერენციის საქმეებზე გამოყოფილი ორგანიზაციული კომისიის სხდომას.

4 — 7 აგვისტო. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს რკპ(ბ) სრულიად რუსეთის XII კონფერენციის მუშაობაში.

4 აგვისტო. რკპ(ბ) XII კონფერენცია ი. ბ. სტალინს ირჩევს პრეზიდიუმში.

5 აგვისტო. ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინს იბარებს გორკაში და ავალებს მას გადასცეს მისალმება სრულიად რუსეთის XII პარტიულ კონფერენციას.

ი. ბ. სტალინი საღამოს სხდომაზე კონფერენციას გადასცემს ვ. ი. ლენინის მისალმებას.

11 აგვისტო. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შექმნილია კომისია ი. ბ. სტალინის მეთაურობით რკპ(ბ) ცენტ-

რალური კომიტეტის პლენუმისათვის რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ და ამიერკავკასიის ფედერაციის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის მოსამზადებლად.

15 სექტემბერი. ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილია შენიშვნები მის მიერ გორკაში ვ. ი. ლენინის ნახვის გამო.

25 — 24 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის იმ კომისიის მუშაობაში, რომელიც შექმნილი იყო რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ და ამიერკავკასიის ფედერაციის ურთიერთდამოკიდებულების საკითხზე.

27 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება ვ. ი. ლენინს საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების საკითხზე.

6 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გამოდის მოხსენებით რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ და ამიერკავკასიის ფედერაციის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის გამო. პლენუმმა დანიშნა კომისია ი. ბ. სტალინის მეთაურობით საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანებისათვის საჭირო მოსამზადებელი მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

16 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს აცნობებს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას ამიერკავკასიის ფედერაციის შენარჩუნებისა და მისი რსფს რესპუბლიკასთან, უკრაინისა და ბელორუსიის რესპუბლიკებთან ერთად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად გაერთიანების შესახებ.

30 ოქტომბერი. პარტიის ცენტრალური კომიტეტი ი. ბ. სტალინს ამტკიცებს კომინტერნის IV კონგრესის დელეგატად.

5 ნოემბერი. ი. ბ. სტალინის მისალმება პეტროგრადისადმი ოქტომბრის ხუთი წლისთავის გამო გამოქვეყნებულია გაზეთ «პეტროგრადსკაია პრავდაში» № 251.

18 ნოემბერი. ი. ბ. სტალინის საუბარი «პრავდის» კორესპონდენტთან დამოუკიდებელი ნაციონალური რესპუბლიკების გაერთიანების საკითხზე გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდაში» № 261.

21 — 28 ნოემბერი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის კომისია ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით ამუშავებს «საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის ძირითად პუნქტებს».

30 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე გამოდის მოხსენებით რესპუბლიკების კავშირის შესახებ. პოლიტბიურომ ი. ბ. სტალინის მოხსენების გამო დაამტკიცა «საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის ძირითადი პუნქტები».

5 დეკემბერი. ი. ბ. სტალინს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის კომისიის სხდომაზე ირჩევენ რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციისა და დეკლარაციის ტექსტის შემმუშავებელ ქვეკომისიაში.

5 და 16 დეკემბერს შუა. ი. ბ. სტალინი წერს «საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის დეკლარაციის» პროექტს.

16 დეკემბერი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის კომისია ი. ბ. სტალინის თავმჯდომარეობით იღებს სსრ კავშირის შექმნის ხელშეკრულების პროექტს და დეკლარაციის პროექტს, რომელიც წარმოდგენილი იყო ი. ბ. სტალინის მიერ.

18 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გამოდის მოხსენებით საბჭოთა რესპუბლიკების სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტის შესახებ. პლენუმი ნიშნავს კომისიას ი. ბ. სტალინის მეთაურობით სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობის მოსამზადებლად.

20 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობის მოსამზადებლად გამოყოფილი კომისიის სხდომას.

23 — 27 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობის მუშაობაში.

23 დეკემბერი. საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს პრეზიდიუმში.

26 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობაზე გამოდის მოხსენებით საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ.

ი. ბ. სტალინი საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე გამოდის სიტყვით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საკითხის გამო.

27 დეკემბერი. საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად და რსფს რესპუბლიკის დელეგატად სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობაზე.

28 დეკემბერი. სრულიად რუსეთის X მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სესია ი. ბ. სტალინს ირჩევს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად და ამტკიცებს ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრად.

29 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი გამოდის რსფსრ, უსსრ, ა.-კ. სფსრ და ბსსრ სრულუფლებიანი დელეგაციების კონფერენციაზე ინფორმაციით სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობის მუშაობის წესრიგის შესახებ. კონფერენცია ავალებს ი. ბ. სტალინს გამოვიდეს ყრილობაზე მოხსენებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ.

30 დეკემბერი. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების I ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს ყრილობის პრეზიდიუმში.

30 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების I ყრილობაზე გამოდის მოხსენებით სსრ კავშირის შექმნის შესახებ. ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად.

ი. ბ. სტალინი სიტყვით გამოდის სსრ კავშირის I მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სესიის სხდომაზე და არჩეულია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში.

31 დეკემბერი. ი. ბ. სტალინის სურვილი 1923 წლისათვის გამოქვეყნებულია გაზეთ «იზვესტიაში» № 1.

1923

2 იანვარი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკის შექმნის საკითხზე ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატთან გამოყოფილი კომისიის სხდომაში.

10 იანვარი. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ი. ბ. სტალინს ირჩევს სსრ კავშირის სახალხო კომისარიატთა აღნაგობის პროექტის შემდგენელ კომისიაში.

28 იანვარი. ი. ბ. სტალინი ი. მ. სვერდლოვის სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტში კითხულობს ლექციას «პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ».

4 თებერვალი. ი. ბ. სტალინს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში შეაქვს წინადადება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში შეიქმნას მეორე პალატა — სსრ კავშირის ყველა ხალხის ინტერესთა წარმომადგენელი ორგანო.

21 — 24 თებერვალი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში.

21 თებერვალი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა ი. ბ. სტალინის პროექტი თეზისებისა ნაციონალურ საკითხზე პარტიის XII ყრილობისათვის. თეზისების საბოლოო რედაქტირებისათვის შექმნილია კომისია ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ი. ბ. სტალინს ირჩევს კომისიაში, რომელსაც დავალებული აქვს ორგანიზაციულ საკითხზე რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის თეზისების საბოლოოდ შემუშავება პარტიის XII ყრილობისათვის.

24 თებერვალი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ამტკიცებს კომისიას ი. ბ. სტალინის თავმჯდომარეობით სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შემუშავებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

11 — 12 მარტი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით ყველა საგუბერნიო კომიტეტს, საოლქო კომიტეტს, ნაციონალური კომუნისტური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს და ცენტრალური კომიტეტის წევრებს დეპეშით

აცნობებს ვ. ი. ლენინის ჯანმრთელობის მდგომარეობას.

14 მარტი. ი. ბ. სტალინის სტატია «რუსი კომუნისტების სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხისათვის» გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდის» 56-ე ნომერში, რომელიც მიძღვნილი იყო რკპ(ბ) 25 წლისთავისადმი.

22 მარტი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე გამოდის თეზისებით ნაციონალური საკითხის შესახებ პარტიის XII ყრილობისათვის. პოლიტბიურო იღებს გადაწყვეტილებას — გამოქვეყნდეს თეზისები როგორც რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებული.

24 მარტი. ი. ბ. სტალინის თეზისები «ნაციონალური მომენტები პარტიულ და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში» გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდაში» № 65.

3 აპრილი. მოსკოვის X საგუბერნიო პარტიული კონფერენცია ი. ბ. სტალინს ირჩევს რკპ(ბ) XII ყრილობის დელეგატად.

17 — 25 აპრილი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს რკპ(ბ) XII ყრილობის მუშაობაში.

17 აპრილი. რკპ(ბ) XII ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს ყრილობის პრეზიდიუმში.

ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) XII ყრილობაზე გამოდის რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციული ანგარიშით.

19 აპრილი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) XII ყრილობაზე გამოდის საბოლოო სიტყვით რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციული ანგარიშის გამო.

25 აპრილი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) XII ყრილობაზე გამოდის მოხსენებით «ნაციონალურ მომენტებზე პარტიულ და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში».

24 აპრილი. რკპ(ბ) XII ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად.

25 აპრილი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) XII ყრილობის ნაციონალური სექციის მუშაობას, გამოდის სექციაში სსრ კავშირის კონსტიტუციის საკითხებზე.

ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) XII ყრილობაზე გამოდის საბოლოო სიტყვით მოხსენების გამო — «ნაციონალურ მომენტებზე პარტიულ და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში».

26 აპრილი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ი. ბ. სტალინს ირჩევს პოლიტბიუროს და ორგბიუროს წევრად, წარმომადგენლად ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში და ამტკიცებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად.

6 მაისი. ი. ბ. სტალინის სტატია «პრესა როგორც კოლექტიური ორგანიზატორი» გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდაში» № 99.

10 მაისი. ი. ბ. სტალინის სტატია «რაც უფრო შესტოპავ...» გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდაში» № 102.

24 მაისი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ი. ბ. სტალინს ამტკიცებს სსრ კავშირის კონსტიტუციის შესამუშავებლად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ შექმნილი გაფართოებული კომისიის წევრად რსფს რესპუბლიკისაგან.

მაისი — ივნისი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს კონსტიტუციის შესამუშავებლად **სსრ კავშირის** ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ შექმნილი გაფართოებული კომისიის მუშაობაში.

4 ივნისი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე გამოდის ინფორმაციით იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის IV თათბირისა ნაციონალური რესპუბლიკების და ოლქების პასუხისმგებელ მუშაკებთან. პოლიტბიურომ დაამტკიცა ი. ბ. სტალინის მიერ წარმოდგენილი პროექტი პლატფორმისა ნაციონალურ საკითხში.

9 — 12 ივნისი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების პასუხისმგებელ მუშაკებთან გამართული IV თათბირის მუშაობას.

10 ივნისი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების პასუხისმგებელ მუშაკებთან გამართულ IV თათბირზე გამოდის სიტყვით მემარჯვენეებსა და «მემარცხენეებზე» ნაციონალურ რესპუბლიკებსა და ოლქებში და მოხსენებით რკპ(ბ) XII ყრილობის მიერ ნაციონალური საკითხის გამო მიღებული რეზოლუციის ცხოვრებაში გატარების პრაქტიკულ ღონისძიებათა შესახებ.

12 ივნისი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების პასუხისმგებელ მუშაკებთან გამართულ IV თათბირზე გამოდის საბოლოო სიტყვით მოხსენების გამო.

14 ივნისი. ი. ბ. სტალინი გამოდის ერთიანი საკავშირო მოქალაქეობის საკითხის გამო სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის

მიერ კონსტიტუციის შესამუშავებლად შექმნილი გაფართოებული კომისიის სხდომაზე.

22 — 23 ივნისი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს რკპ(ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის მუშაობაში.

26 ივნისი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გამოდის მოხსენებით სსრ კავშირის კონსტიტუციის შესახებ.

8 ივლისი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ი. ბ. სტალინის ხელმოწერით იმის შესახებ, რომ ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი ყველა ბარათი, წერილი, შენიშვნა და სხვა დოკუმენტები გადაეცეს ვ. ი. ლენინის ინსტიტუტს, რომელიც მოსკოვში ეწყობა, გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 151.

14 ივლისი. მიმართვა «მსოფლიოს ყველა ხალხისა და მთავრობისადმი» ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიის მიერ სსრ კავშირის კონსტიტუციის დამტკიცებასთან დაკავშირებით, ხელმოწერილი ი. ბ. სტალინისა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხვა წევრების მიერ, გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 156.

23 — 25 სექტემბერი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას.

25 — 27 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის მუშაობას, რომელიც შედგა ათი პარტორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად.

7 ნოემბერი. ი. ბ. სტალინის სტატია «ოქტომბრის რევოლუცია და საშუალო ფენების საკითხი» გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 253.

10 ნოემბერი. ი. ბ. სტალინმა დაწერა სტატია «მუშა და გლეხ ქალთა პირველი ყრილობის ხუთი წლისთავისათვის»; სტატია გამოქვეყნდა ჟურნალ «კომმუნისტკაში» № 11, 1923 წ. ნოემბერი.

17 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი გამოდის სიტყვით სამხედრო აკადემიაში შემდგარ საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიძღვნილი იყო ცხენოსანი არმიის ოთხი წლისთავისადმი.

2 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი რკპ(ბ) კრასნაია პრესნიას რაიონული კომიტეტის გაფართოებულ კრებაზე გამოდის მოხსენებით «პარტიის ამოცანების შესახებ».

5 დეკემბრამდე. ი. ბ. სტალინი მონაწილეობს პარტიული მშენებლობის შესახებ რეზოლუციის პროექტის შესამუშავებლად რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ შექმნილი ქვეკომისიის მუშაობაში. რეზოლუცია მიღებულია რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის 5 დეკემბრის გაერთიანებულ სხდომაზე და გამოქვეყნებულია 7 დეკემბერს გაზეთ «პრავდაში» № 278.

15 დეკემბერი. ბ. სტალინის სტატია «დისკუსიისა, რაფაილისა, პრეობრაჟენსკის და საპრონოვის სტატიებისა და ტროცკის წერილის შესახებ» და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა რკპ(ბ) ყველა ორგანიზაციისადმი შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ დისკუსიასთან დაკავშირებით, ხელმოწერილი ი. ბ. სტალინის მიერ, გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდაში» № 285.

28 დეკემბერი. ი. ბ. სტალინის სტატია «საჭირო შენიშვნა (რაფაილის შესახებ)» გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდაში» № 294.

შინაარსი

გვ.

წინასიტყვაობა VII

1921

სიტყვა, წარმოთქმული რსფსრ თურქ ხალხთა კომუნისტების თათბირის გახსნისას. 1921 წ. 1 იანვარი (საღამო ჩანაწერი) 1

ჩვენი უთანხმოებანი . . . . . 4 — 15

I. მუშათა მასებისადმი მიდგომის ორი მეთოდი . 5

II. დემოკრატიზმი შეგნებული და «დემოკრატიზმი» იძულებითი 8

პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში. თეზისები რკპ(ბ) X ყრილობისათვის, დამტკიცებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ . . . . . 16 — 31

I. კაპიტალისტური წყობილება და ნაციონალური ჩაგვრა. 16

II. საბჭოთა წყობილება და ნაციონალური თავისუფლება 20

III. რკპ მორიგი ამოცანები 25

რკპ(ბ) X ყრილობა. 1921 წ. 8 — 16 მარტი . . . 33 — 52

1. მოხსენება პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში. 10 მარტი 35

2. საბოლოო სიტყვა. 10 მარტი 48

წერილი ვ. ი. ლენინს 53
ნაციონალური საკითხის დაყენებისათვის . . 56
მისალმება მთიელ ქალთა პირველ ყრილობას . 65
რუსი კომუნისტების პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ. ბროშურის გეგმის მონასახი . . . . . 67 — 95
I. ტერმინების განსაზღვრა და გამოკვლევის საგანი . 67
II. ისტორიული შემობრუნებანი რუსეთის განვითარებაში 72
III. საკითხები 78
კომუნიზმის მოძრიგ ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში. მოხსენება საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის საერთო კრებაზე. 1921 წ. 6 ივლისი . . . 96
პარტია ძალაუფლების აღებამდე და მისი აღების შემდეგ 110
ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ნაციონალური პოლიტიკა 123
პერსპექტივები 128

1922

«პრავდას» 140
«პრავდის» ათი წლისთავისათვის (მოგონებანი) . 141 — 146
1. ლენის დღეები 141
2. «პრავდის» დაარსება 142
3. «პრავდის» ორგანიზაციული მნიშვნელობა . . 144
ამხ. ლენინი ისვენებს. შენიშვნები 147
მისალმება პეტროგრადს. დეპუტატების საბჭოს . 151
დამოუკიდებელი ნაციონალური რესპუბლიკების გაერთიანების საკითხი. საუბარი გაზეთ «პრავდის» კორესპონდენტთან 152

საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ. მოხსენება საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობაზე. 1922 წლის 26 დეკემბერი . . . 160

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ. მოხსენება სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობაზე. 1922 წ. 30 დეკემბერი 172

1923

რუსი კომუნისტების სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხისათვის . . . . . 176 — 198

I. წინასწარი ცნებანი . . . . . 176 — 190

1. მუშათა მოძრაობის ორი მხარე . . . 176

2. მარქსიზმის თეორია და პროგრამა . . . 178

3. სტრატეგია 179

4. ტაქტიკა 182

5. ბრძოლის ფორმები 185

6. ორგანიზაციის ფორმები 186

7. ლოზუნგი. დირექტივა 187

II. სტრატეგიული გეგმა . . . . . 190 — 198

1. ისტორიული შემობრუნებანი. სტრატეგიული გეგმები 190

2. პირველი ისტორიული შემობრუნება და კურსი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისაკენ რუსეთში 191

3. მეორე ისტორიული შემობრუნება და კურსი პროლეტარიატის დიქტატურისაკენ რუსეთში . 193

4. მესამე ისტორიული შემობრუნება და კურსი პროლეტარული რევოლუციისაკენ ევროპაში . 195

ნაციონალური მომენტები პარტიულ და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში. თეზისები რკპ(ბ) XII ყრილობისათვის, მოწონებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ . . . . . 199 — 213

I. 199
II. 210

რკპ(ბ) XII ყრილობა. 1923 წ. 17 — 25 აპრილი . . 215 — 310

1. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ანგარიში. 17 აპრილი 217
2. საბოლოო სიტყვა ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ანგარიშის გამო. 19 აპრილი . . 246
3. მოხსენება პარტიულ და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში ნაციონალური მომენტების შესახებ. 23 აპრილი 261
4. საბოლოო სიტყვა პარტიულ და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში ნაციონალური მომენტების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო. 25 აპრილი . 292
5. პასუხი რეზოლუციის შესწორებათა გამო. 25 აპრილი 305
6. დამატება ნაციონალური საკითხის კომისიის მოხსენებისა. 25 აპრილი 309

ბეჭდვითი სიტყვა როგორც კოლექტიური ორგანიზატორი 311

რაც უფრო შესტოპავ... 316

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მეოთხე თათბირი ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების პასუხისმგებელ მუშაკებთან. 1923 წ. 9 — 12 ივნისი . . . . . 321 — 375

1. პროექტი პლატფორმისა ნაციონალურ საკითხში IV თათბირისათვის, მოწონებული ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ . . . . 323 — 331

   ნაციონალურ საკითხში პარტმუშაობის ზოგადი ხაზი 323

   კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე პალატის შექმნასა და რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისარიატების მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები . 325

პარტიულ და საბჭოთა მშენებლობაში ადგილობრივი მოსახლეობის მშრომელი ელემენტების ჩაბმის ღონისძიებანი 328

ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული მდგომარეობის ამაღლების ღონისძიებანი . . 329

სამეურნეო მშენებლობა ნაციონალურ რესპუბლიკებსა და ოლქებში ნაციონალურ-ყოფაცხოვრებით თავისებურებათა თვალსაზრისით 329

ნაციონალური საჯარისო ნაწილების შედგენის პრაქტიკულ ღონისძიებათა შესახებ . . . 330

პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენება . 331

პარტიული და საბჭოთა მუშაკების შერჩევა ნაციონალურ საკითხზე XII ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუციის ცხოვრებაში გატარების თვალსაზრისით 331

2. მემარჯვენეებსა და «ძემარცხენეებზე» ნაციონალურ რესპუბლიკებსა და ოლქებში. სიტყვა თათბირის დღის წესრიგის პირველი პუნქტის — «სულთან-გალიევის საქმის» გამო. 10 ივნისი . 332

3. პარტიის XII ყრილობის მიერ ნაციონალურ საკითხზე მიღებული რეზოლუციის განხორციელების პრაქტიკული ღონისძიებანი. მოხსენება დღის წესრიგის მეორე პუნქტის გამო. 10 ივნისი. 345

4. საბოლოო სიტყვა. 12 ივნისი 360

5. პასუხი გამოსვლებზე. 12 ივნისი 374

ოქტომბრის რევოლუცია და საშუალო ფენების საკითხი 376

მუშა და გლეხ ქალთა პირველი ყრილობის ხუთი წლისთავისათვის 383

სიტყვა საზეიმო სხდომაზე სამხედრო აკადემიაში. 1923 წ. 17 ნოემბერი. (მოკლე საგაზეთო ანგარიში) 387

პარტიის ამოცანების შესახებ. მოხსენება რკპ(ბ) კრასნაია პრესნიას რაიონული კომიტეტის გაფართოებულ კრებაზე ჯგუფთა ორგანიზატორებთან, სადისკუსიო კლუბისა და უჯრედთა ბიუროების წევრებთან ერთად. 1923 წ. 2 დეკემბერი . . . 389 — 407

დისკუსია პარტიის ძალის ნიშანია 390

დისკუსიის მიზეზები 391

შინაპარტიული ცხოვრების ნაკლოვანებანი . . 392

ნაკლოვანებათა მიზეზები 395

როგორ აღმოვფხვრათ შინაპარტიული ცხოვრების ნაკლოვანებანი? 398

დისკუსიისა, რაფაილისა, პრეობრაჟენსკის და საპრონოვის სტატიებისა და ტროცკის წერილის შესახებ . . . . . 408 — 426

დისკუსიის შესახებ 408

რაფაილის შესახებ 412

პრეობრაჟენსკის სტატიის შესახებ 415

საპრონოვის სტატიის შესახებ 418

ტროცკის წერილის შესახებ 421

საბოლო შენიშვნა (რაფაილის შესახებ) 427

მისალმება გაზეთ «კომუნისტს» 431

დანართი . . . . . 432 — 441

დანართი № 1. დეკლარაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ 432

დანართი № 2. ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ 435

შენიშვნები 442

ბიოგრაფიული ქრონიკა (1921 — 1923) 464

ტირაჟი 20 000
გადაეცა წარმოებას 25/II — 1955.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VIII—1955.
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 31,5.
შეკვეთის № 279

ფასი 6 მან.

*

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.